მერაბ ღალანიძე

ევროპის შუაგულში საუკუნეთა ზღვარზე

ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი

მერაბ ღაღანიძე

ევროპის შუაგულში საუკუნეთა ზღვარზე

**100 ჩანაწერი
კულტურის, რელიგიისა
და სამოქალაქო ცხოვრების
ირგვლივ**

1995-2005

თბილისი
ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი
2022

Merab Ghaghanidze

In the Heart of Europe on the Verge of Centuries

100 Essays on Culture, Religion and Civil Life

1995-2005

Tbilisi
Centre of Christian Theology and Culture
2022

ყდაზე: მარეკ ვერნი, “ქალაქი და დრო” (2000)

მერაბ ღაღანიძე, *ევროპის შუაგულში საუკუნეთა ზღვარზე: 100 ჩანაწერი კულტურის, რელიგიისა და სამოქალაქო ცხოვრების ირგვლივ, 1995-2005,* თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, 2022.

ISBN 978-9941-8-5414-9
© მერაბ ღაღანიძე, 2022

სარჩევი

წინათქმა 11

1995

1. ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ოთხმოცი წლისთავის გამო 15
2. მეოცე საუკუნის ადამიანი 21
3. ჩეხეთი – ევროპის გული 29
4. ალფრედ ნობელის საუკეთესო მიგნება 35
5. შობა ბეთლემში 40

1996

6. ევროპული კულტურის ორი საფუძველი და ორი ნაკადი 49
7. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა – გამოუსწორებელი შეცდომა თუ გარღვევის მცდელობა? 52
8. პრაჰა მეოცე საუკუნის მიწურულს 59
9. ანჯეი ვაიდას პოლონური სატკივარი 65
10. წმიდა გიორგის დღე ინგლისში 71
11. რუსეთი და ევროპა 74
12. ფოტო იტალიური ლიტერატურის ისტორიიდან 82
13. ბასკური ნაციონალიზმი ტერორიზმის სახით 84
14. პანონჰალმის ბენედიქტური სკოლა 90
15. ხელოვნება და სახელმწიფოებრივი დოტაცია 96
16. ლოცვა მშვიდობისათვის წმიდა ფრანცისკეს საფლავთან 101
17. რომან იაკობსონის დაბადების ასი წლისთავის გამო 106

18. სვეტიცხოვლობა 109
19. ტიხო ბრაჰე – ვარსკვლავების მჭვრეტელი
და ვარსკვლავთმრიცხველი 114
20. შობა და ახალი წელი ცენტრალურ ევროპაში 119

1997

21. ჰაინრიხ შლიმანის საგანძური
და ხელოვნების მიტაცებული ნიმუშები 129
22. კელტომანია ჩეხეთში 135
23. რუსეთი ბერლინის კინოფესტივალზე 140
24. საწამებელი იარაღების გამოფენა ლუბლინში 142
25. "ინგლისელი პაციენტი" – უნგრელი გრაფი
ლასლო ალმაში 148
26. ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების
ორმოცდაათი წლისთავის გამო 154
27. ფრანსისკო სუარესი –
იეზუიტი, თეოლოგი, იურისტი 159
28. ტომაშ გარიგ მასარიკი –
ჩეხოსლოვაკიის ფუძემდებელი 162
29. "მთიელები" – იკების ტომი 168
30. საშობაო სპექტაკლი 172

1998

31. მისტიკა და ეროტიკა 177
32. კათოლიკე ეკლესია იაპონიაში 178
33. ვილჰელმ შმიდტი
პირველადი მონოთეიზმის ძიებისას 181
34. კარლ თეოდორ დრაიერის სარეჟისორო გზა
სარწმუნოებრივი საყრდენების მოსაპოვებლად 190
35. გიორგი ჭალადიდელი: პოეტი და პოლკოვნიკი
განცხრომიდან სევდამდე 192
36. პრაჰელი სტუდენტები შუა საუკუნეებში 197
37. გაეტანო დონიცეტის დიდება და უძლურება 202
38. დეივიდ ლივინგსტონი –
მოგზაური და მისიონერი 207

39. პარიზი, 1968 წლის მაისი 212
40. ძველი მეგობარი და კლასიციზმი 220
41. ფილიპე მეორის გარდაცვალების
ოთხასი წლისთავი 222
42. რუსული კომუნიზმი –
რუსული იმპერიალიზმის მემკვიდრე 227
43. ოთმარ შპანი და მისი ფილოსოფია
პოლიტიკურ კორიანტელში 230
44. კარდინალი ალოიზიუს სტეპინაცი 237
45. სტუდენტური მღელვარებანი
იტალიაში, 1968 242
46. მარტინ ჰაიდეგერისა
და ჰანა არენდტის მიმოწერა 246
47. ეკლესია და სახელმწიფო 249
48. კლოდ ლევი-სტროსი და ეპოქა 252
49. დაზიანებული ბერძნული ბარელიეფი 254
50. სანტა კლაუსი, ანუ წმიდა ნიკოლოზი 255

1999

51. ახალი საუკუნე 259
52. ქრისტიანობა კომუნისტურ კუბაზე 262
53. რობოტების ბატონობა
და კაცობრიობის მოახლოებული დაისი 265
54. ჯავაჰარლალ ნეჰრუ
ინდოეთის რესპუბლიკის საწყისებთან 271
55. ჭაბუკი შექსპირი ჰოგტონის კოშკში 274
56. ლტოლვილები გუშინ და დღეს 278
57. კარდინალი ფრანტიშეკ ტომაშეკი 283
58. ჰერბერტ მარკუზე –
დასავლეთის კრიტიკოსი მარცხნიდან 286
59. ფრანკო ძეფირელის ახალი ფილმი 289
60. შალვა ნუცუბიძის ნოხები 293
61. მარგარეტ თატჩერის ესეი
კონსერვატიზმის მომავლის გამო 294
62. ძალადობა ეკრანზე 298
63. დმიტრი ლიხაჩოვის გარდაცვალების გამო 305

64. იტალიური მეტაფიზიკური ფერწერა 308
65. უკანასკნელი გენერალური მდივნის
პირველი ლოცვა 316
66. ვერმახტის დანაშაულობათა გამოფენა 319
67. ქრისტიანობის ბიზანტიური შტოს
თეოლოგიური ძიებანი, ლიტურგიკა, მისტიკა 323
68. ხავერდოვანი რევოლუციის
ათი წლისთავი პრაჰაში 328
69. კულტურის საჭიროება 331
70. აკაკი წერეთლის “სიკვდილი” 333

2000

71. მეოცე საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსები:
პოლ ჯონსონის არჩევანი 339
72. ავადმყოფობის გამოცდილება 344
73. ჯორდანო ბრუნოს ლეგენდა 345
74. ქრისტიანული მარხვა 348
75. აღდგომა 351
76. ჰერბერტ სპენსერი –
სოციოლოგიის მესაძირკვლე 360
77. აპრილი, – ოთხი ფილოსოფოსის სიკვდილი 364
78. ფლორენს ნაიტინგეილი – მოწყალების და 369
79. ოსვალდ შპენგლერი –
დასავლეთის დაცემის მაუწყებელი 374
80. რუსეთის პატრიარქები მეოცე საუკუნეში 377
81. ჯოვანი ჯენტილე –
დახვრეტილი ფილოსოფოსი 387
82. ამაღლება 390
83. სული წმიდის გარდამოსვლა 392
84. ადოლფ ფონ ჰარნაკი –
ქრისტიანული დოგმების ისტორიკოსი 394
85. ერნსტ ბლოხი –
ფილოსოფოსი კომუნისტური იმედით 396
86. უდანაშაულოდ ბრალდებული 399
87. სიმართლე და პოსტმოდერნიზმი 401
88. მეოცე საუკუნის მოწამეები 404

89. წყალობის მოულოდნელობა 407
90. შობა 409

2001

91. ავთანდილის არჩევანი 417
92. იდეალური ძველი საბერძნეთი? 418
93. ნგრევის აუცილებლობა 420
94. უკეთესი ადამიანი – უკეთესი "საზოგადოება" 423
95. მოპოვებული თავისუფლება
დახურულ მონასტერში 425

2005

96. შუა საუკუნეთა ურყევი სიმშვენიერე 429
97. წიგნიერების მომავალი 431
98. ფლობერის სევდიანი სიბრძნე 434
99. მარტო სხვებთან ერთად 435
100. "ხელუხლებელი განძი": კიტა აბაშიძის
ეროვნულ-კულტურული ესქატოლოგია 436

საძიებლები
პირთა სახელები 441
ადგილთა სახელები 449

წინათქმა

სახლში ხანგრძლივად ცხოვრების შედეგად, იქ ბევრი ზედმეტი ან მივიწყებული ნივთი გროვდება. ამიტომ სახლს დროდადრო გადალაგება და გასუფთავება სჭირდება ხოლმე.

ელექტრონულ ეპოქაში მცხოვრებთ კარგად მოეხსენებათ, რომ კომპიუტერში დაგროვებულ მასალას, – ხშირად ასევე ზედმეტსა თუ მივიწყებულს, – დროდადრო გადაჯგუფება ან გაწმენდა ესაჭიროება. ამგვარი მიზნებით პირადი ელექტრონული არქივის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ბევრი დაუბეჭდავი ტექსტი (ან გამოუყენებელი, ან მიმალული, ან მიტოვებული, ან გამოსაქვეყნებლად უარყოფილი თუ გადადებული თავის დროს) დღესაც გამოდგებოდა მკითხველისათვის წარსადგენად, რადგან მათში ნათქვამი, – ავტორის მიერ განცდილისა და განსჯილ-გააზრებულის გამოხატულება, – აქამდე სხვაგან არსად ყოფილა საჯაროდ გაცხადებული.

არაერთი ჩანაწერის მოწადინებული გულისყურით გადარჩევის შედეგად, – რაც მთავარია, თითოეული მათგანის სათქმელი, დროითი დაშორების მიუხედავად, ისევ ცოცხალი და ღირებული უნდა ყოფილიყო მისთვის, ვინც თავისი იმუამინდელი ცოდნისა თუ საფიქრალის ამგვარად ჩანიშვნა, ამგვარად გამოხატვა მიიჩნია საჭიროდ, – გადაწყდა, თავმოყრილიყო და ცალკე წიგნად გამოცემულიყო, რაც ამ დაწესებულ პირობებს აკმაყოფილებდა.

ოდენ გაცვეთილი ფრაზა იქნებოდა თავის დასაზღვევი დათქმა, რომ ეს ტექსტები დღეს სხვაგვარად, – თუმცა, ბუნებრივია, არცთუ ყოველთვის უკეთესად, – დაიწერებოდა.

რაც შეეხება თავად წიგნის სათაურს – “ევროპის შუაგულში საუკუნეთა ზღვარზე” – ის იმ ცხად სინამდვილეს ასახავს, რომ ავტორი ევროპის გეოგრაფიულ შუაგულში – პრაჰაში – ცხოვრობდა 2002 წლამდე, ხოლო ევროპის სულიერ-რე-

ლიგიურ შუაგულში – რომში – იმყოფებოდა 2005 წლიდან. დრო კი, პირადადაც და საზოგადოდაც, მნიშვნელოვანი იყო, ანდა მნიშვნელოვნად მიიჩნეოდა, რადგან ამგვარად გამოიყურება – სიმბოლურად თუ უთუოდ – საუკუნეთა ზღვარი.

ამდენად, სათაური აღნიშნავს წარმოდგენილი ტექსტების დაწერის ადგილსა და დროს, – შესაძლოა, ავტორის დამოკიდებულებასა თუ ყურადღების მიმართულებასაც, – მაგრამ არა მათს თემატიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ფართოა.

თავად ჩანაწერთა დანაწილება საკითხების მიხედვით გაუმართლებელი აღმოჩნდა, თანაც, სათქმელია, ასეთი დაჯგუფება არც არაფრით შეუწყობდა ხელს მკითხველის გაძღოლასა თუ გარკვევას ამ განსხვავებულ მოვლენათა შემხები და განსხვავებულ მისწრაფებათა გამომხატველი ტექსტების მრავალფეროვან სივრცეში. ამიტომ დალაგდა წიგნში ზუსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით თავდაპირველი ჩანაწერები, რომელთაგან ზოგიერთი მიმოხილვაა, ზოგი – პორტრეტი, ზოგი – გახსენება, ზოგი – განაზრება, რითაც შესაძლებელი გახდა, უცვლელად შენარჩუნებულიყო არა მარტო მათი ფრაგმენტულობა, არამედ დროითი გამოძახილის დანიშნულებაც.

იმედია, მკითხველს ზოგიერთი ტექსტი, შესამჩნევი სიძველის მიუხედავად, თუნდაც რასმე ახალს ეტყვის, თუნდაც რამე ახლის გამო ჩააფიქრებს.

მერაბ ღაღანიძე

1 ნოემბერი, 2022

1995

1

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ოთხმოცი წლისთავის გამო

ოთხმოცი წლის წინათ, 1915 წლის ივლისის პაპანაქებაში, ტფილისის გიმნაზიის შენობაში, რომელშიაც საომარი ვითარების გამო სამხედრო ჰოსპიტალი იყო განთავსებული, ვაჟა-ფშაველა კვდებოდა.

საქართველო უკვე ფრონტისპირა მხარედ იყო ქცეული და მას სულ უფრო უახლოვდებოდა მსოფლიო ომი, რომელმაც ძველი და სანდო სამყარო რამდენიმე წლის შემდგომ ნაცარტუტად აქცია, უახლოვდებოდა რუსული რევოლუციები, საქართველოს რესპუბლიკის დაფუძნება, ქვეყნის მეტად ხანმოკლე და ეფემერული დამოუკიდებლობა, სოციალ-დემოკრატიული მმართველობა და კაუცკისეული "სოციალისტური სამოთხე", ორჯონიკიძე-კიროვის წარმატებული სამხედრო ოპერაცია და ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, აგვისტოს აჯანყება და კომუნისტურად მასშტაბური სისხლიანი ეგზეკუცია, თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ჟლეტა, სატვირთო ვაგონებში დახვრეტილი და მეტეხის ციხის საკანალიზაციო აუზებში ჩამხრჩვალი საუკეთესო ქართველები...

ვაჟა-ფშაველა ყოველივე ამას აღარ შესწრებია, ვაჟა-ფშაველას ამგვარ საქართველოში აღარ უცხოვრია, – მართალია, მომდევნო პოეტის სიტყვით, "წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი" და ამ გასროლის ხმა პოეტურადაც, სიმბოლურადაც, აკუსტიკურადაც უეჭველად შთამბეჭდვია ეპოქისათვის წერტილის დასასმელად, მაგრამ წიწამურის ბუჩქებიდან გასროლილი ტყვიის შემდეგ ტფილისისა თუ ქუთაისის ქუჩებში დადიოდნენ აკაკი წერეთელიც და ვაჟა-ფშაველაც, ხოლო

სცენიდან მათ გასვლამდე ფარდის დაშვება შეუძლებელი იყო: სამოცდათხუთმეტი წლის აკაკი და ორმოცდათოთხმეტი წლის ვაჟა იმ საქართველოს ეკუთვნოდნენ, იმ საქართველოს წარმოადგენდნენ, რომელიც წყვეტდა არსებობას და რომელიც ახალ, უცნობ, ულოდნელ საქართველოს უთავისუფლებდა გზას. 1915 წელს სამხედრო ჰოსპიტალში კვდება მიმავალი საქართველოს ბოლო დიდი ქართველი პოეტი, 1915 წელს ერთი საქართველო მთავრდება...

როგორც მუსლიმ არაბთაგან დაპყრობილ ალექსანდრიაში დღესაც გადაეყრებით კოპტებად სახელდებულ ძველ ეგვიპტელთა და ძველ ქრისტიანთა შთამომავლებს, ასევე, ფილიპე მახარაძისა და სილიბისტრო თოდრიას ტფილისში შეიძლება თვალი მოგეკრათ მარქსისა და ენგელსის მეგობარ ნიკო ნიკოლაძისათვის, მაგალითად, საქართველოს საბჭოთა მწერლების ყრილობაზე, როცა იგი რიგში ჩამდგარიყო დელეგატის მანდატის მისაღებად, – პროლეტკულტელებსა და ფუტურისტებს შორის; ზემელის აფთიაქთან შეიძლება დაგენახათ დინჯად მოსეირნე ვასილ ბარნოვი, რომელიც რევოლუცია-ოკუპაციისა და პენსიაზე გასვლის შემდეგ ბევრად უფრო ნაყოფიერი მწერალი გახდა; ან ოპერის თეატრის ლოჟაში დაგელანდათ კაფანდარა დავით კლდიაშვილი, რომელმაც ოკუპაციის შემდეგ თანდათანობით საერთოდ შეწყვიტა წერა...

მაგრამ წარმოსახვა ეწინააღმდეგება, მათ გვერდით, აქ და ამ საქართველოში ვაჟა-ფშაველა წარმოიდგინოს. მიუხედავად იმისა, რომ მას ასაკი ხელს სულაც არ შეუშლიდა, მეორე მსოფლიო ომის დასასრულსაც შესწრებოდა, მეხსიერება მაინც დაჟინებით უბრუნდება ერთ ლეგენდურ სცენას: ჩაფხუტიანი სერგო ორჯონიკიძე და მის ჩექმებთან დაჩოქილი თეთრთმიანი მოხუცი თავადის ქალი, – "მაგდანას ლურჯასა" და "თინას ლეკურის" ავტორი, – ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც მხურვალედ ევედრება საქართველოს ეგზეკუტორს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს ლევან რაზიკაშვილს, დასახვრეტად განწირულ ვაჟა-ფშაველას ვაჟს... და წითელი კომისრის ცივი, მჭრელი, დამ-

ცინავი პასუხი: ვაჟა-ფშაველა რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტდითო. დღეს ვეღარავინ იტყვის, თუ რამდენად მართალია ეს გადმოცემა (უეჭველად ის ვიცით, რომ "ბახტრიონის" გმირებივით ლამაზი და გონიერი რაინდი, ლევან რაზიკაშვილი, ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ კომუნისტებმა მალევე დასაჯეს სიკვდილით), ისევე როგორც ვერავინ იტყვის, რამდენად რეალურია კიდევ ერთი, კიდევ უფრო ლეგენდური და სიმბოლური სცენა: "ივერიის" რედაქციაში "არწივის" ცალთვალა ავტორი სილას აწნავს უზრდელ ტფილისელ სემინარისტს სოსო ჯუღაშვილს, ახალგაზრდა სოსელოს, რომელიც "ტურფა ქვეყანას" – აყვავებას, ხოლო "ივერთ მხარეს" ლხენას უქადდა. შესაძლოა, ეს თქმულება იმ გაოცებამ წარმოშვა, რომ ვაჟა-ფშაველა, ფაქტობრივად, ერთადერთი ქართველი კლასიკოსი იყო, რომელიც თავდასხმისა და აკრძალვის სამიზნედ იქცა სტალინურ ეპოქაში, და ეს მას შემდეგ, რაც 1934 წელს "ადამიანური სულების ინჟინერთა" (ანუ მწერალთა) ყველაზე დიდმა მეგობარმა, ამხანაგმა სტალინმა, აღმზრდელობით-საგანმანათლებლო საუბარი ჩაუტარა ცეკავშირისა და – შეთავსებით – მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მალაქია ტოროშელიძეს, რომელსაც ქართული მწერლობის შესახებ უნდა წაეკითხა მოხსენება ცვაიგისა და როლანის, გორკისა და პასტერნაკის წინაშე, რომ ეს ქართული მწერლობა ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაზე ცოტა უფრო ადრე იწყება (რაც ტოროშელიძეს არ სჯეროდა ან არ მოეხსენებოდა ბელადთან გასაუბრებამდე!) და რომ ქართველი კლასიკოსები უთუოდ პატივისცემას იმსახურებენ. ყოველი შემთხვევისას, თუ სტალინის ერთგული მოწაფის, მისგან აღზევებულ-დანარცხებული ლოკალური ბელადის (და შეთავსებით "ვაჟას განმაქიქებლის"), კანდიდ ჩარკვიანის, მახსოვრობასა და მემუარებს ვენდობით, ვაჟასგან მომდინარე საფრთხისაგან – "პროვინციალიზმისა" და "კუთხურობისაგან" – ქართველი ერისა და ქართული ენის გადარჩენის იდეა სწორედ "ხალხთა დიდ ბელადს" ეკუთვნოდა. ასეა თუ ისე, ლეგენდებიც, ხმამაღალი ფრაზებიც და სილების ლა-

წალუწიც რომ გვერდზე მოვიტოვოთ, სტალინისა და ორ-ჯონიკიძის საქართველოში ვაჟა-ფშაველა აშკარად ანაქ-რონისტულად, გაუგებრად, უადგილოდ მოჩანს.

თუმცა უკეთესად, უფრო ღრმად ჩაფიქრებისას, განა იმის დარწმუნებით თქმა კი შეგვეძლო, რომ ვაჟა უეჭვე-ლად და დაუბრკოლებლად ეკუთვნოდა თავისი დროის, – უშუალოდ თავისი დროის, – საქართველოს, ხოლო საუკუნის პორტრეტში, თუნდაც მსოფლიო ომის დაწყე-ბამდე, ბუნებრივად, შესაბამისად, შესატყვისად გამოიყუ-რებოდა? ანდა მისი გარემო როგორმე ირეკლავდა, რო-გორმე ისრუტავდა უწყებას, რის გასაცხადებლადაც იგი ამქვეყნად მოსულიყო?

ოთხმოცი წლის წინათ პოეტი ჰოსპიტალში კვდებოდა და დღეს, ალბათ, ერთი ადამიანიც აღარ დარჩა, ვისაც მის შესახებ რამის გახსენება ან მისი ცხოვრებიდან რამის დამატება-დაზუსტება შეეძლოს. ჩვენს თაობასაც კი ბუნ-დოვნად მაინც ახსოვს ვაჟას გვერდით მყოფი, მასთან მო-საუბრე ადამიანები და ის იმედი, რომ მათი საშუალებით, მათი შუამავლობით, მათი დახმარებით ოდნავ მაინც შევ-ძლებდით ვაჟას საიდუმლოსთან მიახლოებას, ნამდვილი ვაჟასათვის – თუნდაც წამიერ – თვალის მოკვრას.

მეხსიერებაში აღბეჭდილა მეზობლად რამდენჯერ-მე სტუმრად მობრძანებული ხანშიშესული ქალბატონი, ალექსი-მესხიშვილთა ოჯახიდან, რომელიც, სხვა კე-თილშობილ ასულთა მსგავსად, ომის დროს ჰოსპიტალ-ში მოწყალების დად მსახურობდა და ამის გამო იქ ვაჟას სიცოცხლის ბოლო წუთებს შეესწრო; ასე გვეგონა, რომ სწორედ მას შეეძლო გაეთავისუფლებინა პოეტის სიკვ-დილი თეატრალურ-პათეტიკური ლეგენდების სიყალბი-საგან;

ან როგორ გვშურდა ოჯახის იმ წევრებისა, რომელთაც სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდათ ვაჟას უმცროს შვილთან და ვაჟას სახლ-მუზეუმის დირექტორთან, მით უმეტეს, თუკი ის მალე კარის მეზობელიც აღმოჩნდებო-და; მას თავადაც მეტად მკრთალად ახსოვდა მამა, მაგრამ ასე გვეგონა, სწორედ მას ჰქონდა უფლება (და მოვალე-

ობაც!), განეცხადებინა, რომ ვაჟა არა მარტო ჩარგლელი გლეხის სამოსს ატარებდა მოხდენილად, არამედ – ტფილისელი სოლოლაკელი თუ ვერელი მოქალაქის ევროპულ ტანსაცმელსაც, სტეკის თანხლებით, და რომ მისი ხელი არა მარტო სახნისს, კალმისტარს ან ბილიარდის ჯოხს იყო გაჩვეული, არამედ ტოლსტოის, ედგარ პოს, ლესინგისა და ნიცშეს ხშირ გადაფურცვლასაც;

ვუსმენდით აკაკი შანიძეს, რომელიც ვაჟასთან ერთად ლინგვისტურ-ფოლკლორისტულ ექსპედიციებს აწყობდა საქართველოს მთიანეთში და "გველისმჭამელის" შემოქმედს პოეტობა-შაირობაში ეჯიბრებოდა; იმედი გვქონდა, რომ "ქართული გრამატიკის საფუძვლების" ავტორი შეძლებდა ვაჟას დახსნას იმ ბოდიშისმომხდელი თეორიისაგან, რომელიც გვარწმუნებდა, რომ ვაჟა ქართულ სალიტერატურო ენასაც არცთუ ურიგოდ ფლობდა, რასაც მოთხრობებსა და ნარკვევებში ადასტურებდა, ხოლო პოეზიაში ფშაური დიალექტის გამოყენება "პოეტური სურნელების" შექმნას ემსახურებოდა მხოლოდ; აკაკი შანიძეს ხომ კარგად მოეხსენებოდა (რასაც იგი ფრთხილად აცხადებდა კიდეც), რომ ვაჟამ – მეორე დიდ თანამედროვესთან, ვასილ ბარნოვთან, ერთად – ქართული ენის გადარჩენა გადაწყვიტა, რომ მას მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედის სრულიად გამარტივებული, გაუბრალოებული, გაპროვინციულებული ქართული ენის მიბრუნება სწადდა ძველი ქართული ენის სიმდიდრისაკენ, სიდიადისაკენ, სიღრმისაკენ;

და ამასვე ამბობდა პოეტის კიდევ ერთი უმცროსი თანამედროვე – პავლე ინგოროყვა: რომ მისი პოეზია ძველ ქართულ ენაზეა დაწერილი და სათქმელისათვის უფრო მეტი პარადოქსული სიმკვეთრის მისაცემად იმასაც დაამატებდა, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, საერთოდ, არც მიეკუთვნება ახალ ქართულ ლიტერატურას...

თუმცა, შესაძლოა, აქამდე კიდევ გვეიმედებოდა, რომ ვაჟა-ფშაველას შემსწრენი ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ; გვეიმედებოდა (შესაძლოა, სრულიად მცდარად და უსაფუძვლოდაც!), რომ სწორედ ისინი მოგვეშველებოდნენ

ვაჟას საიდუმლოს, გაუჩინარებული საქართველოს საიდუმლოს ამოსაცნობად. ახლა კი მარტონი დავრჩით და ვერავინ გამოგვიწოდებს საშველად ხელს, – ჩვენ თვითონ უნდა გავიკვლიოთ გზა, ჩვენ თვითონ უნდა ვიმტვრიოთ თავი ამოუცნობ კითხვებზე პასუხების მოსაპოვებლად...

ისიც სათქმელია, რაც, ალბათ, ისეც ცხადია: რომ ზემორე სტრიქონები ეხება არა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა და პიროვნებას, არამედ მისი გარდაცვალების ოთხმოც წლისთავს.

ივლისი, 1995

2

მეოცე საუკუნის ადამიანი

აი, სადაცაა, მიიწურება მეოცე საუკუნე. რამდენიმე წელიც და ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის აღმართს შევუდგებით. რიცხვთა და თარიღთა სიმბოლიკის მოყვარულებს 2000 წლის მოახლოება დაძაბულობითა და მღელვარებით აღანთებს, თან თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც ამ კალენდრით ვსარგებლობთ, ჩვენი, ქრისტიანული წელთაღრიცხვის უკვე მეორე ათასწლეულს ვემშვიდობებით.

ბუნებრივია, საჯარო სივრცეში აქტიური ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები დასკვნების გასაკეთებლად, მონაპოვართა და დანაკარგთა შესაჯამებლად მოემზადნენ: ისინი უკვე დიდი მონდომებითა და მგზნებარებით ეძებენ თითქმის ჩამთავრებული საუკუნის ერთიან ფორმულას, მახასიათებელს, რომელმაც თითქოს იმის გარკვევის საშუალება მაინც უნდა მოგვცეს, იყო თუ არა ეს ასი წელი განსაკუთრებული, განსხვავებული, სხვათაგან გამორჩეული, თუ, ყოველი თაობისა არ იყოს, ის, რაც ჩვენ, მეოცე საუკუნის შვილებს, გარდატეხად და მოსაბრუნად მიგვაჩნია, ჩვეულებრივი ისტორიული მსვლელობა და ჟამთა მონაცვლეობა ყოფილა. ცხადია, ამ კითხვებზე საპასუხოდ თუნდაც რამდენიმე საუკუნის გადასახედი მაინც გვჭირდება (რა თქმა უნდა, მეოცე საუკუნის რაობა სამი-ოთხი საუკუნის შემდეგ უკეთ შეფასდება), მაგრამ საბოლოო გარკვეულობას ისტორიის სამსჯავროც კი ვერ მოიტანს (თუკი მართლა არსებობს "ისტორიის სამსჯავრო"!), რაკი ყველა ჩვენს მტანჯველ კითხვებზე – მით უმეტეს, ამგვარ უპასუხო კითხვებზე – პასუხების მოპოვებას ცოტა მეტი ხანი დასჭირდება: უკანასკნელ სამსჯავროს უნდა დაველოდოთ!

ისიც უეჭველია, რომ ისტორიას ყოველთვის ცოცხალი ადამიანი წერს, ან ადამიანთა ჯგუფი, და არა რაღაც გაურკვეველი "ისტორიის სული", რომელსაც თითქოს – თანადროულთათვის მიუწვდომელი – რაღაც უპირობო ობიექტურობის სიგელი აქვს მინიჭებული. ნებისმიერს, ვისაც მომავალში მეოცე საუკუნის მიღწევათა თუ დაცემათა შეფასება მოუწევს, ბუნებრივია, საკუთარი შეხედულებების, საკუთარ არჩევანთა და უპირატესობათა გათვალისწინება მოუწევს და მისი შეფასებაც ყოველთვის სწორედ ამ ვითარებით იქნება განპირობებული.

თუმცა, რაკიღა საუკუნის განმავლობაში ჰეგელიანელობისა და მისი უკანონო ნაშიერის – მარქსიზმის – გავლენა, ამ სწავლებათა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ძალა ყოველ მომდევნო ათწლეულთან ერთად იწრიტებოდა, დღეს, საუკუნის მიწურულს, შეგვიძლია ამგვარ მოძღვრებებს დიდი ანგარიში აღარ გავუწიოთ და უყურადღებოდ დავტოვოთ ჰეგელისტ-მარქსისტთა ერთი უმთავრესი დოგმა, რომ ყოველი მომდევნო ეპოქა, წინამორბედთან შედარებით, უპირობოდ "პროგრესულია" და კაცობრიობისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უბრალო ყოფითი გამოცდილება, უბრალო ყოველდღიური დაკვირვებაც კი არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მეოცე საუკუნე ადამიანის განვითარების უმაღლეს მწვერვალად გამოვაცხადოთ, ან მარტივი არითმეტიკის საფუძველზე დავასკვნათ, რომ – რაკი ადამიანის ცხოვრება, ზოგადად, უმჯობესდება – მეოცე საუკუნე უცილობლად უკეთესი იყო, ვიდრე მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე ან მეცხრამეტე საუკუნეები. ნამდვილად ვხედავთ ტექნოლოგიურ წინსვლას (რაც, ალბათ, "პროგრესის" ერთადერთი ხილული შედეგია!), კიდევ, შესაძლოა, სახელმწიფოებრივ დიქტატურათა რაოდენობრივ კლებას (განსაკუთრებით, კომუნისტური რეჟიმების დაცემის შემდეგ), მაგრამ ისიც ცხადი სინამდვილეა, რომ კაცობრიობა, ზოგადად, არანაირად არ გამოხატავს წინსვლას ზნეობრივად, სულიერად, შემოქმედებითად, კულტურულად...

მაინც რომელი მახასიათებელი გამოხატავს ამ საუკუნის მისწრაფებას, მის ძირითად ძარღვს? დედამიწის ის მოზრდილი ნაწილი, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია ომის, წამებისა და შიმშილის საფრთხისაგან გათავისუფლდა თუ დედამიწის დანარჩენი – უმეტესი – ტერიტორია, სადაც ყოველ ახალ დღეს ახალი ტანჯვა და ახალი განსაცდელი მოაქვს? ის, რომ პარიზისა და ლონდონის, რომისა და ამსტერდამის ასაკოვანი მოსახლეობაც კი აღარ შესწრებია ზეციდან წამოსული ბომბების ზუზუნს თუ სოხუმის, სარაევოს, გროზნოს მოგიზგიზე ნანგრევები? ყოველ კონტინენტს ფართოდ მოდებული მოძრაობანი ადამიანის უფლებათა, უმცირესობების, ბუნების დასაცავად თუ არც ისე დიდი ხნის წინათ ოკეანიდან ოკეანემდე მოთარეშე გულაგი? შორეული თუ ახლობელი კულტურებით უმაგალითო დაინტერესება და ზრუნვა მათს შესანარჩუნებლად თუ სტალინის, მაო ძედუნის, პოლ პოტის "კულტურული რევოლუციები", ანუ საკუთარი მოსახლეობის გენოციდი მრავალმილიონიანი მსხვერპლით და, მათ შორის, თანამემამულე ინტელექტუალთა მეთოდური ჟლეტა? საზღვრებგახსნილი, მრავალ ენაზე მოლაპარაკე ევროპა თუ ერთი ენის, ერთი სისხლის, ერთი წარსულის პატრონ იუგოსლავიელთა ურთიერთხოცვა? ფიზიკური შრომის დამთრგუნველი, მომქანცველი ტვირთისაგან შვების მიმცემი მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლა თუ მოუთოკავი მანქანებისა და იარაღის წინაშე დამფრთხალი ადამიანი? ლიტერატურისა და ხელოვნების უმაღლესი მიღწევები, შემოქმედებითი საქმიანობის აღმაფრენა, ამასთან ერთად, მილიონთათვის მათი მიწოდების აქამდე წარმოუდგენელი შესაძლებლობანი თუ პრიმიტიული, გონებისა და სულის მომწამვლელი, გამომათაყვანებელი, გამაბრუებელი მასობრივი კიტჩის საყოველთაო გაბატონება?

მაინც რა იყო ამ საუკუნისათვის განმაპირობებელი სწრაფვა? მაინც რა განსაზღვრავდა საუკუნის წამყვან სულისკვეთებას? განა ვისმე ძალუძს აწონოს და ერთმანეთს შეუფარდოს მონაპოვარი და დანაკარგი? იქნებ

ის ხერხი აღმოჩნდეს უპრიანი, რომელსაც კარგა ხანია მოჰკიდეს ხელი პუბლიცისტ-ჟურნალისტებმა, ყოველი წლის მიწურულს "წელიწადის ადამიანს" რომ ასახელებენ, ახლა კი "საუკუნის ადამიანის" გამოცხადებით ისინი ცდილობენ მთელი ასი წლის შემჭიდროებას და ეძებენ იმგვარ სიმბოლოს, ნიშანს, ემბლემას, რომელიც შთამომავლებს დროის ამ მონაკვეთის, თუნდაც შემთხვევითი მონაკვეთის წარმომადგენლად შეგვიძლია ვუანდერძოთ. რა თქმა უნდა, სერიოზული და სოლიდური ხალხი ამგვარი თამაშისაგან თავს იკავებს, რადგან ოდნავ დაკვირვებულ ადამიანსაც კარგად მოეხსენება, რომ ყოველი ამგვარი არჩევანი მხოლოდ ამომრჩევლის ვინაობაზე, ორიენტაციაზე, გემოვნებაზე მეტყველებს და, რაც უნდა სტერილური კომისია შედგეს, ვერასოდეს შეძლებს უმრავლესობისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატურის დასახელებას.

ვისაც მიაჩნია, რომ ეპოქის სულსა და სუნთქვას პოლიტიკურ-სამხედრო ბრძოლები განაპირობებს და ეპოქის პორტრეტს პოლიტიკოსები აქანდაკებენ, მათთვის საუკუნის ადამიანი სერ უინსტონ ჩერჩილია, რომლის ცოდვა-მადლით ევროპა ორმოცი წლის განმავლობაში ორად იყო გახლეჩილი, მაგრამ რომელმაც შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ნაციონალ-სოციალიზმს, არამედ საუკუნის მეორე უმძიმეს ეპიდემიასაც – კომუნიზმსაც, როცა, მეორე მსოფლიო ომში ნაციზმის დამარცხების შემდეგ, თავისი ცნობილი ფულტონის გამოსვლით დასაბამი დაუდო, მართალია, ამჯერად "ცივ", მაგრამ მაინც კიდევ ერთ "ომს", ომს დასავლურ ფასეულობებსა და ლენინურ-სტალინურ იდეოლოგიას შორის; უნდა ითქვას, რომ ორივე ურჩხულთან შერკინება საბოლოოდ ლორდთა პალატის ამ ღრმადპატივცემული წევრისა და, ზოგადად, დემოკრატიის ბრიტანული მოდელის გამარჯვებით დამთავრდა, – თუნდაც არა ჩერჩილისავე სიცოცხლეში, მაგრამ საუკუნის ბოლოს მაინც, თუნდაც არა ყველგან, მაგრამ ევროპისა და ამერიკის უმთავრეს ქვეყნებში, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ

საუკუნის პირველ ნახევარში დემოკრატიული პრინციპები – სახელმწიფო მმართველობის ანგლოსაქსური მოდელი – მეტად მჭლედ და უდღეურად ჩანდა ტოტალიტარიზმის ტრიუმფული მსვლელობის ფონზე.

რაკი კომუნიზმი მაინც ამ საუკუნის დომინანტური მოვლენა და ყველაზე საშიში, ყველაზე მძიმე ინფექცია იყო, მაშინ კანდიდატთა შორის შეიძლება დასახელდეს ანდრეი სახაროვიც, რომელმაც, როგორც ბირთვულმა ფიზიკოსმა, რეჟიმი ყველაზე საშიში იარაღით აღჭურვა, მაგრამ შემდგომ, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ თავად იქცა "ბოროტების იმპერიის" – საბჭოთა კავშირის – დამსხვრევის მონაწილედაც და სიმბოლოდაც.

თუ მეოცე საუკუნის სახეს უეჭველად განაპირობებს პოლიტიკა, რომლის გავლენას ვერავინ და ვერაფერი ასცდა, ხოლო მომდევნო, ოცდამეერთე საუკუნეს გვინდა ვუანდერძოთ გაკეთილშობილებული და ზნეობრივად მიმართული პოლიტიკური სახე (თუკი თავად ეს შეთანხმება ზედმეტად პარადოქსულად არ ჟღერს!), მაშინ, შესაძლოა, შვილებსა და შვილიშვილებს საუკუნის საოჯახო ალბომიდან მაჰატმა განდჰის პორტრეტი შემოვუნახოთ, – პოლიტიკური და ეთიკური ლიდერისა, რომელმაც სცადა, პოლიტიკა ზნეობის სამსახურში ჩაეყენებინა, ზნეობა პოლიტიკის განმაპირობებელ საფუძვლად ექცია, ხოლო თვით პოლიტიკური საქმიანობა ადამიანის სულიერი განვითარების ასპარეზად წარმოეჩინა.

როგორც ჩანს, წინა, მეცხრამეტე საუკუნისაგან მემკვიდრეობად გვერგო მეცნიერების მიმართ აღტაცებული დამოკიდებულება, მაგრამ დღეს ამ ენთუზიაზმის კვალიც კი ქრება, რისი მოსმენა ორმოცი ან ორმოცდაათი წლის წინათ ყველას გააოცებდა, მაგრამ ახლა საუკუნის ადამიანის კანდიდატად, ალბათ, არც ალბერტ აინშტაინი გამოდგება, რომელმაც სამყაროს შეჩვეული და შეგუებული მოდელი ააფეთქა და არც ზიგმუნდ ფროიდი, რომელმაც სცადა, ადამიანის სულიერი ცხოვრების მოდელისაგან ნანგრევებიც აღარ დაეტოვებინა: ამ მახვილგონიერმა, მაგრამ არცთუ სანდო ვენელმა ექიმმა სააღმსარებ-

ლო დივნებზე წამოწოლილ კეთილშობილ ქალბატონთა სულებში ხომ მეტად უცნაური და საშიში გვირაბები თუ ხლართები აღმოაჩინა. ამდენად, არც ღირს ვახსენოთ ნილს ბორი, რომელიც კვანტური ფიზიკისა და კვანტური მექანიკის კვლევამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჭეშმარიტებას ყოველთვის მოეპოვება საპირისპირო ჭეშმარიტებაც, – შეხედულება, რომელიც სულაც არ მოეწონებოდა თომა აკვინელს, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ რომლის მოძღვრება დღემდე ცოცხალია არა მარტო კათოლიკე ეკლესიის წევრთათვის.

განვლილ და უკვე თითქმის ჩამთავრებულ საუკუნეში პოლიტიკოსებს განუზომელი პოპულარობით მხოლოდ ხელოვანნი თუ ამოუდგებიან გვერდით, თან ამ უკანასკნელთა დიდება, – პრეზიდენტებსა და პრემიერებთან, მინისტრებსა და დეპუტატებთან, ანდა პოლიტიკურ პატიმრებთან შედარებით, – მაინც უფრო ხანგრძლივია ხოლმე. ამ თვალსაზრისით, ხელოვანთაგან უეჭველი და ფართო აღიარებით, ჩარლზ ჩაპლინს, ალბათ, ძნელად თუ ვინმე გაეჯიბრება, ხოლო მისი მუდმივი პერსონაჟი იქნებ მართლაც მეოცე საუკუნის არსს გამოხატავს: დაჩაგრული, მიუსაფარი, დამცირებული, შეურაცხყოფილი, იგი მაინც ახერხებს სიკეთისა და ღირსების შენარჩუნებას, ყოველი წაქცევის შემდეგ ისევ პოულობს ხელახლა წამოდგომის ძალას და სხვასაც უწილადებს სიკეთეს, კიდევ მეტი, მზადაა, თავდადებაც არ დაიშუროს სხვათა გადასარჩენად. უნდა გავიმეოროთ, ნათქვამი ეხება ჩაპლინის ფილმების მოქმედ გმირს, თორემ თავად რეჟისორი, – წარმატებული პროდიუსერი და კომერსანტი, – შესაძლოა, ირეკლავდეს კიდეც ჩვენი ეპოქის მისწრაფებებსა თუ მიდრეკილებებს, მაგრამ როტშილდები და როკფელერები ჩვენს საუკუნეში აღარ იყვნენ მიჩნეული ეპოქის სულის მატარებლად.

თუკი ხელოვანზე მიდგება საქმე და არჩევანი მასზე შეგვიძლია შევაჩეროთ, მაშინ დმიტრი შოსტაკოვიჩის დასახელებაც იქნებოდა უპრიანი, – კომპოზიტორისა, რომელიც ყველაზე სასტიკ, ყველაზე დაუნდობელ პირობებში, დაპატიმრებისა და დახვრეტის ყოველდღიური მოლოდი-

ნისას, დაუქანცველად და უწყვეტად ქმნიდა იმ ხარისხის, იმ რაოდენობის, იმგვარი მრავალფეროვნების ქმნილებებს, რომლებთანაც გატოლება, ფაქტობრივად, მეტად ძნელია მსოფლიო კულტურის ისტორიაში; ამ მხრივ, შოსტაკოვიჩი და მისი ღვაწლი ნიმუშად დარჩება არამარტო მეოცე საუკუნის წარსადგენად, – ნიმუშად იმისა, თუ როგორ კეთდება მოწოდებით მინდობილი საქმე, თავაუღებლად, ერთგულად, გარემოებათა გაუთვალისწინებლად, პირობების ქონისა და უქონლობის მიუხედავად.

შესაძლოა, საუკუნის ადამიანად მიგვეჩნია ქრისტიანობის, ქრისტიანული სულისკვეთების უდიდესი წარმომადგენლები – ალბერტ შვაიცერი ან დედა ტერეზა, რომელთაც მოყვასისათვის თავგანწირვა თავიანთი ცხოვრების ყოველდღიურ ჩვეულებრიობად აქციეს, მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ ისინი დაუნდობელი და სისხლიანი მეოცე საუკუნის არსობრივ, შინაგან მისწრაფებას გამოხატავდნენ...

სახელების ჩამოთვლა, ალბათ, უსასრულოდ შეიძლება, 2000 წლის დადგომამდე კი დრო საკმარისია, რათა საუკუნის ადამიანთა კანდიდატების სია კიდევ და კიდევ გაიზარდოს ან დაგრძელდეს, მაგრამ შესაძლოა, ღირდეს, ყველამ საკუთარი, შინაგანი ჟიურის ხმას მივუგდოთ ყური, შესაძლოა, უმჯობესი იყოს, ყველამ საკუთარი არჩევანი გავაკეთოთ. სულაც არაა გამორიცხული, რომ ამგვარმა ჩაფიქრებამ თითოეული ჩვენგანის ხედვა დაწმინდოს, სმენა გააფაქიზოს, ისტორიის პირისპირ დაგვაყენოს და მის თვალებში ჩაგვახედოს, არც ისაა გამორიცხული, რომ ამ უწყინარმა თამაშმა საკუთარი თავისა და საკუთარი ეპოქის გაგებაში ერთი პატარა ნაბიჯი მაინც გადაგვადგმევინოს წინ.

მას შემდეგ, რაც მარქსისტულმა მოძღვრებამ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ, პენსნეებისა და ორთქლმავლების მსგავსად, პრაქტიკული დანიშნულებაც დაკარგა, მოფილოსოფოსო ისტორიკოსებმა და სოციოლოგებმა, მათი მეგობარი პუბლიცისტ-ჟურნალისტების მხარდაჭერით, შეიმუშავეს საზოგადოებრივ ფენათა

ურთიერთობის ახალი მოდელი, რომლის ისტორიული თანმიმდევრობა ამგვარია: ჯერ დაპირისპირება სუსტებსა და ძლიერებს, შემდგომ – მდიდრებსა და ღარიბებს, მომდევნოდ – ჭკვიანებსა და ბრიყვებს შორის. ამ თვალსაზრისით, ეს ერთი ხანია, – კომპიუტერებისა და ინფორმაციის ეპოქაში, – უკვე მესამე ეტაპს შევუდექით. იმედი ვიქონიოთ, რომ თუკი ოცდამეერთე საუკუნე კეთილ და არაკეთილ ადამიანებს შორის ბრძოლას გვიქადის, ეს ბრძოლა კეთილი ადამიანების გამარჯვებით დასრულდება.

სექტემბერი, 1995

3

ჩეხეთი – ევროპის გული

პრაჰა ევროპული ქალაქია.

პრაჰა ევროპული ქვეყნის – ჩეხეთის – დედაქალაქია.

ჩეხეთი ევროპის გული და შუაგულია.

ეს, ერთი შეხედვით, უბრალო და უკამათო ჭეშმარიტებები დღეს ჩეხებისაგან ახალ ძალისხმევას, ხელახალ დადასტურებასა და დამტკიცებას მოითხოვს. ეს სიტყვები იმ პაროლებად ქცეულა, რომლებმაც, აქაური უგემური და უტვინო კომუნისტური რეჟიმის ორმოცწლიანი ბატონობის შემდეგ (რომელიც უეჭველად არ იყო ისეთი სისხლიანი და სასტიკი, როგორც საბჭოთა კომუნიზმი), ჩეხეთის რესპუბლიკა იქ უნდა დააბრუნოს, სადაც მას ისტორიულად და კანონიერად ეკუთვნის ადგილი, – დააბრუნოს ევროპაში. ამ მოწოდებებმა გარეშე თვალს, შესაძლოა, ყბადაღებული კომუნისტური ლოზუნგები მოაგონოს, მაგრამ ამ საფრთხისაგან ჩეხებს საუკეთესო იარაღი იცავს, – საუკეთესო საერთოდ და ამჯერადაც, – ეს თვითირონიის ის უნარია, რომლის ნაკლებობასაც ჩეხები ნამდვილად არ უჩივიან და ამაში დასარწმუნებლად ჩეხური ლიტერატურისა თუ კინემატოგრაფისათვის თვალის ზერელე გადავლებაც კმარა. თუ გავითვალისწინებთ ჩეხურ ცხოვრებასა და კულტურაში ლუდის მეტისმეტად მნიშვნელოვან ადგილს, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, შინ დაბრუნების, შინისაკენ მიმავალი გზიდან აცდენის ან გზის გაგნების თემები რა ფართო გასაქანს აძლევს არა მარტო აქაურ იუმორისტებსა და კარიკატურისტებს, არამედ პოლიტიკოსებსაც – მინისტრებსა თუ დეპუტატებს, რომლებიც ორმოცწლიანი უშედეგო ხეტიალის შემდეგ დასავლელ-აღმოსავლელ მეზობლებსაც და საკუთარ თავსაც იმ აზრს აჩვევენ, რომ ჩეხეთი უკვე დაუბრუნდა და ახლა ფხიზლად მიუყვება მთავარ გზას, – გზას ევროპისაკენ.

ამ სიფხიზლის გამოვლინებად მიჩნეულია ჩეხების საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები და იმგვარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კრიმინალური სტაბილურობა, რამაც უეჭველი პირველობა დაუმკვიდრა ამ არცთუ მოზრდილ, ათმილიონიან ქვეყანას პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს შორის (სხვათა შორის, მათგან ჩეხეთი თითქმის ერთადერთია, რომელსაც სათავეში ისევ მემარჯვენე მთავრობა უდგას და სადაც კომუნისტები თუ ყოფილი კომუნისტები ხელისუფლებას არ დაჰბრუნებიან). ჩეხები მშვიდად და აუღელვებლად ემზადებიან მშვიდი და აუღელვებელი ევროპული ცხოვრებისათვის და, როგორც ძირძველ და უკვე დაბრძენებულ, ზრდასრულ ევროპელებს შეჰფერით, ამაყობენ თავიანთი სიდინჯითა და გაწონასწორებულობით. ახლახან პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა აღნიშნა, ჩვენ, ბალკანელებისაგან განსხვავებით, არატემპერამენტული და პროვინციული ხალხი ვართ და ჩვენს უთანხმოებებს, ბრძოლის ველის მაგივრად, ლუდხანებში ვაგვარებთო. ფეოდალურ-რაინდულ-მხედრული ტრადიციები ჩეხებმა კარგა ხნის წინათ ისტორიკოსებსა და ბელეტრისტებს ჩააბარეს, თავდაცვის მინისტრი კი თითქმის სიამაყით აცხადებს, ჩვენ ომი არ ვიცით, ოთხასი წელი არ გვიომიაო. მართლაც, მათ არც აჯანყებები და სისხლიანი გადატრიალებები მოუწყვიათ, პრაჰაში მოთარეშე გერმანული თუ საბჭოთა ტანკები ხელჩართულ ბრძოლაში არ გამოუწვევიათ, თავიანთი ქვეყნის ორად გახლეჩას ტუჩების კვნეტით შეხვდნენ, მაგრამ ერთი მუშტი-კრივიც არ გაუმართავთ.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, ისინი ყოველთვის ამგვარი სიმშვიდით არ გამოირჩეოდნენ, – მეთხუთმეტე საუკუნეში გააჩაღეს სასტიკი და გამაჩანაგებელი ომი, რომელმაც თითქმის ნახევარი ევროპა წალეკა, ეკლესია-მონასტრები და ციხე-კოშკები ცეცხლს მისცეს და ნაცარტუტად აქციეს, მაგრამ ამის შემდეგ, თავიანთი აგრესიულ-დესტრუქციული ვნებების გამოსახატავად უფრო სიმბოლურ – და ნაკლებად სისხლიან – გამოვლინებებს არჩევდნენ ხოლმე, რის მაგალითად ჩეხურ ისტორიაში ჩამოგდება-გადმოგდება-ჩამოყრის ფრიად მნიშვნელოვანი შემთხვევებიც გამოდგება: ჰუ-

სიტური ომების დასაწყისად მიჩნეულია პრაჰის საქალაქო რატუშის ფანჯრებიდან იმპერატორის დესპანთა ჩამოყრა; ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ 1918 წელს თავისი არსებობა იმით დაიწყო, რომ პრაჰის Staroměstské náměstí-ზე, ძველი ქალაქის მოედანზე, გავეშებულმა მოქალაქეებმა წმიდა მარიამის ქანდაკება ჩამოაგდეს დიდებული სვეტიდან, რომელიც ავსტრიული იმპერიული სულისკვეთებისა და ავსტრიული კათოლიკობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული; კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის ისტორიის საწყისში კი, 1948 წელს, სახელმწიფო უშიშროების ახალშექმნილი დაწესებულების თანამშრომელთა დახმარებით, თავისი კაბინეტის ფანჯრიდან გაურკვეველ და საიდუმლო ვითარებაში გადმოვარდა იან მასარიკი, – დემოკრატიული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ტომაშ გარიგ მასარიკის, ვაჟიშვილი; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1989 წლის ეგრეთ წოდებული ხავერდოვანი რევოლუცია მართლაც "ხავერდოვანი" აღმოჩნდა და ჩამოგდებას გადაურჩა კომუნისტი პრეზიდენტიც კი – გუსტავ ჰუსაკი, რომელმაც კანონიერად, კონსტიტუციურად, ხელის ჩამორთმევით გადასცა ძალაუფლება დისიდენტსა და დრამატურგ-აბსურდისტს, ვაცლავ ჰაველს.

მაგრამ ნურც გულმავიწყობას ან გულჩვილობას დავაბრალებთ ჩეხებს: რომ არაფერი ვთქვათ მტკიცედ გატარებული ლუსტრაციის კანონის შესახებ, რომელიც კომუნისტ ფუნქციონერებს და უშიშროების აგენტ-დამსმენებს ყოველგვარ გზას უკეტავს სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, ასევე, კომუნისტ იდეოლოგებსა და პროპაგანდისტებს – ნებისმიერ საუნივერსიტეტო სივრცეში, ან კიდევ, ამ დღეებში იმ ყოფილი კომუნისტი ლიდერების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის სარჩელთა შესახებ, რომელთაც სამშობლოს ღალატში ედებათ ბრალი, ის მაინც გავიხსენოთ, რომ, გერმანელი ან რუსი ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის მიუხედავად, ჩეხებს შურისძიების გრძნობა არ დავიწყებიათ, – ომის დამთავრების უმალ მუსრი გაავლეს ჩეხეთში მცხოვრებ გერმანელებს (თუნდაც ქალაქ უსტი ნად ლაბემში, სადაც ზოგიერთი ცნობით, – ორასი, ზოგიერ-

თი სხვა ცნობით კი, – ორი ათასი გერმანელი ჩაახრჩვეს მდინარე ლაბეში, რაც ჩეხ ინტელექტუალთა შორის მსჯელობისა და თვითგვემის ამოუწურავ თემად არის ქცეული), ხოლო საბჭოთა თუ რუსული პოლიტიკის მიმართ თავიანთ გაღიზიანებულ დამოკიდებულებას ბევრად უფრო ცივილიზებული ყალიბი მიანიჭეს და პრესაში, ტელევიზიაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გაუხსნეს გზა ყოფილი მებატონის მიმართ ნიშნისმოგებასა და დაცინვას (ზოგიერთი პოლიტოლოგის აზრით, ჩეხებს ანტირუსულად განწყობილ ქვეყნებს შორის პირველობაც კი ეკუთვნის, რასაც, ალბათ, არ დაეთანხმებოდა პოლონელების უმრავლესობა!).

ჩეხები ევროპას უბრუნდებიან.

ჩეხები საკუთარ თავს და საკუთარ ისტორიას უბრუნდებიან.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ჩეხური მიწები იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა, რომელსაც ჯერ გერმანელი ხალხის რომის საღმრთო იმპერია ერქვა (პრაჰა ერთხანს მისი დედაქალაქიც იყო), ნაპოლეონის შემდგომ – ავსტრიის, სულ ბოლოს კი – ავსტრია-უნგრეთის იმპერია. მაგრამ როცა სიმყარისა და უცვლელობის სიმბოლოდან – ჰაბსბურგების სამფლობელოდან – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კონსერვატიულ-რომანტიკული მითიღა შემორჩა, იმპერიის ნამსხვრევებიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა აღმოცენდა, – თანმხლები მოწოდებით: "შორს ვენისაგან! შორს რომისაგან!", – თუმცა ისტორიულ ჭეშმარიტებას თუ არ ვუღალატებთ, ჩეხოსლოვაკიის რუკა ვერსალის თათბირის დიდ მაგიდაზე მოიხაზა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მიერ (უწინარესად ფრანგებისა და ამერიკელების გადამწყვეტი მონაწილეობით), როგორც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას იალტის სამეულმა გადაწყვიტა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს აღორძინება, მაგრამ "ხალხთა დიდმა ბელადმა", იოსებ სტალინმა, ჩეხებისა და სლოვაკების რესპუბლიკას მესამე შემადგენელი ნაწილი – კარპატისპირა რუსეთი ჩამოაჭრა და უშურველად გადასცა უკრაინას. თუ ამგვარ მცირე უსიამოვნებებს არ მივაქცევთ ყურადღებას, ქვეყნის ხელმძღვანელები საღად სარგებლობდნენ ზესა-

ხელმწიფოთა კეთილგანწყობით და როცა მათი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით დაინტერესებულნი იყვნენ უფრო ძლიერი და უფრო გავლენიანი იმპერიები, თვითონ ქვეყნის სანიმუშო მოწყობა-აწყობაზე გადაჰქონდათ ყურადღება. შედეგად კი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ქაოსისა და დიქტატურების გარემოცვაში ისეთი დემოკრატიული და ეკონომიკურად წელგამართული ქვეყანა შექმნეს, ევროპის ბევრად დიდი სახელმწიფოები ოცი წლის განმავლობაში შურითა და გაოცებით შეჰყურებდნენ (მაშინდელ ჩეხოსლოვაკიას "მეორე შვეიცარიას" უწოდებდნენ), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინურ კლანჭებში, ის მაინც მოახერხეს, რომ სამი წლით, 1948 წლამდე, დემოკრატიული სისტემა შეინარჩუნეს, რაც ერთადერთი გამონაკლისი იყო საბჭოთა ჩექმის ქვეშ მოქცეულ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებს შორის. როგორც ჩეხები ირწმუნებიან, დემოკრატიული ჰაერის იმ სამწლიანმა ჩასუნთქვამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათი პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო ცნობიერების განმტკიცებაში (ქართველებს, 1918-1921 წლების პირველი რესპუბლიკის გამოცდილების პატრონებს, ყველაზე უკეთ მოგვეხსენება, რას ნიშნავს და რამდენად ღირებულია თუნდაც სამწლიანი დემოკრატიული მმართველობა), მით უმეტეს, ჩეხებს მთელი ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი, თანამემამულე კომუნისტების – გოტვალდ-ნოვოტნების – ატანა უწევდათ და თავიანთ მიწაზე საბჭოთა ტანკებს 1945 წლის შემდეგ პირველად 1968 წელს მოჰკრეს თვალი... იმ დღეებს, თვეებსა და წლებს ჩეხები მძაფრი ტკივილით იხსენებენ, მაგრამ მათ ამ ისტორიულად საკვანძო, გარდამტეხი მომენტის მსოფლიო მნიშვნელობით შეუძლიათ დაიმშვიდონ თავი, – პრაჰაში საბჭოთა სამხედრო პოლკების "გასეირნებამ" საბოლოო წერტილი დაუსვა დასავლეთში ათწლეულების განმავლობაში მოდებულ მიამიტურ ინტელექტუალურ პროსაბჭოთა განწყობებს... ლონდონელი პროფესორი დონალდ რეიფილდი ამას წინათ წერდა, არავინ მეგულება, ვისაც ზუსტად არ ახსოვდეს ის წამი და ადგილი, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყანათა მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია რომ გაიგოო.

მართლაც, 1968 წელს ევროპის ისტორიის ერთი დიდი ეპოქა დამთავრდა. საბჭოთა კავშირისათვის ეს იმით გამოიხატა, რომ პრაჰაში შეჭრისა და ხუთიოდ წლის შემდეგ სოლჟენიცინისეული "გულაგის არქიპელაგის" დაბეჭდვის მერმე კომუნიზმის საბჭოთა მოდელს ევროპაში, ალბათ, ერთი უანგარო და გულუბრყვილო ადვოკატიც აღარ შერჩა.

დღევანდელ ჩეხეთს სათავეში პენკლუბის წევრები უდგანან: პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ფართოდ ცნობილი მწერალია, პრემიერმინისტრი ვაცლავ კლაუსი ეკონომისტია, მაგრამ თან შესანიშნავი პუბლიცისტი, პარლამენტის თავმჯდომარე კი, მილან უჰდე, – დრამატურგი და პოეტი. პლატონი პოეტებს თავის იდეალურ სახელმწიფოს არათუ არ ანდობდა, იქიდან მათ გაყრას მიიჩნევდა აუცილებლად. ჩეხები იდეალურ სახელმწიფოს არ აშენებენ, ისინი ნორმალური, ევროპული ქვეყნის მოწყობას ცდილობენ, ისინი ევროპას უბრუნდებიან.

პრაჰა ევროპული ქალაქია.

პრაჰა ევროპული ქვეყნის – ჩეხეთის – დედაქალაქია.

ჩეხეთი ევროპის გული და შუაგულია.

რუკას რომ დახედოთ, ჩეხეთი მართლაც გულს მოგაგონებთ.

ოქტომბერი, 1995

4

ალფრედ ნობელის საუკეთესო მიგნება

1895 წლის 27 ნოემბერს შვედმა მილიონერმა, ალფრედ ნობელმა, ჩამოაყალიბა ფონდი და შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვით, საფუძველი ედებოდა მისი სახელობის პრემიას. დამფუძნებელმა ფონდს გადასცა 31 250 000 შვედური კრონა, ხოლო ამ თანხის მოგებიდან ფულადი ჯილდო უნდა გადასცემოდა გამოჩენილ მეცნიერებს, მწერლებსა და მშვიდობისათვის მებრძოლებს. პრემიების მინიჭება ნობელის გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ, 1901 წელს, დაიწყო. თანხას, – ოქროს მედალსა და დიპლომთან ერთად, – ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, მედიკოსებს, ეკონომისტებსა და ლიტერატორებს სტოკჰოლმში შვედეთის მეფე გადასცემს, ხოლო პრემია მშვიდობისათვის – გადაეცემათ ოსლოში, ნორვეგიის მეფის მიერ. თავად პრემიების მინიჭება ქიმიასა და ფიზიკაში ნობელმა შვედეთის მეცნიერებათა აკადემიას მიანდო, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში – სტოკჰოლმის სამედიცინო-ქირურგიულ ინსტიტუტს, ლიტერატურაში – შვედეთის ლიტერატურულ აკადემიას. რაც შეეხება პრემიას მშვიდობისათვის – მას ანიჭებს ხუთკაციანი კომიტეტი, რომელსაც ნორვეგიის პარლამენტი ასახელებს. 1969 წლიდან დაწესდა კიდევ ერთი პრემია – ეკონომიკის დარგში.

ნობელის ფონდის ერთ-ერთმა დირექტორმა, ბარონმა სტიგ რამელმა, ოდესღაც თქვა: "ნობელის პრემია მომავალში გასროლილი ისარიაო". მცირე რაოდენობის მელანი არ დაღვრილა მსოფლიოს ამ ყველაზე პრესტიჟული პრემიის განსაქიქებლად ან საქებრად; კომიტეტის გადაწყვეტილებებს ცოტა ვინმე თუ მისალმებია ერთხმად და ერთსულოვნად; განსაკუთრებულ კამათს იწვევს ხოლმე პრემიები ლიტერატურისა და მშვიდობისათვის ბრძოლის დარგში.

მაგრამ იმ ფაქტსაც ვერავინ გაექცევა, რომ ეს პრემია, თუ უკვდავების გარანტიას არ წარმოადგენს, ყოველი შემთხვევისას, სიცოცხლეში პოპულარობის მოპოვებისა და სიკვდილის შემდეგ ისტორიაში შესვლის საშუალებას უეჭველად იძლევა. პრემიის კრიტიკოსებს არაერთხელ ჩამოუთვლიათ იმ მეცნიერთა, მწერალთა, საჯარო საქმიანობაში ჩართულ ადამიანთა სახელები, რომლებიც ნობელის პრემიის გარეშე დარჩნენ, მაგრამ უკვდავება მაინც უკამათოდ აქვთ მოპოვებული. თუმცა, ამასთანავე, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ნობელის კომიტეტს აღუნიშნავად არ დაუტოვებია არც თომას მანი, არც ანდრე ჟიდი და არც ელიოტი; და არც რენტგენის აღმოჩენა, ფარდობითობისა და დამატებითობის თეორიები ან პენიცილინის გამოგონება დარჩენია მას ყურადღების მიღმა. ნობელის პრემიამ მეოცე საუკუნის ისტორიაში ბედისწერისა და სიკვდილის გვერდით დაიკავა ადგილი და ხშირად ისტორიის სამსჯავროს ფუნქციასაც ისაკუთრებს, – მანამ, სანამ უკანასკნელი სამსჯავროს დღე დამდგარა. ნობელის კომიტეტის უყურადღებობით გულდაწყვეტილი იყო გენიალური ბორხესი და გენიალური ახმატოვა, ნობელის პრემია, ალბათ, არათრად სჭირდებოდა ნელი ზაქსს, ნობელის პრემია სჭირდებოდა და მოიპოვა ალეკსანდრ სოლჟენიცინმა. ყოველი შემთხვევისას, – თუ არ ჩავთვლით სარტრის დემონსტრაციულ საქციელს ან პასტერნაკის იძულებას, – ნობელის პრემიაზე ჯერჯერობით არავის უთქვამს უარი.

თავად პრემიის ფუძემდებელი, ალფრედ ნობელი, 1833 წელს დაიბადა სტოკჰოლმში, სადაც მის მამას, ქიმიკოსსა და მეწარმეს, ცხოვრებაში დიდად არ უმართლებდა. მალე მთელი ოჯახი გადასახლდა ფინეთში, იმუამად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ სამთავროში, ხოლო შემდგომ ისინი დაბინავდნენ სანკტპეტერბურგში, სადაც ნობელები ყირიმის ომამდე შერჩნენ. სწორედ ამ ქალაქში მოუწია ალფრედს სკოლის მოწაფეობა, შემდგომ კი მთელი სახლობა – მამა ემანუელი, დედა ანდრიეტა და ოთხი ძმა – სტოკჰოლმს დაბრუნდნენ; დედაქალაქის გარეუბანში მამა ნობელმა გახსნა ნიტროგლიცერინის ფაბრიკა, რომელიც 1864 წელს ბუნდოვან ვითარებაში აფეთქდა, – სავარაუდოდ,

შურისძიების შედეგად. დაღუპულთა შორის მესაკუთრის უმცროსი ვაჟი, ემილიც, აღმოჩნდა. დამბლადაცემულმა ფაბრიკანტმა თავისი საქმე უანდერძა უფროს შვილს, ალფრედს, რომლისთვისაც მოთვინიერებული ნიტროგლიცერინის პერსპექტივები შთაგონებად იქცა, – იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა მის გამოყენებაზე მაღაროებში, გვირაბებისა და არხების გაყვანისას, ახალი გზების გაჭრისას. შვედეთის მთავრობამ აკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე ასაფეთქებელ ნივთიერებათა ქარხნების მშენებლობა, რის გამო ნობელი იძულებული გახდა, თავისი ლაბორატორია გემზე აემოქმედებინა. მალე იგი მსოფლიოს ერთ-ერთი წარმატებული გამომგონებელი და სამას ორმოცდაათი პატენტის მფლობელი ხდება. მაგრამ მის საქმიანობას ოჯახის წევრებიც კი არ თანაუგრძნობდნენ. "ჩემო ძვირფასო ალფრედ", – წერდა მას ძმა რობერტი, – "რაც შეიძლება მალე უნდა მიატოვო გამომგონებლის ეს წყეული გზა. მას მხოლოდ უბედურება მოაქვს! შენ, უზარმაზარი ცოდნისა და ამდენი გამორჩეული უნარის პატრონს, ადვილად შეგიძლია სადმე სხვა დარგში გამონახო საკუთარი ადგილი". მაგრამ თავად ალფრედი სხვაგვარი აზრისა იყო: "ჩემი ქარხნები უფრო მეტად გადაეღობებიან ომს, ვიდრე მრავალი სამშვიდობო კონგრესი. მაშინვე, როცა ორი დაპირისპირებული ჯარი ერთი წუთის განმავლობაში შეძლებს ერთმანეთის განადგურებას, ყველა ცივილიზებული სახელმწიფო უმალ უარს იტყვის, განაგრძოს ომი". 1867 წელს ნობელმა თავისი ყველაზე ცნობილი გამოგონება – დინამიტი – შექმნა.

ნობელი მრავალმხრივი პიროვნება იყო. იგი პროფესიულად იყო დაუფლებული მედიცინას, ფიზიკას, ქიმიას, სრულყოფილად ლაპარაკობდა ხუთ ენაზე, უყვარდა ლიტერატურა და ერკვეოდა მასში, თავად წერდა ლექსებს. როგორც იხსენებენ, ყმაწვილი ალფრედი მეტისმეტად ადრე მომწიფებული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბავშვობიდანვე სუსტი და გულჩათხრობილი, იგი ბედნიერ ადამიანს არ ჰგავდა. არნახულად გონიერი ჭაბუკი მეოცნებე და მეტად ჩაკეტილ ადამიანად ჩამოყალიბდა. ერთხელ მან ცინიკურად სასტიკი სიტყვები თქვა საკუთარი თავის შესახებ:

“უმჯობესი იქნებოდა, ჩემი უბადრუკი ნახევრადცხოვრება დასაწყისშივე აღეკვეთა კაცთმოყვარე ექიმს, – მაშინვე, როგორც კი ტირილით მოვევლინე ამ ქვეყანას”. ამას ამბობდა ალფრედ ნობელი – ზღაპრულად მდიდარი და სახელოვანი კაცი, მრავალეროვნული სამრეწველო კონცერნთა დამფუძნებელი და მეპატრონე, მაგრამ, ამასთანავე, ადამიანი, რომელიც არასოდეს გამოდიოდა საჯაროდ, ვერ იტანდა ფოტოგრაფირებას და რომელსაც ადვილად შეეძლო ეთქვა პოლ ვალერის სიტყვები: “ჩემი ხელობა სევდაა”. იგი იყო მეცნიერი და წარმატებული კომერსანტი, მეტად ხელგაშლილი მეცენატი და გულისხმიერი მეწარმე (მისი არცერთი ქარხანა არასოდეს გაფიცულა), იყო ნიჭიერი, განათლებული, მაგრამ, თომას ბუდენბროკისაგან განსხვავებით, რომელმაც მხოლოდ სიცოცხლის მიწურულს, უკვე მდიდარმა, ცნობილმა და დაღლილმა მესაკუთრემ, მიაგნო სულიერი სიმშვიდის წყაროს, – შოპენჰაუერის ფილოსოფიას, – ალფრედ ნობელი თავის საყრდენს იმთავითვე სკეპტიკურ იდეალიზმში პოულობდა. მისი ცხოვრების გაცნობისას მოსალოდნელია, გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ თვალწინ დგას მის ცნობილ თანამემამულეთა – სტრინდბერგის რომანის ან ბერგმანის ფილმის – რომელიმე პერსონაჟი.

ღრმად მელანქოლიური ხასიათი, რომელიც შეფერილი იყო მშრალი იუმორითა და მძაფრი თვითირონიით, წლების განმავლობაში მას სულ უფრო აშორებდა გარემოს. დიდებისა და სიმდიდრის მიუხედავად, იგი იყო მარტოხელა ადამიანი, რომელსაც არასოდეს ჰქონია სახლი, საკუთარი ოჯახი, სამეგობრო წრე. ბევრს მიაჩნდა, რომ იგი ლტოლვილივით ცხოვრობდა. თავადაც ასე ამბობდა: “ჩემი სახლი იქაა, სადაც ვმუშაობ, მე კი ყველგან ვმუშაობო”. ამ პრინციპულ კოსმოპოლიტს ექვს სხვადასხვა ქვეყანაში ჰქონდა გასათევი ადგილი. პარიზზეც კი, სადაც ოცი წლის განმავლობაში მისი მთავარი რეზიდენცია იყო განთავსებული, მას საბოლოოდ გული აუცრუვდა და სიცოცხლის ბოლო წლები მან ისევ მშობლიურ შვედეთში გაატარა. 1896 წელს, სიკვდილის შესახვედრად, ნობელი იტალიურ სანრემოს გაემგზავრა.

ალფრედ ნობელი არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. იგი განსაკუთრებით ახლობლობდა დედასთან, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა მას. თავად მიაჩნდა, რომ დედამისი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო მის ცხოვრებაში.

მას უყვარდა ბარონესა ბერტა ფონ ზუტნერი, ქართველთათვის კარგად ცნობილი პიროვნება, ქართული კულტურის დამფასებელი, მსოფლიო სამშვიდობო მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მაგრამ ბარონესა დაქორწინებული ქალი იყო და თავისი მეგობრის სახელს იგი მხოლოდ მაშინ დაუკავშირდა, როცა 1905 წელს, მისი განუყრელი შვედი თანამოსაუბრის გარდაცვალებიდან ცხრა წლის შემდეგ, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გახდა.

ეს უზომოდ მდიდარი მელანქოლიკოსი გატაცებული იყო სრულიად ახალგაზრდა ზოფი ჰესით, და ამ კავშირს პიგმალიონური იერი დაჰკრავდა. თვრამეტი წლის განმავლობაში ცდილობდა ნობელი, თავისი მეტად მარტივი გაქანებისა და მეტად შეზღუდული გონების სატრფო ცოდნით, განათლებით, კულტურით გაემდიდრებინა, მაგრამ მცდელობა თითქმის უშედეგოდ დასრულდა... განუწყვეტელი ღალატის შემდეგ, ვენელმა ლამაზმანმა შეძულებული შვედი მრეწველი მიატოვა და, საბოლოდ, სხვა მამაკაცს გაჰყვა.

როცა განუწყვეტელი მარტოობისა და გულის გაცრუებისაგან, ბრალდებებისა და შრომისაგან დაღლილმა მეწარმემ პარიზელი კარდიოლოგისაგან თავისი ჯანმრთელობის ნამდვილი მდგომარეობა შეიტყო, უმალ მიუჯდა მაგიდას და საკუთარი ხელით, შვედურად, სახელოვანი ანდერძი დაწერა. იგი აცხადებდა, რომ მას სურდა, პრემიები მიეღოთ მათ, ვისმა საქმიანობამაც კაცობრიობას ყველაზე მეტი სარგებლობა მოუტანა.

ცნობილი გამომგონებლის, ალფრედ ნობელის, ანდერძი მისი უკანასკნელი მიგნება იყო, – შესაძლოა, საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვანი.

ნოემბერი, 1995

5

შობა ბეთლემში

თუ იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილს – იერუსალემს – ყველაზე მეტი სტუმარი აღდგომისას ეწვევა ხოლმე, მისგან თერთმეტი კილომეტრით დაშორებულ ბეთლემს მასპინძლობის ყველაზე დაძაბული დღეები წლის ბოლოს – შობისას უწევს, თუმცა ბეთლემი არამარტო იესოს შობის ადგილია, აქ სხვაც ბევრია ღირსშესანიშნავი, – მაგალითად, ბიბლიური პატრიარქის, იაკობის, საყვარელი ცოლის, რაქელის, საფლავი ან ბიბლიის ლათინურად მთარგმნელის, ვულგატის ავტორის, წმიდა იერონიმეს, გამოქვაბული.

თავისთავად, ბეთლემი ჩვეულებრივი და ტიპური პალესტინური ქალაქია, სადაც ყველა წარწერა ორენოვანია – არაბული და ებრაული, ხოლო იმ ქუჩებზე, სადაც ტურისტები დადიან, წარწერებს მესამე ენაც ემატება – ინგლისური. იქაური ყოველდღიური ყოფა აღმოსავლურ მენტალიტეტზე, აღმოსავლურ ცხოვრების წესზე მეტყველებს: ჭუჭყი, დაუდევრობა და უწესრიგობა; წვრილ-წვრილი მაღაზიები და მყვირალი ქუჩის გამყიდველები, რომლებიც ყიდიან ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია ან არაა შესაძლებელი; დაუბანელ ბავშვთა ხმაური და თავწაკრულ ქალთა მიმზიდველობა; თამბაქოს სურნელება ერთად მდგარ მამაკაცთა შორის, რომელთაც არსად ეჩქარებათ; ბაზარი, აღსავსე ნაგვითა და ჯიბგირებით. ღია ფანჯრებიდან და მაღაზიებიდან მთელი დღის განმავლობაში იღვრება არაბული ჰანგები. ქუჩაში თანდათანობით სულ უფრო მატულობს მანქანები, რომელთა უმეტესობა დაძველებული ან დაზიანებულია. მანქანის პატრონთა ეროვნული მიკუთვნილობა ადვილი გასარჩევია: არაბებს ლურჯი ნიშნები აქვთ, ებრაელებს – ყვითელი. სახლის პატრონთა რელიგიური გამიჯვნაც არაა ძნელი – ქრისტიან არაბთა სახლების მთავარ შესასვლელს ყოველთვის

ამშვენებს გველეშაპთან მებრძოლი წმიდა გიორგის ბარელიეფი.

ბეთლემში სამი მონოთეისტური რელიგიის – იუდეველობის, ქრისტიანობისა და ისლამის – წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ მათ შორის დაძაბულობას თეოლოგიური პრობლემები კი არ წარმოშობს, არამედ ჩვეულებრივი ყოფითი საკითხები, – მაგალითად, ქრისტიანთათვის დასვენების დღე კვირაა, ებრაელთათვის – შაბათი, მუსლიმთათვის კი – პარასკევი. ამიტომ ზოგიერთი დიპლომატიური წარმომადგენლობა კვირაში მხოლოდ ოთხ დღეს მუშაობს.

დღევანდელ ბეთლემში ოცდახუთი ათასი ადამიანი ცხოვრობს, მათგან ნახევარზე მეტი ისლამის მიმდევარია, დანარჩენი ქრისტიანობას აღიარებს. ქალაქში ოცდაათამდე ქრისტიანული ტაძარია. არაბი ქრისტიანების უმრავლესობა კათოლიკე ეკლესიას მიაკუთვნებს თავს, თუმცა არცთუ მცირერიცხოვანია ბერძნულ-მართლმადიდებელი ეკლესიაც. ქრისტიანთა ურთიერთობას აწესრიგებს 1757 წლის შეთანხმება, რომელიც სხვადასხვა ეკლესიათა უფლებებს არკვევს იერუსალემსა და ბეთლემში. ამ საბუთის საფუძველზე, ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძრის უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის ბერძნულ-მართლმადიდებელ ეკლესიას, დანარჩენი ნაწილი – კათოლიკეებს, რომლებიც ღმრთისმსახურების წესის მიხედვით კიდევ იყოფიან ლათინური, ბიზანტიური, სომხური, სირიული და მარონიტული წესის კათოლიკეებად. ბეთლემში, ამასთანავე, მოქმედებს სომხური სამოციქულო ეკლესია, აგრეთვე, კოპტებისა და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიები. აქვე ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები ევანგელისტურ, ეპისკოპოსურ, ლუთერულ, შოტლანდიურ, ბაპტისტურ, ადვენტისტურ და სხვა საკრებულოებს. შობის დღესასწაული, ქრისტიანებს შორის მშვიდობის დამყარების მაგივრად, არაერთხელ ყოფილა უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის მიზეზი. დღეს ცოტა ვისმე თუ ახსოვს, რომ სწორედ შეტაკებები მაცხოვრის ტაძარში სხვადასხვა ეკლესიის სამღვდელოებას შორის ყირიმის ომის საბაბად იქცა მეცხრამეტე საუკუნეში.

შობა მთელი ბეთლემის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და უდიდესი მოვლენაა. შუაღამის ღმრთისმსახურების სატელევიზიო გადაცემას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში შვიდასი მილიონი ადამიანი ადევნებს თვალს. წლევანდელი განსაკუთრებული ყურადღება საშობაო ღმრთისმსახურების მიმართ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ – პირველად უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში – დღესასწაულს ორგანიზაციულად წარმართავს პალესტინელთა ხელისუფლება. ამასთანავე, პირველად მოხდება, რომ იერუსალემსა და ბეთლემში სხვადასხვა მმართველობა იქნება: პირველში – ებრაული, მეორეში – არაბული. ორთავეს მოუწევს საქმიანობის კოორდინირება, რაც, სავარაუდოდ, მთლად ადვილი საქმე არ იქნება.

ფაქტობრივად, საქმე ეხება სამ დღესასწაულს: 24 დეკემბერს, ღამით შობას აღნიშნავენ კათოლიკეები და პროტესტანტები (რა თქმა უნდა, თითოეული საკრებულო – ცალ-ცალკე), 6 იანვრის ღამეს – ბერძნული საპატრიარქოსა და, აგრეთვე ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები, ანუ ბიზანტიური წესის კათოლიკეები, 18 იანვარს კი – სომხური ეკლესია.

თავდაპირველად, შობა საერთოდ არ იზეიმებოდა ქრისტიანულ ტაძრებში და ადრეულ ქრისტიანთათვის უმთავრესი დღესასწაული, აღდგომასთან ერთად, იყო ნათლისღება – 6 იანვარს. მესამე საუკუნიდან შობის დღედ გამოცხადდა 25 დეკემბერი და ეს თარიღი მიიღო როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის საეკლესიო ტრადიციამ, რომლის მიმდევრები, საუკუნეების განმავლობაში, სწორედ ამ დღეს აღნიშნავდნენ შობას. შესაბამისად, ასე აღინიშნებოდა ის საქართველოშიც. 1918 წელს რუსეთში (შემდგომ – მთელ საბჭოთა კავშირში) ჩატარდა კალენდრის რეფორმა, რასაც მოჰყვა ეგრეთ წოდებული ახალი სტილი დამკვიდრება, რის გამოც ყველა ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნამ საბჭოთა კავშირის აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციის ტაძრებში ცამეტი დღით წინ გადაინაცვლა. ამიტომ ძველ სტილზე დარჩენილი საქართველოსა და რუსეთის, და, ასევე, სერბეთისა და იერუსალემის საპატრიარქოები შობას 6

და 7 იანვრის მიჯნაზე აღნიშნავს, თუმცა სხვა, იმავე ბიზანტიური ტრადიციის ქვეყნები – საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი – შობის თარიღად, კათოლიკეთა და პროტესტანტთა მსგავსად, 25 დეკემბერს აღიარებს. სომხური ეკლესიის წევრთათვის, რომელთათვისაც ქრისტეს მხოლოდ ღმრთაებრივი ბუნება ჰქონდა, მის ადამიანურ მხარეს და, შესაბამისად, შობას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ ისინი მაცხოვრის დაბადებას მისი ნათლობის დღეს – ნათლისღებისას – ზეიმობენ.

ამდენად, ადრეული ქრისტიანები 6 იანვარს აღნიშნავდნენ ერთიან დღესასწაულს, ისევე, როგორც აქამდე აქვთ შენარჩუნებული სომხებს; შემდგომ მსოფლიო ეკლესიამ ერთმანეთისაგან გამიჯნა შობა და ნათლისღება, და თუ პირველისათვის დღესასწაულად 25 დეკემბერი დადგინდა, მეორეს 6 იანვარს ზეიმობდნენ, როგორც დღემდე შეინარჩუნა ბიზანტიური ტრადიციის ეკლესიებმა ორი დღესასწაულის სახით; კათოლიკე ეკლესიამ ნათლისღებიდან შემდგომ კიდევ გამომიჯნა ღმრთის გამოცხადების დღესასწაული, სამი მეფე-მოგვის – კასპარის, მელქიორისა და ბალთაზარის – მოსახსენებლად, რომელიც 6 იანვარს აღინიშნება, ხოლო ნათლისღება კათოლიკეთათვის მოძრავი დღესასწაული გახდა და ღმრთის გამოცხადების მომდევნო კვირადღეს აღინიშნება. საბოლოოდ, სომხებს ერთი დღესასწაული აქვთ, ბიზანტიური ტრადიციის მიმდევრებს – ორი, ხოლო კათოლიკეებს – სამი: შობა, ღმრთის გამოცხადება, ნათლისღება.

ბეთლემში დღესასწაულთა თანმიმდევრობა და წესი დადგენილია წუთის სიზუსტით და ათწლეულების განმავლობაში უცვლელად რჩება. ამ მკაცრად ჩამოყალიბებული წესების შემოღება იმითაცაა განპირობებული, რომ სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიათა სალოცავები ერთმანეთთან მეტად ახლოსაა განლაგებული. ხშირად განსხვავებული ქრისტიანული მიმართულებები, საერთოდ, ერთი და იმავე ტაძრებითაც კი სარგებლობენ.

იერუსალემში რამდენიმე პატრიარქის კათედრაა განთავსებული, მაგრამ შობას, პირველ რიგში, რომის კათოლიკე-

თა პატრიარქი აღნიშნავს. იგი 24 დეკემბერს შუადღით ტოვებს იერუსალემის საპატრიარქო რეზიდენციას და ბეთლემისაკენ მიმავალ გზაზე გარკვეულ, დადგენილ ადგილებზე შეჩერდება ხოლმე. წმიდა ილიას მონასტერთან, ტრადიციის მიხედვით, მას უერთდება ხუთი ცხენოსანი პოლიციელი, რომლებიც პატრიარქს ბეთლემამდე აცილებენ. თუმცა ამ წესში წელს უკვე ცვლილებების შეტანა იქნება აუცილებელი, რადგან ისრაელისა და პალესტინელთა ტერიტორიებს შორის გატარებულ სადემარკაციო ხაზთან ისრაელ მხედრებს ხუთი არაბი მხედარი შეენაცვლება. რელიგიურ თუ ჟურნალისტურ წრეებში უკვე აღნიშნავენ, რომ ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა პატრიარქს შეხვედრის მოკლე მონაკვეთზე ათი მხედარი გაჰყვება და არა – ხუთი.

დადგენილი წესი აკანონებს ყველა მონაწილის ზუსტ ფუნქციას. კათოლიკეთა პატრიარქი ბეთლემს ჩადის ორის ნახევარზე. ქალაქის მუნიციპალიტეტთან მას ხვდება სამი მასპინძელი: ქალაქის გუბერნატორი, პოლიციის უფროსი და ქალაქის მერი, რომელიც მას ტაძრამდე მიჰყვება. ოფიციალური სტატუსი დღესასწაულისას მხოლოდ ამ სამ პირს აქვს. წესის მიხედვით, ყველამ ცალკეულად იცის, სად უნდა იდგეს ან ვის უნდა ახლდეს წირვის აღსრულებისას და რა მოვალეობა ეკისრება მას იქ. ტრადიციულად, შეკრებილთა გარდა, ღმრთისმსახურებას, ასევე, ესწრებიან ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და ბელგიის იერუსალემელი კონსულები, ოლქის გუბერნატორი, ბეთლემის მერი, ადგილობრივი პოლიციის უფროსი და ქალაქის გუბერნატორი. დღესასწაულზე დასწრების უფლება სხვა სტუმრებსაც აქვთ, მაგრამ არცერთ მათგანს არა აქვს ოფიციალური სტატუსი. ისინი რიგით მორწმუნეთა შორის უნდა ჩადგნენ. საყურადღებოა, რომ დადგენილ წესში არავითარი ადგილი არ განეკუთვნება სახელმწიფოს მეთაურს. მათ არც არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა დღესასწაულის მსვლელობისას: არც ოსმალეთის ფაშას, არც ინგლისელ გუბერნატორს, არც იორდანიის მეფესა და არც ისრაელის პრეზიდენტს. წელს კი ბეთლემის მუნიციპალურმა საბჭომ საპატიო სტუმრად პირველად მიიწვია იასირ არაფატი, რომელმაც თავადაც და-

ადასტურა, რომ 24 დეკემბერს ბეთლემს ეწვევა. როგორც პალესტინის ავტონომიური მმართველობის ხელმძღვანელი, შესაძლოა, იგი სახელმწიფოს მეთაურადაც იქნეს მიჩნეული, მაგრამ წამოიჭრა საკითხი, სად უნდა იმყოფებოდეს იგი დღესასწაულისას. თანაშემწეებმა მას ურჩიეს, რომ უკეთესია, შუადღემდე, მერიის წინ წარმოთქვას სიტყვა, ესე იგი პატრიარქის მოსვლამდე, ხოლო შემდგომ დატოვოს ქალაქი. ღმრთისმსახურების დროს, ბუნებრივია, იგი ვერ იქცევა ყურადღების მთავარ საგნად, ხოლო 25 დეკემბერს, შუადღისათვის ქალაქი უკვე დაცარიელებას იწყებს.

ბეთლემის ხელისუფალთ კიდევ ერთი საფიქრალი დაემატათ: ისინი აქამდე მერყეობენ ალკოჰოლურ სასმელთა გაყიდვის ნებართვის გამო, რასაც, შესაძლოა, მუსლიმთა უკმაყოფილება მოჰყვეს. როგორც აღინიშნა, მაცხოვრის შობის ადგილას დღეს უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენენ, ქრისტიან არაბთა უდიდესმა ნაწილმა კი უფრო კომფორტულ მეზობელ მხარეებს მიაშურა.

რელიგიური და პოლიტიკური პირები იმედს გამოთქვამენ, რომ საშობაო დღესასწაულის ახალი წესები და, შესაბამისად, ახალი ტრადიციები უკვე მომავალ წელს შეიძლება შემუშავდეს.

ბეთლემში კი ისევ აღინიშნება შობა, როგორც ყოველ წელს, – ქრისტიანული წელთაღრიცხვის ყოველი წლის მიწურულს.

დეკემბერი, 1995

1996

6

ევროპული კულტურის ორი საფუძველი და ორი ნაკადი

ევროპული კულტურის საფუძველია, ერთი მხრივ, ბერძნულ-ლათინური მემკვიდრეობა და, მეორე მხრივ, ქრისტიანობა.

იგივე ორმაგი საფუძველი უდევს ევროპულ ცივილიზაციას, – მის განათლებას, სამართალს, ყოფას, ცხოვრების წესს.

ამ ორი საფუძვლისაგან ერთ-ერთზე უარის თქმა გარდაუვალად განაპირობებს მდგომარეობას (და საფრთხეს) ევროპულ ღირებულებათა წყების მიღმა აღმოსაჩენად. ყოველი შემთხვევისას, ასე იყო აქამდე და ასეთია ვითარება ჯერჯერობით, მეოცე საუკუნის მიწურულისას.

ევროპის ისტორიულ ცვლილებათა სხვადასხვა ხანაში ხან ერთი მათგანი აღმოჩნდებოდა წარმმართველი და განმაპირობებელი ძალა, ხან – მეორე; დგებოდა ჟამი, როცა ერთი უფრო მეტად მუღავნდებოდა და მოქმედებდა, ხოლო მეორე ფერმკრთალდებოდა და მიწყნარდებოდა; ეს მონაცვლეობა დროთა განმავლობაში მკაფიოდ განაპირობებდა იმ კერძო ეპოქის სულისკვეთებას.

საფიქრებელია, რომ იტალიური რენესანსი ეცადა, გაეწონასწორებინა ეს ორი საფუძველი (ყოველი შემთხვევისას, ამგვარი იყო გაცხადებული მიზანი!) და თუკი ზოგჯერ ჩნდებოდა საფრთხე, მოწყვეტილიყო ის სახარებისეულ უწყებას, ყოველი შემთხვევისას, ამ წონასწორობას მაინც უზრუნველყოფდა თუნდაც ის, რომ რენესანსული მოძრაობა – მეტად თუ ნაკლებად – მიმდინარეობდა რომის კათოლიკე ეკლესიის მფარველობის ქვეშ.

ცნობილია შემთხვევები, როცა გამოცხადებულ მიზნად იქნა დასახული, უგულებელყოფილიყო ორთაგან ერთ-ერ-

თი საფუძველი, რასაც მძიმე, სისხლიანი, ტრაგიკული შედეგები მოსდევდა ხოლმე.

ამ მოსალოდნელად განპირობებულ საფრთხესა და განსაცდელს ადასტურებს მაგალითები თუნდაც გერმანიის ისტორიიდან: ერთი, როცა ლუთერულ-პროტესტანტულმა რეფორმაციამ გადაწყვიტა, ზურგი შეექცია ანტიკური მემკვიდრეობისათვის, რითაც ამ მოძრაობას, რეფორმატორთა წარმოდგენითა და განაცხადით, სურდა აღედგინა "პირველადი", "თავდაპირველი", "შეურყვნელი" ქრისტიანობა; მეორე, როცა ნაციონალ-სოციალიზმმა სცადა, უარი ეთქვა ქრისტიანულ ტრადიციაზე და გაეცოცხლებინა, განეახლებინა წინარექრისტიანული ევროპული ტრადიციები, რასაც თან სდევდა უნაყოფო მცდელობანი კვაზიწარმართული სწავლებებისა და კვაზიანტიკური ცხოვრებისაკენ დასაბრუნებლად.

ზოგადად, დაბრუნება, აღორძინება, აღდგენა ყოვლად შეუძლებელი და სრულიად მოუხელთებელი მიზანია: ადამიანიცა და ადამიანთა ერთობაც, ხალხებისა და ქვეყნების ცხოვრებაც, კულტურაცა და ცივილიზაციაც დღემუდამ იცვლება, სხვაგვარდება, გარდაიქმნება, ხოლო უკვე შეძენილ სახესხვაობათა გაუქმება და თავდაპირველი მდგომარეობის ისევ ხელახალი მოპოვება ვერანაირად ვერ მოხერხდება თუნდაც ფიზიკურად, თუნდაც ინტელექტუალურად, თუნდაც სულიერად, და იმთავითვე სიყალბეს გულისხმობს.

ნიშანდობლივია, რომ პროტესტანტებმა, – რაკი მათ სახარებისეულ მოძღვრებაში ცხადად ამოიკითხეს ადამიანური პიროვნების აღიარებისა და დამკვიდრების უწყება, – გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს ადამიანის პირად კავშირს უზენაეს არსებასთან, ღმერთთან, რის გამოც უარყვეს ეკლესიის მხსნელი მადლის საჭიროებაც და ეკლესიის ერთიანობის აუცილებლობაც; ნაციონალ-სოციალისტებმა, – რაკი მათ, როგორც, ზოგადად, სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევრებმა, უარყვეს ადამიანური პიროვნების თავისთავადი ღირებულება და პირადი ღირსების უპირობო ხელშეუხებლობა, – უზომოდ გაუზარდეს ფასი ჯგუფის, შეკრებილობის, კოლექტიური გაერთიანების მიზნებსა და მისწ-

რაფვებებს, თანაც, უპირველესად, ეროვნული მთლიანობის სასარგებლოდ.

რაკი ორივე გზა ჩიხური აღმოჩნდა, – სხვა მრავალ ძიებათა მსგავსად, – გამოსავალი ისევ სარწმუნო დაყრდნობაა იმ ორ საფუძველზე, ორივე საფუძველზე, რომლებმაც არა მარტო შექმნა ევროპული კულტურა, არამედ გამორჩეული სახეც და შეურყეველი სიმტკიცეც მიანიჭა მას.

ამასთანავე, თითქმის ორი ათასი ან ათას ხუთასი წელია, ევროპული კულტურა კიდევ სხვა ორ ნაკადს მოიცავს: მკვიდრ და მოსულ ტომებს, – ერთი მხრივ, იმათ, ვინც ეს კულტურა თავდაპირველად შექმნა, ჩამოაყალიბა, დაამკვიდრა, ხოლო, მეორე მხრივ, იმათ, ვინც აითვისა და გარდაქმნა ეს კულტურა, ძალა შესძინა და მუდმივი ცვალებადობის ხასიათი მიანიჭა მას. მკვიდრი, – თავის სახლში მყოფი, – ყოველთვის მყარი და მშვიდია; მოსული, – მუდამ შემართული ახალი გარემოს ასათვისებლად, – მოძრავი, მიზანსწრაფული და შემტევია; ერთი მხცოვანი და დაქანცულია, მეორე – ახალგაზრდა და შემართული; ერთი კერის მცველია, მეორე – შინ სიახლეთა შემომტანი.

ლათინური, ანუ რომანული ტომები მკვიდრები არიან, გერმანიკული და სლავური ტომები – მოსულნი. მათი თანახმიერება, ერთმანეთისათვის ყურის დაგდების უნარი გადაწყვეტს მომავალი ევროპის და, ალბათ, მომავალი მსოფლიოს მიმართულებას.

მართალია, ამუამინდელი ევროპა უკვე სხვაგვარ, ახალ საფუძვლებს ეძებს, ამავე დროს, ახალ ნაკადებს იღებს და ელოდება, მაგრამ მაინც არ იცვლება ევროპული კულტურის ორი საფუძველი და ორი ნაკადი.

იანვარი, 1996

7

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა – გამოუსწორებელი შეცდომა თუ გარღვევის მცდელობა?

დადგა 1954 წლის გაზაფხული. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან, მავზოლეუმში უკვე ორი ბელადის – ვლადიმირ ლენინისა და იოსებ სტალინის – მუმია განისვენებდა. ამ დროს ლავრენტი ბერია – "იმპერიალიზმისა და იუგოსლავიის აგენტი" – უკვე დახვრეტილი იყო, კრემლის ბინადარ ნაძირალათა ხროვაში კი გამალებული ურთიერთძიძგნა გრძელდებოდა, ხოლო მეთაურობა ჯერ ვერავის დაეჩემებინა.

ახლოვდებოდა სტალინის გარდაცვალების ერთი წლისთავი და პრესაში თუ სხვადასხვა გამოსვლებში (არაოფიციალური პრესა და არაოფიციალური გამოსვლები კი საბჭოთა კავშირში არ არსებობდა!) ნელ-ნელა ღვივდებოდა აზრი, რომ გადასასინჯია პიროვნების როლი ისტორიაში, რომ ცალკეული პიროვნება, – რარიგ დიდი მასშტაბისაც და გაქანებისაც იყოს, – მაინც არაა დაზღვეული ცალკეული შეცდომებისაგან. დაბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მანამდე საყოველთაოდ აღიარებული და განდიდებული "ხალხთა დიდი ბელადი" სტალინი გამოცხადდა ლენინის საქმის უბრალო გამგრძელებლად, ხოლო ამ "გამგრძელებლის" გარდაცვალების წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგები მოულოდნელად აიკრძალა.

ახლა კი გერონტი ქიქოძის სტრიქონებს მივმართოთ, მისი სულისშემძვრელი წიგნიდან – "თანამედროვის ჩანაწერები":

> 1954 წლის ხუთ მარტს, სტალინის გარდაცვალების წლისთავზე, ვიღაც ქართველ გოგონას იების კონა მიეტანა სტალინის ძეგლთან და კვარცხლბეკზე დაედო. მისთვის წა-

ებაძათ სხვა მოსწავლეებს. პატარა კონებს გვირგვინები და ყვავილწნულები მოჰყვა და ბოლოს მთელი უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლი, მისი კვარცხლბეკი და საფეხურები ყვავილებით დაიფარა.

ეს გლოვა ათი დღე გაგრძელდა. თითქმის მთელი თბილისის მოსახლეობამ მოკრძალებით გაიარა ბელადის ქანდაკების წინ. ზოგიერთი იქ ღვინით მივიდა, რათა განსვენებულის შესანდობარი დაელია. კვარცხლბეკის საფეხურებზე საპატიო დარაჯები იდგნენ განთიადიდან შუაღამემდე. ისინი უმთავრესად სტუდენტებისა და მოსწავლეებისაგან შედგებოდნენ. არც ერთხელ არ დარღვეულა წესიერება, წესრიგს თვით მონაწილეები იცავდნენ მორიგეობით. სიტყვებს ლექსები ცვლიდა, ლექსებს – საგალობელი ჰიმნები. ხალხი ხშირად მუხლს იდრეკდა "ნანასა" და "გაფრინდი, შავო მერცხალოს" გაგონებაზე. ძალიან ხშირად გაისმოდა სიტყვა "უკვდავება". ხშირად ისმოდა, აგრეთვე, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, პატარა კახის სახელები. აშკარად ჩანდა, რომ დიდი ხნის მანძილზე ჩახშულმა პატრიოტულმა გრძნობამ გამოსავალი იპოვა და სტიქიონური ძლიერებით გადმოხეთქა. ქართველმა ახალგაზრდობამ თითქოს დაივიწყა ის ზიანი, რომელიც საქართველოს სტალინის დიქტატურამ მიაყენა ოცდაათი წლის მანძილზე, აპატია მისი სიმკაცრე და სატანური თავმოყვარეობა და შეეცადა, რომანტიკული შარავანდით შემოსილი ბელადი მითოსში გადაეყვანა.

მწერლის ეს დიდებული სიტყვები 1954 წელსაა დაწერილი, მაგრამ მთავარი, გარდამტეხი მოვლენები, – მოულოდნელი, დრამატული და სისხლიანი, – ორი წლის შემდეგ დატრიალდა: მას შემდეგ, რაც 1956 წლის თებერვალში, მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა, – ყველაზე უცნაური, წინააღმდეგობრივი, საიდუმლოებითა და გაუგებრობით მოცული იმ ყრილობათა მწკრივში, რომელთა მორიგი ახალი ნომერი საუკუნის პირველ ნახევარში მორიგ "ოპოზიციონერ"-"ოპორტუნისტთა" პარტიიდან გარიცხვას და მათს სამოქალაქო ან რეალურ სიკვდილს ნიშნავდა, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში

ხუთ წელიწადში ერთხელ განმეორებულ მეტად მოსაწყენ, ერთფეროვან და უგემოვნებო სანახაობას.

სწორედ იმ ისტორიულ მეოცე ყრილობაზე პარტიის ლიდერმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, კომუნისტური პარტიის წვრილ თუ მსხვილ ფუნქციონერებს, რომლებიც შუაღამით სასწრაფოდ შეეყარათ კრემლის სხდომათა დარბაზში, წაუკითხა საიდუმლო, დახურული მოხსენება "პიროვნების კულტისა და მისი მავნე შედეგების" შესახებ. საბჭოთა კავშირსა და მის საზღვრებს მიღმა იმ წუთას დიდსაც და პატარასაც სუნთქვა შეეკრა, – საბჭოთა კავშირის ლიდერი ლაპარაკობდა "ხალხთა დიდი ბელადის" დანაშაულთა შესახებ. მართალია, მოხსენება იყო დახურული და მისი გაცნობის პრივილეგია მხოლოდ რჩეულ პარტიელებს მიენიჭათ; მართალია, მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი სტალინის თანამებრძოლთა და, მათ შორის, თავად მომხსენებლის დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, – მით უმეტეს, კრინტიც არ იყო დაძრული კომუნისტური პარტიის როგორც დამნაშავეობრივი ორგანიზაციის და კომუნიზმის როგორც ანტიადამიანური მოძღვრების გამო; მართალია, მოხსენებაში სტალინის საქმიანობა ლენინური პრინციპების დარღვევად იყო მიჩნეული და არა – ლენინის იდეების რეალურ ხორცშესხმად; მართალია, სულ მალე თავად საბჭოთა კომუნისტმა ლიდერებმა გააცნობიერეს, თუ რა დამღუპველი აღმოჩნდა მათთვის მეოცე ყრილობა, – საძულველი შეკრება არაერთი კომუნისტისათვის: ჩინეთიდან და ალბანეთიდან კანადამდე და არგენტინამდე; მაგრამ, საბოლოოდ, მოხსენებაც და მთელი ყრილობაც იმგვარი ტეხილი აღმოჩნდა, რომლის ამოვსება, დავიწყება, უგულებელყოფა უკვე შეუძლებელი გახდა, – გაცხადებული ფაქტებისა და ციფრების მიფუჩეჩება მეტად ძნელი იყო.

ამიტომ შემდგომ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, საწყის წერტილზე დაბრუნება, – მეოცე ყრილობამდელი მდგომარეობის აღდგენა, – ვეღარ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ 1960-იანი წლების მიწურულს ბრეჟნევულ-სუსლოვურმა საბჭოთა მმართველმა პოლიტბიურომ ფარულად გადაწყვიტა, დიდებისა და უცდომლო-

ბის შარავანდი დაებრუნებინა სტალინისათვის (თუ ეს მათ ვერ შეძლეს, ისევ მეოცე ყრილობის არსებობის გამო და არა იმიტომ, რომ მათ აკადემიკოსების სახაროვისა თუ კაპიცას წერილებისა შეეშინდათ ან ახმატოვასა თუ ევტუშენკოს გამაფრთხილებელმა ლექსებმა აუჩვილეს გული), – მიუხედავად იმისა, რომ აგერ, 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე სტალინური რეპრესიების შესახებ საუბარი ისევ აკრძალული იყო და მხოლოდ ლენინური პრემიის ზოგიერთ ლაურეატს ეძლეოდა უფლება, გაეხსენებინა, რომ ერთ დროს საბჭოთა ადამიანებს უსამართლოდ ასამართლებდნენ, სჯიდნენ და სიცოცხლეს ართმევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მონუმენტურ საბჭოთა ფილმებში კვლავ ჩნდებოდა "ბრძენი ბელადისა" და მხედართმთავრის მონუმენტური ფიგურა.

ყრილობის დამთავრებისთანავე აშკარა გახდა, რომ სტალინისა და სტალინიზმის კრიტიკა იმგვარი შეუჩერებელი პროცესი იყო, რაც მთელი საბჭოთა იდეოლოგიის ჩამონგრევით დამთავრდებოდა, – "ინტელიგენტი და სათუთი" ლენინების, ძერჟინსკების, ლუნაჩარსკების ხატებათა ჩათვლით. ამდენად, კომუნისტი მესაჭეები არ შემცდარან მეოცე ყრილობის მიმართულების მალევე დამუხრუჭებისას, და მათი ეს გამჭრიახი განჭვრეტა დადასტურდა ოცდაათი წლის შემდეგაც, როცა ეგრეთ წოდებული "პერესტროიკის" წინმსწრები "საჯაროობა" ისევ სტალინური საკონცენტრაციო ბანაკების გახსენებით დაიწყო, მაგრამ იმის აღიარებით დამთავრდა, რომ ბანაკების, დახვრეტების, მასობრივი რეპრესიების, აყრა-გასახლების სისტემის შთამაგონებელი და ფუძემდებელი იყო ვლადიმირ ლენინი, ხოლო ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ძალადობა წარმოადგენდა არა გადახრას კომუნიზმიდან, არამედ – კომუნიზმის ურყევ საფუძველთასაფუძველს.

თუ საბჭოთა კავშირის ბევრ ადგილას, საბჭოთა კავშირის ბევრი მოქალაქისათვის მეოცე ყრილობა დროებითი ამოსუნთქვა იყო, საქართველოში მოვლენები ტრაგიკულად მობრუნდა: ყრილობის დამთავრებიდან ორიოდ კვირის შემდეგ, თბილისში სტალინის გარდაცვალების სამი წლის-

თავის აღნიშვნა, – სიმღერებით, სურათებით, ლექსების წარმოთქმითა და “ჯუ დე, ჯუ დე”-ს შეძახილით, – 9 მარტის ხოცვა-ჟლეტით დასრულდა. იმუამად დედაქალაქში სტუმრად მყოფ ერთ-ერთ ჩინელ ბელადს, ალბათ, არც გაუგონია ახალგაზრდათა მოწოდებანი, დაეცვა ისინი და დაეცვა სტალინის ხსოვნა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისევ სვამდნენ სტალინის სადღეგრძელოებს; მხოლოდ გორსა და ალბანეთის დედაქალაქში, ტირანაში, რჩებოდა აღმართული სტალინის ძეგლები; როდესაც მთელი საბჭოთა “პერესტროიკული” პრესა ანტისტალინურმა ნაკადმა მოიცვა და ამ ფონზე ქართული მასმედიის ყრუ დუმილი ქართველმა კინორეჟისორმა უხერხულად მიიჩნია, საქართველოს ადგილობრივი კომუნისტური მმართველობის იმდროინდელმა მეთაურმა მკრეხელური აზრებისათვის მკაცრად დაუცაცხანა “არაჩვეულებრივი გამოფენისა” და “შერეკილების” ავტორს.

საქართველოში დღეს სტალინისტური ან სტალინის სახელობის რამდენიმე პარტიაა; ისევ აღნიშნავენ სტალინის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებს; სხვადასხვა დასახლებაში გამოჩნდა სტალინის მცირე თუ მოზრდილი ბიუსტები; ალკოჰოლურ სასმელებსა და სასაჩუქრო ნივთებზე აღბეჭდილია სტალინის სახე; საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გვირგვინით ამკობს სტალინის ძეგლს.

უყვარდა თუ არა სტალინსაც ამგვარივე ერთგულ-თავგანწირული სიყვარულით თავისი ოდინდელი სამშობლო და თავისი ოდინდელი თანამემამულენი, იმედი ვიქონიოთ, მაშინ მაინც გაირკვევა, როცა ამის შესახებ ვრცელი, სერიოზული, ფაქტებს დაყრდნობილი გამოკვლევები დაიწერება.

მაგრამ ამჯერად, სანამ გაუცნობიერებელ თაყვანისცემას ცოდნა და განსჯა ჩაანაცვლებს, სტალინის იმ ბოლო საჩუქრის გახსენება აჯობებს, რომელიც მან ქართველებისათვის გაიმეტა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. მას შემდეგ, რაც 1951 წელს მან უკანასკნელად მოინახულა საქართველო, – თითქმის სამი თვით დაისვენა ლიკანსა და წყალტუბოში, სა-

დაც მას სიყვარულისა და თაყვანისცემის ფიანდაზად გაეგო დიდი თუ პატარა, – "აყვავდი, ტურფა ქვეყანას" ავტორმა გადაწყვიტა, საქართველოს ყოველი კუთხიდან ოცდათხუთმეტი ათასი ქართველი აეყარა და ყაზახეთისა თუ უზბეკეთის უდაბნოებში გადაესახლებინა.

კვლავ გერონტი ქიქოძეს მოვუსმინოთ, – დავუგდოთ ყური სანდო და მიუდგომელ მოწმეს:

> ეს მასობრივი გადასახლება ყველაზე აღმაშფოთებელი აქტი იყო, რომლის ანალოგიას ძნელად თუ მოვძებნიდით თვით საქართველოს უბნელესი ეპოქის მატიანეებში. გადასახლებულ იქნენ მეორე მსოფლიო ომში დასახიჩრებული ჯარისკაცები, სამშობლოში დაბრუნებული სამხედრო ტყვეები, რომელთაც ბრალად დასდეს, რატომ თავი არ მოიკალით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში, ან რატომ იქ ამბოხება არ მოახდინეთო; ინტელიგენტები, რომელთა ცოლებს შორეული ნათესავები ჰყავდათ ემიგრაციაში; ქალები, რომელთაც ოდესღაც საჩუქრად ხელთათმანები ან კომბინეზონი მიეღოთ პარიზიდან; ბოლოს, შემთხვევითი ადამიანები, რომელნიც უშიშროების ორგანოებს საეჭვოდ მიაჩნდათ რამე მიზეზის გამო.
>
> ეს გადასახლება ერთ ღამეს ჩატარდა, 1951 წლის 25 დეკემბერს. წინა დღით არავინ იცოდა, რომ ყველაფერი მზად იყო ამ გრანდიოზული ოპერაციისათვის, ჯარის ნაწილებიც, რამე წინააღმდეგობის დასათრგუნად, მატარებლებიც, გამყოლი რაზმებიც, ექიმებიც, მწირი საგზალიც. უბედურებს თან მიჰქონდათ, რისი წაღებაც შეიძლებოდა: ერთი ტომარა სიმინდის ფქვილი, დაშაშხული ღორის ხორცი, საკერავი მანქანა ან სხვა რამე სამუშაო ხელსაწყო, ბოლოს, ერთი მუჭა მიწა. ბევრი გზაში დაიხოცა, ბევრიც – შუა აზიის პლანტაციებში. მათი ბინები სხვებს გადაეცა, მათი ავეჯი და სულადი საქონელი გაიყიდა.

ამგვარი დაუნდობელი სისასტიკე სტალინის უკანასკნელი ყურადღება იყო საქართველოს მიმართ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობას, მისი გაკვეთილები მოუნელებელი და

გადაულახავი აღმოჩნდა საბჭოთა ბელადებისათვის, კომუნისტური პარტიისათვის, მსოფლიოში მოფენილი კომუნისტური ქსელისათვის; მტკივნეული და ტრაგიკული აღმოჩნდა ის საქართველოსათვისაც, – 1956 წლის 9 მარტის დაუცხრომელი ტკივილისა და შეუხორცებელი ჭრილობის გამოც.

ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა, საერთოდ, არავის გახსენებოდა.

თებერვალი, 1996

8

პრაჰა მეოცე საუკუნის მიწურულს

პრაჰა ათასწლოვანი რომის საღმრთო იმპერიის ერთ-ერთი ცენტრი იყო, ხოლო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეთა მიჯნაზე – მისი დედაქალაქიც, შემდგომ – ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პროვინციული ქალაქი, 1918 წლიდან კი პრაჰა ისევ დედაქალაქია, ოღონდ სახელმწიფოსი, რომელმაც მეოცე საუკუნის განმავლობაში ხუთჯერ ან ექვსჯერ მაინც შეიცვალა სახელი, – დღეს მას ჩეხეთის რესპუბლიკა ეწოდება.

ევროპის შუაგულში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთაზე მდებარე ეს ქალაქი თავისი ინტენსიური პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით უფრო მნიშვნელოვანი ჟღერადობისათვის ემზადება, თუმცა გიუნტერ გრასის სიტყვები, რომ პრაჰა ევროპის დედაქალაქია, პრაჰელებმა თავშეკავებულად და ზედმეტი ეიფორიის გარეშე აღიქვეს. თუ ათასობით და ათიათასობით ტურისტი არ იქნება გათვალისწინებული, – თუმცა მათი უგულებელყოფა პრაჰაში მცხოვრებთათვის დაუძლეველი ამოცანაა, – თავად დედაქალაქი, ისევე როგორც, საერთოდ, მთელი ჩეხეთი, დღეს თითქმის ერთეროვანია, რაც მეორე მსოფლიო ომის შედეგია, საუკუნეების განმავლობაში კი პრაჰას ახასიათებდა გამორჩეული მრავალეროვნულობა და მრავალკულტურულობა, რისი კვალიც დღემდე იგრძნობა, მაგრამ ცოცხლად აღარ შეიგრძნობა.

აქამდე გრძელდება კამათი ჩეხურ მიწათა თავდაპირველი ქრისტიანული ძირების შესახებ: ზოგის აზრით, ეს ძირები კელტურია და ირლანდიელ ბერებს უკავშირდება, ზოგის შეხედულებით კი, – სლავური, წმიდა კირილესა და წმიდა მეთოდეს ტრადიციებით. დღეს ამ კამათს, – ქვეყნის ისტორიული და სამომავლო ორიენტაციის გამოკვეთისას, – გან-

საკუთრებული პოლიტიკური სიმწვავე ენიჭება, მაგრამ უეჭველად ის კი შეიძლება ითქვას, რომ ვლტავის ნაპირებზე შეფენილი ქალაქი გერმანულ, სლავურ და ებრაულ ნიადაგზე დგას. კიდევ მეტი, სამივე ამ კულტურის უმნიშვნელოვანესი ისტორიული თუ წარმოსახვითი პერსონაჟები სწორედ პრაჰასთან არიან დაკავშირებული. მაგრამ გერმანულმა და ებრაულმა კულტურამ უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც აქედან გუდა-ნაბადი აიკრა, თვით მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული ჩეხებიც "ცოტა" მოშორებით ცხოვრობენ: მილოშ ფორმანი ამერიკელი რეჟისორია, მილან კუნდერა ფრანგი პროზაიკოსი გახდა, მწერალ იოზეფ შკვორეცკის, მართალია, ჩეხურ ენაზე წერა ჯერ არ შეუწყვეტია, მაგრამ იგი ტორონტოში ცხოვრობს და სამშობლოში გადმობარგებას არ აპირებს. ამის მიუხედავად, პრაჰაში კულტურული ცხოვრება არ შეწყვეტილა. "რკინის ფარდის" ახდის შემდეგ, – თუნდაც რუსეთისაგან განსხვავებით, – ერთი ჩეხი ინტელექტუალიც არ გადასახლებულა დასავლეთში, პირიქით, თუ ზემოთჩამოთვლილთ გამონაკლისებად მივიჩნევთ, ემიგრაციაში მყოფმა თითქმის ყველა ჩეხმა პროფესორმა და მომღერალმა, ეპისკოპოსმა და მწერალმა, რეჟისორმა და მხატვარმა სამშობლოს მოაშურა და ორმოცწლიანი თუ ოცწლიანი განშორების შემდეგ კომუნისტების მიერ წართმეულ და ამჟამინდელი მთავრობის მიერ დაბრუნებულ თავიანთ სახლებში დაიდეს ბინა.

ისტორიული პრაჰა კი ისევე მრავალეროვანი, მრავალფეროვანი, მრავალშრიანი, მრავალგანზომილებიანი იყო, როგორც ევროპის ისტორიაა. პრაჰის ქუჩებსა და მოედნებზე, ტაძრებსა და კოშკებში გათამაშდა ჰუსიტური ბრძოლები და ოცდაათწლიანი ომი, შვედური ოკუპაცია და ჰაბსბურგთა მიერ ჩეხი თავადაზნაურობის ჟლეტა, პროტესტანტულ-რეფორმაციული მოძრაობანი და იეზუიტურ-ბაროკოული კონტრრეფორმაცია, მეტროპოლიური ცხოვრების თავისუფალი, ამაყი სუნთქვა და ვერმახტის ჯარის მარშირებები, ომის მიწურულს სამდღიანი აჯანყება და სამი წლის შემდეგ კომუნისტური პუტჩი, მსოფლიოსათვის სუნთქვის შემკვრელი "პრაჰის გაზაფხული" და საბჭოთა ტანკების თავხედური

თარეში, სტუდენტ იან პალახის თვითდაწვა წმიდა ვაცლავის მოედანზე და იმავე მოედანზე გაჩაღებული ხავერდოვანი რევოლუცია.

პრაჰას უნახავს საზეიმო დღეები: ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის, ტომაშ გარიგ მასარიკის ჩამოსვლა, ამერიკელების თანხლებით, სახელმწიფოს შექმნისას; პრეზიდენტ ედვარდ ბენეშის ტრიუმფული დაბრუნება, საბჭოთა გენერლების თანხლებით, სახელმწიფოს აღდგენისას; პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მისალმება კომუნისტური ტყვეობიდან ქვეყნის განთავისუფლებისას. მაგრამ პრაჰას უნახავს სირცხვილიც: გერმანელთათვის ქვეყნის მესამედის დათმობის შემდეგ – ლონდონს გაქცეული ელეგანტური დოქტორი ბენეში, ჩეხოსლოვაკიის მეორე პრეზიდენტი; ქვეყნის გაუქმებაზე ხელის მოწერის შემდეგ – თავჩაქინდრული, ტანმორჩილი ემილ ჰახა, მესამე პრეზიდენტი (რომელმაც, გერმანიის დამარცხების შემდეგ, პანკრაცის საპყრობილეში დაამთავრა სიცოცხლე); სტალინურ-გოტვალდური გადატრიალების შემდეგ – დამფრთხალი და საბოლოოდ დამარცხებული იგივე ბენეში; საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ – დამნაშავედ მოღიმარი ალექსანდერ დუბჩეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი...

პრაჰა გულღია მასპინძელი იყო და მეტად განსხვავებულ სტუმრებს უხიფათო ჭერით უზრუნველყოფდა: პოლ კლოდელს, საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩს და თომას მანს, რომელმაც გერმანიის მოქალაქეობის დაკარგვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობა მიიღო; საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ მსხვილ ფიგურას კარლოსს სანჩესსა და ავღანეთის პრეზიდენტობის მომლოდინე ბაბრაქ ქარმალს; თეთრგვარდიელი ოფიცრის ლტოლვილ მეუღლეს მარინა ცვეტაევასა და პრაჰული საერთაშორისო ჟურნალის თანამშრომელს მერაბ მამარდაშვილს.

მეოცე საუკუნეში პრაჰა ყოველთვის სიმბოლო იყო, რადგან ამ საუკუნისათვის გადამწყვეტსა და განმაპირობებელ ნიშნებს გამოხატავდა: 20-იან წლებში – დემოკრატიულ წესრიგს, ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას, 30-იანში – ტოტალიტარიზმის წინაშე დამფრთხალი და მასთან მო-

ლაქუცე დასავლეთისაგან განწირულ მსხვერპლს, 40-იანში – ფაშისტური და კომუნისტური ეპიდემიების მიმართ უძლურებას, 50-იანში – ეკლესიისა და ინტელექტუალთა დარბევას, 60-იანში – "ადამიანისსახიან სოციალიზმსა" და საბჭოთა ჩექმის სიმძიმეს, 70-იანში – ინტელექტუალურ-დისიდენტურ ოპოზიციას, 80-იანში – კომუნიზმის ხუნდების თავიდან მოშორებას, 90-იანში – ნორმალური, ევროპული ცხოვრებისათვის მზადყოფნას.

მაგრამ პრაჰაში ოდენ ისტორიის ფურცლები არ იწერებოდა, აქ – თითქმის უწყვეტად – ევროპული კულტურა ღვიოდა: 1348 წელს ევროპის ერთ-ერთ უძველესი უმაღლესი სასწავლებელი – კარლოსის უნივერსიტეტი დაფუძნდა; რუდოლფ მეორის საიმპერატორო კარის მეცენატურ გარემოში დახვეწილ და შთამბეჭდავ მანიერიზმთან ერთად თავშესაფარი მოიპოვა ალქიმიურ-ასტროლოგიურმა იდუმალმა ძიებებმაც (შემთხვევითი არაა, რომ გუსტავ მაირინკის ცნობილი ჰერმეტული რომანის – "აღმოსავლეთის სარკმლის ანგელოზის" – მოქმედება, ელისაბედურ-შექსპირული ლონდონის გვერდით, პრაჰულ ჰრადჩანსა და დალიბორუკაზეც ვითარდება); პრაჰელები არა მარტო ავტორთან ერთად ესწრებოდნენ "დონ ჯოვანისა" და "ჯადოსნური ფლეიტის" პრემიერას თავიანთ ქალაქში, არამედ მოცარტისეულ პრაჰულ სიმფონიას ავტორისეული შესრულებით ისმენდნენ; ეროვნული თეატრი და ეროვნული მუზეუმი შთამბეჭდავი არქიტექტურით, შთამბეჭდავი სპექტაკლებითა და შთამბეჭდავი გამოფენებით მკაფიოდ აღიბეჭდნენ მეცხრამეტე საუკუნის ევროპის კულტურის ისტორიაში; საუკუნეთა მიჯნის ახალ დინებათა და ახალ ქართა მიმართ უფაქიზესად მიყურადებული ჟურნალი "Moderní revue" მოდერნისტულ-დეკადენტური წრეების საერთოევროპული თავშესაყარი ხდება (ჟურნალის ლიბერალური ორიენტაციის წარმოსადგენად ისიც კმარა, რომ ოსკარ უაილდისათვის ინგლისის სასამართლოს განაჩენს, – მწერლის ინტერესების დასაცავად, – საგანგებო გამოშვება მიეძღვნა); მსოფლიო ომებს შორის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქს არა მარტო თავი შეაფარეს ბოლშევიკთაგან თუ ნაციონალ-სოციალისტთაგან

დევნილმა რუსმა და გერმანელმა ინტელექტუალებმა, – დასავლური კულტურის ქურუმები აუცილებლად მიიჩნევდნენ, ერთხელ მაინც შეევლოთ თვალი პრაჰისათვის; პრაჰის ჰრადჩანზე საპრეზიდენტო ციხე-კოშკის პირველი ბინადარი, ტომას გარიგ მასარიკი, ცნობილი ფილოსოფოსი იყო, ხოლო ამჟამინდელი, ვაცლავ ჰაველი, ცნობილი დრამატურგია.

პრაჰა საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა და ამ საუკუნეთა ცხოვრებას ირეკლავდა, ამიტომ იგი ნაკლებად ჰგავს არქიტექტურულ მუზეუმს, – ქალაქებს, რომლებიც სანიმუშოდ, საგანგებოდ, წინასწარი გეგმა-პროექტის მიხედვით იგებოდა. მაგრამ პრაჰას სხვა მშვენება აქვს – გოტიკური და ბაროკოული ტაძრები, სინაგოგები და კოშკები, ხიდები და სასახლეები, ირიბი ქუჩები და შესახვევები, ოქროსფრად მოლივლივე კედლები და შპილები, ყოველი კუთხიდან მომზირალი ანგელოზები და დემონები, წმიდანები და მხედრები იმ ბურუსში იძირება, რომლითაც ეს ქალაქი იყო გარემოცული სამონასტრო და სარაინდო, კაბალისტურ და ალქიმიურ გადმოცემებში: ამ ბურუსის გემო ყოველთვის იგრძნობა და ძნელი სათქმელია, დიდი პრაჰელები – კაფკა და რილკე, მაირინკი და ცვეტაევა ამ ქალაქის იდუმალების აღწერა-ჩაწვდომას ცდილობდნენ თუ სწორედ მათ შესძინეს ქალაქს ეს უჩვეულო, არამიწიერი სურნელება.

მაგრამ, შესაძლოა, უპრიანი იყოს ერთი პრაჰული ლეგენდის გახსენება, – ლეგენდა ადგილობრივი რაბინის, იეჰუდა ჰალევის, შესახებ, რომელმაც, მაგიური პროცედურების შედეგად, თიხისაგან აგებულ გოლიათს, გოლემს, სული ჩაჰბერა და ებრაული უბნის დარაჯობა დაავალა, მაგრამ ამ ხელოვნურმა ქმნილებამ, ჰომუნკულუსებისა და ფრანკენშტაინების თანამოძმემ, თავისი შემქმნელის ურჩობა დაიწყო, რის გამო რაბინმა მას ისევ ამოაცალა სული და გოლემისაგან მხოლოდ თიხის ნაჭუჭიღა დარჩა. პრაჰაში დღეს აღარც ებრაული უბნებია და ადგილობრივ ებრაელსაც იშვიათად შეხვდებით (სხვათა შორის, ჰიტლერს დაგეგმილი ჰქონდა, ებრაელთაგან ევროპის დაცლის შემდეგ პრაჰაში აეგო საგანგებო მუზეუმი, სადაც უნდა მოთავსებულიყო მრავალ-

საუკუნოვანი ებრაული საგანძური), მაგრამ ორმოცდაათი წელია, გერმანელთა მრავალრიცხოვანი პრაჰული მოსახლეობაც გაუჩინარდა, – გერმანული უნივერსიტეტებით, გიმნაზიებითა და თეატრებით.

პრაჰას შემოსეულ ტურისტებს დღეს მასპინძლობენ მხოლოდ ჩეხები, რომლებიც ხანდახან თავიანთი ცხადი დასავლური ორიენტაციის საგანგებოდ აღსანიშნავად თუ გამოსახატავად (და რუსებისაგან მკაფიოდ გასამიჯნავად!) ერთ უკვე გაფერმკრთალებულ პარადოქსსაც გადმოისვრიან ხოლმე, ჩვენ სლავურ ენაზე მოლაპარაკე გერმანიკული ტომი ვართო, მაგრამ როცა ამას ისინი ჩეხურად ამბობენ, ადვილი მისახვედრია, რომ მათი ენა სლავურ ენათა შორის არა მარტო ყველაზე დასავლურია, არამედ ყველაზე არქაულიც და ყველაზე მელოდიურიც.

პრაჰაში ყოფნისას, სამშენებლო-სარესტავრაციო ხარაჩოებისა და შინ დაბრუნებულ ემიგრანტთა გარემოში, ცხადად იგრძნობა, რომ პრაჰას ორმოცი წლის წინათ ამორთმეული სული უბრუნდება.

პრაჰის სიმბოლო და სიამაყე – ქალაქის თავზე წარმომდგარი წმიდა ვიტეს გოტიკური ტაძარი – ექვსასი წლის განმავლობაში შენდებოდა და საბოლოო სახე მან მხოლოდ 1929 წელს შეიძინა. მაგრამ ყურადღებით დაკვირვებისას, ისიც შესამჩნევია, რომ მისი ზოგიერთი კოშკის მშენებლობა შეწყვეტილია, დაუსრულებელია...

პრაჰის ცა დაძაბულად ელის მაღლა შემართულ ახალ კოშკებსა და კოშკურებს...

მარტი, 1996

9

ანჯეი ვაიდას პოლონური სატკივარი

1960-იან წლებში კინორეჟისორები სამყაროს შემოქმედს ეცილებოდნენ ძალაში, წარმოსახვაში, გავლენაში, შემოქმედებითს ნაყოფიერებაში. ისინი მართლაც ახალ სამყაროს ქმნიდნენ და აღფრთოვანებულ მაყურებელს განუწყვეტლივ აოცებდნენ თავიანთი ახალი ქმნილებებით, – ეს იყო ფელინისა და ვისკონტის, ბერგმანისა და პაზოლინისა, გოდარისა და ფაბრის ეპოქა, ეს იყო ანჯეი ვაიდას ეპოქა.

იმუამინდელ კომუნისტურ ქვეყანათაგან უმთავრესად სწორედ პოლონელმა კინორეჟისორებმა და მსახიობებმა მოიპოვეს მსოფლიო სახელი. კშიშტოფ ზანუსის, რომან პოლანსკის, კშიშტოფ კეშლიოვსკის შორის უპირველესი ადგილი მაინც ანჯეი ვაიდას ეკუთვნის. იგი ამ პირველობას ინარჩუნებდა მაშინაც, როცა მეზობელ კომუნისტურ უნგრეთშიც გაჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის კინოსკოლა, – ფაბრის, კოვაჩის, საბოს, იანჩოს წარმომადგენლობით, – და ინარჩუნებდა მაშინაც, როცა მეზობელ კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ასევე ცნობილი კინოსკოლა დაარბიეს და ჩეხი მილოშ ფორმანი ჰოლივუდში აღმოჩნდა.

განსაკუთრებულმა მდგომარეობამ პოლონეთში, – მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური ცენზურის ფარდობითმა სიმსუბუქემ და კათოლიკე ეკლესიის ძლიერმა გავლენამ, – დიდად შეუწყო ხელი ანჯეი ვაიდას, რომ საკუთარ სამოცდაათ წლისთავს მოზრდილი შემოქმედებითი მონაპოვრით შეხვედროდა.

ანჯეი ვაიდა დაიბადა 1926 წლის 6 მარტს, სოფელ სუვალკიში; მამამისი, არმიის ოფიცერი, სხვა პოლონელ ოფიცრებთან ერთად დახვრიტეს საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში, კატინში; ომის დროს ყმაწვილი ვაიდა ჩაერთო ანტისაოკუპაციო წინააღმდეგობის მოძრაობაში; 1942 წლიდან

იგი იბრძოდა იმ რაზმებში, რომლებიც პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას ექვემდებარებოდა და სამშობლოს მომავალს გერმანელ თუ საბჭოთა მმართველთაგან თავისუფალ ქვეყანაში ხედავდა.

როცა პოლონეთიდან ჰიტლერელ ნაციონალ-სოციალისტთა განდევნისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ იქ უმალ კომუნისტური მმართველობა დამყარდა, დასავლეთის ლიდერები სტალინის ზეწოლას დაემორჩილნენ და უარი თქვეს, მხარი დაეჭირათ ემიგრანტული მთავრობისათვის, მისი ჯარებისათვის, პოლონეთის სრული დამოუკიდებლობისათვის. ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა, მაგრამ მალე, მოსკოველი ჩეკისტებისა და ადგილობრივ დამხმარეთა შემწეობით, თითქმის მთლიანად განადგურდა ანტინაცისტური და, შესაბამისად, ანტიკომუნისტური იატაკქვეშეთი.

მაშინ ვაიდა, მისდა საბედნიეროდ, დახვრეტასაც გადაურჩა და ციმბირში გადასახლებასაც, რისი საფრთხეც ნამდვილად იყო. მან უმალვე მიაშურა ჯერ კრაკოვის ხელოვნების აკადემიას, მაგრამ შემდგომ კიდევ უფრო დაავიწროვა თავისი არჩევანი და სასწავლებლად გადავიდა ლოძის კინოსკოლაში, რომელიც 1952 წელს დაამთავრა.

როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტების შედეგად, კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში იდეოლოგიურმა ყინულმა დნობა დაიწყო, ვაიდამ შექმნა თავისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი – “თაობა”, რომელიც ეკრანებზე 1955 წელს გამოვიდა და რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობის ახალგაზრდა ვარშაველ მონაწილეებს ეძღვნებოდა. ამ ფილმების თემატურ გაგრძელებად ჩანს მისი შემდგომი ქმნილებებიც: “არხი” და “ფერფლი და ალმასი”, – ნაწარმოებები განმსჭვალული მეტყველი სიმბოლიკითა და ალეგორიით.

სწორედ “ფერფლი და ალმასიდან” იწყება ვაიდას მსოფლიო აღიარება და ამავე ფილმმა დაუდო დასაბამი ზბიგნევ ციბულსკის ბრწყინვალე სამსახიობო კარიერას.

სამივე ეს ფილმი დაუფარავად ეკამათებოდა იმ ფართოდ გავრცელებულ, წმიდათაწმიდა რწმენას, რომ ცხოვრების აზრი და უმაღლესი ბედნიერება სამშობლოსათვის გმირუ-

ლად დაცემაა იარაღით ხელში. ვაიდას გმირებს, პირველ ყოვლისა, ნორმალური, ადამიანური ცხოვრება ენატრებათ, მაგრამ საომარი ტრავმების შედეგად მათ ეს უკვე აღარ ძალუძთ. ამ მოტივმა, რომელიც დღემდე მსჭვალავს რეჟისორის შემოქმედებას და რომელშიც მისი პირადი, ბიოგრაფიული გამოცდილებაცაა არეკლილი, ყველაზე აშკარა გამოხატულებას სწორედ ციბულსკის მიერ ხორცშესხმულ სახეებში მიაღწია. მიმზიდველი, ელეგანტური, ქერათმიანი ახალგაზრდა, შავი სათვალითა და პირში გაჩრილი სიგარეტით, მრავალი მაყურებლისათვის მისაბაძი იდეალი გახდა, მაგრამ მისი სისხლისმიერი ძმები, – უმიზეზოდ ამბოხებულნი, – ექსისტენციალურ საკითხთა პირისპირ აღმოჩენილი კინოგმირები მალე სოკოებივით მომრავლდნენ ატლანტის ოკეანის ორივე ნაპირას.

ოცდათორმეტი წლის ვაიდას "ფერფლი და ალმასი" უკვე ატარებს რეჟისორის ხელწერისათვის ჩვეულ ყველა ნიშანს: დრამა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, იმ შინაგანი ბრძოლიდან იბადება, რაც გმირის სულიერ ცხოვრებაში გათამაშდება; გაფვაციცებული ყურადღება სასაზღვრო სიტუაციათა მიმართ; სამსახიობო შესრულება, რომელიც ხშირად ისტერიის ფარგლებს გადააბიჯებს ხოლმე. ამასთანავე, ვაიდას იმთავითვე ახასიათებდა დაძაბული მისწრაფება ესთეტიკურად მრავალმნიშვნელოვან სახეთა მიმართ, რაც რეჟისორის ფილმებს ხშირად ბაროკოული ტილოს მასშტაბებს აძლევს.

ისევე, როგორც ევროპის კომუნისტური ქვეყნების გამორჩეულ რეჟისორთა უმრავლესობას, ვაიდას ფილმებსაც უთუოდ ახასიათებდა პოლიტიკური სიმძაფრე. რეჟისორის უნარმა, წარმოედგინა ცალკეული პიროვნების შინაგანი პრობლემები ფართო საჯარო-სამოქალაქო კონტექსტში, ხელოვანი პოლიტიკურ მოაზროვნედაც აქცია, ხოლო პოლიტიკურ აზროვნებას მალე პოლიტიკური ქმედებებიც მოჰყვა, თუნდაც საკმაოდ კამერული.

საერთოდ, კომუნისტურ სისტემებს ერხერხებოდა, კულტურულ საქმიანობაში ჩართული ადამიანები აუცილებლად ჩართულიყვნენ პოლიტიკურ ბრძოლებშიც, – ბარიკადის რომელიმე მხარეს.

ვაიდას 1960-იანი წლების ფილმებიდან გამორჩეულად აღსანიშნავია "ფერფლი", რომელიც ასახავს პოლონეთის ცხოვრებას ნაპოლეონის ომების დროს და "ყველაფერი იყიდება", რომელიც, ფაქტობრივად, ჩაფიქრებაა ზბიგნევ ციბულსკის დაღუპვის გამო, – ფილმი, სადაც რეჟისორი მაყურებელს უმჟღავნებს თავის აღსარებას, რომ ხელოვანის საქმიანობა ხშირად აღბეჭდილია ცოდვით, რაც ახლობელთა ცხოვრების მითვისებით, გაძარცვით გამოიხატება.

ვაიდას ფილმებში ციბულსკის მალე შეენაცვლა დანიელ ოლბრიხსკი, რომელმაც 1970 წელს პირველად ითამაშა რეჟისორის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქმნილებაში – "პეიზაჟი ომის შემდეგ". ეს ფილმიც ომის მოუშუშებელ ტრავმას ეძღვნება. ფინალურ კადრებში სათვალიანი, ახალგაზრდა პოეტი დათოვლილ გზას მიუყვება და თან მიათრევს წიგნებით სავსე ურიკას, – ერთადერთს, რაც მან საკონცენტრაციო ბანაკიდან გათავისუფლების შემდეგ წამოიღო, ერთადერთს, რითაც იგი ახალი, უცნობი ცხოვრებისაკენ მიემართება.

ვაიდას 1970-იანი წლების შემოქმედება ეძღვნება პოლონეთის ეროვნული არსის ძიებას. რეჟისორი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას თავისი ერის ვაჟკაცურ, შეუპოვარ, რომანტიკულ ხასიათზე, ოცნების უნარსა და პრაგმატიზმის უქონლობაზე, მაგრამ მისი გახმაურებული ფილმები – "არყის ხის ჭალა" და "ვილკოელი ქალიშვილები" ზოგიერთ კრიტიკოსს პოლონური ნაციონალიზმის მძაფრ გამოვლინებად მიაჩნია.

ისტორიული ფრესკა – "აღთქმული ქვეყანა", რომელიც 1974 წელსაა შექმნილი, ქალაქ ლოძის ცხოვრებას ასახავს სამრეწველო რევოლუციის ხანაში. სამი მეგობარი, – პოლონელი, გერმანელი და ებრაელი, – თავდაპირველად ერთად მიუყვებიან ცხოვრების გზას, მაგრამ სიმდიდრის ძიებისას ერთმანეთს დაშორდებიან და თავიანთი მიზნის მისაღწევად არაფერზე ამბობენ უარს. ძალაუფლებისა და ფულის მოპოვების ჟინს ისინი თვითგანადგურების უფსკრულთან მიჰყავს. ფილმის უკანასკნელი კადრები საყოველთაო აპოკალიფსურ ნიშნებს იძენს. სამრეცხაოთა და მუშათა საცხოვრებლების ღატაკური გარემო, ახალგამომ-

ცხვარ მილიონერთა სასახლეების მყვირალა უგემოვნობა, უკანმოუხედავი გამოძალვისა და ყოველივე ძვირფასის მიზანმიმართული განადგურების სცენები "აღთქმულ ქვეყანაში" ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად წარმოდგება. ფილმში შუქის ერთადერთ გამოკრთომად ჩდება თავადის ქალი მარიშკა. ისევე, როგორც ვაიდას შემდგომ ფილმებში, აქაც გულითადობის, თანაგრძნობისა და თავდადების გამომხატველად, – რაც რეჟისორს განსაკუთრებულ პოლონურ თვისებებად მიაჩნია, – სოფლის არისტოკრატია ჩნდება.

ის, რომ ვაიდა წოდებრივ ან ეროვნულ მახასიათებლებს უპირატესობას ანიჭებს ცალკეული ადამიანის ინდივიდუალურ, პიროვნულ თვისებებთან შედარებით, მისი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე სადავო მხარეა. მას არასოდეს შეჰპარვია ეჭვი არისტოკრატიის განსაკუთრებულ როლსა და ფუნქციაში. კიდევ, მას ხშირად სდებდნენ ბრალს, რომ იგი ვერასოდეს ახერხებდა თავისი ანტიებრაული განწყობის შეფარვას.

ფართო პოლიტიკური ჟღერადობა შეიძინა 1977 წელს გადაღებულმა ფილმმა – "მარმარილოს ადამიანი", რომელიც გდანსკის მუშათა ქარიშხალს ასახავს და რომელშიც ერთ-ერთ როლს თავად ამ მოძრაობის ხელმძღვანელი – ლეხ ვალენსა ასრულებს. ამ კინონაწარმოებში ასახულია პროფკავშირული მოძრაობის –"სოლიდარობის" – ჩასახვა, მაგრამ, ამასთანავე, მოცემულია იმის მცდელობაც, პასუხი გაეცეს კითხვას, რომელიც დღემდე ამოუხსნელად რჩება პოსტკომუნისტურ ევროპაში: საერთოდ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?

როცა გენერალი იარუზელსკი პოლონეთში სამხედრო რეჟიმს აცხადებს, ვაიდა პირველად მიმართავს არაპოლონურ თემას – იღებს ფილმს ფრანგული რევოლუციის ბელადის, დანტონის, შესახებ, სადაც წარმოაჩენს დაუნდობელი რევოლუციური ტერორის შემზარავ დღეებს; კიდევ, მაყურებელს სთავაზობს დოსტოევსკის "ჭინკათა" ეკრანიზაციას. მსოფლიო რომანისტიკის ეს გამორჩეული შედევრი, რომელიც ყველა კომუნისტს აძრწუნებდა ხოლმე, მაგრამ რომლის ჭვრეტის სიღრმესა და დიდოსტატურ სიფართო-

ვეს არაფერი დაჰკლებია კომუნიზმის დამხობის შემდეგაც, რეჟისორს წარმოდგენილი აქვს არა მარტო როგორც წინასწარმეტყველება იმისა, რაც მეოცე საუკუნეში დატრიალდა, არამედ, ამასთანავე, როგორც ექსისტენციალური დრამა გარდაუვალი კატასტროფული შეჯახებებით ადამიანსა და ადამიანს შორის.

1980 წელს გამოდის რეჟისორის ფილმი "ორკესტრის დირიჟორი", სადაც მთავარ როლს ასრულებს მსოფლიო თეატრისა და კინოს ისეთი ვარსკვლავი, როგორიცაა ბრიტანელი მსახიობი ჯონ გილგუდი.

1990-იან წლებში ვაიდას მხოლოდ ორი ფილმი აქვს შექმნილი – ანტისემიტიზმში ბრალდებულმა რეჟისორმა ორივე მათგანი ებრაულ თემას მიუძღვნა: "კორჩაკი", რომელშიც დანიელ ოლბრიხსკი გამოჩენილი და გამორჩეული მწერლის, ექიმისა და პედაგოგის, იანუშ კორჩაკის, თავდადებას ასახავს; ასევე, "ვნების კვირა", რომელშიც რეჟისორი კვლავ უბრუნდება თემებს, რითაც დაიწყო მისი შემოქმედება, – ესაა ისევ ომი და ებრაული გეტოს განადგურება ვარშავაში.

მართალია, ვაიდას უკანასკნელი ფილმები ჩამორჩება მის ჩვეულ შემოქმედებითს სიმაღლეებს, მაგრამ მაინც ცხადია რეჟისორის ოსტატობა, რის ახალ გამოვლინებებს ისევ ელოდება მაყურებელი, – ის მაყურებელი, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ კინორეჟისორი მართლაც ღმერთკაცად მიაჩნდა.

მარტი, 1996

P.S. ოცდამეერთე საუკუნეშიც ვაიდამ კიდევ გადაიღო რამდენიმე ფილმი და ისევ დგამდა სპექტაკლებს, თუმცა მათ მაყურებლის ნაკლები გამოხმაურება ხვდა წილად.

ანჯეი ვაიდა 2016 წლის 9 ოქტომბერს, ოთხმოცდაათი წლისა, ვარშავაში გარდაიცვალა.

ოქტომბერი, 2022

10

წმიდა გიორგის დღე ინგლისში

წმიდა გიორგის მოხსენიების დღეს ქრისტიანები აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, – როგორც რომაული, ისე ბიზანტიური ტრადიციის მიმდევრები, – ერთდროულად, 23 აპრილს, აღნიშნავენ (რაც საქართველოს საპატრიარქოში დამკვიდრებული იულიუსის კალენდრით, 6 მაისს შეესაბამება).

ეს დღესასწაული, ჩვეულებრივ, ზედმეტ ან ნაკლებ გამოხმაურებას მოიპოვებს ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებით ახარებს იმათ, ვისაც თავად ჰქვია გიორგი, – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი (თავისი მრავალფეროვანი სახესხვაობებით).

თუმცა წლევანდელი წელი გამორჩეული აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც წმიდა გიორგის დღეს, რომელიც ინგლისში ეროვნულ დღესასწაულადაა მიჩნეული, ბრიტანულ მასმედიაში საკმაოდ მწვავედ წამოიჭრა ინგლისელთა თვითიდენტიფიკაციის, მათი ეროვნული მეობის საკითხი.

ერთი მხრივ, შოტლანდიელებისა და უელსელების მცდელობამ, რაც შეიძლება მკვეთრად გამოხატონ თავიანთი განსხვავებულობა ინგლისელთაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპული ინტეგრაციის შეუჩერებელი პროცესი, რასაც ინგლისში განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვამენ, განაპირობებს ამ ბოლო ხანს სულ უფრო გახშირებულ ძიებასა და ჩაფიქრებას, თუ მაინც ვინ არიან და რა განსაკუთრებულობით ხასიათდებიან თავად ინგლისელები (და არა, საერთოდ, ბრიტანელები!).

ბრიტანეთის იმპერიის დაცემამ ინგლისელები საკუთარი თავის პირისპირ დააყენა, ხოლო მსოფლიოს გლობალიზაციამ კი განაპირობა ყურადღების განსაკუთრებული დაძაბვა მცირე ჯგუფების რაობისა თუ ვინაობის მიმართ. ამ პრობ-

ლემებმა კი, – შემთხვევით თუ არაშემთხვევით, – წამოჭრა წმიდა გიორგისა და მისი დროშის თემა, რადგან ეს წმიდანი ინგლისელთა შორის (ისევე როგორც საქართველოში), არა მარტო ქვეყნის მფარველად, არამედ ქვეყნის სიმბოლოდაცაა მიჩნეული.

როცა ინგლისელები თავიანთ დღესასწაულებს აღნიშნავენ, შენობებზე სწორედ ამ წმიდანის დროშას გამოფენენ ხოლმე; ინგლისელი რაინდები ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნიდან წმიდა გიორგის ნიშნით, მისი ემბლემით იყვნენ დამშვენებული; ინგლისელთა მეფე რიჩარდ მეორე წმიდა გიორგის დროშით, თეთრ ფონზე აღბეჭდილი წითელი ჯვრით იბრძოდა; სახელგანთქმულ უილტონის დიპტიქზეც მეფე, წმიდა გიორგის დროშით ხელში, თავის ქვეყანას ქალწულ მარიამს ავედრებს; დღევანდელი მსოფლიოს გზატკეცილებზე ინგლისელთა მანქანები თეთრფონიანი წითელი ჯვრით გამოირჩევა; ფეხბურთის ინგლისელი გულშემატკივრები თეთრად შეღებილ სახეებს წმიდა გიორგის წითელი ჯვრით გადაისერავენ ხოლმე.

ასე გრძელდებოდა საუკუნეებისა თუ ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ ამჟამად და ყოველწლიურად სულ უფრო მატულობს განსაკუთრებული ყურადღება წმიდანის მიმართ, – წელს, მაგალითად, ინგლისის ტურისტულმა საგენტომ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში საგანგებოდ აღინიშნება წმიდა გიორგის კვირეული.

თავად კაპადოკიელ წმიდანს, რომაელ მხედარს, რომელიც, სავარაუდოდ, ქრისტეს შობის შემდეგ მესამე საუკუნეში, დღევანდელი თურქეთის მიწაზე ცხოვრობდა, ისტორიულად, ბიოგრაფიულად ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო არც ბრიტანეთის კუნძულებთან და არც, საერთოდ, ევროპასთან, მაგრამ უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში მეომარი მოწამის სახელი განსაკუთრებული თაყვანისცემით გავრცელდა მთელ ევროპაში. გველეშაპთან მებრძოლი წმიდა გიორგის სახეს და სახელს ძველი კონტინენტის თითქმის ყოველ ქვეყანასა და კუთხეში შეხვდებით, მათ შორის, ევროპისაგან მეტ-ნაკლებად მოშორებულ რუსეთშიც, სადაც ის ქვეყნის დედაქალაქის, მოსკოვის, მფარველადაა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ, რომის კათოლიკე ეკლესიის ოფიციალური განცხადებით, წმიდა გიორგი ოდენ ლეგენდური, აპოკრიფული პერსონაჟია, ეს წმიდანი თავიანთ პატრონად მიაჩნიათ არა მარტო ქართველებსა თუ ინგლისელებს, არამედ ევროპის არაერთ ერს, ყველაზე შორეული პორტუგალიელების ჩათვლით, კიდევ მეტი, ეთიოპელებსაც, – აფრიკაში მცხოვრებ ძველთაძველ ქრისტიანებს.

წმიდა გიორგის ქართული ფერწერული, ჭედური და მინანქრული ხატების გარდა, მსოფლიოს სხვადასხვა ტაძრებსა თუ მუზეუმებში შეხვდებით წმიდანის ბერძნულ, იტალიურ, გერმანულ, ინგლისურ სახეებას, მათ შორის, პაოლო უჩელოსა და ჯოვანი ბელინის ბრწყინვალე ფერწერულ ტილოებს.

ზოგჯერ ირონიით აღნიშნავენ ხოლმე, რომ ინგლისელთა უმრავლესობას წმიდა გიორგი და მისი ჯვარი ლამის ინგლისის სინონიმებად მიაჩნია, თუმცა ცნობილია, რომ არა მარტო წმიდა გიორგის თაყვანისცემა, არამედ ეს წითელი ჯვარიც, ჯვაროსანთა საყოველთაო სიმბოლო, მთელ ევროპაში იყო გავრცელებული. ამიტომ ისინი, ვინც ბრიტანეთის მომავალს ევროპულ სივრცეში ხედავს, თავს იმით იიმედებს, რომ, ეროვნული თვითცნობიერების გასაფართოებლად, შესაძლოა, ეს გატაცება არცთუ ზედმეტი იყოს, რადგან ინგლისელებს ცხადად დაანახებს, რომ მათ, ევროპის სხვა ხალხებთან, – მათ შორის, ქართველებთან, – ერთად, ეროვნული სიმბოლოებიც საერთო ჰქონიათ.

აპრილი, 1996

11

რუსეთი და ევროპა

ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ხანა, როცა ყურადღება რუსეთის მიმართ მიმქრალიყოს, – ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებდა მისი ტერიტორიული ზომებიც და ტერიტორიული მდებარეობაც, მოსახლეობის რაოდენობაც და განვითარების ხვეულებიც, მეზობლებთან საჭირბოროტო ურთიერთობაც და ფართო საერთაშორისო მისწრაფებანიც.

დღესაც ბევრი იწერება ახალი რუსეთის, მისი პერსპექტივებისა და შესაძლო მომავლის შესახებ, რადგან ქვეყანა კიდევ ერთ ისტორიულ მოსაბრუნთან აღმოჩნდა.

რუსეთის ისტორიას საუკუნეების განმავლობაში მსჭვალავს მეტად მწვავე, საჭირბოროტო, ტრაგიკული შეკითხვა: არის თუ არა ევროპული ქვეყანა რუსეთი და მიჰყვება თუ არა ის საერთოევროპული განვითარების ტრადიციებს? იქნებ მას ღმრთისაგან ერგო განსაკუთრებული ბედი, რის გამო ის მკვეთრად უნდა გაემიჯნოს დასავლურ ცივილიზაციას? ეს განსაკუთრებულობა, სიმართლე რომ ითქვას, მართლაც თვალშისაცემია, მაგრამ შემფასებელნი მას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ: თუ ერთნი მას უპირატესობად მიიჩნევენ და ამაღლებულად საუბრობენ რუსეთის მისიის შესახებ კაცობრიობის წინაშე, მეორენი მის უჩვეულობაში წყევლასა და უბედურებას ხედავენ, რაც არამც და არამც არ აძლევს საშუალებას ამ უზარმაზარ ქვეყანას, ნორმალური განვითარების ჩარჩოებში წარმართოს თავისი ისტორია.

აშკარაა, რომ პეტრე დიდის ყბადაღებულ მცდელობას, ფანჯარა გაეჭრა ევროპაში, – რაც, უპირველესად, გამოიხატა ჭაობიან ადგილას დედაქალაქის აშენებით, ბოიართა წვერის გაკრეჭით, უკმაყოფილოთა თავების მოკვეთით, – შედეგად ის მოჰყვა, რომ მოსახლეობა მკვეთრად გაიხლიჩა

ორ ნაწილად, ორ არათანაბარ, მაგრამ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად, რომელთაც ერთმანეთთან ცოტა რამ ჰქონდა საერთო: ერთი მხრივ, ეს იყო სანკტპეტერბურგული, ევროპული კულტურის მატარებელი დახვეწილი ფენა და, მეორე მხრივ, მრავალათეულმილიონიანი რუსული მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა თავისი ადათებით, რაც, ფაქტობრივად, წარმართული წარსულისა და მონგოლური მემკვიდრეობის ნაერთს წარმოადგენდა.

ალბათ, კანონზომიერი იყო, რომ რუსეთს ორი დედაქალაქი ერგო წილად: მოსკოვი და პეტერბურგი. მართალია, ორი დედაქალაქი, – ფაქტობრივი თუ იურიდიული, – იშვიათი შემთხვევა არაა მსოფლიო ისტორიასა თუ პოლიტიკურ გეოგრაფიაში, მაგრამ რუსეთში ის სწორედ იმ მკვეთრ დაპირისპირებასა და ურთიერთგაუგებრობას გამოხატავს, რომელიც ჩრდილოურ დედაქალაქსა და ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას შორის წარმოიშვა. პეტერბურგული არისტოკრატიული თუ ინტელექტუალურ-სახელოვნო წრეების წარმომადგენლებს ბევრად უფრო მეტი საერთო ჰქონდათ ვენელ და პარიზელ, ლონდონელ და ფლორენციელ თანამოსაუბრეებთან, ვიდრე მათი სამშობლოს უკიდეგანო ტრამალებზე მცხოვრებ, ცივილიზაციას მოწყვეტილ "მუჟიკთან" (სხვათა შორის, ადამიანთა კულტურული ფენის აღმნიშვნელი საგანგებო ცნება "ინტელიგენცია" რუსულ ნიადაგზე აღმოცენდა და რუსეთს მიღმა მას სრულიად განსხვავებული შინაარსი აქვს.).

პეტრეს სასტიკმა მცდელობამ, ჩაერთო რუსეთი საერთოევროპული ცხოვრების მდინარებაში, განაპირობა რუსული კულტურის მძლავრი და გამაოგნებელი ნახტომი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპის სულიერ ისტორიაზე, მაგრამ მთლიანი რუსეთის ცხოვრებაში მას დიდად არაფერი შეუცვლია: ცივილიზაცია, ცივილიზებული ცხოვრების წესები რუსეთის მასებისათვის ისეთივე უცხო დარჩა, როგორც იყო ივანე მრისხანისა და ბორის გოდუნოვის დროს. ხოლო ამ ეპოქასა და ცხოვრების შესაბამის წესს განასახიერებდა მოსკოვი, რომელიც არასოდეს ყოფილა ევროპული ქალაქი.

ის შინაარსი, რაც ევროპელობაში იგულისხმება, მოითხოვს რამდენიმე აუცილებელი კომპონენტს, რომელთაგან ვერცერთი ვერ მიიჩნევა რუსეთის ისტორიის განმაპირობებელ საწყისად ან შემადგენელ ნაწილად: ევროპული ცივილიზაცია აღმოცენდა ანტიკური კლასიკური მემკვიდრეობისა და რომაული სამართლის საფუძველზე, რასაც შუა საუკუნეებიდან რომის კათოლიკე ეკლესიის გადამწყვეტი მნიშვნელობა დაემატა.

რუსეთში, ისტორიული თუ გეოგრაფიული მოწყვეტილობის გამო, ანტიკურ ტრადიციებს შეუდარებლად უფრო ნაკლები მნიშვნელობა და გამოძახილი ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლურ, აზიურ (უწინარესად, თათრულ-მონგოლურ) გავლენას.

არც რომაული სამართალი, მისი უნივერსალური იურიდიული პრინციპებით, გაბატონებულა როდისმე, – თუნდაც მცირე ხნით, – რუსეთის მიწაზე. ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის სამართლებრივი შეგნება სრულიად განუვითარებელი და ჩამოუყალიბებელია. რუსულ ქრონიკებში, – სახელმწიფოს დაფუძნებიდან დღემდე, – ალბათ, მხოლოდ რამდენიმე უღიმღამო შემთხვევა გაკრთება, როდესაც თითზე ჩამოსათვლელი დღეების განმავლობაში უფროსის – "ნაჩალნიკის" ნება უფრო მაღლა არ იდგა, ვიდრე ყველა კანონი და ყველა წესდება. სწორედ ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ის შეუვალი ავტორიტეტი და დამთრგუნველი ძალა, რაც ჩინოვნიკურ-კანცელარიულ სამყაროს ეკავა რუსეთის ცხოვრებაში და რის შორეულ ანალოგიასაც ხელოვნებაში მხოლოდ ფრანც კაფკას სიურრეალისტურ-ფანტასტიკურ თხრობაში თუ ვიპოვით. ქვეყნის ცხოვრებაში მოხელეთა განმსაზღვრელი ადგილის ისტორიულ პარალელად (ესეც ფერმკრთალი პარალელია!) მხოლოდ ჩინეთის კონფუციურ იერარქიულ სისტემას თუ გავიხსენებთ, მაგრამ ესეც ხომ აზიური ტრადიციაა, თანაც შეუდარებლად უფრო მოწესრიგებული და გამართული, თორემ გოგოლისა და ჩეხოვის მოთხრობები ევროპელი მკითხველისათვის გენიალური მხატვრული გამოგონების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე ნამდვილი ცხოვრებისეული გამოცდილების შეგრძნებას.

რომის კათოლიკე ეკლესიას, რომლის მიმართ მორჩილებამ თუ დაპირისპირებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ევროპის იერის ჩამოყალიბებაზე, თითქმის არავითარი კვალი არ დაუჩნევია რუსეთის ისტორიაში, თუ არ ჩავთვლით იეზუიტების ფრაგმენტულ გაკრთომას სამეფო თუ სწავლულ წრეებში, ან რუსული კულტურის ორიოდე წარმომადგენლის მიერ კათოლიკობის მიღებას, რაც მათი პირადი ბიოგრაფიის ფაქტად რჩება და რასაც არაფერი აქვს საერთო რუსეთის ისტორიულ-კულტურულ ორიენტაციასთან.

საპირისპიროდ, რუსეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბერძნულ-სლავურ ეკლესიას და მსგავსად იმ იმპერიისა, რომლის მემკვიდრედაც მიიჩნევდა თავს მოსკოვის სამეფო, – ბიზანტიის კვალობაზე, – ეკლესია, უმთავრესად სახელმწიფოს ნაწილი, სახელმწიფო დაწესებულება იყო. ამგვარი ვითარება უკიდურესობამდე მიიყვანა პეტრე დიდმა, რომელმაც რუსული ეკლესია, ფაქტობრივად, იმპერიის ერთ-ერთ სამინისტროდ აქცია და, საპატრიარქო საყდრის გაუქმების შემდეგ, მას სახელმწიფო მოხელე ჩაუყენა სათავეში.

რუსეთი სწორედ ბიზანტიურ მემკვიდრეობაზე აცხადებდა გამორჩეულ პრეტენზიას, რის გამო ქვეყნის წამყვან სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად "მესამე რომის" კონცეფცია გამოცხადდა. როცა 1453 წელს ოსმალოთა ძლევამოსილი შეტევის შედეგად კონსტანტინოპოლი დაეცა და აღმოსავლელ ქრისტიანთა უმთავრესი სალოცავის – წმიდა სოფიოს, აია სოფიის, ტაძრის – გუმბათზე ისლამური ნახევარმთვარე აღიმართა, მოსკოველმა სახელმწიფოებრივმა და საეკლესიო წრეებმა თავიანთი დედაქალაქი "მესამე რომად" გამოაცხადეს, რაკი კონსტანტინოპოლის ოფიციალური სახელწოდება ახალი, ანუ მეორე რომი იყო. მაშინვე გაჩნდა ცნობილი აფორიზმი, რომელიც განმსჭვალულია რუსეთის განსაკუთრებული მისიის შეგნებით: "პირველი რომი დაეცა, მეორე რომი დაეცა, მესამე რომი დგას, ხოლო მეოთხე არასოდეს იქნება" (სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის პირველი დაცემის შემდეგ, – როცა 1204

წელს დედაქალაქი ჯვაროსნებმა დაარბიეს, – მაშინდელი ძლევამოსილი საქართველოს სამეფოც გამოხატავდა სურვილს, საკუთარ მხრებზე აეღო ბიზანტიური მემკვიდრეობის ტვირთი: თამარის კარის პოეტი თავისი ქვეყნის დედაქალაქს უწოდებდა "ახალ რომს", რაც, ფაქტობრივად, იმავე მესამე რომს ნიშნავს). მოსკოვის, როგორც "მესამე რომის", იდეოლოგია იმდენად მსჭვალავდა მთელ რუსულ პოლიტიკურ ცნობიერებას, რომ დედაქალაქის ჩრდილოეთით გადატანის შემდეგაც არ მიუტოვებიათ გაცხადებული მისწრაფებანი, თუმცა, შესაძლოა, შეჯიბრი უკვე უშუალოდ პირველ რომთან მიმდინარეობდა (რასაც მეტყველებს სანკტპეტერბურგის არქიტექტურაც, რომელიც მნიშვნელოვანწილად რომის პაპის სატახტო ქალაქს უწევს ქიშპობას). არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ "მესამე ინტერნაციონალის" ლენინურ-ტროცკისტული აგრესიულ-ინტერნაციონალისტური (თავისი არსით – იმპერიალისტური) მოძრაობა, იმავე "მესამე რომის" იდეის ანარეკლი და გაგრძელება იყო მეოცე საუკუნის ვითარებაში. პოლიტიკური ამბიციების უცილობელი დომინანტურობის გათვალისწინებითაც კი, ნამდვილად შესამჩნევია, რომ რუსეთს მართლაც ბევრი საერთო რამ ჰქონდა მრავალეროვან, უზარმაზარ, სამოხელეო-სტაგნაციურ ბიზანტიასთან (თავისთავად ძლიერი აზიური მუხტით), რომლის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა შიშს, ეჭვს, დასმენას, მუხანათობასა და ძალადობას.

უთუოდ გულუბრყვილობა იქნებოდა, ვინმეს უარეყო იმავე მანკიერებათა არსებობა იმდროინდელ დასავლეთ ევროპაში, მაგრამ როცა ევროპულ ქვეყნებში პირველი, ჩანასახოვანი პარლამენტები ჩნდებოდა, როცა სასამართლო ძალას იკრებდა და კანონი ხანდახან მეფეებსა და იმპერატორებსაც კი უბედავდა ყურის მტკივნეულ აწევას, კონსტანტინოპოლის სამეფო კარსა და იმპერიის პროვინციებში სახელმწიფო მმართველობა უცვლელად რჩებოდა: მოხელისა თუ კარისკაცის ნება მხოლოდ მორჩილებასა და აღსრულებას მოითხოვდა. როცა ევროპაში შეუჩერებლივ იცვლებოდა პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრება, როცა

ევროპა იმ გაგებით ევროპული ხდებოდა, რაც ამ ცნების მრავალგანზომილებიან შინაარსში იგულისხმება, რუსეთმა გადაწყვიტა, დაეცვა და შეენახა ბიზანტიური მემკვიდრეობა, რომლის დაკონსერვების იმგვარი ოსტატობა გამოავლინა, რომ აგერ, მეოცე საუკუნის მიწურულშიც კი ახერხებს მის შენარჩუნებას.

ბიზანტია, პირველ ყოვლისა, იმპერია იყო, რუსეთიც დღემდე ელოლიავება იმპერიის იდეას. მაშინ, როცა ცივილიზებული სახელმწიფოები მთელ ყურადღებას ქვეყნის შინაგანი განვითარებისაკენ მიმართავდნენ და მიმართავენ, რუსეთის ერთადერთი მიზანი ქვეყნის გარეთ იყო მიმართული: საზღვრების უფრო და უფრო შორს გადატანაზე მნიშვნელოვანი მიზანი რუსეთს არასოდეს ჰქონია და ჯერჯერობით ვერც რუსი ადამიანების ცნობიერებასა თუ მისწრაფებებში მოინახა უფრო შთამაგონებელი იდეა. როცა თანამედროვე რუსეთის ერთი პოლიტიკური ლიდერი აცხადებს, რომ რუსული სული ვერ მოისვენებს, სანამ რუსი ჯარისკაცი ინდოეთის ოკეანეში არ გარეცხავს თავის ჩექმას, შესაძლოა, ეს სიტყვები ამ განცხადების ავტორისათვის ჩვეულ ტაკიმასხარობად იქნეს მიჩნეული, მაგრამ ისტორიულ ქრონიკებში იმის ამოკითხვაც შეიძლება, რომ ერთ დროს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა კაზაკები გაგზავნა ინდოეთში საომრად.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონი ეგვიპტური პირამიდების ქვეშ იბრძოდა და, რა თქმა უნდა, კიპლინგი ხოტბას ასხამდა თეთრი ადამიანის მისიას ინდოეთში, მაგრამ ეს დღეს ევროპის წარსულს ეკუთვნის, – რუსეთი კი ან წარსულს ეკუთვნის, ან ევროპას არ ეკუთვნის. შესაძლოა, ორივე ეს მოსაზრება სწორია და ერთმანეთს არც უშლის ხელს. ყოველი შემთხვევისას, თავად რუსეთში ყოველთვის ძლიერი იყო ის მიმართულება, ის სწრაფვა, რომელიც რუსეთის განსხვავებულ გზას სიამაყით შესცქეროდა. ათწლეულების განმავლობაში რუსეთში არ შეწყვეტილა კამათი ეგრეთ წოდებულ "სლავიანოფილებსა" და ეგრეთ წოდებულ "ზაპადნიკებს" შორის. თუ პირველები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის იდუმალი სული საკუთარი გზით

მიდის და ევროპული განზომილებებით მისი შეფასება, წარმართვა და გაშალაშინება მხოლოდ მკრეხელობად შეიძლება შეფასდეს, მეორენი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის ერთადერთი ხსნა და მომავალი ევროპული საჯარო-სამოქალაქო კანონზომიერებისა და კანონების მიდევნებაა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ძნელია ამ დაჯგუფებათა შეფასებისას რომელიმეს მიენიჭოს უპირატესობა ინტელექტუალური საზომებით: ორივე ბანაკს უეჭველად ამშვენებდნენ აზრისა და სიტყვის ოსტატები, – მაგალითად, თუ "ზაპადნიკებს" ტურგენევი და გერცენი მიეკუთვნებოდნენ, "სლავიანოფილებს" ტიუტჩევი და დოსტოევსკი წარმოადგენენ. კომუნიზმის ბატონობისას ამ მწვავე ბრძოლას შეფარული სახე ჰქონდა მიღებული, ხოლო როგორც კი ვინმე და სადმე კომუნისტური იდეოლოგიური კლიშეებისაგან თავის დაღწევას მოახერხებდა, უმალ გამომჟღავნდებოდა რუსეთის მოუგვარებელი, გადაუჭრელი და ამოუწურავი პრობლემა: ევროპის გზით თუ საკუთარი გზით?

შემთხვევითი არც ის იყო, რომ კომუნიზმის ურჩხულთან შერკინებული ორი ყველაზე გამოჩენილი რუსი მებრძოლი – ალეკსანდრ სოლჟენიცინი და ანდრეი სახაროვი – ამ საბედისწერო შეკითხვის წამოჭრისას ერთმანეთს დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ. მათი კამათის სწორად, საღად გააზრება დღესაც ნამდვილად ფასეულია.

ევროპაა თუ არა რუსეთი? ბოლოს და ბოლოს გაჰყვება თუ არა რუსეთი ევროპის გაკვალულ და გამოცდილ გზას? გახდება თუ არა რუსეთი ევროპულ მისწრაფებათა ქვეყანა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად წლებისა თუ ათწლეულების განმავლობაში ბევრი მელანი და, რაც უფრო სამწუხაროა, ბევრი სისხლი დაღვრილა.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რომანისტი – ეროვნებით რუსი ფიოდორ დოსტოევსკი – ამბობდა, რომ რუსეთს ყველასი ესმის, რუსეთის გაგება კი არავის ძალუძს. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი – ეროვნებით რუსი ფიოდორ ტიუტჩევი – იმასაც ამბობდა, რომ რუსეთის გაგება შეუძლებელია. სხვადასხვა ერის ფილოსო-

ფოსთა, ისტორიკოსთა თუ კულტურის მკვლევართათვის ამ საკითხების ირგვლივ ფიქრი და მსჯელობა, ალბათ, მიმზიდველია. ყოველი ქართველისათვის ეს გადარჩენისა და ყოფნის პრობლემაა: იმაზე, სწორად გავიგებთ თუ ვერ გავიგებთ, ან არ გავიგებთ, რა არის რუსეთი, ხომ ამდენი რამ არის დამოკიდებული, – თუნდაც ჩვენი წარსული, აწმყო, მომავალი.

აპრილი, 1996

12

ფოტო იტალიური ლიტერატურის ისტორიიდან

ქალაქის ძველ უბანში, მთის კალთაზე, დამტვრეული და დამტვერილი ქუჩის მარჯვენა მხარეს, დგას იტალიური კულტურის ინსტიტუტის შენობა, სადაც დღისით იტალიურ ენას ასწავლიან, ხოლო საღამოობით იტალიურ ფილმებს უჩვენებენ. თავად აივნიანი სახლი შესამჩნევად მორყეულა და ფერიც დაუკარგავს, რადგან დიდი დრო გასულა, რაც აქაურ ოთახებში სამხრეთიდან ჩამოსული მკურნალები ადგილობრივ სნეულებს უვლიდნენ.

ნაგებობის ერთ დარბაზში ჭერამდე აღმართულ, წიგნებით გადაჭედილ თაროებზე ყველაფერი ის ღირებული ჩამწკრივებულა, რაც იტალიურად დაუწერიათ, დაწყებული წმიდა ფრანცისკე ასიზელის "საგალობლით ძმა მზის მიმართ". დარბაზის სიღრეში, ჩამქრალი ბუხრის თავზე დანტე ალიგიერის შავი მარმარილოს ქანდაკება დგას.

წიგნსაცავის მარცხენა კუთხეში, ფანჯარასთან, ყველაზე ქვედა თაროზე იტალიური ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა გამოცემა ალაგია. ერთ-ერთი მათგანი, უზარმაზარი, ბევრი ტექსტითა და ბევრი ფოტოთი აღსავსე, მეოთხედი საუკუნის წინათ დაუბეჭდავთ, – 1960-1970-იანი წლების მიჯნაზე.

წიგნის გადათვალიერებისას, ბოლო გვერდებისაკენ უცებ თვალს ხვდება მკრთალი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ინდუსტრიული პეიზაჟი: მრავალსართულიანი, უსახური, სარეცხგადმოფენილი კორპუსის წინ კალათბურთს თამაშობენ შინაურულად ჩაცმული ყმაწვილები, რომელთაგან ზოგიერთი წელამდე გაშიშვლებულა და რომლებიც ერთმანეთს ბურთს აწვდიან. მათგან ოდნავ

მოშორებით, ოდნავ გვერდულად დგას გამხდარი პოეტი, – უხინჯოდ ნატიფი: შავი კოსტიუმით, თეთრი პერანგით, ჰალსტუხით. იგი მათკენ შებრუნებულა, თვალყურს ადევნებს, მაგრამ მონაწილე არაა, უფრო მაყურებელია... თან მიახლოებულა და თან არც აპირებს მათში გარევას, თან მათთან ყოფნაც იზიდავს და თან სხვა, შორეულ, იდუმალ სამყაროსაც აყურადებს...

ფოტოს ქვეშ წარწერაა: "პიერ პაოლო პაზოლინი ბიჭებთან".

მაისი, 1996

13

ბასკური ნაციონალიზმი ტერორიზმის სახით

წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც 1995 წლის იანვარში ბასკმა ტერორისტებმა სან სებასტიანოს მერი სიცოცხლეს გამოასალმეს, ხოლო მთელ ესპანეთში ისევ არ ცხრება აფეთქებები, სროლები, პოლიტიკური მოტაცებანი და მკვლელობები. ამ ტერორისტულ ქმედებათა უკან უმეტესწილად ბასკური ნაციონალისტური ორგანიზაციები დგას.

ამდენად, ახლა ნამდვილად საჭირბოროტო გამხდარა თვალის გადავლება ბასკური ნაციონალიზმისა და მისი ძირებისათვის.

როდესაც 778 წელს რონსევალის ხეობა კარლოს დიდის ათასკაციანი მხედრობის გვამებით მოიფინა, – რომელთა შორის იყო მამაცი მეომარი როლანდიც, – ბასკები გამარჯვებას ზეიმობდნენ. სიყმაწვილიდანვე არაერთი ევროპელისა თუ არაევროპელისათვის ნაცნობი "სიმღერა როლანდზე" სწორედ ამ ცნობილ ბრძოლას აღწერს, – სისხლიანს, დაუნდობელს, სასტიკს, – ბრძოლას ფრანკებსა და ბასკებს შორის.

იმ დროიდან ბასკებს მოძალადეებად და ბარბაროსებად მიიჩნევენ, თუმცა მაშინ თავად ევროპის მომავალი ცივილიზებული ერები უმეტესად არაცივილიზებულნი და სასტიკები იყვნენ. ბასკებს კი ეს სახელი გვიანობამდე შერჩათ, – სიმართლე რომ ითქვას, აგერ, მეოცე საუკუნემდე. არცთუ სასიამოვნო ეპითეტები საუკუნეების განმავლობაში არ მოშორებიათ მათ: ისიდორე სევილიელი, ადრექრისტიანული ესპანეთის მთავარი მასწავლებელი, მათ "კანტაბრიის საფრთხობელას" უწოდებს, ხოლო გრიგორ ტურსელი, ფრანგული კულტურის ერთ-ერთი მესაფუძვლე, ბასკებს დამრბევებად, მოთარეშეებად და შეურაცხადებად ხატავს. კაროლინური

ეპოქის, ანუ კარლოს დიდის დროინდელი ქრონიკები აღსავსეა სტრიქონებით, სადაც აღწერილია ბასკების გამანადგურებელი თარეშობანი. სინამდვილე კი, როგორც ყოველთვის, ცოტა სხვაგვარი იყო: ნავარის სამეფო თავისი დიდების უმაღლეს მწვერვალზე, მეთერთმეტე საუკუნეში, მიჩნეული იყო არა მარტო კულტურული ცხოვრების გამორჩეულ კერად, სადაც მკაფიოდ იგრძნობოდა ასტურიული, არაგონული, დასავლეთფრანგული და ანგლოსაქსური გავლენა, არამედ წარმოადგენდა იმგვარ სახელმწიფოს, რომლის სამართლებრივი ნორმები, – განსაკუთრებით მეფე სანჩო დიდის დროს, – სანიმუშო აღმოჩნდა ცნობილი ბრიტანული დოკუმენტისათვის – ”Magna Charta Libertatum”. სხვადასხვა ხანაში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელმა სახელმწიფომ – ნავარის სამეფომ – საბოლოოდ თავისი არსებობა შეწყვიტა მეთექვსმეტე საუკუნეში, ერთიანი ესპანური სამეფოს შექმნისას, რასაც შედეგად მოჰყვა ბასკი არისტოკრატიისა და უმაღლესი საეკლესიო წრეების სწრაფი ესპანიზაცია. ხოლო 1512 წელს, კასტილიელთა თავდასხმის შედეგად, დაეცა ბასკების უკანასკნელი ბასტიონი – ნავარის ციხე-სიმაგრე.

ამდენად, ესპანელებისა და ბასკების ურთიერთეჭვი თუ ურთიერთსიძულვილი საუკუნეებს ითვლის. ამავე მიზეზითაა განპირობებული ბასკების პრინციპული უნდობლობა ყოველივე ახლის, ყოველივე ნოვატორულის მიმართ, – რადგან სიახლე ყოველთვის მადრიდიდან ან პარიზიდან მოდიოდა, ხოლო ბასკების ღრმა რწმენით, იქიდან მათთვის კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი. ამავე გრძნობებს ეფუძნება მათი გამორჩეული ტრადიციონალიზმი, კონსერვატიულობა და თავდადებული რელიგიურობა, – ბასკებმა იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში სწორედ კათოლიკე ეკლესია იცავდა მათს ენას და ეროვნულ საგანძურს.

ბასკები უეჭველად ევროპაში მოსახლე ერთ-ერთი უძველესი ერია. მართალია, ისინი, ვისთვისაც ბასკური ერთადერთი სალაპარაკო ენაა, მცირედ აღემატება ნახევარ მილიონს, მაგრამ, საანკეტო მონაცემებით, ის მშობლიურ ენად მიაჩნია დაახლოებით სამ მილიონ ადამიანს, რომელთა უმრავლესობა ესპანეთში ცხოვრობს.

პოლიტიკური აქტიურობა ბასკებს შორის მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან იღებს სათავეს, – იმ დროიდან, როცა ბასკმა ინტელექტუალებმა და მეწარმეებმა საფუძველი ჩაუყარეს ბასკთა ეროვნულ პარტიას. ეს პარტია დღემდე არსებობს, მაგრამ თავისი არსებობის განმავლობაში მან სახეცვლილებათა გრძელი გზით იარა. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ის რესპუბლიკელთა მხარეს აღმოჩნდა და 1936 წლის 7 ოქტომბერს ბასკეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადა. უნდა ითქვას, რომ ბასკების უმრავლესობა ეროვნულ პარტიას თანაუგრძნობდა და, შესაბამისად, რესპუბლიკელთა მხარეს გულშემატკივრობდა, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ ბასკების მოზრდილი ნაწილი, – ფაქტობრივად, მესამედი, – გენერალ ფრანკოს უჭერდა მხარს. ნავარელებმა, მაგალითად, ფრანკოსეული ჯარის ელიტური შემტევი ბირთვი ჩამოაყალიბეს და "ბანდერას ნავარასი" იმგვარივე მგზნებარებით, თავდადებით იბრძოდა ფაშისტური იდეებისათვის, როგორც ეროვნული პარტიის წევრები – რესპუბლიკისათვის.

რესპუბლიკური ორიენტაციის ბასკებისათვის ომის შედეგები სასოწარმკვეთი აღმოჩნდა: ორმოცდაათი ათასი დახოცილი, ასი ათასი პატიმარი, ორასი ათასი ემიგრანტი და დაახლოებით ათასამდე დახვრეტილი მძევალი (მათ შორის თერთმეტი პირი უმაღლეს სამღვდელოებას ეკუთვნოდა), კიდევ, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი: 1937 წლის 26 აპრილს ჰიტლერული ესკადრილიის თავდასხმამ მთლიანად გაანადგურა ბასკთა სახელმწიფოებრიობის წმიდათაწმიდა ადგილი – გერნიკა. ამ დაბომბვამ ფერწერის ისტორიას პიკასოს სახელგანთქმული ნახატი შესძინა, მაგრამ ბასკების ცნობიერებაში ის მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა.

ბასკთა ეროვნული პარტია, ბუნებრივია, ფრანკოს გამარჯვებისთანავე აკრძალეს, თუმცა არალეგალურად ის მაინც განაგრძობდა საქმიანობას. პარტია პოლიტიკური ორიენტაციით ახლოს იდგა დასავლეთ ევროპის ქრისტიან დემოკრატთა მემარცხენე ნაკადებთან, რომლებთანაც მას არასოდეს შეუწყვეტია ურთიერთობა, – თავისი პარიზული და ლონდონური ბიუროების მეშვეობით. ხოლო ბასკმა ახალგაზრდებმა თავიანთი ორგანიზაცია შექმნეს: ბევრად უფრო რადიკალური

და მებრძოლი – "ეუსკო გასტედი". ამ ორგანიზაციის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა, თუმცა სრულიად განსხვავებული მიმართულების რაზმებში: დაწყებული – დეგოლისეული "თავისუფალი საფრანგეთით", დამთავრებული – კომუნისტური დაჯგუფებებით. ბასკები, ამავე დროს, მგზნებარედ იბრძოდნენ ბრიტანულ შენაერთებშიც. ის გამოცდილება, რაც ომის დროს იქნა მოპოვებული, – თანამედროვე იარაღის ფლობა, დივერსიული ომის სტრატეგიისა და ტაქტიკის ცოდნა, პროპაგანდისტული შეტევები, – ყველაფერი ის, რაც ბასკმა ახალგაზრდობამ მოკავშირეთა მხარეს ბრძოლებში მოიპოვა, ბასკური ტერორიზმის საფუძველი აღმოჩნდა. ნიშანდობლივი იყო, რომ მედლის ერთ მხარეს წარმოადგენდა საერთაშორისოდ აღიარებული ბასკთა ეროვნული მოძრაობა, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალა, რომელსაც თავისი ემიგრანტული მთავრობაც კი ჰყავდა პარიზში, ან "რადიო ეუსკადი", რომელსაც დიდხანს საფრანგეთის მთავრობა აფინანსებდა, ხოლო, მეორე მხრივ კი, ესპანეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა ტერორისტული ჯგუფები, რომელთაც კონკრეტული გასანადგურებელი სამიზნეები ეგულებოდა: საავიაციო კომპანიებიდან ფრანკისტულ სიმბოლოებამდე.

დღევანდელი ჩვეულებრივი ესპანელისათვის ბასკები ისევ საფრთხობელაა, ან უფრო ზუსტად, სახიფათოა ის ბასკური ორგანიზაცია, რომელიც სამი ასოთი აღინიშნება – "ეტა" (ETA – Euskadi Ta Askatasuna, რაც ნიშნავს "ბასკეთი და თავისუფლება"). ამ ორგანიზაციის წევრი ნაციონალისტების მიზანია ბასკების სახელმწიფოს შექმნა ესპანეთისა და საფრანგეთისა იმ ოლქების ტერიტორიებზე, სადაც ბასკურად ლაპარაკობენ. მათი აზრით, მომავალმა სახელმწიფომ ოცდაერთი ათასი კილომეტრი უნდა მოიცვას, ხოლო მის დედაქალაქად ივარაუდება გერნიკა. ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც აპირებს "ეტა" თავისი მიზნის მიღწევას, ტერორიზმია.

სხვათა შორის, ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდგომ "მოღალატე პროვინციათა" იძულებითმა ესპანიზაციამ გამოაცოცხლა ის ძალები, რომელთაც შემდგომ დაემყარა "ეტა".

დღევანდელი "ეტა" 1959 წლის შემოდგომაზე შეიქმნა კუბის რევოლუციისა და ფიდელ კასტროს ლოზუნგების პირდაპირი გავლენის შედეგად. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა ერთიანი: მასში, მებრძოლ და შეიარაღებულ ნაციონალისტთა გარდა, გაერთიანდნენ ბევრად უფრო მშვიდობიანი სოციალ-დემოკრატები, მაგრამ, ამასთანავე, პროსაბჭოთა კომუნისტები და ტროცკისტები. თუმცა "ეტა"-ს პროგრამა ყოველთვის მაინც რადიკალურად მემარცხენე და სოციალისტური იყო. "ეტა" თავისი არსებობის ყველაზე სახელოვან პერიოდად მიიჩნევს 1960-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1970-იანი წლების პირველ ნახევარს. მართალია, ამ დროს ფრანკოს რეჟიმი უკვე საკმაოდ სახეშეცვლილი იყო, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკისათვის ის მაინც ისევ ფაშიზმად რჩებოდა. ამდენად, ამ ორფეროვან სამყაროში "ეტა" ანტიფაშისტურ და, შესაბამისად, მოწინავე ძალას წარმოადგენდა.

კომუნისტურ-ნაციონალისტური "ეტა" კი არაფერს ერიდებოდა, იქნებოდა ეს მძევლების აყვანა თუ ბანკების ძარცვათა წყება, გერმანიის ელჩის გატაცება თუ მანქანების აფეთქებანი. 1971 წლის შემოდგომაზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ "ეტა" და კასტროსეული რეჟიმი თავს თანამოაზრეებად და თანამებრძოლებად მიიჩნევენ. მოგვიანებით, ამგვარივე დეკლარაცია გამოცხადდა ნიკარაგუელ კომუნისტ სანდინისტებთან. მაგრამ ამჯერადაც ყოველი მოძრაობა, თუ ის მემარცხენე და ანტიფაშისტური იყო, ცხადდებოდა "პროგრესულად".

ფრანსისკო ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, ესპანეთის სამეფოს თანდათანობითი დემოკრატიზაციის პირობებში მოსალოდნელი იყო "ეტა"-ს ლიბერალიზაცია და კანონიერების ფარგლებში საქმიანობა, მაგრამ, როგორც ყველა კომუნისტისათვის, "ეტა"-სათვისაც მიუღებელი იყო დემოკრატიაც და კანონიერებაც. 1980-იანი წლების დასაწყისამდე ტერორისტულ თავდასხმათა მსხვერპლს ბოლო არ უჩანდა. ასე გრძელდებოდა მაშინაც, როცა ბასკეთს უკვე მოპოვებული ჰქონდა ავტონომია, რომელსაც სათავეში ედგა ეროვნული პარტიის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა, ხოლო ბასკთა

ქვეყნის ტერიტორიას ბასკების ეროვნული პოლიცია აკონტროლებდა.

ამ დროს "ეტა"-ს იდეოლოგიურ შეტევებსაც თანდათანობით შეეკვეცა ფრთები. ანტიფაშიზმი სადროშო ლოზუნგად აღარ გამოდგებოდა, მემარცხენე ფრაზებიც იმხანად ესპანეთის სოციალისტურ მთავრობას ჰქონდა დასაკუთრებული. მაგრამ თოფიანი კაცის ფსიქოლოგია ასე ადვილად არ იცვლება, – თოფიანი კაცი იშვიათად თუ გამონახავს მშვიდ სამსახურს.

ამიტომ, ისევ გრძელდება ომი: ბასკი ნაციონალისტ-კომუნისტები იბრძვიან ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, საკუთარი თავის წინააღმდეგაც, – იბრძვიან, რათა თავისი ბრძოლისუნარიანობა, ყველგანმყოფობა და ყოვლისგამსჭვალავობა დაამტკიცონ.

ტერორისტებისათვის, – ისევე როგორც კომუნისტებისათვის, – მეტისმეტად ძნელია ისტორიის სცენის უსისხლოდ დატოვება.

ივნისი, 1996

P.S. 1998 წელს "ეტა"-მ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომ ის აჩერებს ბრძოლას, მაგრამ ამ დაპირებამ ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს გასტანა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდა მოლაპარაკებანი ესპანეთის მთავრობასა და ბასკ ტერორისტებს შორის, თუმცა რიგითი ესპანელებიც და რიგითი ბასკებიც უფრო შეურიგებელნი იყვნენ და შეთანხმებას მიუღებლად მიიჩნევდნენ.

2018 წლის გაზაფხულზე "ეტა"-მ გამოაცხადა, რომ ის შლის თავის სამხედრო შენაერთებს და წყვეტს პოლიტიკურ საქმიანობას.

ოქტომბერი, 2022

14

პანონჰალმის ბენედიქტური სკოლა

რომის იმპერიის ოდინდელი აღმოსავლური პროვინცია – პანონია, რომელიც დღევანდელი უნგრეთის დასავლეთ ნაწილს მოიცავს, მისი გარემომცველი მთების გადმოსახედიდან მშვენივრად ჩანს: ფართო ველზე პატარა სოფლებია ჩამწკრივებული, მოშორებით კი მოჩანს უღრანი და ჩაბნელებული ტყე, საიდანაც უცებ ისეთი მძლავრი ქარი დაუქროლებს ხოლმე, რომ ადამიანს ძვალსა და რბილში გაატანს. ამ ქარისა და სიცივისაგან თავის შეფარება მხოლოდ მთის კენწეროზე წამომართულ მონასტერში თუ შეიძლება, სადაც მოთავსებულია ბიჭების სკოლა, რომელმაც ახლახან თავისი არსებობის ათასი წლისთავი აღნიშნა.

996 წელს მთავარმა გეზამ, უნგრეთის პირველმა ქრისტიანმა ხელმწიფემ, მეფე შტეფანის მამამ, ორი ბენედიქტელი ბერი – წმიდა ბონიფაციუსი და წმიდა ელეკი – უნგრეთში მიიწვია. მანამდე ისინი აღმოსავლეთ ევროპაში ავრცელებდნენ ქრისტიანობას, ახლა კი მათ ძღვნად მიიღეს პანონიის მწვერვალი, სადაც მონასტერს – საბატოს და სკოლას ჩაუყარეს საფუძველი. მომავალი ბერები აქ ლათინურ ენას, ფილოსოფიასა და თეოლოგიას სწავლობდნენ, წერდნენ ლექსებს, ადგენდნენ კალენდარს, უღრმავდებოდნენ ლოგიკურ თუ მეტაფიზიკურ საკითხებს.

ათი საუკუნის განმავლობაში სკოლის საქმიანობა მხოლოდ რამდენჯერმე შეწყდა, და ყოველთვის – ხანმოკლედ, მაგრამ ერთხელ ის ას წელზე ცოტა მეტი ხნით მთლიანად დაიხურა, – ოსმალთა შემოსევისას და მონასტრის დარბევისას.

პანონჰალმის ბენედიქტურ გიმნაზიაში, ევროპისა თუ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს სკოლაში, ბიჭების განსწავლა ახლა ექვსი წელი გრძელდება: სწავლას ისინი თორმე-

ტი წლისა იწყებენ და თვრამეტი წლისა ამთავრებენ. მთელი ამ დროის განმავლობაში ისინი მაღლა, მთის მწვერვალზე ცხოვრობენ, სოფლისა და ქალაქისაგან მეტად მოშორებით.

"ჩვენი გიმნაზია ერთი დიდი ოჯახია, – ამბობს სკოლის დირექტორი, ბენედიქტელი ბერი ტიროლ პორტობადი, – ჩვენი დრო კი მხოლოდ ბიჭებს ეკუთვნის: დღეში ოცდაოთხი საათი და წელიწადში – სამას სამოცდახუთი დღე".

სასწავლებლის შენობა საბატოს იმ ნაგებობასთან დგას, სადაც მეტად ხანშიშესული ბერები ცხოვრობენ, – ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში სკოლას ემსახურებოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ასაკის ტვირთი იგრძნეს, გაკვეთილების ჩატარებაზე უარი თქვეს, მაგრამ სკოლას მაინც არ სწყდებიან და არც უნდათ, რომ მოსწყდნენ. ერთი მათგანი უკვე ოთხმოც წელსაა გადაცილებული, მაგრამ, საკუთარი სურვილით, ყოველდღიურად სკოლის ბიბლიოთეკარს ეხმარება. მეორე ბერი იმ ბიჭებს ამეცადინებს ხოლმე, რომლებიც მინერალებითა და წიაღისეულებით არიან გატაცებული. გიმნაზიაში ორმოცი მასწავლებელი მსახურობს, ოცი მათგანი ბერია, დანარჩენნი ერისკაცები არიან, ისინი – ქალებიცა და მამაკაცებიც – საბატოს გვერდით ცხოვრობენ, ისევე, როგორც მათი შვილები, რომლებიც ასევე, – ოღონდ მხოლოდ ბიჭები, – ამ სკოლაში სწავლობენ.

პანონჰალმის ბიჭების გიმნაზია დახურული ტიპის სასწავლებელია, მაგრამ მოწაფეებს თვეში ერთხელ მაინც შეუძლიათ გაემგზავრონ მშობლებთან, ისინი საზაფხულო არდადეგების ნაწილსაც შინ ატარებენ.

"ჯერ კიდევ სულ პატარა ბავშვი ვიყავი, როცა მშობლებს ამ მხარეში მოვყავდი; მახსოვს, ყოველთვის ვოცნებობდი, პანონჰალმაში მესწავლა, – ამბობს ერთი თექვსმეტი წლის მოწაფე, – თორმეტი წლისა რომ შევსრულდი, ჩვენმა მღვდელმა შუამდგომლობა გამიწია, რათა სწავლა ამ ცნობილ გიმნაზიაში გამეგრძელებინა. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, როგორი ცხოვრება მელოდა აქ. ადრე სრულიად ჩვეულებრივად მეჩვენებოდა, რომ ყოველდღე ვხედავდი გოგონებს და მათთან საუბარი შემეძლო, ახლა კი მხოლოდ ბიჭებთან მიწევს მეგობრობა, მაგრამ მათთან ყოფნა ძალზე სახალისოა. არცერთი

ჩვენგანი ჩაკეტილი ცხოვრებით არ ცხოვრობს, – ჯგუფში ოცდაათი ბიჭი ვართ, მაგრამ ერთმანეთს არ ვშორდებით ხოლმე. მეტად იშვიათად მომხდარა, რომ ვინმე განმარტოებულიყო და საკუთარ თავში ჩაკეტილიყო. ცხოვრება აქ ისე დაძაბული და დატვირთულია, რომ ამოსუნთქვის დრო და საშუალება არ გვაქვს. სიმართლე რომ ვთქვათ, სკოლის მოთხოვნები ძალზე მკაცრია. ხანდახან მოთმინება მიმტყუნებს და ისეთი გრძნობა დამეუფლება, რომ უსასრულო დროით ბანაკში ვარ დამწყვდეული. ასეთ წუთებში ან თავდავიწყებით დავრბივარ გალავნის ირგვლივ, ან მონასტრის კოშკზე ავდივარ, რათა ქვეყანას ზემოდან მაინც გადავხედო”.

“სკოლა, რა თქმა უნდა, იზოლირებულია გარე სამყაროსაგან, მაგრამ ჩვენ ეს დადებით ფაქტორად მიგვაჩნია, – ამბობს სკოლის დირექტორი, – უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან – მაღლა, მთებში – გარემო უფრო ჯანსაღია: აქ სუფთა ჰაერია, ჩვენს ირგვლივ ტყე და ველებია. ფაქტია, რომ მოწაფეები აქ ჯანმრთელობას მეტად იშვიათად უჩივიან და შინ გაკაჟებულნი ბრუნდებიან, მაგრამ მშობლებს თუ ჰკითხავთ, აუცილებლად გეტყვიან, რომ ჩვენს ინტერნატში იმიტომ აგზავნიან შვილებს, რათა ისინი არასასურველი გავლენისაგან დაიცვან, – ბიჭები ხომ აქ ამგვარი საფრთხისაგან ნამდვილად დაზღვეული არიან. აქ ისინი ვერ შეეფეთებიან იმას, რაც ამჟამინდელი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია: მოკაშკაშე რეკლამებს, მაცდუნებელ ვიტრინებს, უხეშობასა და ძალადობას. იქ, ქვემოთ კი, ყოველივე ამასთან შეხვედრა გარდაუვალია. მშობლების სურვილია, მათმა შვილებმა ხუთი-ექვსი წელი იქ გაატარონ, სადაც დარწმუნებული იქნებიან, რომ მკაცრ წესრიგს ვერ გაექცევიან, სადაც დისციპლინასა და თვითდისციპლინას ისწავლიან და შეეჩვევიან. ეჭვი არ გვეპარება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი მოწაფეები პრივილეგიად აღიქვამენ იმას, რომ თავიანთი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი ისეთ დაცულ ადგილას გაატარეს, სადაც მათ საშუალება მიეცათ, უკეთ შეეცნოთ საკუთარი თავი და საკუთარი მონაცემები”.

მეორე მსოფლიო ომამდე უნგრეთში ცხრა ბენედიქტური სკოლა არსებობდა. 1948 წელს, როცა ძალაუფლება კომუ-

ნისტებმა ჩაიგდეს ხელთ, მათი უმრავლესობა სახელმწიფო სკოლებად გადაკეთდა. მხოლოდ ორი მათგანი დარჩათ ბენედიქტელებს, – გიორისა და პანონჰალმის სკოლები. დღეს უნგრეთში ბენედიქტელებს ათი სკოლა აქვთ მინდობილი, მათ შორის ერთი – ბუდაპეშტში.

პანონჰალმის გიმნაზიის მოწაფეები დილით, შვიდის ნახევარზე დგებიან, შვიდ საათზე კი უკვე მეცადინეობას იწყებენ. ყოველი მოწაფის განკარგულებაშია 20-25 წუთი იმის გასააზრებლად, რისთვის უნდა იყოს მზად იმ დღეს, ასევე, თვალი გადაავლოს ნასწავლს და გაიმეოროს დამუშავებული მასალა. რვის ოც წუთზე ყველაზე უმცროსები მიდიან სასაუზმოდ, შემდეგ მათ უფროსები ენაცვლებიან. რვა საათზე უკვე ყველა მოწაფე საკლასო ოთახებშია, გაკვეთილები პირველ საათამდე ან ორის ნახევრამდე გრძელდება. შემდეგ ყველანი სადილად მიდიან. ოთხის ნახევრამდე მოწაფეები თავისუფალი არიან. ამ დროს ისინი ვალდებული არიან, გარეთ იყვნენ – ზოგი ჩოგბურთს თამაშობს, ზოგი – ფეხბურთს ან ხელბურთს, ზოგი ველოსიპედს დააქროლებს, ზოგი წიგნს აიღებს ან სასეირნოდ მიდის ორმოცჰექტარიან ბაღში, რომელიც მონასტერს აკრავს გარს. ოთხ საათზე ისევ სწავლა გრძელდება. შემდეგაც, სამხრის შემდეგ, მოწაფეები ისევ მეცადინეობენ, ოღონდ ამ მეცადინეობას უკვე ურთიერთდახმარების სახე აქვს, ან მოწაფეებს საშუალება ეძლევათ, ბიბლიოთეკაში იმეცადინონ. როცა ბიჭები დავალებას შეასრულებენ, შეუძლიათ ისევ სპორტს მიუბრუნდნენ. შვიდის ნახევარზე ვახშამია, რვის ნახევრიდან კი მოწაფეები გასართობ წრეებში მიეშურებიან: თამაშობენ ჭადრაკს ან სხვადასხვა თავის შესაქცევს, ესაუბრებიან ერთმანეთს, ჰყვებიან სახალისო ამბებს. მათ შეუძლიათ ტელევიზორსაც უყურონ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნებადართულია, რადგან, – თვრამეტწლიანების ჩათვლით, – მათ მხოლოდ იმ გადაცემებისა და ფილმების ნახვის უფლება აქვთ, რომლებსაც მასწავლებლები შეურჩევენ. მონასტერში კინოდარბაზიცაა, სადაც ყოველ ოთხშაბათს ფილმებს – კინოხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს – უჩვენებენ. ფილმის შემდეგ ყოველთვის იმართება ლექცია-საუბარი ან საგანგებო მსჯე-

ლობა. ათის ნახევარზე მოწაფეები დასაძინებლად მიდიან, – ეს ეხება ბიჭებს თორმეტიდან თექვსმეტ წლამდე, მაგრამ ათ საათზე უფროსებიც, ჩვიდმეტი და თვრამეტი წლისანიც, უთუოდ უკვე საწოლში უნდა იყვნენ. დაძინებამდე აუცილებელია ათწუთიანი ლოცვა, შემდეგ კი ყველა ოთახში ქრება შუქი. ასე გრძელდება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, – ამ უქმე დღეებში მოწაფეები მასწავლებლებს სპექტაკლებზე, კონცერტებზე ან გამოფენებზე დაჰყავთ.

სკოლაში სამასი მოწაფეა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ მათ შორის ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ისეთი, ვინც სკოლის რიტმს, იქაურ რეჟიმს ვერ გაუძლებს. ასეთები, რა თქმა უნდა, შინ ბრუნდებიან. მაგრამ ამგვარი შემთხვევისას სკოლის დირექცია მშობლებს ურჩევს, დაიცადონ, სანამ აშკარა არ გახდება, რომ მოწაფე დაუძლეველი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, რომ ის აშკარად ჩამორჩება სხვებს ან სხვებზე სუსტია. სკოლის დირექტორს მიაჩნია, რომ თუ მოწაფის წარუმატებლობას დაერთო საკუთარი თავის ურწმუნოება, შესაძლოა, წარმოიშვას სულიერი, ფსიქოლოგიური პრობლემები. თუკი ასეთი საფრთხე არ ჩნდება, მასწავლებლები არ უშლიან მოწაფეს, დარჩეს სკოლაში, მაგრამ მოთხოვნების მინიმუმს იგი მაინც უნდა აკმაყოფილებდეს.

პანონჰალმა ელიტური სკოლა არაა, იქ ბიჭები მთელი უნგრეთიდან სწავლობენ: პატარა სოფლებიდან თუ დიდი ქალაქებიდან, შეძლებული ოჯახებიდან თუ იმგვარი მშობლების შვილები, რომლებიც ძლივძლივობით ახერხებენ ყოველთვიური საფასურის – 3500 ფორინტის გადახდას (სასწავლებელი, რა თქმა უნდა, ფასიანია). ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის არისტოკრატიისათვის ყოველთვის სასურველი იყო, შვილებს იქ მიეღოთ განათლება.

პანონჰალმის ბენედიქტური გიმნაზიის კურსდამთავრებულთა რიცხვი ათი ათასზე მეტია. ყოფილი მოწაფეები გაერთიანებული არიან ბენედიქტელ მოსწავლეთა კავშირში, რომელთაგან ორმოცი პროცენტი ბუდაპეშტში ცხოვრობს. ამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა ოტო ფონ ჰაბსბურგი, ავსტრია-უნგრეთის საიმპერატორო-სამეფო ტახტის მემკვიდრე, დღეს – ევროპარლამენტის დეპუტატი.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის დირექტორის სიტყვებით, პანონჰალმის ბენედიქტური გიმნაზია ელიტური სასწავლებელი არაა, მაინც, ვისაც დიპლომი იქ მოუპოვებია, ეს მეტად საამაყოდ მიაჩნია.

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის მოაზროვნეებს იდეალური სკოლისა და იდეალური აღზრდის არაერთი მოდელი შეუქმნიათ, – პლატონსა და თაგორს, პესტალოცისა და კომენსკის, რუსოსა და შტაინერს. თითქმის ყოველ მათგანს ეძლეოდა თავისი პედაგოგიური მეთოდების ხორცშესხმის საშუალება, რაკიღა არც ბავშვებისა და არც სიახლე-ორიგინალობას მოწყურებულ მშობელთა რიცხვი არასოდეს კლებულობდა: იხსნებოდა ახლებურ მეთოდიკას დაფუძნებული სკოლები, თუმცა შედეგი, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი იყო. როდესაც ჰერმან ჰესემ თავის რომანში – "თამაში რიოში მარგალიტებით" – მომავლის სკოლა დახატა, უტოპიური ქვეყნის, კასტალიის, აღზრდის სისტემა დიდად განსხვავებული არ აღმოჩნდა შუასაუკუნეობრივი სამონასტრო სკოლისაგან.

დღევანდელ ევროპას ქრისტიანული შუა საუკუნეებისაგან ბევრი აღარაფერი შემორჩა, მაგრამ ერთ ამ მცირეთაგანი უთუოდ სამონასტრო სკოლის ტრადიციებია, – შესაძლოა, ის მცირეთაგანი, რაც მომავალ ევროპას არცთუ მთლად უგულებელსაყოფ მემკვიდრეობად გადაეცემა.

სექტემბერი, 1996

15

ხელოვნება და სახელმწიფოებრივი დოტაცია

ცოტა ხნის წინათ კოპენჰაგენთან, დანიაში, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მასმედიის საკითხებს მიეძღვნა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ამგვარ თავყრილობებზე, პრობლემატიკა მალე გასცდა თავდაპირველად მონიშნულ ჩარჩოებს.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილ ინტელექტუალთა საუბარმა უეცრად იმ მიმართულებით გადაინაცვლა, სადაც საკითხი ამგვარად დადგა: რამდენად აუცილებელია სახელმწიფოებრივი მზრუნველობა ხელოვნებისათვის (რაშიც, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრივ დაფინანსება იგულისხმებოდა)? კამათის ამგვარ კალაპოტში წარმართვა, შესაძლოა, იმანაც განაპირობა, რომ კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა, – ალბათ, გეოგრაფიული სიახლოვის გამოც, – სკანდინავიის ქვეყნებს წარმოადგენდა, ხოლო იქაურები კი, თავიანთი მრავალწლიანი სოციალ-დემოკრატიული მთავრობების გამო, საერთოდ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ჩვეულნი არიან სახელმწიფოებრივ მზრუნველობას.

მაგრამ მანამდე დუნედ მიმდინარე სხდომებს უეცარ მეამბოხედ მოევლინა ერთი ლიბერალი შვედი, რომელმაც არცთუ უწყინრად ჰკითხა იქ შეკრებილ ბატონებს, თუ რატომ უნდა მიდიოდეს რიგითი მოქალაქის, ანუ გადასახადის გადამხდელის ფული ამა თუ იმ – მისთვის ნაკლებად ღირებული, ნაკლებად საინტერესო და ნაკლებად საჭირო – ხელოვნების ნიმუშის მხარდასაჭერად? მაგალითად, რომელიმე იორკშირელმა მემამღაროემ რატომ უნდა იხადოს თანხა თავისი შემოსავლიდან იმისათვის, რათა ლონდონში საბალეტო დასი მართავდეს თავის წარმოდგენებს?

შვედის გამოსვლას საკონფერენციო დარბაზში დიდი მღელვარება მოჰყვა, – როგორც კი მან სიტყვა დაამთავრა, მაშინვე მოპასუხედ ჩაეწერა რამდენიმე გამომსვლელი, – მათ შორის, ერთი ინგლისელიც. პირველმა გამომსვლელმა გაიკვირვა, რომ ყველას ბუნებრივად მიაჩნია, როცა სახელმწიფო აფინანსებს სამეცნიერო გამოკვლევებს, მაგრამ რატომღაც, როგორც კი საქმე ხელოვნებაზე მიდგება, მაშინვე საწყალი და დაჩაგრული გადამხდელი მოაგონდებათ ხოლმე. ხოლო მეორე მოკამათემ მსმენელებს შეახსენა, რომ ყველა ევროპულმა ქვეყანამ ვალდებულება აიღო, მისი თითოეული მოქალაქე დაუფლებული იყოს წერა-კითხვას, რის გამო დაწყებითი სკოლები ევროპაში ყველგან უფასოა, ესე იგი, მათ გადასახადის გადამხდელი ინახავს. ამდენად, ადვილი შესაძლებელია, რომ იორკშირელ მემაღაროეს ჰყავდეს ხუთი შვილი, რომელთა სწავლა-განათლებისათვის იხდის, მაგალითად, რომელიმე უშვილო ინგლისელი ცოლ-ქმარი. რატომ არავინ დაიჩივლებს, რომ ისინი მათთვის უსარგებლო გადასახადს იხდიან?

კამათი იორკშირელი მემაღაროის, მისი ოჯახისა და ხუთი შვილის შესახებ კიდევ გაგრძელდა, მაგრამ იმ დროს, როცა კონფერენციის ინგლისელი მონაწილე ამაოდ ითხოვდა სიტყვას, უკვე მესამე გამომსვლელი ამტკიცებდა, რომ, მართალია, თავად მემაღაროე და მისი მეუღლე ბალეტის სანახავად არ დადიან, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ მათმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ბალერინობა მოინდომოს და აი, მაშინ, მას შეეძლება ისარგებლოს ბალეტის იმ ფინანსური მხარდაჭერით, რომელშიც თავისი წვლილი მამამისმაც შეიტანა. “მოდით, ისიც არ გამოვრიცხოთ, – განაგრძობდა მოკამათე, – რომ იორკშირელი მემაღაროის ქალიშვილი საერთოდ არ აპირებს ბალერინობას, მაგრამ ისიც ხომ არაა გამორიცხული, რომ ბალეტი და ხელოვნების სხვა დარგები მას, უბრალოდ, უყვარდეს, ხოლო ხელოვნება, საერთოდ, ცხოვრების გამდიდრებად მიაჩნდეს. იმის შესახებ კი ყველანი უნდა შევთანხმდეთ, რომ ხელოვნება უთუოდ ამდიდრებს ადამიანის სულიერ

სამყაროს”, – დაამთავრა თავისი მღელვარე გამოსვლა ორატორმა.

უკვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ კონფერენცია ვერანაირად ვერ გაათავისუფლებდა იორკშირელ მემაღაროეს გადასახადისაგან, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე უნდა ეხადა ხელოვნების მხარდასაჭერად.

ამ დროს კი – ბოლოს და ბოლოს – სიტყვა მოიპოვა ინგლისელმა კოლეგამ, რომელმაც მონაწილეებს მხოლოდ ის შეახსენა, რომ მთელ იორკშირში ათი წელი მაინც იქნება, რაც არავითარი მემაღაროე აღარ ცხოვრობს.

* * *

დაიხურა თუ არა ვენეციის კინოფესტივალი, რომელიც წელს ორმოცდამეცამეტეჯერ ჩატარდა, დღევანდელი მსოფლიო კინოს ყველაზე დიდი ოსტატები – ფოლკერ შლენდორფი, ოთარ იოსელიანი თუ მანუელ დე ოლივეირა – დამოუკიდებელი “პადანიის” დედაქალაქად გამოცხადების მომლოდინე ვენეციას დროულად გაეცალნენ. ჟან-ლუკ გოდარმა კი გეზი ტორონტოსაკენ აიღო, რათა იქაურ კინოფესტივალზეც წარედგინა თავისი ახალი ფილმი – “მოცარტი მარად”.

ფრანგული “ახალი ტალღის” მამამ თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთი წელი შესწირა ჰოლივუდური კინოს დაძლევას, – საკუთარ თავშიც, საკუთარ შემოქმედებაშიც და, ზოგადად, კინოს სამყაროშიც, მაგრამ ამ მგზნებარე ბრძოლის გამჩაღებელი, მუდამ მელანქოლიური გოდარი დღეს თავს ნამდვილად დამარცხებულად მიიჩნევს. მოვლენა, რომელსაც თავად რეჟისორმა “ჟან-ლუკ სინემა გოდარი” დაარქვა, მაშინ აღმოცენდა, როცა ჯერ კიდევ ბევრს მიაჩნდა, რომ ხელოვნებას და, განსაკუთრებით, კინოს შეუძლია, გარდაქმნას სამყარო.

მაგრამ სამყაროს გარდაქმნის მასწავლებლებად გოდარს მაინც მარქსი და ლენინი, ტროცკი და მაო ძედუნი მიაჩნდა, – შესაბამისად, გული წყდებოდა იმ ქვეყნების გამო, სადაც მათი იდეების საფუძველზე ვერ აიგო მილიონობით

ადამიანის ცხოვრება. თუმცა იმის გასაგებად, თუ როგორი ბედნიერება მოუტანა მარქსიზმმა იმ ადამიანებს, ვისაც მარქსისტული თეორიის პრაქტიკულად განხორციელების პირობებში მოუხდა ცხოვრება, თავად ამ ადამიანების მოსმენა აჯობებს (ვინც ცოცხალი გადარჩა!)...

დღეს გოდარის ფილმები ისევ "ახალი ტალღის" ტალღაზე რჩება, მაგრამ მათი ნახვა ფესტივალებზეც კი გაძნელდა, არათუ კინოთეატრებში, რის გამო, შეიძლება ითქვას, რომ თბილისელ კინომაყურებელს ბედმა გაუღიმა, როცა რამდენიმე წლის წინათ დედაქალაქში მისი ფილმების ფესტივალის დამსწრე გახდა. ამერიკის კონტინენტზე კი, სადაც რეჟისორმა ახლახან თავად ჩაიტანა თავისი ახალი ფილმი, დიდი-დიდი, ხუთ-ექვს ქალაქში თუ აჩვენონ მისი ახალი ქმნილებები, და ისიც – მეტად ხანმოკლედ.

სამოცდაექვსი წლის გოდარმა ტორონტოს სასტუმრო "შერატონის" ორმოცდამეორე სართულზე ჟურნალისტებს განუცხადა: "გული მწყდება ჰოლივუდისა და საფრანგეთის გამო. საფრანგეთი მებრალება იმიტომ, რადგან იქ ფული არა აქვთ იმგვარი ფილმების გადასაღებად, როგორსაც მე ვიღებ; ჰოლივუდი კი იმიტომ, – რადგან იქ არავითარი აზრი არ არსებობს".

მიუხედავად ამ დაჩივლებისა, კინოს მხურვალე მოყვარულები, მათზე უფრო მხურვალე მემარცხენე ინტელექტუალები და, კიდევ, აღტაცებულ-აღფრთოვანებული მანდილოსნები რეჟისორს ყვავილებით ეგებებოდნენ და ხელებს უკოცნიდნენ. ფრანგი ხელოვანი ამგვარ შეხვედრას მშვიდად იღებდა, მაგრამ როცა მას ერთმა ამერიკელმა კოლეგამ, ლამის თვალზე ცრემლმომდგარმა, თავისი მგზნებარე მისალმებისას უთხრა, რომ წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რაოდენი პატივია მისთვის ლეგენდურ გოდართან შეხვედრა, "შეშლილი პიეროს" ავტორმა თავის მხურვალე თაყვანისმცემელს სევდიანად მიუგო: "ერთს გეტყვით: რამდენჯერაც პატივისცემის გამოსახატავად რომელიმე ამერიკელ რეჟისორს ჩემთვის ხელი ჩამოურთმევია, იმდენჯერ რომ მიმეღო ასი დოლარი, ნამდვილად შევძლებდი ჩემი ფილმების ამერიკაში გადაღებას ".

მაგრამ რაკი ჟაკ-ლუკ გოდარი არანაირად არაა ამერიკელი რეჟისორი, მისთვის ძნელად თუ გაიმეტებენ დოლარებს ჰოლივუდში ფილმების გადასაღებად. ამიტომ ევროპელ რეჟისორს ისღა დარჩენია, გადასახადის ევროპელი გადამხდელის იმედად დარჩეს, მით უმეტეს, რომ იორკშირისაგან განსხვავებით, მემაღაროეები ჯერ კიდევ არიან საფრანგეთში, სადაც, არაერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, კინოს დასაფინანსებლად არაერთი დოტაცია გამოინახება.

სექტემბერი, 1996

16

ლოცვა მშვიდობისათვის წმიდა ფრანცისკეს საფლავთან

ათი წლის წინათ, 1986 წლის ოქტომბრის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ სამმართველოებს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, – ამგვარი აშკარად თუ ფარულად დაქვემდებარებული დაწესებულებები კი იმ დროს ყველა კონტინენტზე უხვად მოიპოვებოდა (შესაძლოა, მხოლოდ ანტარქტიდის გამოკლებით), – მიიღეს მოსკოვიდან წამოსული მკაცრი მითითება, რომ, რაც მოხდებოდა ან არ მოხდებოდა 27 ოქტომბერს იტალიურ ქალაქ ასიზიში, კომუნისტური და პროკომუნისტური მასმედია მას უეჭველი დუმილით უნდა შეხვედროდა.

უმბრიის ამ პატარა ქალაქში კი, თითქოს, ანტიკომუნისტური ან ანტისაბჭოური არაფერი იგეგმებოდა: კათოლიკე ეკლესიის მეთაურის, რომის ეპისკოპოსის, იოანე პავლე მეორის, მოწვევით, იქ თავს იყრიდნენ არა მარტო ყველა ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენლები, არამედ არაერთი სხვა რელიგიის მიმდევრებიც. შეკრების მიზანი იყო, წმიდა ფრანცისკე ასიზელის საფლავთან მისულთ ერთად ელოცათ საყოველთაო მშვიდობისათვის.

მაგრამ საქმე ისაა, მიჩნეული იყო (რა თქმა უნდა, კომუნისტურ გარემოსა და წრეებში!), რომ მშვიდობისათვის ბრძოლის მონოპოლია ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ დაწესებულებებსა და მოძრაობებს, – რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მშვიდობისმოყვარის, "მცირემიწელი" დაუძლურებული ბელადის მეთაურობით, თუმცა უნდა ისიც უნდა ითქვას, რომ იმუამად თავად იგი, – ამხანაგი ლეონიდ ბრეჟნევი, "მშვიდობის საქმისათვის დაუღლელი მებრძოლი" და შეთავსებით მწერალ-ლაურეატი, – უკვე არა მარტო მშვიდობისათვის ვეღარ იღ-

ვწოდა, არამედ კიდევ მეტი, მიწიერი სამკვიდრებლიდან მოშორებით (მაინც იმედია, ამჯერად უფრო მშვიდობიან გარემოში!) იმყოფებოდა, ხოლო მისი დაქანცული სხეული კრემლის კედელთან, მის მომდევნო საბჭოთა კომუნისტ ხელმძღვანელთაგან არცთუ მოშორებით, განისვენებდა.

ცოტა ხნით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, გენერალმა ალეგზანდერ ჰეიგმა, განაცხადა, რომ დედამიწაზე ნამდვილად არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები, ვიდრე მშვიდობაა, რითაც კომუნისტურ პროპაგანდას უსაზღვრო კმაყოფილება მიანიჭა, რადგან მათ სიმშვიდეს, ანუ მშვიდობისათვის ბრძოლის მათ მიერ დასაკუთრებულ მონოპოლიას, როგორც აღმოჩნდა, არავინ ემუქრებოდა, – გასათვალისწინებელია, რომ ეს კომუნისტური სიყვარული მშვიდობის მიმართ მთელ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ავღანეთის სასტიკი ომისა და ნახევარი ევროპის ულმობელი, ხანგრძლივი ოკუპაციის თანხლებით ხორციელდებოდა.

ამ დროს, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მშვიდობისათვის სალოცავად რატომღაც იკრიბება არა კოლაბორანტი სამღვდელოება (რომელიც თავისი ყოველგვარი და ყოველდღიური საქმიანობის "კურთხევას" მორჩილად იღებდა საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელთა კაბინეტებში), არამედ თავს იყრიან მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები, და თავიანთი საკუთარი ნებით, კათოლიკე ეკლესიის მეთაურის მოწვევით. თუმცა, რა თქმა უნდა, ქრისტიანთათვის და ქრისტიანული ეკლესიისათვის ახალი არაფერი მომხდარა: მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე მშვიდობის სიტყვებით ეწვია თავის მოწაფეებს და იმ დროიდან ერთი ღმრთისმსახურებაც არ ჩატარებულა ერთმანეთისათვის მშვიდობის სურვილის, ქრისტიანული მოწოდების – "მშვიდობა ყოველთას" – გარეშე.

იმჯერადაც, 1986 წლის 27 ოქტომბერს, სიყვარულისა და შეწყნარების მქადაგებლის, წმიდა ფრანცისკე ასიზელის, საფლავთან შეიკრიბნენ იმისათვის, რათა უდრო-

ობითა და მოუცლელობით გატანჯულ მსოფლიოში გაეკეთებინათ ის, რისთვისაც დრო, როგორც ჩანს, მხოლოდ რელიგიურ ადამიანებს შერჩათ, – სალოცავად, ოღონდ ამჯერად, საგანგებოდ, მშვიდობისათვის.

რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, ყველას ერთად ელოცა, ანუ შეუძლებელი იყო, ყველას ერთი ღმრთისათვის მიემართა; კიდევ მეტი, ზოგიერთი, ვინც ასიზიში ჩავიდა, საერთოდ, მონოთეისტი არ იყო და მრავალ (ან რამდენიმე) ღმერთს აღიარებდა. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ იქ მყოფნი სხვადასხვა ღმერთს – თავიანთ ღმერთს ან ღმერთებს – მიმართავდნენ, მათი საზრუნავი მაინც ერთიანი და ერთმანეთისათვის გასაგები იყო.

თუ კომუნისტური პროპაგანდა ამ აქციას, დავალებისამებრ, სრული დუმილით შეხვდა, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და, განსაკუთრებით, კათოლიკურ წრეებში რეაქცია საკმაოდ მწვავე, არცთუ იშვიათად მკვეთრად უარყოფითი აღმოჩნდა: კათოლიკე ეკლესიის მეთაურის, იოანე პავლე მეორის, პოზიციას ყველაზე მკაცრად აკრიტიკებდნენ ტრადიციონალისტები, – ცნობილი ფრანგი მთავარეპისკოპოსის, მარსელ ლეფევრის მომხრეები, რომელთა გავლენა იმ დროს არცთუ უმნიშვნელო იყო. არა მარტო კათოლიკეთა (რომის პაპის წინამძღოლობით), არამედ, საერთოდ, იქ მყოფ ქრისტიანთა ეს ქმედება მათ მიიჩნიეს ღალატად სამყაროს შემოქმედი ერთი ღმრთის მიმართ, რადგან, მათი აზრით, ერთობლივი ლოცვის შედეგად ეჭვით გაიბზარა იესო ქრისტეს, ერთადერთი მხსნელის, რწმენა. ტრადიციონალისტებს არ დაუფარავთ თავიანთი დაძაბული შიში, რომ ასიზიში ჩატარებულ ლოცვას შეეძლო გაეჩინა სარწმუნოებრივი საფრთხე: სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა ერთიანმა მიმართვამ სამყაროს შემოქმედისა და წარმმართველის მიმართ, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა დღევანდელ მსოფლიოში მეტად გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა სწამს და როგორ სწამს, და კიდევ, სარწმუნოებრივად გულგრილი ადამიანების მტკიცებას, რომ რაღაც ზებუნებრივი ძალა ნამდვილად არსებობს,

ოღონდ ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ ვინაა იგი და რას ვუწოდებთ მას.

თუმცა სამართლიანად და მიუდგომლად უნდა ითქვას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებულ იოანე პავლე მეორის სამოციქულო ეპისტოლეში – "Tertio millennio adveniente" – "მესამე ათასწლეულის მოლოდინში" (1994) – მკაფიოდაა განცხადებული: "ქრისტე არის მსოფლიოს ყველა რელიგიათა სწრაფვის აღვსება, ამდენად მხოლოდ იგია ერთადერთი და საბოლოო გზა".

ათი წლის წინათ იტალიურ ქალაქ ასიზიში შეკრებილ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, არც უფიქრიათ, რომ იქ მათი გაერთიანება მოხერხდებოდა. უბრალოდ, წმიდა ფრანცისკეს საფლავზე მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს და მსოფლიოსაც გაახსენეს, რომ, – თუნდაც სხვადასხვა არსება მიგვაჩნდეს ღმერთად და სწორედ მის წინაშე ვლოცულობდეთ, ან თუნდაც მეტად შორს ვიყოთ სიკეთისა და თავდადების ფრანცისკესეული იდეალისაგან, – რაკიღა მაინც ყველანი ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ, ურიგო არ იქნება, ეს ცხოვრება ერთმანეთისათვის განსაცდელად, ტანჯვად და უბედურებად არ ვაქციოთ, და ის მაინც მოვახერხოთ, რომ ერთმანეთს გულწრფელად ვუსურვოთ მშვიდობა.

ნამდვილი ქრისტიანები თავის გარშემო ყოველთვის მშვიდობას ამკვიდრებდნენ, და ხანდახან ისინიც გაახსენდება ხოლმე ნორვეგიის პარლამენტის მშვიდობის ნობელის კომიტეტს: პოლიტიკურ მედროვეთა და სახელგანთქმულ ტერორისტთა გარდა, ეს პრემია ხანდახან, დროდადრო, – თუმცა მეტად იშვიათად, – ენიჭება იმასაც, ვისაც სხვა ადამიანებისათვის მშვიდობა და იმედი მოაქვს, მაგალითად, დავრდომილთა და მიუსაფართათვის, როგორც ტანმორჩილ მონაზონ ქალს, დედა ტერეზას, ან ათასობით შვილდაკარგული დედისათვის, – როგორც აღმოსავლეთტიმორელ ეპისკოპოსს, კარლოს ფელიპე ხიმენეს ბელოს, რომელიც ახლახან გახდა ამ პრემიის ლაურეატი.

უკვე კარგა ხანია, კომუნისტი მშვიდობისმაძიებლები თვალს მიეფარნენ, ქრისტიანულ ტაძრებში კი ისევ

გრძელდება ლოცვა მშვიდობისათვის, – როგორც ორი ათასი წლის წინათ, როგორც ორი ათასი წლის განმავ-ლობაში, როგორც ყოველთვის.

ოქტომბერი, 1996

P.S. იოანე პავლე მეორემ, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერთა თანამონაწილეობით, ისევ აღავლინა ლოცვა საყოველთაო მშვიდობისათვის, ასიზიში, 2002 წლის 24 იანვარს.

ოქტომბერი, 2022

17

რომან იაკობსონის დაბადების ასი წლისთავის გამო

ასი წლის წინათ, 1896 წლის 11 ოქტომბერს, დაიბადა რომან იაკობსონი, რომლის სახელი და დიდება ფართოდ გასცდა ჰუმანიტარი მეცნიერისათვის ამერიკაში წარმოსადგენ ფარგლებს. როცა მისი ფრანგი კოლეგა და თანამოაზრე კლოდ ლევი-სტროსი თავის ქვეყანაში ისევეა ცნობილი და აღიარებული, როგორც რომელიმე გახმაურებული მწერალი ან პოლიტიკოსი, ეს საკმაოდ ჩვეულებრივია ფრანგული ტრადიციისთვის. მაგრამ ამერიკელი იაკობსონი (ინგლისურად: ჯეკობსონი), საფრანგეთის უკვდავთა აკადემიის წევრისაგან განსხვავებით, ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი იყო, თუმცა ამ ინსტიტუტის სახელი იმ გასათვალისწინებელი გარემოების მაუწყებელია, რომ იგი, ნორბერტ ვინერთან ერთად, 1960-იანი წლების ყველაზე პოპულარული მეცნიერების – კიბერნეტიკის – სათავეებთანაც იდგა.

კიდევ, რომან იაკობსონი სტრუქტურალიზმისა და თანამედროვე სემიოტიკის ფუძემდებლებს მიეკუთვნება, ხოლო ჰუმანიტარული აზრის ეს დინებები მემარცხენე თუ მემარჯვენე იდეოლოგიებით ათწლეულობით გადაღლილ მკვლევრებს ამოსუნთქვისა და აკადემიური მიუდგომლობის საშუალებას აძლევდა, თუმცა დასავიწყებელი არაა სტრუქტურალიზმის განუწყვეტელი კეკლუცობა მარქსიზმთან, რაც, მეორე მხრივ, კოზირი და სატყუარა იყო კომუნისტურ ქვეყნებში ოფიციალურად ათვალწუნებულ სტრუქტურალისტთათვის.

მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ჩეხოსლოვაკიური თუ ამერიკული შემოქმედებითი პერიოდების მიუხედავად, რომან იაკობსონი რუსი მეცნიერი და რუსი პოეტების მეგობარი

იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაშრომები სხვადასხვა ევროპული ენებზეა დაწერილი, იგი სიკვდილამდე წერდა და მეტყველებდა რუსულად, თუმცა დაუბრკოლებლივ ფლობდა მრავალ წარმოსადგენ თუ წარმოუდგენელ ენას, ხოლო ის სახელი, რაც დასავლეთში ბოლო ოცდაათი თუ ორმოცი წლის განმავლობაში მოიპოვა რუსულმა ჰუმანიტარულმა აზრმა, შეიძლება ითქვას, ძირითადად, იაკობსონის დაუღლელი გარჯის შედეგია.

საფიქრებელია, იგი არა მარტო აკადემიურ, არამედ მორალურ ვალდებულებასაც გრძნობდა თავისი მეგობრების ტრაგიკულად ან დევნაში ჩამთავრებულ ცხოვრებათა წინაშე, რადგან როცა ისინი, – ვლადიმირ მაიაკოვსკი, იური ტინიანოვი, ოსიპ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი თუ სხვები, – საბჭოთა რუსეთში დარჩნენ, მან, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, სამშობლოში დაბრუნება აღარ მოინდომა და, პრაჰის კარლოსის უნივერსიტეტში სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ, ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტის პროფესორის უზრუნველი და თავისუფალი ცხოვრება არჩია. სწორედ მაშინ, როცა მისი ყოფილი კოლეგები, მარქსისტ-პროლეტკულტელების სამსჯავროს წინაშე, თავიანთ ნამდვილ კვლევითს წარმატებებს ინანიებდნენ, რომან იაკობსონი, თავის რუს თუ ჩეხ კოლეგებთან ერთად, ვლტავის ნაპირას პრაჰის ლინგვისტიკურ წრეს აყალიბებდა, – იმ წრეს, რომლიდანაც, ფაქტობრივად, თავის ისტორიას იწყებს მსოფლიო სტრუქტურალიზმი.

როდესაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და ყოფილი სახელმწიფოს მოსახლეობა გერმანული ოკუპაციისა და ებრაელების დევნის წინაშე აღმოჩნდა, იაკობსონმა, სკანდინავიის გზით, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი და იქაურ უნივერსიტეტებში – პატივსა და შეძლებაში – გაატარა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მეორე ნახევარი.

მართალია, საბჭოთა კავშირში დაუწერელ კანონად იყო მიჩნეული, რომ ემიგრანტის ხსენება (ისიც გამორჩევით!) მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ შეიძლებოდა, მაინც, რომან იაკობსონმა, 1950-იანი წლების მიწურულს, ხრუშჩო-

ვისეული “ლიბერალიზაციისას”, არა მარტო საბჭოთა კავშირში ჩასვლა მოახერხა, არამედ მისი სახელი და იდეებიც კი მისაღები გახადა საბჭოთა ნაფიც იდეოლოგთათვის.

შემდგომაც, იგი ხანდახან ესტუმრებოდა ხოლმე მოსკოვსა თუ ლენინგრადს, რათა უკვე ახალი თაობის მეცნიერთათვის დაეჭირა მხარი, გვერდით ამოდგომით მათთვის ავტორიტეტი შეემატებინა, მათი სახელები და ნაშრომები კი იმგვარ გარემოში მოექცია, რომ საბჭოთა ჩეკისტებისათვის მცირედ მაინც გაეძნელებინა მათი დაჭერა-გადასახლება.

ორჯერ იაკობსონი თბილისსაც ეწვია: ერთხელ – რუსთველის საიუბილეო დღეებში 1966 წელს, მეორეჯერ – სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, არაცნობიერის ფსიქიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე. ოთხმოც წელს გადაცილებული ხელჯოხიანი ელეგანტური ამერიკელი პროფესორი, – მაიაკოვსკის მეგობარი და კიბერნეტიკის ერთ-ერთი მამა, – მოარულ ლეგენდას ჰგავდა: ჭადრაკის სასახლეში, მოხსენების წარდგენისას; პროფკავშირების სასახლეში, სადაც იმ დროს მოსკოვის ტაგანკის თეატრი ლიუბიმოვისეულ “ოსტატსა და მარგარიტას” წარმოადგენდა; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, როცა ხელთ ეპყრა საკორექტურო ფურცლები თავისი შრომების უკანასკნელი – მეხუთე – ტომიდან, რომელიც მისი ქართველი კოლეგის, გიორგი წერეთლის, ხსოვნას ეძღვნებოდა...

რამდენიმე თვის შემდეგ, 1982 წლის 18 ივლისს, 85 წლის რომან იაკობსონი ბოსტონში გარდაიცვალა.

ოქტომბერი, 1996

18

სვეტიცხოვლობა

როდესაც ებრაელებმა იესო ქრისტეს გასამართლება და ჯვარცმა გადაწყვიტეს, სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ თავიანთ თანატომელებს მოუხმეს, მათ შორის მცხეთელ ებრაელებს, რომელთაც იერუსალემიდან ამგვარი წერილი მოუვიდათ: "მოვედით და შეგვეწიენით, რაჲთა შური ვიძიოთ მას ზედა და რაჲთა სჯული მამათა ჩუენთაჲ დავიცვათ და დავამტკიცოთ!".

ეს გადმოცემა არაერთ უძველეს ქართულ წყაროშია დაცული, და იგივე წყაროები თითქმის ერთხმად იმასაც გადმოგვცემენ, თუ როგორ გამოარჩიეს მცხეთელმა ებრაელებმა თავიანთ შორის ელიოზი, – "კაცი ბრძენი და მეცნიერი", თუ როგორ შეხვდა იმავე ელიოზს წილისყრისას, – უკვე ჯვარცმის შემდეგ, – ქრისტეს კვართი და თუ როგორ შეეგება იერუსალემიდან შინ დაბრუნებულ ძმას მოსიყვარულე და სათუთი სიდონია, რომელმაც იმავ წამს განუტევა სული, როგორც კი ჯვარცმული მაცხოვრის სამოსი გულში ჩაიხუტა.

ქალწულისათვის კვართის ართმევა, გადმოცემის მიხედვით, ვერავინ შეძლო, ხოლო შიშით შეპყრობილმა, მწუხარებითა და მოკრძალებით აღსავსე ძმამ სიდონია ამგვარადვე დაკრძალა. იმ ადგილას მალე კვიპაროსები ამოსულა, საფლავის ირგვლივ კი მრავალფეროვანი და სურნელოვანი ყვავილებით მოფენილი ბაღი გაჩენილა.

სამასი წლის შემდეგაც, მეოთხე საუკუნის ოციან წლებში, იქ ისევ კვიპაროსები იდგა და აყვავილებულ ბაღში უშფოთველი ნიავი დაქროდა. ისტორია კი წინ მიდიოდა და ქართლის ახალმონათლული მეფე მირიანი, პირველი ქრისტიანი ხელისუფალი, ქვეყნის დედაქალაქში, მცხეთაში, პირველი ქრისტიანული ტაძრის ასაგებად ემზადებო-

და. რაკიღა ხის ეკლესიისათვის ყველაზე უკეთესი სვეტი სწორედ იმ კვიპაროსიდან გამოითლებოდა, რომელიც კვართჩახუტებული ასულის დამარხვის ადგილას ამოსულიყო, არჩევანისათვის შორს აღარ წასულან. თუმცა მოჭრით კი მოჭრეს ის აქოჩრილი მცენარე, მაგრამ მისი დაძვრა ადგილიდან იოლი არ აღმოჩნდა, – წაღება კი აუცილებელი იყო, რადგან სამლოცველოს აგება იმ ბაღიდან მოშორებით იყო გადაწყვეტილი. მცდელობამ თუ ძალისხმევამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო და როცა დაღამდა, იმ სვეტისაკენ გაემართა ქართლის მოსაქცევად კაპადოკიიდან წამოსული, უკვე კარგა ხნით ქართლში დამკვიდრებული, განმანათლებელი და მკურნალი, ქალწული ნინო, რომელმაც მცხეთის არსებობა მაშინ გაიგო პირველად, როცა სიყმაწვილეში თავის აღმზრდელ იერუსალემელ ღმრთისმოშიშ ქალს, სარას, მაცხოვრის კვართის სადაობა ჰკითხა.

იმ ღამით ნინო კურთხეულ მიწაზე, მაცხოვრის კვართზე ამოსული საოცარი სვეტის პირისპირ დარჩა. შუაღამე უკვე გადასული იყო, როცა მას ხილვა ეწვია: ნათლით შემოსილმა ჭაბუკმა სვეტი ხელთ აღიპყრო და მაღლა, ზეცისაკენ აღმართა.

დილით მეფესა და იქ შეკრებილ თავზარდაცემულ მცხეთელებს, გუშინდელ წარმართებს, ზოგს უკვე მონათლულს, ზოგს – მოსანათლავს, იმ სურნელოვან, ყვავილოვან ბაღში სასწაულის ნახვა ელოდა: ნათლისმფრქვეველი სვეტი, ხელით შეხების გარეშე, მიწას დაეფუძნა. “და აღივსნეს ყოველნი შიშითა და სიხარულითა და ერთხმობით ადიდებდეს ღმერთსა ნინოჲსსა, და მიერითგან იქმნებოდეს ძალნი და სასწაულნი”. მეფის ბრძანებით, სვეტი მნახველების თვალთაგან საბურველში დაიფარა.

პირველი ქართული ქრისტიანული ტაძარი სვეტი ცხოველის – ცოცხალი სვეტის მიწაზე დამყარების ადგილას აშენდა. ქართლში მკვიდრდებოდა მიწისა და ზეცის შეერთების რელიგია, ამქვეყნად მოსული ღმრთის, ადამიანის თავისუფლებისა და ხსნის რელიგია. იწყებოდა ქრისტიანული საქართველოს ისტორია.

ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობისათვის სვეტიცხოველს შეუდარებელი სულიერი მნიშვნელობა აქვს: ძველთაძველი ტრადიციის მიხედვით, აქ განისვენებს იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ნივთიერი მოწმე, მისი სამოსი, მისი კვართი; მასთან ერთად აქ დამარხულია პირველი მცხეთელი ქრისტიანი, პირველი აღმსარებელი, ქრისტიანი ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, რომელმაც, – მართლმორწმუნე ებრაელმა ქალწულმა, – სულიერი მზერით განჭვრიტა ქვეყნად მოსული მესია და მისი ჯვარცმის ტკივილის განცდისაგან სული განუტევა; ესაა ადგილი, სადაც ღამე ლოცვაში გაატარა ქართლის განმანათლებელმა, "სამგზის სანატრელმა" ნინომ; ესაა ადგილი, სადაც პირველმა ქართულმა ქრისტიანულმა საკრებულომ პირველად მოიყარა მუხლი სამყაროს მხსნელის – მაცხოვრის წინაშე; ესაა ადგილი, საიდანაც ქრისტეს მოძღვრება თანდათანობით მთელ ქართლს მოეფინა.

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი, დღევანდელი საქართველოს მიწაზე ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა, გვიანდელი ხანის ქმნილებაა, – გვიანდელი იმდენად, რამდენადაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში მირიან მეფის მიერ აღმართული ხის სამლოცველო, რომელშიც კაბადოკიელი ქალწული ნინო და პირველი ქართველი ქრისტიანები ლოცულობდნენ, შემდგომ დაინგრა და მის ადგილას მეფე ვახტანგ გორგასალმა ახალი, იმჯერად უკვე ქვის ეკლესია ააშენა. სწორედ მის დროს გახდა ის ქართული ეკლესიის შუაგული, იმუამად დამკვიდრებული ქართლის საკათოლიკოსოს, ქართლის კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსის კათედრა. თუმცა დღევანდელი სახე ტაძარმა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ პირველის, მამამთავრობისას შეიძინა.

მხრებგაშლილი და ცისკენ შემართული სვეტიცხოველი საქართველოს სამეფოსა და ქართული ეკლესიის სიძლიერეს განასახიერებდა. ქვეყანაში დიდი ბურუსის ჩამოდგომისას ტაძარი თითქმის მთლიანად გავერანდა და გაჩანაგდა. მისი ჩამონგრეული გუმბათის ხელახლა წამომართ-

ვა ხანმოკლედ ფეხზე წამომდგარი საქართველოს მეფემ, ალექსანდრე პირველმა, შეძლო.

ძველი საქართველოს დაისისას, ერეკლე მეორის მეფობაში, სვეტიცხოველს ის დიდი გალავანი შემოერტყა, რომელიც მას გარედან შემოტევისაგან დაიცავდა. თავად გალავანში ჩართულია საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკის, დროინდელი დიდებული კარიბჭე, ეზოს კუთხეში კი დგას ქართლის სამეფოს უკანასკნელი მამამთავრის, ერეკლეს ძის, ანტონი მეორის, სასახლე – მომცრო, ორსართულიანი სახლი, სადაც გარდაცვალება არ ეწერა ქართული ეკლესიის წინამძღოლს, რომლის საპატრიარქო პატივის აღიარება მიუღებელი აღმოჩნდა რუსული იმპერიული ეკლესიისათვის.

რომანოვების ტახტის დაცემის უმალ, ასექვსწლოვანი რუსული ბატონობისაგან თავდაღწეულმა საქართველოს ეკლესიამ თავისი ხელახალი დამოუკიდებლობა, თავისი განახლებული ავტოკეფალია 1917 წლის 25 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გამოაცხადა.

ვისაც ცნობილი ხატი "დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა" უნახავს, ემახსოვრება, რომ მრავალსაუკუნოვანი და მრავალტანჯული ქართული ეკლესიის მოწმეები – წმიდანები, აღმსარებლები, მარტვილნი, მოძღვრები – შემოკრებილნი არიან ნათელმფენელი ცხოველი სვეტის ირგვლივ. მიწაში დამარხულია ქრისტეს კვართი და მისი მიმრქმელი ებრაელი ქალწული, – ძველსა და ახალ აღთქმას შორის კავშირისა და უწყვეტობის ნიშნად, ხოლო შუაგულში, ხის ფესვების თავზე, თეთრსამოსიან ანგელოზს ხელთ უპყრია გამოკვეთილი სვეტი, რომლის წინ მუხლი მოუყრია წმიდა ნინოს, ირგვლივ კი ყველა ქართველი წმიდანი დგას – იდეალური, სულიერი საქართველოს, უკვდავი საქართველოს ღირსეული და ნამდვილი შვილები.

მეთორმეტე საუკუნეში, თამარის მეფობაში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ნიკოლოზ გულაბერისძეს, შეუქმნია საგალობელი, რომელსაც ეწოდება: "საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოისა და კათოლი-

კე ეკლესიისა”. ქართული ეკლესიის მამამთავარი ამგვარად მიმართავს მირონმდინარ, ბრწყინვალე, ცხოველ სვეტს, ასე მნიშვნელოვანსა და ღირებულს ქართული ქრისტიანული ისტორიისათვის:

“გიხაროდენ, სუეტო წმიდაო და ცხოველო, რამეთუ კუართსა ზედა საღმრთოსა ჰცისკრიო! გიხაროდენ, სუეტო განმანათლებელო ცისკიდეთაო, რომელი ანაყოფებ სულთა უკვდავებითა!.. გიხაროდენ, საყდარო ღმრთისა ნათლისაო! გიხაროდენ, კუართო, ნათლისა შემცველო! გიხაროდენ, სუეტო ცხოველო!”.

ოქტომბერი, 1996

19

ტიხო ბრაჰე – ვარსკვლავების მჭვრეტელი და ვარსკვლავთმრიცხველი

ტიხო ბრაჰე ევროპული რენესანსის ეპოქის შესამჩნევი და გამორჩეული პიროვნება იყო, – ამაყი აზნაური და სასტიკი ფეოდალი, მეფეთა და იმპერატორთა ფავორიტი და საკარო ინტრიგათა მსხვერპლი, წინააღმდეგობებითა და საიდუმლოებით აღსავსე კაცი.

ტიხო ბრაჰე 1546 წლის 14 ნოემბერს დაიბადა, სახელმოხვეჭილ დიდებულთა ოჯახში, იმდროინდელ დანიაში. მან უკვე სიყმაწვილეშივე გამოცადა ბედის უეცარი და თავბრუდამხვევი მობრუნება, როცა ერთ მშვენიერ დღეს, იგი მდიდარმა, უშვილო ბიძამ მოიტაცა და უკითხავად იშვილა. ამის გამო ოჯახში წარმოშობილი განხეთქილება მოლაპარაკება-შერიგებით დამთავრდა: ტიხოს მამა დათანხმდა, ბიჭი იმ პირობით დარჩენილიყო აღსაზრდელად ბიძასთან, თუკი შემდგომ მისი მემკვიდრე გახდებოდა.

ცამეტი წლის ყმაწვილი სასწავლებლად კოპენჰაგენის უნივერსიტეტში მიემგზავრება სამართლის შესასწავლად, რაც, როგორც სავარაუდო იყო, მომავალში მას სახელმწიფო სამსახურისათვის გამოადგებოდა. კეთილშობილ ოჯახებში დამკვიდრებული ტრადიცია მისგან სწორედ ამას მოითხოვდა. მაგრამ 1560 წლის 21 აგვისტოს იგი შეესწრო მზის სრულ დაბნელებას, რასაც ყმაწვილის გაოგნება და მისი ცხოვრების მთლიანად შემოაბრუნება მოჰყვა. ამ დღიდან მოყოლებული იგი დღისით სამართლის საფუძვლებს ეუფლება, ღამღამობით კი, – დაქანცვამდე, – ვარსკვლავიან ცას შეჰყურებს, რის გამო შეწუხებულ-შეფიქრიანებული აღმზრდელი ბიძა მის შემობრუნებას ცდილობს, მართებულ გზაზე დასაყენებლად, თუმცა ამაოდ... ტიხო შეუვალი აღ-

მოჩნდება. იგი უარს ამბობს დიპლომატისა და სახელმწიფო მოხელის კარიერაზე და თავგამოდებით სწავლობს ასტრონომიას, ასტროლოგიას, ალქიმიას. მან თითქოს აიკვიატა და მტკიცედ დაიჯერა, რომ 21 აგვისტოს დაბნელებამ მაგიურად შეცვალა ადამიანთა და ერების ბედი.

1571 წელს ტიხო საკუთარ მცირე ობსერვატორიას აფუძნებს, ხოლო მომდევნო წლის 11 ნოემბრის ახალგაჩენილ ვარსკვლავს აღმოაჩენს კასიოპეის თანავარსკვლავედში. ერთწლიანი მუშობის შედეგად, მან თავისი დაკვირვებანი ცალკე წიგნად დაბეჭდა. ამ განთქმულმა წიგნმა, – სახელწოდებით: “De Nova Stella”, – სამყაროს აღქმასა და დანახვაში იმგვარივე გადამწყვეტი ცვლილება შეიტანა, როგორც ნიუტონის, აინშტაინის, ნილს ბორის თეორიებმა. ტიხო ბრაჰეს ნაბიჯი თამამი და თავხედური იყო: მან ქვა ქვაზე არ დატოვა არისტოტელეს მოძღვრებიდან, რომ სამყარო უცვლელი და მარადიულია.

ახალგაზრდა ასტრონომი უეცრად ცნობილი და სახელოვანი პიროვნება ხდება, იგი ამ დროს მეფისაგან მეფურ საჩუქარს მიიღებს – კუნძულ ჰვენს – და, მასთან ერთად, რენტას დიდი ობსერვატორიის ასაგებად და მოსახმარებლად. ამ დროს ტიხო ბრაჰე ოცდაშვიდი წლისა იყო.

ბრაჰეს კუნძულოვანი რეზიდენცია – ურანიბორგი – სკანდინავიის ყველაზე გახმაურებულ არქიტექტურულ ქმნილებად იქცა: უჩვეულო იყო კოშკისა და ობსერვატორიის კომბინაცია, სადაც ყველაფერი სიმეტრიის მკაცრ კანონებს ემორჩილებოდა, ოთხკუთხედი პარკისა და პირადი საცხოვრებლის ჩათვლით. სამხრეთით და ჩრდილოეთით აივნიანი სათვალთვალო კოშკები ცას აჰყურებდა. ასე რომ, საკმარისი იყო, სახელოვან ასტრონომსა და ასტროლოგს პერანგი გადაეცვა, ვარსკვლავებზე გამიჯნურებულ თავადს ვარსკვლავების ჭვრეტაში ხელს ვეღარავინ შეუშლიდა. ურანიბორგის კოშკის მრავალ უცნაურობათა მიუხედავად, ის იყო პირველი ევროპული შენობა, რომელიც საგანგებოდ აიგო ცის დასაკვირვებლად. რამდენიმე წლის შემდეგ ბრაჰე აშენებს კიდევ ერთ ობსერვატორიას, – სტიერნებორგს. იმისათვის, რათა დაკვირვება უფრო ზუსტი ყოფილიყო, შენობის ნაწილი მიწაშია ჩაშვებული.

ტიხო ბრაჰე არასოდეს ყოფილა გულცივი მეცნიერი, – იგი ყოველთვის რჩებოდა რენესანსულ კავალერად და ამაყ ფეოდალად, რომელიც ყოველდღიურად მზად იყო, მდიდრულად გამასპინძლებოდა კეთილშობილ სტუმრებს, ხოლო დაუმორჩილებელ ხელქვეითთათვის მას საპატიმრო საკნები ჰქონდა გამზადებული კოშკის სარდაფში. მას თავდავიწყებით უყვარდა ხელოვნება და სილამაზე, ხოლო ცოლად ყველაზე ცნობილი ადგილობრივი ლამაზმანი შეირთო. მომხიბლავი სოფლელი გოგონას ღიმილის გამო კეთილშობილმა აზნაურმა მომავალი მეუღლის არააზნაურული წარმოშობაც კი დაივიწყა.

ბრაჰე, ამავე დროს, კადნიერი შფოთისთავი იყო: თავისი მოუთოკავი და ენაკვიმატი ხასიათის გამო მას არაერთხელ შეხვედრია უსიამოვნება, არაერთხელ გართულებია ცხოვრება. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას, დუელში გამოწვეულმა რაყიფმა მას ცხვირის წვეტი მოაჭრა. იმ დღიდან, მთელი ცხოვრების განმავლობაში ბრაჰე თავისი ამ ნაკლის შეფარვას ცდილობდა, – მის მიერ გამოგონებული სხვადასხვაგვარი პროთეზით.

მაგრამ ეს ცოდვანი სიჭაბუკისანი იყო, ხოლო მის საქმეს წარმოადგენდა ის, რაც მან თავის კუნძულზე ყოფნის ოცდაერთი წლის განმავლობაში შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაკვირვებანი არც სრულია და არც სრულყოფილი. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრაჰეს, ფაქტობრივად, არ გააჩნდა არავითარი ხელსაწყო და მისი დაკვირვებანი ოდენ მის ფიზიკურ თუ შინაგან ხედვას ემყარებოდა. ასტრონომის განკარგულებაში იყო მხოლოდ სექსტანტი და სხვა, თავად მის მიერ დამზადებული მარტივი ხელსაწყოები. მაგრამ სწორედ მათი მეშვეობით დაადგინა მან შვიდას სამოცდაჩვიდმეტი ვარსკვლავის პოზიცია და დაადასტურა პლანეტათა მოძრაობა.

ტიხო ბრაჰე კარგად იცნობდა კოპერნიკის თეორიას სამყაროს ჰელიოცენტრისტული მოდელის შესახებ, მაგრამ თავად ცდილობდა, მოეძებნა კომპრომისი, რის გამო ჩამოაყალიბა თეორია, რომლის მიხედვით, პლანეტები მზის გარშემო ტრიალებდნენ, ხოლო მზე და მისი თანამგზავრები კი – დედამი-

წის გარშემო. ძნელია ითქვას, რამ განაპირობა ეს კომპრომისი, – მართლა ამგვარი იყო მისი თვალსაზრისი თუ მისი ეს შეხედულებები იმის კვალობაზე ჩამოინაკვთა, რამდენად შეეფერებოდა ისინი დროსა და გარემოს. სხვათა შორის, უსამართლობა იქნება, მეთექვსმეტე საუკუნის სწავლულს მედროვეობა ან სილაჩრე დაჰბრალდეს, როცა მეოცე საუკუნის მიწურულშიც კი ყოვლად აკადემიური მეცნიერიც ხშირადაა იძულებული, ანგარიში გაუწიოს პოლიტიკურ თუ საჯარო კონიექტურას, – და არამხოლოდ ათასნაირი დიქტატორული რეჟიმების პირობებში.

მფარველი მეფის სიკვდილის შემდეგ ბრაჰემ მყარი დასაყრდენი დაკარგა. არასრულწლოვანი მეფის, ქრისტიან მეოთხის, კარზე მას შურისა და ინტრიგების ქარბუქი დაატყდა თავს. ომის სამზადისმა განაპირობა სახელმწიფო ხაზინის გასავალთა მომჭირნედ ხარჯვა, რის გამო ობსერვატორიის შესანახი თანხა სამეფო კარს აღარ გააჩნდა.

1597 წელს მეცნიერი ნებაყოფლობით ტოვებს თავის კუნძულსა და სამშობლოს, რათა აღარასოდეს დაბრუნდეს იქ. მას ჯერ ახალი დაწყებული ჰქონდა მოხეტიალე ცხოვრება და ჯერ გერმანიის სამეფო-სამთავროებს კვეთდა, როცა წერილი მიუვიდა თავისი მეგობრისაგან, რომელიც მას ატყობინებდა მეტად უცნაური, მაგრამ განათლებული და ასტროლოგია-ალქიმია-მაგიის დიდი მოყვარულის, იმპერატორ რუდოლფ მეორის, შესახებ.

იმ დროს რომის საღმრთო იმპერიის დედაქალაქი იყო პრაჰა და ტიხო ბრაჰეც ევროპის შუაგულისაკენ გაემართა. 1599 წლის 1 აპრილს იგი იმპერატორის სამსახურში ჩადგა, ხოლო ივნისში უკვე პრაჰაში ჩავიდა.

ჩეხეთში მან ახალი რეზიდენცია და ახალი ობსერვატორია მოიპოვა იიზერის სანაპიროზე, სადაც უკვე აგვისტოში იგი თავის პირველ დაკვირვებებს იწყებს, ხოლო ერთი წლის შემდეგ გადასახლდება სამეფო კართან უფრო ახლოს, პრაჰას, სადაც მისეულ კვლევა-ძიებათა სივრცე სამეფო საზაფხულო სასახლეში გაიშლება. მაგრამ იმპერატორის სამსახურში ყოფნა, – თუნდაც ფორმალური, – ბრაჰესათვის მოსაწყენი და შემზღუდველი აღმოჩნდა. მართალია, რუ-

დოლფი მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ გაუწონასწორებელი მონარქისთვის უფრო და უფრო ჩვეული ხდებოდა ხშირი უგუნებობა, რომლის დროსაც იმპერატორს აღარც ასტრონომია აინტერესებდა, აღარც ასტროლოგია და აღარც ოქროს შემზადების ტექნოლოგია. ასეთ დღეებსა და თვეებში იმპერატორი თავისი ვარსკვლავთმრიცხველისაგან ოდენ ყოველდღიურ ჰოროსკოპებს მოითხოვდა. გადმოცემის მიხედვით, რუდოლფი ფეხსაც არ დგამდა ბრაჰესეული ჰოროსკოპების გარეშე. იგი მეცნიერისაგან იმასაც მოითხოვდა, დაედგინა, იყო თუ ვარსკვლავთა განლაგება სასიკეთოდ განწყობილი, როცა მონარქს მაცდური და ვნებიანი კატერინა სტრადა შეუყვარდა.

ამ დროს ბრაჰე უკვე დაქანცული, ქანცგაწყვეტილი მოხუცია. პრაჰა მისთვის უცხო და უკარება აღმოჩნდა, თავად იგი მეტად შორს იყო საკუთარი კუნძულის ოდინდელი ობსერვატორიისაგან, რომელსაც წუთითაც არ შორდებოდა მისი ფიქრები.

1601 წლის 24 ოქტომბერს ტიხო ბრაჰე მოულოდნელად გარდაიცვალა. ვარსკლავთმრიცხველი პრაჰის ტინის წმიდა მარიამის ტაძარში დამარხეს.

მალე მის ობსერვატორიასა და კოშკს მუსრი გაავლეს. როგორც ჩანს, ადგილობრივმა გლეხებმა შური იძიეს სასტიკი ბატონის მიმართ. მიწისქვეშა სტიერნებორგს კიდევ ეტყობოდა ძველი დიდება, ხოლო მისი საამაყო ურანიბორგისაგან მხოლოდ ნანგრევები და ნამსხვრევებიღა შემორჩა.

კიდევ დიდხანს ცოცხლობდა ლეგენდა, რომ ყოველ წელს, ტიხო ბრაჰეს გარდაცვალების დღეს, ზარის რეკვა ისმის იმ ტაძარში, რომელშიც ასტრონომი სალოცავად დადიოდა. სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ეს ხმა ქარის ქროლითაა გამოწვეული, რაკი კუნძულზე საშინელი ქარები იცის, – კუნძულზე, სადაც ტიხო ბრაჰე ცხოვრობდა და ფიქრობდა, საიდანაც იგი ყოველ საღამოს ვარსკვლავებს ჭვრეტდა და ვარსკვლავებს ესაუბრებოდა.

დეკემბერი, 1996

20

შობა და ახალი წელი ცენტრალურ ევროპაში

იმ მიწა-წყალზე, რომელსაც დღეს ცენტრალურ ევროპას უწოდებენ, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე ავსტრია-უნგრეთის იმპერია ერქვა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მყარი და უცვლელი არაფერი ყოფილა: სახელმწიფოები ჩნდებოდა და უჩინარდებოდა, ერთიანდებოდა და იშლებოდა, მეგობრობდა ერთმანეთთან ან მტრობდა ურთიერთს. თუ 1910-იანი წლების მიწურულამდე ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებში ყოფნა ზოგიერთ საერთო ნიშანს მაინც აძლევდა მათ, შემდგომ, ავსტრია და ჩეხეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი, უნგრეთი და სლოვენია, ისტორიისა და ბედისწერის გარემოებათა წყალობით, განსხვავებულ გზებს გაჰყვა; თანდათანობით წარმოშობილ ქვეყნებს მეტად განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პირობებში მოუხდა გზის გაკვალვა.

კომუნიზმის ბატონობისაგან სულ ცოტა ხნის წინათ თავდაღწულ სახელმწიფოთა მცხოვრებლები მეტი ყურადღებით მიუბრუნდნენ გარდასულს, თავის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, – წარსულზე მოძალადე ხელისუფლების მოშორების შემდეგ ადამიანებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს მივიწყებული ტრადიციების გახსენებასა და გამოცოცხლებას.

ქრისტიანული ისტორიის პატრონი ყველა ერისათვის გამორჩეული ღირებულება აქვს საშობაო რიტუალებსა თუ წეს-ჩვეულებებს, რადგან ყველაზე მყარად და ხანგრძლივად სწორედ მათი შენარჩუნება მოხერხდა.

ამიტომ, ცენტრალური ევროპის ხალხებს, უთვალავი დანაკარგების მიუხედავად, საშობაო დღეების განსაკუთრებული, თაობიდან თაობისათვის გადასაცემი ტრადიციები არა-

სოდეს დავიწყებიათ და ეს, ალბათ, ის მცირეთაგანია, რაშიც, – მათი ოდინდელი ერთიანი იმპერიის დაშლის შემდეგ, – მათი საერთო წარსულია არეკლილი, და ეს იმის მიუხედავად, რა მნიშვნელობას ან რა შინაარსს ანიჭებენ ადამიანები თავად შობის დღესასწაულს: იესო ქრისტეს დაბადების თარიღს მაინც გულწრფელი სიხარულით ეგებებიან მტკიცე კათოლიკე ავსტრიელები თუ რელიგიისადმი მეტად გულგრილად განწყობილი ჩეხები.

თუმცა, როდესაც ტრადიციებს ახსენებენ, რა თქმა უნდა, აღარ იგულისხმება არც გათენებამდე სახლიდან სახლამდე მოსიარულე, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭები, რომლებიც საშობაო სიმღერებით ულოცავდნენ დღესასწაულს მეზობლებს და არც ღამით ოფიცერთათვის თითქმის აუცილებელი სრიალი ყინულზე, საგანგებოდ გამოწყობილ ქალიშვილებთან ერთად, რომელთაც ყინულის ჩატეხისა და წყალში ჩაცვენისას საგანგებო სამაშველო სამსახური უწვდიდა დახმარების ხელს.

დღეს, ცივილიზებულ ქვეყნებში შობას ადამიანთა უმრავლესობა, – უფროსიც და უმცროსიც, – ტელეეკრანის წინ ხვდება, და თუ ეკლესიებშიც მრავალრიცხოვანი მრევლი იკრიბება შუაღამის წირვაზე დასასწრებად, ეს უფრო კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჰგავს, ვიდრე რელიგიური მოვალეობის აღსრულებას. დროთა მსვლელობისას, შესაძლოა, ამ კულტურული აქციის ადგილი ხელოვნების რომელიმე ნიმუშმა მოიპოვოს, როგორც, მაგალითად, ბევრ დასავლურ ქვეყანაში საშობაო აუცილებლობადაა მიჩნეული ჩაიკოვსკის ბალეტი “მაკნატუნა” ან ჰენდელის ორატორია “მესია”. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიზმის დასასრულმა ცენტრალური ევროპის ხალხებს შობის ნამდვილი შინაარსი გაახსენა, რადგან ერთ დროს ზოგიერთ კომუნისტურ ქვეყანაში შობას სახელწოდებაც კი შეუცვალეს და მას “ზამთრის დღესასწაული” უწოდეს.

ამჟამადაც, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში, შობის მოსამზადებელ, ოთხკვირიან პერიოდს, ანუ ეგრეთ წოდებულ ადვენტს იწყებს შეხვედრა წმიდა ნიკოლოზთან, რომელიც ყმაწვილებს თავის ყოვლისმცოდნე წიგნს გა-

დაუშლის და იმ წელს ჩადენილ ცოდვა-მადლს გაუხსენებს; სკოლებსა თუ ბაღებში, გიმნაზიებსა თუ სპორტულ დარბაზებში სტუმრად მისულ კოსტიუმირებულ წმიდა ნიკოლოზს ამ რელიგიურ-თეატრალური დღესასწაულისას ანგელოზი და ეშმაკი ახლავს ხოლმე; ანგელოზი კეთილი საქმეების ჩამოთვლისას ხარობს, ეშმაკი კი ერთ ჟრიამულს გამართავს ყმაწვილების წვრილ-წვრილ ცდომილებათა გახსენებისას (იმ წლის შედეგებს მშობლები წინასწარვე ატყობინებენ ხოლმე იმას, ვისაც იმჯერად ანდობენ წმიდა ნიკოლოზის სამღვდელმთავრო სამოსსა და კვერთხს).

ყველაზე პატარებს ის სიხარულიც დაუბრუნდათ, რომ, როგორც უფროსები ეუბნებიან, ნაძვის ხის ქვეშ მათ იესოსაგან მოძღვნილი არაერთი საჩუქარი ელოდება, – იესოსაგან, რომელსაც სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა საბავშვო, მოფერებითი სახელი აქვს. თვით საჩუქრები, რა თქმა უნდა, თანამედროვეა, – ყველაფერი, რაც ყმაწვილს გაახარებს: სპორტული ტანსაცმლიდან კომპიუტერამდე, მაგრამ უნგრელები, მაგალითად, საგანგებოდ და სიამაყით აღნიშნავენ, რომ მათს ქვეყნაში ვერ იპოვით ერთ ოჯახსაც კი, რომელმაც ნაძვის ხის ქვეშ შვილებს თუნდაც ერთი წიგნი არ დაახვედროს. მშობლების მიერ ყმაწვილების საშობაოდ დასაჩუქრების ჩვეულება მეთექვსმეტე საუკუნეში აღმოცენდა და თავდაპირველად პროტესტანტებს შორის იყო გავრცელებული, ხოლო კათოლიკურ ოჯახებს ეს ტრადიცია მოგვიანებით გადაეცა.

ადვენტის დადგომასთან ერთად, ყველა ბავშვის ოთახში ჩნდება მაგიდაზე დასადგმელი, ლამაზად გაფორმებული კალენდარი, რომლის ყოველი მომდევნო, დათარიღებული ფანჯარა ყოველ დილით უნდა გაიღოს: შიგნით კი ან მოულოდნელი ნახატი აღმოჩნდება ან, უკეთეს შემთხვევაში, – შოკოლადის ნატეხი.

მოზრდილი გოგონები უფრო "სერიოზული" საქმით არიან დაკავებული: დაწყებული წმიდა ლუციას დღესასწაულიდან, რომელიც 13 დეკემბერს აღინიშნება, ისინი ყოველდღიურად სანთელზე წვავენ თითო პატარა გადაკეცილ ქაღალდს, რომელზეც იმათი სახელებია დაწერილი, ვის

მიმართაც ან თავად არ არიან გულგრილი, ან ვინც მათ მიმართ არ არის განწყობილი გულგრილად; საბოლოოდ, შობის დღეს უკანასკნელ ქაღალდზე იმისი სახელი შეუძლიათ ამოიკითხონ, ვინც "უეჭველად" "ნამდვილი და ერთადერთი" აღმოჩნდება, მაგრამ თუკი ამ წინასწარმეტყველებამ არ გაამართლა, საქმე მაინც არაა ხელიდან წასული, – მომავალ წელს ისევ შეიძლება ცდის განმეორება.

კათოლიკური სამყარო წელიწადში სამ დღეს მიიჩნევს სასურველად მარხვის შენახვას, ანუ ისეთ თავშეკავებას, რომელიც საკვების მიღების შეზღუდვასთანაა დაკავშირებული. ერთი მათგანია ეგრეთ წოდებული უხვი დღე, რომელიც 24 დეკემბერს აღინიშნება, – ცაზე ვარსკვლავების გამოჩენამდე მორწმუნე კათოლიკეები საკვების მიღებისაგან თავს იკავებენ და მხოლოდ საზეიმო ვახშმის სამზადისში არიან ჩაბმული. რელიგიურ წეს-ჩვეულებათა მკაცრად მიმდევარ ოჯახებში საერთოდ არაფერს ჭამენ იმ დღეს, სანამ შუაღამის საზეიმო წირვა არ დამთავრდება, ესე იგი, ფაქტობრივად, მეორე დღემდე – 25 დეკემბრამდე და სუფრაც, თევზის გამოკლებით, უხორცო კერძებისაგან შედგება.

როცა საღამოს, ოჯახის წევრები სადღესასწაულო მაგიდას მიუსხდებიან, აუცილებლად მიიჩნევენ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, სიყვარული და მიტევება გამოხატონ. საერთოდ, დამკვიდრებულია, რომ ამ საზეიმო წუთებს ყველა საკუთარ სამკვიდრებელში უნდა შეხვდეს და სუფრაზე დადებულ ყოველ კერძს გემო უნდა გაუსინჯოს. ეს ერთად ყოფნა კი წესრიგის, ურთიერთპასუხისმგებლობისა და მშვიდი საოჯახო ცხოვრების გამოხატულებად აღიქმება. იმისათვის კი, ვინც რამე მიზეზის გამო (იგულისხმება მეტად საპატიო მიზეზი!) შინ ვერ ხვდება შობას, სუფრასთან ცარიელი სკამი იდგმება, სუფრაზე კი – ცარიელი თეფში. მაგიდაზე პურთან ერთად უნდა იყოს ხორბლის თავთავები იმწლევანდელი მოსავლიდან, კიდევ, საშობაო გვირგვინი და საშობაო ნამცხვრები, – ფიგურები ბიბლიურ პერსონაჟთა გამოსახულებით. პურობა, რა თქმა უნდა, იწყება სადღეგრძელოთი, რომელსაც ერთმანეთის მიმართ პირისპირ დგომისას წარმოთქვამენ, ხოლო სადღეგრძელოს შემდეგ გემო

უნდა გაუსინჯონ თაფლის კვერს, რაც, ქართული გოზინაყისა არ იყოს, მომავალი წლისათვის სულიერი სიმშვიდისა და ჯანის სიმრთელის საწინდარს იძლევა. აღსანიშნავია, რომ ბევრგან ამ ნამცხვარს თან აყოლებენ ხოლმე ნიორსაც, რომელსაც ძველთაგან იდუმალი სამკურნალო თვისებები მიეწერება. ცენტრალური ევროპის ყველა ხალხის საშობაო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ის თევზი, რომელსაც საქართველოში კობრი ეწოდება. ავსტრიელები, სხვა მეზობელთაგან განსხვავებით, უარს არ ამბობენ არც ხორციან საჭმელზე, – შემწვარ ქათამზე ან იხვზე. რაკიღა ადვენტის ხანა – წინასაშობაო კვირები, საეკლესიო წეს-ჩვეულებათა კვალობაზე, შეძლებისდაგვარად თავშეკავებულად უნდა იქნეს გავლილი, შობისას და ახალ წელს სუფრა შეძლებისდაგვარად მდიდრული უნდა იყოს.

მიუღებლადაა მიჩნეული, რომ სადღესასწაულო დღეებს ვინმე მარტო შეხვდეს, რის გამო ადრე თითქმის ყოველ საშობაო პურობაზე იწვევდნენ ხოლმე ღარიბ-ღატაკებსა და მაწანწალებს. დღეს საშობაო-საახალწლოდ გაჭირვებულებს, ლტოლვილებსა და უსახლკაროებს საქველმოქმედო საზოგადოებები ასაჩუქრებენ უხვად, თუმცა, ბუნებრივია, ამ საქმიანობას ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ჯერჯერობით იმგვარ გაქანებას ვერ ანიჭებენ, როგორსაც – დასავლეთის სხვა ქვეყნებში (როგორც მიღებულია თუნდაც ამერიკაში, სადაც, მაგალითად, წითელი ჯვარი თავისი შემოსავლის ორმოც პროცენტს სწორედ ამ დღეებში მოიპოვებს, ხსნის არმია კი – მესამედს).

შობის აღსანიშნავად ოჯახებსა და დაწესებულებებში, ტაძრებსა თუ მოედნებზე დგას ნაძვის ხე, რომლის შემოღება ბაროკოული ეპოქის საეკლესიო წრეებს მიეწერება, – მიჩნეულია, რომ ის სწორედ იქიდან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში. დამკვიდრებული ჩვეულებით, რაც უფრო პატარა ბავშვია ოჯახში, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ნაძვის ხე. ადრე ხელოვნური ნაძვები კიტჩად იყო მიჩნეული და ამჯობინებდნენ, შინ ჰქონოდათ ტყეში მოჭრილი, ნამდვილ ხეები, თუმცა ამ ბოლო ხანს უპირატესობა ეძლევა ხელოვნურ ნაძვებს, რასაც განაპირობებს არა მარტო ეკოლოგიური და

ფინანსური მიზეზები, არამედ ოსტატურად შესრულებული ხეების დიდი არჩევანიც. თანდათანობით შუშის ფერად ბურთებსაც ისევ ენაცვლება ქაღალდის ტრადიციული სათამაშოები, ჯინჯილები და ხის ფიგურები. საშობაო გვირგვინები კი, მასში მოთავსებული ოთხი სანთლით, რომელთაგან თითოეული ადვენტის თითო კვირას უნდა დაიწვას, მეცხრამეტე საუკუნის ბერლინიდან იღებს დასაბამს. მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ფორმის ფერადი სანთლები, რომლებიც მთელ სახლში მაგიდებსა და სკამებზეა მიმაგრებული. ადვენტის ფერებად მწვანე და წითელია მიჩნეული: მწვანე გამოხატავს ქრისტესადმი ერთგულებასა და მარადიულ სიცოცხლეს, ხოლო წითელი – მის დაღვრილ სისხლს. ამიტომ ორივე ეს ფერი თვალსაჩინოა საშობაო გვირგვინებშიც, სანთლებშიც, ნაძვის ხეებზეც, თუმცა ცვლილებებმა უკვე აქაც შეაღწია და ხშირად უმთავრეს ფერად ვარდისფერი ან იასამნისფერი ჩანს ხოლმე.

სადღესასწაულო დღეებში ფანჯრები განათებულია ფერად-ფერადი ნათურებით, აივნები და ბაღები დილამდე შუქში იძირება, მაგრამ არც ძველ ჩვეულებასაც ღალატობენ: უშუალოდ სახლის წინ ან პირდაპირ თოვლში ციმციმებს მანდარინის ნათურები – შიგნიდან გამოცლილი მცენარის გულში ზეთს ჩაასხამენ და შემდგომ მას თვალისმომჭრელად ააგიზგიზებენ.

შობისა და ახალი წლის შეხვედრის ცენტრალურ ევროპაში გავრცელებული ტრადიციები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, მაგრამ მათი დღევანდელი სახე უმეტესწილად მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. თანამედროვე ეპოქამ ამ დღესასწაულებს ის ახალი ნიშანი შესძინა, რომ განუწყვეტლად მატულობს საჩუქრებისა და დასაჩუქრებულთა რაოდენობა. მართალია, აქ მას ჯერ ის გაქანება არ მიუღია, რასაც ამერიკაში წინასაშობაო სავაჭრო შეშლილობას უწოდებენ, მაგრამ მაინც, საზეიმო დღეების ჩამთავრების შემდეგ, ოჯახები ყოველჯერად მტკიცე გადაწყვეტილებას იღებენ (განსაკუთრებით, ეკონომიკურად წელგამართულ ავსტრიაში), რომ მომავალ წელს ისევ დაუბრუნდებიან ძველებურად მოკრძალებულ და იდილიურ საოჯახო დღე-

სასწაულს, მაგრამ დღესასწაულები კვლავ მოდის და, როგორც აღმოჩნდება ხოლმე, კეთილი სურვილი სურვილადვე რჩება.

დაბოლოს, კიდევ ერთი ადათი, რომელიც ისევ წმიდა ნიკოლოზს უკავშირდება. სწორედ მას ჩამოუწერენ ხოლმე, ჩვეულებრივ, მომავალი წლის სურვილებს, ხოლო ბარათს ფანჯრიდან აგდებენ. უკანასკნელ ხანს კი უფრო თანამედროვე საშუალება გაჩნდა და თუ მსურველი კომპიუტერს მიუჯდება, შესაძლებელია, ადრესატამდე წერილის მიწვდენა ინტერნეტს მიენდოს. მაგრამ ყველა შემთხვევისას პასუხის დაცდას, – რაშიც სურვილების ასრულება იგულისხმება, – მთელი წლით ლოდინი დასჭირდება. თუმცა, რაკი მომავალ შობამდე დრო ბევრია, ამიტომ იმედიც არ ქრება, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც მოვა წმიდა ნიკოლოზის სასიკეთო პასუხი, ანუ ჩანაფიქრი ნამდვილად ახდება.

დეკემბერი, 1996

1997

21

ჰაინრიხ შლიმანის საგანძური და ხელოვნების მიტაცებული ნიმუშები

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არაერთს იმათგან, ვისი საქმიანობაც კულტურას უკავშირდება, – თავად ქმნის თუ შექმნილს შეისწავლის, – არაერთხელ წამოუჭრია საკითხი, თუ სად ინახება მეორე მსოფლიო ომის დროს ან მისი დამთავრების შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბჭოთა ჯარების მიერ მითვისებული კულტურული ფასეულობები. თუ კომუნისტური ხელმძღვანელობა დაჟინებით უარყოფდა ამ ფასეულობათა საბჭოთა კავშირში არსებობის ფაქტს, დღევანდელი რუსეთის ოფიციალური პირები თავად ფაქტს აღარ მალავენ, მაგრამ ამ ნახევარი საუკუნის წინათ ხელოვნების ნიმუშების მითვისებას სრულიად სამართლიანად და კანონიერად მიიჩნევენ.

* * *

დიდი ხნის წინათ, როცა ბავშვები ჯერ არც ტელევიზორს და არც ვიდეოთამაშებს მისხდომოდნენ, როცა ევროპული სკოლების მოწაფეებს სისხლს უდუღებდა არა სუპერმენი ან სუპერბოი, არა სტალონე ან ვან დამი, არამედ აქილევსისა და ოდისევსის სახელები, გერმანელი პროტესტანტი მღვდლის, ერნსტ შლიმანის, შვიდი წლის შვილი – ჰაინრიხი – მამის მიერ მისთვის წაკითხულ ჰომეროსის პოემებს გულისყურით უსმენდა და ფიქრით თავისი მომავალი ცხოვრების აზრსა თუ მიზანს უტრიალებდა.

ჰაინრიხ შლიმანმა (1822-1890) მხოლოდ მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ შეძლო თავისი ოცნებების ხორცშესხმა. რაკიღა იგი, ყმაწვილური მგზნებარებით, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ "ილიადაში" მოთხრობილი ამბე-

ბი წმიდა წყლის სიმართლეა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეპოვა მიწით დაფარული ტროას კედლები, ილიონთან დაცემულ აქაველთა სამარხები, მათი საჭურველი და საგანძური. გათხრებისათვის კი იგი საგულდაგულოდ და დიდხანს ემზადებოდა: ხუთი ათეული წელი დასჭირდა სორბონის უნივერსიტეტის დამთავრებასა და არქეოლოგიის დოქტორის დიპლომის მოპოვებას, კანონიერი თუ უკანონო გზით მილიონების მოხვეჭას, მრავალწლიან მოგზაურობებსა და ოცამდე ენის შესწავლას, შესაბამისი ცოდნის შეძენასა და ძველი ისტორიის საფუძვლიანად დაუფლებას.

შლიმანმა არ დაუჯერა თავის მასწავლებლებსა თუ კოლეგებს, რომელთაც მხოლოდ ლეგენდად მიაჩნდათ ტროას არსებობა, და ენდო ჰომეროსს, როცა მცირეაზიული გორაკის – ჰისარლიყის – გათხრას შეუდგა. რა თქმა უნდა, მიამიტურად ჩანს განცხადება, რომ შთაგონებულ არქეოლოგს მხოლოდ ბედმა გაუღიმა, რადგან გასათვალისწინებელია, რომ მის ხელთ იყო გათხრებისათვის საჭირო და საკმარისი ინფორმაცია, მაგრამ, ლირიკულ-ბიოგრაფიული განზომილებით, მაინც შეიძლება ითქვას, რომ იგი დაუეჭვებლად გაჰყვა ჰომეროს-ჟამთააღმწერელს, რაკიღა მტკიცედ სჯეროდა, რომ "ილიადის" ავტორი ოდენ პოეტი კი არა, ისტორიულ მოვლენათა სანდო მემატიანეც იყო.

შლიმანისეული კოლექციიდან ყველაზე ღირებული იყო ეგრეთ წოდებული "პრიამეს განძი" – 1873 წელს ნაპოვნი ოქროს სამკაულები, თასები, ლარნაკები. შლიმანი დაჟინებით არ იჯერებდა ფრიად დასაბუთებულ შეხედულებას, რომ ეს ნივთები ათასი წლით უფრო ძველი იყო, ვიდრე ჰომეროსის პოემებში აღწერილი მოვლენები და რომ ისინი ქრისტეს შობამდე ოცდამეხუთე საუკუნით თარიღდება, ოღონდ არანაირად – მეთხუთმეტე საუკუნით, როცა, სავარაუდოდ, უნდა ეცხოვრათ "ილიადის" გმირებს.

გათხრებისას, ოცი წლის განმავლობაში, აღმოჩნდა ათასობით ნივთი, რომლებიც შლიმანმა საჩუქრად გადასცა იმპერიის დედაქალაქს, ბერლინს. რაკიღა ფონდები წლიდან წლამდე სულ უფრო მატულობდა, საბოლოოდ, მთელი სა-

განძური გადაიტანეს ბერლინის პირველყოფილი და ძველი ისტორიის მუზეუმში, სადაც ტროასეული 9704 ექსპონატი – ოქროსა და ვერცხლის ნივთები, კერამიკა, ქანდაკებები – მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე მუზეუმის ფონდებში იყო დაცული.

საგანძურის შემდგომი ბედ-იღბალი ბურუსითაა მოცული. ღვიოდა ბუნდოვანი გადმოცემა, რომ, როგორც კი მესამე რაიხის დედაქალაქის დაბომბვა დაიწყო, შლიმანის საუნჯე ბერლინის ზოოპარკის ტერიტორიაზე, საიმედოდ დაცულ სარდაფებში მოათავსეს. ცოტა ხნის წინათ გამოირკვა, რომ მათი პოვნა ადვილად მოუხერხებია საბჭოთა საოკუპაციო ნაწილებს 1945 წლის მაისში.

პირველყოფილი და ძველი ისტორიის მუზეუმის დირექტორმა, ვილჰელმ უნფერცატმა, სწორედ იმ დღეებში მოაწერა ხელი ოქმს, სადაც ადასტურებდა ფასეულობათა გადაცემას საბჭოთა მმართველობისათვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ, გასაგებ მიზეზთა გამო, იგი ისე გარდაიცვალა 1971 წელს, ამის გამო საჯაროდ არაფერი განუცხადებია. საბჭოთა დაწესებულებები კი, უსირცხვილო და უკანმოუხედავი ტყუილის თქმის თავიანთი ათეულწლოვანი წრთობის გამოცდილებით, დაჟინებით ავრცელებდნენ ხმებს, რომ "პრიამეს საგანძური" ბერლინის დაბომბვისას განადგურდა. ასე გრძელდებოდა 1989 წლამდე, სანამ უნფერცატის ქვრივმა არ გამოაქვეყნა გარდაცვლილი ქმრის დღიურები, საიდანაც აშკარა გახდა, რომ ტროას ოქრო, სხვა ტროფეებთან ერთად, საბჭოთა ჯარებმა გააყოლეს ხელს, – სავარაუდოდ, როგორც პიანინოებითა და ჭაღებით, დაზგებითა და მსუბუქი ავტომანქანებით დატვირთული ვაგონები. წიგნის გამოსვლისას საბჭოთა კავშირში გამალებული "პერესტროიკა" იყო გაჩაღებული, სულ მალე გერმანიაში ბერლინის კედელი დაეცა, მაგრამ სიმართლის აღიარება მაინც გაჭიანურდა. დაბოლოს, რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, 1993 წლის ივლისში საჯაროდ განაცხადა, რომ შლიმანის ოქრო ნამდვილად მოსკოვში ინახება.

სამი წლის შემდეგ, 1996 წელს, როგორც იქნა, გადამალული განძი გამოიფინა მოსკოვის პუშკინის სახელობის

სახვითი ხელოვნების მუზეუმში, სადაც ორას სამოცი ფასდაუდებელი ნივთი იყო წარმოდგენილი.

ოფიციალურ პირთა თანდასწრებით, გამოფენა მხურვალე სიტყვით გახსნა მუზეუმის მრავალწლიანმა დირექტორმა, ირინა ანტონოვამ, რომელიც თავად იყო ომისშემდგომი ტროფეების კომისიის წევრი და რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გულწრფელი გამომეტყველებით ამტკიცებდა, რომ მან არაფერი იცოდა შლიმანის ფონდების ასავალ-დასავლის შესახებ.

ერთ დროს რუსეთში სერიოზულად განიხილავდნენ ხელოვნების მიტაცებულ-წართმეული ნივთების პატრონთათვის დაბრუნების საკითხს, და იყო კიდეც ერთი ამგვარი შემთხვევა: 1958 წელს საბჭოთა მუზეუმებმა დრეზდენის მუზეუმს დაუბრუნეს მითვისებული ფასეულობები.

დღეს კი, მაშინ, როცა რუსეთი ჩვეულებრივი აგრესიული თვითკმაყოფილებით მიისწრაფვის იმპერიული სახის დასაბრუნებლად, რამენაირ მონანიებაზე, შეცდომების გამოსწორებაზე, წარსულის უგვანი მემკვიდრეობიდან გათავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

* * *

1996 წლის მიწურულს, სანკტპეტერბურგში, ერმიტაჟში, გაიხსნა გამოფენა – “ევროპული მხატვრობის შედევრები გერმანიის პირადი კოლექციებიდან”, თუმცა სხვა ქვეყნების პრესა და სპეციალისტები ამ კოლექციას მოკრძალებულად “ხელოვნების ადგილმონაცვლებულ ნიმუშებად” მოიხსენიებენ, ხოლო ნაკლებად თავაზიანნი და უფრო პირდაპირები კი მათ “მიტაცებულ-მითვისებულ ხელოვნებას” უწოდებენ. იგულისხმება ხელოვნების ის ნიმუშები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასასრულ საბჭოთა ჯარებმა უჩუმრად გაზიდეს გერმანიიდან და რომელთა სამყოფელი გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო საბჭოთა მუზეუმების გასაიდუმლოებული საცავები.

გაზაფხულის ბოლომდე ერმიტაჟის ნიკოლოზის დარბაზში წარმოდგენილი იქნება ევროპის ცამეტი ცნობილი მხატვ-

რის ოთხმოცდაათამდე ორიგინალური ნაწარმოები, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე თარიღდება. ზოგი მათგანი ადრეც იყო ცნობილი კვლევითი ნაშრომებიდან, თუმცა ხუთი ათეული წლის განმავლობაში ისინი არსად გამოფენილა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად მოიხსენიებოდა.

კერძოდ, გამოფენაზე წარმოდგენილია გოიას ორმოცამდე ნახატი, ენგრის ერთი პორტრეტი, სეზანის ეტიუდი, დელაკრუას, ვან გოგისა და ტულუზ-ლოტრეკის რამდენიმე აკვარელი, მილეს პეიზაჟი და სხვა ნამუშევრები. სურათების უმრავლესობის ოდინდელი მესაკუთრე იყო სადაზღვევო კომპანია "ვიქტორიის" დირექტორი, ცნობილი ფინანსისტი და სახელგანთქმული კოლექციონერი ოტო გერსტენბერგი; მის გარდა, ხელოვნების გაძარცვულ მოყვარულებს შორის აღმოჩნდნენ ბერნჰარდ კელერი, ოტო კრებსი და ფრიდრიხ სიმენსი. იმის დასადასტურებლად, რომ მუზეუმი თვალმისაწვდომ მომავალში სრულიადაც არ აპირებს გატაცებული და მისაკუთრებული ნაწარმოებების კანონიერ მფლობელთათვის ან მათ მემკვიდრეთათვის დაბრუნებას, ერმიტაჟის ხელმძღვანელობამ გამოფენის გახსნისას საგანგებოდ არ მიიწვია ყოფილ მფლობელთა ოჯახების არცერთი წარმომადგენელი.

რესტიტუციის, ანუ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი დღევანდელ რუსეთში, – იმგვარადვე, როგორც ყველაფერი და ყოველთვის ამ ქვეყნის ისტორიაში, – პოლიტიკურ-"დერჟავულ" განზომილებაში განიხილება. ასე რომ, მუზეუმები და მათი თანამშრომლები ამჯერადაც ვერაფერს წყვეტენ. რამდენიმე თვის წინათ რუსეთის სახელმწიფო დუმამ მიიღო რესტიტუციის შესახებ კანონის ყველაზე მკაცრი ვარიანტი, რომელიც სრულიად გამორიცხავს მფლობელთა ოჯახების უფლებას ტროფეულ ფასეულობათა მიმართ, თუმცა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატას ეს კანონი ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის ხელისუფალთა პოზიცია კიდევ უფრო გამკაცრდება.

შესაძლოა, ამ მიზეზითაც იყო განპირობებული სანკტპეტერბურგის ერმიტაჟის დირექტორის, მიხაილ პიოტროვს-

კის, განცხადება, რომელიც, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეჰფერის მეცნიერს, ხელოვანს ან კულტურული დაწესებულების ხელმძღვანელს. როგორც მან ბრძანა, იგი ვერავითარ უსამართლობას ვერ ხედავს, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა არმიამ გერმანიიდან კულტურული ფასეულობანი გაზიდა. ერთადერთი შეცდომა, რაც დირექტორის აზრით, საბჭოთა მხარეს მოუვიდა, ისაა, რომ აქამდე, ასე დიდი ხნის განმავლობაში ამ შედევრებს მალავდნენ და არავის უჩვენებდნენ.

ისიც უნდა ითქვას, – რაც დიდი საიდუმლო არაა, – რომ რუსეთის ხელისუფლებისა და ქვეყნის მოხელეთა შორის რამენაირი დაპირისპირება ან აზრობრივი განსხვავება მეტად უჩვეულოა ამ ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციისათვის. ამდენად, არ ღირს პიოტროვსკის გამონათქვამების მიჩნევა მის საკუთარ მოსაზრებად.

დღევანდელი რუსეთის საჯარო-პოლიტიკური ცხოვრების დაკვირვებისა თუ გააზრებისას, ალბათ, არავის უკვირს, რომ ის, რაც ადრე ფარისევლური მორიდებით იმალებოდა, – ქურდობის, მითვისების, მოტაცების ფაქტები, – დღეს ქვეყნის არცერთ ფენაში სირცხვილის არავითარ განცდას არ იწვევს.

კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშანია პირადი საკუთრების წართმევა. ამჟამინდელ კოსმეტიკურ სახეცვლილებათა მიუხედავად, ჩრდილოეთის იმპერიაში ურყევად რჩება წართმევის, წაგლეჯის, ძარცვის მგზნებარება, – სინდისზე, სირცხვილზე, ზნეობაზე ფიქრით რუსეთში, საუკუნეების განმავლობაში, მხოლოდ ზოგიერთი მწერალი ან პუბლიცისტი თუ იტკივებდა თავს.

იანვარი, 1997

22

კელტომანია ჩეხეთში

კელტების გადაშენებულ-გამქრალი ტომის მიმართ ყურადღებას დღეს მხოლოდ გარკვეული დარგის მეცნიერები თუ იჩენენ და, ალბათ, ამგვარი ვითარებაა ევროპისა თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ კელტური ისტორიითა და კულტურით გატაცება ჩეხეთში პოლიტიკური პროცესის, პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელი მოვლენა გახდა.

საფიქრებელია, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყანათა მოსახლეობა და, განსაკუთრებით, ჩეხები საკმაოდ დაღალა მთელი მეცხრამეტე საუკუნისა და თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გაუთავებელმა ბრძოლამ პანგერმანულ და პანსლავურ ტენდენციებს შორის, – არჩევანის საკითხმა, რომელიც ამ დროის განმავლობაში შორს გასცდა აკადემიურ ფარგლებს და ყოველი ჩეხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე რამენაირად მაინც აისახა. გერმანულ თუ საბჭოთა ოკუპაციებს წინ უსწრებდა გერმანოფილური ან სლავოფილური იდეოლოგიური ტალღა და, სავარაუდოა, რომ კელტებით გატაცებას, – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, – სულის მოთქმის, ამოსუნთქვის სურვილი უფრო ამოძრავებს, ვიდრე ცხადი აკადემიური ინტერესი. უკამათოა, რაც უნდა ფართოდ გავრცელდეს კელტური ორიენტაცია, კელტების მხრივ ინტერვენციისა და ოკუპაციის საფრთხე ნამდვილად არავის ემუქრება და, მათ შორის, – არც ჩეხებს. რუსეთის, ანუ საბჭოთა ჯარებმა მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დატოვა ცენტრალური ევროპა, კელტები კი კონტინენტურ ევროპაში, როგორც ვარაუდობენ, ორი ათასი წელი მაინცაა, არავის უნახავს. ისიც გასახსენებელია, რომ სლავ ერთაგან ყველაზე დასავლურად ორიენტირებულ ერს, – ჩეხებს, – კარგა ხანია სლავური ერთობის მიტოვების მძაფრი სურვილი ამოძრავებს, ხოლო საკუთარ ისტორიასა და კულტურაში კელტური ძირების ძიება ამ

სურვილის განხორციელების კარგ შესაძლებლობას იძლევა. რიგითი ჩეხი რომ გააჩეროთ და კელტების შესახებ ჰკითხოთ, უკეთესი შემთხვევისას, მას, ალბათ, გაახსენდება დრუიდები, ბარდები და ბოეველები, რომელთაგანაც აღმოცენდა ჩეხეთის ისტორიული სახელწოდება: ბოიოჰემუმ-ბოჰემია. აი, თითქმის ყველაფერი, რაც შემხვედრს შეუძლია მოგითხროთ კელტების შესახებ, მაგრამ ეს მწირი ცოდნა სრულიადაც არ უშლის ხელს ბოლო ხანს ფართოდ მოდებული კელტომანიის გაღვივებას.

მაინც ვინ იყვნენ ნამდვილად ეს კელტები და მართლა ჰქონდათ თუ არა მათ რამე კავშირი უძველეს ჩეხებთან, ანუ იმ ხალხთან, ვინც დღევანდელი ჩეხეთის მიწაზე ცხოვრობს?

თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ კელტების პირველადი სამშობლო დღევანდელი აღმოსავლეთ საფრანგეთის, სამხრეთ გერმანიისა და ჩრდილო-დასავლეთ შვეიცარიის მიწები იყო, მაგრამ უახლესმა გამოკვლევებმა აშკარად დაადასტურა, რომ ისინი იმ დროს ჩეხეთის, უფრო ზუსტად, ახლანდელი ჩეხეთის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილშიც სახლობდნენ.

“მათი დანახვა ყოველთვის თავზარდამცემი იყო”, – წერს ანტიკური ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი, როცა კელტების შემოსევას აღწერს იტალიაში მეოთხე საუკუნის დასაწყისში.

ქრისტეს შობამდე მეორე და მესამე საუკუნეების განმავლობაში ისინი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შეიჭრნენ და, ბალკანეთის გავლით, მათ დღევანდელ თურქეთამდე მიაღწიეს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში კელტები დაეუფლნენ ევროპის უდიდეს ნაწილს, სადაც თავიანთი კულტურის დამკვიდრება სცადეს, – ყოველი შემთხვევისას, არქეოლოგები ამ კულტურის სულ უფრო მეტ ნიშანს პოულობენ ევროპის სხვადასხვა კუთხეში.

როცა ქრისტეს შობამდე მეოთხე საუკუნის დასაწყისში კელტებმა ალპები გადალახეს და ეტრურიას შეუტიეს, დახვეწილმა ეტრუსკებმა ისინი ოდენ ველურ და სახიფათო ბარბაროსებად მიიჩნიეს. იმუამინდელი ცნობების მიხედვით, კელტები ცხოვრობდნენ ხის სახლებში, სადაც გამხმარ ფოთლებში, ბალახებსა და ტყავებში ეძინათ. მათი რელიგიური ადათ-წესები სასტიკი და სისხლიანი იყო. ომში გამარჯვების შემდეგ ისინი

უმთავრეს ნადავლად დამარცხებულთა მოკვეთილ თავებს აგროვებდნენ. აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრისას ისინი აღჭურვილნი იყვნენ რკინის მახვილებით, შუბებითა და დაუოკებელი ვაჟკაცობით.

იგივე დიოდორე წერს, რომ ისინი იბრძოდნენ როგორც მთვრალები და ბანგით გაბრუებულნი, სწყუროდათ სისხლი და არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ. შიშის ზარს სცემდა ყველას მათი გოლიათური გარეგნობა. ისინი ბრძოლაში სრულიად შიშველნი ჩაებმებოდნენ ხოლმე, ხოლო თმებსა და წვერებს კირით თეთრად იღებავდნენ. "ესეც კი საკმარისი იყო, კელტები ტყის ჭინკებად მიგეჩნიათ", – ასკვნის ანტიკური ისტორიკოსი.

მარადიულ ქალაქზე – რომზე – თავდასხმისას იქაური მოქალაქეები იმგვარმა ძრწოლამ მოიცვა, რომ კაპიტოლიუმისაკენ გაქცეულ და იქ თავშესაფრის მაძიებელ რომაელებს ქალაქის კარიბჭის დარაზვაც კი დაავიწყდათ. ამდენად, რომაელ ისტორიკოსებს არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ, დაენდოთ კელტები. ისტორიკოს აპიანეს სიტყვებით, "ისინი განუწყვეტლივ თვრებიან ღვინით და ჭამენ ყველანაირ საჭმელს... მათი უზარმაზარი სხეულები, აგებული ისედაც რბილი ხორცისაგან, უსასრულო ჭამისა და სმისაგან იმდენად დიდ ზომასა და წონას იძენს, რომ საერთოდ ვეღარ ახერხებენ სირბილსა და მუშაობას. საკუთარ თავზე რამე ძალდატანების შემდეგ, ისინი უმალ ისე გამოიფიტებიან ხოლმე, რომ სუნთქვაც აღარ ძალუძთ". როგორც ჩანს, დეზინფორმაცია თუ პროპაგანდა იმ დროსაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, განსაკუთრებით, – საომარ ვითარებაში, როცა აუცილებელი ხდებოდა საკუთარი მიზნებისა თუ საკუთარი უუნარობის შეფარვა. ალბათ, ამგვარი წარმოსახვით უფრო ადვილი იყო იმ ფაქტთან შეგუება, იმ ფაქტის აღიარება, რომ პირველები, რომელთაც რომი აიღეს, სწორედ კელტები აღმოჩნდნენ.

არქეოლოგიური მონაპოვრები კი სხვაგვარად მოგვითხრობს კელტების შესახებ. მათს საცხოვრებლებში, – თავდაპირველად პატარა სოფლებში, ხოლო შემდგომ გამაგრებულ კოშკებში, – რომლებიც მათი რელიგიური, სამართლებრივი, სამხედრო, სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები იყო, ამოქმე-

დებული იყო ყველა ტრადიციული საქმიანობა: ამუშავებდნენ რკინას, აწარმოებდნენ იარაღსა და ხელსაწყოებს, უშვებდნენ საკუთარ მონეტას, ქმნიდნენ მძივებს, სამაჯურებს, სხვადასხვანაირ საკულტო ნაკეთობას, ჰქონდათ თიხისა და შუშის ნივთები. სწორედ კელტებმა გამოიგონეს საპონი. "ტყის ჭინკები", როგორც ჩანს, ჰიგიენას იცავდნენ...

მას შემდეგ, რაც არქეოლოგები 1855 წელს შვეიცარიაში კელტების პირველ ნაკვალევს წააწყდნენ, მათ შესახებ მრავალი ინფორმაციის შეგროვება მოხერხდა, – თანაც მთელი ევროპის ტერიტორიაზე. მაგრამ მონაპოვრის ინტერპრეტაცია და კელტთა ცხოვრების რეკონსტრუქცია ბევრად უფრო ძნელი საქმე აღმოჩნდა, – ერთი ისტორიკოსის სიტყვებით, გათხრებისას ნაპოვნი ბარძაყის ძვალი არაფერს გვეუბნება, თუ რა ენაზე საუბრობდა მისი ოდინდელი პატრონი...

უძველესი კელტების შესახებ მსჯელობისას საკითხები განიხილება არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ნუმიზმატიკურ ჭრილში, მაგრამ დღემდე ვერავინ შეძლო ერთიანად წარმოედგინა მათი მსოფლმხედველობა, მათი შეხედულებანი ღმრთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ. როგორც ჩანს, კელტური საცხოვრებლები სრულიად უცხო, სრულიად განსხვავებულ ცხოვრებისეულ საფუძვლებზეა დამყარებული. კომპლექსური შესწავლა ნელ-ნელა იძლევა საშუალებას მათი რელიგიური შეხედულებების ჩასაწვდომად და ასახსნელად. განსაკუთრებით ყურადსაღებია მათს ნივთებზე გამოსახული რთული აბსტრაქციები. თანდათანობით კელტური კულტურა უფრო მეტად გასაგები ხდება პალეოანთროპოლოგიურ თუ პალეოსოციოლოგიურ კონტექსტში. სავარაუდოა, რომ მათ სხვა ევროპელ ხალხებზეც მოუხდენიათ გავლენა.

თუმცა ინფორმაციის ეს სიმწირე ხელს არ უშლის იმ "კელტურ აფეთქებას", რომელიც, ჩეხეთის გარდა, ანგლოსაქსურ ან უფრო მოშორებულ ქვეყნებსაც კი მოედო, – იმ "კელტომანიას", რაც კელტური ტრადიციებით, დრუიდული პრაქტიკით, კელტური მუსიკით გატაცებაში გამოიხატება. ამგვარი გატაცების ძირები, რა თქმა უნდა, უფრო ღრმადაა საძიებელი და ამ დაინტერესებას ცოტა რამ აქვს საერთო კონკრეტულ აკადემიურ კვლევა-ძიებასთან. გარკვეული რომანტიკულობისა

და ეგზოტიკურობის გარდა, ეს იმგვარი ევროპული ინტეგრაციისაკენ სწრაფვაცაა, რაც აღარ იქნება დაკავშირებული უსიამოვნო ნაციონალისტურ ასოციაციებთან. თუმცა პოლიტიკურ ელფვერს "კელტომანია" მაინც იძენს, და არა მხოლოდ ჩეხეთში, – განსაკუთრებით იმ მოძრაობებში, რომლებიც ფრანგულ ბრეტანში ან ბრიტანეთის კუნძულებზე აღმოცენდა.

რაც შეეხება ზოგიერთი მგზნებარე ჩეხი კელტომანის მტკიცებას, რომ ყველა ჩეხში კელტური სისხლის რამდენიმე წვეთი მაინც ჩქეფს, ის მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, – კელტები ქრისტეს შობამდე უმეტესად განიდევნნენ კონტინენტური ევროპიდან, შემდგომ დაიწყო სულ მცირე ოთხასწლოვანი გერმანული კოლონიზაცია, მომდევნოდ – სლავური გავლენა... კელტურმა კულტურამ მხოლოდ ბრიტანეთშიღა გააგრძელა არსებობა. სწორედ მისი მემკვიდრენი იყვნენ ირლანდიურ-შოტლანდიური მისიები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროპის გაქრისტიანებისა და შუასაუკუნეობრივი ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბების საქმეში.

ახლანდელი პრაჰის ცენტრში ერთ ქუჩას "ჰიბერნსკა" ჰქვია, – მეთოთხმეტე საუკუნეში სწორედ ამ ქუჩაზე მონასტერი დაათუძნეს ირლანდიელმა ბერებმა, ირლანდიას კი ლათინურად "ჰიბერნია" ჰქვია.

აი, ჯერჯერობით თითქმის ყველაფერი ის, რაც კელტურ-ჩეხურ კონტაქტებზე მეტყველებს, თუმცა დღეს ჩეხეთში განუწყვეტლივ იმართება კელტური ზეიმები, იმოსებიან კელტურ სამოსში, ატარებენ ფსევდოკელტურ რიტუალებს, კელტურ თემებზე იბეჭდება წიგნები და გამოდის მუსიკალური ალბომები...

მაინც უნდა ითქვას, ეს ყველაფერი რეაქციაა, რადგან დღეს ზოგს მიაჩნია, რომ კელტური ძიების ძიება უფრო სჭირდება თანამეროვე ჩეხეთს, ვიდრე გერმანული ან სლავური ძირებისა.

თებერვალი, 1997

23

რუსეთი ბერლინის კინოფესტივალზე

ბერლინის 47-ე საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებს, ბუნებრივია, საშუალება მიეცათ, ენახათ ფილმები, რომელთა არჩევანი მართლაც დიდი იყო, მაგრამ ჩავლილი კინოფესტივალის დამსწრეებს, სტუმრებსა თუ ჟურნალისტებს არა მარტო ფილმების ნახვისა და კინოსაქმიანობაში ჩართულ ადამიანებთან შეხვედრის საშუალება ჰქონდათ, არამედ შეეძლოთ წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ ეროვნულ კინემატოგრაფზეც, – თუნდაც ზედაპირული და ირიბი წარმოდგენა, – იმ სარეკლამო გამოცემათა საფუძველზე, რომლებიც თვალშისაცემი იყო ყველა საჭირო თუ არასაჭირო ადგილას. ფილმების შესახებ, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, თავად ფილმები მეტყველებს, მაგრამ ამგვარი პროფესიული თავყრილობა, უეჭველია, უყურადღებოდ არ ტოვებს არც კატალოგებს, ბუკლეტებს თუ პლაკატებს. შესაძლოა, არცთუ იშვიათად ამგვარი მასალა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე თავად კინონაწარმოები, როგორც, მაგალითად, ტაივანური ფილმის, "მდინარის", თანმხლები ჭილის ალბომი, – პოლიგრაფიულად და სტილურად თითქმის უნაკლო; ან უღიმღამო ბრიტანული ფილმის, "ტყუპების ქალაქის", ასევე, სარეკლამო ალბომი, რომელსაც ფილმის საუნდტრეკის კომპაქტური დისკი ახლდა; ანდა გახმაურებული და სკანდალური აფიშა მილოშ ფორმანის ფილმისათვის "ხალხი ლერი ფლინტის წინააღმდეგ".

ალბათ, ნახვისა და ხელის შევლების გარეშე, არ ღირს ლაპარაკი დანიური, ნორვეგიული, სლოვენიური, ბერძნული, პორტუგალიური ფილმების კატალოგთა პოლიგრაფიულ ვირტუოზობასა თუ ესთეტიკურ მიმზიდველობაზე.

რა თქმა უნდა, ბევრ დამსწრესა და მონაწილეს ცნობისმოყვარეობა უბიძგებდა, გადაეთვალიერებინა მსოფლიოს

უდიდესი ქვეყნის (ზომით ის ნამდვილად უდიდესია!) – რუსეთის – კინოს კატალოგი. ამგვარი რამ ბუნებაში, შესაძლოა, სადმე არსებობდეს, მაგრამ ბერლინის ფესტივალზე მსგავსს ვერაფერს იპოვიდა მსურველი. შეცბუნებულ მაყურებლებსა თუ ჟურნალისტებს რუსეთის წარმომადგენელი სთავაზობდა აუკინძავი ქსეროპირების მწვანე საქაღალდეს, – ფესტივალზე წარმოდგენილი რუსული ფილმების ანოტაციებს, რომლებიც ცალკე ფურცლებზე დაებეჭდათ და რომლებზეც ძლივს გაირჩეოდა შავ-თეთრი ფოტოები.

საბჭოთა კავშირის დაშლისა თუ ჩეჩნეთის ომში დამარცხების შემდეგ ბევრს ეჭვი შეეპარა ჩრდილოეთის იმპერიის პოლიტიკურ თუ სამხედრო ძლიერებაში, მაგრამ არავის უარუყვია რუსეთის კულტურული და ინტელექტუალური ფასეულობანი, – ქვეყნისა, რომლის ყველაზე მასობრივი ჟურნალი (ნორმალური პოლიგრაფიის უქონლობის გამო!) ფინეთში ისტამბება; ქვეყნისა, რომელსაც არა აქვს კლასიკური მუსიკის საღღეღამისო პროგრამა; ქვეყნისა, რომელიც ბერლინის მეტად პრესტიჟული კინოფესტივალისათვის ვერ ბეჭდავს საკუთარი ფილმების კატალოგს...

მაგრამ ყოველივე ჩამოთვლილი ხომ ცივილიზაციის ნიშნებია, რუსეთი კი, როგორც თავად რუსები ამბობენ ხოლმე, კულტურული და სულიერი ქვეყანაა, – კიდევ მეტი, კულტურისა და სულიერების სამშობლოც და ციხე-სიმაგრეც...

მარტი, 1997

24

საწამებელი იარაღების გამოფენა ლუბლინში

პოლონურ ქალაქ ლუბლინში ამ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა გამოფენა – "შუასაუკუნეობრივი საწამებელი იარაღები", რომელზეც ორმოცდაათზე მეტი შესაბამისი ნიმუში იყო წარმოდგენილი. მთელ კოლექციას წლების განმავლობაში ესპანეთში, ავსტრიასა და გერმანიაში აგროვებდა იტალიური საზოგადოება, რომელსაც "Associazione ricercatori storici" ჰქვია და რომელიც ქალაქ ვერონაში მდებარეობს. გამოფენის პროსპექტში ორგანიზატორები გამოთქვამდნენ იმედს, რომ ექსპოზიცია შეფასდებოდა არა როგორც სენსაციისა და მნახველთა იაფფასიანი მიზიდვის მცდელობა, არამედ აღქმული იქნებოდა, როგორც მიპატიჟება ჩასაფიქრებლად, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს ადამიანის ცნობიერებაში ქრისტიანული ფასეულობანი და მეტად დახვეწილი სისასტიკე. ამ საკითხების გასაანალიზებლად დამთვალიერებლებს ურჩევდნენ, გამოფენის გარდა, გულისყურით გასცნობოდნენ ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, ჟან დელუმოს, საკმაოდ გახმაურებულ გამოკვლევას – "შიში დასავლურ კულტურაში".

ყველა ის გონიერი მნახველი, ვინც გამოფენა დაათვალიერა, აღნიშნავს, რომ ლუბლინურმა ექსპოზიციამ მეტად ცხადი და ხატოვანი გახადა საუკუნეების წინანდელი ევროპის გამოძიებისა და დაკითხვის ხერხები თუ საშუალებანი, მიუხედავად იმისა, რომ საჩვენებლად წარმოდგენილი ნიმუშების – წამების იარაღების – შესახებ ადრეც არცთუ ურიგოდ იყო ცნობილი. ყოველი შემთხვევისას, თუკი სურვილი გაჩნდებოდა, ამგვარი ცნობებისა თუ თვალსაჩინო მასალის მოპოვება ადვილად შეიძლებოდა: მუზეუმებიდან, წიგნებიდან, საბუთებიდან, ნახატებიდან

(საბჭოთა კავშირში მცხოვრები თუ ჩამოსული დამთვალიერებლისათვის შესაბამისი ექსპონატების ნახვა შესაძლებელი იყო მაშინდელ ლენინგრადში, ყაზანის ღმრთისმშობლის ტაძარში, სადაც იმუამად რელიგიისა და ათეიზმის მუზეუმი იყო განთავსებული, – რა თქმა უნდა, მებრძოლი უღმერთობის პოზიციებიდან). ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ამგვარი ლიტერატურის მადლიერი მკითხველები იყვნენ არა მარტო წვრილ-წვრილი ჩეკისტები და კომუნისტი გამომძიებლები, არამედ თვით "ხალხთა დიდი ბელადიც", იოსებ სტალინიც, რომელიც, ბევრი თანამებრძოლისაგან განსხვავებით და ზოგიერთი თანამებრძოლის მსგავსად, ადამიანების განადგურების გარდა, წიგნების კითხვის მოყვარულიც იყო.

ახლახან მაყურებელს საშუალება მიეცა, კინოეკრანზეც ეხილა საჩვენებელ-საგამოფენო მასალა, ანუ ისევ საწამებელი საშუალებანი: ოთარ იოსელიანის უკანასკნელი ფილმის, – "ყაჩაღები. თავის მეშვიდე", – ერთ ეპიზოდში შინსახკომელი (ანუ ჩეკისტი) მამა თავის ვაჟს, მომავალ დამსმენსა და ნაძირალას, თვალწინ დაულაგებს პატიმართა გატეხისა და გამოტეხის იარაღებს, შესაბამისი და საჭირო ახსნა-განმარტებების თანდართვით.

დროთა ამგვარი გადაძახილიც აშკარად მეტყველებს, რომ გამოფენის ორგანიზატორები მხოლოდ ისტორიულ ინტერესს ვერ დასჯერდებოდნენ, და ნებსით თუ უნებლიეთ, მოუწევდათ, თანამედროვეობის შესახებაც ჩაეფიქრებინათ ცნობისმოყვარე დამთვალიერებლები.

უწინარესად, რაც ასე თვალშისაცემი იყო სტენდებთან ჩავლისას, განუწყვეტლივ განმეორებული ერთი და იგივე სიტყვებია: ეშმაკი, სატანა, ანტიქრისტე. აშკარაა, რომ საწამებელ იარაღთა მთელი ეს სისტემა იმ გარემოში იქმნებოდა, როცა ყოველ წუთს ელოდნენ ანტიქრისტეს ჟამის ჩამოდგომას, როცა შემტევი მაცდური ასე ახლოს და ასე უშუალოდ აღიქმებოდა, როცა ეჭვი არ ეპარებოდათ კაცთა მოდგმის მტრის ნამდვილ (და არა წარმოსახულ) არსებობაში. ეს შიში, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძლიერდებოდა ჟამიანობისას – შავი ჭირის ეპიდემიების მძვინვარებისას,

რამაც შუა საუკუნეების განმავლობაში ევროპის ნახევარი მოსახლეობა შეიწირა. შიშით მოცულ ადამიანს სჯეროდა, რომ ახლოვდებოდა სამყაროს დასასრული, კეთილი და ბოროტი ძალების საბოლოო და გადამწყვეტი შერკინება. ამგვარი ვითარება განაპირობებდა, რომ ირგვლივ დამკვიდრებულიყო, ცხოვრებისეულ ნორმად ქცეულიყო ყველასათვის ეჭვით ცქერა და საყოველთაო დასმენა, ერთმანეთის ღალატი და ერთმანეთისათვის ბრალის დადება.

ლუბლინური გამოფენის ექსპონატები წარმოაჩენს იმ შემაძრწუნებელი მექანიზმის წარმოშობასა და სრულყოფის გზას, რომელიც საშუალებას იძლეოდა, გაეტეხათ ადამიანის ნება, გაეთელათ ღირსება, სრულიად გაეუფასურებინათ კონკრეტული, ერთეული, კერძო პიროვნება.

სამაგალითოდ, გამოფენაზე წარმოჩენილია მეჩვიდმეტე საუკუნის ერთი სასამართლო პროცესი, რომელიც საბუთებში Monachium-ის სახელით მოიხსენიება და რომლის გამოძიებისას თერთმეტ ეჭვმიტანილს ჰბრალდებოდა ჯადოქრობა. დაკითხვისას ექვს მათგანს მრავალგზის აწამებდნენ გავარვარებული რკინით, ერთ ქალს გაუხლიჩეს მუცელი, ხუთ ბრალდებულს დაუმტვრიეს ძვლები, ერთმა სული დალია სოლზე ჩამოცმისას. შემდგომ ეჭვმიტანილთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა, რადგან დაკითხულებმა დაასახელეს ერთი ოჯახი, რომელიც იმ მიდამოში გამორჩეული ქრისტიანული ოჯახის სახელით სარგებლობდა. რა თქმა უნდა, ეს ოჯახიც უმალ დააპატიმრეს და აწამეს: ოჯახის მამა საპყრობილეში გარდაიცვალა; დედამ, მას შემდეგ, რაც თერთმეტჯერ ჩამოკიდეს ხელებით, თავი დამნაშავედ ცნო; მათი ოცი წლის ქალიშვილი კი არანაირად არ ეთანხმებოდა წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ როცა მას დედის ჩვენებანი გააცნეს, ხოლო მისი თვითმკვლელობის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, მან აღიარა ყველა დანაშაული; ამ ახალგაზრდა ქალმა ისიც კი დაადასტურა, რომ რვა წელი ემსახურებოდა ეშმაკს, რომ შეჭამა ოცდაათი ადამიანის გული, რომ მონაწილეობდა ჯადოქართა თავყრილობებში – შაბაშებში, რომ მოუხმობდა ქარიშხალს და რომ უარყოფდა ღმერთს. დედასა და

შვილს, ჩადენილ ცოდვათა გამოსასყიდად, კოცონზე დაწ-
ვა მიესაჯათ.

ეს ამბავი გადასული დროის სასამართლო ყოველდ-
ღიურობის მხოლოდ ერთი რიგითი ფრაგმენტია.

რა თქმა უნდა, წამებისა თუ დასჯის ინტენსიურობა სხვა-
დასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული
იყო, მაგრამ არც ისაა დასავიწყებელი, რომ სისასტიკეშიც,
დაუნდობლობაშიც, ულმობელობაშიც კათოლიკურ ქვეყ-
ნებს ეჯიბრებოდნენ და წილს არ უდებდნენ პროტესტან-
ტული ქვეყნები.

მაინც ვის წინააღმდეგ გამოიყენებოდა ეს იარაღები,
რომლებიც იმდროინდელი მეცნიერების უკანასკნელი
მიღწევების გათვალისწინებით იქმნებოდა? განაჩენებიდან
აშკარაა, რომ ძირითადად აწამებდნენ, ასამართლებდნენ
და სჯიდნენ იმათ, ვისაც ჰბრალდებოდა მწვალებლობა
(ანუ ერეტიკოსობა) ან ჯადოქრობა, რომლებიც უმეტე-
სად ერთმანეთს უიგივდებოდა ხოლმე. განაჩენისას უხვად
გამოიყენებოდა ზოგადი ფორმულირებები; დანაშაულის
დამტკიცებისათვის მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო
მყარი საბუთები.

დაკითხვების მიმდინარეობას თავისი წესები ჰქონდა,
მაგრამ მათი გამოყენება ისე შეიძლებოდა, როგორც სა-
ჭიროდ იქნებოდა მიჩნეული. მაგალითად, დადგენილი
იყო, რომ წამება წყალში ჩაშვებით ნებადართული იყო
მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ჯალათები ფორმალურად
არ არღვევდნენ ამ წესს, როცა ამბობდნენ, რომ ხელახლა
გამოყენებული ამგვარი წამება ადრე დაწყებული წამების
გაგრძელება იყო.

ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ჯადოქართა
დევნის ხანამ ცხრამილიონნახევარი ადამიანი შეიწირა, და
მათგან ძნელი სათქმელია, რომელს მიაჩნდა თავი ნამ-
დვილად ეშმაკის მსახურად, რომელმა ფსიქიკურად ვერ
გაუძლო დათრგუნვას და გულწრფელად დაიჯერა თავისი
დანაშაული, რომელმა, უბრალოდ, წამების უსასრულოდ
გაგრძელებას ამჯობინა, ყველა ბრალდებას დასთანხმე-
ბოდა და ერთხელ მომკვდარიყო.

შუა საუკუნეებმაც და მომდევნო დრომაც უკვე კარგა ხანია განვლო, მაგრამ ბევრი რამ ამ გამოცდილებიდან თითქოს ისევ შემაძრწუნებლად ცოცხალია: ევროპასა და ამერიკაში დღეს არცთუ იშვიათად ნახავთ ახალგაზრდა ან არცთუ ახალგაზრდა ღმრთისმებრძოლს, რომელიც სიამაყით აცხადებს და სხვასაც აჯერებს, რომ იგი სატანას ეთაყვანება, – ნახავთ ღმრთისმსახურებისას, სადაც მორწმუნეთა თვალწინ, ამფსონებთან ერთად, ღრიალითა და გამკივანი შეძახილებით ცდილობს ეკლესიის წაბილწვას; ნახავთ გაზეთის ფურცლებზე, სადაც ჟურნალისტს თუნდაც ანონიმურად, მაგრამ მაინც ყოჩაღად გაუმხელს, რომ სოფლის მოხუცი მღვდელი მხოლოდ იმიტომ მოკლა წამებით, რადგან იგი ქრისტეს მსახური იყო; ნახავთ ტელეეკრანზე, როცა სატანურ რიტუალებს ასრულებს ან როცა, თანამოძმეთა ყიჟინის თანხლებით, ეშმაკს უდებს ერთგულების ფიცს; შეიძლება არ ნახოთ, მაგრამ ყური მოჰკრათ, რომ სადღაც, მოშორებულ თუ შორეულ ადგილას, სატანის ერთგულების დასამტკიცებლად, ქრისტიანული ტაძარი დაწვეს. მაგრამ ისინი 1920-იანი წლების საბჭოთა კომკავშირელები კი არ არიან, არამედ, უბრალოდ, – ევროპელი და ამერიკელი სატანისტები, რომელთაც გულწრფელად სწამთ, რომ სწორედ ასე უნდა ემსახურონ თავიანთ ბატონს.

მაგრამ ის, რაც მეოცე საუკუნეში კიდევ უფრო მეტად აღმოჩნდა საჭირო, იყო ძველი დროის ჯალათთა ცოდნა და გამოცდილება: საბჭოთა ჩეკისტები თუ გერმანელი გესტაპოელები სრულყოფილად ფლობდნენ წამების, გამოტეხის, ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვის მრავალნაირ იარაღსა და საშუალებას. ვისაც ალეკსანდრ სოლჟენიცინის "გულაგის არქიპელაგისათვის" თუნდაც თვალი გადაუვლია, არასოდეს დაავიწყდება იმის აღწერა, თუ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის პირველივე წლებში როგორ ჩაახრჩვეს ჩეკისტებმა მეტეხის ციხეში საგანგებოდ მოწყობილ განავლის აუზში ახალგაზრდა ქართველი თავადი.

ლუბლინური ექსპოზიცია "შუასაუკუნეობრივი საწამებელი იარაღები", საუბედუროდ, არანაირად არ ეკუთვნის

წარსულს, არ ეკუთვნის ოდენ შუა საუკუნეებს: დღესაც, – რა ძნელიც უნდა იყოს ამ ფაქტისათვის თვალის გასწორება გამოფენის ზნეფაქიზი ევროპელი დამთვალიერებლისათვის, – მსოფლიოს არაერთ საპატიმროსა თუ ლაბორატორიაში, სამმართველოსა თუ ოფისში, ბანაკსა თუ კაბინეტში დიდი გულისყურით სწავლობენ, ითვისებენ, აუმჯობესებენ საწამებელ იარაღებს, იმაზე ბევრად უფრო სრულყოფილს, ვიდრე ლუბლინის გალერეაშია გამოფენილი.

აპრილი, 1997

25

“ინგლისელი პაციენტი” – უნგრელი გრაფი ლასლო ალმაში

შრი ლანკაში დაბადებული კანადელი მწერლის, მაიკლ ონდაჩის (*1943), რომანს – “ინგლისელი პაციენტი” – რამდენიმე წლის წინათ ფართო გამოძახილი მოჰყვა, ხოლო წიგნის საფუძველზე მალევე გადაღებულმა ენთონი მინგელას (*1954) ფილმმა, – კინოს ბუნებიდან გამომდინარე, –კიდევ უფრო მეტი აღიარება მოიპოვა. ფილმის გამორჩეული წარმატების გამოხატულება იყო მისთვის მინიჭებული ცხრა “ოსკარი”.

მკითხველისა და მაყურებლის დაძაბული ყურადღება მიიპყრო ამ მართლაც გამორჩეულმა ნაწარმოებებმა სიყვარულისა და ერთგულების, ტკივილისა და სიმამაცის, ბედისწერისა და მარტოობის შესახებ.

წიგნისა და ფილმის მთავარი გმირის პროტოტიპია უნგრელი გრაფი ლასლო ალმაში, რომლის ცხოვრება აღსავსე იყო თავგადასავლებით, ხიფათიანი ცვლილებებით, ფათერაკებით.

ალმაში თავადაც გამორჩეული, უჩვეულო პიროვნება იყო, მაგრამ ისევე, როგორც არაერთგზის მომხდარა, თუკი ადამიანს წილად ხვდა საკუთარი სახის შექმნაც და შეთხზვაც, მის ბიოგრაფიაში არცთუ ადვილია სინამდვილისა და ლეგენდის გამიჯვნა. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი დაიწერა ალმაშის შესახებ, მაგრამ დღემდე ისევ ბურუსითაა მოცული მისი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი. ახლა კი, გახმაურებული წიგნისა და გახმაურებული ფილმის – “ინგლისელი პაციენტის” – შემდეგ, მის ირგვლივ შექმნილ თქმულებებს კიდევ ერთი, ახალი ფენა დაედო, რომელიც, ალბათ, უფრო მეტად გააბუნდოვანებს უნგრელი გრაფის ნამდვილ სახეს.

ყოველი შემთხვევისას, ლასლო ედე ალმაში ნამდვილად 1895 წელს დაიბადა ბოროსტიანკიოს კოშკში, იმდროინდელ დასავლეთ უნგრეთში (დღევანდელი ბერნშტაინი, ავსტრია). მამამისმა, დიორდ ალმაშიმ, საუკუნის დასაწყისში რამდენიმე კვლევითი ექსპედიცია მოაწყო აზიის ქვეყნებში, თუმცა მის ვაჟს, მამისაგან განსხვავებით, სიყმაწვილისას მხოლოდ ტექნიკა იტაცებდა. ათი წლისა იგი უკვე მამისეულ ავტომობილს მართავდა, ხოლო შემდეგ ვერტმფრენებით იყო გატაცებული, თუმცა ერთ-ერთ საფრენ გამოცდას მიწაზე დანარცხება და დამტვრევა მოჰყვა. ამის შემდეგ ოჯახმა ონავარი ყმაწვილი სასწრაფოდ გაგზავნა ინგლისში, სადაც იგი არავის ჩამორჩებოდა ცოდნა-განათლების შეძენისას, მაგრამ უფრო მეტ დროსა თუ ჯაფას ავტომობილებსა და ფრენას უთმობდა.

პირველი მსოფლიო ომისას გამოჩენილი უმაგალითო გმირობისათვის ჭაბუკმა ალმაშიმ რამდენიმე ჯილდო დაიმსახურა.

რაც შეეხება ალმაშის არისტოკრატიულ წარმოშობას, იგი მართლაც თავადურ საგვარეულოს მიეკუთვნებოდა (რაც უნგრეთში დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს!), მაგრამ გრაფად, სიმართლე რომ ითქვას, ნამდვილად არ დაბადებულა. თუმცა მას ვერც ის დაჰბრალდება, რომ იგი ამ ტიტულით თვითნებურად სარგებლობდა. ცნობილია, რომ კარლოს პირველმა, – იმპერატორ ფრანცისკე იოსების მემკვიდრემ და უნგრეთის, თუნდაც ხანმოკლედ, მაგრამ მაინც კანონიერმა მეფემ, – უნგრული მონარქიის აღდგენის ერთ-ერთი უშედეგო მცდელობისას, ლასლო ალმაშის სამსახურით, ანუ მისი ავტომანქანით ისარგებლა. სამეფო უდიდებულესობა ამის შემდეგ ალმაშის შეგნებულად თუ შეცდომით გრაფის წოდებით მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ უნგრულ არისტოკრატიას მისი ეს ტიტული არასოდეს უცნია, იგი მაინც გრაფად მიიჩნევდა საკუთარ თავს და მას სიცოცხლის ბოლომდე ამგვარად მოიხსენიებდნენ ევროპაშიც, აზიაშიც, აფრიკაშიც.

ლასლო ალმაში აფრიკაში პირველად 1926 წელს მოხვდა, – ეგვიპტესა და სუდანში. მისი შემდგომი მოგზაურობებიდან გამორჩეულად გახმაურდა 1929 წლის ექსპედიცია, როცა მან ავტომობილით გადასერა მთელი აღმოსავლეთ

აფრიკა. მაშინ მის შესახებ ავსტრიაში დოკუმენტური ფილ-
მიც კი გადაიღეს.

მოგზაურმა და თავგადასავლების მოყვარულმა ალმაშიმ
თავისი აფრიკული მოგზაურობებისას ყური მოჰკრა, რომ
სადღაც, შუაგულ უდაბნოში, ქვიშის სამეფოში, ზღაპრული
ოაზისი ზერზურა ყვაოდა. შემდგომ, ამ ადგილის მინიშნებებს
მან შუა საუკუნეთა არაბულ ხელნაწერებშიც მიაგნო, რაც
უთუოდ აღაგზნებდა მის ცნობისმოყვარეობასაც და პატივ-
მოყვარეობასაც, – მით უმეტეს, როცა აფრიკის მკვლევართა
თუ, ზოგადად, გეოგრაფთა შორისაც ნელ-ნელა ფეხს იკი-
დებდა თვალსაზრისი, რომ ეს ოაზისი მართლაც არსებობს
უდაბნოში. მანამ, სანამ სცენაზე ალმაში გამოჩნდებოდა, ამ
ადგილის საპოვნელად არაერთი საავტომობილო ექსპედი-
ცია გაემართა, – უმეტესად მათი შემადგენლობა ბრიტანული
იყო. როცა ალმაშიმ ეგვიპტელი უფლისწულის, ქემალ ელ
დინის, მხარდაჭერა მოიპოვა, მალევე გაემართა ჯადოსნუ-
რი ზერზურის საძებნელად.

1931 წელს ალმაში ბრიტანული აეროპლანით წარმარ-
თავდა ძიებებს, მაგრამ საფრენი მანქანა მალე ქარიშხალში
მოხვდა და ეგვიპტის ცაში ქროლა კატასტროფით დამთავრ-
და. თუმცა თავად მფრინავს დიდად არაფერი დაშავებია და
ერთი წლის შემდეგ იგი ახალ ექსპედიციას ჩაუდგა სათავე-
ში: ამჯერად ალმაშის შეუამხანაგდა ინგლისელი არისტოკ-
რატი, სერ რობერტ კლაიტონი, რომელმაც მას საკუთარი
აეროპლანი შესთავაზა. მაგრამ მათი მოგზაურობაც უშედე-
გო აღმოჩნდა: ოაზისის მაძიებლებს დაუმთავრდათ წყალი,
გაუფუჭდათ ტექნიკა, და, რაც მთავარია, ბრიტანელ და უნგ-
რელ თავადიშვილებს შორის სულ უფრო მეტად ღვივდე-
ბოდა უსიამოვნება თუ შეხლა-შემოხლა.

მაშინ ალმაშიმ მეტად სახიფათო თავგადასავალი ჩა-
იფიქრა: მარტოდმარტო გაემართა ლიბიის კუფრასაკენ,
რომელიც უკვე იტალიელების მიერ იყო ოკუპირებული.
მათი სამხედრო მისიის წარმომადგენლებმა იგი მხურვა-
ლედ მიიღეს, მაგრამ, ამავე დროს, მეტად გაოცებული
დარჩნენ, რადგან მანამდე დარწმუნებული იყვნენ, რომ
უდაბნოს მხრიდან იქ მისვლა სრულიად შეუძლებელი იყო.

ამ მოულოდნელი სტუმრობის შემდეგ იტალიელებმა მეტი მონდომებით დაიწყეს უდაბნოს გზების დაცვა (მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ცხადად გამოჩნდა, რომ ამ საქმისათვის ყურადღების მიქცევა ნამდვილად დროული იყო). როცა ალმაში ექსპედიციას დაუბრუნდა, მას ამბავი დაახვედრეს, რომ თვითმფრინავიდან თვალი მოუკრავთ ხეების კენწეროებისათვის. როგორც ამბობდნენ, შემდეგაც, მოშორებით ისევ დაილანდა ოაზისი. ნელ-ნელა ლეგენდა ზერზურის შესახებ სინამდვილეს ემსგავსებოდა.

ერთი წლის შემდეგ ექსპედიციის მონაწილეებს მოვლენათა მოულოდნელი მობრუნება ელოდა: როცა კლაიტონი მოულოდნელად გარდაიცვალა, მისმა ცოლმა ძიების გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ არა ალმაშისთან, არამედ მის ერთ-ერთ კონკურენტთან ერთად. თუმცა ამჯერად ბედმა გაუღიმა ალმაშის ექსპედიციას: უდაბნოში მართლაც აღმოჩნდა ზერზურის ველი. ამას გარდა, ჯებელ-უვეინატის მთიანეთში ექსპედიცია გადააწყდა გამოქვაბულებს, რომელთა კედლებზე აღბეჭდილი იყო წინარეისტორიული ხანის კედლის მხატვრობა.

მალე ალმაშის კიდევ ერთი აღმოჩენა ერგო: 1935 წელს, ნილოსის ხეობაში მან მიაგნო მადიარაბების ტომს, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, არაბების და უნგრელების შეჯვარების შედეგად გაჩნდა (მათი სახელწოდებაც ასე იხსნება: მადიარები – არაბები). ლეგენდური მონაცემებით, ისინი თითქოს მეთექვსმეტე საუკუნეში ოსმალთა ჯარში მებრძოლ უნგრელთა შთამომავალნი იყვნენ, მაგრამ შემდგომ აღარასოდეს შეხვედრიან ევროპელებს.

მალე ლასლო ალმაშის მსოფლიოში აღიარებენ უდაბნოს კომპეტენტურ მკვლევრად. მხრებში ოდნავ მოხრილი მაღალი გრაფი, – შესანიშნავი პილოტი, მძღოლი, მექანიკოსი, – ისევე ბუნებრივად გრძნობს თავს ბედუინის კარავში, როგორც სამეფო კარზე. იგი წყალივით ლაპარაკობს არა მარტო უნგრულად, არამედ გერმანულად, ინგლისურად, იტალიურად, ფრანგულად, ესპანურად, არაბულად და ადვილად ახერხებს გულთა მონადირებას. ბედუინებმა მას “აბუ რაბლა” დაარქვეს, რაც უდაბნოთა მამას ნიშნავს. მას

მრავალი მეგობარი ჰყავს და, ბუნებრივია, – მრავალი მოძულე. სწორედ ამ დროს იტალიელებს უჩნდებათ ეჭვი, რომ იგი ბრიტანელთა ჯაშუშია, ბრიტანელები კი მას იტალიელთა ჯაშუშობას აბრალებენ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ალმაში მცირე ხნით ბუდაპეშტს უბრუნდება, თუმცა ომის დაწყებისთანავე ისევ უდაბნოში აღმოჩნდება, – ამჯერად იგი, უნგრეთის ჯარის ვიცეპოლკოვნიკი, სამხედრო სამსახურში გერმანელებმა გაიწვიეს. მას ევალებოდა, ექსპერტობა ეკისრა რუკების შესადგენად და კვლევითი სამუშაოების წარმართვისას ერვინ რომელის აფრიკულ სამხედრო შენაერთებში. იმ დროიდან არაერთი თქმულება გაჩნდა მის ირგვლივ, მაგრამ ბევრი მათგანი, როგორც მოწმენი ადასტურებენ, სინამდვილეს შეეფერება. მაგალითად, ცნობილია მისი ერთი ექსპედიცია, სახელწოდებით "სალაამ", რომელიც შემდგომ რამდენიმე ხელოვანის შთაგონების წყაროდ იქცა. სცენა თითქოს აღებულია საჯაშუშო რომანიდან: ალმაშის ევალება ორი გერმანელი აგენტის გადაყვანა ლიბიიდან ეგვიპტეში, – მტრის გარემოცვის გადაკვეთით. ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი ამგვარად უპატაკებს სარდალს: "სრულიად ადვილად შემეძლო, სამშვიდობოს გამეყვანა მთელი ჯარიც". სანამ გერმანელები აფრიკას დატოვებენ, ალმაშის რკინის ჯვრით აჯილდოებენ. უნგრელი გრაფი, უკვე შერყეული ჯანმრთელობით, უნგრეთს უბრუნდება. აქ იგი, როგორც გულითადი კათოლიკე, რომის კათოლიკე ეკლესიის ფარული არხების დახმარებით, – პირადი შუამავლობით, – მოახერხებს ებრაელთა არაერთი ოჯახის ბუდაპეშტიდან გარიდებას და მათს გადარჩენას ტერორისაგან.

როცა საბჭოთა არმია უნგრეთში შეიჭრა, ალმაში უმალ დააპატიმრეს, თუმცა გავლენიან ნაცნობთა კავშირები იქაც და იმჯერადაც ჭრიდა, რისი წყალობითაც, იგი მალევე გაათავისუფლეს. თუმცა 1945 წლის შემოდგომაზე მას, როგორც სამხედრო დამნაშავეს, ისევ პატიმრობა და გასამართლება ელის. ბუდაპეშტის საბჭოთა ციხეში დატყვევებულ ალმაშის ბრალად ედება, ერთი მხრივ, ვერმახტში სამსახური და, მეორე მხრივ, ნაცისტური პროპაგანდის გაწევა,

რასაც თითქოს ადასტურებდა მისი გახმაურებული წიგნი – “რომელის არმიასთან ლიბიაში”, თუმცა, რაც უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ბრალდებულმა თავის გამართლება შეძლო. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ წიგნი არა მარტო არავითარ პროპაგანდას არ შეიცავდა, არამედ მასში არ იყო არცერთი ანტიდემოკრატიული თვრაზა. სხვათა შორის, როგორც აღმოჩნდა, კომუნისტების მიერ დანიშნულ მოსამართლეებს თვალითაც კი არ ჰქონდათ ნანახი წიგნი.

ისიც წარმოუდგენლად ჩანს, რომ სასამართლოს სხდომაზე ალმაშის ორსაათიანი გამოსვლის შემდეგ, როცა მან დაწვრილებით მიმოიხილა თავისი კვლევითი საქმიანობა და მისი შედეგები, დარბაზმა, რომელიც თავდაპირველად მის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, იგი ტაშით დააჯილდოვა. სასამართლომ ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლა ბრალდებული, რის შემდეგ მან უმალ დატოვა კომუნისტური უნგრეთი, თუმცა საზღვრის გადაკვეთა სულაც არ იყო ადვილი ამოცანა, თუმცა, როგორც ჩანს, მას ამჯერად ინგლისის დაზვერვა დაეხმარა, – ადგილობრივი მოხელეების მოქრთამვით. ყალბი საბუთებით იგი ავსტრიაში, ბრიტანულ საოკუპაციო ზონაში, გადავიდა.

ამ დროს ისევ გაჩნდა მოარული ხმები მისი ორმაგი ჯაშუშობის შესახებ, ოღონდ ამჯერად იმის მტკიცებით, რომ ომის განმავლობაში თითქოს იგი ბრიტანელებსაც და გერმანელებსაც ორმხრივად ემსახურებოდა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ალმაში ისევ ეგვიპტეში მუშაობს. დასასრულ, მას მთელი ცხოვრების ოცნება აუსრულდა: 1951 წელს ეგვიპტის მეფემ, ფარუკმა, იგი უდაბნოს ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა, მაგრამ სამსახურის დაწყება მან ვეღარ მოახერხა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ თავგადასავლების მოყვარული გრაფი ლასლო ალმაში ფილტვების ანთებისაგან ზალცბურგში გარდაიცვალა.

მის საფლავზე ამგვარი წარწერაა: “მფრინავი, საჰარის მკვლევარი, ზერზურის ოაზისის აღმომჩენი”.

ივნისი, 1997

26

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების ორმოცდაათი წლისთავის გამო

ინდოეთი, – მრავალასეულმილიონიანი, მრავალენოვანი, მრავალკულტუროვანი და მრავალრელიგიური ქვეყანა, – თავის დამოუკიდებელ არსებობას 1947 წლის 15 აგვისტოდან ითვლის, თუმცა ტრადიციულ ინდოეთში, თავისი რამდენიმეათასწლოვანი კულტურითა და ცივილიზაციით, დღევანდელი ინდოეთის რესპუბლიკის გარდა, ამჟამინდელი სამხრეთ აზიის თითქმის ერთი ათეული სახელმწიფო იგულისხმება. მაგრამ რომელ ინდოეთზეც უნდა ჩამოვარდეს ლაპარაკი, ევროპული საზომებით მისი აღქმა უეჭველად მცდარი იქნება, რადგან თუკი გვინდა ინდოეთი კულტურულ-პოლიტიკურ რეალობაში წარმოვიდგინოთ, უპრიანი იქნება, ის რომელიმე ზესახელმწიფოებრივ სხეულს შევადაროთ, მაგალითად, ევროპას.

ინდოეთი, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, მსოფლიოს მრავალ ენათა, რელიგიათა და კულტურათა სამშობლოდაა მიჩნეული. თავდაპირველად ინდოეთში აღმოცენდა ლოგიკა, მათემატიკა, გრამატიკა; ევროპული კულტურის მწვერვალებს უსწორებს თვალს ინდური პოეზია, პროზა, მუსიკა, თეატრი, ფერწერა, არქიტექტურა თუ სამზარეულო; ინდოელებმა აღმოაჩინეს ნული და ეგრეთ წოდებული არაბული ციფრები, ფონეტიკური კანონები, მელოდიის ჩაწერის ხერხები და მრავალი სხვა რამ; მაგრამ განსხვავებით კაცობრიობის კიდევ ორი სულიერი ცენტრისაგან – კლასიკური საბერძნეთისა და ჩინეთისაგან, ინდოელები არასოდეს დაინტერესებულან ისტორიით. ახალი დროის ჩამოდგომამდე ისე ჩაილია ქვეყნის მსვლელობამ, რომ არავის მოსვლია აზრად, მემატიანის კალამი აეღო ხელთ და თავისი მიწა-წყლის ამბები საწერ ფურცელზე გადაეტანა.

ხშირად აღუნიშნავთ, რომ ინდოეთი ყველაზე აისტორიული ერი იყო კულტურულ ქვეყანათა შორის. მაგრამ მოხდა ისე, რომ მგზნებარე მეოცე საუკუნემ ისტორიისაგან განმდგარი ინდოეთიც ისტორიაში ჩაერთო.

ინდური ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, რომელსაც მოჰანდას კარამჩანდ განდჰი ედგა სათავეში, შთამაგონებელი მაგალითი გახდა მრავალი პატიოსანი და გულწრფელი ადამიანისათვის მსოფლიოში. განდჰის ცხოვრებისეული მიზანი იყო მორალური პრინციპებით გაეჯერებინა პოლიტიკა: პოლიტიკა დაექვემდებარებინა ზნეობრივი საწყისისთვის და არა – პირიქით. პოლიტიკურ ბრძოლას იგი ადამიანების ზნეობრივი აღზრდის სკოლად მიიჩნევდა და თავის საჯაროსამოქალაქო ქმედებათა საფუძველს "ბჰაგავატგიტას", "სახარებისა" და ტოლსტოის მოძღვრებაში ხედავდა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა პოლიტიკური გამარჯვება, არამედ პოლიტიკური ბრძოლისას მოპოვებული ზნეობრივი წინსვლა. უარყოფა ყოველგვარი ძალადობისა და შიშისა (რაც მთავარია, ორივესი ერთად, ერთმანეთისაგან განუყოფლად!), თავგანწირვა მოყვასისათვის და არა აბსტრაქტული პოლიტიკური მიზნებისათვის, – აი, განჰდის პოლიტიკური ან უფრო ზნეობრივ-რელიგიური მოძღვრების პრინციპები.

დამოუკიდებელი ინდოეთის აღმოცენების პირველი წლებიდანვე ქვეყანამ დემონსტრაციულად აირჩია ეგრეთ წოდებული ანტიიმპერიალისტური ორიენტაცია, რაც, ბრიტანეთთან ურთიერთობის გამოცდილების გათვალისწინებით, მხოლოდ დასავლურ იმპერიალიზმს გულისხმობდა და შეგნებულად თვალს ხუჭავდა აღმოსავლურ – რუსულ თუ ჩინურ – იმპერიალიზმზე. ინდოეთის რესპუბლიკის მეთაურთა ხანგრძლივი კეკლუცობა კომუნისტურ სამყაროსთან დასახელებული მიზეზითაც იყო განპირობებული. ამ მოვლენის პოლიტიკური განზომილების ანალიზი პოლიტოლოგებს შეშვენით, კულტურული თვალსაზრისით კი, ინდურ-საბჭოთა საჩვენებელმა მეგობრობამ მრავალი სიკეთე მოუტანა ბევრ საბჭოთა ინტელექტუალს, – ყოველი შემთხვევისას, იმას, ვისაც მარქსიზმ-ლენინიზმის ბერწი პლანტაციების პირობებში სული ეხუთებოდა და ვინც მისგან თავდაღწევად

მიიჩნევდა ოდნავ სულისმოთქმასაც კი, თუნდაც ინდოეთის მცხუნვარე მზის ქვეშ. როცა ყოველგვარი არამარქსისტული წიგნის უშუალო მოპოვება დაუძლეველი ამოცანა იყო მრავალი სულიერად მაძიებელი ადამიანისათვის, სარვეპალი რადჰაკრიშნანის, – კლასიკური იდეალიზმისა და ტრადიციული ინდური ფილოსოფიის შესანიშნავი წარმომადგენლის, – წიგნები დაუბრკოლებლივ იბეჭდებოდა საბჭოთა გამომცემლობებში, რასაც მარტივი ახსნა ჰქონდა: რადჰაკრიშნანი მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტი და მოსკოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი იყო; როცა მეოცე საუკუნის რელიგიური აზრის ყოველგვარი ნიმუში საბჭოთა საზღვარზევე ვერანაირად გადაურჩებოდა კონფისკაციას, განდჰის ავტობიოგრაფია, – ღრმა რელიგიური განცდით განმსჭვალული ფურცლებით, – სამჯერ გამოიცა საბჭოთა კავშირის არსებობისას; როცა საბჭოთა ჩეკისტები კრიშნაიტებს დასდევდნენ დასარბევად და დასაჭერად, ორიგინალური კრიშნაიტური ტექსტები მრავალათასიანი ტირაჟებით იბეჭდებოდა ლენინისა თუ ძერჟინსკი სახელობის სტამბებში, – იმ მიზეზით, რომ კრიშნას ცნობიერების მიმდევრები ამერიკის ჯაშუშებად ცხადდებოდნენ, ხოლო კრიშნასადმი მიძღვნილი ლოცვები და საგალობლები, რომელთათვისაც ძვირფას ქაღალდსაც კი დაუშურებლად იმეტებდნენ, მეგობარი ინდოეთის კულტურულ მემკვიდრეობად იყო მიჩნეული.

ძნელია ითქვას, როგორ შეფასდება "ცივი ომის" პერიოდის ინდურ-საბჭოთა მეგობრობა, მაგრამ ამ მეგობრობის წყალობით კომუნისტური გვალვაში აღმოჩენილ საბჭოთა მკითხველს აუმღვრეველი წყაროს წყლით წყურვილის მოკვლის საშუალება უთუოდ ეძლეოდა. სხვა თუ არაფერი, საბჭოთა გამომცემლობები თავისუფლად ბეჭდავდნენ ინდური ლიტერატურისა თუ ფილოსოფიის გამორჩეულ ნიმუშებს, რომლებიც, სხვა მხრივ, რელიგიურ ან იდეოლოგიურ პროპაგანდად შეფასდებოდა.

არაერთი ათწლეულია, ევროპასა თუ ამერიკაში განუწყვეტლად ფეთქავს სწაფვა ინდური სულიერი ფასეულობების მიმართ; ინდური რელიგიების უბრალო ხსენებაც კი ეგზოტიკურობისა და წარმტაცი იდუმალების გრძნო-

ბის დამათრობელ სურნელებას წარმოშობს. შესამჩნევია, რომ სხვადასხვა ინდური მოძღვრების (ან მათ საფუძველზე წარმოშობილ მიმდინარეობათა) მრავალი მიმდევარი გაჩნდა ინდური სუბკონტინენტიდან საკმაოდ დაშორებულ ქვეყნებშიც.

რაც შეეხება თავად ინდურ ტრადიციას, ის საუკუნეების განმავლობაში საკუთარ თავზე იყო მიმართული და, შეიძლება ითქვას, სრულიად გულგრილი იყო გარეშე ექსპანსიის მიმართ, – ყოველი შემთხვევისას, სულიერ-რელიგიური გავლენის მოპოვებასა თუ გაფართოებას, მისიას არასოდეს მიჰნიჭებია რამე მნიშვნელობა ინდურ რელიგიურ ცხოვრებაში. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება ბუდჰიზმს, რომელიც წარმოშობის დღიდანვე უპირისპირდებოდა ინდურ ეროვნულ რელიგიებს და ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მან, ერთი მხრივ, ფეხი ვერ მოიკიდა კონტინენტურ ინდოეთში, და, მეორე მხრივ, სულ რამდენიმე საუკუნეში მსოფლიო რელიგიად იქცა (სხვათა შორის, პირველ მსოფლიო რელიგიად, შემდგომ აღმოცენებულ ქრისტიანობასა და ისლამთან ერთად). ტრადიციული ინდური რელიგიების მიმდევრებს ყოველთვის მტკიცედ სჯეროდათ, რომ ინდოელად, ანუ ჰინდუისტად უნდა დაიბადო, მაგრამ ვერასოდეს გახდები ინდოელი ან ჰინდუისტი, – ვერასოდეს მიიღებ იმ რელიგიას, ვერასოდეს მოექცევი იმ სარწმუნოებაზე, რომელშიც არ დაბადებულხარ. შესაძლოა, ამიტომაც, ჰინდუიზმი, რომელსაც ასობით მილიონი ადამიანი აღიარებდა და აღიარებს, დღემდე რჩება ეროვნულ სარწმუნოებად და არასოდეს ქცეულა მსოფლიო რელიგიად. ინდოეთის არცთუ შორეული წარსულიდან ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა ინდოელმა ბრაჰმანებმა უარი უთხრეს ასიოდე თუ ოდნავ მეტი წლის წინათ ისლამზე ძალით მოქცეულ ინდოელთა შთამომავლებს, ნებაყოფლობით ისევ დაჰბრუნებოდნენ მამა-პაპათა რელიგიას, – ისინი ხომ მუსლიმებად დაიბადნენ, ესე იგი, ამგვარი იყო მათი კარმა, ხოლო კარმის შეცვლა არავის ძალუძს!

მაგრამ ასე იყო ათასწლეულების განმავლობაში, თუმცა ვითარება ნელ-ნელა იცვლებოდა, და თუკი მეცხრამეტე სა-

უკუნის მიწურულს რამაკრიშნას მოწაფისა და მოციქულის, სვამი ვივეკანანდას, გამოსვლა რელიგიათა მსოფლიო კონგრესზე ჩიკაგოში სრულ გამონაკლისად და ჰინდუისტური მისიონერობის უპრეცედენტო შემთხვევად იქნა მიჩნეული, დღეს ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში ადვილად შეხვდებით ინდური რელიგიების მიმდევრებს. ზოგიერთ მათგანს, მაგალითად, "ჰარე კრიშნა"-ს მომღერალ კრიშნაიტებს, თეთრ სამოსში გამოწყობილთ, შესაძლოა, თბილისის ქუჩებშიც კი მოჰკრათ თვალი, – საგანგებოდ აღვნიშნოთ, ქართველ კრიშნაიტებს.

როდესაც სამოცდაცხრა წლის ყოფილი წარმატებული კომერსანტი და იმუამინდელი გურუ – ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა 1965 წლის სექტემბერში ნიუ იორკში ჩავიდა დასავლელთათვის და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელთათვის ახალი ინდური რელიგიის დასაფუძნებლად, ინდური სულიერების ისტორიაში სრულიად უჩვეულო მოვლენა მოხდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მრავალრიცხოვანი კრიშნაიტური თემების აღმოცენებისა სულ მალე და სრულიად სხვადასხვა ქვეყანაში, თავად ინდოელ გურუებს არასოდეს გამოუხატავთ მხარდაჭერა "კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების" მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ, მათი აზრით, ჭეშმარიტი ბრაჰმანი არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა ინდოეთის მიწას, თუნდაც იმიტომ, რომ, მათი ღრმა რწმენით, დასავლელ კრიშნაიტებს იმდენივე აქვთ საერთო კრიშნას ნამდვილ მიმდევრებთან, რამდენიც ცნობილი ამერიკული მიუზიკლის "თმების" ერთ მშვენიერ ეპიზოდს – "ჰარე კრიშნას" სიმღერას – ტრადიციულ ინდურ ვაიშნაიტურ რიტუალთან.

აგვისტო, 1997

27

ფრანსისკო სუარესი – იეზუიტი, თეოლოგი, იურისტი

ფრანსისკო სუარესი მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულისა და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ესპანელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და იურისტი იყო. უნდა ითქვას, მსოფლიო სქოლასტიკას ცოტა თუ ჰყოლია ამდენად მრავალმხრივი, ნაყოფიერი და ბრწყინვალე წარმომადგენელი.

სუარესი 1548 წლის 5 იანვარს დაიბადა გრენადაში, სადაც მამამისს, შეძლებულ და ხელგაშლილ ადვოკატს, მოზრდილი სახლი და მამული ჰქონდა. ოჯახს გადაწყვეტილი ჰქონდა, შვილი საეკლესიო საქმიანობისათვის მოემზადებინა, რა მიზნითაც, კანონიკური სამართლის შესასწავლად, იგი, თოთხმეტი წლისა, სალამანკის უნივერსიტეტში მიაბარეს. თვრამეტი წლის ფრანსისკო იესოს საზოგადოების – იეზუიტთა კონგრეგაციის წევრი ხდება. შემდგომ იმავე უნივერსიტეტში იგი ხუთი წლის განმავლობაში თეოლოგიას ეუფლება და თომისტური ფილოსოფიის სიღრმეების ჩაწვდომას ცდილობს.

1571 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე მას მღვდლად აკურთხებდნენ, სუარესს სეგოვიაში ფილოსოფიის მასწავლებლობა დაევალა. შემდგომი ათი წლის განმავლობაში იგი ასწავლის როგორც ფილოსოფიას, ისე თეოლოგიას კასტილიის იეზუიტურ კოლეჯებში, ვალიადოლიდის ჩათვლით, სადაც იგი სახელს გაითქვამს თავისი ლექციებით, რომლებიც მიზნად ისახავს თომა აკვინელის სახელგანთქმული ნაშრომის “თეოლოგიის შეჯამების” – “Summa Theologiae”-ს განმარტებას.

1580 წელს, ოცდათორმეტი წლისას, უკვე სახელმოხვეჭილ სუარესს ქრისტიანული ევროპის სულიერ დედაქალაქში, რომში, გაიწვევენ, რათა თავისი ლექციების კურსი

რომაულ კოლეჯში განაგრძოს. იგი უმალ იპყრობს იქაურ თეოლოგთა ყურადღებას და მის მეცადინეობებს ხანდახან რომის პაპი, გრიგოლ მეცამეტეც, ესწრება ხოლმე.

მალე სუსტი ჯანმრთელობა სუარესს აიძულებს, ისევ ესპანეთს დაუბრუნდეს და ალკალის უნივერსიტეტში განაგრძოს მასწავლებლობა. რამდენიმე წლის შემდეგ ტირსო დე მოლინა ამავე უნივერსიტეტში სტუდენტის მერხს მიუჯდება, რათა ცოდნა შეიძინოს და მალე სახელმოხვეჭილი თეოლოგი და დრამატურგი გახდეს, თუმცა ამ დროს სუარესი უკვე სალამანკაში ასწავლის, მაგრამ არც იქ დარჩება დიდხანს, რადგან ესპანეთის მეფის, ფილიპე მეორის, დაჟინებული თხოვნით თუ მოთხოვნით (რომელიც იმ დროს უკვე პორტუგალიის მეფეც იყო), გადავა კოიმბრაში, სადაც ოცი წელი, თითქმის სიკვდილამდე, თეოლოგიას ასწავლის.

სუარესი ესპანეთისა და, საერთოდ, დასავლური ქრისტიანული სამყაროს სულიერ-ინტელექტუალური ცხოვრების მნიშვნელოვანი სახელია, რომლის დიდ გავლენას საკუთარ აზროვნებაზე აღიარებდნენ სპინოზა და ლაიბნიცი, ბერკლი და ვიკო. შენიშნულია, რომ ესპანელი თეოლოგის გავლენა განიცადეს სხვადასხვა მიმართულებისა და ეროვნების ფილოსოფოსებმა, – შოპენჰაუერიდან ჰაიდეგერამდე.

მაგრამ სუარესმა, სქოლასტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენელმა, რომელმაც ეპოქის ბაროკოული ხედვა შეამზადა, დიდი როლი ითამაშა, აგრეთვე, ევროპის სამართლებრივი ცნობიერების განვითარებაში. მის უკანასკნელ ტრაქტატშიც იურიდიული საკითხები თეოლოგიურ საკითხებს ეჯაჭვება, რაკიღა იქ განხილულია იმუამინდელი მწვავე საჯარო-სამოქალაქო თემა, რომელიც დიდ დაძაბულობას წარმოშობდა პოლიტიკური განზომილებით: აქვს თუ არა ღმრთაებრივი უფლებამოსილება მეფეს, მონარქს, და კერძოდ, ინგლისის ტახტის მფლობელს, იაკობ პირველს, რომელიც იმხანად ამ უფლებაზე პრეტენზიას აცხადებდა.

ესპანელმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა მიიჩნია, რომ ადამიანურ არსებას იმთავითვე აქვს საზოგადოებრივი ბუნება, მინიჭებული ღმრთის მიერ. რაკი, მისი აზრით, ადა-

მიანს არ ძალუძს არსებობა საზოგადოების გარეშე. ამავე დროს, ადამიანს აქვს შესაძლებლობა და უფლება, შექმნას კანონები. ამდენად, პოლიტიკური ერთობა ყალიბდება არა ღმრთაებრივი ავტორიტეტით, არამედ ადამიანური ნებით. ადამიანები ირჩევენ მმართველობის ფორმას და ანიჭებენ ძალაუფლებას მმართველს. შესაბამისად, მათ შეუძლიათ, თუკი საჭიროა, ჩამოართვან მას ეს ძალაუფლება. კიდევ მეტი, ადამიანთა ერთობას ხელეწიფება, აჯანყდეს მმართველის წინააღმდეგ, აჰყაროს მას მინიჭებული უფლებები და მოკლას კიდეც იგი, თუ მისი მმართველობა ტირანულია და ეწინააღმდეგება ადამიანთა ნებას.

სუარესმა ჩამოაყალიბა სწავლება "Jus Gentium"-ის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ საყოველთაო, ყოვლისგამჭოლ სიყვარულს აქვს უნარი, დაძლიოს ეროვნული თუ რასობრივი განსხვავებანი. ამჯერადაც იგი თავის აღიარებულ მასწავლებელს, თომა აკვინელს, ემყარება, რომლის სიტყვებით, "სამართლიანობა სიყვარულის გარეშე სისასტიკეა".

როგორც ჩანს, მეოცე საუკუნეში თომისტური სწავლების აღორძინება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სუარესის ნაშრომების ხელახლა წაკითხვამაც.

შემთხვევითი არაა, რომ კათოლიკე ეკლესიის მიერ იგი აღიარებულია "Doctor eximius"-ად – გამორჩეულ მოძღვრად.

ფრანსისკო სუარესი 1617 წლის 25 სექტემბერს, სამოცდაცხრა წლისა, ლისაბონში გარდაიცვალა.

სექტემბერი, 1997

28

ტომაშ გარიგ მასარიკი – ჩეხოსლოვაკიის ფუძემდებელი

სამოცი წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, ტომაშ გარიგ მასარიკი, რომელსაც სიცოცხლეშივე ამ ქვეყნის "მამა-ფუძემდებლად" და "განმათავისუფლებლად" მოიხსენიებდნენ.

1850 წლის 7 მარტს, მორავიულ ჰოდონინში, იმდროინდელ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, დაბადებული ტომაშ მასარიკი სლოვაკი მამისა და გერმანულენოვანი მორავიელი დედის შვილი იყო. მამამისი მეეტლედ მსახურობდა, მაგრამ შვილის განათლებისათვის თანხას არ ზოგავდა და, დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, თხუთმეტი წლის ჭაბუკს ბრნოს გერმანულ გიმნაზიაში მიიღებენ. სხვათა შორის, მამა უწიგნური რჩებოდა მანამ, სანამ მას მოწიფულმა შვილმა არ ასწავლა წერა-კითხვა.

მალე ახალგაზრდა მასარიკი ვენაში აგრძელებს სწავლას, თუმცა ბრნოს დატოვების მიზეზები სხვადასხვაგვარად არის ახსნილი, ერთი მხრივ, მითოსის მოყვარულთა და, მეორე მხრივ, ისტორიის მცოდნეთა მიერ. თუ პირველების თვალსაზრისით, გიმნაზიის დირექტორს სასწავლებლიდან იგი იმის გამო გაუძევებია, რადგან ახალგაზრდა თავისუფლადმოაზროვნეს წირვისას ზიარების მიღებაზე უთქვამს უარი, ისტორიული სინამდვილის პატივისმცემლებს ზუსტად მოეხსენებათ, რომ იმავე დირექტორს ონავარი გიმნაზისტი ქალაქის პარკში შეუმჩნევია, – ფილოსოფიის მომავალ პროფესორს ერთი ხელი გოგონასათვის გადაეხვია, ხოლო მეორით ჩიბუხს აბოლებდა. ასოცდაათი წლის წინათ კი ამგვარი დანაშაული სრულიად საკმარისი იყო მთელი მომავალი კარიერის ჩასაშლელად!

თუმცა პროფესორის კათედრის მიღწევამდე მასარიკს ელოდა არა მარტო ვენის გიმნაზია, არამედ ვენის უნივერსიტეტიც და პლატონითა თუ ბრიტანული ფილოსოფიით გატაცებაც, ამასთანავე, გატაცება უფრო მიწიერი განზომილებითაც, – იმპერიის დედაქალაქში იგი გაეცნობა ამერიკელ სტუდენტ მუსიკოსს, შარლოტ გარიგს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ მისი მეუღლე ხდება. ახალდაქორწინებულთა სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ ისინი გადაწყვეტენ, არა მარტო თავიანთი მომავალი ცხოვრება გადააჯაჭვონ ერთმანეთს, არამედ – საკუთარი გვარებიც. ამ დღიდან ტომაშ მასარიკის გვარი, – ისევე როგორც მისი მეუღლისა, – გარიგ მასარიკი ხდება.

დაახლოებით ამ დროსვე იგი ჩამოსცილდება კათოლიკურ სარწმუნოებასა და კათოლიკე ეკლესიას, რომლის წიაღშიც იგი მოინათლა და, მეუღლის დარად, თავს პროტესტანტად აცხადებს, თუმცა ეს ქმედება სარწმუნოების მხოლოდ ფორმალური შეცვლა იყო, რადგან მას არასოდეს უცხოვრია არც პროტესტანტული რელიგიური ცხოვრებით.

უნივერსიტეტის დამთავრებისას დაწერილი სადოქტორო ნაშრომი – "პლატონის მოძღვრება სულის გამო" – თავად ავტორმა, მართალია, იმდენად სუსტად და უმწიფრად მიიჩნია, რომ ცეცხლში გააქანა, მაგრამ მის მომდევნო ნაშრომს –"თვითმკვლელობა როგორც თანამედროვეობის მასობრივი სოციალური მოვლენა" – მეტად დადებითი გამოხმაურება და პრაჰის ჩეხური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დაკავება მოჰყვა. თუმცა სულ მალე გამოირკვა, რომ ახალგაზრდა პედაგოგი არცთუ მთლად მშვიდი და უწყინარი ადამიანი აღმოჩნდა: თუნდაც თვალი დაეხუჭათ მის პოლიტიკურ თუ ჟურნალისტურ აქტიურობაზე, კოლეგა პროფესორთა მეტისმეტ გაღიზიანებას იწვევდა მასარიკის მეგობრული და შინაურული ურთიერთობანი სტუდენტებთან.

მალე იგი ორი გახმაურებული საჯარო სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა, თუმცა ორივე შემთხვევისას აშკარა იყო მისი ინტელექტუალური და სამოქალაქო სიმამაცე, – უნარი იმისა, რომ, თუკი საქმე სიმართლეს უკავშირდებოდა,

ყურადღების მიღმა დარჩენილიყო ეგრეთ წოდებული "საზოგადოებრივი აზრიცა" და საკუთარი "საზოგადოებრივი პრესტიჟიც".

პირველი საქმე შეეხებოდა ცოტა ხნით ადრე აღმოჩენილ ჩეხურ ხელნაწერებს, თითქოს უძველესი ეპოსის ფრაგმენტებს, რომლებიც გერმანული "ნიბელუნგების სიმღერის" თანადროულად ცხადდებოდა და რომელთაც უნდა დაედასტურებინა ჩეხების უძველესი ისტორიული წარსული, – ანუ, ჩეხი ნაციონალისტების ძლიერი სურვილით, ტექსტებს ცხადი უნდა გაეხადა ჩეხურ კულტურულ ტრადიციათა იმგვარივე სიძველე, როგორიც მოეპოვებოდათ გერმანელებს. თანამემამულეთა გულდასაწყვეტად, მასარიკმა ერთხელ და საბოლოოდ დაამტკიცა, რომ "შუასაუკუნეობრივი" ჩეხური ეპოსი, ფაქტობრივად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გაყალბებას წარმოადგენდა. მეორე შემთხვევისასაც ფილოსოფიის პროფესორი არ შეშინებია, წასულიყო დინების წინააღმდეგ და დაეცვა თანამემამულე ებრაელები, რომელთაც, ისევე როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ქრისტიანთა რიტუალურ მკვლელობაში ედებოდათ ბრალი და რომლებიც იმგვარი დარბევის ("პოგრომის") საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, როგორითაც უხვია რუსეთისა თუ პოლონეთის ქრონიკები. მასარიკის დამსახურებაცაა, რომ ამგვარი ძალადობა იმ დროს აღარ გაღვივებულა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას სიცოცხლის განმავლობაშიც და შემდგომაც თან სდევდა მისი ანტიებრაული განწყობის ეჭვი.

ამავე დროს, პროფესორი მასარიკი წერს თავის ორ მნიშვნელოვან ნაშრომს: ერთია – "მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები", რომელიც ღრმად განიხილავს იმ დაუძლეველ შინაგან წინააღმდეგობებს, რაც დამახასიათებელია ამ სწავლებისათვის და რაც სავსებით ურყევს მას საფუძველს; ხოლო მეორეა – "რუსეთი და ევროპა", სადაც შესწავლილია ჩრდილოეთის უზარმაზარი იმპერიის ინტელექტუალური, რელიგიური და პოლიტიკური კრიზისის მიზეზები. მასარიკი ცხადად წარმოაჩენს, თუ როგორ თრგუნავს რუსეთში ყოველივე საღს, ჯანსაღსა და ნათელს ასე ფართოდ მოდებული კაცთმოძულე და ხალხ-

თმოძულე იდეები. მისი აზრით, მიუხედავად დიდი ლიტერატურისა, რუსეთი წარმოადგენს უწიგნურ, განუვითარებელ ქვეყანას, რომელიც მეტად ჩამორჩება ევროპული განვითარების შარაგზას. ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ რუსული მართლმადიდებლობა და ცარიზმი ის ბოროტებაა, რომელიც მხოლოდ სიბნელისაკენ უბიძგებს რუსეთს.

დატვირთული პედაგოგიური და კვლევით-პუბლიცისტური საქმიანობის გარდა, მასარიკი, ამავე დროს, მხურვალედაა ჩართული პოლიტიკურ ყოველდღიურობაში. იგი შედის ძველი ჩეხების პარტიაში, მაგრამ მალე მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ამ ორგანიზაციის კონსერვატიზმი, კათოლიკეობა და პროავსტრიული ორიენტაცია, რის გამო მას უწევს გადასვლა ახალგაზრდა ჩეხების ბევრად უფრო რადიკალურ პარტიაში და მათი წარმომადგენელიც ხდება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პარლამენტში, თუმცა ამ დაჯგუფების უკიდურესი ნაციონალიზმის გამო მათთანაც გაუჭირდება საერთო ენის გამონახვა და თავად დააფუძნებს ჩეხ ინტელექტუალთა პოლიტიკურ ორგანიზაციას – რეალისტურ პარტიას, რომლის სახელითაც განაგრძობს სადეპუტატო საქმიანობას ვენაში.

მას შემდეგ, რაც ევროპა პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლში გაეხვევა, მასარიკი საკუთარ შეხედულებებსაც დაუპირისპირდება: თუ მანამდე მას ჩეხების პოლიტიკურ-კულტურული განვითარება ჰაბსბურგების იმპერიის საზღვრებში სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა, ომის დაწყებისთანავე, – ანუ, მისი მწარე სიტყვებით, მას შემდეგ, რაც ავსტრია-უნგრეთი გერმანიის სამხედრო შტაბს დაექვემდებარა, – მან მტკიცედ გადაწყვიტა, ყველაფერი გაეკეთებინა, ერთი მხრივ, იმპერიის დაშლისა და, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი ჩეხური სახელმწიფოს დასაფუძნებლად. ამავე დროს, იგი უკავშირდება პარიზში მცხოვრებ ცნობილ სლოვაკ ასტრონომს, მილან შტეფანიკს, რომელთან ერთად ჩამოაყალიბებს ჩეხებისა და სლოვაკების ერთიანობის იდეას. ომის დამთავრებამდე მასარიკი განუწყვეტლივ იმყოფება სხვადასხვა ქვეყანაში: საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში, რუსეთში. მისი შეხვედრები და საუბრები მოკავშირე სახელმწი-

ფოთა ხელმძღვანელებთან მნიშვნელოვნად განაპირობებს ომის შემდგომი ევროპის რუკას.

მისი თვალსაზრისით, აუცილებელი იყო არა მარტო ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლა, არამედ რუსეთსა და გერმანიას შორის ეგრეთ წოდებული სანიტარული ზოლის შექმნა, რაც აღვირს დაუდებდა ამ ორი ერის იმპერიალისტურ მისწრაფებებს. ცარისტული რეჟიმის დამხობის შემდეგ, სამოცდაშვიდი წლის მასარიკი ჩადის რუსეთში, სადაც იგი შექმნის ჩეხოსლოვაკიურ ლეგიონს, რომელიც შემდგომ დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ბოლშევიკ მოძალადეებს.

ომის დამთავრებისთანავე ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო უილსონი აყალიბებს თავის თოთხმეტპუნქტიან პროექტს ევროპის მოწყობის შესახებ: ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, 1918 წლის 28 ოქტომბერს ევროპის შუაგულში იქმნება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ტომაშ გარიგ მასარიკი.

ქვეყნის პრეზიდენტი პირობას იძლევა, რომ მრავალეროვნულ სახელმწიფოში დაცული იქნება ჩეხების, მორავიელების, სლოვაკებისა და კარპატისპირა რუსინების თანასწორობა, ამასთანავე, ყოველგვარი სამოქალაქო უფლებებით იქნებიან უზრუნველყოფილი ეროვნული უმცირესობანი: გერმანელები და უნგრელები.

“ქვეყნის განმათავისუფლებელი” კიდევ სამგზის აირჩიეს პრეზიდენტად, – 1920, 1927 და 1934 წლებში. კონსტიტუციის წესით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს არ გააჩნდა ფაქტობრივი უფლებამოსილებანი, მაგრამ ორი ათწლეულის განმავლობაში შეუვალი იყო მასარიკის პოლიტიკური ავტორიტეტი. ღირსშესანიშნავია, რომ, შემთხვევით თუ არაშემთხვევით, ჩეხოსლოვაკიის “მამა-ფუძემდებლის” სიცოცხლის ბოლომდე ქვეყანა ახერხებდა, თავი დაეცვა როგორც ბოლშევიკური, ისე ფაშისტური თუ ნაციონალ-სოციალისტური შემოტევებისაგან.

შესამჩნევი ხდებოდა, რომ რესპუბლიკელი მასარიკი თანდათანობით იფერებდა იმპერატორის მემკვიდრეობას და, რაც უფრო ხანგრძლივი ხდებოდა მისი პრეზიდენტობა, მით უფრო ემსგავსებოდა, – თუნდაც გარეგნული გამოხა-

ტულებებით, – ხალხის სათაყვანებელი და სახელმწიფოს სახედ ქცეული მონარქის მმართველობას.

1935 წელს ოთხმოცდახუთი წლის პრეზიდენტი გადადგა და პრაჰასთან ახლოს, ქალაქგარეთა კოშკში, ლანიში, დასახლდა.

ტომაშ გარიგ მასარიკი ორი წლის შემდეგ, 1937 წლის 14 სექტემბერს, გარდაიცვალა.

ტრაგიკული აღმოჩნდა მასარიკის პოლიტიკური მემკვიდრეობის ბედი: სულ მალე დაიშალა ჩეხოსლოვაკია; შემდგომ რუკიდან, საერთოდ, გაქრა ჩეხეთიც, – როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღდგენილმა ჩეხოსლოვაკიამ დაკარგა თავისი მესამედი; მომდევნოდ, ორმოცი წლის განმავლობაში ქვეყანას მართავდა სასტიკი კომუნისტური რეჟიმი, რომლის დამხობის შემდეგ ისევ და საბოლოოდ დაიშალა ჩეხოსლოვაკია.

ასევე, ისტორიული თვალსაწიერიდან, შესაძლოა ითქვას, რომ მასარიკი იყო სახე იმ ევროპული ლიბერალიზმისა, რომელმაც ვერ შეეძლო შეეჩერებინა ვერცერთი დიქტატურა ევროპაში.

ძნელი სათქმელია, რის მიხედვით უნდა შეფასდეს პოლიტიკოსი: რას მიაღწია მან სიცოცხლის განმავლობაში, სანამ იგი ქმედითად იყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში თუ რა დარჩა, რა გადარჩა იმ პოლიტიკური შენობისაგან, რომელსაც იგი აშენებდა? რამ განაგრძო მყარი არსებობა?

ყოველი შემთხვევისას, ტომაშ გარიგ მასარიკის გამო შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რამდენადაც წარმატებული იყო მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა, იმდენად წარუმატებელი, ანუ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა მისი მემკვიდრეობა.

სექტემბერი, 1997

29

“მთიელები” – იკების ტომი

ანთროპოლოგიური კვლევები ხშირად იძლევა განზოგადებათა შესაძლებლობას, და, საერთოდაც, კერძო კვლევა ყოველთვის ფასობს იმდენად, თუ რამდენად აღმოაჩნდება დასკვნათა გაფართოების უნარი. ხოლო იმ შემთხვევისას, როცა გამიზნულია, შეისწავლონ პირველყოფილი ადამიანები, ანდა ადამიანები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ პირველყოფილ მდგომარეობას, ჩნდება დაჯერების საცდური, – რაკი ფართოვდება თვალსაწიერი იმ საზღვრებს მიღმა, რომელიც ჩვეულია მსოფლიო ცივილიზაციათა მონაწილე ადამიანისათვის, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ათასწლეულების განმავლობაში, – რომ თითქოს ადამიანი, თავისუფალი სხვადასხვაგვარ კულტურულ დანაშრევთაგან, უკეთ წარმოაჩენს, თუ რა არის ადამიანის პირველადი არსი, ანუ მისი ნამდვილი შინაარსი და დანიშნულება.

ოცდახუთი წლის წინათ, 1972 წელს გამოქვეყნდა ბრიტანელი ანთროპოლოგის, კოლინ ტერნბულის (1924-1994) წიგნი “მთიელები” (“Mountain People”), რომელმაც ავტორს სამეცნიერო წრეებში არა მარტო აღიარება და სახელი მოუტანა, არამედ მწვავე კრიტიკის სამიზნედაც აქცია. მკვლევარი თავის ნაშრომში აღწერს ჩრდილოეთ უგანდაში, რიფტის ხეობის მაღლა, მიუდგომელი მთის მწვერვალზე მცხოვრები იკების ტომის ყოველდღიურ ყოფას. მკვლევარი, თავის პარტნიორთან ერთად, მათ გარემოში მაშინ აღმოჩნდა (და სამი წელი მათთან გაატარა), როცა ადამიანურ ცივილიზაციას სავსებით მოწყვეტილი მთის ხალხი გვალვისა და შიმშილისაგან ლამის სულს ღაფავდა და სრული განადგურების საფრთხის პირისპირ აღმოჩნდა.

ტერნბულის აღწერით, ტომის საჯარო-საზოგადო და კერძო-ადამიანური ცხოვრება მთლიანად მოშლილი იყო, იქ მცხოვრებთა შორის გაუქმებულიყო საერთო, ანუ ერთობლივი ყოფნის ყველა წესი თუ ჩვეულება და თითოეული მთიელი მხოლოდ საკუთარი გადარჩენისათვის ზრუნავდა. თანატომელებს გაეუქმებინათ ყოველგვარი ურთიერთობა, ისინი ერთმანეთს საერთოდ არ ელაპარაკებოდნენ, ერთმანეთს არც კი უყურებდნენ და თავიანთ სადგომებს ეკალ-ბარდებით ფარგლავდნენ, – მეზობლებისაგან ან თუნდაც ოჯახის წევრებისაგან თავის დასაცავად, ხოლო ახლოს მყოფთა მიმართ კი მხოლოდ მაშინ იჩენდნენ ყურადღებას, თუკი მათგან რამის მოპარვის საშუალება მიეცემოდათ. ისინი არ უვლიდნენ არც თავიანთ ბავშვებს და არც თავიანთ მოხუცებს, არ უტოვებდნენ და ართმევდნენ მათ საკვებს. ანთროპოლოგის დაკვირვებით, ისინი პრინციპულად არასოდეს, არავითარი შემთხვევისას არ ამბობდნენ სიმართლეს. რაც შეეხება მათს საქმიანობას, მთელი დღის განმავლობაში ისინი განმარტოებული იდგნენ ან ისხდნენ და ხეობას გაჰყურებდნენ. კოლინ ტერნბული თავის წიგნში მათ “უსიყვარულო ადამიანებს” უწოდებს. მკვლევარი იმდენად შეძრწუნებული იყო თავისი აღმოჩენით, რომ ურჩევდა უგანდის მთავრობას, ჯარის საშუალებით აეყარა და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გაეფანტა იკების ტომი, – ადამიანები, რომელთაც სრულიად დაკარგული ჰქონდათ სიყვარული და სიკეთე.

ტერბულის ნაშრომმა არა მარტო სპეციალისტი კოლეგების, არამედ მკითხველთა ფართო წრეების ყურადღებაც მიიპყრო, მის დასკვნებს დაეყრდნო სხვადასხვა დარგის გამოკვლევები, მის საფუძველზე საგანგებო თეატრალური წარმოდგენა შექმნა პიტერ ბრუკმა.

გახმაურებული წიგნის დაბეჭდვიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ იკებმა კიდევ ერთხელ მიიპყრეს ანთროპოლოგთა ყურადღება. როგორც აღმოჩნდა, ისინი ამჟამად შიმშილისაგან ისე უიმედოდ აღარ იტანჯებიან, მაგრამ ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესე-

ბას მათი თავკერძობა კიდევ უფრო განუმტკიცებია და გაუძლიერებია. იკების ტომის დღევანდელი დამკვირვებელი, ისევ ბრიტანელი დონ მუდი, დარწმუნებულია, რომ ისინი არაფრით არიან გამორჩეული, ხოლო ტერნბულის წიგნმა თავის დროს მხოლოდ იმიტომ აღძრა გადაჭარბებული ყურადღება, რაკი მასში მინიშნებული იყო ევროპულ-ამერიკული "მომხვეჭელური საზოგადოების" მომავალი ბედი, ხოლო სტრიქონებს შორის გაჟონილი იყო შიში, რომ იკებმა ერთი ნაბიჯით წინ გაგვისწრეს და ჩვენც მალე იგივე მორალი, იგივე ცხოვრების წესი და, შესაბამისად, იგივე ბედი გველის, რაკი დღეს ცივილიზებულ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანი მთლიანად მოცულია მხოლოდ საკუთარი, პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფით, საკვებისა და ყოფითი უსაფრთხოების მოპოვებით. მეოცე საუკუნის მიწურულს დონ მუდის მიაჩნია, რომ იკების მთიელებს შორის დიდად განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, – მხოლოდ უფრო მეტად მკაფიოდ წარმოჩნდა ის ინსტინქტი, რასაც "survival mode", ანუ გადარჩენის ხერხი ეწოდება და რომელიც აგრერიგად ჩვეულია ყოველი ბიოლოგიური არსებისათვის. მუდის აზრით, ჩვენ, ყველანი "კანის ქვეშ ვატარებთ იკებს", საკუთარი თავის ფიზიკურად გადასარჩენად, რადგან სხვაგვარად სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა.

თუმცა მაინც უნდა ითქვას ის, რაც აუცილებელი სათქმელია: ისტორიის სახელმძღვანელოები იმის არაერთ მაგალითსაც მოიცავს, რომ ადამიანები იკებზე უფრო აუტანელ პირობებშიც, – თუნდაც მეოცე საუკუნის განმავლობაში, – უარს არ ამბობდნენ სხვა ადამიანის დანახვასა თუ აღქმაზე, ახერხებდნენ ერთმანეთის გაძლებასა და გატანას, ერთმანეთის მხარში ამოდგომას, ინარჩუნებდნენ ზნეობასა თუ კულტურას, იმედსა თუ რწმენას. მიზეზებისა და მიზნების ძიება ამჯერად უთუოდ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ, ზოგიერთის – განსაკუთრებით, ამ მხრივ გამოცდილთა – აზრით, სწორედ ამგვარ თვისებათა წყალობით მოხერხდა არა მარტო მათი სიცოცხლის შენარჩუნება,

არამედ კაცობრიობისა და, ზოგადად, ადამიანობის გადარჩენა.

იკების ტომს კი ისევ მეტისმეტად უჭირს, – და არა მარტო წყლისა და საკვების ნაკლებობის გამო. ოფიციალური წყაროების მიხედვით, ერთადერთი, ვინც ამჟამად მათზე მზრუნველობს, – განსაცდელისაგან გადასარჩენად, – იქაური კათოლიკე ეკლესიაა.

ნოემბერი, 1997

30

საშობაო სპექტაკლი

დასავლეთის ქვეყნების აუცილებელ საშობაო ტრადიციებს მიეკუთვნება ეკლესიებში თუ ეკლესიის გალავანში გათამაშებული სპექტაკლი, სადაც იესო ქრისტეს შობის სცენებია წარმოდგენილი და რომელიც სახარებისეულ თხრობას ხალხური თეატრის სახეს ანიჭებს.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ამგვარი სპექტაკლები უკვე ტაძრის მიღმაც იდგმებოდა: თეატრებსა თუ სკოლებში, მოედნებზე თუ ფუნდუკებში.

თავად ტრადიცია სათავეს იღებს ხილვიდან, რომელიც ეწვია ძმა ჯოვანი ველიტას, წმიდა ფრანცისკე ასიზელის მოწაფეს. 1223 წლის, შობის ღამეს, როცა ფრანცისკელთა ორდენის ფუძემდებელი ერთი პატარა იტალიური სოფლის მცხოვრებლებს ქრისტეს შობის სიხარულზე შთაგონებით ესაუბრებოდა, იქვე მყოფმა ძმა ჯოვანიმ სულიერი მზერით იხილა იესო ქრისტე, – პაწია ჩვილის სახებით. იმ დროიდან მინორიტებმა, ანუ ფრანცისკეს მიმდევარმა მოწესეებმა – მცირე ძმებმა დააწესეს, რომ ყოველ წელს, შობაზე მოეწყოთ საგანგებო წარმოდგენა, რომლებიც ხშირად სცილდებოდა სახარებისეული თხრობის ფარგლებს და რომლებშიც არცთუ იშვიათად იმდროინდელი ყოფის მწვავე საკითხები წამოიჭრებოდა ხოლმე. ისიც უნდა ითქვას, რომ სპექტაკლის მსვლელობისას არც ხუმრობა და სიცილი უშლიდა ვისმე ხელს.

საშობაო სპექტაკლის გმირები ამგვარად წარმოჩნდებიან: ყრმა იესო მხოლოდ სიმბოლურად იყო წარმოდგენილი, მაგალითად, სათამაშოს ან ყვავილის თაიგულის სახით, ხოლო მარიამსა და იოსებს ყოველთვის მსახიობები, – ძირითადად, მოხალისეები, – თამაშობდნენ. ნეტარი ქალწულის გამომეტყველება სიწმიდით უნდა ყოფილიყო აღ-

სავსე და ძირითადად ერთმნიშვნელოვნად სახიერდებოდა, იოსების შემსრულებელს კი მეტი თავისუფლება ჰქონდა მოპოვებული. იგი იყო ხელოსანი, უბრალო ადამიანი და მას უფლებაც ჰქონდა, ადამიანური სისუსტეებიც გამოევლინა. ამიტომ, ძირითადად, სწორედ იოსებს შეჰქონდა წარმოდგენაში სიხალისე. რა თქმა უნდა, სცენაზე მალევე ჩნდებოდნენ მწყემსებიც, რომლებსაც საჩუქრები მოჰქონდათ ახალდაბადებული იესოსათვის, თუმცა ამ საჩუქრებს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი ჰქონდა საერთო სახარებისეულ სამყაროსთან: ეს იყო თაფლი, ცხვრის ყველი, კერამიკული ნივთები, ნაქსოვი წინდები, – მოკლედ, ის, რაც სახლში ჰქონდათ.

სპექტაკლს უარყოფითი მოქმედი პირიც ჰყავდა – ჰეროდე, რომელშიც ორი ისტორიული მეფის სახე ერწყმოდა ერთმანეთს: ერთი იყო ჰეროდე დიდი, რომელსაც ყრმათა ამოჟლეტა ედებოდა ბრალად, მეორე კი – მისი შვილი და მემკვიდრე, ჰეროდე ანტიპა, რომელმაც ნება დართო, თავი მოეკვეთათ იოანე ნათლისმცემლისათვის. სპექტაკლისეული ჰეროდე ყოველთვის მიისწრაფოდა, მოეპოვებინა უფრო მეტი ძალაუფლება და ქონება. იგი განასახიერებდა დამნაშავეს, რომელსაც არ ასცდა სასჯელი. ამ სასჯელის აღსრულება ევალებოდა სიკვდილს, – ეს პერსონაჟი საშიშიც იყო და სამართლიანიც. მისი ჩაცმულობა კლასიკური იყო – ცელიან ჩონჩხს წარმოადგენდა. სიკვდილის ცეკვა ჰეროდესთან და დამნაშავე მეფის დამარცხება ყოველთვის მაყურებლის ტაშით ჯილდოვდებოდა.

სცენაზე შემდგომ გამოდიოდა სამი აღმოსავლელი მოგვი, ანუ სამი მეფე, რომელთა სახელი ყველა იქ მყოფმა კარგად იცოდა: კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი. მათ იესოსთვის ძღვენი მოჰქონდათ – საკმეველი, როგორც ღმრთაებრიობის სიმბოლო; ოქრო, რომელიც სამეფო ძალაუფლებას განასახიერებდა; მირონი, როგორც იესოს მოწამებრივი სიკვდილის წინასწარმეტყველება. მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, გასპარი ყოველთვის ზანგად იყო წარმოდგენილი, რაც ბავშვებს განსაკუთრებით აკვირვებდა და ახალისებდა.

სპექტაკლის აუცილებელი მონაწილენი იყვნენ გამურული, ხმაურიანი ეშმაკი და თეთრსამოსიანი, ოქროსფერთმიანი, გრძელკულულებიანი ანგელოზი, რომელსაც ზურგზე უზარმაზარი ფრთები ჰქონდა მიმაგრებული. მაყურებელი დაძაბული ადევნებდა თვალს ეშმაკისა და ანგელოზის ბრძოლას, თუმცა კარგად იცოდა, რომ გამარჯვება უეჭველად კეთილ ძალას დარჩებოდა.

სცენაზე, მათ გარდა, ცხოველებიც ჩნდებოდნენ, რაც წმიდა ფრანცისკესეულ განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავდა ყველა ცოცხალი არსების, როგორც ღმრთის ქმნილებათა, მიმართ. სცენაზე, სახედრისა და კრავების გარდა, ასევე, გამოჩნდებოდნენ ჩიტებიც, რომლებიც ყრმა იესოს ლამაზ საგალობლებს უმღეროდნენ. როგორც ჩანს, ამგვარი თეატრალური შთაბეჭდილებებიც ედო საფუძვლად ფართოდ გავრცელებულ ხალხურ რწმენას, რომ შობის ღამეს ცხოველებიცა და ფრინველებიც ადამიანური ენით მეტყველებენ.

დღესასწაულები თუ ზეიმები სირთულეებსა და გართულებებს ყოველთვის გაურბის. დღესასწაულისას ადამიანს ისიც კი ეჩვენება, რომ ყველა საჭირბოროტო სატკივარი ადვილად და მარტივად წყდება, და, საერთოდაც, ამგვარ დღეებში ყოველივე ირგვლივ ბევრად მარტივად ჩანს.

ძნელია ითქვას, დღესასწაულისას მართლაც მარტივდება გარემო თუ დღესასწაული მოითხოვს სიმარტივეს.

დეკემბერი, 1997

1998

31

მისტიკა და ეროტიკა

სამყაროს იდუმალი საფუძვლის განჭვრეტა გონების თვალითა და დაკვირვების უნარით შეუძლებელია, – ეს ძველთაძველი ჭეშმარიტებაა და ამ ჭეშმარიტებას ეფუძნება რელიგიური განცდა.

სამყაროს არსის მისაწვდომად და გასაგებად ლოგიკისა და თანამიმდევრობის წესები არ გამოდგება. მისტიკური წვდომის გაკრთომა რაციონალური კანონზომიერების მიღმა გამოსჭვივის.

კიდევ ერთი განზომილება, სადაც გონიერი განსჯა კარგავს თავის ძალას და სადაც ლოგიკური გააზრება უქმდება, ადამიანური ვნებაა, რომელიც მთლიანად ანგრევს და არღვევს ყოველგვარ გონიერ წესებსა თუ კანონზომიერებებს. ნამდვილი ვნება არ აიხსნება, ვერ გაიგება, ვერ განიმარტება.

ბუნებრივია, რომ ასეთი ახლობელია, ამდენად მონათესავეა, ერთმანეთთან აგრერიგად დაკავშირებულია მისტიკა და ეროტიკა, – ორივე ღვივის გონების მიღმა, ორივე ამოუხსნელი და აღუწერელია გონიერი განსჯის ფარგლებში.

იანვარი, 1998

32

კათოლიკე ეკლესია იაპონიაში

ამ ცოტა ხნის წინათ აღინიშნა პირველ იაპონელ მოწამეთა წამების ოთხასი წლისთავი. ქრისტიანობის ორიათასწლოვანი არსებობის განმავლობაში არასოდეს შეწყვეტილა ქრისტიანთა დევნა და წამება, და ძნელად თუ მოინახება ისეთი ქვეყანა, რომელსაც თავისი ქრისტიანი მოწამეები არ ჰყავდეს. მაგრამ არც ისე ბევრია ქვეყანა, სადაც ისე სასტიკად და დაუნდობლად ეცადოთ ქრისტიანობის ამოძირკვა, ისე სასტიკად და დაუნდობლად გაეულიტოთ ასობით ათასი ქრისტიანი, როგორც იაპონიაში, სამასი წლის განმავლობაში.

ქრისტიანმა მისიონერებმა ამ კუნძულოვან სახელმწიფოში პირველად მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებში ჩააღწიეს. მათ შორის პირველი იყო ფრანცისკე ქსავერიუსი, რომელიც ინდოეთის, ცეილონისა და მალაკის განმანათლებლადაა ცნობილი. მისი გემი 1549 წლის 15 აგვისტოს მიადგა იაპონურ ნავსადგურს, კაგოშიმას, კუნძულ კიუშუზე. მისმა საუბრებმა ადგილობრივ დიდებულებთან თუ ბუდჰისტ სამღვდელოებასთან გულწრფელი მიზიდულობა გაუჩინა იაპონელებს ქრისტიანობის მიმართ. მანვე უძღვნა იქაურებს წმიდა მარიამის ხატები.

მალე ქვეყანაში იეზუიტები და ფრანცისკელები ჩადიან, – ისინი ნათლავენ ქალაქელებსა და სოფლელებს, დიდგვაროვანთ და ღატაკებს, მოხელეებსა და გლეხებს, აფუძნებენ საავადმყოფოებსა თუ თავშესაფრებს, ქრისტიანულ სკოლებსა თუ სემინარიებს, აგრეთვე, სტამბას, სადაც ლათინური ანბანით იბეჭდება იაპონური წიგნები: იაპონური ეპოსის ძეგლები და ევროპელი კლასიკოსები, იაპონური ენის გრამატიკა, ლექსიკონები და სახელმძღვანელოები. ოცი წლის შემდეგ ქვეყანაში ოცდაათი ათასი იაპონელი ქრისტიანია,

კიდევ ოცდაათი წლის შემდეგ კი – შვიდას ორმოცდაათი ათასი მორწმუნე და ორასი ქრისტიანული ტაძარი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელმა ვაჭრებმა ადგილობრივი მმართველები დაარწმუნეს, რომ ქრისტიან მისიონერებს ქვეყნის კოლონიად გადაქცევა სურთ, დაიწყო ქრისტიანობის სასტიკი დევნა. 1587 წელს შოგუნი ჰიდოიოში გამოსცემს საგანგებო დეკრეტს ქრისტიანთა წინააღმდეგ და მაშინვე კიოტოში, მისი ბრძანებით, ქრისტიანულ ტაძარს დაანგრევენ. ათი წლის შემდეგ საჯაროდ, წამებით მოკლავენ ექვს ფრანცისკელს, სამ იეზუიტს და ჩვიდმეტ ერისკაცს, – ოცდაექვს ნაგასაკიელ ქრისტიანს, რომლებიც 1862 წელს წმიდანებად იქნენ შერაცხილი.

ქრისტიან სამღვდელოებას ქვეყანაში ყოფნა აეკრძალა, მაგრამ არაერთი სასულიერო პირი მაინც არ გაეცალა იაპონიას და იქ საიდუმლოდ აგრძელებდა თავის საქმეს, – მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველმა მათგანმა საწამებელ ადგილას, საპატიმროში ან საჯალათო კუნძზე დაამთავრა სიცოცხლე. საჯაროდ დადგინდა, რომ მღვდლის შეფარებისათვის მთელ სოფელს გადაწვა ემუქრებოდა. შემოიღეს ყოველწლიური საგანგებო რიტუალი – "ფუმიე", რომლის დროსაც, წელიწადში ერთხელ, ყველა იაპონელი, ბავშვებისა და ავადმყოფების ჩათვლით, ვალდებული იყო, ჩაეწიხლა ჯვარი ან წმიდა მარიამის ხატი, ხოლო ვინც უარს იტყოდა, წამებით ამთავრებდა სიცოცხლეს.

დევნილი ქრისტიანები თავს აფარებდნენ ტყეებს, გამოქვაბულებს, შორეულ კუნძულებს, ფარულად შეიქმნა რამდენიმე ქრისტიანული მონასტერი, რომლებიც, ხელისუფლების თვალის ასახვევად, ბუდჰისტურ სავანეებად გამოცხადდა.

1637 წელს იფეთქა ქრისტიანთა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყმაწვილი ამაკუსა შირო. მეამბოხეები მოითხოვდნენ ქრისტიანთა უფლებების პატივისცემას, მაგრამ ისინი მალევე დამარცხდნენ საიმპერატორო ჯარებთან შეტაკებებისას. აჯანყების მეთაური, – სხვა მებრძოლებთან ერთად, რომელთა რიცხვმა ორმოცი ათასს გადააჭარბა, – სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი მოჭრილი თავი დიდხანს

იყო გადმოკიდებული ნაგასაკიში, გორაკის მწვერვალზე. განაჩენის აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე, საპატიმროში ამაკუსას დაუწერია ლექსი: “ვისთან ერთადაც ვიყავი ალ-ყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში, ახლა ერთად ვიქნებით ზე-ციურ სასუფეველში”.

თაობათა განმავლობაში, რომთან უშუალო კავშირის გარეშე, იაპონელი კათოლიკეები მაინც ინარჩუნებდნენ თა-ვიანთ ქრისტიანულ სარწმუნოებას და საიდუმლოდ აღას-რულებდნენ ღმრთისმსახურებასა თუ წეს-ჩვეულებებს.

ქრისტიანთა დაუნდობელი დევნა-შევიწროება გრძელ-დებოდა 1875 წლამდე, როცა იაპონიაში რჯულთშემწყნა-რებლობის დადგენილება გამოქვეყნდა. ქვეყანაში უმალ დაიწყო კათოლიკობის გავრცელების ახალი საფეხური.

განვლილი ასოცი წლის განმავლობაში გაწეული საქმი-ანობის შედეგად იაპონიაში დღეს თექვსმეტი კათოლიკური საეკლესიო ოლქია, მოქმედებს რვაასზე მეტი ტაძარი, სა-დაც ორი ათასამდე მღვდელი მსახურობს, საქველმოქმედო საქმიანობაშია ჩართული რვა ათასი მოწესე-მონაზონი, სა-სულიერო სასწავლებლებში სწავლობს ხუთასზე მეტი მოს-წავლე. ყოველწლიურად იაპონიაში ინათლება ხუთი ათას ხუთასი ახალდაბადებული და ამდენივე ზრდასრული.

კათოლიკეები იაპონიაში ქვეყნის მოსახლეობის მხო-ლოდ ნახევარ პროცენტს თუ შეადგენენ, თუმცა, როგორც ამბობენ, მათი რიცხვი შეუმჩნევლად, მაგრამ ყოველწლი-ურად მატულობს.

თებერვალი, 1998

33

ვილჰელმ შმიდტი
პირველადი მონოთეიზმის ძიებისას

როგორც მეცნიერების ისტორიაში, ისე რელიგიის ისტორიაში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა მკვლევარი თავისი კვლევითი საქმიანობით ადასტურებდა იმ თვალსაზრისს, რომელიც არა მარტო ემთხვეოდა მის სარწმუნოებრივ პოზიციას, არამედ ამყარებდა და უეჭველობას ანიჭებდა იმას, რასაც მისი აღმსარებლობა აღიარებდა. საფიქრებელია, რომ ამგვარი ვითარება – შინაგანი თუ გარეგანი დაუპირისპირებლობა პირად რწმენასა და მოპოვებულ ცოდნას შორის – სულიერი სიმშვიდის განცდას ანიჭებდა ნებისმიერი მეცნიერების ნებისმიერ წარმომადგენელს.

მსოფლიოში ცნობილ ჰუმანიტართა შორის ნამდვილად გამორჩეული ადგილი განეკუთვნება გერმანელ კათოლიკე მღვდელს, ვილჰელმ შმიდტს, – ლინგვისტს, ეთნოლოგს, ანთროპოლოგს, რელიგიათა მკვლევარსა და რელიგიათა ისტორიკოსს, – რომლის სახელი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ხშირად და სანდოდ ჟღერდა ამ დარგების სწავლულთა შორის.

ვილჰელმ შმიდტი 1868 წლის 16 თებერვალს ვესტფალიაში, ჰერდეში, დაიბადა, – პატარა ქალაქში, სადაც მამამისი ქარხნის მუშად მსახურობდა. ცხადია, იმ გარემოში, სადაც ყმაწვილი გაიზარდა, სწავლა-განათლება საოჯახო ტრადიცია არ ყოფილა და თავდაპირველი ცოდნა მას მისიონერთა სკოლაში შეუძენია. იქვე, მასწავლებელთა მაგალითის მიბაძვით, იგი მხურვალედ ანთებულა სურვილით, მთელი შემდგომი ცხოვრება თავადაც მისიონერობისათვის, – ქრისტეს სიტყვისა და საქმის ქადაგებისათვის, – მიეძღვნა დედამიწის ყველაზე შორეულ და ყველაზე მიტოვებულ ადგილებში. მას სიჭაბუკეშივე შეუბიჯებია იმ კონგრეგაციაში, – საღმრთო სიტყვის საზო-

გადოებაში (Societas Verbi Divini), – რომლის სკოლაშიც იგი თავიდანვე აღმოჩნდა და მას შემდგომ აღარასოდეს უღალატია ამ სულიერი საძმოსათვის, რომელიც მაშინ დაფუძნდა, როცა შმიდტი მხოლოდ შვიდი წლის ყმაწვილი იყო. მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში იგი ამ საზოგადოების წევრად რჩებოდა და ამ გზით ახორციელებდა თავის სამისიონერო ღვაწლს სხვადასხვა ქვეყანასა თუ კუთხეში. 1892 წელს იგი მღვდლად აკურთხეს.

მისმა განათლებამ, – რომელიც მან ჯერ ჰოლანდიასა და ავსტრიაში გაიღრმავა, ხოლო ლინგვისტიკის საფუძვლებსა და მრავალრიცხოვან ენას იგი ბერლინის უნივერსიტეტში დაეუფლა, – შემდგომ, ცხოვრების განმავლობაში უკიდეგანო, გასაოცარი სიფართოვე შეიძინა.

1895 წლიდან ვილჰელმ შმიდტი უკვე პროფესორია და კათოლიკურ სასწავლებლებში სხვადასხვა თეოლოგიურ საგანს ასწავლის. 1918 წლიდან მას ვენის უნივერსიტეტში იწვევენ ეთნოლოგიისა და რელიგიის კვლევების პროფესორად.

შმიდტი, უწინარეს ყოვლისა, შეუდგა ენების შესწავლას, და არა მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით ან პრაქტიკულ საჭიროებათათვის, არამედ კვლევითი განზრახულობითაც: იგი თავდაპირველად სემიტური, ხოლო შემდგომ არაერთი დასავლური თუ აღმოსავლური ენის მკვლევრად, ლინგვისტად ჩამოყალიბდა. სწორედ ლინგვისტიკა იყო მის სწავლულ მისწრაფებათა პირველი დარგი და მიმართულება.

1906 წელს მან დააფუძნა საერთაშორისო ჟურნალი “Anthropos”, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ავტორთა ნარკვევები თუ გამოხმაურებები იბეჭდებოდა ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის საკითხებზე. მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1931 წელს, ვენაში, იგი აყალიბებს, – იმავე საკითხების დასამუშავებლად, – კვლევითს ინსტიტუტს, რომელსაც იგივე სახელი დაერქვა: “ანთროპოსი”.

ვილჰელმ შმიდტმა, ამასთანავე, სათავე დაუდო ვატიკანის სამისიონერო ეთნოლოგიურ მუზეუმს, პაპის ლატერანის სასახლეში, რომში. შექმნამდე და შექმნის შემდეგ ამ დაწესებულების მხურვალე გულშემატკივარი იყო პაპი პიუს მეთერთმეტე. სწორედ პაპის თხოვნით, თორმეტი წლის განმავლობაში,

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1939 წლამდე, მკვლევარი თავად ხელმძღვანელობდა მუზეუმის მუშაობას, თუმცა სიკვდილამდე მაინც დარჩა მის საპატიო დირექტორად. ამას გარდა, პროფესორ შმიდტის მცდელობითვე დაარსდა ეთნოლოგიური მუზეუმი ვენაში.

ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მიერ 1938 წლის მარტში ავსტრიის მიერთების (Anschluss) შემდეგ, – იმის გამო, რომ შმიდტი საჯაროდ აცხადებდა, თუ რამდენად მიუღებელი იყო მისთვის ქვეყნის ახალ მმართველთა იდეოლოგია, – პოლიციამ უმალვე გასცა მისი დაპატიმრების ორდერი, რის გამოც მან სასწრაფოდ დატოვა ქვეყანა და თავისი ინსტიტუტი "ანთროპოსი" შვეიცარიაში გადაიტანა. მალევე იგი შვეიცარიული ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორად მიიწვიეს.

სწორედ ამ ქალაქში დაასრულა მან, არაერთი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა და არაერთი აკადემიის საპატიო წევრმა, თავისი სიცოცხლე 1954 წლის 10 თებერვალს და იგი იქვე დაკრძალეს, – სასულიერო სემინარიის სასაფლაოზე.

თავისი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში ვილჰელმ შმიდტი იკვლევდა ენებსა და ადათ-ჩვევებს, რელიგიურ და ეთიკურ შეხედულებებს, ადამიანთა ჯგუფებისა თუ ცალკეული ტომების ცხოვრების წესს, და ამ მიზნით იგი ხშირად სტუმრობდა აფრიკელ პიგმეებსა თუ ბუშმენებს, ჩადიოდა ბრაზილიაში, ინდოეთში, ტიბეტში, ოკეანეთის კუნძულებზე.

მისი ლინგვისტური გამოკვლევები, რომლებიც მეტად ღირებულად მიიჩნეოდა დარგის მცოდნეების მიერ, თავიდან შეეხებოდა ახალი გვინეის ენებს, მაგრამ შემდგომ კვლევითი ასპარეზი გაფართოვდა და მან მოიცვა მთელი ოკეანეთი. ამას გარდა, მალე სწავლულმა გადაწყვიტა, შეესწავლა, ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ენობრივი სამყარო.

1926 წელს გამოდის მისი ფუნდამენტური ნაშრომი "მსოფლიოს ლინგვისტური ოჯახები და ლინგვისტური ჯგუფები", სადაც შმიდტმა წარმოადგინა თავისი ენობრივი კვლევების შეჯამება.

ლინგვისტურ ძიებათა სფეროდან მისმა ყურადღებამ თანდათანობით გადაინაცვლა ანთროპოლოგიისაკენ, კულტურისა და რელიგიის კვლევებისაკენ. ყოველ ამ დარგს მან იმ-

დენად მნიშვნელოვანი ნაშრომები შესძინა, რომ ისინი დღემდე აუცილებელ საფუძველსა თუ საფეხურს წარმოადგენს შესაბამისი საკითხების შესწავლისას დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

მკვლევარს მაინც არასოდეს უღალატია ლინგვისტიკისათვის და სიცოცხლის მიწურულს, 1952 წელს, მან გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი, სადაც აღწერილი და შესწავლილია ტასმანიის იმუამად უკვე მკვდარი ენები.

ეთნოლოგიის სფეროში შმიდტის პირველი ნაშრომი შეეხებოდა პიგმეებს, რომელთა როლი ადამიანის ისტორიულ განვითარებაში მკვლევარმა სწორედ ამ გამოკვლევით განსაზღვრა.

მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცდელობა იყო, ჩამოეყალიბებინა კულტურათა ტიპოლოგიის საკუთარი სისტემა, ხოლო კვლევის ხერხს, რომლითაც იგი სარგებლობდა, მან კულტურულ-ისტორიული მეთოდი უწოდა. საყურადღებოა, რომ, როცა მკვლევარი აღწერდა პირველყოფილი ადამიანების ყოფას, განვითარებას, ქმედებებს, ურთიერთობებს, იგი ყოველთვის ხედავდა თუნდაც განსხვავებულ, ოღონდ მაინც ჩვეულებრივი და სრულყოფილი ადამიანური ტიპების ცხოვრებას, რომელიც თავისთავად იმსახურებს პატივისცემას.

შმიდტის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად ეთნოლოგიაში მიჩნეულია მისი ცნობილი თეორია კულტურული წრეების შესახებ. სწორედ ამ თეორიას დაეყრდნო შემდგომ მის მიერ აგებული კაცობრიობის კულტურული ისტორია.

კულტურული წრეების თეორიის მიხედვით, ადამიანის უძველესი კულტურა, მკვლევრის მიერ სახელდებული "წინარეკულტურად" ("Urkultur"), იყო მონადირეთა და შემგროვებელთა კულტურა, რომლის ნაშთები შემოუნახავთ, უწინარესად, პიგმეებს, ასევე, არქტიკული ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ტომის მოსახლეობას. ამ წინარეკულტურიდან შემდგომ წარმოიშვა სამი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი "პირველადი კულტურა": ერთი, დაფუძნებული მცენარეთა მოყვანაზე და დაკავშირებული მატრიარქატთან, რადგან სწორედ ქალები მოიწევდნენ მოსავალს; მეორე, "მაღალი სამონადირეო

კულტურა", რომელსაც წარმართავდნენ მამაკაცები და რომელიც რელიგიურად დაუკავშირდა ტოტემიზმს; მესამე, პატრიარქატთან დაკავშირებული მესაქონლეობა-მეჯოგეობის კულტურა, დაფუძნებული მომთაბარე მეურნეობაზე. შმიდტს მიაჩნდა, რომ ამ სამი პირველადი კულტურული ველიდან თითოეული მათგანი აღმოცენდა კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში და შემდგომ გავრცელდა სხვაგან, ხოლო მათი შერწყმა ერთმანეთთან ადამიანთა მიგრაციამ განაპირობა. მერმე, პირველადი კულტურების შერწყმა-შერევის შედეგად წარმოქმნილმა მეორეულმა და მესამეულმა კულტურებმა შექმნეს, ფორმა მიანიჭეს მაღალ კულტურებს, რომლებიც მოგვიანებით გამოიკვეთა და რომელთაც უკავშირდება (სწორედ მათ და არანაირად – ეკონომიკურ ურთიერთობებს!) საზოგადო და რელიგიური ცხოვრების ჩამოყალიბება.

დარგის მცოდნეთა მიერ აღიარებულია, რომ შმიდტის მიერ დაწყობილ-დაჯგუფებული კულტურული ფორმები დღემდე მეტად სასარგებლო საკლასიფიკაციო იარაღს წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოლოგიურ კვლევათა წარმართვისას.

1931 წელს იგი გამოსცემს ვრცელ ნაშრომს "ქვის ხანის მსოფლიო ისტორია", ხოლო მოგვიანებით, 1937-1942 წლებში, მან გამოაქვეყნა სამტომიანი გამოკვლევა "საკუთრება კაცობრიობის ადრეულ საფეხურებზე", რომელიც დაუსრულებელი დარჩა.

ღირსშესანიშნავია, რომ 1920-1930-იან წლებში სწავლული აქვეყნებს მოზრდილ ნარკვევებს რასების შესახებ, სადაც განიხილავს ადამიანთა შორის ცალკეულ, ცხად რასობრივ განსხვავებებს, მაგრამ, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ უშუალო კავშირი რომელიმე რასისადმი კუთვნილებასა და ინტელექტუალურ თუ ფსიქოლოგიურ თვისებებს შორის არ არსებობს. ამგვარმა თვალსაზრისმა მეტად განარისხა გერმანიისა თუ ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტები, ხოლო მათ მიერ ხელისუფლების აღების შემდეგ "მესამე რაიხის" იდეოლოგიურმა სამსახურებმა სრულიად აკრძალეს მისი წიგნები.

ლინგვისტური და ეთნოლოგიური საკითხების კვლევათა მეშვეობით, შმიდტი თანდათანობით უახლოვდება რელიგიის

კვლევებს, სადაც მის ძიებათა შუაგულში აღმოჩნდება რელიგიის საწყისები და სახეცვლილებანი.

უწინარესად, იგი დაუპირისპირდა იმ დროს საკმაოდ გავრცელებულ და გავლენიან თეორიას, რომლის მიხედვით, ყველა რელიგიის საწყისია ანიმიზმი. ამ თეორიის ავტორს, ედვარდ ტეილორს, – ცნობილ ბრიტანელ ანთროპოლოგსა და ევოლუციონიზმის ერთ-ერთ მხურვალე გამავრცელებელს, – მიაჩნდა, რომ, ადამიანთა პირველადი რწმენით, მთელი სამყარო განსულიერებულია, ყველას და ყველაფერს თავისი სული მოეპოვება, ხოლო რელიგიურ წარმოდგენათა განვითარება, სახეცვლილება, დახვეწა თანდათანობითი, ევოლუციური პროცესის შედეგია.

ვილჰელმ შმიდტის თორმეტტომიანი ნაშრომი "ღმრთის იდეის წარმოშობა" (გამოკვლევის ზოგიერთი ტომი რვაას გვერდს აჭარბებს), რომელიც ათწლეულების განმავლობაში იბეჭდებოდა (1912-1955), ემსახურება იმ თვალსაზრისის დამტკიცებას, რომ ადამიანი იმთავითვე – გამოცხადებისმიერი წვდომით – აღიარებს მხოლოდ ერთ უზენაეს არსებას, ღმერთს, რომელმაც შექმნა სამყარო და რომელიც წარმართავს ადამიანის ცხოვრებას. ამდენად, უკვე პირველივე ადამიანი მონოთეისტია, ხოლო პირველადი რელიგია მონოთეიზმია. სწავლულს ეს თვალსაზრისი არა მარტო ღრმად სჯეროდა, არამედ მის დადასტურებას დაბეჯითებით ცდილობდა ხანგრძლივი, დაუზარელი, ადგილობრივი კვლევების საფუძველზე.

შმიდტი ამგვარად ასაბუთებდა თავის თეორიას:

პირველი, მკვლევარს მიაჩნდა, რომ მონოთეიზმი მონადირეთა და შემგროვებელთა სარწმუნოებაა; მათი უზენაესი არსება, სამყაროს შემოქმედი, რომელსაც მიემართება ღმრთისმსახურება, მყარადაა დაკავშირებული ამ ადამიანთა ეთიკურ შეხედულებებთან;

მეორე, რამდენადაც სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენენ აქამდე, ამ დრომდე მოღწეული ადამიანური კულტურის უადრეს, – საკვლევად ხელმისაწვდომ, – სახეს, ამდენად, უნდა გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ მონოთეიზმი კაცობრიობის უძველესი რელიგიაა;

მესამე, ამ ადამიანთა რელიგიური შეხედულებები, – განსაკუთრებით კი, მათი წარმოდგენები უზენაესი არსების შესახებ, – ეგოდენ ემთხვევა ერთმანეთს, რომ სავარაუდოა, ამ შეხედულებებს ერთი ისტორიული წარმოშობა ჰქონდეს;

მეოთხე, უზენაესი არსების სახე, როგორადაც მას წარმოიდგენენ პირველყოფილი ადამიანები, ისეთი დახვეწილი და ამაღლებულია, რომ შეუძლებელია, ის ეფუძნებოდეს ამ სარწმუნოების აღმსარებელთა მარტივ ადამიანურ გამოცდილებას; ამიტომაც, ეს პირველადი მონოთეიზმი მიჩნეული უნდა იქნეს იმ პირველადი ღმრთაებრივი გამოცხადების გამოძახილად, რომელიც ამ პირველყოფილი ადამიანების ცნობიერებაში აღიბეჭდა;

დაბოლოს, "ღმრთის იდეის წარმოშობის" ავტორი აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას, რომ მიუხედავად უეჭველი განვითარებისა მრავალი კულტურის ისტორიაში, მაინც უკუსვლა თუ დაცემა ჩვეული იყო და ჩვეულია რელიგიაში, სულიერ ცხოვრებაში, ეთიკაში.

შესაბამისად, ბევრი კულტურა უარს ამბობს მონოთეიზმზე და წარმართობის გზით მიდის პოლითეიზმისაკენ, ანუ მრავალღმერთიანობისაკენ, რომელიც, შმიდტის აზრით, ადამიანის რელიგიური წვდომის – პირვანდელი მონოთეიზმის – მხოლოდ გვიანდელი დაცემის, გადაგვარებისა და დაშლის შედეგია. მაგალითად, მცენარეულ მატრიარქალურ კულტურებში ერთადერთი უზენაესი არსების პირველადი იდეა გადაგვარდა და სახე იცვალა ისე, რომ თანდათანობით ჩამოყალიბდა მიწისა და ნაყოფიერების კულტად, მთვარის მითოლოგიად, გარდაცვლილთა თაყვანისცემად.

ადამიანის წინაშე ღმრთის თანდათანობით გამოვლენას კი მკვლევარი ხედავდა რელიგიის განვითარების სამ ეტაპში: ღმრთის შეცნობის თანამიმდევრული განვითარების შედეგად; ღმრთაებრივი ნების ჩარევის შედეგად; ღმრთაებრივი გამოცხადების სახით. ეს ეტაპები ასახულია კონკრეტულ რელიგიებში, რომელთა რიცხვიც სამია: პირველადი მონოთეიზმი (რომლის არსებობას შმიდტი უეჭველად მიიჩნევდა); იუდეველობა; ქრისტიანობა.

თავად სასულიერო პირს და რელიგიის მკვლევარს სრულიად დაუჯერებლად მიაჩნდა ათეისტური თვალსაზრისი, რომ რელიგია გაჩნდა ბუნების მოვლენათა წინაშე ადამიანის მიერ საკუთარი უძლურების გაცნობიერების შედეგად, რაკიღა ეს შეძრწუნებული ადამიანი, – სტიქიის დამანგრეველ, დაუმორჩილებელ ძალთა წინაშე, – დაუინებით ეძებდა დაცვის საშუალებას, ხოლო ამგვარ მფარველობას, ან დაცვისა თუ მფარველობის იმედს იგი პოულობდა ზებუნებრივ ძალთა აღიარებით.

სწავლული, რომელიც ამტკიცებდა, რომ რელიგიური ცნობიერება ვითარდებოდა არა ადამიანის განვითარების კვალობაზე, არამედ ის კაცობრიობას მიენიჭა ღმრთაებრივი გამოცხადების შედეგად, ბუნებრივია, დაუპირისპირდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ყველა დარგში გაბატონებულ ევოლუციონისტურ თეორიას, რომელიც, მისი აზრით, საერთოდ არ მიესადაგება ჰუმანიტარულ საკითხთა კვლევას; მისთვის მიუღებელი იყო, დაეჯერებინა, რომ დროთა მსვლელობისას აღმასვლას განიცდის ინტელექტი, ზნეობა, სულიერება, კულტურა, და რომ თავად ადამიანი და ადამიანური ცივილიზაცია წარმოადგენს ნაყოფს წრფივი, თანდათანობითი განვითარებისა, ანუ ევოლუციური პროგრესისა თავდაპირველი, პრიმიტიული მდგომარეობიდან.

ვილჰელმ შმიდტი წერდა: "უზენაეს არსებას, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ადამიანის ქმედებებზე, აქვს უნარი, დააჯილდოოს ეს ადამიანები ზნეობრივად დადებითი ქმედებებისათვის და დასაჯოს იმ ქმედებებისათვის, რომლებიც ზნეობრივად უარყოფითია... მაგრამ მთელი წყება პირველყოფილი ადამიანებისა, მათი უდიდესი უმრავლესობა, ელოდება უზენაესი არსების ამ საზღაურს, – ჯილდოსა და სასჯელს, – მიღმა სამყაროში. ყველა პირველყოფილ ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, სწამს, რომ არსებობს სხვა ცხოვრება".

მკვლევარი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი თავისი არსით, პირველადი სწრაფვით არა მარტო რელიგიური არსებაა (homo religiosus), – ეს თვალსაზრისი შმიდტის შემდგომ ხანაში რელიგიის შემსწავლელთა უზარმაზარ ნაწილს საკა-

მათოდ აღარ მიაჩნია, – არამედ მას მტკიცედ სჯეროდა ისიც, რომ ადამიანის რელიგია იმთავითვე მონოთეისტური იყო.

აღსანიშნავია, რომ სახელგანთქმული სწავლულის ნაშრომებში არეკლილია თომა აკვინელის თეოლოგიური ნაწერების შესანიშნავი ცოდნა და სიღრმისეული გააზრება. მან, როგორც ერთგულმა კათოლიკემ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ თომას ნაწერები, ზოგადად, შუქურად გამოდგება ქრისტიანის ცხოვრებისას, მაგრამ, ასევე, კერძოდ, მათ შეუძლია განმსაზღვრელი ბიძგი მისცეს მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას. მისმა ამგვარმა დამოკიდებულებამ, დაფუძნებულმა ეკლესიის მოძღვრებზე, შესაბამისი და ცხადი შედეგები გამოიღო.

იმ დროს, როცა მეცნიერული კვლევის მონაპოვართა სიმართლესა თუ მცდარობას მხოლოდ ექსპერიმენტი ან მათემატიკური სიზუსტე განსაზღვრავდა, შმიდტი მისდევდა გონების ნათელს, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, ადამიანის ცნობიერებაში ღმრთაებრივი წარმოშობა ჰქონდა. სწორედ ამ შუქით განათებული, იგი მიჰყვებოდა თავის ხანგრძლივ და მრავალწახნაგოვან ძიებათა სხვადასხვა მიმართულებას, – ჰუმანიტარულ დარგებში მისი ნაშრომების სიღრმე, სიფართოვე და დამაჯერებლობა მომავალშიც გააოცებს მკითხველებს.

ხოლო როცა მოწადინებული მკითხველი ვილჰელმ შმიდტის ამ ამოუწურავ გამოკვლევებს გაეცნობა, ნამდვილად დარწმუნდება, რომ ადამიანი კი არ ვითარდება გარეშე, მიწიერი მიზეზების გამოისობით, ადამიანს კი არ აყალიბებს ან კოლექტივი, ან ფიზიკური პირობები, ან კიდევ, ეკონომიკური ვითარება, არამედ ადამიანი დასაბამიდან შეიქმნა ღმრთის მსგავს არსებად, რომელსაც იმთავითვე ჰქონდა გარემომცველი სამყაროსა და მისი შემოქმედის წვდომის, ასევე, გონიერი განსჯის, სილამაზის აღქმის, შექმნისა და სიყვარულის უნარი.

თებერვალი, 1998

34

კარლ თეოდორ დრაიერის სარეჟისორო გზა სარწმუნოებრივი საყრდენების მოსაპოვებლად

სანამ კარლ თეოდორ დრაიერი, 1889 წლის 3 თებერვალს კოპენჰაგენში დაბადებული დანიელი კინორეჟისორი, თავის ნამდვილ საქმეს მიაგნებდა, ჯერ პიანისტად, მოხელედ, ჟურნალისტად და თეატრალურ კრიტიკოსად მსახურობდა.

სიყმაწვილე მომავალ ხელოვანს გაუხარელი ჰქონდა, რადგან, როგორც უქმრო ქალისაგან გაჩენილი ბავშვი, დაბადებისთანავე სამეურვეო სახლში აღმოჩნდა. შემდგომ მისი მოვლა-პატრონობა, მართალია, დედამისს გადაუწყვეტია, მაგრამ სულ მალე მან, ისევ დაფეხმძიმებულმა, ახალი ნაყოფის მოშორებისას სული დალია. მარტოდ დარჩენილი პატარა ბიჭი უშვილებია გაზეთის მბეჭდავს, ლუთერელ კარლ თეოდორ დრაიერს, რომლის სახელიც იმემკვიდრა მომავალმა ხელოვანმა. თუმცა მეურვეთა ოჯახშიც ყმაწვილი ღარიბულად იზრდებოდა, რის გამო მას ადრიდანვე მოუწია ზრუნვა საკუთარი ლუკმა-პურის მოსაპოვებლად.

მალე ახალგაზრდა დრაიერი წარმატებული ჟურნალისტი ხდება და თავის სტატიებს პრესტიჟულ გამოცემებში აქვეყნებს.

მალე იგი ძლიერ გატაცებას იგრძნობს – კინოს სამყაროთი და ფილმის სცენარისტობას შეუდგება, ხოლო 1919 წელს თავის პირველ მხატვრულ ფილმს – "პრეზიდენტს" – გადაიღებს. იმავე წელს გამოდის რეჟისორის შემდგომი ფილმი – "ფურცლები სატანის წიგნიდან", რომელშიც – ოთხ ეპიზოდად გაერთიანებულ ნაწარმოებში – ადამიანთა მოდგმის საუკუნო მტერი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახეს იღებს, რათა ადამიანებს შორის სისასტიკე, უზნეობა და დაუნდობლობა გააღვივოს.

მაინც კარლ თეოდორ დრაიერის შემოქმედებაში – და მსოფლიო კინოს ისტორიაში – გამორჩეული ადგილი განეკუთვნება ფილმებს: "ჟან დ'არკის ვნებანი", "რისხვის დღე", "სიტყვა". ვისაც

კინო გულწრფელად უყვარს და ეს ფილმები ერთხელ მაინც უნახავს, შეუძლებელია დაავიწყდეს კადრების მკაცრი გრაფიკული სილამაზე და შუქ-ჩრდილების ენით გადმოცემული იდუმალება, პერსონაჟთა შინაგანი მოძრაობის მიმართ კამერის გაფაციცებული ყურადღება და ადამიანის რელიგიურ ძიებათა დაძაბული სიმძაფრე. ალბათ, კინოს ისტორიაში, – ინგმარ ბერგმანსა და ანდრეი ტარკოვსკისთან ერთად, – ცოტა ვისმე თუ უფიქრია და უთქვამს ამდენი ღმრთისა და რწმენის, მარადისობისა და იმედის, სიკვდილზე გამარჯვებისა და ეჭვის დაძლევის შესახებ...

სიცოცხლის მიწურულს რეჟისორი ისევ არ შორდება თავის ხანგრძლივ ჩანაფიქრს: მას გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაეღო ფილმი "იესო". იგი ჩაუღრმავდა ებრაულ ენას, მოგზაურობდა პალესტინაში, წერდა სცენარს, რათა ბოლოს და ბოლოს ხორცი შეესხა თავისი ოცწლიანი ოცნებისათვის. როგორც იქნა, იტალიის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა ფილმის დაფინანსება, მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ 1968 წლის 20 მარტს კარლ თეოდორ დრაიერს გულმა უღალატა და, სამოცდაცხრამეტი წლისა, იგი კოპენჰაგენში გარდაიცვალა.

გადის წლები, მაგრამ ისევ ძნელია დაეთანხმო კინორეჟისორის შემოქმედების მკვლევარს, აილინ ბაუსერს, რომელიც ასე აღწერდა დანიელი ხელოვანის სულიერ ძიებებს: "მისი მარტვილები, ვამპირები, ჯადოქრები თუ წმიდა შეშლილები ერთი და იმავე თემის განსხვავებული მხარეებია: ესაა ბოროტების ღონე, უდანაშაულოთა ტანჯვა, რწმენის დაუდასტურებლობა და სიკვდილის უეჭველობა".

მართალია, პროტესტანტი დრაიერი სამყაროს აღიქვამდა როგორ შეურიგებელ დაპირისპირებას, "ან – ან", სადაც შეუთავსებელთა შეერთება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, თუმცა მან ისიც იგრძნო, განიცადა, რომ, – უეჭველიც რომ იყოს სიკვდილი, – არსებობს სარწმუნოების, ღმრთის რწმენის სიმტკიცე, რომელიც სიკვდილსაც გადალახავს და მკვდარსაც კი აღადგენს, თუკი ძლიერია, გაუტეხელია რწმენა და იმედი, – როგორც "რისხვის დღის" ბოლო კადრებში ხედავს და ცხადად ხვდება მაყურებელი.

მარტი, 1998

35

გიორგი ჭალადიდელი: პოეტი და პოლკოვნიკი განცხრომიდან სევდამდე

როცა 1898 წლის 26 მაისს სოფელ ჭალადიდში რუსეთის იმპერიის სამხედრო პირი, პოლკოვნიკი გიორგი ქოჩაქიძე დაკრძალეს, ახლომახლო მას თითქმის არავინ იცნობდა, თუმცა ყველა იმდროინდელმა ქართველმა მოწაფემ კარგად იცოდა ქართველი პოეტის, გიორგი ჭალადიდელის, სახელი.

გიორგი ქოჩაქიძე 1847 წლის 15 ივნისს დაიბადა ფერსათში, იმერულ სოფელში, დედულეთში, – ჭალადიდის მებატონის, თავად მაქსიმე ქოჩაქიძისა და მართა მოსიძის ოჯახში.

მანამდე, ახალშეღერებული მაქსიმე საფრანგეთის კონსულს, ჟაკ ფრანსუა გამბას, ჰხლებია კავკასიაში მგზავრობისას, რომლის შედეგად სამშობლოში დაბრუნებულმა კონსულმა აღწერილობათა ღირსშესანიშნავი წიგნი გამოსცა: “მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში”, მონდომებულმა თავადიშვილმა კი, ამ თანამგზავრობის წყალობით, ფრანგული ენის ცოდნა მოიპოვა. საგულისხმოა, რომ რუსული ენის შესწავლით რუსეთის იმპერიის მომავალ ქვეშევრდომს თავი არასოდეს აუტკივებია და რუს მოხელეებთან, – მაგალითად, ვაჟის გიმნაზიის დირექტორთან, – მიმოწერას, როცა საქმე მოითხოვდა, ფრანგულად წარმართავდა. სხვათა შორის, გამბას მეუღლეს იმდენად მოსწონებია სხარტი, მოხერხებული ჭაბუკი, რომ მისი შვილად აყვანა გადაუწყვეტია, მაგრამ ბიზანტიურ-აღმოსავლურქრისტიანულ ადათებზე აღზრდილ ახალგაზრდას კათოლიკური სარწმუნოების მიღებაზე მტკიცე უარი განუცხადებია და შვილობის ჩანაფიქრიც ჩაშლილა.

როცა მაქსიმეს ვაჟი, მომავალი პოეტი და პოლკოვნიკი გიორგი ქოჩაქიძე, დაიბადა, სამეგრელოს სამთავრო ფორმალურად ჯერ კიდევ რუსეთისაგან დამოუკიდებელ სამფ-

ლობელოდ იყო მიჩნეული, ხოლო მაქსიმე ქოჩაქიძე ქვეყნის გამგებლის, დავით დადიანის, მიერ ამ სანახევროდ დამოუკიდებელი სამთავროს წარმომადგენლად იყო გაგზავნილი ტფილისში, რუსეთის მეფისნაცვლის კარზე. მალე დადიანმა იგი მარტვილის მაზრის მდივანბეგად დანიშნა, ხოლო შემდგომ, როცა სამეგრელოში რუსეთის მმართველობა დამკვიდრდა, – სამთავროს გაუქმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ამბოხების ტრადიციული რუსული მეთოდებით სასტიკი ჩახშობის შემდეგ, – რუსულმა ხელისუფლებამ სახელგანთქმულ და გავლენიან ქოჩაქიძეს სენაკის კომისრობა, ანუ პოლიციის უფროსობა დააკისრა, მაგრამ უკვე ხანდაზმულმა თავადმა რუსულ სამოხელეო სტილთან შეგუება ვერ მოახერხა და მალევე ჩრდილში გადგა – შინაურობას მიუბრუნდა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე საკუთარი შვილების აღზრდას მოახმარა.

რაკიღა მეზობლად მყოფი მარტვილის სასწავლებელი დიდად სანაქებო სახელით ვერ გამოირჩეოდა, ხოლო მისი მოწაფეები უნაგირსა და მიმინოს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე სწავლა-განათლებას, მაქსიმე ქოჩაქიძემ გადაწყვიტა, ვაჟიშვილი ცოტა მოშორებით – ტფილისის გიმნაზიაში გაეწესებინა. მაგრამ იმის გამო, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობის შვილებისათვის, მეფისნაცვლის განკარგულებით, ხუთი ვაკანსია მხოლოდ ქუთაისის გიმნაზიაში იყო გამოყოფილი, თორმეტი წლის გიორგი სწორედ იქ მიიღეს მოსამზადებელ კლასში. შემდგომი ოთხი კლასი ყმაწვილმა მეტნაკლები წარმატებით ჩაამთავრა, მაგრამ მეხუთე და მეექვსე კლასში მას ორ-ორი წელი მოუხდა სწავლა; დამამთავრებელი მეშვიდე კლასი თითქოსდა მშვიდობიანად ჩაილია, მაგრამ, რაკიღა ოცდაორი წლის გიმნაზიელს მაღალი ნიშნები მხოლოდ ქართულ ენასა და გეომეტრიაში ეწერა, სიმწიფის ატესტატი ახალგაზრდა თავად ქოჩაქიძისათვის მიუღწეველი აღმოჩნდა.

სიმართლე რომ ითქვას, ქეიფზე, ბურთაობასა და ჭიდაობაზე გადაგებულ გიორგის სწავლისათვის დრო დიდად აღარც რჩებოდა. ჯირითსა და სირბილში მას ძნელად თუ ვინმე დასძლევდა, სიმღერაში კი იგი რამდენიმე თავით

სჯობნიდა თანატოლებს. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ როცა ახალგაზრდა თავად ქოჩაქიძესა და მის მეგობრებს თრობა შეეპარებოდათ, ეტლს დაიქირავებდნენ და იმ აივნის ქვეშ ჩააგვირისტებდნენ გულისწამღებ სერენადებს, სადაც მომხიბლავი ქალიშვილები ეგულებოდათ. მორცხვ ასულთათვის, შესაძლოა, არცთუ ურიგო სიამოვნება იყო ეშხმორეული ჭაბუკების გრძნობისაღმძვრელი სიმღერის სმენა, მაგრამ მათ არც ის უნდა დაეივიწყებინათ, რომ ისინი წესიერი ოჯახისშვილები იყვნენ, რაც მათგან უპირობო და შეულახავ თავშეკავებას მოითხოვდა. თუმცა არც ის უნდა დარჩეს უთქმელი, რომ მათი კარგი აღზრდა ხუმრობის საკმარის ულუფასაც გულისხმობდა, რის გამოც, როგორც თანამედროვენი იგონებენ, ღვინით გახურებულ, ქუჩაში ამღერებულ ჭაბუკ ქოჩაქიძეს არაერთხელ მოსწევია მღელვარე ვნებების გაგრილება აივნიდან თუნგით თავზე გადმოსხმული წყლით.

1870 წლის 14 აგვისტოს, ოცდასამი წლის თავადი გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაქიძე რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა. სამი წლის შემდეგ, სანკტპეტერბურგის სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მან ოფიცრობა მიიღო და კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში ჩაირიცხა. მალე ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი რუსეთ-ოსმალეთის ომში იღებს მონაწილეობას, რაც კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა მისთვის. პოლკოვნიკ გიორგი ქოჩაქიძის სამხედრო დამსახურებები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ომიანობისას საგანგებო ხიდის ასაგები კონსტრუქციის გამოგონება, უხვად დააჯილდოვა ხელისუფლებამ: მას მინიჭებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის არაერთი სამხედრო ორდენი.

როგორც ამბობდნენ, მის სიბეჯითესა და მონდომებას დიდად აფასებდა კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, დიდი მთავარი მიხაილ ნიკოლაევიჩი, რომელიც თურმე, როგორც კი თვალს მოჰკრავდა ქართველ პოლკოვნიკს, უმალ შესძახებდა: “კამარჟობა!”. მთავარსარდალს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ მის წინ ქართველი პოეტი იდგა, რომლის ლექსს “მახსოვს პირველად სასწავლებელში” ყველა ქართველი ბავშვი სწავლობდა, ხოლო მის სიმღერას “მიყვარს ფაცხა მე მეგრული” კარგა ხნის გან-

მავლობაში ყველა ქართულ ოჯახში მღეროდნენ. მაგრამ პოეტობიდან თავად პოლკოვნიკიც განმდგარიყო, – მას შემდეგ, რაც მან ოცდათხუთმეტ წელს გადააბიჯა, ერთი სტრიქონიც აღარ დაუბეჭდავს ქართულად, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ პოლემიკურ ლექსს და ერთადერთ სტატიას, რომელიც თხუთმეტწლიანი დუმილის შემდეგ, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ჟურნალ "მოამბეში" გამოქვეყნდა, თუმცა სტატიას საერთო არაფერი ჰქონდა პოეზიასთან და ის მხოლოდ სამხედრო საკითხებს ეხებოდა.

გოგებაშვილისეულ "დედაენაში" კი ყოველწლიურად იბეჭდებოდა გიორგი ჭალადიდელის "მთის წყარო", ხოლო "ბუნების კარის" პირველივე გვერდებზე მოთავსებული იყო მისი "მოგონება", რომელიც გამოქვეყნების უმალ ფართოდ გავრცელებულ სიმღერად იქცა, – ქართული კლასიკური რეპერტუარის აუცილებელ ნაწილად.

თვალშისაცემია, რომ, რაკი იაკობ გოგებაშვილი მაინც სკოლის პედაგოგი იყო, მან მეტისმეტად შეამოკლა და მნიშვნელოვნად შეცვალა "მოგონების" პოეტისეული ტექსტი, რომელსაც სახელმძღვანელოში "დედის დარიგება" უწოდა. თუ ჭალადიდელი, საკუთარი მტკივნეული გამოცდილებისა და მწარე მოგონებების გათვალისწინებით, სწავლას აღწერდა როგორც წვალებას, ტანჯვას და, სამწუხაროდ, აუცილებლად მოსაშორებელ ჭირს, რომლის შედეგიანობა სრულიად გაურკვეველი და საეჭვოებით ბუნდოვანი იყო, სასკოლო სახელმძღვანელოს შემდგენელმა ლექსიდან მხოლოდ დედისეული გამომშვიდობება და მშობლიური ენის სიყვარულის მოწოდება დატოვა.

საბოლოოდ, პოეტი და მეომარი, პირველ ყოვლისა, პირადმა სატკივარმა, აუწყობელმა და მოუგვარებელმა საოჯახო ცხოვრებამ გატეხა. გიმნაზიაში სწავლისას ჭაბუკს თავდავიწყებით შეჰყვარებია შეძლებული ვაჭრის, იაკობ ნიკოლაძის, ქალი, – ანასტასია. ქალიც თითქოს საპასუხო გრძნობით გამსჭვალულა მოხდენილი, მარჯვე თავადიშვილის მიმართ, მაგრამ როცა თავადიშვილს ქალისათვის ხელი უთხოვია, სანკტპეტერბურგელი სტუდენტის, ნიკო ნიკოლაძის, მომხიბლავ დას საატრფოსათვის პირობად დაუთქვამს უმაღლესი განათლების მიღება, რისი შესრულება ქო-

ჩაკიძეს არც კი ან ვერც კი უცდია. ახალგაზრდათა სევდიანი განშორების შემდეგ სიყვარული აღარ განახლებულა და სატრფოს სახელი პოეტის ლექსებშიღა ჩარჩენილა, მათს მიმოწერას კი მუზეუმის თაროზე მიეჩინა ადგილი.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთში დამკვიდრებისას, გიორგი ქოჩაქიძე იქაურ შეძლებულ წრეებს სასურველ სიძედ მოჰვლენია. მუდამ ხალისიანი ახალგაზრდა ოფიცერი, წმიდა გიორგის ჯვრის კავალერი, ჩინებული მომღერალი, მოცეკვავე და ტანმოვარჯიშე სწრაფადვე დაქორწინდა იმპერიის დედაქალაქში მცხოვრებ ვექილ სტეპან ეზერსკის ასულზე, – ანაზე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, თანამედროვეთა გადმოცემით, ერთმანეთი ნამდვილად უყვარდათ და მათ სულ მალე შესძენიათ ვაჟი ბორისი, – გიორგი ჭალადიდელის ერთადერთი შვილი. მაგრამ საოჯახო ვითარებას ართულებდა, რომ ბოლო არ უჩანდა დაძაბულ უთანხმოებას სიძესა და სიმამრს შორის. როცა ქართველმა პოლკოვნიკმა საბოლოოდ უარი თქვა სიმამრის სახლში ფეხის შედგმაზე, მამის მორჩილმა ასულმა ქმარი მიატოვა და მშობლების სანკტპეტერბურგულ სამკვიდრებელს დაუბრუნდა. მარტოდ დარჩენილი და ცოლისაგან შერცხვენილ-შეურაცხყოფილი ქოჩაქიძე ოთხი წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა განქორწინებას, მაგრამ ვერაფერს გახდა და, საბოლოოდ, იძულებული გახდა, დაეთმო.

მტკივნეული გაშორების შემდეგ პოლკოვნიკი მთლიანად მოეშვა, მოიღვენთა, დადნა; ათი წლის განმავლობაში იგი ერთხელაც აღარ ჩასულა მამისეულ სახლში, ჭალადიდში. ბოლოს, როცა ასთმამ მეტისმეტად შეუტია, მან ისევ სამშობლოს მოაშურა, მაგრამ ვერც წარმტაცმა ბუნებამ და ვერც ცხოველმყოფელმა ჰაერმა მას ვეღარაფერი უშველა.

1898 წლის 1 აპრილს ორმოცდაათი წლის გიორგი ქოჩაქიძე მინსკში გარდაიცვალა. თითქმის ორი თვე დასჭირდა მისი ცხედრის გადმოსვენებას მამულში დასაკრძალავად.

ქართულ ოჯახებში კი კიდევ დიდხანს ისმოდა გიორგი ჭალადიდელის ლექსებზე დაწერილი სიმღერები.

აპრილი, 1998

36

პრაჰელი სტუდენტები შუა საუკუნეებში

როცა ჩეხეთში და, საერთოდ, ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში საზეიმოდ აღინიშნება პრაჰის კარლოსის უნივერსიტეტის დაარსების 650 წლისთავი, რომელიც 1448 წლის 7 აპრილს სწორედ მეფე კარლოს მეოთხის, – გერმანიისა და ჩეხეთის მეფის, რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორის, – საგანგებო დადგენილებით დაარსდა, საყურადღებოდ უნდა ჩანდეს თუნდაც თვალის გადავლება, როგორ გამოიყურებოდა შუასაუკუნეობრივი პრაჰელი სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრება.

პრაჰელი სწავლულები, ისევე როგორც მათი კოლეგები სხვა ევროპულ უნივერსიტეტებში, შუა საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის სხვა ჯგუფებისაგან გამიჯნულ, ჩაკეტილ, პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდნენ. პირველი და უმთავრესი, რაც აგრერიგად გამოარჩევდა უნივერსიტეტელ პროფესორებსა და სტუდენტებს გარემოსაგან, უწინარესად იყო მათი განათლება ან, უფრო ზუსტად, მათი განათლებულობა. საზოგადოდ, წიგნიერება ახალი დროის ჩამოდგომამდე ევროპაში მხოლოდ საეკლესიო წრეების უპირატესობა იყო და უნივერსიტეტებიც სწორედ ამ საეკლესიო გარემოს ეკუთვნოდა. გამორჩეულობის უპირველესი ნიშანს წარმოადგენდა ლათინურის, – შუა საუკუნეების ევროპის ინტელექტუალური ელიტის ენის, – ცოდნა. ლათინური კი არა მარტო სამეცნიერო ნაშრომებისა და სასწავლო ენა იყო, არამედ ყოველდღიურ საურთიერთო საშუალებადაც გამოიყენებოდა მოძღვართა და მოწაფეთა, ან თავად სტუდენტთა შორისაც, რადგან, მის გარეშე, სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ახალგაზრდა ჭაბუკები ერთმანეთს ვერაფერს გააგებინებდნენ.

უნივერსიტეტელები თავიანთი ჩაცმულობითაც მკვეთრად განსხვავდებოდნენ ქალაქელთაგან, – ისინი საგანგებო აკა-

დემიურ ტანსაცმელში გამოწყობილები დადიოდნენ, ხოლო მათი სამოსისაგან ყველაზე გამორჩეული და თვალშისაცემი იყო შავი ან ლურჯი მოსასხამი. უნივერსიტეტის პროფესორს კი სტუდენტისაგან განარჩევდა ის ქუდი, რომელსაც დღემდე აკადემიურ ბერეტს უწოდებენ და ბეჭედი, რომელიც ხარისხის მიღების შემდეგ გადაეცემოდა მასწავლებელს, – როგორც მისი თანამდებობისა და მდგომარეობის სიმბოლო. სტუდენტთა და პროფესორთაგან გამოიყოფოდა უნივერსიტეტის რექტორი, როგორც მთელი საუნივერსიტეტო კორპორაციის, ანუ საძმოს წარმომადგენელი, რომელიც, ფაკულტეტების დეკანების მსგავსად, მეწამულ მოსასხამს ატარებდა, ოღონდ, მათგან განსხვავებით, ამასთანავე, ტყავის საყელოსაც.

ამ გამორჩეულობის – ტანსაცმლით გამორჩეულობის – ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საუნივერსიტეტო მოსასხამი იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც მის პატრონს იცავდა როგორც ქალაქის მებაჟეთაგან, ასევე, შარაგზებზე მოხეტიალე ყაჩაღთა რაზმებისაგან, ანდა ნებისმიერი სასამართლოსაგან, – თუ არ ჩავთვლით რექტორის სასამართლოს. მაინც, როგორც ჩანს, ქალაქისა და უნივერსიტეტის, სტუდენტებისა და ქალაქელების იდილიური თანაცხოვრება არცერთ საუნივერსიტეტო ქალაქში არ ხერხდებოდა. პრაჰაშიც, უნივერსიტეტის დაარსებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1374 წელს, დაიდო ხელშეკრულება ქალაქსა და უნივერსიტეტს შორის. ამ შეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტი საკუთრივ იკისრებდა პასუხისმგებლობას, რომ თავად გადაწყვეტდა ოფიციალურად მიღებული, საბუთობრივ დადასტურებული სტუდენტების ბედს, ხოლო ქალაქი, თავის მხრივ, საჯარო პირობას იძლეოდა, რომ სტუდენტი, რომელსაც თუნდაც დანაშაულის ჩადენის ადგილას წაუსწრებდნენ, რექტორის სასამართლოს გადაეცემოდა.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამგვარი შეთანხმებებიდან იღებს დასაბამს ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი "აკადემიური ნიადაგის" ხელშეუხებლობის შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც კი საგანგებო საუნივერსიტეტო სასამართლო გაუქმდა, ამ ხელშეუხებლობას უკვე აღარავი-

თარი სამართლებრივი ძალა აღარ ჰქონდა. მანამ კი უნივერსიტეტს თავად შეეძლო სტუდენტის დასჯა: ჩაესვა იგი საგანგებო კარცერში, გაეწესებინა იძულებით სამუშაოებზე ან, განსაკუთრებით საშიში დანაშაულისას, ბრალდებული საქალაქო სასამართლოსათვის გადაეცა.

გარეთ მყოფთათვის უნივერსიტეტი ერთ მთლიანობად აღიქმებოდა, თუმცა შინაგანად ის საკმაოდ არაერთგვაროვან ორგანიზმს წარმოადგენდა, – თავისი საკუთარი იერარქიის ჩათვლით. ამ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ, ერთი მხრივ, სტუდენტები და, მეორე მხრივ, ის მასწავლებლები, რომლებიც არტისტულ, ანუ ხელოვნების (დღევანდელი ტერმინოლოგიით – ფილოსოფიის) ფაკულტეტს ეკუთვნოდნენ; მათზე მაღალ საფეხურს წარმოადგენდნენ მედიკოსები და სამართალმცოდნეები; უმაღლესი მდგომარეობა ეკავათ თეოლოგებს, რომლებიც რაოდენობით ყველაზე მცირერიცხოვანი იყვნენ, მაგრამ გადამწყვეტი გარემოება იყო, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურაში ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნეოდა თეოლოგიის ფაკულტეტი.

უნივერსიტეტში სწავლის უფლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვაჟებისთვის იყო ნებადართული. საკმაოდ ხშირად, საეკლესიო ან საქალაქო-სათემო სკოლების დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში სასწავლოდ თოთხმეტ-თექვსმეტი წლის ჭაბუკები მოდიოდნენ. მათი ცოდნის მარაგი ხშირად ამოიწურებოდა დამარცვლით კითხვის უნარით, ზოგიერთმა კი წერა, ანგარიში და გალობაც იცოდა. ბუნებრივია, მათი კოლეგები სამკურნალო, სამართლისა და თეოლოგიის ფაკულტეტებიდან ახალმოსულებს ზემოდან, დამცინავად უყურებდნენ, რადგან ისინი მათგან ასაკითაც განსხვავდებოდნენ, ცოდნითაც და ქონებრივი მდგომარეობითაც.

საუნივერსიტეტო ქალაქში ჩამოსვლისთანავე სტუდენტის უმთავრესი საზრუნავი ხდებოდა საუნივერსიტეტო წიგნში, ანუ მატრიკულში ჩაწერა, რადგან სწორედ იმატრიკულაცია აძლევდა სტუდენტს საშუალებას, ყველა ის პრივილეგია მოეპოვებინა, რითაც უნივერსიტეტელები სარგებლობდნენ, – მაგალითად, ადგილობრივი სასამართლოსა თუ ფულადი მოვალეობისაგან გათავისუფლება, მონარქისეული

მფარველობა შარაგზებზე და საუნივერსიტეტო ქალაქში ყოფნისას. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სტუდენტს უნდა შეეტანა გადასახადი, რის შემდეგაც იგი აკადემიური გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. გადასახადისაგან მხოლოდ ისინი თავისუფლდებოდნენ, ვისაც არავითარი ნივთიერი საშუალება არ ჰქონდა, – უფრო ზუსტად ის, ვინც ფიცით აღიარებდა, რომ უპოვარია, ან ვინც პირობას დადებდა, რომ გადასახადს მაშინვე გაისტუმრებდა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

მაგრამ ყველაზე უარესი უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს ამის შემდეგ ელოდა. სტუდენტად კურთხევა საგანგებო რიტუალს მოითხოვდა, რომელსაც "ბეანიას" უწოდებდნენ. თავად სიტყვის წარმოშობა არავინ იცის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ის უნდა გამოხატავდეს ცხვრის ბღავილს, რაც სიმბოლურად ახალბედას უვიცობას გამოხატავდა. "ბეანია" ყოველთვის ზამთრის სემესტრის დაწყებამდე ტარდებოდა ხოლმე, – ან სტუდენტთა საცხოვრებლის ეზოში, ან რომელიმე აუდიტორიაში. თავდაპირველად ახალჩარიცხულს ლანძღვა-გინებას დაუწყებდნენ, რადგან მას სუნი ასდიოდა, რადგან იგი უვიცი იყო, რადგან იგი სიბრიყვისაგან ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულიყო, თანაც, მას გაროზგვით ემუქრებოდნენ. შემდგომ მას თავზე ჩამოაცვამდნენ ყურიან ქუდს, რომელსაც მაშინვე ყურებს მოაჭრიდნენ იმის ნიშნად, რომ ახალგამოჩეკილი სტუდენტი სახედრობას თავს ანებებდა. მომდევნოდ, უფროსი კოლეგებისაგან მას საკმარისი ცემა-ტყეპა, ალიყური, აბუჩად აგდება და სიტყვითა თუ საქმით დამცირების რიგიანი ულუფა ელოდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა იგი უნივერსიტეტის სრულუფლებიანი წევრი, ანუ ეგრეთ წოდებული "აკადემიური მოქალაქე".

სტუდენტის ყოველდღიური ცხოვრება სტუდენტურ საცხოვრებელში მიედინებოდა, სადაც მას უზრუნველყოფილი ჰქონდა საწოლი, საკვები და სამეცადინო ადგილი. ამ საცხოვრებლის ხელმძღვანელობა ეკისრებოდა ბაკალავრს ან მაგისტრს, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა, რათა იქაური წესები არავის დაერღვია. სავალდებულოდ იყო მიჩნეული ერთობლივი ლოცვა, ერთობლივი მეცადინეობა და

ერთობლივი ჭამა. თუმცა სტუდენტთა საკმაოდ მოზრდილი ნაწილი უშუალოდ მასწავლებელთა ბინებში ცხოვრობდა, ზოგიერთი კი, – მიუხედავად უნივერსიტეტის საბჭოს დაჟინებული წინააღმდეგობისა, – უშუალოდ ქალაქელთა სახლებში ბინადრობდა.

თუ უჭოჭმანოდ დავუჯერებთ შუა საუკუნეების მემათხოვრე სტუდენტებს, ვაგანტებს, რომელთა პოეზიის მარადიული თემაა სტუდენტთა შემაჭირვებელი სიღატაკე, დუქნებში თავაშვებული ქეიფი და უსასრულო სატრფიალო თავგადასავლები, სტუდენტური ცხოვრება მეტისმეტად დატვირთული არ ყოფილა. მათი სიმღერებიდან იმგვარი შთაბეჭდილებაც შეიძლება დარჩეს დღევანდელ მკითხველს, რომ სტუდენტის ნახვა დუქანში, – არცთუ დიდად რჩეულ გარემოში, – უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე მათი მოხელეთება უნივერსიტეტის აუდიტორებში. ამგვარ დუქნებში კი უკანასკნელი გროშის წაგება ჩვეული ხილი იყო. ამიტომაც არ წყდებოდა თხოვნა მშობლების ან მდიდარი მფარველების მიმართ, რათა თუნდაც სულ მცირედი დახმარება მიეწვდინათ ვალებში ჩავარდნილი, ჯიბეგაფხეკილი სტუდენტისათვის.

მაგრამ იმ სტუდენტურ სიმღერებში, ამასთანავე, მჟღავნდება ხოლმე ერთი მნიშვნელოვანი თემა: შუა საუკუნეების ინტელექტუალთა მიერ საკუთარი გამორჩეულობის სრული შეგნება, – გაცნობიერება იმისა, რომ იგი განსხვავდება გარემომცველ უწიგნურ ბრიყვთაგან, სიამაყე სწავლულისა, რომელმაც შეძენილი ცოდნით და თავისი ერთადერთი იარაღით – სიტყვით – ამქვეყნად ყველაფერს შეუძლია მიაღწიოს.

აპრილი, 1998

37

გაეტანო დონიცეტის დიდება და უძლურება

როცა მსმენელი გაეტანო დონიცეტის მუსიკალურ ნაწარმოებთა პირისპირ აღმოჩნდება, მისი ოპერების თუ ოპერათა ცალკეული მონაკვეთების მოსმენისას, – შესაძლოა, ეს იყოს სექსტეტი "ლუჩია დი ლამერმურიდან" ან ნემორინოს არია "სიყვარულის ნექტარიდან", – მის წინაშე ძნელად საპასუხო კითხვა წამოიჭრება: ამგვარი უხინჯო, შეურევნელი, სუფთა სილამაზე, რომელსაც ადამიანი ამდენად უეჭველად და დაჯერებულად აღიქვამს, სამყაროში მარადიულად არსებული სილამაზის უშუალო გაცხადება და გამოძახილია, შემთხვევით ან მიზანსწრაფულად მოხელთებული მოწადინე კომპოზიტორის მიერ თუ კომპოზიტორმა თავად, საკუთარი ხელით შექმნა იმგვარი სილამაზე, რომელიც სამყაროს გარდაუვალად ცვლის, რაკი მას ისეთ განუმეორებელ სილამაზეს სჩუქნის, უძღვნის, ანიჭებს, რომლის მსგავსი მანამდე მიწიერ სამყაროში არასოდეს ყოფილა.

გაეტანო დონიცეტი 1797 წლის 29 ნოემბერს ბერგამოში, ქალაქის გალავანს მიღმა დაიბადა, – მეტისმეტად ღარიბ ოჯახში (მამამისი დარაჯი იყო, დედამისი კი – მკერავი), რომელსაც მუსიკასთან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მომავალი კომპოზიტორის დედამამა იტალიელები იყვნენ და კიდევ იმას, რომ მათი სამი ვაჟი მუსიკით ირჩენდა თავს: გაეტანოს გარდა, მისი ერთი უფროსი ძმა, ჯუზეპე, სამხედრო ორკესტრებს ხელმძღვანელობდა (მათ შორის კონსტანტინოპოლშიც, ოსმალურ ჯარშიც), ხოლო მეორე უფროსი ძმა, ფრანჩესკო, ბერგამოს ორკესტრში დოლზე უკრავდა.

ყმაწვილი გაეტანოს პიროვნულ და მუსიკალურ ჩამოყალიბებაზე უმთავრესი გავლენა მოახდინა მღვდელმა და

მუსიკოსმა იოჰანეს სიმონ მაირმა, რომელიც ბერგამოს სანტა მარია მაჯორეს ეკლესიაში მსახურობდა. მოძღვარს იქვე ჩამოეყალიბებინა გუნდის მომღერალი ბიჭების საგანგებო სკოლა, სადაც ცხრა წლის დონიცეტი ერთ-ერთ პირველ მოწაფეთა შორის აღმოჩნდა. ჩვიდმეტი წლისამ კი მან ბოლონიაში გადაინაცვლა და საკმაოდ სოლიდური სამუსიკო განათლებაც შეიძინა იქაურ ლიცეუმში, რომლის ჭერქვეშ იგი თავისი პირველი საოპერო ნაწარმოებების წერასაც შეუდგა.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ წარმატება ჭაბუკ ხელოვანს არცთუ მალე ეწვია (მის საყოველთაო აღიარებას ხელს უშლიდა როსინისა და ბელინის განუზომელი დიდება!) და მისი პირველი ოპერა – "პიგმალიონი" – პირველად 1960 წელს, დაწერიდან 144 წლის შემდეგ, დაიდგა ბერგამოს Teatro Donizetti-ში, რომელიც ყოველი ახალი სეზონისას კომპოზიტორის ფართოდ უცნობ თითო ოპერას წარმოადგენს ხოლმე, – არჩევანი, თეატრისა და მსმენელის საბედნიეროდ, მცირე არაა, რადგან დონიცეტის თავისი არცთუ ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში სამოცდათხუთმეტი საოპერო ნაწარმოები აქვს შექმნილი.

1817 წლის მიწურულს იგი საცხოვრებლად ბერგამოში ბრუნდება და ხელშეკრულებას დებს ვენეციის თეატრთან ოთხი ოპერის დაწერის პირობით. კომპოზიტორი ვალდებულებას შეასრულებს, მაგრამ არცერთ მის ნაწარმოებს დიდი წარმატება არ ხვდება წილად. დონიცეტი მაინც სულმოუთქმელად წერს ოპერებს, საერო თუ საეკლესიო-ლიტურგიული შინაარსის საორკესტრო და ინსტრუმენტულ მუსიკას, სიმღერებს, კანტატებს, საგალობლებს. როგორც თანამედროვენი იხსენებენ, იყო შემთხვევები, როცა იგი დღეში თითო ნაწარმოებს ქმნიდა, ხოლო ერთი დაჯდომისას ოპერის დიდი მონაკვეთი, ერთი მოქმედებაც კი უკვე მზად ჰქონდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში, უფრო ზუსტად მანამ, სანამ კომპოზიტორს უკურნებელი სენით გამოწვეული უძლურება დაამარცხებდა.

გაეტანო დონიცეტის ნამდვილი მუსიკალური წარმატება რომში ელოდა. 1822 წელს Teatro Argentina-ში წარმოდგენილი "გრანატელი ზორაიდას" პრემიერის შემდეგ კომპოზი-

ტორს შესთავაზეს, ნეაპოლის Teatro Nuova-სთან ეთანამშრომლა. ამ დროს ეს სცენა, – თავისი უმთავრესი სამუშაო ასპარეზი, – დატოვა როსინიმ; ამ დროს ბელინი ჯერ ისევ კონსერვატორიის მოწაფეა; ამ დროს მეტად ნაყოფიერი დონიცეტის შემოქმედებითი მომავალი უეჭველად საიმედოდ ჩანს.

ნეაპოლში შესრულებულ პირველსავე ოპერას შესამჩნევი გამოხმაურება მოჰყვა, – იგი ორმოცდარვაჯერ წარმოადგინეს. იქ მუშაობისას, ოცდაორი წლის განმავლობაში, კომპოზიტორი ყოველწლიურად ორ, სამ, ოთხ ან ხუთ ოპერას ქმნიდა. აღსანიშნავია, რომ იგი ხშირად მონაწილეობდა საკუთარი ნაწარმოებების ლიბრეტოების ლიტერატურულ ჩამოყალიბებაშიც.

სულ მალე მას იწვევენ მილანში, რომში, პალერმოში, გენუაში. რვა წლის განმავლობაში დონიცეტი წერს ოცდასამ ოპერას, რეგულარულად ამზადებს და დირიჟორობს სხვა კომპოზიტორთა ქმნილებებს.

1828 წელს ოცდაათი წლის წარმატებული კომპოზიტორი და დირიჟორი გაეტანო დონიცეტი ქორწინდება ათი წლით უმცროს ვირჯინია ვასელიზე, რომაელი მოსამართლის ქალიშვილზე. მაგრამ მათი ცოლქმრობა, სხვა მხრივ ერთგულებითა და სიყვარულით აღსავსე, დაიჩრდილება მათი სამივე შვილის ადრეული სიკვდილით. თავად ვირჯინია კი ქოლერის მძვინვარე ეპიდემიამ შეიწირა, რაც კომპოზიტორს მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მოუშუშებელ ტკივილად და გაუნელებელ სევდად დარჩა.

ოცდაცამეტი წლის კომპოზიტორი 1830 წლის მიწურულს მილანელ მსმენელებს შესთავაზებს "ანა ბოლეენას". ამ დროიდან იწყება მისი ტრიუმფული გზა დიდებისაკენ, მაგრამ, ამავე დროს, გზა კატასტროფისაკენ, – ავადმყოფობისაკენ, რომელმაც წერტილი დაუსვა მის დაუცხრომელ მუსიკალურ საქმიანობას.

სხვადასხვა ქალაქის სცენებზე იდგმება "სიყვარულის ნექტარი", "ტორკვატო ტასო", "ლუკრეცია ბორჯა", "ლუჩია დი ლამერმური", – მსოფლიო საოპერო ხელოვნების სანიმუშო და უჭკნობი ქმნილებები.

1837 წელს კომპოზიტორი გადაწყვეტს, სათავეში ჩაუდგეს ნეაპოლის კონსერვატორიას, სადაც იგი წლების განმავლობაში კომპოზიციას ასწავლიდა, მაგრამ ქალაქის გავლენიანი წრეები ვინმე ადგილობრივ მუსიკოსს ანიჭებენ უპირატესობას. მალე ცენზურა აკრძალავს დონიცეტის ოპერას "პოლიუტო", რაკიღა წმიდანის მარტვილობის ასახვა სცენაზე მკრეხელობად იქნა მიჩნეული. წარუმატებლობით გულდაწყვეტილი კომპოზიტორი ტოვებს მშობლიურ იტალიას და პარიზს მიაშურებს.

საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც დონიცენტის უფრო მეტი ანაზღაურება და უფრო მეტი აღიარება ელოდება, იგი თავისი ადრინდელი ოპერების ფრანგულ ვერსიებს წარმოადგენს. საგანგებოდ პარიზის ოპერისათვის კომპოზიტორი დაწერს "ფავორიტს", რომელსაც იქაური სამუსიკო საზოგადოება, სხვა მის ნაწარმოებთა მსგავსად, გამორჩეული მგზნებარებით მიიღებს. რაც მთავარია, პარიზში იგი თავს მხნედ გრძნობს, – დარწმუნებულად და შეძლებულად. მას ახარებს, რომ შესაძლებლობა მიეცემა, ხელგაშლილად იცხოვროს.

მალე კომპოზიტორს თავის საიმპერატორო ყურადღებას მიაპყრობს ავსტრიის მონარქი ფერდინანდ პირველი, რომელიც გაეტანო დონიცეტის იმპერატორის ოფიციალური კომპოზიტორის თანამდებობაზე მიიწვევს, რაც მას ყოველწლიურად, ექვსი თვის განმავლობაში ვენაში ყოფნის ვალდებულებას დააკისრებს, მაგრამ დანარჩენ დროს სრული თავისუფლებისა და, ამასთანავე, უზრუნველი ყოფა-ცხოვრების საშუალებას მისცემს.

1843 წელს პარიზში დონიცეტის ორი ბოლო ოპერის პრემიერა ჩატარდება: იანვარში "დონ პასკუალეს" წარმოადგენენ, ნოემბერში კი – "დომ სებასტიენს".

უკანასკნელი ოპერის წერისას დონიცეტის გაუწონასწორებელმა ქცევამ, თვითთფლობის უნარის დაკარგვამ, ხშირმა გონებრივმა გამოთიშვებმა საგონებელში ჩააგდო მისი მეგობრები. მისმა მოულოდნელმა და აუხსნელმა გამგზავრებამ პარიზში ახლობლებსა და გულშემატკივრებს გადააწყვეტინა, მიემართათ იმუამად კონსტანტინოპოლში მყოფი

მისი ძმისათვის, ჯუზეპე დონიცეტისათვის, რომელმაც თავის ვაჟს, ანდრეას, მიანდო ბიძამისის მიხედვა. როცა ჭაბუკი პარიზს ჩავიდა, მას დონიცეტი ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში დახვდა, ვიდრე იგი ამას წარმოიდგენდა, რის გამოც მან უმალვე ექიმებს მიმართა დასახმარებლად. სამი დღის შემდეგ, ნეიროსიფილისის შედეგად მძიმედ დაავადებული კომპოზიტორი მოათავსეს საგანგებო სანატორიუმში, პარიზის მახლობლად, სადაც მან ჩვიდმეტი თვე გაატარა.

შემდგომ უმწეო, დამბლადაცემული, დამუნჯებული ბიძა, რომელიც მხოლოდ ცალკეული მარცვლების წარმოთქმას ახერხებდა, ძმისწულმა იტალიაში გადაიყვანა. ნახევარი წლის შემდეგ, 1848 წლის 8 აპრილს, ორმოცდაათი წლის გაეტანო დონიცეტი ბერგამოში, გონებრივად დასნეულებულთა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დონიცეტის შემოქმედების შესახებ მისი სახელგანთქმული ოპერები მეტყველებს: “სიყვარულის ნექტარი”, “ლუჩია დი ლამერმური”, “დონ პასკუალე”, ხოლო კომპოზიტორის პიროვნების წარმოსადგენად ყველაზე უკეთესი წყარო მისი პირადი წერილებია, – სევდითა და მელანქოლიით, ტკივილითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე ის ათასზე მეტი წერილი, რომელთაც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად უგზავნიდა თავის ახლობლებს, მეგობრებსა თუ ნაცნობებს.

აპრილი, 1998

38

დეივიდ ლივინგსტონი – მოგზაური და მისიონერი

როცა დეივიდ ლივინგსტონის, სახელგანთქმული ბრიტანელი მოგზაურისა და მისიონერის, შავკანიანმა მსახურებმა შენიშნეს, რომ მათი მძიმედ ავადმყოფი ბატონი კარგა ხანი აღარსად ჩანდა, მისი ასავალ-დასავალი მოიკითხეს. მაგრამ იგი სულ მალე იქვე, ბანაკში, იპოვეს, – ლივინგსტონი თავის საწოლის შუაგულში მუხლებით ისე დამხობილიყო, თითქოს სალოცავად იყო გამზადებული, ოღონდ სამოცი წლის მამაკაცს სული აღარ ედგა.

იმისათვის, რათა მისი სხეული ბალზამით შეემურათ, მსახურებმა მიცვალებულს გული და შიგნეულობა ამოართვეს და, აფრიკული ადათის მიხედვით, შესაბამისი რიტუალის შესრულების შემდეგ, იქვე დამარხეს. შემდგომ, უკვე გამხმარი ცხედარი, მრავალი დაბრკოლებების დაძლევის შედეგად, ცხრა თვის განმავლობაში გზა-გზა ატარეს, ოკეანის ნაპირას მიიტანეს და ინგლისისაკენ გაისტუმრეს.

სამშობლოში ლივინგსტონს დიდებული დაკრძალვა ელოდა, – ვიქტორიული ეპოქის მთელი ბრწყინვალებისა და სიდიადის გათვალისწინებით. გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, მისი ნეშტი სახელგანთქმულ ბრიტანელთა გვერდით, უესტმინსტერის საბატოში დაკრძალეს.

მალევე ორ ტომად დაიბეჭდა მისი უკანასკნელი დღიურები, რომელშიც ის მიწაა აღწერილი, სადაც მოგზაურის სხეულის ნაწილმა თავისი საბოლოო განსასვენებელი პოვა.

ლივინგსტონის საფლავის ქვა და მისი სხეული მაინც ბრიტანულ საფლავთა შორის ძევს, – იმ ქვეყანაში, რომლის ჩრდილოეთით, შოტლანდიურ ბლენტაირში დაიბადა იგი 1813 წლის 19 მარტს, მეტისმეტად ღარიბი, მაგრამ ღრმად მორწმუნე, მშრომელი და თავდადებული მშობლების ოჯახში

(ლივინგსტონები კალვინურ სარწმუნოებას აღიარებდნენ და შოტლანდიის ეკლესიას ეკუთვნოდნენ). ყმაწვილი დეივიდი თავის დედ-მამასა და შვიდ და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში, რომელიც ბამბეულის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებლის ბოლო სართულზე იყო მოთავსებული. როცა იგი ათი წლისა გახდა, თავადაც იმავე ფაბრიკაში შეუდგა მუშაობას, ხოლო როგორც კი მან პირველი კვირის ხელფასი აიღო, წიგნის მაღაზიას მიაშურა, რათა ლათინური ენის სახელმძღვანელო ეყიდა (მისი ეს საქციელი უცნაურად არ ჩანს, რადგან მისი საოჯახო ატმოსფერო, ღრმა რელიგიური მოწიწების გარდა, განმსჭვალული იყო განსაკუთრებული სწრაფვითაც ცოდნა-განათლების მიმართ).

მომავალი მისიონერი ოცდაერთი წლისა იყო, როცა ბრიტანულმა და ამერიკულმა ქრისტიანულმა საკრებულოებმა ფართოდ გაავრცელეს მოწოდება, რომლითაც საქმის მცოდნე ექიმებს მოუხმობდნენ საქმიანობის გასაშლელად ჩინურ მისიაში. ლივინგსტონმა გულთან ახლოს მიიტანა შორეული აზიური ქვეყნის განსაცდელი და გადაწყვიტა, მისიონერი ექიმი გამხდარიყო, რის გამო მან ფაბრიკაში სამუშაო დრო ნაწილობრივ გამოითავისუფლა და კლასიკური ენების, თეოლოგიისა და მედიცინის შესწავლას ჩაუღრმავდა.

გლაზგოში ორწლიანი სწავლის შემდეგ იგი, ოცდახუთი წლისა, ლონდონის სამისიონერო საზოგადოების წევრად მიიღეს. როცა ჭაბუკი ლივინგსტონი უკვე ჩინეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა, შორეულ იმპერიაში გაჩაღდა ეგრეთ წოდებული ოპიუმის ომი, რამაც ბოლო მოუღო ახალგაზრდა მისიონერის მიზნებსა და ჩანაფიქრებს.

მაგრამ სწორედ ამ დროს შეხვედრამ შოტლანდიელ მისიონერთან იგი დაარწმუნა, რომ მისი ცოდნა და უნარი არანაკლებ საჭირო იქნებოდა სამხრეთ აფრიკაში. 1840 წლის 20 ნოემბერს დეივიდ ლივინგსტონმა მისიონერის ოფიციალური მოწმობა მიიღო, გემზე დაჯდა და, რამდენიმე თვის მოგზაურობის შემდეგ, იგი კეიპტაუნში აღმოჩნდა.

შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში მოგზაური და მისიონერი განუწყვეტლივ სერავდა აფრიკის შიდა სივრცეებს: უქადაგებდა ადგილობრივ მოსახლეობას სახარებას,

მხარში ედგა მათ ბურებთან და პორტუგალიელებთან კონ-ფლიქტებისას, პოულობდა სულ ახალ-ახალ ცნობებს გეოგ-რაფიულ თუ ეთნოგრაფიულ ძიებათა გასაღრმავებლად, იბრძოდა მონობის წინააღმდეგ.

ოცდაცამეტი წლის დეივიდ ლივინგსტონი დაქორწინდა მერი მოფეტზე, რომელიც წლების განმავლობაში გვერდით ედგა მეუღლეს მის ძნელ და სახიფათო გზებზე. მაგრამ ცოლქმრობის შვიდი წლის შემდეგ, იმის გამო, რომ მერის ჯანმრთელობა აშკარად გაუარესდა, იმის გამო, რომ გა-ნუწყვეტელი ცხოვრება აფრიკულ ჯუნგლებში სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, იმის გამო, რომ მათ ოთხ შვილს ნორ-მალური აღზრდა ესაჭიროებოდათ, ქალბატონი ლივინგს-ტონი ბრიტანეთს დაბრუნდა.

დეივიდ ლივინგსტონის საქმიანობა იმდენად მგზნებარე და თავდაუზოგავი იყო, რომ ოჯახის წევრები ხშირად საყ-ვედურობდნენ მას, რადგან არაფრად აგდებდა არა მარტო საკუთარ უსაფრთხოებას, არამედ იგი უყურადღებოდ ექ-ცეოდა მეუღლისა და მამის მოვალეობებსაც, – სიქველეს, რომელიც დიდად ფასობდა ვიქტორიულ ბრიტანეთში.

რაკიღა მგზნებარე მისიონერმა ოჯახი სამშვიდობოს და-იგულა, თავად კიდევ უფრო მეტი შთაგონებით განაგრძო დაწყებული საქმე: აფრიკელი ტომების ზიარება ქრისტიანო-ბის, ცივილიზაციისა და ვაჭრობის არსთან. ლივინგსტონი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მის გამორჩეული მი-სია იყო სწორედ ამ სამი ფასეულობის სიკეთეზე აფრიკელ-თათვის თვალის ახელა.

რაც შეეხება ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას, მან, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ადამიანი მოაქცია ქრის-ტიანობაზე და მონათლა, – სეშელე პირველი, კვენას ტომის ბელადი ბოტსვანაში. თავდაპირველად მისიონერმა მას წე-რა-კითხვა ასწავლა, მაგრამ რადგან მათ ხელთ, ბიბლიის გარდა, სხვა არავითარი წიგნი არ ჰქონდათ, ბელადმა აით-ვისა და ზეპირად დაისწავლა საღმრთო წერილის თითქმის ყველა ნაწილი. ღირსშესანიშნავი იყო, რომ შემდგომ, თა-ვად სეშელე შეუდგა სახარების გავრცელებას, რას შედეგად მოჰყვა, რომ მთელი მისი ტომი ქრისტიანულად მოინათლა.

ლივინგსტონმა მტკიცედ გადაწყვიტა, არ დასჯერდებოდა მხოლოდ იმ მიწებს, სადაც მის წინაპარ ან თანამედროვე ევროპელებს დაედგათ ფეხი, არაფრად ჩაეგდო უცნობისა თუ შეუცნობლის საფრთხე და იქ შეებიჯებინა, – შუაგულ აფრიკაში, – სადაც მანამდე არასოდეს მოხვედრილიყო არცერთი თეთრკანიანი.

1853 წლის 11 ნოემბერს, მცირე სამგზავრო საშუალებებითა და აფრიკელთა პატარა ჯგუფის თანხლებით, იგი მდინარე ზამბეზის ხეობას გაუყვა. მას მიზნად ჰქონდა, ეპოვა გზა, რომელიც მას და მის თანამგზავრებს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გაიყვანდა. მრავალი საფრთხის, შეტაკების, ცხოველებისა და ადამიანების თავდასხმის ვითარებაში, ექვსთვიანი მოგზაურობის შემდეგ, ექსპედიციამ მიაღწია აფრიკის დასავლეთ საზღვარს, ლუანდას. დაღლილ-გადაქანცულმა, მაგრამ გამარჯვებულმა ლივინგსტონმა ოკეანეს ჰკიდა თვალი.

თუმცა მისიონერი ინგლისში გამგზავრებას არ აპირებდა, – შეთანხმებისამებრ, მისი აფრიკელი თანამგზავრები მას შინ უნდა დაებრუნებინა და, ამას გარდა, მეტად ძლიერი იყო სურვილი, კიდევ ერთხელ, უკეთესად და უფრო ღრმად შესწავლილიყო ზამბეზის სანაპირო.

დაიწყო ხელახალი მოგზაურობა, – ამჯერად საპირისპირო მიმართულებით, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ. უკანა გზის დაძლევას ამჯერად ერთი წელიწადი დასჭირდა. გზად ექსპედიცია გადააწყდა გასაოცარ ჩანჩქერს, რომელსაც ლივინგსტონმა, ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომმა, მონარქის პატივისცემისა და თავისი პატრიოტულ-სამოქალაქო გრძნობების დასადასტურებლად, ვიქტორიას სახელი უწოდა.

მოგზაურობის წარმატებით დასრულების შემდეგ დეივიდ ლივინგსტონი სამშობლოსაკენ გაემართა, 1856 წლის მიწურულს კი იგი ინგლისს ეროვნულ გმირად მოევლინა. მისი ამგვარი დახვედრა ბუნებრივი იყო, – განვლილი სამი წლის განმავლობაში ამბები მის ირგვლივ შთაგონებითა და სიამაყით აღავსებდა ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანებს მსოფლიოში.

სულ მალე შინ მობრუნებულმა მოგზაურმა თავისი აღმოჩენები და შთაბეჭდილებები წიგნად აქცია. ნაშრომს, რო-

მელსაც ეწოდება “მისიონერული მოგზაურობები და აღმოჩენები სამხრეთ აფრიკაში” და რომელიც წარმოუდგენელი ტირაჟით – სამოცდაათი ათას ცალზე მეტი – დაიბეჭდა, მკითხველი არ ელეოდა. დასასრული არ უჩანდა არც პატივსა და ჯილდოებს. მთელ ბრიტანულ კუნძულებზე ექვსთვიანმა სალექციო კურსმაც მის სახელს კიდევ მეტი ელვარება შესძინა. შემოსავალიც უკვე იმგვარი გახდა, რომ ოჯახს, რომელიც ინგლისში დაბრუნების შემდეგ სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობდა, უკვე თავისუფლად შეეძლო ამოესუნთქა.

მაგრამ მოგზაურს ისევ აფრიკისაკენ მიუწევდა გული. 1858 წელს იგი კიდევ ერთხელ გაემგზავრა შავი კონტინენტისაკენ, – ამჯერად როგორც ბრიტანეთის კონსული. ეს ექსპედიცია თავისთავად ცუდად არ იყო ორგანიზებული, – ლივინგსტონის გვერდით, ათი აფრიკელის გარდა, მისი ძმა, ჩარლზი, და კიდევ ხუთი ევროპელი იყო. მაგრამ განსაცდელსა და უიღბლობას ბოლო არ უჩანდა. ინგლისელები ერთმანეთში ვერ თანხმდებოდნენ და ზოგიერთი მათგანი იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. მეუღლის გვერდით დასადგომად გაემართა მერი ლივინგსტონი, რომელიც გზად, ზამბეზის სანაპიროზე, გარდაიცვალა. უფროსმა ვაჟმაც ვერ შეძლო მამის კვალის პოვნა და გეზი აიღო ამერიკისაკენ, სადაც იქაური სამოქალაქო ომის ველზე დალია სული. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უკან გამოიწვია ექსპედიცია.

სამი წლის შემდეგ, 1866 წელს, დეივიდ ლივინგსტონი კიდევ ერთხელ, უკანასკნელად და საბოლოოდ ჩადის აფრიკაში, – რათა თავისი აუხდენელი ოცნება აისრულოს, ნილოსის სათავეები აღმოაჩინოს, რათა სახარება და ევროპული ფასეულობები გააცნოს აფრიკელებს, რათა ჩიტამბოს უღრან ტყეში, ბანგვეულუს ტბის სამხრეთით, 1873 წლის 1 მაისს, თავის საწოლზე დაჩოქილი, მარტოხელა შეხვდეს სიკვდილს.

მაისი, 1998

39

პარიზი, 1968 წლის მაისი

1968 წლის 22 მარტს, როცა რამდენიმე ათეულმა ფრანგმა სტუდენტმა პარიზის უნივერსიტეტის მთავარი შენობა დაიკავა, ძნელად თუ ვინმე ივარაუდებდა, რომ ორიოდ თვის შემდეგ ქალაქის ქუჩებში ბარიკადები აღიმართებოდა და, ტროტუარებზე ამოყრილი ქვაფენილისა და კოქტეილის დალეწილი ბოთლების ფონზე, საფრანგეთის პრეზიდენტს, გენერალ შარლ დე გოლს, გადადგომაზე ჩაფიქრება მოუწევდა.

ყველაფერი კი პროტესტის ორგანიზატორთა იმ მოთხოვნით დაიწყო, რათა სტუდენტი გოგონების საერთო საცხოვრებელში კოლეგა ვაჟებისათვისაც დაერთოთ შესვლის ნება. პარიზელი ახალგაზრდობა ჩიოდა, რომ მათი ყოველდღიური ცხოვრება ამის გარეშე ერთადერთი სიტყვით ხასიათდებოდა: "მოწყენა" (თუმცა გოგონებს არ ეკრძალებოდათ ვაჟების კორპუსებში შესვლა, მაგრამ ეს წესი პროტესტის აღმძვრელ კიდევ ერთ ფაქტად – ქალთა დისკრიმინაციის უხეშ გამოვლინებად – მიიჩნეოდა).

ამ მოწყენისა და ერთფეროვნების დასაძლევად მალე გამოსავალიც მოიძებნა: აუცილებლად იქნა მიჩნეული რაღაცისათვის ბრძოლა, რაღაცის უარყოფა, რაღაცის წინააღმდეგ აჯანყება. მაგრამ მთავარი იყო თავად ამბოხება, ხოლო საკმაოდ ბუნდოვან მიზნებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმ დღეებსა და იმ თვეებში მთელი მსოფლიო მოცული იყო ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციებით, – სორბონის სტუდენტებსაც აღელვებდათ შორეულ აზიურ ჯუნგლებში დატრიალებული სისხლისღვრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინდოჩინეთი საფრანგეთის კოლონია აღარ იყო, იქაური ამბები მაინცდამაინც უშუალოდ პარიზელ სტუდენტობას არ ეხებოდა. ვარსკვლავები კი იმ გამორჩეულ

1968 წელს ისე განლაგებულიყო, რომ ირგვლივ ყველა და ყველაფერი ბობოქრობდა: თუ პაციფისტურ-ანარქისტული ტრანსპარანტებით აღჭურვილ ახალგაზრდებს – ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეებს ძველ თუ ახალ კონტინენტებზე მოედნები და პარკები დაეკავებინათ, უშუალოდ სტუდენტური მღელვარებებით იყო მოცული გერმანია და ესპანეთი, იტალია და ბელგია, იაპონია და ეგვიპტე, ხოლო კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ამ დროს "პრაჰის გაზაფხული" ჩამომდგარიყო და სოციალიზმი "ადამიანური სახის", ანუ ადამიანური ნიღბის მორგებას ცდილობდა.

სტუდენტი გოგონების საერთო საცხოვრებელში ვაუების შესვლის უფლებისათვის მებრძოლებმა, – იმ პარიზელმა სტუდენტებმა, რომელთაც 22 მარტს უნივერსიტეტის მთავარი შენობა დაიკავეს, – უმალვე დააფუძნეს ანარქისტული დაჯგუფება "22 მარტის მოძრაობა". მათ სათავეში ჩაუდგა სტუდენტი დანიელ კონ-ბენდიტი, გერმანიიდან თავდაღწეული ებრაელი ადვოკატისა და გულმოდგინე ტროცკისტის ვაჟი, რომელმაც თავისი მგზნებარე რევოლუციური გამოსვლებით "წითელი დანის" სახელი დაიმსახურა. ის იყო დანის ცეცხლოვანი ენთუზიაზმიც და მსმენელთა თუ მიმდევართა რიცხვიც ნელ-ნელა თვალსა და ხელს შუა უნდა დაშრეტილიყო, რომ მეზობელ გერმანიაში, სტუდენტთა მანიფესტაციის დროს, პოლიციასთან შეჯახების შედეგად, დაიჭრა იქაური მემარცხენე ბელადი რუდი დუჩკე.

გერმანული სტუდენტური რევოლუციის ლიდერის დაშავებას ფრანგი სტუდენტების საპროტესტო აქცია მოჰყვა, ქუჩის შეტაკებებს პარიზში – წითელი დანის დაპატიმრება, დაპატიმრებას კი, ბუნებრივია, დემონსტრაციათა უსასრულო ტალღა, – ამჯერად დანიელ კონ-ბენდიტის განთავისუფლების მოთხოვნით. სტუდენტთა გამოსვლების აუცილებელ ნაწილად იქცა შეტაკებანი პოლიციის ძალებთან, ამიტომ მაისის პირველ დღეებში პოლიციამ შეტევაზე გადასვლა გადაწყვიტა. დაჭრილთა და დაპატიმრებულთა რიცხვი ყოველდღიურად მატულობდა. სტუდენტური გამოსვლების გვერდით, გაჩაღდა საპროტესტო მოძრაობა საფრანგეთის მოსამსახურეთა შორისაც, მაგრამ, სტუდენტთაგან განსხ-

ვავებით, ისინი არ მოითხოვდნენ არც "პროფესორთა იდეოლოგიური დიქტატურისაგან" განთავისუფლებას და არც სექსუალურ თავისუფლებას, – მათი მოთხოვნები ყოფით ჩარჩოებში რჩებოდა, რაც სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასების მომატებას მოიცავდა.

მალე, მანიფესტაციების შედეგად, მთელი ქვეყანა პარალიზებული აღმოჩნდა: აღარ მუშაობდნენ მაღაროები და ქარხნები, აღარ ფუნქციონირებდა საჯარო მომსახურება, მოიშალა ტრანსპორტი და ფოსტა.

მაგრამ დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია 11 მაისს, როცა პარიზის ლათინურ კვარტალში, სორბონის ახლოს, შვიდ ათეულამდე სტუდენტური ბარიკადა აღიმართა. იმ ღამით, შეტაკებების შედეგად, დაშავდა ათასზე მეტი ადამიანი (მათ შორის, ოთხასამდე – სერიოზულად), დაზიანდა ორასამდე მანქანა (მათ შორის, სამოცი მთლიანად დაიწვა).

პარიზის მღელვარე მოვლენების შემდეგ მემარცხენედ განწყობილმა პროფკავშირებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მხარდამხარ აღმოჩნდნენ საშუალო სკოლების, – გიმნაზიებისა თუ ლიცეუმების, – მოწაფეებიც, რომელთაც საოკუპაციო გაფიცვა წამოიწყეს, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ბრძოლით იქნა აღებული სორბონის სასწავლო და ადმინისტრაციული შენობები, თეატრი "ოდეონი", რენოს საავტომობილო ფირმის ერთ-ერთი ფაბრიკა.

პრეზიდენტი და მთავრობა კი ისევ დუმდა. 11 მაისის სისხლიანი შეტაკებების შემდეგ, პრეზიდენტი შარლ დე გოლი, პრეზიდენტ ნიკოლაე ჩაუშესკუს მიპატიჟებით, კომუნისტურ რუმინეთში გაემგზავრა. მოხუცმა გენერალმა მხოლოდ იქიდან დაბრუნების შემდეგ მიმართა თანამემამულეებს, თუმცა მისი მიმართვა საკმაოდ მშრალი და მკაცრი იყო: "რეფორმები – დიახ! მასკარადი – არა!". ეს ფრაზა ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა. მეორე დღეს მთელი პარიზი ბობოქრობდა, განუწყვეტლად ისმოდა შეძახილი: "თავად არის მასკარადი!". მიტინგები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები ისევ გრძელდებოდა, ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა პროტესტის მასშტაბები. ქუჩებში

ფრიალებდა წითელი დროშები, კედლებზე მიკრული იყო ლენინის, ტროცკის, მაო ძედუნის, ჩე გევარას პორტრეტები, ყოველ კუთხეში ხმის გამაძლიერებლებიდან ისმოდა რევოლუციური მოწოდებები და რევოლუციური სიმღერები.

ამ დროს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, საფრანგეთიდან გერმანიაში გაეძევებინა დაპატიმრებული სტუდენტი დანიელ კონ-ბენდიტი, განთქმული "წითელი დანი", რომელიც, მართალია, გერმანიის მოქალაქე იყო, მაგრამ რომლის ოჯახი საფრანგეთში ჰიტლერის მმართველობისას გადმოსახლებულიყო. სტუდენტის დეპორტაციის მეორე დღეს პარიზის ქუჩები და მოედნები ახალ შეძახილს იმეორებდნენ: "ჩვენ ყველანი ებრაელები და გერმანელები ვართ!", რითაც გამოხატავდნენ სოლიდარობას "წითელ დანისთან". პრეზიდენტის სახელზე გაიგზავნა მრისხანე მიმართვა, რომ ყველა ამბოხებულის საფრანგეთიდან გაძევებას იგი ვერასოდეს შეძლებს.

მთელი საფრანგეთი ისევ ბობოქრობდა. მცირე სიმშვიდე მაშინ ჩამოდგა, როცა პრეზიდენტმა დე გოლმა გამოაცხადა, რომ იგი ჩაატარებდა რეფერენდუმს, რომელსაც მისი ნდობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ამასთანავე, დაითხოვეს პარლამენტი და დაიწყო მზადება ვადამდელი არჩევნებისათვის. ეს საუკეთესო გამოსავალი იყო ყველასათვის, მათ შორის, მეამბოხე სტუდენტებისათვის, რომლებიც ვეღარ უძლებდნენ უკიდურეს გადაღლას ყოველდღიური პროტესტებისა და დემონსტრაციებისაგან.

ნელ-ნელა ქუჩებში სიმშვიდე ჩამოდგა, მუშაობა დაიწყო ფოსტამ და ტრანსპორტმა. თუმცა ვნებანი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო, – ჩაშლის პირას აღმოჩნდა ავინიონის თეატრალური ფესტივალი, არ შედგა კანის კინოფესტივალი, მთელი ზაფხულის განმავლობაში ისევ აგრძელებდა გაფიცვას ბევრი გაზეთი და ჟურნალი. მაგრამ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩატარებული სტუდენტთა მცირერიცხოვანი დემონსტრაცია მხოლოდ ხუთ საათს გაგრძელდა.

რამდენიმე თვის შემდეგ შედგა რეფერენდუმი, რომელზეც შარლ დე გოლმა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რის გამოც იგი 1969 წლის 27 აპრილს გადადგა.

ამ ცოტა ხნის წინ ცნობილი ფრანგი მკვლევარი ედგარ მორენი წერდა: “1968 წლის მაისმა დააჩქარა თეთრი, სრულწლოვანი, ნაყოფიერი და ნორმალური მამაკაცის მოდელის ისტორიული კრახი, რომელსაც ახალგაზრდა, ქალი, არათეთრი, უნაყოფო და არანორმალური ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს. ყველაზე მთავარი, რაც მაშინ მოხდა, ფასეულობათა სისტემის შეცვლა იყო”.

რაც შეეხება წლევანდელ 11 მაისს, პარიზის სორბონის წინ ისევ სტუდენტთა მოზრდილი ჯგუფი შეკრებილიყო. თუმცა ისინი რევოლუციის მოხდენას და ექსპლუატაციისაგან მასების (და საკუთარი თავის) განთავისუფლებას არ აპირებდნენ, – უბრალოდ იმ დღეს სტუდენტების პირადობის მოწმობებს აკონტროლებდნენ, რასაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დროდადრო ატარებს ხოლმე. სტუდენტები კრძალვით უჩვენებდნენ უნივერსიტეტის თანამშრომელს თავიანთ საბუთებს და არავის მოსვლია აზრად, ყელში სწვდომოდა მას. რა თქმა უნდა, არავის უფიქრია, ბარიკადები აღემართა, ქვები და ბოთლები დაეშინა პოლიციისათვის, ლენინისა და ტროცკის სურათები გაეკრა სვეტებზე ანდა წითელი დროშა გამოეფინა უნივერსიტეტის ვესტიბიულში.

1998 წლის მაისში პარიზის ქუჩებში რევოლუციას არ ელიან.

მაისი, 1998

P.S. 1968 წლის მაისის რევოლუციური მოვლენები პარიზსა და, საერთოდ, საფრანგეთში კვლავ იპყრობს ყურადღებას. იმ მღელვარე და დაუვიწყარი დღეების შესახებ ისევ ბევრი იწერება და იბეჭდება.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული საიდუმლო საბუთებისა თუ მონაწილეთა მოგონებების საფუძველზე, ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ იმდროინდელი ამბები იმთავითვე ორგანიზებული იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტების მიერ მართული პროფკავშირების მიერ, ხოლო მათს ზურგს უკან კი, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის დაწესებულებები იდგა.

მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია ქვეყნის უძლიერეს პარტიად პრეზიდენტ შარლ დე გოლის ხელშეწყობითა და დახმარებით ჩამოყალიბდა, და ეს მოვალეობა თავად მან იკისრა სტალინთან იმ შეხვედრისას, რომელიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას შედგა. სტალინისეულ დაპირებას, რომ, ისტორიულ თუ ფაქტობრივ გარემოებათა მიუხედავად, საფრანგეთი გამარჯვებულ ქვეყანათა შორის დაიკავებდა ადგილს, დე გოლის მხრივ, მადლიერების გამოხატვა სჭირდებოდა.

როგორც ჩანს, ასევე, გასათვალისწინებელია ის განსაკუთრებული ადგილი, რაც საფრანგეთის ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკავა მთელ ქვეყანაში ფართოდ მოდებული კინოკლუბების ქსელს (რამდენიმე ათასი კინოდარბაზით), რომელიც ისევ კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მიერ იმართებოდა (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, – უშუალოდ მოსკოვიდან) და რომელთა უპირატესი მიზანი იყო წლების განმავლობაში ფრანგების გონებათა განმსჭვალვა და მონუსხვა ამ იდეოლოგიის მოწოდებებით (მაგალითად, პარიზში მუშაობდა ერთი მცირე კინოდარბაზი, სადაც ოცი წლის განმავლობაში უწყვეტად უჩვენებდნენ სერგეი ეიზენშტეინის რევოლუციურ-ბოლშევიკური სულისკვეთების ფილმს – "ჯავშნოსანი პოტიომკინი"). ამ მხრივ, ქვეყნის ინტელექტუალთა და სტუდენტობის რევოლუციურად რადიკალიზაციის საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ კინორეჟისორები: ჟან-ლუკ გოდარი და ალენ რენე, ანიეს ვარდა და ბერტრან ბლიე. გოდარის ფილმებში გახმოვანებული ფრაზები, – მაგალითად, "საჭიროა გულწრფელობა და ძალადობა!", ან "ავაფეთქოთ ლუვრი, სორბონა და კომედი ფრანსეზი!", – სულ მალე 1968 წლის მაისის რევოლუციური დღეების მოწოდებებად იქცა.

მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ დროს საბჭოთა უშიშროების სამსახურებში ცვლილება მოხდა. თუკი ამ დაწესებულებაში შემუშავებული თავდაპირველი გეგმით, ივარაუდებოდა საფრანგეთის მთავრობის ძალადობრივი დამხობა და ხელისუფლების მოპოვება კომუნისტების მიერ, მეორე გეგმით, კრემლში ხელისუფლების შეცვლის შედეგად, პრაგმა-

ტული თვალსაზრისის მიდევნებით, სულაც აღარ მიიჩნიეს საჭიროდ, საფრანგეთის რესპუბლიკა კომუნისტურ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო.

როცა მაისის დღეებში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ფრთაშესხმული ჩადის მოსკოვში, რათა იქაურ მმართველთ აცნობოს, რომ იმუამად ადვილზე ადვილ ამოცანას წარმოადგენს ძალაუფლების მოპოვება, მოსკოველი ფუნქციონერები ამგვარ სურვილებს ცივ წყალს გადაასხამენ და მოძრაობის სასწრაფოდ ჩაქრობის ბრძანებას გასცემენ.

საბჭოთა კომუნისტ ბელადებსა და გენერლებს არასოდეს ჰქონიათ არანაირი ნდობა უცხოურ სახელმწიფოში თუნდაც კომუნისტური მმართველობის მიმართ, თუკი ეს ხელისუფლება არ იქნებოდა დაცული და განმტკიცებული საბჭოთა ტანკების ძალით. მათ აფრთხობდა საშიშროება, რომ ფრანგული კომუნიზმი საკუთარი გზით წავიდოდა, – ისევე როგორც ჩინური კომუნიზმი, – და ის აღარ დაემორჩილებოდა მოსკოვის მითითებებს. კიდევ მეტი, კრთოდა საფრთხე, რომ პეკინი და პარიზი გაიყოფდნენ პირველობა-მეორეობას მსოფლიო კომუნიზმში.

ბრეჟნევის ეპოქის საბჭოთა კავშირის მთავარი იდეოლოგი, მიხაილ სუსლოვი, მიიჩნევდა, რომ ევროპის ქვეყანათა დაპყრობა, თვით გიბრალტარამდე, როგორც ამას საბჭოთა ხელმძღვანელობას საბჭოთა გენერლები სთავაზობდნენ, ოდენ წარმოსახვითი, განუხორციელებელი გეგმა იყო, რადგან მოსკოვს იმუამად თვით დაპყრობილი ევროპული ქვეყნების კონტროლიც კი უჭირდა, ხოლო კომუნისტური საფრანგეთის მართვა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომ, როცა დე გოლმა პირდაპირ მიმართა მოსკოვს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გეგმათა გასაგებად, – აპირებდნენ თუ არა ისინი ქვეყანაში ხელისუფლების აღებას, რაც იმ დღეებში სულაც არ ჩანდა შეუძლებლად, – იმუამად გერმანულ ბადენ-ბადენში თავშეფარებულ ფრანგ პრეზიდენტს საბჭოთა მარშლის საშუალებით აცნობეს, რომ მისი პრეზიდენტობა მშვიდად და უშფოთველად შეიძლებოდა გაგრძელებულიყო.

გენერალი შარლ დე გოლი, დათრგუნული და დამცირებული იმის გაცნობიერებით, რომ მისი სახელმწიფოსა და მისი პრეზიდენტობის ბედი მოსკოველი კომუნისტების ხელთ იყო, – მიუხედავად იმისა, რომ იგი პარიზს მაშინ გამარჯვებულად დაუბრუნდა, – პრეზიდენტის თანამდებობიდან მალევე გადადგა, როცა 1968 წლის მაისის მოვლენებიდან ერთი წელიც არ იყო გასული.

ოქტომბერი, 2022

40

ძველი მეგობარი და კლასიციზმი

ბუნებრივი, შესაბამისი, წინასწარ განპირობებული იყო მისი კულტურული არჩევანი: კლასიკური საბერძნეთი და გერმანია (როგორც ჩანს, კლასიცისტური).

იგი ერთგულებას უცხადებს ნამდვილ და უეჭველ ფასეულობებს.

მისი სიტყვები და ქმედებანი მოწესრიგებული, გააზრებული, განსაზღვრული, გონივრულია.

მან ყოველთვის მყარად იცის, რა არის აუცილებელი, რა არის უმჯობესი, რა უნდა გააკეთოს.

იგი არასოდეს ჭოჭმანობს, თუ როგორ უნდა მოიქცეს.

მას არასოდეს ავიწყდება, რომ არსებობს საჯარო ვალდებულებანი.

იგი ყოველთვის ცდილობს, იყოს სამართლიანი (საკუთარი თავის მიმართაც).

მისი მიზნები ობიექტურია, მისი ყურადღება გამორიცხავს სუბიექტურს, ინდივიდუალურს, უჩვეულოს.

იგი გულგრილია ყოველგვარი მარგინალურის, გადახრის, არაკონვენციურის მიმართ. მისი შემწყნარებლობა უჩვეულოსა და არაკონვენციურის მიმართ გამოხატავს მის კლასიკურ აუღელვებლობას (და, შესაბამისად, – არააგრესიულობას).

კლასიციზმი განაპირობებს არა მარტო მის დომინანტურ რაციონალიზმს, არამედ ყოველგვარი გულწრფელობისა თუ თვითგახსნის უარყოფასაც.

მისი საუბარი არ სცილდება შემოზღუდულ სივრცეს: საქმიანობასა და ოჯახს.

იგი განცხრომას პოულობს (ან თავს ირწმუნებს, რომ პოულობს) ყოველდღიურობის მკაფიო თანამიმდევრობაში.

მან უარი თქვა იდუმალზე, ირაციონალურზე, იმპულ-

სურზე, განუჭვრეტელზე, ფათერაკზე. მან თვალსაწიერიდან გამორიცხა უფსკრული.

იგი არაა ბიურგერი, იგი კლასიკოსია: ბიურგერმა არ იცის, რომ არსებობს ღამე, იატაკქვეშეთი, მთვარის სინათლე, ხოლო კლასიკოსი მათ არსებობას გრძნობს, მაგრამ სწადია, რომ დაძლიოს, გადალახოს, დაივიწყოს ისინი და იცხოვროს მათ გარეშე.

მას მიაჩნია, რომ ის, რაც არ ჩანს მზის შუქზე, არც საჭიროა და არც მოსახმარი.

მასში ვერავითარ გრძნობას ვერ აღვივებს ვერც ქიმერები და ვერც ქიმერებისათვის ნიღბის ახდა.

იგი გაცხადებულად უარყოფს ყოველგვარ მითოსსა და ანტიმითოსს.

მას საკმარისად მიაჩნია status quo და უყურადღებოდ ტოვებს არა მარტო მითოსს, არამედ მითოსს უკან მიმალულ რეალობასაც.

იგი არასოდეს ლაპარაკობს ხმამაღლა, არასოდეს ლაპარაკობს ღმერთზე, სიკვდილზე, განგებაზე, იმედზე.

მან გადალახა ბავშვობა და საღი განსჯით უარყო ყოველგვარი უტოპია. იგი უკვე ზრდასრულია და აღარ ფიქრობს საკუთარი ან საზოგადო სრულყოფის გზებსა თუ ხერხებზე.

სამყარო მისთვის საუკეთესო არაა შესაძლებელთა შორის, მაგრამ იგი იმასაც გამორიცხავს, რომ ასეთი სამყაროს შექმნა შესაძლებელია. იგი იღებს გარემოს იმგვარს, როგორიც ის არის.

მას უკიდურესად იშვიათად მოსდის შეცდომები.

იგი გამორიცხავს მოულოდნელობას და არ ელის მას.

მისი ნათქვამი ზუსტია, მისი ქმედებანი – უკამათო, მისი მომავალი – განჭვრეტადი.

ივლისი, 1998

41

ფილიპე მეორის გარდაცვალების ოთხასი წლისთავი

“დაარწმუნეთ მისი უწმიდესობა, პაპი, რომ მირჩევნია, უარი ვთქვა ყველა ჩემს სამფლობელოზე, უარი ვთქვა, – თუნდაც რომ მქონდეს, – ას სიცოცხლეზეც კი, მაგრამ ვერავის დავანებებ, რომ სულ მცირედი ზიანი მიადგეს სარწმუნოებას და ღმრთის სამსახურს”, – წერდა 1566 წელს თავის ელჩს რომში ფილიპე მეორე, ესპანეთის მეფე, ისტორიაში პირველი ხელმწიფე, პირველი მსოფლიო მმართველი, რომლის სამფლობელოები მთელ დედამიწას რკალავდა: მეფე კასტილიისა, არაგონისა, ნეაპოლისა, სიცილიისა და სარდინიისა, მილანის გრაფი, ნიდერლანდების ხელისუფალი, იმპერატორი, რომლის იმპერია გადაჭიმული იყო ამერიკაში რიო გრანდედან ტიერა დელ ფუეგომდე, ხელმწიფე, რომლის ერთგულმა კონკისტადორებმა აღმოსავლეთ აზიაში ახლად აღმოჩენილ არქიპელაგს მეფის საპატიოდ ფილიპინები უწოდეს, – მეფე, რომლის უსაზღვრო სამფლობელოებს სიცოცხლის მიწურულს პორტუგალია და პორტუგალიის იმპერია შეემატა (სხვათა შორის, მასთან მიმოწერა ჰქონია ქართლის მეფეს, სვიმონ პირველს).

ოთხი საუკუნეა, ესპანეთში ფილიპე მეორის სახელს მოწიწებითა და სიყვარულით ახსენებენ, იტალიელებს შორის იგი ყოველთვის კრძალვას იწვევდა, მაგრამ რაკიღა ხელმწიფე თავის სამეფოებზე თუ თავის სიცოცხლეზე უფრო მეტად სარწმუნოების სიწმიდეს უფრთხილდებოდა და კათოლიკე ეკლესიის სიძლიერეზე ზრუნავდა, ბუნებრივია, პროტესტანტთა თუ არაქრისტიანთა შორის მას მტარვალი, სასტიკი და დაუნდობელი მონარქის სახელი ჰქონდა დაგდებული. მაგრამ უკანასკნელი წლებია, – სწორედ იმ უკანასკნელ ათწლეულებში, როცა ევროპელ თუ ამერიკელ

მემარცხენეთა ინტელექტუალურ ტერორს ნელ-ნელა თითქოს ძალა ეშრიტება, – ჩნდება მეტი ახალი ნაშრომი, მეტი ახალი წიგნი, რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნის მონარქს ნამდვილ შუქში წარმოადგენს, რის გამო უფრო წარმატებით ხერხდება მისი და მისი სახელის გამოხსნა შეთხზული მითოსის, ლეგენდებისა თუ დამკვიდრებული ისტორიული სტერეოტიპების ტყვეობიდან.

ბრიტანელი ისტორიკოსის, ჯეფრი პარკერის, გახმაურებული მონოგრაფია – "ფილიპე მეორე" – პირველად ოცი წლის წინათ გამოქვეყნდა, მაგრამ ნაშრომის ხელახალი გამოცემები სხვადასხვა ენაზე ამ წიგნის მიმართ მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას ადასტურებს. მკვლევარმა სცადა, განთავისუფლებულიყო ისტორიკოსთა შორის წინასწარ შემუშავებული ცრურწმენებისაგან და ფაქტობრივი ცოდნის მოწადინეთათვის მეფე ფილიპე წარედგინა შესაძლო ობიექტურობითა და ტრადიციული იდეოლოგიური ინტერპრეტაციების გარეშე.

პარკერის წიგნმა იმთავითვე მიიპყრო არა მარტო მკითხველთა, არამედ კოლეგათა სიმპათიაც, რასაც ვერ ვიტყვით ისტორიკოსის თანამემამულის, ჰენრი ქემინის, წიგნის შესახებ, რომელსაც ბრალად დაედო აპოლოგეტიზმი თუ პანეგირიკულობა ფილიპე მეორის მიმართ. თავად ქემინმა ხელმწიფეს ესპანური გამოცანა უწოდა და იგი იმ პროპაგანდისტული მარკეტინგის მსხვერპლად წარმოაჩინა, რომელიც ფილიპეს მოწინააღმდეგეების, – ვილჰელმ ორანელის, ინგლისის დედოფალ ელისაბედისა და ჰენრიხ ნავარელის, – გარემოში ჩამოყალიბდა.

ის, რომ პროფესორი ქემინი თავისი უკომპრომისობის გამო ზოგჯერ საკმაოდ ამსუბუქებს ისტორიულ გარემოებებს, იმის საბაბი გახდა, რათა მემარცხენე ლიბერალ ინტელექტუალებს მკვეთრად ესაყვედურათ მისთვის, რომ იგი დაუსაბუთებლად ამართლებს ფილიპე მეორის ყოველ არჩევანსა თუ ქმედებას და ადრინდელი შავ-თეთრი პორტრეტის გადმობრუნებას ცდილობს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი მხარდამჭერი უჩნდება ქემინისეულ დამოკიდებულებას. ეს განსაკუთრებით

თვალსაჩინო გახდა წელს, როცა ესპანეთში ფართოდ აღინიშნება ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული ხელმწიფის გარდაცვალების ოთხასი წლისთავი.

ამ ზაფხულს ესკორიალში იმ გამოფენასთან თანამდევი მოხსენებათა ციკლი ჩატარდა, რომელიც შემოდგომის მიწურულამდე გასტანს და რომელიც მონასტრის დამაარსებლის, ფილიპე მეორის, საიუბილეო თარიღს დაუკავშირდა. ციკლის სახელწოდებაა: "ფილიპე მეორე და ესპანური მონარქია: ხელისუფლება, მეცნიერება და ეკონომიკა".

კონფერენციის დაწყებისას მადრიდის კომპლუტენსეს უნივერსიტეტის პროფესორმა, მიმდინარე გამოფენის კომისარმა, კარმენ იგლეზიასმა განაცხადა, რომ ფილიპე მეორე თავისი ეპოქის წარმონაქმნი იყო და არავისზე მეტად არ ყოფილა ეგრეთ წოდებული ინკვიზიტორი ან ანტისემიტი; სწორედ ამ მხრივ, იგი არაფრით გამოირჩეოდა თავის თანამედროვე, მეთექვსმეტე საუკუნის ხელმწიფეთაგან. მონარქი არც რელიგიური ფუნდამენტალისტი ყოფილა, როგორც მას არაერთხელ უწოდებდნენ. მისი პოლიტიკა იმდროინდელი ევროპული აბსოლუტიზმის კონტექსტში გათამაშდა და ესპანეთის მეფე, როგორც ევროპის უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოს წარმომადგენელი, ქრისტიანობის დაცვასა და განმტკიცებას ცდილობდა. "პრობლემა ისაა", – თქვა პროფესორმა იგლეზიასმა, "რომ ისტორიკოსები ფილიპე მეორეს ისევ ხედავენ იმ განზომილებით, როგორითაც იგი თავისი მეფობის ბოლო ხანებში წარმოსდგა: თავის თავში ჩაღრმავებული, შავებში ჩაცმული, მლოცველი ხელისუფალი, რომელიც ესკორიალის კედლებს შეჰფარებია და იქიდან მართავს თავის უკიდეგანო იმპერიას, – ბრძანებებისა და განკარგულებების გზით. ეს ბანალური ხატი კი უეჭველად მოითხოვს გადაფასებას, რადგანაც ის სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. ამავე დროს, იგი არც ინკვიზიტორი ყოფილა. თვალი გადაავლეთ სხვა ქვეყნებს, მაგალითად, გერმანულ მიწებს, სადაც ჯადოქრების კოცონები გიზგიზებდა, ანდა პროტესტანტულ ქვეყნებში გაბატონებულ შეუწყნარებლობას, ლუთერისა თუ კალვინის მომხრეთა დაუნდობლობასა და სისასტიკეს სხვაგვარად მორწმუნეთა

მიმართ. ფილიპე მეორისათვის ინკვიზიცია იყო იარაღი ან საშუალება რელიგიური ბრძოლების შესაზღუდავად, რადგან არსებობდა მკაფიო საფრთხე, რომ ეს ბრძოლები დაუბრკოლებლივ გადაიზრდებოდა სამოქალაქო ომში".

მადრიდელი პროფესორის, კარმენ ეგლეზიასის, შეხედულებები განამტკიცა ლონდონელმა პროფესორმა მარია ხოსე როდრიგეს სალგადომ, რომელიც ასევე მომხსენებელი იყო ესკორიალში გამართულ კონფერენციაზე. "უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპა იმ დროს გაყოფილი იყო კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებად", – თქვა მან, – "სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ ფილიპე იძულებული გახდა, შეუვალი და შეუპოვარი გამხდარიყო, რადგან სწორედ იგი იყო საქრისტიანოს ყველაზე თვალსაჩინო და გავლენიანი ხელმწიფე".

ფილიპე მეორე რომის საღმრთო იმპერიის მპყრობლის, კარლოს მეხუთის, ჰაბსბურგის, ვაჟი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორის ტახტი ბიძამისს ერგო, მთელი ცხოვრება, – ბეჯითი, თავდაუზოგავი გარჯით აღსავსე სიჭაბუკიდან, პირად უბედურებათა გავლით, შრომითა და ლოცვით დატვირთულ განმარტოებულ სიბერემდე, – მან იმ ახალი იმპერიის განმტკიცებასა და გაფართოებას მოანდომა, რომელიც მას ქრისტიანული სამყაროს ბურჯად მიაჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის ყველა სურვილი, ჩანაფიქრი, მიზანი თუ მისწრაფება ვერ განხორციელდა, – ინგლისი და ჩრდილოეთ ნიდერლანდები ვერ მოექცა კათოლიკურ ქვეყანათა წრეში, – მაინც მის მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია: მან დაძლია ოსმალეთის იმპერიის უძლიერესი შემოტევა ხმელთაშუა ზღვაზე ლეპანტოს ბრძოლისას; დაასრულა იბერიის ნახევარკუნძულზე ქვეყნის გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი, დაწყებული ჯერ კიდევ ფერდინანდისა და იზაბელას დროს; მაგრამ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან თავისი თვალით ნახა კათოლიკე ეკლესიის დიდი გამარჯვებები, რომელშიაც თავად მიუძღოდა მნიშვნელოვანი წვლილი. თუ ინგლისი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ნიდერლანდები მისთვის და რომის ეკლესიისათვის დაკარგული იყო, სამაგიეროდ, შენარჩუნებული

იყო სამხრეთ ნიდერლანდები (დღევანდელი ბელგია), ესპანეთსა და იტალიაში კი ამოიძირკვა ერეტიკული მიმდინარეობანი, ხოლო მისმა შეჭრამ საფრანგეთში განაპირობა ის, რომ ჰენრიხ მეოთხე კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცა.

ოთხასი წლის წინათ, 1598 წლის 13 სექტემბერს, კვირადღეს, დილაადრიან, კასტილიაში, სამეფო განმარტოებისათვის, ლოცვისათვის, საძვალეედ და სამარხად აგებულ ესკორიალის მონასტერში გარდაიცვალა სამოცდათერთმეტი წლის ფილიპე მეორე.

მისი სიკვდილის შემდეგ ესპანეთის სამეფო აღარასოდეს ყოფილა ამგვარად ძლიერი, ფართო და გავლენიანი, მაგრამ იწყებოდა ესპანური კულტურის აყვავება, იწყებოდა ესპანური კულტურის ოქროს ხანა, – წინ იყო სერვანტესი და კევედო, ელ გრეკო და ველასკესი, კალდერონი და ტირსო დე მოლინა. თუმცა მათი ხელოვნება, ქრისტიანული სულით განმსჭვალული სიტყვა და სახე, აღარ უნახავს მეფე ფილიპე მეორეს, მშრომელს, თავდადებულს, შეუპოვარს, – ხელმწიფეს, რომელიც ეთაყვანებოდა ლიტერატურას, ხელოვნებას, განათლებას; ხელმწიფეს, რომელიც ოთხი საუკუნის წინათ თავისი დიდი სამეფოდან სულთა სამეფოში გადასახლდა.

სექტემბერი, 1998

42

რუსული კომუნიზმი – რუსული იმპერიალიზმის მემკვიდრე

კომუნისტური რუსეთის ისტორიაში მარქსისტული ინტერნაციონალიზმისა და ინტერნაციონალური მარქსიზმის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმაში, რასაც "საბჭოთა კომუნიზმი" ერქვა, არცთუ იმდენად მოზრდილი წილი ეკავა სუფთა კომუნისტურ სულისკვეთებას, რომელიც რეალურად და პირველადი სახით მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომებშია ასახული.

პეტროგრადის 1917 წლის სახელმწიფო გადატრიალებიდან შემდგომი ოცწლეულის განმავლობაში ქვეყანაში ნელ-ნელა გაუჩინარდა ბოლშევიკური მიზანსწრაფვები, რაც მიმართული იყო, უწინარესად და გაცხადებულად, ყოველივე არსებულის ნგრევის, მოსპობის, განადგურებისაკენ. შემდგომ, თანდათანობით, – განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და მის მომდევნო ხანაში, – საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი შეუდგა რუსული იმპერიული ტრადიციის აღდგენასა და შენარჩუნებას.

განცხადება, რომ მარქსისტული კომუნიზმის იდეოლოგია რეალურად და მთლიანად არასოდეს განხორციელებულა საბჭოთა მმართველობისას და რომ ისინი ორი განსხვავებული მოვლენაა, ისევე არ იქნება სამართლიანი და ზუსტი, როგორც იმის თქმა, რომ მარქსიზმის რეალური, მთლიანი, ადეკვატური სახის წარმოსადგენად საკმარისია საბჭოთა გამოცდილების ცოდნა თუ გათვალისწინება.

მარქსიზმის სწავლება, რომელიც კარლ მარქსისა და მის თანამოაზრეთა თეორიის სახით არსებობს, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ის გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდა, როგორც ბუნებრივად იყო მოსალოდნელი, იმგვარ სახეს იძენდა, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა ადგი-

ლობრივ ტრადიციებს. როგორც აღმოჩნდა, მარქსისტულ სწავლებას ისტორიულ-გეოგრაფიული მიმიკრიის გამორჩეული უნარი აღმოაჩნდა. ამიტომაც, მეტად განსხვავებულია ერთმანეთისაგან რუსული (საბჭოთა) და ჩინური, აღმოსავლეთგერმანული და ჩრდილოეთკორეული, ალბანური და კუბური კომუნიზმი.

მაგრამ რაკიღა პირველი და სანიმუშო კომუნისტური ქვეყანა ბოლშევიკური რუსეთი იყო, კომუნისტური იდეოლოგიის ყველა შემდგომი განხორციელებისას მაინც განმსაზღვრელ-განმაპირობებელი აღმოჩნდა რუსული გამოცდილება.

მიუხედავად ამისა, აუცილებელია, საბჭოთა კომუნიზმში მარქსისტულ-ევროპული დესტრუქციული მუხტი გაიმიჯნოს რუსულ-დიდმპყრობელური სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობისაგან. თუკი ბოლშევიკური რევოლუციის ადრეულ წლებში ლენინისა და ტროცკის მმართველობა რამდენადმე წყვეტდა კავშირს რუსეთის იმპერიულ ისტორიასთან, სულ მალე, სტალინის მმართველობისას, მინავლებული კომუნისტური რიტორიკა ჩაანაცვლა სწრაფვამ იმპერიული წარსულის დასაბრუნებლად და გასაცოცხლებლად (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლენინურ-ტროცკისტული მსოფლიო რევოლუციის იდეოლოგიაც, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა მსოფლიო ექსპანსიის თავისებურ მცდელობას).

ამდენად, ძნელად მისახვედრი სულაც არ ჩანს, თუ რატომ იქცნენ სტალინის განმადიდებლებად რუსეთის მონარქიული წარსულის მოთაყვანე ყოფილი ანტიბოლშევიკები, რომელთა მწკრივი გრძელი აღმოჩნდა, – განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საქმე ის იყო, რომ "ხალხთა დიდმა ბელადმა" არა მარტო რუსული იმპერიული ტრადიციები აღადგინა, არამედ იმპერიის საზღვრები, ფაქტობრივად, გასწია მანამდე მიუღწეველ სამანებამდე, – ვენამდე და ბერლინამდე.

თვალსაჩინოდ, კომუნიზმმა რუსეთში ორი ეტაპი გაიარა: ჯერ, მარქსიზმის სახელით, ინტერნაციონალური ექსპანსიის მიმართულებით, ხოლო შემდგომ – რუსული იმპერიალიზმის სახელით, ნაციონალისტური იმპერიული ექსპანსიის

მიმართულებით. საუბედუროდ, ერთიცა და მეორეც მიპყრობილი იყო ადამიანების, ადგილობრივი მემკვიდრეობის, ცალკეულ ეროვნულ კულტურათა წინააღმდეგ.

მაინც ყველაზე მძიმე ისაა, რომ რუსეთში კომუნიზმის სამოცდაათწლიანი ბატონობისას არასოდეს უთქვამთ უარი არც კომუნისტურ და არც იმპერიულ ძალადობაზე.

ხოლო იმას, თუ რამდენად მზად აღმოჩნდა რუსი ინტელექტუალური ფენა და რუსული ცხოვრების წესი კომუნისტური იდეოლოგიის მისაღებად, თუ როგორი ნოყიერი ნიადაგი დახვდა მარქსისტულ იდეებს რუსეთის იმპერიაში, ყველაზე უკეთ აღწერს ნიკოლაი ბერდიაევი თავის წიგნში: "რუსული კომუნიზმის საწყისები და საზრისი".

სექტემბერი, 1998

43

ოთმარ შპანი და მისი ფილოსოფია პოლიტიკურ კორიანტელში

პოლიტიკის ფილოსოფოსთა შორის დღეს, ალბათ, ცოტა ვინმე თუ მოიძებნება, ვისთვისაც უცნობი იყოს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი და გამორჩეული ავსტრიელი ფილოსოფოსის, ოთმარ შპანის, სახელი, მაგრამ მისი ნაშრომები ამჟამად ნაკლებად იკითხება, ნაკლებად მოიხსენიება, ნაკლებად შეისწავლება.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სავსებით მოსალოდნელია, დღევანდელი მკითხველისათვის საყურადღებო და საგულისხმო აღმოჩნდეს მისი შეხედულებანი, თუნდაც არა ყოველთვის მისაღებად ან გასაზიარებლად, არამედ, შესაძლოა, უფრო მეტადაც – დასაპირისპირებლად თუ უარსაყოფად. ისიც უნდა ითქვას, რომ შპანის ბევრი თვალსაზრისი ისე გამჯდარა ზოგიერთ მომდევნო სწავლება-კონცეფციაში, რომ მათი წარმოშობის გასაგებად აუცილებელი გამხდარა პირველწყაროს გაცნობაც და ათვისებაც.

ოთმარ შპანი დაიბადა 1878 წლის 1 ოქტომბერს, პატარა დასახლებაში, ალტმანსდორფში, ვენასთან ახლოს, და სიყმაწვილეც მან ვენის გარეუბანში გაატარა. რაკი მას დედა ადრევე გარდაიცვალა, ხოლო მამამ ვეღარ შეძლო ოჯახის გაძღოლა, თორმეტი წლის ყმაწვილი გადასახლდა დედისეულ ოჯახში, სადაც მისი აღზრდა საკუთარ თავზე აიღო ბებიამ, ხოლო ბაბუა, რომელიც სამხედრო მოსამსახურე იყო, შვილიშვილის ფიქრებსა თუ ოცნებებს სამხედრო სამსახურისაკენ უბიძგებდა.

ფილოსოფია შპანმა ვენის უნივერსიტეტში შეისწავლა, პოლიტიკური მეცნიერებანი – ციურიხისა და ბერნის უნივერსიტეტებში, ხოლო სადოქტორო ნაშრომი მან, ოცდახუთი წლისამ, ტიუბინგენის უნივერსიტეტში დაიცვა. მომდევნო

წელს ახალგაზრდა მკვლევარი აფუძნებს გაზეთს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კრიტიკული შესწავლის შედეგების გასავრცელებლად. იგი მაშინვე ქორწინდება, – მისი მეუღლეა პოეტი ერიკა რაინში. მალე შპანი ბრნოს (მაშინდელი ბრიუნის) გერმანული უნივერსიტეტის პროფესორი ხდება.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს, მას, ავსტრია-უნგრეთის საიმპერატორო ჯარების თადარიგის ობერლეიტენანტს, სამხედრო სამსახურში გაიწვევენ. ბრძოლების გაჩაღების პირველივე თვის დასასრულ იგი მძიმედ დაიჭრება ლვოვთან (მაშინდელ ლემბერგთან). ჯერ მას რუსი ტყვეების ბანაკის მეთაურად ნიშნავენ, შემდგომ კი მიიწვევენ ვენაში, სამხედრო სამინისტროში, სადაც იგი ომის დასასრულამდე მუშაობს.

1919 წლიდან ორი ათეული წლის განმავლობაში ოთმარ შპანი ვენის უნივერსიტეტის პროფესორია, – სტუდენტთა სათაყვანო და აღიარებული მასწავლებელი (რასაც, სხვა აკადემიურ გარემოებათა გარდა, განაპირობებდა მათი განსაკუთრებულად ახლობლური ურთიერთობანიც, რაც კიდევ უფრო მტკიცდებოდა შპანისეული საზაფხულო ლექციებისას ქალაქგარეთ, ტყეებსა თუ ჭალებში). იგი მონდომებით ცდილობს, კონსერვატიულ და კათოლიკურ ახალგაზრდულ წრეებთან ერთად, საუნივერსიტეტო სივრცე გაათავისუფლოს მარქსიზმისა და ბოლშევიზმის იმდროინდელი თავაშვებული ყელყელაობისაგან.

1938 წლის მარტში, გერმანიის მიერ ავსტრიის მიერთების (Anschluss) შემდეგ, შპანი დააპატიმრეს და მოათავსეს დახაუს საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მისი ჯანმრთელობა და მხედველობა მეტად დაზიანდა. მართალია, იგი ბანაკში დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ მას სამუდამოდ აუკრძალეს უნივერსიტეტში საპროფესორო საქმიანობა. მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში იგი განდეგილად ცხოვრობდა.

ნაციონალ-სოციალიზმის დამარცხების შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, უშედეგო აღმოჩნდა მისი ყველა მცდელობა, მოეპოვებინა პროფესორის თანამდებობა რომელიმე

უნივერსიტეტში. საბოლოოდ, გაწბილებული და გულდაწყვეტილი, განმდგარი და განმარტოებული ოთმარ შპანი 1950 წლის 8 ივლისს ავსტრიის უკიდურეს აღმოსავლურ საზღვართან, პატარა სოფელში, ნოიშტიფტში, გარდაიცვალა.

შპანის ფილოსოფიური, სოციოლოგიური თუ ეკონომიკური იდეებით, მისი სწავლებით კორპორაციული სახელმწიფოს შესახებ გატაცებული იყვნენ მუსოლინი და პაპი პიუს მეთერთმეტე, ავსტრიელი და გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები (ერთ დროს ტრიალებდა აზრი, რომ არსებობს ნაციონალ-სოციალიზმის მიუნხენური, ანუ ჰიტლერული სკოლა და ავსტრიული, ანუ შპანური სკოლა), რუმინელი და უნგრელი ფაშისტები, ჰოლანდიელი და ბელგიელი კათოლიკური წრეები. ერთხელ, ადოლფ ჰიტლერი შეხვდა კიდეც შპანს და მოიხიბლა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებებით.

შპანის კონცეფციათა გამოძახილი განსაკუთრებით შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკიის პირველი რესპუბლიკის (1918-1938) სუდეტთა ოლქში, რომელიც თითქმის მთლიანად გერმანელებით იყო დასახელებული. შპანის უშუალო მოწაფეთა მიერ აქ ჩამოყალიბებული ნაციონალისტური, გასამხედროებული საძმოები აერთიანებდა ახალგაზრდა მამაკაცებს, რომლებიც ერთმანეთთან არა მარტო შპანის იდეათა ერთგულებით იყვნენ შეკავშირებული, არამედ – გაცხადებული ჰომოეროტიკული ურთიერთობებითაც. ჰიტლერი, რომელიც ადრე თვალს ხუჭავდა ნაციონალ-სოციალისტთა შორის საკმაოდ გავრცელებულ მამაკაცურ ეროტიკულ კავშირებზე, ძალაუფლების გაძლიერებისთანავე, სასტიკად გაუსწორდა, – ყველა დიქტატორულ-ტოტალიტარისტული რეჟიმის კვალდაკვალ, – ჰომოსექსუალებს საკუთარ მიმდევართა შორის (და, მით უმეტეს, არამიმდევართა შორის). სხვათა შორის, ეს საძმოები, რომელიც შპანიზმის ერთგულებას აცხადებდნენ, არ ემხრობოდნენ არც ჰიტლერს, არც ჰიტლერიზმს, არც ებრაელთა შევიწროებას, არც ჩეხოსლოვაკიის დაშლას. საპასუხოდ, ჰიტლერის მომხრეებმა შპანის მომხრეებს ბრალი დასდეს ყმაწვილების გახრწნაში, რასაც მათი უეცარი დაპატიმრება მოჰყვა.

ოთმარ შპანის ფილოსოფიურ-პოლიტიკურმა კონცეფციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სლოვაკეთის საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. როცა 1939 წელს სლოვაკეთი გამოეყო ჩეხოსლოვაკიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, – მისი პრეზიდენტის, კათოლიკე მღვდლის, იოზეფ ტისოს, ხელმძღვანელობით, – ქვეყნის სახელმწიფო იდეოლოგია მნიშვნელოვანწილად დაეყრდნო შპანის შეხედულებებს.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ოთმარ შპანის სწავლება თავისი მიზანსწრაფვით ანტილიბერალური და ანტისოციალისტურია, ის ემყარება ჰეგელისა და გერმანული რომანტიზმის იდეებს. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფოსს თავად არასოდეს მიუჩნევია თანამოაზრეებად არც ნაციონალ-სოციალისტები და არც ფაშისტები, ხოლო საკუთარ თავს აღიარებდა კათოლიკედ და მემარჯვენე კონსერვატორად. იგი ხედავდა "მორალურ რღვევას – ლიბერალიზმში, კულტურულ დამბლას – დემოკრატიის მეშვეობით, საბოლოო დეგრადაციას – სოციალიზმის მიერ". მას სასაცილოდ მიაჩნდა მარქსისტული თვალსაზრისი კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ.

მაგრამ მისთვის, ასევე, მიუღებელი იყო ინდივიდუალიზმი, ხოლო სამყაროსა და ადამიანთა ერთობის საფუძვლად იგი მიიჩნევდა უნივერსალიზმს. მისი აზრით, პირველადი საწყისია საზოგადოება როგორც მთლიანობა, ერთიანობა, ხოლო ცალკეული ადამიანი არსებობს ოდენ როგორც ამ საზოგადოების ნაწილი, – მთლიანის ნაწილი და მთლიანისაგან წარმოშობილი. ცხოვრების ყოველ დარგს და ყოველ ადამიანს მინიჭებული აქვს განსაზღვრული ასპარეზი, მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა კონკრეტული არე. ამდენად, საზოგადოება დახურული სისტემაა, რომელშიც ადამიანები ჩართული არიან არა ეგრეთ წოდებული კლასობრივი კუთვნილებით, არამედ თავიანთი საჯარო მოვალეობებით, – მათ შორის, მათი ეკონომიკურ-სამეურნეო დანიშნულებითაც. ამ მიზნებისა და მოვალეობათა გაცნობიერების შედეგად იქმნება იერარქიულად აგებული საზოგადოება, რომელიც ასრულებს ბელადის ნებას. ეს წინამძღოლი საგანგებოდ არის აღზრდილი და გამორჩეული.

ოთმარ შპანის მთავარი ნაშრომია “ნამდვილი სახელმწიფო” (1921), რომელშიც წარმოდგენილია გეგმა, – პლატონის ფეხდაფეხ, – თუ როგორ უნდა შეიქმნას წოდებრივი სახელმწიფო, რომელიც საბოლოოდ მოაწესრიგებს ურთიერთობებს ადამიანთა შორის, ხოლო საჯარო-სამოქალაქო ცხოვრება ამ სახელმწიფოში წოდებრივი იერარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდება.

თუმცა ფილოსოფოსი აღიარებდა სულიერ ერთობას, სულიერ საკრებულოს, რომელიც არ ცნობს არც რასას და არც ენას, ხოლო საკუთარ თავს გამოხატავს რელიგიის, ფილოსოფიის, ეთიკის, ხელოვნებისა და მეცნიერების განზომილებით. სწორედ ამგვარი საწყისები აერთიანებს ადამიანებს, – დროისა და ადგილის მიუხედავად. შპანი მკვეთრად ემიჯნებოდა ჰიტლერიზმს, რომლისაგან განსხვავებით, უსაფუძვლოდ მიიჩნევდა სისხლისმიერ კავშირს, ხოლო, სანაცვლოდ, თავად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა სულიერ კავშირს.

შპანი ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ ადამიანის, ინდივიდუალური პიროვნების იდეას, არამედ ეროვნებათა იდეასაც და მიიჩნევდა, რომ ეროვნულ პრინციპზე აღმოცენებული სახელმწიფოც ინდივიდუალიზმის გამოვლენაა (რაც მისთვის ნამდვილი ბოროტებაა!), ოღონდ სახელმწიფოთაშორის დონეზე.

1932 წელს ოთმარ შპანი გამოსცემს შთაგონებითა და განაზრებებით დატვირთულ წიგნს “ისტორიის ფილოსოფია”.

მას მიაჩნდა, რომ ისტორიაში არასოდეს მოქმედებს გარდაუვალობა, რადგან “ისტორიაში ყველგან ბატონობს თავისუფლება, მაგრამ ასევე, მოულოდნელობაც; როგორც ლოგიკა, ისე სულის ალოგიკურობაც”.

ფილოსოფოსის აზრით, ისტორიას წარმართავს ის ქმედითი ძალა, რომელიც ეფუძნება ადამიანთა დამოკიდებულებას ზებუნებრივი სამყაროს მიმართ, – რელიგიისა და ფილოსოფიის სახით.

იგი, საზოგადოდ, უკუაგდებდა პროგრესის იდეას და მას მიაჩნდა, რომ ადამიანის განვითარების მიმართულება უნდა იყოს არა წინ, არამედ – სიღრმისაკენ. “რაც უფრო ღრმად

იძირება ადამიანური სული საკუთარ თავში, რაც უფრო უახლოვდება ის მარადისობას, მით უფრო მეტად გადადის ისტორია მარადისობაში. ისტორია წყდება არა მყისიერად, არა რომელიმე განსაკუთრებულ წამს, არამედ რაც უფრო მეტად ჭვივის მასში მარადისობა", – მიიჩნევდა შპანი.

მისი შეხედულებით, "საჭიროა ყოველ აწმყოში წარსულის წვდომა, მაგრამ, ასევე, შემჩნევა და წვდომა ცოცხალი მომავლისა, რომელიც უკვე წინასწარ მყოფობს ყოველ აწმყოში (მაგალითად, ყოველ გეგმასა და ჩანაფიქრში)! კონკრეტული დრო არაა დაუნაწევრებელი ნაკადი, არამედ ის მუდამ წარმოადგენს წარსულისა და მომავლის ჩართვას აწმყოში. და ოდენ იმის წყალობით, რომ წარსული და მომავალი მასში ერთიანია, არსებობს აწმყო".

ხოლო მომავლის დამამკვიდრებელია ისტორიის შემოქმედი ორი სახეობის ადამიანი: ბრძენი, რომელიც ჭვრეტს და გმირი, რომელიც მოქმედებს. დანარჩენმა ადამიანებმა მათ უნდა მისდიონ.

ოთმარ შპანს სჯეროდა, რომ ადამიანის ბურჯი მოიპოვება არა მის პიროვნებაში, მის გამორჩეულობაში, არამედ – საზოგადოებაში, სახელმწიფოში, თუნდაც წოდებაში, რომელსაც იგი ეკუთვნის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ფილოსოფოსმა ვეღარ მონახა საკუთარი, პიროვნული საყრდენი, – რაკი მას იგი საერთოდ უარყოფდა, – ხოლო ირგვლივ გაბატონებულ წესრიგს განსაზღვრავდნენ ან კომუნისტები, ან სოციალისტები, ან მძაფრად ეგალიტარული ძალები, მან თავი უსუსურად და საფუძველგამოცლილად იგრძნო. მართალია, კომუნიზმი კოლექტივიზმს ქადაგებს, მაგრამ თანასწორობას ემხრობა, – იმას, რომ კოლექტივის ყველა წევრი თანაბარი უნდა იყოს (გამორჩეულთა ფიზიკური განადგურების შედეგად!), კიდევ იმას, რომ წოდებები და ფენები უნდა გაუქმდეს (ნებისმიერ წოდებათა და ფენათა მოსპობის შედეგად!), ხოლო შპანი ადამიანთა მთლიანობისა თუ სახელმწიფოს მოწყობის საუკეთესო, სანატრელ სახედ მიიჩნევდა წოდებრივად აწყობას, ყველა წოდებისათვის მისი განსაკუთრებული დანიშნულების მინიჭებას. ომისშემდგომი გარემომცველი სამყარო, – თუნდაც კოლექტივიზმის

მომხრე, მაგრამ თანასწორობის მხარდამჭერი, – ბუნებრივია, რომ მისთვის მიუღებელი, უცხო და მტრული იქნებოდა.

ამჟამად შპანის ნაშრომებზე მეტად მისი მოწაფეების წიგნები იკითხება. სწორედ ამ მოწაფეთა, – მსოფლიოში სახელგანთქმულ მკვლევართა, – შექმნილია: ოსკარ მორგენშტერნის თამაშის თეორია, ფრიდრიხ ჰაიეკის ღია საზოგადოების მოდელი, ერიკ ფეგელინის ფილოსოფიურ-პოლიტიკური კონცეფცია.

თუმცა ოთმარ შპანის წიგნების წაკითხვა დღესაც შინაარსიანი და ღირებულია. მისი ნაშრომების ფურცლებზე მკითხველს ნამდვილად მიიზიდავს დაძაბული აზრის, გაუცვეთელი აღქმის, საგანთა თუ მოვლენათა უჩვეულოდ დანახვის შთამბეჭდაობა.

ოქტომბერი, 1998

44

კარდინალი ალოიზიუს სტეპინაცი

1998 წლის 3 ოქტომბერს კათოლიკე ეკლესიის მეთაურის, იოანე პავლე მეორის, სტუმრობისას ხორვატიაში ნეტართა შორის შეირაცხა ზაგრების მთავარეპისკოპოსი, კარდინალი ალოიზიუს სტეპინაცი.

ჯერ კიდევ 1994 წლის სექტემბერში, ხორვატიაში წინა ყოფნისას იოანე პავლე მეორემ საუკეთესო სიტყვები არ დაიშურა ამ სახელოვანი მღვდელმსახურის მიმართ, რომელიც "ღმრთის ეკლესიის უგამორჩეულეს ხორვატ მოღვაწედ" მოიხსენია.

თუმცა კარდინალი სტეპინაცი სულაც არ ეხატებოდათ გულზე ჯერ იუგოსლავიის კომუნისტ მმართველებს, ახლა კი – მათ პოსტკომუნისტ მემკვიდრეებს, განსაკუთრებით, დღევანდელ სერბ ნაციონალისტებს, რომლებიც მას მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებთან თანამშრომლობას აბრალებენ. სერბებს დღემდე ვერ უპატიებიათ მისთვის, რომ 1940-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა სერბეთისა და ბოსნიის ნაწილი ხორვატიის შემადგენლობაში შედიოდა, სწორედ მისი სულიერი ხელმძღვანელობით, მეოთხედი მილიონი სერბი კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცა.

ხორვატებისათვის კი იგი რჩება სიმტკიცისა და ურყეობის, შეუვალობისა და დაუძლეველი ნების სიმბოლოდ, – ადამიანად, ვინც შეძლო ხორვატი ხალხის სულიერ მეთაურად დარჩენილიყო იმ ოთხი რეჟიმის განმავლობაში, რომლებიც მეოცე საუკუნის განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს მის სამშობლოში.

ალოიზიუს ვიკტორ სტეპინაცი 1898 წლის 8 მაისს დაიბადა მდიდარი გლეხის მრავალშვილიან ოჯახში, სოფელ ბრეზარიჩში, ზაგრების მახლობლად.

იმ დროს ხორვატია ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და ჭაბუკი სტეპინაციც, რომელიც, შესანიშნავი სასკოლო განათლების შეძენის შემდეგ, სასულიერო სემინარიაში გეგმავდა სწავლის გაგრძელებას, პირველი მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე ავსტრიული სამხედრო შენაერთის ოფიცრად მოხვდა. იტალიელთა შეტევისას იგი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ომის დამთავრების უმალ, გათავისუფლებისთანავე, მგზნებარე პატრიოტი ხორვატიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს უერთდება.

სასულიერო განათლებას იგი დაასრულებს რომში, სადაც, თეოლოგიისა და ფილოსოფიის ორმაგი დოქტორი, მღვდლად ეკურთხება. ახალგაზრდა მოძღვარი უმალვე ბრუნდება ახალშექმნილ სახელმწიფოში – სლოვენიელთა, ხორვატთა და სერბთა სამეფოში, თუმცა ქვეყანა მალე იუგოსლავიის სამეფოდ გარდაიქმნება.

1934 წელს, ოცდათექვსმეტი წლის ალოიზიუს სტეპინაცი ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული, – რომის კათოლიკე ეკლესიის ყველაზე ახალგაზრდა ეპისკოპოსად მთელ მსოფლიოში. სულ მალე იგი ზაგრების მთავარეპისკოპოსი და ხორვატიაში კათოლიკე ეკლესიის მეთაური ხდება.

იუგოსლავიაში სხვადასხვა რეჟიმთა მონაცვლეობისას, სტეპინაცი ყველა საჭირო შემთხვევისას მძაფრად აკრიტიკებს მთავრობას. ამგვარივე მკაცრი იყო იგი, როცა 1941 წელს ხორვატიის სახელმწიფო შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა მღვდელმთავრის მთელი ცხოვრების ოცნებასა და მიზანს წარმოადგენდა. როგორც კი მის ყურამდე მიაღწია ნაციონალისტური მთავრობის პირველივე უკანონობამ, მან უმალვე პროტესტით მიმართა ანტე პაველიჩს, ხორვატიის მმართველს.

1943 წლის ოქტომბერში, ზაგრების საკათედრო ტაძარში სტეპინაცის მიერ წარმოთქმულმა ქადაგებამ მთელი ქვეყანა შეძრა. მთავარეპისკოპოსი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა, ყველა ადამიანს მინიჭებოდა თანაბარი უფლება: ხორვატსაც და სერბსაც, კათოლიკესაც და მართლმადიდებელსაც, ებრაელსაც და მუსლიმსაც.

ამ დროს მისი სიტყვა იმდენად პირდაპირი და უშიშარი იყო, რომ, ქვეყნის მეთაურთა დადგენილებით, სტეპინაცის ქადაგებათა ბეჭდვა აიკრძალა, რის შემდგომ მათს გავრცელებას, – ხელნაწერის სახით, – თავად მორწმუნენი შეუდგნენ.

მისი შეუპოვარი მოწოდება ისმოდა საეკლესიო კათედრიდან მანამ, სანამ 1946 წელს ქვეყნის კომუნისტმა მმართველებმა მას თექვსმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მღვდელმთავარს ბრალად ედებოდა ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუმცა, როცა ომის განმავლობაში ხორვატმა ნაციონალისტებმა სერბების, ებრაელებისა და ბოშების დევნა წამოიწყეს, ზაგრების მთავარეპისკოპოსმა ნაციონალიზმი გამოაცხადა "მწვალებლობად და ყველაზე უარეს ჭირად, რაც კი კაცობრიობას ოდესმე დაჰმართია".

შემონახულია სტეპინაცის საიდუმლო განკარგულება ხორვატიის კათოლიკე სამღვდელოების მიმართ, რომლითაც იგი ავალებს ღმრთისმსახურებს, ყველაფერი იღონონ არა მარტო თანამორწმუნეთა, არამედ ქვეყნის ყოველი მოქალაქის გადასარჩენად. ცნობილია, როგორ დახმარებას უწევდა იგი, სხვა დევნილებთან ერთად, ხორვატ ებრაელებს.

მთავარეპისკოპოსი პატივს სცემდა ყოველი ადამიანის რელიგიურ არჩევანს, მაგრამ, ამავე დროს, მას მიაჩნდა, რომ განხეთქილებამ, როცა ბიზანტიური ქრისტიანული სამყარო გამოეყო ერთიან კათოლიკე ეკლესიას, დიდი განსაცდელი მოუტანა მთელ ევროპას, ხოლო ქრისტიანობის ბიზანტიურ შტოს, მისი შეხედულებით, "არც მორალი გააჩნია, არც პრინციპები, არც სიმართლე, არც სამართლიანობა, არც პატიოსნება". როგორც კათოლიკეს, მას სჯეროდა, რომ "სანატრელი იქნებოდა, სერბებიც დაჰბრუნებოდნენ თავიანთ მამათა სარწმუნოებას, ანუ მოედრიკათ თავი ქრისტეს მოადგილის – წმიდა მამის, რომის პაპის, წინაშე... რადგან ბიზანტიელობამ, ოსმალების მსგავსად, ისტორიულად შემზარავი როლი ითამაშა დედამიწის ამ ნაწილში".

იუგოსლავიაში კომუნისტების გაბატონების შემდეგ სტეპინაცი ხმას იმაღლებს მათ მიერ გაჩაღებული უკანონობის

წინააღმდეგ. იგი ღია წერილით მიმართავს იუგოსლავიის კომუნისტურ ხელმძღვანელობას, რომელსაც ბრალად აკისრებს ასობით კათოლიკე მღვდლის დახოცვას, დაპატიმრებას, გაუჩინარებას.

ამ შემთხვევისასაც კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ კომუნისტების ქმედება, დაფუძნებული ქრისტიანობის ზიზღზე, ყველგან ერთნაირად სასტიკი და დაუნდობელია.

იუგოსლავიის კომუნისტი დიქტატორი იოსიპ ბროზ ტიტო ცდილობს, გაურიგდეს ზაგრების მთავარეპისკოპოსს, შეხვდება მას და შესთავაზებს, დააფუძნოს და სათავეში ჩაუდგეს წმიდა საყდრისაგან დამოუკიდებელ, ეგრეთ წოდებულ ეროვნულ კათოლიკე ეკლესიას, რაზეც სტეპინაცი შეუპოვარ უარს განაცხადებს.

რაკი მისი დადუმება შეუძლებელია, იუგოსლავიის კომუნისტური მთავრობა შესთავაზებს მას, დატოვოს ქვეყანა, მაგრამ იგი არ თანხმდება. სულ მალე მღვდელმთავარს აპატიმრებენ და კატორღაში გაისტუმრებენ. სტეპინაცის ბოლო სიტყვა სასამართლოზე, რომელსაც მსოფლიოს პრესა გამოეხმაურა, ასე მთავრდებოდა: "ჩემი სინდისი სუფთა და მშვიდია; თქვენ არ გამამართლებთ მე, მაგრამ ისტორია გამამართლებს".

სწორედ ამ დროს ღვივდება ერთიანი კომუნისტური შეტევა კათოლიკე ეკლესიის წინააღმდეგ. სტალინისა და მის ერთგულ მიმდევართა სამიზნე, "ომის გაჩაღების მოსურნე ამერიკულ-ბრიტანულ იმპერიალიზმთან" ერთად, რომის კათოლიკე ეკლესია და მისი მეთაური, პაპი პიუს მეთორმეტე, ხდება.

ამ დროს კომუნისტური რეჟიმების მიერ ერთდროულად დატყვევებული არიან კათოლიკე კარდინალები: სტეფან ვიშინსკი – პოლონეთში, იოჟეფ მინდსენტი – უნგრეთში, იოზეფ ბერანი – ჩეხოსლოვაკიაში, იოსიფ სლიპი – უკრაინაში.

ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ, ზაგრების მთავარეპისკოპოსს საპატიმროდან ათავისუფლებენ, – სავარაუდოდ, საერთაშორისო გამოხმაურებათა გათვალისწინებით (დაწყებული უინსტონ ჩერჩილიდან, რომელმაც სტეპინაცის და-

საცავად სიტყვა წარმოთქვა ბრიტანეთის პარლამენტში), – და კიდევ ერთხელ ურჩევენ რომში გამგზავრებას, მაგრამ იგი ისევ მტკიცედ უარყოფს შემოთავაზებას, დატოვოს სამშობლო.

დარჩენილ წლებს, სიცოცხლის ბოლომდე, 1960 წლის 10 თებერვალამდე, ფიზიკურად გატეხილი ალიოზიუს სტეპინაცი, – უკვე კარდინალის ხარისხით, – შინაურ პატიმრობაში, თავის სოფელში, გაატარებს.

დღეს ხორვატიის ქალაქებში მისი ქანდაკებები დგას, ხოლო მისი სახელობის ქუჩები ასეულობით დაითვლება.

კარდინალ სტეპინაცის ნეტარად შერაცხვამდე ცოტა ხნით ადრე, ერთმა ხორვატმა თეოლოგმა თქვა: "იგი ბუმბერაზი ეპისკოპოსი იყო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი იმთავითვე არ ყოფილა დიდი პიროვნება, – დიდ პიროვნებად იგი ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა".

ოქტომბერი, 1998

45

სტუდენტური მღელვარებანი იტალიაში, 1968

1968 წელი იტალიისათვის არ ყოფილა ისეთი დაძაბული და მოუსვენარი, როგორიც იყო მეზობელ საფრანგეთში, ან თუნდაც უფრო შორეულ გერმანიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ ამ წელს დატრიალებული მოვლენების ანაბეჭდი იტალიური საჯარო-პოლიტიკური გარემოსათვის უფრო ხანგრძლივი და უფრო ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე სადმე სხვაგან.

ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, იტალიაშიც მღელვარებამ უნივერსიტეტის სტუდენტებში იფეთქა (სხვათა შორის, იმ წელს სტუდენტთა რიცხვი ქვეყანაში ნახევარ მილიონს გადასცდა).

ერთი მხრივ, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა ღარიბული ხელფასი აიძულებდა პროფესორებს, შემოსავლის წყარო სხვაგანაც ეშოვათ; თავის მხრივ, სტუდენტთა არცთუ ხელგაშლილი ცხოვრება მათ სამუშაოს აძებნინებდა ბარებში, რესტორნებში ან ბავშვებისა თუ მოხუცების მომვლელებად. ხოლო ეს მოუცლელობა, დაშორება, უნივერსიტეტიდან მეტ-ნაკლებად მოწყვეტა უთუოდ განაპირობებდა პროფესორთა და სტუდენტთა შორის ცოცხალი კონტაქტის გაწყვეტას. შესაბამისად, ჩნდებოდა ამბოხება-აჯანყებისათვის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელსაც რევოლუციონერები და ექსტრემისტ-კომუნისტები ყოველთვის თავიანთი მიზნებისათვის ან, მარტივად რომ ვთქვათ, პრობლემათა ძალადობრივი გზით გადაწყვეტისათვის იყენებენ ხოლმე.

იდეურად მოხეტიალე სტუდენტების მსოფლმხედველობითი მარაო კი მეტად ჭრელი იყო, – იყო აღფრთოვანება, ერთის მხრით, კამიუს, სარტრის, პავეზეს მემარცხენე

აზროვნებით, და, მეორე მხრივ, ჩე გევარასა და ჩინელ კომუნისტთა რევოლუციური საქმიანობით, რაც, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ტრადიციულ ღირებულებათა და, უპირველეს ყოვლისა, რელიგიისა და კულტურის განადგურებას ისახავდა მიზნად; იყო, ერთი მხრით, შთაგონება ადრეული მარქსისა და გვიანდელი ტროცკის იდეებით, და, მეორე მხრივ, ანტიამერიკანიზმის საფუძველზე წარმოშობილი პროსოვეტიზმი, – პატივისცემა საბჭოთა კავშირში გაბატონებული პოლიტიკური სისტემის მიმართ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კრემლისა და ბრეჟნევისეული პოლიტბიუროს პატივისმცემელთა რაოდენობა მაინც უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მაო ძედუნის, ფიდელ კასტროსა და ჰო ჩი მინის მოთაყვანეთა რიცხვი. ისიც აუცილებლად სათქმელია, რომ 1968 წლის მოძრაობის სრული დაშოშმინება როგორც იტალიაში, ისე მთელ ევროპაში უწინარესად განაპირობა აგვისტოს მიწურულს "პრაჰის გაზაფხულის", ანუ ეგრეთ წოდებული "ადამიანური სახის" ჩეხოსლოვაკიური სოციალიზმის ჩახშობამ საბჭოთა ტანკების მეშვეობით.

სტუდენტური მღელვარებანი იტალიაში კი უფრო ადრე დაიწყო, – ჯერ კიდევ 1967 წლის შემოდგომაზე, როცა სტუდენტები ტრენტოში, მილანში, ტურინსა თუ რომში უნივერსიტეტების შენობებს ძალით იკავებდნენ. 1968 წლის თებერვლისათვის კი სტუდენტთა მოძრაობამ მთელი იტალია მოიცვა, სამხრეთის ოლქებისა და კუნძულების ჩათვლით. როგორც მოსალოდნელი იყო, მშვიდობიანი მოძრაობა, რომელსაც კომუნისტ-ანარქისტი იდეოლოგები წარმართავდნენ, ძალადობაში გადაიზარდა.

როცა რომის უნივერსიტეტიდან პოლიციამ სტუდენტები გამოდევნა, მათ გადაწყვიტეს, ვილა ბორგეზეს ბაღში განლაგებული არქიტექტურის ფაკულტეტი იერიშით აეღოთ. პოლიციელთა მხრივ წინააღმდეგობას მოჰყვა სტუდენტთა მიერ ავტობუსებისა და მანქანების დაწვა, რასაც თან ერთოდა მძაფრი შეტაკებანი. რამდენიმე ათეული დაჭრილი (მათ შორის, ორმოცდაექვსი პოლიციელი) საავადმყოფოში მოხვდა. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე-

თა თუ სტუდენტთა შორის უმალ გაჩნდა მოწოდება: “ძალადობას ვუპასუხოთ ძალადობით!”.

თუმცა სიმართლე რომ ითქვას, რომის მოვლენების შემდეგ მოძრაობა დაღმართისაკენ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი დაპირისპირებანი კიდევ კარგა ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ძალადობაც ხანდახან მოსაწყენი ხდება, – მით უმეტეს, როცა მთლად ცხადად და ნათლად ისიც კი არაა დაზუსტებული, თუ რის წინააღმდეგ არის მიმართული რადიკალიზმი ან რას უჭერს ის მხარს.

კომუნისტური პარტია იტალიაშიც, ისევე როგორც საფრანგეთში, დაფრთხა (მიუხედავად იმისა, რომ ორივეგან ეს პარტიები ძლიერ პოლიტიკურ დაჯგუფებას წარმოადგენდა), – დაფრთხა იმიტომაც, რომ გაურკვევლობა სუფევდა მათს იდეურ ცენტრში, მოსკოვში, სადაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ევროპელი მემარცხენე რადიკალების შესახებ, რომლებიც ლენინის, ტროცკისა და მაო ძედუნის სახელებს ერთად ფიცულობდნენ. საბოლოოდ, იტალიის კომუნისტურმა პარტიამ ისიც კი განაცხადა, რომ მოძრაობა, მართალია, თავისი ჩანაფიქრითა და შინაარსით ანტიკაპიტალისტურია, მაგრამ, ამავე დროს, ის ანტიკომუნისტურიცაა, რამაც მეტად გააღიზიანა ახალგაზრდები. მთავარი ის იყო, რომ კომუნისტმა ფუნქციონერებმა და აჯანყებულმა სტუდენტებმა საერთო ენა ვერანაირად ვერ გამონახეს.

იმ დღეებსა და თვეებში მოწოდებებს დასასრული არ უჩანდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთის ხორცშესხმა მოხერხდა: სრულიად გარანტირებული იყო სექსუალური თავისუფლება მიტინგებისა და თავშეყრის მონაწილეთა შორის.

მალე მოძრაობამ თავი ამოწურა, მეამბოხეთა უმრავლესობა სტუდენტის მერხს მიუბრუნდა და ისევ განაგრძო სწავლა, ანუ ის საქმე, რასაც სტუდენტი ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, – თუნდაც თეორიულად, – თავის უმთავრეს საქმედ მიიჩნევდა.

ხოლო რადიკალებმა რადიკალურ, ან უფრო ზუსტად, ტერორისტულ რაზმებს მიაშურეს, – მათ შორის, სისასტიკი-

თა და უკანმოუხედაობით სახელგანთქმულ “წითელ ბრიგადებს”. სწორედ 1968 წლის შემოდგომაზე აღმოცენდა სხვადასხვაგვარი რევოლუციური დაჯგუფებანი: ლენინისტური “მუშათა ავანგარდი” და ტროცკისტული “ბრძოლა გრძელდება”, სტალინისტური “სტუდენტთა მოძრაობა” და მაოისტური “ხალხის სამსახური”.

მაინც, ბევრმა თვალი გაახილა და დაინახა, რომ ნამდვილი ღირებულებები, ნამდვილი მიზნები სრულიად სხვაგან უნდა ეძებნა.

ოქტომბერი, 1998

46

მარტინ ჰაიდეგერისა
და ჰანა არენდტის მიმოწერა

მეოცე საუკუნის – და არამარტო ამ საუკუნის – ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, მარტინ ჰაიდეგერი, დაქორწინებული მამაკაცი იყო და, როგორც ამბობენ, მას არასოდეს უფიქრია მეუღლესთან გაყრა, მაგრამ ამგვარ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში სატრფიალო ბარათები ეწერა ახ-ლობელი ქალებისათვის.

მეგობართა თუ არამეგობართა, კოლეგებსა თუ სტუ-დენტებს შორის საკმაოდ გავრცელებული იყო ხმები ჰა-იდეგერისა და ჰანა არენდტის, მისი ყოფილი სტუდენტისა და შემდგომ კოლეგის, იმგვარი ურთიერთობის შესახებ, რომელიც შორს სცილდებოდა სამეცნიერო თუ მეგობრუ-ლი კონტაქტების ფარგლებს. ფილოსოფიის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორისა და ნიჭიერი ებრაელი სტუდენტი გოგონას მღელვარე ურთიერთტრფო-ბას სათავე დაედო მარბურგის უნივერსიტეტში. თავდაპირ-ველად ლტოლვა ერთმანეთის მიმართ მეტად ინტენსიური ყოფილა, – განსაკუთრებით, პირველი სამი წლის განმავ-ლობაში. მაგრამ მალე ჰაიდეგერს უმჯობინებია (იგი ამ დროს დაქორწინებული მეუღლე და ორშვილიანი ოჯახის მამა იყო), თავისი გამორჩეული მოწაფე საიმედოდ გადა-ებარებინა კოლეგა კარლ იასპერსისათვის, რომელიც იმუა-მად ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ასწავლიდა.

მომავალმა სახელგანთქმულმა ფილოსოფოსმა, ჰანა არენდტმა, სწორედ იასპერსთან გაასრულა თავისი საუნი-ვერსიტეტო განათლება და მისივე ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: “სიყვარულის გაგება წმი-და ავგუსტინესთან: ფილოსოფიური ინტერპრეტაციის ცდა”,

– ნაშრომი, რომელშიც მკაფიოდ მჟღავნდება ჰაიდეგერის ფილოსოფიის გავლენა, თუმცა მასში იასპერსის ცალკეული შეხედულებანიც აირეკლა.

თუკი ჰაიდეგერისა და არენდტის როგორც აკადემიური, ისე პიროვნული კონტაქტები ამ ბოლო დრომდე ვარაუდებს ან გავრცელებულ ხმებს, ან, კიდევ, თანამედროვეთა მოგონებებსა თუ გადმოცემებს ეფუძნებოდა, ფრანკფურტში ახლახან დაბეჭდილი ოთხასოცდაათგვერდიანი წიგნი – "ჰანა არენდტისა და მარტინ ჰაიდეგერის მიმოწერა: 1925-1975 წლები" – მათი ურთიერთობის გარკვევის სანდო დოკუმენტურ საფუძველს იძლევა. საგულისხმოა, რომ ამ წიგნის გამოსვლას წინ უსწრებდა ჰაიდეგერ-იასპერსისა და არენდტ-იასპერსის მიმოწერის გამოცემა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ ვრცელ კრებულში, ჰაიდეგერის წერილებთან შედარებით, არენდტის წერილების წილი მეტად მცირეა. სავარაუდოდ, კოლეგა ქალისაგან განსხვავებით, ჰაიდეგერი ნაკლებად ზრუნავდა თავისი ყოფილი სტუდენტის ბარათების შესანახად, – როგორც ჩანს, ბევრ მათგანს, მეუღლისა თუ გესტაპოს ფაქტორის გათვალისწინებით, იგი შეგნებულადაც კი ანადგურებდა.

გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გაბატონებამ და მეორე მსოფლიო ომმა კარგა ხნით გაწყვიტა ჰაიდეგერისა და არენდტის კავშირი. ძალაუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლისთანავე ებრაელი ჰანა არენდტი უმალ გადასახლდა ჯერ საფრანგეთში, ხოლო შემდგომ – ამერიკაში, სადაც იგი მალე დაქორწინდა და უნივერსიტეტის წარმატებული პროფესორი გახდა. ომის შემდეგ კი, როცა მისი სამტომიანი ნაშრომი "ტოტალიტარიზმის წარმოშობა" ბევრი სტუდენტისათვის სავალდებულო საკითხავად იქცა, ჰაიდეგერს, – ნაციონალ-სოციალიზმისათვის ხანმოკლე მხარდაჭერის ბრალდებით, – კარგა ხნით აეკრძალა ბეჭდვაც და ლექციების ჩატარებაც. როცა, ბოლოს და ბოლოს, "ყოფნისა და დროის" ავტორს ნება დართეს, უნივერსიტეტში განეახლებინა მუშაობა, მემარცხენე სტუდენტებმა შენობის წინ საპროტესტო მიტინგები გამართეს და ის ფოტოები ააფრიალეს, სადაც აღბეჭდილი იყო ნაცისტურ უნიფორმაში გამოწყო-

ბილი ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი, მარტინ ჰაიდეგერი, რომელიც სტუდენტებს ნაციონალ-სოციალიზმის იდეების ერთგულებისაკენ მოუწოდებდა. ღირსშესანიშნავია, რომ ამ მღელვარე დღეებში არენდტი თავდაუზოგავად იცავდა თავის ყოფილ მასწავლებელს.

სხვათა შორის, თავად ჰანა არენდტს შემდგომ მოუხდა, საკუთარ თავზე ეწვნია გააფთრებული ჯგუფების დაუნდობელი თავდასხმა, როცა მას, ებრაელს, ისრაელის რადიკალურმა წრეებმა ბრალი დასდეს, რომ თავისი ნაწერებით იგი მხარს უჭერდა ანტისემიტიზმს.

თანდათანობით ფილოსოფოსი ქალი ისევ უბრუნდებოდა თავისი სიყმაწვილის აღიარებულ სულიერ სამშობლოს, ძველ საბერძნეთს, რომლის სიყვარულმა ასე დააახლოვა არენდტი და ჰაიდეგერი.

როდესაც ტოტალიტარისტულ იდეოლოგიასთან აღიარებული მებრძოლი, ჰანა არენდტი, 1950 წელს გერმანიაში ჩავიდა, ჰაიდეგერმა იგი თავის მეუღლეს გააცნო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ შორის მხურვალე მეგობრობა აღარ გაღვივებულა, – მათი ურთიერთობანი უკვე აღარ გასცილებია კოლეგურ ჩარჩოებს. ბოლო წლებში ისინი მისალოც და მოკითხვის ბარათებს უგზავნიდნენ ერთმანეთს.

ფრანკფურტში ახლახან გამოსული წიგნის საუკეთესო სტრიქონების მიგნება კი, ალბათ, იმ ფურცლებზე შეიძლება, სადაც მარტინ ჰაიდეგერი დაჟინებით იმეორებს, რომ არცერთ წამს არ შეუძლია ჰანას ლამაზი შავი თვალების დავიწყება.

ნოემბერი, 1998

47

ეკლესია და სახელმწიფო

შეუძლებელია, ეკლესია და სახელმწიფო არ უპირისპირდებოდეს ერთმანეთს, – ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ვითარებისას. თუკი სადმე და როდისმე ლაპარაკი ყოფილა მათს ან თანახმიერებაზე, ან თანამშრომლობაზე, ან თანასაქმიანობაზე, რომელიმე ბიზანტიურ "სიმფონიაზე", ყოველთვის ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ერთი იმორჩილებდა მეორეს ან, სულ მცირე, ერთი აღასრულებდა მეორის ნებას.

სახელმწიფოს მყარი წარმოდგენა აქვს, როგორი უნდა იყოს მოქალაქეთა სრულყოფილი ერთიანობა, როგორსაც ის, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, – კანონების, წახალისების, ხელშეწყობისა თუ დასჯის საშუალებით, – არასრულყოფილი ადამიანებისაგან აყალიბებს.

ეკლესიამაც იცის, როგორი უნდა იყოს მორწმუნეთა სრულყოფილი ერთიანობა, რომელსაც თავად ეკლესია წარმოადგენს. ეკლესია სრულყოფილია, წმიდაა, უცდომელია, თუმცა მისი წევრები არასრულყოფილნი – ცოდვილნი და ცდომილნი – არიან.

სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც სწადია ადამიანების აღზრდა, და ორივე თავის განმსაზღვრელ მიზნად ისახავს, რათა ისინი უკეთესნი გახდნენ, მაგრამ იმას, თუ როგორია ეს "უკეთესი", განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ დადგენილი წესები. წესის დამრღვევნი ისჯებიან: სახელმწიფოს მხრივ – ჯარიმების ან საპყრობილეების სახით (ზოგან – სიცოცხლის წართმევითაც), ეკლესიის მხრივ – სულიერი სასჯელით (მაგალითად, ზიარების უფლების ჩამორთმევით). თავიანთი ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს აქვს სამართლებრივი კანონმდებლობა, ეკლესიას – კანონიკური სამართლის კოდექსი.

ეკლესია თავისი მოძღვრებით უნივერსალურია: არ არსებობს ადამიანის ცხოვრების არცერთი სივრცე ან გარემოება, რომლის შესახებაც ეკლესიას არ ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისი მყარი და მკაფიო თვალსაზრისი (ორმა სრულმა ათასწლეულმა უზრუნველყო ადამიანის ყველანაირი მისწრაფების, ქმედებისა თუ საქმიანობის აღქმისა და შეფასების საშუალება). ეს თვალსაზრისი გადმოცემულია ეკლესიის მოძღვრების სახით.

თავის მხრივ, სახელმწიფო ყოველთვის და ყოველმხრივ ცდილობს, ყურადღების მიღმა – უკონტროლოდ – არ დარჩეს მისი არცერთი ქვეშევრდომისა თუ მოქალაქის არცერთი საქციელი (ნამდვილად ეს ყოველთვის ასეა!). ყოველი სახელმწიფო მკაფიოდ თუ ნაკლებად მკაფიოდ გამოავლენს თავის წარმმართველ მიზნებს (თუნდაც პარტიული დეკლარაციების სახით, რომელთაც ხელისუფლების მოპოვებამდე ან მოპოვების შემდეგ ამჟღავნებს მმართველი ან მმართველობის მოსურნე პარტია).

მაშინაც კი, როცა ან ეკლესია, ან სახელმწიფო საჯაროდ აცხადებს თავის ჩაურევლობას ერთმანეთის საქმეებში (ვთქვათ, როცა ეკლესია ამბობს, რომ მას არ აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმა, ან სახელმწიფო აცხადებს, რომ მას არ აღელვებს ადამიანების პირადი ცხოვრება, – და, შესაბამისად, მათი რელიგიური ცხოვრება), მისი ნამდვილი განხორციელება ვერასოდეს ხერხდება. ურთიერთჩაურევლობის საზღვრების მკაფიო მონიშვნა ნამდვილ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სრულიად შეუძლებელია და საკმარისია, ერთ-ერთმა მიიჩნიოს, რომ მეორემ გადალახა შეთანხმებული ფარგლები, უმალ ღვივდება მძაფრი დაპირისპირება: ეკლესია მიუღებლად მიიჩნევს ამა თუ იმ სახელმწიფო მმართველობას ან, საერთოდ ბრძოლას უცხადებს მას, ხოლო სახელმწიფო მკვეთრად ზღუდავს ეკლესიის უფლებებს ან, საერთოდ, მის განადგურებას დაისახავს მიზნად. უნდა ითქვას, ამგვარი მდგომარეობა უფრო გულწრფელია, – ორივე მხრიდან.

მთავარი, რაც განსხვავებულ უფლებას ანიჭებს ეკლესიას თუ სახელმწიფოს, ისაა, რომ სახელმწიფო თავის კანონიერებას ისევ იმავე ხალხის ნებას აფუძნებს, რომელსაც მართავს, ეკლესიის კანონიერება კი მეტაფიზიკურ ნებას ემყარება, – ღმრთის გამოვლენილ, გაცხადებულ ნებას, – რომლის მატარებლადაც და დამამკვიდრებლადაც მიიჩნევს ის საკუთარ თავს.

სახელმწიფოს საყრდენი დროებითი და წარმავალია, ეკლესიისა – მარადიული და წარუვალი.

ნოემბერი, 1998

48

კლოდ ლევი-სტროსი და ეპოქა

28 ნოემბერს ოთხმოცდაათი წლისა შესრულდა კლოდ ლევი-სტროსი, – ფრანგი ანთროპოლოგი, რომლის ნაშრომები არღვევს ეთნოლოგიურ კვლევათა საზღვრებს და თითქმის ერწყმის სოციალურ და კულტურულ ფილოსოფიას.

მსოფლიოში სახელგანთქმული მკვლევრის ხანგრძლივი ცხოვრება, რომელიც თანდათან უახლოვდება საუკუნოვან მიჯნას, არაერთ სამსჯელოსა და საფიქრალს აღძრავს. უეჭველია, მისი წიგნები, დაწერილი ბრწყინვალედ, მაშინაც გამოიწვევს ყურადღებასაც და კამათსაც, როცა მომდევნო საუკუნე დადგება.

მაგრამ ლევი-სტროსის ოთხმოცდაათი წლისთავის დღეს გაელვებასავით ჩნდება მკაფიო მიხვედრა, თუ მაინც რა ხანმოკლე აღმოჩნდა კომუნიზმი, რომლის მიმართ იგი არასოდეს ყოფილა გულგრილი: ბაბუასთან, ვერსალის რაბინთან, მცხოვრები ცხრა წლის ყმაწვილი უეჭველად საწერ მაგიდასთან იჯდა და წერდა (თუნდაც სასკოლო საშინაო დავალებას), როცა მის ყურს აუცილებლად მოსწვდებოდა ცნობა (საკმარისი ასაკია ამგვარი სიახლის აღსაქმელად და დასამახსოვრებლად!), რომ რუსეთში იმპერატორი დაამხვეს და ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს ვიღაც ბოლშევიკებმა (შესაძლოა, ძირძველ ოჯახში თანაგრძნობაც კი არ დაემალათ ლენინ-ტროცკისა და ზინოვიევ-სვერდლოვის მმართველობის მიმართ), მერმე კომუნიზმი მომძლავრდა, გაიფურჩქნა, მეორე მსოფლიო ომში ტრიუმფული გამარჯვება მოიპოვა, ლამის საფრანგეთშიც კი გაბატონდა, მერმე დაკნინდა, დაუძლურდა, განადგურდა, რის შემდგომ თითქმის ათწლეული გავიდა, ლევი-სტროსი კი ისევ მაგიდასთან

ზის და ისევ განაგრძობს წერას... ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ სასიხარულოცაა და ცხადიც!

ნოემბერი, 1998

P.S. კლოდ ლევი-სტროსი 2009 წლის 30 ოქტომბერს გარდაიცვალა, – რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე იგი ასერთი წლისა გახდებოდა. შინაარსით აღსავსე მისი ცხოვრება აღმოჩნდა უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ერთი საუკუნე და ვიდრე კომუნიზმი...

ოქტომბერი, 2022

49

დაზიანებული ბერძნული ბარელიეფი

ქალაქის შუაგულში, დომინიკელთა ბიბლიოთეკის თაროზე დევს რაინჰოლდ შნაიდერის ქრისტიანულ-შუასაუკუნეობრივი წიგნის – "ჭაბუკის" – ძველი, ომისდროინდელი გამოცემა, ნატიფად დაბეჭდილი ცალი, რომელსაც ერთვის სხვადასხვა ეპოქის ფერწერულ თუ სკულპტურულ ქმნილებათა რეპროდუქციები. მათგან პირველია რომელიღაც ძველი დაზიანებული ბერძნული ბარელიეფი, შესაძლოა, პართენონიდან: წარმტაცი გამოხედვის ყმაწვილს ჟამთა სვლაში ცხვირი მოსტეხია და, კლასიკური, ჰარმონიული ნაკვთების ნაცვლად, მაყურებელს შესცქერის რომელიმე ცხვირდაჟეჟილი მოკრივის ან აღმოსავლელი მოხეტიალის სახე. მაგრამ გულისყურით დაკვირვების შემდეგ ცხადი ხდება: მთელ სილამაზეს მას სწორედ მომტვრეული ცხვირი სძენს! რა უღიმღამო ან არაფრისმთქმელი იქნებოდა ეს სახე, დროს რომ დაენდო და ყმაწვილის ჩამონაკვთული ცხვირი ხელუხლებლად შეენახა, – ისეთივე მოსაწყენი და უსახური, როგორც ყველაფერი სწორი და გაწონასწორებული.

დეკემბერი, 1998

50

სანტა კლაუსი, ანუ წმიდა ნიკოლოზი

ფინეთის ერთ-ერთმა პროვინციამ, ლაპლანდიამ, დეკემბერში თავისი წარმომადგენლობა გახსნა ბრიუსელში, ხოლო გახსნის ოფიციალურ ცერემონიას წარმართავდა თეთრწვერა, წითელქუდიანი მოხუცი. როგორც მალე გაირკვა, ეს ხანშიშესული, მაგრამ ენაწყლიანი, ცოცხალი და ხალისიანი მამაკაცი ყოფილა, – არც მეტი, არც ნაკლები, – სანტა კლაუსი, ანუ წმიდა ნიკოლოზი, რომლის მისაკუთრებასაც კარგა ხანია ცდილობს ფინეთი. ამ ამბავმა ახალი წლის წინა დღეებში კიდევ უფრო გაამწვავა ხანგრძლივი დაძაბულობა, რომელიც ღიად თუ ფარულად ღვივის ჩრდილოევროპულ ქვეყნებს შორის, მაგრამ ამჯერად კამათმა სკანდინავიური ფარგლებიდან ევროკავშირის დაწესებულებებშიც გადაინაცვლა.

კარგა ხანია, თოვლის პაპის, ანუ სანტა კლაუსის სამშობლოობას იჩემებს ფინეთი, დანია და შვედეთი, თუმცა ამ პატივის მითვისებას ნორვეგიაც და ისლანდიაც ცდილობს. მართალია, პაექრობისას ყველაზე მეტ აქტიურობას, ჩვეულებრივ, ფინელები ამჟღავნებენ, მაგრამ შვედები ამტკიცებენ, რომ ნამდვილი თოვლის პაპა მათი სამშობლოს შუაგულიდან, პატარა ქალაქ მორადან, მოევლინა ქვეყანას. იგი იქ დღემდე თამაშობს პატარა ბავშვებთან, უზარმაზარ ბაღში, და თანაც იმ დროიდან მოყოლებული, როცა – ყინვისა და მარტოობისაგან შეჭირვებული – ჩრდილოეთ პოლუსიდან კონტინენტზე გადმოსახლდა. თუმცა მორას მცხოვრებლები მაინც მიდიან კომპრომისზე და მზად არიან, ფინელი თოვლის პაპაც აღიარონ, ოღონდ როგორც თავიანთი "ნამდვილი" თოვლის პაპის თანაშემწე და დამხმარე.

დანიელებს თავიანთი მეზობლების ეს ვარაუდები სასაცილოდაც არ ჰყოფნით, რადგან უეჭველად არიან დარწმუნებული, რომ სანტა კლაუსი ყოველთვის გრენლანდიაზე ცხოვრობდა, ხოლო ეს კუნძული კი უძველესი ხანიდან სწორედ

დანიას ეკუთვნის. მათი შეხედულებით, ყველა თოვლის პაპა იქიდანაა წარმოშობილი. ამიტომ ყოველწლიურად სწორედ გრენლანდიაზე იმართება თოვლის პაპების თავყრილობა, რომლის ერთ-ერთ სხდომაზე, გასული წლის მიწურულს, სანტა კლაუსებმა თავიანთი ფინელი კოლეგა ამ მეტად პატივსაცემი საზოგადოებიდან გარიცხეს, – რაკიღა მან მკაფიოდ და დამაჯერებლად ვერ ჩამოაყალიბა თავისი წარმოშობის თეორია.

მაგრამ გრენლანდიასთან, დანიაზე უფრო ახლოს, იმყოფება კანადა, რომელიც, რა თქმა უნდა, სკანდინავიური ქვეყანა არაა, მაგრამ ისიც არ ჩამორჩა სხვა ჩრდილოურ ქვეყნებს და არა მარტო ცდილობს სანტა კლაუსის მისაკუთრებას, არამედ იმითაც ამაყობს, რომ მის სახელზე ამ ქვეყანაში გაგზავნილი არცერთი წერილი უპასუხოდ არასოდეს რჩება. საქმე ისაა, რომ კანადაში ყოველი წლის ბოლოს სხვადასხვა ფოსტაში ათიათასობით მოხალისე იკრიბება, რათა ის წერილები, რომლებსაც სანტა კლაუსს უგზავნიან დედამიწის ამა თუ იმ წერტილიდან, ამ მოხალისეებმა გახსნან, წაიკითხონ და წერილის ავტორს – სანტა კლაუსის სახელით – საპასუხო ბარათი დროულად გაუგზავნონ.

ნორვეგიელთა პრეტენზიები უფრო მოკრძალებულია და ისინი აუღელვებლად ამტკიცებენ, რომ სანტა კლაუსი ოსლოდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ცხოვრობს.

რაც შეეხება ისლანდიელებს, მათი თვალსაზრისით, სანტა კლაუსი ჩრდილოეთ პოლუსიდან მათ ქვეყანაში გადმოსახლდა, რადგან ყინვისაგან გაბეზრებულმა მოხუცმა სწორედ ისლანდიურ გეიზერებთან გათბობა გადაწყვიტა.

მაგრამ ამ დღეებში კამათმა სამართლებრივი განზომილება შეიძინა, რაკი არსად ჩანს, რომ სანტა კლაუსს სარეგისტრაციო ნიშანი ჰქონდეს მოპოვებული. ასე რომ, სავარაუდოა, საუკუნოვანი კამათი კიდევ დიდხანს გასტანს.

მართალია, სანტა კლაუსი ნამდვილად ქრისტიანი წმიდანი, წმიდა ნიკოლოზია, რომლის დღესასწაული 6 დეკემბერს აღინიშნება, მაგრამ თეთრწვერა და წითელქუდიანი სანტა კლაუსის დათმობას ადვილად არავინ აპირებს.

დეკემბერი, 1998

1999

51

ახალი საუკუნე

მართალია, სულ რამდენიმე დღეა, რაც ახალი, 1999 წელი ჩამოდგა და ჯერ თითქოს შორია ამ წლის მიწურულამდე, მაგრამ უკვე კარგა ხანია, ფართოდ ღვივის კამათი იმის გამო, თუ ერთი წლის შემდეგ, ამ დროს, რისი აღნიშვნა მოგვიწევს: მომავალი, 2000 წლის პირველ დღეს ოდენ ახალი წლის დადგომა უნდა ვიზეიმოთ, თუ, ამასთანავე, ახალი საუკუნისა და, რაც კიდევ უფრო შთამაგონებელია, ახალი ათასწლეულის დაწყება.

ქრისტიანულ ევროპაში უკვე მრავალი საუკუნეა, რაც ახალი წლის აღნიშვნა ერთი კვირის სწორზე მოსდევს შობის დღესასწაულს, რომელიც რომის კათოლიკური, პროტესტანტული და ბიზანტიური ტრადიციების ქვეყნებში 25 დეკემბერს იზეიმება (ამ შემთხვევისას, საქართველო, რუსეთი, უკრაინა და სერბეთი იმ გამონაკლისს მიეკუთვნება, სადაც შობას ახალი წლის დადგომის შემდეგ, 7 იანვარს, აღნიშნავენ).

იესო ქრისტეს შობასთან დაკავშირებით საიუბილეო თარიღი აშკარაა და კამათს არ იწვევს, – აღმოსავლეთის თუ დასავლეთის ქრისტიანები მაცხოვრის დაბადების 2000 წლისთავს (თუნდაც სიმბოლურად) მომავალ შობადღეს მიესალმებიან: წლევანდელი წლის მიწურულს ან, საქართველოსა და რუსეთში, მომავალი წლის 7 იანვარს.

ქრისტიანთათვის ზეიმი მთელი წელი გასტანს, – მაგალითად, კათოლიკე ეკლესიის მეთაური, პაპი იოანე პავლე მეორე, მომავალ შობას გახსნის წმიდა პეტრეს ტაძრის საზეიმო კარიბჭეს, რომელიც 2001 წლის ნათლისღებამდე, 6 იანვრამდე, ღიად დარჩება. ასევე, 2000 წელი კათოლიკეთათვის გამოცხადდება საიუბილეო წლად, რაც, ბიბლიური ტრადიციით, ნახევარ საუკუნეში ერთხელ ხდება, – ყოველი ორმოცდამეათე წლის დადგომისას.

მაგრამ უფრო რთულადაა საქმე, როცა უნდა განისაზღვროს ახალი საუკუნის თუ ახალი ათასწლეულის დადგომა, რომლის შესახვედრადაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში საყოველთაო დღესასწაულის ჩასატარებლად ემზადებიან. კითხვა (და პრობლემა) კი ამგვარია: კერძოდ, როდის დაიწყება ეს ახალი საუკუნე – 1999 წლის 31 დეკემბერს თუ 2000 წლის 31 დეკემბერს?

სხვადასხვა ეპოქის ადამიანები, რომლებიც მძაფრად განიცდიდნენ თავიანთ მიუსაფრობას დროის უკიდეგანო მდინარებაში, განუწყვეტლივ ცდილობდნენ, მოენიშნათ ეს დრო რაღაც მიჯნებით, ზღვრებით, ნიშანსვეტებით, ზღურბლით, – ამ დანიშნულებას კი ასრულებდა როგორც კოსმოსური, ისე რელიგიურად თუ ისტორიულად გამორჩეული, მნიშვნელოვანი ფაქტები.

ძველი ასტრონომებისა და ქურუმების მცდელობით, წელიწადის დროები, თვეთა ციკლები თუ ხელმწიფეთა აღსაყდრების თარიღები ემსახურებოდა წელთაღრიცხვის სისტემაში წესრიგისა და ერთიანობის შეტანას. ძველი რომაელები, მაგალითად, წლებს თავიანთი ქალაქის დაფუძნებით აღრიცხავდნენ, თუმცა ეგრეთ წოდებული იულიუსის კალენდარი, რომელსაც ეს სახელი იულიუს კეისრის პატივსაცემად ეწოდა, მიზნად ისახავდა დღეთა, თვეთა და წელთა ათვლა მზის წელიწადთან ყოფილიყო შეთანხმებული. მაგრამ როცა საუკუნეების განმავლობაში გამოაშკარავდა, რომ ის მეტად არაზუსტი იყო, რომის პაპმა, გრიგოლ მეცამეტემ, 1582 წელს შემოიღო კალენდარი, რომელიც გრიგოლის კალენდრის სახელითაა ცნობილი და რომლითაც დღეს მსოფლიოს უდიდესი ნაწილი სარგებლობს.

როგორც საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამბობენ, ეს კალენდარი იმდენად ზუსტია, რომ მზის წელიწადს ის ერთი დღე-ღამით მხოლოდ 4500 წელს ასცდება. თუმცა გრიგოლის კალენდრის მიღებას ევროპასა თუ სხვა კონტინენტებზე მაინც ხანგრძლივი დრო დასჭირდა. ამ კალენდრის შემომღებთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი იყო რუსეთი, რომელმაც ის 1918 წელს, ბოლშევიკური დეკრეტის საფუძველზე, ოფიციალურ კალენდრად გამოაცხადა და საბერძ-

ნეთის სამეფო, სადაც ბერძნულმა ეკლესიამ ის 1924 წელს აღიარა. თუმცა რუსულმა და, აგრეთვე, ქართულმა ეკლესიებმა არ ცნეს გრიგოლის კალენდარი, რის შედეგადაც სამოქალაქო და საეკლესიო თარიღები ერთმანეთისაგან ცამეტი დღითაა აცდენილი.

რაც შეეხება წელთაღრიცხვას, მიღებულია მისი დათარიღება, ერთი მხრივ, "ქრისტეს შობამდე" და, მეორე მხრივ, "ქრისტეს შობის შემდეგ", რასაც არაქრისტიანულ ქვეყნებში, მათ შორის საბჭოთა კავშირში, დაჟინებით გაურბოდნენ და ევფემისტურად ანაცვლებდნენ "წელთაღრიცხვით": "ჩვენს წელთაღრიცხვამდე" და "ჩვენი წელთაღრიცხვით".

დადასტურებულია, რომ ამ წელთაღრიცხვის შემქმნელი, მეექვსე საუკუნის ის მწიგნობარი მონაზონი, დიონისე მცირე, რომელმაც 532 წელს იესო ქრისტეს დაბადების თარიღის გამოთვლა მოინდომა, რამდენიმე წლით შეცდა, – ზოგიერთის აზრით, შესაძლოა, შვიდი წლითაც კი. ასე რომ, იესოს შობის თარიღი და მომავალი 2000 წლოვანი იუბილე, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს (მით უმეტეს, სრულიად სიმბოლურია 25 დეკემბერი როგორც იესოს დაბადების დღე).

მაგრამ მაინც გასარკვევია, როდის დაიწყება ახალი საუკუნე და ახალი, მესამე ათასწლეული? უეჭველად და ერთმნიშვნელოვნად – 2001 წლის 1 იანვარს, რადგან ყოველი საუკუნე მოიცავს ას წელს და არა ოთხმოცდაცხრამეტს, ხოლო მომავალი 2000 წელი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეს ეკუთვნის.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ შემთხვევისასაც, ისევე, როგორც არცთუ იშვიათად, საყოველთაო რწმენა უფრო ძლიერია, ვიდრე დასაბუთებანი თუ მტკიცებანი.

ამიტომ, ერთი წლის შემდეგ, 2000 წლის პირველ დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახალი ათასწლეულის შესახვედრად ემზადებიან. როგორც ჩანს, ორიანს მოყოლებული სამი დაძაბული ნული უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე გულგრილი ერთიანით დამთავრებული რიცხვი.

იანვარი, 1999

52

ქრისტიანობა კომუნისტურ კუბაზე

ვისაც ცხოვრების გარკვეული ნაწილის გატარება განგებამ რომელიმე კომუნისტურ ქვეყანაში არგუნა, შესაძლოა, ახსოვდეს, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ყოველწლიურად, 1 იანვარს, ახალი წლის მოსვლის გარდა, საზეიმოდ აღინიშნებოდა ეგრეთ წოდებული კუბის რევოლუციის თარიღი, ანუ 1959 წლის დასაწყისში სახელმწიფო გადატრიალებისას, ფიდელ კასტრო რუსის მეთაურობით, მეამბოხეთა გამარჯვება და კუნძულზე მათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

მართალია, კომუნისტურ სახელმწიფოთა ბლოკი ცოტა ხნის წინათ დაიშალა და, შესაბამისად, კომუნისტური დღესასწაულები წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ კუბაზე ბევრი არაფერი შეცვლილა. ამიტომ, წლევანდელ 1 იანვარს კუნძულზე იქაური რევოლუციის ორმოცი წლისთავი აღინიშნა. განვლილი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანას ისევ სათავეში უდგას კომუნისტი დიქტატორი, ამხანაგი ფიდელი, რომლის პოლიტიკურ ორიენტირებსა თუ მმართველობის ხერხებში დიდად არაფერი შეცვლილა, – ერთი გამონაკლისის გარდა: ჩამთავრებული წლის მიწურულს მასმედია მხურვალედ გამოეხმაურა შესამჩნევ ცვლილებას კუბელების ცხოვრებაში, – კერძოდ, მაცხოვრის შობის ოფიციალურ დღესასწაულად დაწესებას და მის გამოცხადებას დასვენების დღედ.

აღსანიშნავია, რომ ოცდაათი წლის წინათ ქვეყანაში შობის აღნიშვნა აიკრძალა, რაკი, თავად კასტროს განმარტებით, ის ხელს უშლიდა შაქრის ჭარხლის მოწევის სამუშაოებს. ეს ქრისტიანული დღესასწაული, საერთოდ, ნებადართული გახდა მხოლოდ 1997 წლის მიწურულს, – რომის პაპის, იოანე პავლე მეორის კუბაზე სტუმრობის წინ, – რაც

იმჯერად გამონაკლისად მიიჩნიეს. ახლახან კი შობა უკვე სახელმწიფო დღესასწაულად იქნა აღიარებული.

დიქტატორის ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ყურადსაღებია თავად ფიდელ კასტროს დამოკიდებულება რელიგიისა და, კერძოდ, კათოლიკური სარწმუნოების მიმართ, – ყურადსაღები და ნიშანდობლივი, რადგან მეოცე საუკუნის მიწურულის კომუნისტები თავს შორს იჭერენ ადრეულ კომუნისტ-კომკავშირელთა ღმრთისმგმობელობისა თუ ეკლესიის სრული მოსპობის მცდელობისაგან და, რაკი ქამელეონობა მათთვის ისტორიულად სრულიადაც არაა უცხო, დღეს ისინი, – რაც უნდა უცნაური და დაუჯერებელი იყოს, – ქრისტიანულ ფასეულობათა ერთგულებას იჩემებენ.

თავად ფიდელის სიტყვებით, "ქრისტეს მოძღვრება თავისი არსით რევოლუციურია და მთლიანად ემთხვევა სოციალიზმის მიზნებს". ეკლესიასა და კომუნისტებს შორის განუწყვეტელი კონფლიქტის ახსნას კი უკვე ასაკით დამძიმებული დიქტატორი ამგვარად ცდილობს: "ნამდვილი მარქსისტები არ ენდობიან ყალბ ქრისტიანებს, ნამდვილი ქრისტიანები კი – ყალბ მარქსისტებს". დემაგოგიასაც კომუნისტები არსად და არასოდეს მორიდებიან! სხვათა შორის, კუბელი ბელადი ამჟამად უკვე სიამაყით იმასაც აღნიშნავს, რომ, სხვა მარქსისტულ ქვეყანათაგან განსხვავებით, მისი ორმოცწლიანი ბატონობის განმავლობაში კუბაზე ერთი ტაძარიც არ დახურულა.

როდესაც 1998 წელს ჰავანაში ჩე გევარას, – ფიდელის ბურუსით მოცული თანამებრძოლისა და სახელგანთქმული საერთაშორისო ტერორისტის, – მემორიალი გაიხსნა, ქვეყნის შეუზღუდავმა მმართველმა და ბატონ-პატრონმა ჩე გევარას სოციალიზმის მოწამე უწოდა და თან საგანგებოდ აღნიშნა, რომ სწორედ იგი ასახიერებდა იმ უმაღლესი ტიპის ადამიანს, სანიმუშოსა და მისაბაძს, რომლის შესახებ საუბრობს სახარება და მოციქულთა წერილები.

კათოლიკურ წრეებში ერთ დროს მეტ-ნაკლებად გავრცელებული "განთავისუფლების თეოლოგია", რომელიც 1960-1970-იან წლებში ფართოდ მოედო ლათინური ამერი-

კის ქვეყნებს და რომლის მიზანსაც, შემქმნელთა და გამავრ-ცელებელთა ჩანაფიქრით, კათოლიკური მოძღვრებისა და მარქსისტული კომუნიზმის შერწყმა წარმოადგენდა, კასტ-როს მიაჩნია "ქრისტიანობის შეხვედრად თავის ნამდვილ ძირებთან, თავის ყველაზე შესანიშნავ, ყველაზე გმირულ და ყველაზე სახელოვან ისტორიასთან".

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ეგრეთ წოდებული "განთა-ვისუფლების თეოლოგია" მნიშვნელოვანწილად სწორედ კუბელ კომუნისტთა მაგალითით იყო შთაგონებული. ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერთან, კარლოს ალბერტო ლიბანიო ქრისტოსთან, ანუ ძმა ბეტასთან კასტროს ვრცე-ლი საუბრები, რომელიც, სხვათა შორის, ოცდასამი საათი გრძელდებოდა, ცალკე წიგნადაა გამოცემული, სახელწო-დებით – "ფიდელი და რევოლუცია".

თუ ყურადღების მიღმა არ დარჩება, რომ ფიდელ კასტ-როს, სხვა კოლეგა კომუნისტთაგან განსხვავებით, უკეთესი თეოლოგიური განათლება აქვს შეძენილი, რადგან თავის დროს, სიყმაწვილე-სიჭაბუკეში, იგი იეზუიტურ სკოლაში სწავლობდა, იმის აღიარებაც უპრიანი იქნება, რომ ეს წიგნი უთუოდ გამოადგებათ ამჟამინდელ ფერშეცვლილ კომუნის-ტებს, რომლებიც დღეს, სანთლებით ხელში, გულმხურვა-ლედ ლოცულობენ ტელეკამერების წინ, თუმცა სულ რამ-დენიმე წლის წინათ შობასა თუ აღდგომაზე ტაძარში მოსულ მორწმუნეებს კარიბჭესთან უსათრდებოდნენ და მილიციის განყოფილებებში მიაქანებდნენ.

იანვარი, 1999

53

რობოტების ბატონობა
და კაცობრიობის მოახლოებული დაისი

კარზე 2050 წელი ჩამომდგარა. დედამიწას მთლიანად მართავს კომპიუტერები, რომელთა გონებრივი შესაძლებლობები მრავალჯერ აღემატება ადამიანური აზროვნების უნარებს. საერთოდაც, ადამიანების რაოდენობა დედამიწაზე მკვეთრად შემცირებულა, ხოლო ის მეტად მცირერიცხოვანი მოსახლეობა, რომელიც დარჩენილა თუ გადარჩენილა, ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთნი მონებად ემსახურებიან გონიერ მანქანებს და მათი ყოველდღიური ცხოვრება მეტისმეტად ჰგავს კომუნისტური ან ნაციონალ-სოციალისტური საკონცენტრაციო ბანაკების წესებსა თუ პირობებს, ხოლო, მათ გარდა, დედამიწაზე კიდევ შემორჩენილა ადამიანები, რომლებიც არ დამორჩილებიან გონიერ მანქანათა ბატონობას, მაგრამ, ნახევრადგაველურებულნი, თავის გადარჩენას და საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებას სადღაც, ჯურღმულოვან მიწისქვეშეთში, ცდილობენ.

უნდა ითქვას, რომ მომავლის სურათი არც ისე უცნობი და მოულოდნელია, – შესაძლოა, განსხვავებული იყოს დეტალები, ან განსხვავებული იყოს მომავალი ადამიანური კატასტროფის თარიღი, – მაგრამ კაცობრიობის ისტორიის ამგვარი აპოკალიფსი არაერთხელ აღბეჭდილა ლიტერატურაშიც და ხელოვნებაშიც: დაწყებული – ჰერბერტ უელსიდან თუ კარელ ჩაპეკიდან (სხვათა შორის, ჩაპეკისავე შექმნილია სიტყვა "რობოტი"), დამთავრებული – დღევანდელი ჰოლივუდური ტრილერებით. თუმცა საქმე ისაა, რომ ის ვიზიონი, მომავლის ის ხედვა, რომელიც ზემორე იყო წარმოდგენილი, სულაც არ ეკუთვნის სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს: უახლოესი მომავლის ეს სურათი დაწვრილებითაა აღწერილი ახლახან გამოსულ წიგნში – "რობოტების განთიადი – კაცობრიობის

დაისი”, რომლის ავტორია კიბერნეტიკის ბრიტანელი პროფესორი, კევინ უორვიკი, და რომელსაც აკადემიურ თუ არააკადემიურ წრეებში ამ დღეებში შესამჩნევი გამოხმაურება მოჰყვა. წესითა და რიგით, ტექნიკური დარგის სპეციალისტი, მით უმეტეს, თუკიღა იგი პროფესიით ინჟინერია, – განსხვავებით მწერალთაგან თუ კინორეჟისორთაგან, – თავის ვარაუდებსა და წარმოდგენებს კი არ გვამცნობს, ჰუმანიტარული დარგების მიმდევართათვის ჩვეულ გაფრთხილებას კი არ გვთავაზობს მოსალოდნელ განსაცდელთა ასარიდებლად, არამედ მეცნიერულ კვლევათა იმგვარ შედეგებს გვიზიარებს (და გვაზიარებს), რომლებიც სამეცნიერო ფანტასტიკის ნიმუშთაგან იმით განსხვავდება, რომ თეორიულად არის (ან უნდა იყოს!) დასაბუთებული.

აღსანიშნავია, რომ თავად კევინ უორვიკის ექსტრავაგანტური ფიგურა დასამახსოვრებელი გახდა კომპიუტერული მართვის ისტორიაში იმ გამორჩეული ექსპერიმენტის გამო, რომელიც შარშან, 1998 წლის აგვისტოს მიწურულს, ბრიტანულ რედინგში ჩატარდა.

სრულიად უჩვეულო ოპერაციისას ქირურგმა ჯორჯ ბულოსმა პროფესორ უორვიკს იდაყვს ზემოთ სილიციუმის ამპულა შეუყვანა. ეს ქირურგიული ჩარევა, საექიმო თვალსაზრისით, სრულიად მარტივი და უმტკივნეულო იყო, მაგრამ ამ ოპერაციით ტექნოლოგიურმა განვითარებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და აქამდე აკრძალული კიდევ ერთი კარი შეაღო: ისტორიის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ადამიანის სხეული კომპიუტერულ ქსელს შეუერთდა. იმპლანტანტი იყო ოცდახუთი მილიმეტრის სიგრძისა და სამი მილიმეტრი სისქის შუშის ამპულა, რომელიც მეცნიერის სხეულში რამდენიმე კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. იმუამად უორვიკი კაცობრიობის ან თუნდაც ტექნოლოგიის ისტორიაში აღმოჩენის შესაძლებლობას გაეთამაშა: ფაქტობრივად, იგი დედამიწაზე პირველი კიბორგი აღმოჩნდა (კიბორგი, – სამეცნიერო-ფუტუროლოგიურ ენაზე, – ადამიანისა და მანქანის შენაერთს ნიშნავს).

ოპერაციის შედეგად, საკმარისი იყო, პროფესორს შენობაში შეებიჯებინა, ანუ მისი სხეული, დაკავშირებული კომპი-

უტერულ ქსელთან, სამუშაო ადგილას გამოჩენილიყო, რომ რადიოსიგნალი უმალ მიეწოდებოდა დაწესებულების ცენტრალურ სამართავს. ამდენად, ამგვარ მდგომარეობაში იგი უკვე თავისი ფიზიკური ყოფნით, საკუთარი სხეულით ადასტურებდა თავის ვინაობას, იღებდა უნივერსიტეტის კორპუსში შესვლისა და საკომპიუტერო სისტემაში ჩართვის უფლებას. შემდგომ, დღის განმავლობაში, შენობაში მისი ყოფნისას, ნებისმიერ ადგილას, შესაძლებელი გახდა მისი მიგნება. როგორც კი მეცნიერი დერეფანში გაივლიდა, უმალ ინთებოდა შუქი, ან კიდევ, თუკი იგი რომელიმე კომპიუტერს ოდნავ შეეხებოდა, ის უმალ ჩაირთვებოდა.

ექსპერიმენტის ავტორები ამბობდნენ, რომ ამ სიახლის საშუალებით მომავალში გაადვილდება დაკარგული ბავშვების თუ გაქცეული პატიმრების პოვნა; პატრონის გარდა, ვერავინ შეძლებს ბანკომატით სარგებლობას ან გაჩერებული მანქანის დაძვრას. ამასთანავე, საიდენტიფიკაციო თუ საბანკო ბარათისაგან განსხვავებით, სხეულში იმპლანტირებულ ამ ტიპის ამპულას დაკარგვა არასოდეს ემუქრება.

ამავე მკვლევართა აზრით, მომავალში ამგვარ ოპერაციათა შედეგად დაუბრკოლებლივ მოხერხდება თანამშრომელთა შეუზღუდავი კონტროლი დამქირავებლის მხრივ: სრულიად დაუფარავი გახდება, როდის მოდის ეს თანამშრომელი სამსახურში ან როდის მიდის იქიდან, ვისთან საუბრობს და – რამდენ ხანს, ვის ოთახში შეჩერდება ხოლმე ხანგრძლივად სამუშაო დროის განმავლობაში ან რამდენჯერ შევა საპირფარეშოში.

ამგვარი სიუჟეტების მოსმენაც და წაკითხვაც ცოტათი შემაშფოთებელია, ცოტათი საზარელია, ცოტათი მითოსურ-ლეგენდური გოლემისა თუ ზომბის ფიზიკურ განხორციელებას ჰგავს, ცოტათი – ორუელის ან ჰაქსლის დისტოპიური რომანების ხორცშესხმას.

სულ ახლახან კი, როგორც ითქვა, პროფესორმა უორვიკმა ისევ მიიპყრო არა მარტო მკვლევართა, არამედ, ასევე, ჟურნალისტთა და მასმედიის ყურადღება სწორედ თავისი ახალი წიგნის, – "რობოტების განთიადი – კაცობრიობის დაისი", – წყალობით. ამ ნაშრომში მეცნიერი ამტკიცებს, რომ კიბერნეტიკის

განვითარება შესაძლებელს გახდის იმდენად სრულყოფილი მანქანების შექმნას, რომლებიც რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ადვილად შეძლებენ ადამიანის სრულ დამონება-დამორჩილებას.

წიგნის პირველსავე თავში (მანამ, სანამ უგულისყურო მკითხველს წიგნის კითხვა მოსწყენია და მიუტოვებია!) ავტორი ხატავს სურათს, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ გველის და რომელიც ზემორე იყო მოკლედ გადმოცემული. უნდა ითქვას, სურათი შთამბეჭდავია, მით უმეტეს, როცა ის წარმოსახულია კიბერნეტიკის პროფესორის მიერ, მაგრამ მკითხველი მეცნიერისაგან, პირველ ყოვლისა, მაინც მეცნიერულ მსჯელობასა და მეცნიერულ დასაბუთებას ითხოვს, ხოლო ამ განზომილებით კი, წიგნში, როგორც საქმის მცოდნენი ამტკიცებენ, ყველაფერი ვერ არის რიგიანად მოწესრიგებული.

პროფესორ უორვიკის ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ხსენებული შარშანდელი ექსპერიმენტი, რომლის დროსაც, ავტორის თვალსაზრისით, პირველად განხორციელდა ადამიანისა და მანქანის დაკავშირება ერთმანეთთან, ადამიანის სხეულის პირდაპირი კონტაქტი კომპიუტერთან. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ გახმაურებული ექსპერიმენტისას უორვიკის სხეული სულაც არ აპირებდა ურთიერთობას მანქანასთან, ან მისადმი მორჩილებას. უბრალოდ, საკონტაქტო ელემენტი იმჯერად, – კონკრეტული ოპერაციის შედეგად, – ადამიანის სხეულში იმყოფებოდა და არა მაგიდაზე, ან იმავე ადამიანის ჯიბეში, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მაგალითად, ტელევიზორის სამართავი პულტის გადაყლაპვა და მისი აღმოჩენა ადამიანის კუჭში (რაც დიდ გურმანულ შთაბეჭდილებებთან, ალბათ, არ უნდა იყოს დაკავშირებული!), სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დამყარდა კონტაქტი ტელევიზორსა და ადამიანის სხეულს შორის.

მეცნიერის აზრით, კიბერნეტიკა იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ, ადრე თუ გვიან, კომპიუტერული "გონება" აუცილებლად აჯობებს, დაჯაბნის ადამიანურ გონებას. ეს მოსაზრება უორვიკის თეორიის პირველი წანამძღვარია, მეორე კი ისაა, რომ, მისი შეხედულებით, ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა კიბერნეტიკული სისტემა, რომელიც წინასწარვეა დაპ-

როგრამებული თავისი გენეტიკური წყობით. როგორც წიგნის ერთი რეცენზენტი წერდა, თუ ამ ორ მტკიცებას დავიჯერებთ, მაშინ ისღა დაგვრჩენია, საკუთარი საბანკო დანაზოგი, მანქანის გასაღები და მარკების კოლექცია ჩვენს კომპიუტერს ჩავაბაროთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ერთ მშვენიერ (თუ არამშვენიერ!) დღეს ჩვენს საფიქრალს ის უჩვენოდ და ჩვენზე უკეთ მოაგვარებს.

კრიტიკოსები, რომლებიც პროფესორ უორვიკის ახალ წიგნს გამოეხმაურნენ, სულაც არ აღიარებენ, რომ ადამიანი ღმრთის სახედ და ხატადაა შექმნილი (როგორც ყოველ ქრისტიანს აქამდე სჯერა და სწამს!), მაგრამ იმას კი ამტკიცებენ, რომ მეცნიერის ორივე წანამძღვარი მცდარია. თავისთავად, თვალსაზრისი, რომ კომპიუტერების განვითარება კანონზომიერად მიიყვანს მათ ადამიანური გონების პარამეტრებამდე, უნდა ითქვას, არც ისე უეჭველია. დღემდე, მაგალითად, მეცნიერების ვერცერთ დარგს ვერ უპოვია პასუხი, თუ როგორ ფუნქციონირებს ადამიანის გონება თვითშემეცნებისას, წარმოსახვისას, ემოციათა წარმოშობისას, ან კიდევ მაშინ, როცა რასმე ქმნის. მით უმეტეს, ცოტათი დაუჯერებლად ჩანს (ყოველი შემთხვევისას, უახლოეს ათწლეულებში მაინც), რომ მეცნიერებმა შეძლონ, ამგვარი უნარები ადვილად გამოუმუშაონ მანქანებსაც. რობოტი კი, ამგვარ თვისებათა გარეშე, შესაძლოა, ცალკეული მახასიათებლებით ადამიანს სჯობნიდეს, მაგრამ ადამიანი, როგორც მთლიანობა, მისთვის, საბედნიეროდ, დაუძლეველი რჩება. ყოველ შემთხვევისას, გამოკვლევებს ამ მიმართულებით ჯერ პრინციპულად არაფერი გაუკეთებია და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, დღემდე მხოლოდ უსასრულო (და უშედეგო) კამათი მიმდინარეობს, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ამგვარ მახასიათებელთა გადაცემა მანქანისათვის.

ამავე საფუძვლით, ჩანს, შეიძლება ეჭვის გამოთქმაც, რამდენად სწორი და გამართულია უორვიკის მეორე წანამძღვარიც: თუნდაც ადამიანი მართლაც გენებით დაპროგრამებული ავტომატი იყოს, ეს გენები ხომ ნამდვილად ატარებენ ხანგრძლივი განვითარების გამოცდილებას, რომელიც სულ მცირე სამმილიარდნახევარ წელს მაინც მოიცავს. ამგვარი პერს-

პექტივა კი, როგორც ამბობენ, გონიერ მანქანებს ჯერ კიდევ უთუოდ წინ აქვს.

ნაშრომის კრიტიკოსთა კიდევ ერთი მარტივი, თუმცა გასათვალისწინებელი არგუმენტი ამგვარია: ჩიტისა და თვითმფრინავისა არ იყოს, ადამიანი, საერთოდაც, ცოტათი მაინც სხვა მოვლენაა, ვიდრე საუკეთესოდ აწყობილი რობოტი. ამიტომ, ადამიანები და რობოტები, ალბათ, არ გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას, რადგან სრულიად განსხვავებულია მათი მოთხოვნებიც, სწრაფვანიც, მიზნებიც.

თუ პროფესორ კევინ უორვიკის წიგნს, – "რობოტების განთიადი – კაცობრიობის დაისი", – აკადემიურ წრეებში ირონიული ღიმილით შეხვდნენ, ერთმა ენამახვილმა რეცენზენტმა ნაშრომის გამოქვეყნებას ამგვარი თვალით შეხედა: "უორვიკს რომ თავისი წიგნი სხვაგვარად დაეწერა, ვერც პოტენციური სტუდენტების და ვერც კვლევათა სპონსორების ყურადღებას ვერ მიიპყრობდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, ამაში ცუდი არაფერია!".

მას შემდეგ, რაც ადამიანები ტექნოლოგიური განვითარების გზას შეუდგნენ, – მიუხედავად თანამდევი შიშისა, რომ ესა თუ ის გამოგონება ადამიანს, ანუ ადამიანის ჩვეულ ცხოვრებას საშიშ საფრთხეს შეუქმნიდა, – ბოლოს და ბოლოს მაინც ახერხებდნენ, თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ნებისმიერი ტექნიკური მიღწევა, თუნდაც ამისათვის ხანდახან საჭირო გამხდარიყო არც ისე მცირე დრო და არც ისე მცირე ძალისხმევა.

ისიც სათქმელია, რომ ამჟამად, თანდათანობით, თვალხილულად, – კომპიუტერული რევოლუციის დამსახურებით, – სამყარო აღმოჩნდა ანთროპოლოგიური რევოლუციის წინაშე, რომელიც უთუოდ სრულიად შეუცვლის სახეს ადამიანის საქმიანობასაც და ადამიანთა შორის ურთიერთობასაც.

კიბორგების გზით სიარული, ზოგიერთი პროგნოზისტ-ფუტუროლოგის აზრით, სახიფათო და მაცდურია, მაგრამ ადამიანები, ღმრთის მადლითა და ღმრთის იმედით, ჯერჯერობით ახერხებდნენ სხვადასხვა საცდურისა თუ ხიფათის დაძლევას. გზა და საშუალება ნამდვილად არც ისე ცოტაა.

მარტი, 1999

54

ჯავაჰარლალ ნეჰრუ ინდოეთის რესპუბლიკის საწყისებთან

ჯავაჰარლალ ნეჰრუ – მეოცე საუკუნის ინდოეთის ცნობილი პოლიტიკოსი, ინდოეთის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც სიკვდილამდე ამ თანამდებობაზე რჩებოდა, ოცდათხუთმეტი წლის წინათ, 1964 წლის 27 მაისს, გარდაიცვალა.

1889 წლის 14 ნოემბერს დაბადებული ჯავაჰარლალ ნეჰრუ, თავის მამასთან, მოტილალ ნეჰრუსთან ერთად, ინდოეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელის, მოჰანდას კარამჩანდ განდჰის, ერთგულ თანამებრძოლად და თანამშრომლად იყო მიჩნეული, – და არა მარტო თანამშრომლად, არამედ მასზე ოცი წლით უფროსი განდჰის პოლიტიკურ მემკვიდრედაც, – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა, სწორედ ნეჰრუს თავმჯდომარეობით, 1929 წელს, ლაჰორის თავყრილობაზე, ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დასაწყებად.

ორი მეთაურის პირადი სიახლოვის მიუხედავად, მაინც შესამჩნევი იყო მკვეთრი განსხვავება მათს შორის. განდჰი, უწინარესად, რელიგიური მქადაგებელი იყო, რის გამო იგი პოლიტიკურ ბრძოლასაც მიიჩნევდა არა იმდენად მიზნად, რამდენადაც ზნეობრივი, სულიერი განვითარების გზად და საშუალებად. ნეჰრუ კი იმთავითვე ფრიად დაშორებული იყო ინდოეთის რელიგიურ თუ იდეურ მემკვიდრეობას. ამასთანავე, როგორც ჩანს, არც განსწავლის წლებს, გატარებულს კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც იგი საკმაოდ საშუალო სტუდენტი ყოფილა, და არც ევროპაში მეტ-ნაკლებად შეძენილ განათლებას დიდი კვალი არ დაუჩნევია

მის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე. ამდენად, არჩევანის შესაძლებლობის მიუხედავად, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კულტურასთან ახლოს მისვლის ხელშესახებ პირობებს მისთვის არც დიდი არჩევანი და არც დიდი თვალსაწიერი არ მიუნიჭებია.

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1947 წელს, და მაჰატმა განდჰის მკვლელობამდე, 1948 წლის დასაწყისში, ქვეყნის პოლიტიკური მეთაურები მაინც ცდილობდნენ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ დაეკარგა ზნეობრივი, აღმზრდელობითი განზომილება, – აღმზრდელობითი როგორც დამპყრობელთათვის, ისე დაპყრობილთათვის. ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჯავაჰარლალ ნეჰრუსა და მის თანამშრომელთა საქმიანობა მთლიანად და მხოლოდ პოლიტიკურ კალაპოტში გადაინაცვლებს. ამ პრაგმატულ ცვლილებათა ბოლო წერტილი იყო ინდოეთის ხელმძღვანელობის განცხადება, ჯერ ისევ ნეჰრუს სიცოცხლეში, რომ ქვეყანა ხელს იღებს უძალადო მეთოდებზე, რაც განდჰის მოძღვრების დედაბოძს წარმოადგენს. თუმცა ზოგიერთი პოლიტიკური ანალიტიკოსის აზრით, ნეჰრუს საბოლოო ღალატი არა მარტო განდჰის იდეების, არამედ მიუმხრობლობის მოძრაობის მიმართაც (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად იყო), აღმოჩნდა 1956 წელს საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთის ოკუპაციის მხარდაჭერა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ითქვას, რომ ახალგაზრდობის ჟამს მემარცხენე იდეების მიმდევარმა ნეჰრუმ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე, თუნდაც მსუბუქად, მაგრამ მაინც აღიარა, რომ ნეიტრალური პოლიტიკის მიდევნება კომუნისტური მტაცებლობის პირისპირ, რომელიც, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანას ემუქრებოდა, სავსებით უშედეგო აღმოჩნდა და ვერანაირად ვერ იცავდა იმ მიწებს, რომელთაც საბჭოთა დამპყრობლები დაადგამდნენ თვალს.

ჯავაჰარლალ ნეჰრუს პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე საუბარი, მსჯელობა, განსჯა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს, მაგრამ დღეს ძნელია ითქვას, იგივე ბედი ელის თუ

არა მის მოზრდილ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მაგალითად, მის ვეებერთელა წიგნს, – "ინდოეთის აღმოჩენას", – რომელმაც რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ის დანიშნულება მაინც შეასრულა, რომ ინდოეთის თუნდაც ზედაპირული სურათი გადაუშალა თუნდაც რკინის ფარდის აღმოსავლეთით აღმოჩენილ იმ მაძიებელ ადამიანებს, რომელთაც, როგორც ჭაბუკურ აღტაცებას სჩვევია ხოლმე, ინდოეთი სიბრძნის, სულიერებისა და რწმენის სამშობლოდ მიაჩნდათ.

მაისი, 1999

55

ჭაბუკი შექსპირი ჰოგტონის კოშკში

ზოგს მწერლის შემოქმედება იტაცებს და იზიდავს, ზოგს – მწერლის ბიოგრაფია (იმათზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელთაც თავად ცოცხალი და ჯანსაღი მწერალი აღელვებთ!), ხანდახან, – თუმცა უფრო იშვიათად, – ისეც ხდება, რომ მწერლის ცხოვრება და შემოქმედება თანაბრად საგულისხმო ან მიმზიდველი აღმოჩნდება ხოლმე როგორც მკვლევრისათვის, ისე რიგითი მოყვარულისათვის.

უილიამ შექსპირის ბიოგრაფია უთუოდ იმ წყებას განეკუთვნება, როცა ყურადღება მწერლის პიროვნების მიმართ სულაც არ ჩამორჩება ყურადღებას, რასაც მწერლის ნაწერები იწვევს. კიდევ, ხშირად ცალკე მღელვარების საგანია შექსპირის ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნილი მრავალი სპექტაკლი თუ ფილმი, რომელთაც დასასრული არ უჩანს და რომლებიც, ასევე, მძაფრად აღვივებს ყურადღებასაც და კამათის სურვილსაც შექსპირის პიროვნებისა თუ მისი შემოქმედების ირგვლივ. რა თქმა უნდა, აქვე გასახსენებელია ის ლიტერატურული, სათეატრო თუ კინემატოგრაფიული ქმნილებები, – თუნდაც უფრო ნაკლები რაოდენობისა, – რომლებიც შექსპირის ბიოგრაფიას ან მთლიანად, ან ნაწილობრივ ასახავს, ანდა თუნდაც შორეულად მაინც ეხება.

მაგრამ, შესაძლოა, შექსპირის ვინაობის გამო არანაკლები დაწერილა, ვიდრე "მაკბეტის" ან "ჰამლეტის" მხატვრული მხარეების ან მათი სცენური ხორცშესხმის შესახებ, – რომ აღარაფერი ვთქვათ იმ გადამწყვეტ და ყველაზე საკამათო, ყველაზე გაურკვეველ, ყველაზე დაუდგენელ საკითხზე, თუ რამდენად სარწმუნოა, რომ ნამდვილად თეატრ "გლობუსის" არაფრით გამორჩეული მსახიობის კალამს დაუწერია სახელგანთქმული პიესები და სონეტები.

ინგლისელი პროფესორი რიჩარდ უილსონი, რომელიც ლანკასტერის უნივერსიტეტში რენესანსის კულტურას ასწავლის, მხოლოდ ბედისწერის თამაშად მიიჩნევს იმას, რომ უილიამ შექსპირი კათოლიკე მღვდელი არ გახდა, რის გამოც მას იმდროინდელ ინგლისში სავსებით შესაძლებლად ემუქრებოდა ჩამოხრჩობა, დახრჩობა ან ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა. მკვლევრის თვალსაზრისით, ასევე, სრულიად შემთხვევითია, რომ სპექტაკლებს, რომლებიც მისი პიესების საფუძველზე იდგმებოდა, ტაშს უკრავდა პროტესტანტი დედოფალი ელისაბედ პირველი, რომელიც განსაკუთრებული დაუნდობლობითა და სისასტიკით გამოირჩეოდა კათოლიკეთა მიმართ.

მაგრამ საკითხს, თუ სად და რატომ გაატარა სიყმაწვილის დღეები მომავალმა დრამატურგმა, განსაკუთრებული გამოხმაურება ხვდა წილად მას შემდეგ, რაც პროფესორ უილსონს გვერდით ამოუდგა შეძლებული და გავლენიანი თანამოაზრე, – ბარონი სერ ბერნარდ დე ჰოგტონი. სწორედ მათ გადაწყვიტეს ერთობლივად, ოცი მილიონი გირვანქა სტერლინგი ჩადონ ჩრდილოეთინგლისური კოშკის, ჰოგტონ ტაუერის რეკონსტრუქციის საქმეში. ეს ძველი, შთამბეჭდავი კოშკი, რომელიც ლანკაშირთან, პატარა სოფელში წამოჭიმულა, აქამდე თავად ბარონის პირად რეზიდენციას წარმოადგენდა, მაგრამ, ამ ორი ადამიანის ჩანაფიქრით, ის მალე უნდა გადაიქცეს შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შემსწავლელ საგანგებო დაწესებულებად, სადაც, ამავე დროს, დაფუძნდება თეატრალური ცენტრიც.

ორივე ეს პატივცემული ადამიანი სავსებით დარწმუნებულია, რომ ჰოგტონ ტაუერი ერთ დროს ფარული იეზუიტური სასწავლებელი იყო, საიდანაც ახალგაზრდებს პროტესტანტული ინგლისის მიღმა აგზავნიდნენ, რათა ისინი ზღვისგაღმა კათოლიკურ ქვეყნებში კათოლიკე მღვდლებად ეკურთხებინათ. მათივე ვარაუდით, სწორედ ამ კოშკში უნდა მოსულიყო ცოდნა-განათლების შესაძენად თექვსმეტი წლის უილიამ შექსპირი, სადაც იგი მისიონერ ედმუნდ კემპიონს კათოლიკურ სარწმუნოებაზე საიდუმლოდ უნდა მოექცია.

ასეთია ხანგრძლივი, საუკუნოვანი საოჯახო გადმოცემა, რომლის სიმართლე არ ეეჭვება ბარონ დე ჰოგტონს, ინგლისის მეორე უძველესი ბარონის ტიტულის მფლობელს. რაც შეეხება ისტორიულ მტკიცებულებებს, წყაროები ადასტურებენ, რომ 1580 წელს ბარონის ერთ წინაპართან მასწავლებლად და მსახიობად მსახურობდა ვინმე ჭაბუკი შექსპეიფტი, რომელიც, კოშკის დღევანდელი მეპატრონის ღრმა რწმენით, იგივე შექსპირია. თუ ეს უთუოდ ასეა, მაშინ მომავალ დრამატურგს ექვსი თვე უცხოვრია ინგლისური კათოლიკური კონტრრეფორმაციის მთავარ შტაბსა და საიდუმლო კერაში. როგორც "ჰამლეტის" ავტორის ცხოვრებით გატაცებული ეს ორი პირი ამტკიცებს, მოძღვარ კემპიონის დღიურები უეჭველად ადასტურებს შექსპირის გეგმებს, სწავლა გაეგრძელებინა და სარწმუნოება განემტკიცებინა კათოლიკურ სემინარიაში, საფრანგეთის ჩრდილოეთით, დუეში, რომელიც სწორედ ჰოგტონებმა შექმნეს კათოლიკური წინააღმდეგობის მოძრაობის ფარგლებში.

შექსპირი რომ ინგლისს კათოლიკე მღვდლად დაჰბრუნებოდა, მას უეჭველად არ ასცდებოდა სიკვდილი. მაგრამ მოვლენათა დრამატულმა განვითარებამ სიცოცხლე შეუნარჩუნა ახალგაზრდას, – სულ მალე მასწავლებელი და მოძღვარი კემპიონი დააპატიმრეს, აწამეს და 1581 წლის 1 დეკემბერს ჩამოახრჩვეს. იმავე ხანებში ჰოგტონის კოშკის პატრონმა საფრთხის თავიდან ასაცილებლად თავისი საკრებულო დაშალა და ჭაბუკი შექსპირი სხვა პატრონს გადააბარა. უილსონისა და ჰოგტონის აზრით, ამ დროს მაინც წარუშლელი კვალი დაატყო შექსპირის აზროვნებას და, მიუხედავად იმისა, რომ მალე იგი პროტესტანტული სამეფო კარის აღიარებულ დრამატურგად იქცა, მის შემოქმედებაში მაინც ცხადად შესამჩნევია კათოლიკური გრძნობები და დამოკიდებულებანი, რაც ადრეც თქმულა, მაგრამ ისევ დასაბუთებელია და მაინც იწვევს კამათს.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს თვალსაზრისი მთლად ახალი არაა, ის ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ივარაუდა ერნსტ ჰონიგმანმა, ნიუ კასლის უნივერსიტეტის პროფესორ-

მა, შექსპირის შესანიშნავმა მცოდნემ, და მის ამ შეხედულებას მაშინვე მოჰყვა გამოხმაურებათა დიდი ტალღა.

ამჟამად კი პროფესორი უილინსონი და ბარონი დე ჰოგტონი ცდილობენ, ჰოგტონ ტაუერში შექსპირის ცენტრი დაათუძნონ, – ცენტრი, სადაც მკვლევრები და მსახიობები ერთმანეთის გვერდით იმუშავებენ.

სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ ეს ძველთაძველი კოშკი კიდევ ერთი დიდი ბრიტანელი მწერლის სახელს უკავშირდება: მოგვიანებით ის დაუთვალიერებია ჩარლზ დიკენსს, რომელსაც იქაურობა გულსაკლავ მდგომარეობაში დახვედრია. მწერლის სწორედ ეს დამთრგუნველი შთაბეჭდილებები დასდებია საფუძვლად ვრცელ მოთხრობას "ჯორჯ სილვერმენის ახსნა-განმარტება", რომლის მოქმედება სწორედ ამ კოშკში ვითარდება.

ამჟამად კი მხოლოდ იმის თქმა თუ მოხერხდება, რომ, იმის მიუხედავად, ცხოვრობდა თუ არა თექვსმეტი წლის უილიამ შექსპირი ჰოგტონის კოშკში, დიდი დრამატურგის ქმნილებების ირგვლივ კიდევ ერთხელ ჩაფიქრება, ან თუნდაც მისი შემოქმედების მოყვარულთა ერთად თავშეყრა, ალბათ, მაინც არაა ურიგო საქმე.

ივნისი, 1999

56

ლტოლვილები გუშინ და დღეს

მაშინ, როცა საერთაშორისო სამართლის მცოდნენი და დიპლომატები ვერ შეთანხმებულან, როგორ გამიჯნონ ერთმანეთისაგან ისეთი ცნებები, როგორებიცაა "ლტოლვილი" და "ადგილმონაცვლებული პირი", როცა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ენციკლოპედია პირველ ლტოლვილებად ადამსა და ევას მოიხსენიებს, როცა ცივილიზებულ ქვეყანათა პოლიციელები თუ იუსტიციის სამინისტროს მოხელეები დაჟინებით ცდილობენ, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან თავშემოფარებულნი ეგრეთ წოდებულ "ეკონომიკურ ლტოლვილებად" მიიჩნიონ, – ყოველწლიურად, ყოველთვიურად სულ უფრო თავზარდამცემ რაოდენობას აღწევს ლტოლვილთა რიცხვი, თუნდაც ძალზე გაჭირდეს იმის დადგენა, გაეროს ფორმულირების შესაბამისად, მათ მართლაც საფრთხე ემუქრებათ თავიანთ სამშობლოში რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკურ შეხედულებათა გამო, თუ ისინი, ერთი ძველი განმარტების მიხედვით, წარმოადგენენ თავშესაფრის მაძიებელ უუფლებო, უსახლკარო, იძულებით მიგრანტებს, რომლებმაც კანონიერად თუ უკანონოდ გადაკვეთეს საზღვარი და რომლებსაც საკუთარი მთავრობა აღარ მფარველობს.

მიუხედავად იმისა, რომ სრულიად საფუძვლიანად, სხვა მრავალ არცთუ სასიამოვნო დახასიათებებთან ერთად, მეოცე საუკუნეს "ლტოლვილების საუკუნესაც" უწოდებენ, არც იმის მტკიცება იქნება გამართლებული, რომ ლტოლვილობა წინა ეპოქებისათვის სრულიად უჩვეულო იყო, – გასახსენებლად თუნდაც ათასწლეულების წინანდელი ებრაელთა აყრა და გადასახლება ან მეჩვიდმეტე საუკუნეში ჰუგენოტების მიერ საფრანგეთის მიტოვება კმარა. მაგრამ მაინც, ამ-

ჟამინდელი თვალსაწიერიდან, ლტოლვილი, უპირველეს ყოვლისა, პასპორტის ან უცხო ქვეყანაში კანონიერი დარჩენის მაძიებელს უფრო ნიშნავს და, ამდენად, ეს პრობლემა, – მეოცე საუკუნის ნამდვილი შაკიკი, – მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა საუკუნის დასაწყისში ისეთი უცნაური რამ გამოიგონეს, როგორიცაა საზღვარგარეთის პასპორტი და უცხო ქვეყანაში შესასვლელი ვიზა.

მანამდე, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე, საზღვრის გადაკვეთაც უვიზოდ ხერხდებოდა და სამშობლოდან გამოქცეულთათვის თავშესაფრის მიცემა-მინიჭებაც ბუნებრივად იყო მიჩნეული. თუკი ვისმე აინტერესებს, როგორი თავზარდამცემი მობრუნება იყო პროფესიონალ მოხელეთა ეს გონიერი გამოგონება – ვიზა, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ამსახველ ერთ შესანიშნავ წიგნს შეუძლია ჩახედოს – შტეფან ცვაიგის "გუშინდელ სამყაროს", რომლის ავტორი ეპოქის მახასიათებლად იმას მიიჩნევს, რომ ადამიანი, რომელსაც თუნდაც რომენ როლანის, ზიგმუნდ ფროიდის ან ბრუნო ვალტერის მეგობრობით შეეძლო ეამაყა, საგულდაგულოდ უფრთხილდებოდა ნაცნობობას საპასპორტო განყოფილების რიგით თანაშემწესთან.

ჩვენი უსწორმასწორო საუკუნის პირველი მეოთხედის თავზარდამცემ შერყევად კი არა მარტო მოულოდნელად აბობოქრებული მსოფლიო ომი იქცა, არამედ რუსეთის იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომთა მილიონნახევარიანი ლტოლვილობაც, როცა ისინი ბოლშევიკურ ტერორს, – ფიზიკურ და სულიერ განადგურებას, – გამოექცნენ და ევროპას, აზიას თუ ამერიკას შეაფარეს თავი. სწორედ მაშინ გაჩნდა ეგრეთ წოდებული ნანსენის პასპორტი, რომელიც ერთა ლიგის მიერ ლტოლვილთა უმაღლეს კომისრად დანიშნული ნორვეგიელი მკვლევრისა და დიპლომატის, ფრიტიოფ ნანსენის, სახელს უკავშირდება და რომელიც ლტოლვილის სტატუსის საერთაშორისო აღიარებას ნიშნავდა.

მალევე გაჩნდა მილიონამდე ლტოლვილი სომეხი ჯერ ძლევამოსილი და შემდგომ განადგურებული ოსმალეთიდან; 1923 წელს – თურქიდან გაქცეული მილიონ სამასი ათასი ბერძენი და ბალკანეთიდან მათ საპირისპიროდ დაძ-

რული ოთხასი ათასი თურქი; მომდევნოდ – გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმსა და ესპანურ ფალანგიზმს გამოქცეული ასი ათასობით კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი, ლიბერალი და რესპუბლიკელი, ებრაელი და ბოშა, ჰომოსექსუალი და იეჰოვას მოწმე. მათი შეფარება იმდროინდელი დემოკრატიის უკანასკნელმა კუნძულებმა ითავა – დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, შემდგომ და უმთავრესად, – ლტოლვილებისა და ემიგრანტების ქვეყანამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

1942 წლისათვის მსოფლიოში ოცდაერთი მილიონი ადამიანი აღმოჩნდა საკუთარი ქვეყნიდან აყრილი და გასახლებული. შურისგებამაც არ დააყოვნა და ომის დამთავრების უმალ დამცრობილ და განადგურებულ გერმანიას გამარჯვებული ქვეყნებიდან განდევნილი თორმეტი მილიონი გერმანელის მიღება და დაბინავება მოუხდა.

არც მერმე შემცირებულა ლტოლვილთა რიცხვი: გაურბოდნენ და გაურბიან ომს, დევნას, შიმშილს, გენოციდსა და დიქტატურას, კომუნიზმსა და ფუნდამენტალიზმს, ეროვნულსა და რელიგიურ გადარჩევა-შევიწროებას.

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჰინდუისტები გარბოდნენ პაკისტანიდან, ხოლო მუსლიმები – ინდოეთიდან (მაშინ, 1947 წელს, სამშობლო მიატოვა თვრამეტმა მილიონმა ადამიანმა, რაც ყველაზე დიდი ციფრია მსოფლიო ლტოლვილობის ისტორიაში), მეოთხედი საუკუნის შემდეგ კი, ბანგლადეშის დამოუკიდებლობა ათი მილიონი ადამიანისათვის სახლ-კარის გარეშე დარჩენას ნიშნავდა.

ლტოლვილთა ტალღები ტალღებს მოსდევდა: ორ მილიონზე მეტი ჩინელი გაექცა კომუნისტურ დიქტატურას; ცხრა მილიონი კორეელი – კომუნისტების მიერ გაჩაღებულ ომს; უნგრელები თავს აფარებდნენ მეზობელ ქვეყნებს, რათა ანტიკომუნისტური აჯანყების გამო საბჭოთა არმიის მიერ სისხლიან ანგარიშსწორებას ასცდენოდნენ; ჩეხები და სლოვაკები გარბოდნენ თავიანთი მიწიდან, სადაც გზაჯვარედინებს საბჭოთა ტანკები მეთვალყურეობდა; აღმოსავლეთგერმანელები – ქვეყნიდან, სადაც, საბჭოთა ტანკების

გარდა, ბერლინის კედელიც იდგა; ავღანელები – სამშობლოდან, სადაც საბჭოთა თვითმფრინავები ბავშვებს ნაღმიან სათამაშოებს უყრიდა.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კოლონიური იმპერიების დაშლის შედეგად, მრავალ კეთილმოწყობილ ევროპელსაც მოუწია საკუთარი სახლიდან გაქცევა და თავშესაფრის ძიება სხვაგან: ათასობით, ათიათასობით, ასიათასობით ტოვებდნენ ბრიტანელები აზიისა და აფრიკის ქვეყნებს – ინდოეთსა თუ ბირმას, ცეილონსა თუ როდეზიას, ფრანგები – ჩრდილოეთ აფრიკასა და ინდოჩინეთს, იტალიელები – ლიბიას, ჰოლანდიელები – ინდონეზიას.

მას შემდეგ, რაც ორმოცწლიანი "ცივი ომის" შედეგად დაინგრა არა მარტო ბერლინის კედელი, არამედ ყბადაღებული "რკინის კედელიცა" და იდეოლოგიური კლიშეებიც ჩამოიშალა, ყოფილი კომუნისტური ქვეყნის ბევრ მოქალაქეს რკინის კედელი დახვდა იქ, სადაც თავისი მრავალწლიანი ნალოლიავები ოცნებების ხორცშესხმას ელოდებოდა. ერთ არცთუ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ყველა, ვინც 1989 წლის მიწურულამდე კომუნისტურ სამშობლოში ცხოვრებას თავისუფალ და აყვავებულ დასავლურ ქვეყანაში გადაბარგებას ამჯობინებდა, პოლიტიკური ოპოზიციონერი იყო, ხოლო 1990 წლის იანვრიდან თავშესაფრის საძიებლად მხოლოდ ეკონომიკური ლტოლვილები მიემართებიან. მალე ისიც გაირკვა, რომ ფიცხელი ომი სულაც არ ყოფილა საკმარისი საბაბი ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად, ხოლო ადამიანის უფლებები მეტად ფართო და არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა და მათი განსაზღვრა ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ-ისტორიულ თავისებურებათა გათვალისწინებას საჭიროებს. ამ თვალსაწიერიდან, ჩინეთის კომუნისტურ-ტოტალიტარისტულ ხელისუფლებასაც ბევრი არ მოეთხოვება.

მართლაც, თუკი ამ თვალსაზრისზე მყარად არ დადგა პოლიციის რიგითი მოხელე, რომელსაც სამშობლოდან თავდაღწეული ადამიანის ბედის გადაწყვეტა ევალება, მაშინ მან ზოგიერთი პოლიტიკოსივით ან პუბლიცისტივით პირდაპირ უნდა განაცხადოს, რომ, რა თქმა უნდა, არავის

ეპარება ეჭვი ირანსა, ინდონეზიასა თუ ჩინეთში ადამიანის უფლებების შემზარავი დარღვევის გამო, მაგრამ ამ ქვეყნებს მეტად მოზრდილი მოსახლეობა ჰყავს და ყოველი უკმაყოფილოსათვის თავშესაფრის მიცემა არაფრად წაადგება დასავლეთს, – ყოველი შემთხვევისას, ამგვარ შეხედულებას არც ისე იშვიათად გადააწყდებით ევროპულ თუ ამერიკულ მასმედიაში. თუმცა ეს განსჯა ვისმე ცინიზმად, გულგრილობად ან პოლიტიკანობად რომ არ მოეჩვენოს, უთუოდ აჯობებს, ყურადღება გამახვილდეს არა ადამიანის უფლებებზე ან ლტოლვილთა კანონიერ უფლებებზე, არამედ სიტყვა ისევ ეროვნულ-ისტორიულ თავისებურებებზე ჩამოვარდეს.

ჩვენს სეკულარულ, ღმრთისა და ეკლესიისაგან გამიჯნულ გარემოში ლტოლვილების საკითხი და მათი მომავალი უმეტესად იგუდება იურიდიულ ფორმულირებებსა თუ მოხელეთა ათასობით ოქმში, თუმცა ქრისტიან ადამიანს გაეროს შექმნამდეც და მისი შექმნის შემდეგაც, ვიზების დაწესებამდეც და ნანსენისა თუ ჟენევის პასპორტის შემოღების მერმეც ხშირად უწევდა იესო ქრისტეს მარადიული სიტყვების, – შესაძლოა, სახარების ყველაზე პირდაპირი და ყველაზე ამაღელვებელი სიტყვების, – მოსმენა ან წაკითხვა: “ მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. რადგან მშიოდა და მაჭამეთ, მწყუროდა და მასვით, უცხო ვიყავი და მიმიღეთ” (სახარება მათესი, 25:34-35). ნამდვილი ქრისტიანისათვის სხვაგვარი არჩევანი არც არასოდეს არსებულა.

ივნისი, 1999

57

კარდინალი ფრანტიშეკ ტომაშეკი

ამ დღეებში აღინიშნება პრაჰის მთავარეპისკოპოსის, ჩეხეთის პრიმასის, ფრანტიშეკ კარდინალ ტომაშეკის დაბადების ასი წლისთავი.

ღრმად მოხუცი, ოთხმოცდაცამეტი წლის კარდინალი 1992 წლის 4 აგვისტოს გარდაიცვალა, მაგრამ მხოლოდ სიკვდილამდე წელიწადნახევრით ადრე იქნა შეწყნარებული წმიდა საყდრის მიერ ამდენად ხანდაზმულ ასაკს მიღწეული მღვდელმთავრის თხოვნა გადადგომის თაობაზე. დღეს ბევრს წერენ იმის გამო, რომ კარდინალმა ტომაშეკმა კომუნიზმის უმძიმეს ხანაში გამოატარა კათოლიკე ეკლესია ჩეხეთსა და მორავიაში და ის სამშვიდობოს გაიყვანა, – ყოველი შემთხვევისას, დღეს ეკლესიას ამ ქვეყანაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, სახელმწიფოს მხრივ მიზანსწრაფული სრული განადგურების მცდელობა აღარ ემუქრება.

თავად ტომაშეკმა, რომელიც 1899 წლის 30 ივნისს დაიბადა და რომელიც სასულიერო განათლების შეძენის შემდეგ, 1922 წელს, მღვდლად იქნა ნაკურთხი, ამ საუკუნის ორივე დიქტატურის – გერმანული ნაციონალ-სოციალიზმისა და რუსული ინტერნაციონალური სოციალიზმის – მსახვრალი ხელი საკუთარ ზურგზე იწვნია, – ამ მხრივ, იგი, ალბათ, სრულიადაც არ იყო გამორჩეული მეოცე საუკუნის ქრისტიანული ეკლესიის ნამდვილ მსახურთა შორის.

ჩეხეთში კომუნისტური გადატრიალებიდან წელიწადნახევრის შემდეგ, 1949 წელს, როცა ეკლესიის განადგურების, ეკლესიის მოსპობის მცდელობა უკვე სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადდა, ოლომოუცის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, მღვდელი ფრანტიშეკ ტომაშეკი ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული,

– რა თქმა უნდა, საიდუმლოდ, ბოლშევიკ მმართველთაგან უჩუმრად, როგორც, საერთოდ, ჩეხეთში ორმოცწლიანი კომუნისტური ბატონობის ხანაში ხდებოდა. ადვილი მისახვედრია, რომ მაშინ, როდესაც მთელი ჩეხი კათოლიკე სამღვდელოება, – პრაჰის მთავარეპისკოპოსის, კარდინალ ბერანიდან, დაწყებული სემინარიის უწვერული სტუდენტებით დამთავრებული, – კომუნისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში იქნენ გამომწყვდეული, ფრანტიშეკ ტომაშეკის ბედიც გადაწყვეტილი და უთუო იყო. ეპისკოპოსი ტომაშეკიც, ისევე როგორც კომუნისტური ბლოკის ყველა ქვეყნის ყველა კათოლიკე მღვდელმთავარი, მრავალი წლით კომუნისტურ დილეგში აღმოჩნდა.

როდესაც პაპი რამდენიმე წელიწადში ერთხელ ახალ კარდინალებს ასახელებს, ხანდახან რამდენიმე მათგანის სახელი გამოუცხადებლად რჩება, რათა ამით თავად ისინი და კათოლიკე ეკლესია ამა თუ იმ ტოტალიტარისტულ ქვეყანაში ოდნავ მაინც იქნენ დაცულნი დევნისა და შევიწროებისაგან. 1976 წელს კათოლიკე ეკლესია ჩეხეთში ჯერ ისევ იმდენად დევნილი იყო, რომ ტომაშეკის კარდინალად დასახელება მხოლოდ პაპის გულში – in pectore – განხორციელდა. შემდგომ იოანე პავლე მეორემ კარდინალ ტომაშეკს უწოდა სარწმუნოების მუხა, – მრავალჯერ დამეხილი, მაგრამ მაინც მოუხრელად მდგარი სასტიკ ქარიშხალში.

როდესაც ბოლოს და ბოლოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობა დათანხმდა, რომ ტომაშეკს დაეკავებინა პრაჰის მთავარეპისკოპოსის საყდარი, მღვდელმთავარი სამოცდათვრამეტი წლისა იყო. მაგრამ ამ დღიდან კიდევ უფრო შეუპოვარი, კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო თვალმოუხუჭავი ხდება მისი ბრძოლა კომუნისტური ურჩხულის წინააღმდეგ. ამ დროიდან გაქუხა მისმა მოწოდებამ: “წელში გასწორდით და თავები მაღლა აწიეთ!”.

ახლა, როცა ჩეხეთში ბევრი იწერება და ითქმება კარდინალ ფრანტიშეკ ტომაშეკის შესახებ, ხშირად ჩნდება შეკითხვა: რამ განაპირობა, რომ ეს, ერთი შეხედვით, უბრალო,

პროვინციელი მღვდელი, რომელიც სრულიად არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ინტელექტუალური ბრწყინვალეებით, ერის სულიერი ბრძოლის სიმბოლოდ იქცა, – ჩამოყალიბდა პიროვნებად, რომელმაც უშიშრად იარა დროთა და გარემოებათა წინააღმდეგ? პასუხი, რა თქმა უნდა, მეტად მარტივია: ქრისტიანულ თვასეულობათა ერთგულებამ, ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიაში ურყევმა ყოფნამ და დგომამ.

ივნისი, 1999

58

ჰერბერტ მარკუზე – დასავლეთის კრიტიკოსი მარცხნიდან

გერმანული წარმოშობის ამერიკელი მემარცხენე ინტელექტუალი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი ჰერბერტ მარკუზე 1898 წლის 19 ივლისს ბერლინში, შეძლებულ ებრაულ ოჯახში დაიბადა. ბერლინის უნივერსიტეტში სწავლისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტში დოქტორის დიპლომის მოპოვების შემდეგ (ამ უნივერსიტეტებში მისი მასწავლებლები იყვნენ ჰუსერლი და ჰაიდეგერი), იგი მუშაობას იწყებს ფრანკფურტის სოციალურ კვლევათა ინსტიტუტში, – ადორნოს, ჰორკჰაიმერის, ბენიამინის, ფრომის გვერდით, – იმ სახელგანთქმულ დაწესებულებაში, რომელიც რამდენიმე ათწლეულის შემდეგ დასავლური მარქსისტული ფილოსოფიის ყველაზე მნიშვნელოვან, ყველაზე ღირებულ, ყველაზე გავლენიან კერად იქნა მიჩნეული. ჰეგელისა და მარქსის იდეების ერთგულების გარდა, როგორც ჩანს, ფროიდის თეორიის კარგმა და ღრმა გაცნობამ განაპირობა, რომ ეს ახალგაზრდა ფილოსოფოსები არა მარტო ბურჟუაზიული წესწყობილების მძაფრ კრიტიკოსებად იქცნენ, არამედ საბჭოთა – უწინარესად, სტალინური – კომუნიზმის პრინციპულ ოპოზიციონერებადაც ჩამოყალიბდნენ.

არც ეროვნული წარმოშობა და არც იდეური შეხედულებები ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, არ აძლევდა საშუალებას, თავიანთი საქმიანობა ნაციონალურ-სოციალისტურ გერმანიაში გაეგრძელებინათ და, ვალტერ ბენიამინის გარდა (რომელსაც ნებამ და ნერვებმა უმტყუნა, რის გამო მან ესპანეთ-საფრანგეთის საზღვარზე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე), ყოველი მათგანი სულ მალე ოკეანის გადაღმა, ამერიკულ უნივერსიტეტებში აღმოჩნდა. თუმცა მარკუზემ, 1940 წლიდან ამერიკის

შეერთებული შტატების მოქალაქემ, აკადემიური საქმიანობა მალე შეწყვიტა და დაზვერვის სამსახურში დაიწყო მუშაობა (სადაც იგი უმთავრესად საბჭოთა იდეოლოგიას იკვლევდა), ხოლო უნივერსიტეტის პროფესორის კათედრას იგი მხოლოდ 1951 წელს დაუბრუნდა.

ჰერბერტ მარკუზეს მიაჩნდა, რომ დასავლური საზოგადოება არაა თავისუფალი და თავისი არსით ის რეპრესიულია, დამთრგუნველია, მჩაგვრელია. ამავე დროს, ტექნოლოგიის განვითარებას მოჰყვა მასების დაკმაყოფილება მატერიალური ღირებულებებით, მაგრამ ამგვარმა განვითარებამვე განაპირობა და შედეგად მოიტანა ადამიანის საზოგადოებრივ-იდეური დამონება, რაც ყველა განზომილებით შეინიშნება.

რაც უფრო ემატებოდა ასაკი ფილოსოფოსს, იგი სულ უფრო დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი და სოციალიზმი (ანუ ის რეჟიმი, რომელიც საბჭოთა კავშირში ბატონობდა), ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივე ხელს უშლის საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას, – საზოგადოებისა, რომელშიც (და მხოლოდ რომელშიც!) უნდა ეპოვა ადგილი ყოველ ცალკეულ ადამიანს. თუმცა როცა 1968 წელს ევროპასა და ამერიკაში სტუდენტურ აჯანყებათა ნაპერწკალმა იფეთქა, ამერიკული დაზვერვის ყოფილმა თანამშრომელმა ახალგაზრდებს მაინც შეახსენა, რომ "ამერიკული უნივერსიტეტები თავისუფალი სიტყვისა და ნამდვილად კრიტიკული აზრის ოაზისია საზოგადოებაში".

საბჭოთა იდეურ-ინტელექტუალურ უდაბნოში მარკუზეს სახელი აზროვნების საზრდოსა და სულის მოთქმის ყოველი მაძიებლისათვის პაროლის მსგავსი სახელი იყო. საიდუმლოდ გადაღებულ-გამრავლებული მისი წიგნები "ეროსი და ცივილიზაცია" ან "ერთგანზომილებიანი ადამიანი" იმათაც აძლევდა თავისუფლების განცდას, ვინც ჩვენი საუკუნის სტერეოტიპთა გავლენით, მაინც ვერ ახერხებდა მემარცხენეობისაგან განთავისუფლებას და, ასე ვთქვათ, უფრო დახვეწილ თუ გაკეთილშობილებულ მარქსიზმს აფვარებდა თავს. ხოლო, მეორე მხრივ, ეს წიგნები მარქსიზმის

კრიტიკის საჯარო საშუალებას იძლეოდა, რადგან მარკუზეს აზროვნების კრიტიკა ნამდვილად მარქსიზმის კრიტიკას ნიშნავდა.

კიდევ, მარკუზე, ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად, მკაფიოდ აღიქვამდა ნამდვილი, დიდი ხელოვნების ღირებულებასა და მნიშვნელობას, მაგრამ, ასევე, მხურვალედ უჭერდა მხარს მოდერნისტული ხელოვნების ძიებებს. მას არ სჯეროდა, რომ ხელოვნებას აქვს სამყაროს გარდაქმნის უნარი, მაგრამ მან იცოდა, თუ როგორც გარდასახავს ხელოვნება ადამიანებს. მისი სიტყვებით, "ხელოვნებას არ შეუძლია შეცვალოს მსოფლიო, მაგრამ მას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ცნობიერების შეცვლაში და შთააგონოს ისინი, ვისაც ძალუძს, შეცვალოს სამყარო".

ჰერბერტ მარკუზე ოცი წლის წინათ, 1979 წლის 29 ივლისს, გერმანიაში, გარდაიცვალა, – სტუდენტური მოძრაობის საბოლოო ჩაცხრობის შემდეგ. მანამდე კი, ათი წლით ადრე, როგორც ამბობენ, იგი დასავლეთ ბერლინში თავისი მიმდევრების ბანაკში მისულა, მაგრამ როცა მას საკუთარი თვალით უნახავს უზნეო, მდაბიო, მოძალადე და ლაგამმიშვებული ახალგაზრდების უწესრიგო ჯოგი, ასე უთქვამს, მე არასოდეს მიქადაგებია ადამიანის მიბრუნება ცხოველისაკენო.

მარკუზე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მარქსსა და ფროიდს ეთაყვანებოდა, მაინც გონიერი მოაზროვნე და გამჭრიახი ფილოსოფოსი იყო.

ივლისი, 1999

59

ფრანკო ძეფირელის ახალი ფილმი

სულ ახლახან, მსოფლიოს კინოეკრანებზე თუ კინოფესტივალებზე გამოჩნდა ფრანკო ძეფირელის (*1923) ახალი ფილმი – "ჩაი მუსოლინისთან" ("Un té con Mussolini", 1999), რომელსაც, ძირითადად, კრიტიკოსთა თუ მაყურებელთა დადებითი გამოხმაურება ხვდა წილად, – შესაძლოა, დღევანდელი მსოფლიო კინოპანორამის უკიდურესი სიმწირის გამო; შესაძლოა, მოწიწების გამო სამოცდათექვსმეტი წლის რეჟისორის განვლილი შემოქმედებითი გზის მიმართ; შესაძლოა, იმის გამოც, რომ საუკუნის დასასრულისათვის უთუოდ "ღმერთების დაისის" ბერწი ხანა ჩამომდგარა, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრად – კინოხელოვნებაში. თუმცა ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ფილმი, მართალია, არ გამოირჩევა შესამჩნევი ოსტატური მიგნებებითა და განსაკუთრებული მხატვრული აღმოჩენებით, მაგრამ არც იმის თქმა იქნება სამართლიანი, რომ ახალი ნაწარმოები ან არაფრითაა მიმზიდველი, ან კიდევ – საყურებლად ულამაზოა (რაკი ძეფირელის ფილმები თუ კინოოპერები ყოველთვის განსაკუთრებულად ფასდებოდა და გახმაურებული ხდებოდა მსოფლიოში მათი სწორედ საგანგებო და მიზანსწრაფული სილამაზის გამო!).

როდესაც იტალიელ მეგობრებს ხუმრობით ან სერიოზულად ჰკითხავთ, თუ იტალიური კინოს ოსტატთა შორის ვინ არ არის ან ვინ არ იყო კომუნისტი, დაუფიქრებლად ისინი მხოლოდ ერთი გვარის დასახელებას ახერხებენ, – და მათ არ გამორჩებათ, აუცილებლად გითხრან, რომ ფრანკო ძეფირელი, რაც უნდა უცნაური იყოს იტალიელ ხელოვანთა შორის, კომუნისტური პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, და იმასაც დააყოლებენ, რომ თავისი არაკომუნისტობის გამო (რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს ანტიკომუნის-

ტობას!) იგი ქვეყნის კრიტიკოსთა, მასმედიის თუ ტელევიზიის მიერ საკმაოდ დაჩაგრულია.

ნამდვილად შეიძლება დადასტურება, რომ რეჟისორი ყოველთვის დაუფარავად აცხადებდა საკუთარ სიშორეს კომუნისტური იდეოლოგიისაგან და საკუთარ სიახლოვეს მკაფიოდ მემარჯვენე კონსერვატიულ შეხედულებებთან; კიდევ მეტი, იგი, – ავტორი ფილმებისა იესო ქრისტესა (“იესო ნაზარეველი”, “Gesù di Nazareth”, 1977) და წმიდა ფრანცისკე ასიზელის შესახებ (“ძმაო მზეო, დაო მთვარეო”, “Fratello sole, sorella luna”, 1972), – აღიარებდა თავის მტკიცე ერთგულებას კათოლიკური სარწმუნოების მიმართ. ისიც აღსანიშნავია, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ მან საჭიროდ მიიჩნია, აღარ დაემალა საკუთარი სქესობრივი ორიენტაცია და საჯაროდ ეთქვა, რომ ეროტიკული მისწრაფებით იგი იყო და არის ჰომოსექსუალი (მისივე სიტყვებით, მას არ უნდოდა, გამოეყენებინა მისთვის უხეში სახელდება: “გეი”).

ხოლო რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად უთუო და დასაჯერებელი ამბავია არაკომუნისტი ძეფირელის დაჩაგვრა თანამედროვე იტალიაში, განსასჯელად ის საქმეში უკეთესად ჩახედულ ადამიანებს, – მაინც, უწინარესად, იტალიელებს, – მივანდოთ (შეიძლება, მათ მართლაც დაადასტურონ ეს მტკიცება ან მას ეჭვით შეხედონ!). მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელი მაყურებელი (უფრო იმგვარი, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ცოტათი მაინც მოჰბეზრდა იტალიური ფილმების ხილული გადაქცევა კომუნისტური იდეოლოგიის სახელმძღვანელოთა საილუსტრაციო მასალად) კინოდარბაზში იმ მოკიაფე იმედით მაინც შეაბიჯებდა, რომ ფილმი “ჩაი მუსოლინისთან” თუნდაც მარქსისტულ-კომუნისტური კლიშეებისა და სტერეოტიპებისაგან იქნებოდა თავისუფალი. მით უმეტეს, ამ იმედის საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ ნაწარმოები თავად რეჟისორის ავტობიოგრაფიული წიგნის ეკრანიზაციას წარმოადგენს და ასახავს იტალიის ცხოვრების არცთუ ადვილ, დღემდე მძაფრი კამათის საგნად ქცეულ მონაკვეთს, რომელიც ფილმის შემქმნელის სიყმაწვილის ხანას დაემთხვა, – 1930-იანი წლების შუახნიდან 1940-იანი წლების შუახ-

ნამდე: ბენიტო მუსოლინის მმართველობას, ფაშისტურ ძალაუფლებას, მეორე მსოფლიო ომში ჩართვას, გერმანულ ოკუპაციას და მოკავშირეთა შემოსვლას ქვეყანაში.

ფილმის – "ჩაი მუსოლინისთან" – მთავარი მოქმედი პირია ყმაწვილი ლუკა, რომელიც, როგორც ჩანს, თავად ავტორს განასახიერებს (რასაც ბოლო ტიტრებიც ადასტურებს) და რომელიც მაყურებლის თვალწინ ჭაბუკად ყალიბდება. ნაწარმოების ფაბულის ღერძია უდედო და მამისაგან უყურადღებოდ მიტოვებული ლუკას ურთიერთობა რამდენიმე ხანშიშესულ ბრიტანელ მანდილოსანთან, რომელთაც თავიანთი ცხოვრება იტალიის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ და რის გამოც მათ – ომისა და ოკუპაციის პირობებში – არაერთი უსიამოვნება და შევიწროება შეხვდებათ, – განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ იძულებითი გადასახლება მოუწევთ ტოსკანაში, პატარა ქალაქ სან ჯიმინიანოში. თუმცა იქაც ისინი არასოდეს ღალატობენ არც ადამიანური ღირსების მოთხოვნებს და არც სწრაფვას ირგვლივ მყოფთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ცალკეულ ეპიზოდებში ამაღელვებლადაა ნაჩვენები, თუ როგორ არ ზოგავენ ისინი თავს, რათა მზრუნველობა არ მოაკლონ უპატრონო იტალიელ ყმაწვილს. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ამ თვალშისაცემად სანტიმენტალურ ფილმში (რაც, საერთოდაც, ჩვეულია ძეფირელის ხელწერისათვის) ვერ შეხვდებით ტრაგიკულ ფერებს. თითქმის ყველა, ვინც ეკრანზე ჩნდება, უსაზღვროდ კეთილშობილი და უშიშარი, თავდადებული და გულუხვია, – ორი პერსონაჟის გამოკლებით: ერთია ბენიტო მუსოლინი, რომელიც თავისი სიტყვის ერთგული არ აღმოჩნდება და უღალატებს დათქმულ პირობას, ხოლო მეორე – ახალგაზრდა იტალიელი ადვოკატი, ანგარებიანი კარიერისტი, რომელიც თავისი ყოფილი საყვარლის, ამერიკელი ებრაელი მილიონერი ქალის მთელ ქონებას მიითვისებს.

შემთხვევით ან არცთუ შემთხვევით, სწორედ იმ დღეებში, როცა ეკრანებზე გამოჩნდა "ჩაი მუსოლინისთან", რამდენიმე ქვეყნის ტელეარხებმა აჩვენა ძმები ტავიანების თითქმის ორი ათწლეულის წინანდელი ფილმი "წმიდა ლავრენტის ღამე" ("La notte di San Lorenzo", 1982), – ტრაგიკული, სასტიკი

და პოეტური ფილმი ომისდროინდელი იტალიის ცხოვრების შესახებ. როცა დარბაზიდან შინ დაბრუნებული კინომაყურებელი, შემთხვევით თუ არცთუ შემთხვევით, საოჯახო სავარძელში მჯდომ ტელემაყურებლად გადაიქცეოდა, მას აუცილებლად მოუხდებოდა ამ ორი ნაწარმოების შედარება ერთმანეთთან. ტავიანების ფილმს შეიძლება ბრალი დაედოს ერთგულებაში კომუნისტური კლიშეების მიმართ, მძაფრად ანტიგერმანულ დამოკიდებულებაში, ისტორიული ფაქტების არასწორ ან ტენდენციურ ინტერპრეტაციაში, მაგრამ ის უეჭველად დიდი ხელოვნების ნიმუშია, რაც, სამწუხაროდ, ძნელად თუ ითქმება ფრანკო ძეფირელის ახალი ფილმის – "ჩაი მუსოლინისთან" – შესახებ.

ივლისი, 1999

P.S. შემდგომ, ფრანკო ძეფირელიმ კიდევ რამდენიმე ფილმი გადაიღო, მათ შორის, მარია კალასის ცხოვრების შესახებ (2002).

ოთხმოცდათექვსმეტი წლის რეჟისორი 2019 წლის 15 ივნისს რომში გარდაიცვალა.

ოქტომბერი, 2022

60

შალვა ნუცუბიძის ნოხები

შესაძლოა, ზოგიერთს ახსოვდეს, 1980-იან წლებში, არნოლდ ჩიქობავას სთხოვეს, – საჯარო შეხვედრისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, – საკუთარი აზრი გამოეთქვა შალვა ნუცუბიძის შესახებ. მან დაუფარავი ირონიით უპასუხა: მის ფილოსოფიურ სწავლებას – ალეთოლოგიას – პროფესიულად ვერ შევაფასებ, ოღონდ ის კი მახსოვს, რომ 1920-იან წლებში მას ნოხები გადაჰქონდა ოსმალეთში გასაყიდად, თუმცა ნამდვილად გამიჭირდება, გითხრათ, რა კავშირი ჰქონდა ფარცხანაყანებულ ჭეშმარიტების თეორიას ნოხებით ვაჭრობასთანო!

ჩიქობავა იმ თაობას და იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც არა მარტო სჯეროდა, რომ საკუთარი იდეური შეხედულებები არ უნდა დაჰპირისპირებოდა საკუთარ პრაქტიკულ ცხოვრებას, არამედ, რაც მთავარია, სირცხვილად მიაჩნდა, ინტელექტუალს კომერციული საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი. დღეს წარმატება და ფინანსური ფეხმოკიდება სულის მსახურთათვის ნიშნობრივად საამაყოა!

აგვისტო, 1999

61

მარგარეტ თატჩერის ესეი კონსერვატიზმის მომავლის გამო

უკვე ცხრა წელია, რაც მარგარეტ თატჩერი (*1925) ბრიტანეთის მთავრობას აღარ უდგას სათავეში (იგი ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა 1979 წლიდან 1990 წლამდე), მაგრამ ბარონესა თატჩერის გავლენიანი სახელი ისევ ხშირად გახმაურდება ხოლმე მასმედიაში, და არა ოდენ ბრიტანეთის კუნძულებზე.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მან კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება, როცა საჯაროდ განაცხადა, რომ ჩილეს ყოფილი პრეზიდენტი, აუგუსტო პინოჩეტი, მსოფლიო მემარცხენეობის მწყურვალე შურისძიების მსხვერპლი გახდა და თავისი განსაკუთრებული პატივისცემის დასადასტურებლად მხცოვანი პოლიტიკოსის მიმართ იგი შინაპატიმრობაში მყოფ ოთხმოცდასამი წლის გენერალს ლონდონურ ვილაში ეწვია; ცოტა ხნის წინათ თატჩერი სათავეში ჩაუდგა ინგლისელ ევროსკეპტიკოსებს, რომლებიც მოითხოვენ, დიდმა ბრიტანეთმა დატოვოს ევროკავშირი და ქვეყნის ხელისუფლებამ დამოუკიდებელი, საკუთარი პოლიტიკა გაატაროს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ კონტინენტური ევროპის ბიუროკრატია თანდათანობით სოციალისტურად შეფერილი გარდაქმნებისაკენ უძღვება მთელ გაერთიანებას.

ახლახან ბრიტანულ პრესაში გამოქვეყნდა ბარონესა მარგარეტ თატჩერის მოკლე ესეი "კონსერვატიული იდეები ცუდ დროებას გადაიტანენ", რომელიც უმალ გადაბეჭდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთებმა, – ბუნებრივია, ძირითადად, მემარჯვენე პოლიტიკური ორიენტაციის პრესამ. თანამედროვე მოქალაქისათვის უთუოდ საგულისხმოა ნარკვევში გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც მიზნად ისახავს, დაადასტუროს კონსერვატიული იდეების სიღრმი-

სეული, შინაარსობრივი და არსებითი კავშირი ქრისტიანულ ფასეულობებთან.

იმ დროს, როცა მთელი დღევანდელი ევროპის მთავრობებში, ორ ქვეყნის გამოკლებით, სოციალისტები სხედან, ბარონესა თატჩერი აცხადებს, რომ ეს კონსერვატორთა მხოლოდ დროებითი დახევაა უკან. მისი სიტყვებით, "ყველაზე ძლიერი არგუმენტი, თუ რატომ შეძლებს გამარჯვებას კონსერვატიული იდეები ამომრჩეველთა მხრიდან დღევანდელი ზურგის შექცევის შემდეგაც, არის ის ფაქტი, რომ კონსერვატორები უშუალოდ ქრისტიანული მოძღვრებით საზრდოობენ".

ესეის ავტორს მიაჩნია, რომ კონსერვატიული იდეების სიძლიერეს და, რაც მთავარია, მათს ჭეშმარიტებას განაპირობებს ქრისტიანობის ჭეშმარიტება, ხოლო პოლიტიკურ იდეათა შორის სწორედ კონსერვატორები ეყრდნობიან ქრისტიანულ მოძღვრებას.

ყოფილ პრემიერს სურს, მოხსნას ის დაძაბულობა, რომელიც თითქოს არსებობს ქრისტიანული ზნეობის მოთხოვნებსა და იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიმართულებას შორის, რომელსაც იგი არა მარტო მისდევდა, არამედ მტკიცედ ამკვიდრებდა მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა.

თატჩერის აზრით, მეათე მცნება, მართალია, არ გამორიცხავს, რომ ფულის კეთებისა და ნივთიერი ფასეულობების ხელში ჩაგდების სურვილი, შესაძლოა, მომხვეჭელობისა თუ მოთავისეობის საფუძვლად იქცეს, მაგრამ, ქრისტიანული შეხედულებით, ცოდვადაა მიჩნეული თავად ფულის სიყვარული: ფული მხოლოდ ფულისათვის! ადამიანის სწრაფვის სულიერი განზომილება იმ შემთხვევისას წარმოჩნდება, როცა მდიდარმა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რისთვის, რა მიზნით უნდა გამოიყენოს მოპოვებული ფული.

"როგორ შევძლებდით ყური მიგვეგდო უთვალავი გაჭირვებული ადამიანის თხოვნისათვის, ანდა დაგვებანდებინა თანხა სამომავლოდ, ანკი მხარი დაგვეჭირა ხელოვანისათვის, რომლის ქმნილებები თავისებურად ადიდებს სამყაროს შემოქმედს, თუკი ბეჯითად არ ვიმუშავებდით და არ გამო-

ვიყენებდით ჩვენს უნარს, მოგვეპოვებინა სიმდიდრე?”, კითხულობს თატჩერი.

კონსერვატიული ფილოსოფიის ქრისტიანული საფუძველი, მისი შეხედულებით, მოიცავს სამ საწყისს, რომლებიც სულიერი ცხოვრებიდან გამომდინარეობს, და არამც და არამც – საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. მით უმეტეს, გასახსენებელია ყოფილი პრემიერის გახმაურებული ოდინდელი პასუხი, რომ მას გულწრფელად არ ესმის, რას ნიშნავს სიტყვა “საზოგადოება”, რადგან იგი ვერასოდეს და ვერსად ხედავს “საზოგადოებას”, მაგრამ მკაფიოდ აღიქვამს ირგვლივ მყოფ ცალკეულ ქალებსა და ცალკეულ კაცებს.

მარგარეტ თატჩერის თვალსაზრისით, ეს სამი საწყისი ამგვარად განისაზღვრება:

პირველი, – ყოველ ადამიანს დაბადებისთანავე აქვს გადამწყვეტი უფლება, გააკეთოს არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის;

მეორე, – ადამიანს, რომელიც ღმრთის ხატად და მსგავსადაა შექმნილი, ევალება, გამოიყენოს ამ არჩევანის უფლება;

მესამე, – როცა უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, თავისი მიწიერი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში არჩევანის წინაშე იდგა, მან საკუთარი თავი გასწირა.

თუკი საჯარო და სამოქალაქო წყობა არ ეფუძნება ინდივიდუალურ, პირად პასუხისმგებლობას, თატჩერის აზრით, ამგვარი წეს-წყობილება მხოლოდ ზიანს მოიტანს. შეუძლებელია, პასუხი მოვთხოვოთ ან რამე დავაბრალოთ სხვა ადამიანებს თუ ადამიანთა ჯგუფს, თუკი თავად ჩვენ არ ვიცავთ წესებსა და კანონებს. შეუძლებელია, მოწყალება და გულუხვობა მივანდოთ სხვას, თავად კი არ ვიზრუნოთ მის ხორცშესასხმელად, – თანაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

“ხვავი ციდან არ ცვივა, – ხვავი ამქვეყნად უნდა გამომუშავდეს. თუ ჩემი ცხოვრებიდან მახსენდება რომელიმე დღე, რომლის დამთავრებისას კმაყოფილი ვიყავი, ეს დღე არასოდეს ყოფილა იმგვარი, რომ არაფერი გამეკეთებინოს, – ეს დღე ყოველთვის ისეთი იყო, როცა საჭირო იყო იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე ეს შესაძლებლად ჩანდა. ქრისტი-

ანული ცხოვრების ეს წესები ჩემს პატარა ქალაქში ავითვისე, მაგრამ მათ ძალა არც დიდ პოლიტიკაში დაუკარგავს", – ამთავრებს თავის მსჯელობას ბარონესა მარგარეტ თატჩერი, დიდი ბრიტანეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე.

აგვისტო, 1999

P.S. ოთხმოცდაშვიდი წლის მარგარეტ თატჩერი 2013 წლის 8 აპრილს ლონდონში გარდაიცვალა.

ოქტომბერი, 2022

62

ძალადობა ეკრანზე

ორიოდ თვის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გასცა ნებართვა, დაიწყოს პროცესი ამერიკელი კინორეჟისორის, ოლივერ სტოუნის, წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება, რომ, რაკი მან თავის ფილმში განადიდა ძალადობა, ამ გზით მოძალადეს უბიძგა დანაშაულის – მკვლელობის მცდელობის – ჩადენისაკენ. ამჟამად სასამართლო არკვევს, როგორ უნდა დასაბუთდეს, ნამდვილად შეიძლებოდა თუ არა, მკვლელობა ჩაეგონებინა სტოუნის ფილმს – "დაბადებულნი მკვლელებად".

ბრალდება კი უკვე ოთხ წელს მოითვლის: 1995 წლის აპრილში მაღაზიაში შეიჭრა თვრამეტი წლის ორი ჭაბუკი, რომლებმაც დაუნდობელი თავდასხმისას მძიმედ დაჭრეს გამყიდველი ქალი. დაკავებულმა ბრალდებულებმა გამოძიებისას განაცხადეს, რომ უშუალოდ სისასტიკის ჩადენამდე ოცჯერ მაინც ნახეს სტოუნის ფილმი. რაც შეეხება დანაშაულის მსხვერპლს, იგი ვეღარ გამომჯობინდა, – ჯერ პარალიზებული დარჩა, მოგვიანებით კი გარდაიცვალა.

მალე მისმა ოჯახმა სასამართლოში უჩივლა ოლივერ სტოუნს, რადგან მიიჩნია, რომ რეჟისორმა თავისი ნაწარმოებით უშუალოდ უბიძგა ახალგაზრდებს, ზუსტად მიებაძათ ფილმის მთავარი მოქმედი პირებისათვის და გაემეორებინათ მათი საქციელი. ლუიზიანის სასამართლომ, სადაც თავდაპირველად იყო შეტანილი სარჩელი, უარი თქვა, განეხილა საქმე, მაგრამ როცა გარდაცვლილის ოჯახმა იგივე სარჩელი უზენაეს სასამართლოში შეიტანა, ყველასათვის მოულოდნელად, პროცესი დაიწყო.

როგორც გაირკვა, რეჟისორის ადვოკატები და კომპანია "უორნერ ბროზერსი" სრულებით არ ელოდნენ ამგვარ გადაწყვეტილებას. ახლა ისინი რეჟისორის დაცვას იმის

მტკიცებით ცდილობენ, რომ ფილმი მაყურებლის გასახალისებლად იყო შექმნილი. ამას გარდა, მათ მიაჩნიათ, რომ მხატვრული ქმნილება დაცულია კონსტიტუციით, რომელიც ამერიკელ ადამიანს ანიჭებს აზრის გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიას. თავად სტოუნმა კი რამდენჯერმე განაცხადა, რომ ფილმი ნამდვილად წარმოადგენს მედიალიზებული ძალადობის კრიტიკას და მისი შექმნისას მას არანაირად არც უფიქრია, მხარი დაეჭირა ძალადობისათვის. მაგრამ თუკი მომჩივნები პროცესს მოიგებენ, რეჟისორს ბრალი დაედება, რომ სწორედ იგი აგებს პასუხს იმ დანაშაულზე, რომელიც მოძალადე ჭაბუკებმა ჩაიდინეს. თუ საქმე ამგვარად დამთავრდა, განაჩენს, შესაძლოა, მსგავს ბრალდებათა მთელი ნიაღვარი მოჰყვეს. თუმცა ადვოკატები და ჟურნალისტები მაინც გამოთქვამენ იმედს, რომ სტოუნს არ ემუქრება დამნაშავედ ცნობა, რადგან საქმის ამგვარად დასრულებას, რა თქმა უნდა, ფართო სკანდალი და დაუსრულებელი შეხლა-შემოხლა მოჰყვება.

ღირსშესანიშნავია, რომ ამერიკულ საჯარო სივრცეში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა და მნიშვნელოვანი ყურადღება მიეპყრობა ძალადობასა და ძალადობის ასახვას მასმედიაში, განსაკუთრებით, – ტელევიზიით. ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ამგვარი სტატისტიკური მონაცემები: საშუალო ამერიკელი მოსწავლე, რომელიც ტელევიზორს ყოველდღიურად ორი-ოთხი საათის განმავლობაში უყურებს, დაწყებითი სკოლის დამთავრებამდე ეკრანზე ხედავს რვა ათას მკვლელობას და ასი ათასზე მეტ ძალადობის აქტს, ხოლო თვრამეტი წლის მიღწევისას სურათი კიდევ უფრო მკვეთრდება: ყმაწვილი მაყურებლის თვალწინ ჩაივლის ორმოცი ათასი მკვლელობა და ძალადობის ორასი ათასი შემთხვევა. შაბათის დილის პროგრამაში, რომელიც ბავშვებისათვის გადაიცემა, ერთი საათის განმავლობაში ნაჩვენებია ხოლმე ოცდან ოცდახუთამდე ძალადობის აქტი. კვირის დასრულებისას შესაძლებელია დათვლა, რომ ძალადობას ტელეეკრანებზე ეთმობა ას ოთხმოცდაათამდე საათი. ალბათ, არავინ დავობს, რომ ამგვარი სტატისტიკა დამამშვიდებელი სულაც არაა.

1950-იანი წლებიდან დღემდე უკვე გამოქვეყნებულია დაახლოებით ხუთი ათასი აკადემიური ნაშრომი, რომელიც ძალადობისა და მასმედიის ურთიერთობის საკითხს სწავლობს. მათგან უმრავლესობა ამტკიცებს, რომ უეჭველია კავშირი ეკრანზე ნანახ ძალადობის რაოდენობასა და მაყურებლის დანაშაულებრივ ქმედებათა შორის.

ერთ-ერთი ბოლო გამოკვლევა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით დაიბეჭდა, ეკუთვნის გერმანელ მკვლევარ-მედიოლოგს, მიხაელ კუნციკს. ნაშრომი ემყარება ფართო გამოკითხვას, რომელიც ორჯერ – 1977 წელს და 1986 წელს – ჩატარდა (პირველ ჯერზე მონაწილეობდა ოცდაათი ათასი ყმაწვილი, მეორედ კი – ასი ათასი). ორივე გამოკვლევა დამთავრდა იმგვარი შედეგებით, როგორიც თავიდანვე იყო მოსალოდნელი: ჯერ ერთი, უთუოდ არსებობს კავშირი ტელევიზიით ნანახი ძალადობის რაოდენობასა და ყმაწვილის საქციელს შორის, მაგრამ, ამას გარდა, აგრესიული გადაცემების ჩვენება ზრდის აგრესიული ქცევის შესაძლებლობას. კიდევ, დადგინდა, რომ სატელევიზიო ძალადობა ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს მაყურებლებზე რვიდან თორმეტ წლამდე. მედიით მიწოდებულ ძალადობას, ძირითადად, სამგვარი შედეგი მოჰყვება: ერთი, ყმაწვილები, – ეკრანზე ნანახი ძალადობის გავლენით, – უგრძნობელნი ხდებიან სხვათა ტანჯვის მიმართ; მეორე, მოსალოდნელია, თავად გახდნენ აგრესიულნი; მესამე, შეიძლება, ძლიერ საშიშროებად აღიქვამდნენ გარემომცველ სამყაროს (რასაც სოციოლოგები და ფსიქოლოგები "ბოროტი სამყაროს სინდრომს" უწოდებენ).

ძალადობა მასმედიის საშუალებებში არაა განპირობებული ორიენტაციით ოდენ დაბალი დონის, დაბალი განვითარების მაყურებლის ყურადღების მისაპყრობად, რადგან ძალადობა ხანდახან პრაქტიკულადაა მომგებიანი თავად ავტორისათვის, – მაგალითად, სცენარისტისათვის: ძალადობის ჩვენებით მოქმედება სწრაფად ვითარდება, აღარაა აუცილებელი გმირის ხასიათის ღრმა ფსიქოლოგიური დამუშავება, ამასთანავე, ძალადობრივ ქმედებებში ჩართული პერსონაჟი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს

ვიზუალურად. ხშირად ფილმში აუცილებელი ხდება მოქმედების გამარტივება, შემოკლება, დაძაბულობის განმუხტვა, – ასეთი შემთხვევისას კი ყველაზე ხელსაყრელი გამოსავალია ძალადობის სცენა. ერთი ცნობილი ჰოლივუდელი პროდიუსერის განცხადებით, ძალადობის გარეშე, მოქმედება ვერასოდეს მივა სასურველ დასასრულამდე. მისი სიტყვებით, სასამართლო პროცესი, სამართლის ძიება და სამართლიანობის აღდგენა დიდ დროს მოითხოვს, ეკრანზე კი სასურველია, პრობლემა მარტივად გადაიჭრას და მალე ამოიწუროს. ამას გარდა, ძალადობის სცენები, რომელიც დაძაბულობის მუხტს შეიცავს, შესანიშნავ საშუალებას იძლევა რეკლამების ჩასართავად.

მკვლევართა მიერ ჩატარებულმა ფართო გამოკითხვამ მკაფიოდ დაადასტურა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის წარმოდგენილი მასმედიაში ძალადობა: ისჯება თუ არა ის? აქვს თუ არა მას საბაბი? არის თუ არა ნაჩვენები მისი შედეგები? არის თუ არა ის მიმზიდველი ან სახალისო? რა შედეგი მოჰყვება მას, ერთი მხრივ, მოძალადეებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ძალადობის მსხვერპლთათვის?

ზოგიერთი შეკითხვა კი დაკავშირებულია მაყურებლის დამოკიდებულებასთან: ვისთან აიგივებს იგი თავს – მოძალადესთან თუ მსხვერპლთან? რა გრძნობებს იწვევს მასში ძალადობის ყურება – აღფრთოვანებას თუ ძრწოლას? ახერხებს თუ არა იგი სინამდვილისა და წარმოსახვის ერთმანეთისაგან განსხვავებას, გამიჯვნას?

ვაშინგტონის მასმედიისა და საჯარო საქმეთა ცენტრში მომუშავე სოციოლოგთა აზრით, "მედიალური ძალადობა უეჭველად უბიძგებს ცხოვრებისეული ძალადობისაკენ, თუკი ის ნაჩვენებია რეალისტურად, დასაბუთებულია მისი აუცილებლობა და შედეგად მას მოჰყვება რამე მონაპოვარი".

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსები ეჭვით შეხვდნენ ჩატარებული კვლევის შედეგებს. მათი აზრით, გამოკითხვისას მხედველობიდან გამორჩათ და არ გაურკვევიათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი გარემოება:

ყმაწვილი აგრესიული ხდება იმის გამო, რომ იგი უყურებს ძალადობით აღსავსე გადაცემებს თუ თავად აგრესიულ ყმაწვილებს უჩნდებათ სურვილი, ტელევიზიით უყურონ რაც შეიძლება მეტ ძალადობას?

ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჯონათან თრიდმანი, ამტკიცებს, რომ გამოკითხვათა შედეგად მიღებული დასკვნები მთლიანად საკამათოა და უნდა გადაისინჯოს, "თუნდაც იმიტომ, რომ, – როგორც იგი აცხადებს, – უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ძალადობის რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მკვეთრად კლებულობს".

გამოკვლევის სხვა შემფასებლები მხოლოდ იმას აღიარებენ, რომ, უბრალოდ, მასმედიამ დიდი წვლილი შეიტანა იმგვარი კულტურის შექმნაში, რომელიც, ადრინდელთან შედარებით, ძალადობის მიმართ ბევრად უფრო მეტ მიმტევებლობას ან გულგრილობას ამჟღავნებს.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, საკითხის არსს არიან აცდენილი, როცა მსჯელობენ ძალადობის მხოლოდ მოზღვავებული რაოდენობის ირგვლივ, რადგან საქმე ისაა, რომ მასმედია არ აჩვენებს კონფლიქტის გადაჭრის არაძალადობრივ ალტერნატივას და არ სთავაზობს ყმაწვილებს არჩევანს, – ეკრანზე მეტად იშვიათად ჩნდებიან ნამდვილი გმირები, რომლებიც საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას ძალადობის გარეშე ცდილობენ.

პედაგოგები და ფსიქოლოგები ჩიხიდან ამგვარ გამოსავალს პოულობენ: ყმაწვილები უნდა აღიზარდონ იმგვარად, რომ შეძლონ, კრიტიკული თვალით აღიქვან მასმედიის მიერ მიწოდებული მასალა და არ მოეკიდონ ხელოვანთა მიერ ესთეტიზებულ ძალადობას როგორც გართობას.

ევროკავშირმა უკვე შეიმუშავა საგანგებო აუდიოვიზუალური დირექტივები, რომლებიც მოიცავს "ახალგაზრდათა დამცველ" მუხლებს. ამ რეკომენდაციათა მიხედვით, მასმედიის საშუალებები თავად უნდა განსაზღვრავდნენ პროგრამათა შინაარსს, ამასთანავე, ისინი უნდა დაეხმარონ მშობლებს, მოიპოვონ შესაბამისი ტექნიკური საშუალება – დამცველი ფილტრი. ამგვარი მოწყობილობა ხელს შეუშ-

ლიდა ზედმეტად ცნობისმოყვარე ყმაწვილებს ტელევიზიის არასასურველ გადაცემებთან და ინტერნეტის არასასურველ გვერდებთან მისასვლელად.

რამდენად იპოვა შესაბამისი ხელსაწყო ცხადი პრობლემის მოსაგვარებლად ევროკავშირმა, – განსხვავებით შეერთებული შტატებისაგან, – ძნელად სათქმელია, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ დამცველი ფილტრი ძნელად თუ მოახერხებს ძალადობის განდევნას ან ცხოვრებიდან, ან ხელოვნებიდან, ან სატელევიზიო სივრციდან.

სიმართლე ისაა, რომ ძალადობა ისევ რჩება გარემომცველ სამყაროში, ძალადობა რჩება ეკრანზეც.

სექტემბერი, 1999

P.S. ბოლოს და ბოლოს, ორწლიანი გამოძიების შემდეგ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სარჩელს ოლივერ სტოუნის წინააღმდეგ მსვლელობა არ მისცემოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად ფილმმა – "დაბადებულნი მკვლელებად" (1994) – მეოცე საუკუნეშიც და ოცდამეერთე საუკუნეშიც მოძალადეებს ჩააგონა არაერთი მკვლელობა თუ ტერორისტული აქტი, რასაც ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც თავად მკვლელები ან მკვლელობის მცდელნი აღიარებენ, მათ ბევრჯერ ნახეს სწორედ ეს ფილმი, რომელმაც მათ გაუჩინა მძაფრი სურვილი, თვითონაც ეძალადათ.

მართალია, სტოუნი დღემდე არ იღებს პასუხისმგებლობას მხატვრული ნაწარმოების შედეგებზე, რისი გაგებაც ნამდვილად შესაძლებელია, მაგრამ წესიერი ადამიანებისათვის ნაკლებად გასაგებია, თუ რატომ უცხადებს რეჟისორი მხურვალე მხარდაჭერას ისეთ აშკარად ტერორისტულ სახელმწიფოს, როგორიცაა რუსეთი და ისეთ ადამიანს, პირადად, როგორიცაა მსოფლიოში უამრავი ტერორისტული აქტის ორგანიზატორი, რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმირ პუტინი.

მოულოდნელი არ აღმოჩნდა, რომ სტოუნი, ვიეტნამის ომში შეერთებული შტატების მონაწილეობის უშეღავათო

კრიტიკოსი, წლევანდელ თებერვალში მიესალმა რუსეთის ჯარების შეჭრას უკრაინაში.

კინორეჟისორი ოლივერ სტოუნი ყოველთვის გამოხატავდა თავის ერთგულებას მემარცხენეობის მიმართ, – როგორც იდეურად, ისე პოლიტიკურად. მსოფლიოში წამოჭრილ პრობლემათა პირველსაწყისად იგი ერთთავად დასავლური ქვეყნების საქმიანობას მიიჩნევდა, რის გამო ბრალს სდებდა დასავლეთს და იწონებდა რუსეთის პოლიტიკას.

როგორც ჩანს, შემთხვევითი არა, რომ მემარცხენე გული, ასეა თუ ისე, ფარულად თუ ღიად, მაინც კომუნიზმის, კომუნისტური რუსეთის, პუტინის სიყვარულით ძგერს.

ოქტომბერი, 2022

63

დმიტრი ლიხაჩოვის გარდაცვალების გამო

1999 წლის 30 სექტემბერს, სანკტპეტერბურგში გარდაიცვალა პროფესორი დმიტრი ლიხაჩოვი, ძველი რუსული ლიტერატურისა და კულტურის მსოფლიოში აღიარებული მცოდნე, რუსული ჰუმანიტარული აზრის ბრწყინვალე წარმომადგენელი და სახელგანთქმული მოქალაქე.

პროფესორი ლიხაჩოვი რუსეთის იმპერიის იმუამინდელ დედაქალაქში, სანკტპეტერბურგში, ოთხმოცდათორმეტი წლის წინათ, 1906 წლის 28 ნოემბერს, დაიბადა, და იგი ნამდვილი ძველი პეტერბურგელი იყო, ანუ იმ სამოქალაქო-კულტურულ ფენას ეკუთვნოდა, რომლის მიზანსწრაფული გაუულეტა-განადგურება, ლენინის მიერ წარმოუდგენელი მგზნებარებითა და სისასტიკით დაწყებული საქმე, თითქმის სრულყოფილ დასასრულამდე მიიყვანა სტალინურმა რეჟიმმა. მიუხედავად ამ მცდელობისა, – სამწუხაროდ, მეტად წარმატებული მცდელობისა, – მაინც, იმ ძველ პეტერბურგელთაგან ბოლო დრომდე კიდევ შემორჩენილი იყო შემთხვევითი მოწმეები, მათ შორის დმიტრი ლიხაჩოვი, რომელიც, ჩრდილოური დედაქალაქის ერთ დროს ინტენსიური ინტელექტუალურ-სახელოვნო ცხოვრების ერთგულების გარდა, თავის გვაროვნულ, საოჯახო მახსოვრობაში ატარებდა "სტაროობრიადულ" (ძველმოწესეთა) ტრადიციებსაც, – ძველი, რეფორმამდელი რუსეთის მტკიცე დამცველებისა და მეპატრონეების სულიერ-რელიგიურ მემკვიდრეობას.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში, მის მიწურულშიც კი, ისევ შემორჩენილიყვნენ ადამიანები, რომლებიც ბოლშევიკურ გადატრიალებამდე მიმდინარე ცხოვრების გამოცდილებას ატარებდნენ, – თუნდაც სიყმაწვილისდროინდელი მკრთალი მოგონების სახით, – და

დმიტრი ლიხაჩოვიც ამ იშვიათ მემატიანეებს განეკუთვნებოდა. მართალია, მან, ღრმად მოხუცებულმა, ნამდვილად გამოსცა მოგონებათა მომცრო წიგნი, მაგრამ მემატიანედ იგი წარმოდგებოდა უფრო ცხოვრების წესითა და სწრაფვით, – დაუცხრომელი შრომით, განახლების წადილით, ფართო ყურადღებით პოეზიის, მხატვრობის, მუსიკის მიმართ, და კიდევ, იმის ცოდნით, როგორი უნდა იყოს კულტურული ადამიანის ქცევა: ყოველდღიურ, ყოფით გარემოშიც და ზნეობრივ განზომილებაშიც.

ვისაც შავბნელ საბჭოთა ეპოქაში სიფრთხილითა და მღელვარებით უკითხავს ალეკსანდრ სოლჟენიცინის დიადი წიგნის, "გულაგის არქიპელაგის" ტომები, ალბათ, არც დაეჭვებულა, რომ იქ ხშირად დამოწმებული "ძველი სოლოვკელი დ. ს. ლ.", – კომუნისტურ სისასტიკეთა და სიმხეცეთა ერთ-ერთი უშიშარი მოწმე, – სოლოვკის ლენინური საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმარი დმიტრი სერგეევიჩ ლიხაჩოვი იყო. სხვათა შორის, იგი იმ უიშვიათეს საბჭოთა აკადემიკოსებს მიეკუთვნებოდა, რომელიც არასოდეს ყოფილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი.

დმიტრი ლიხაჩოვის მზრუნველობით, იმდროინდელ ლენინგრადში ორჯერ – 1970-იან და 1980-იან წლებში – ჩატარდა ძველი ქართული ლიტერატურის დღეები; იგი, როგორც სოლიდური აკადემიური სერიის, "ლიტერატურული ძეგლების" ("Литературные памятники"), მთავარი რედაქტორი, დაჟინებით ცდილობდა ამ პრესტიჟულ გამოცემათა წყებაში "ვეფხისტყაოსნის" აკადემიური, სამეცნიერო-კომენტირებული ტექსტის გამოქვეყნებას რუსულ ენაზე, მაგრამ ამ საქმის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ამგვარი გამოცემა, სავალალოდ, ქართულადაც კი არ არსებობს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პროფესორი ლიხაჩოვი ხშირად წერდა და ამბობდა, – მადლიერებით ამბობდა, – თუ რამდენად უფრო ძლიერად გრძნობს ღმრთის ყოფნას, ღმრთის წარმმართველ მარჯვენას სამყაროს წესრიგში.

დაბოლოს, წინამდებარე სტრიქონების ავტორი ამ სევდიანი ჩანაწერების ბოლოს იხსენებს დმიტრი ლიხაჩოვის მიერ

მისთვის დიდი ხნის წინათ მოძღვნილ წიგნს – “იგორის ლაშქრობის ამბავს”. სატიტულო ფურცლის წინ, მთელ გვერდზე, ლიხაჩოვისეული ხელნაწერი მოძღვნა ისეა შესრულებული, რომ რუსული მთავრული ასოების გადაკვეთით მთები იხატება, ფურცლის მარჯვენა კუთხეში კი მოკაშკაშე მზეა მიხატული. მთელი ფურცელი თითქოს ამ მზის შუქითაა გაცისკროვნებული, ქვემოთ კი, – ზღვის ტალღების მსგავსად ნაწერი, გულთბილი გრძნობების გამომხატველი სტრიქონების ქვეშ, – ხელმოწერაა: დმიტრი ლიხაჩოვი.

ოქტომბერი, 1999

64

იტალიური მეტაფიზიკური ფერწერა

თითქოს გავრცელებული და მიღებული შეხედულებაა, რომ იტალიურ ფერწერას არ შეუსრულებია წამყვანი ან განსაკუთრებული როლი მეოცე საუკუნის კულტურაში, მაგრამ ნამდვილად შეუძლებელია იმის უგულებელყოფა, რომ, სხვა ევროპულ ხელოვნებათა შორის, მასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი, სხვათაგან გამორჩეული ადგილი განეკუთვნა.

ღირსშესანიშნავია, რომ 1909 წელს სწორედ იტალიელებმა გაამდიდრეს კულტურის ისტორია ახალი მიმდინარეობით – ფუტურიზმით, ხოლო 1910-იანი წლების დასასრულ, ომისშემდგომ იტალიაში აღმოცენდა ეგრეთ წოდებული მეტაფიზიკური ფერწერა.

თუ ფუტურისტების გაერთიანებაში მხატვართა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი იგულისხმება, მეტაფიზიკოსთა მწკრივი, ფაქტობრივად, სულ რამდენიმე სახელით ამოიწურება, – ესენია: ჯორჯო დე კირიკო, ჯორჯო მორანდი და კარლო კარა, კიდევ, მათთან ერთად, დე კირიკოს ძმა, პოეტი და კომპოზიტორი, ალბერტო სავინიო (ნამდვილი სახელით: ანდრეა დე კირიკო) და, ასევე, ფილიპო დე პიზისი.

როცა ამ ჯგუფის შესახებ ლაპარაკობენ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ჟურნალი “Valori plastici”, რომლის ირგვლივაც იყვნენ შემოკრებილი ეს მხატვრები და სადაც ისინი თავიანთ თეორიულ შეხედულებებს გამოხატავდნენ. თუმცა დე კირიკო, ჯერ კიდევ კოლეგებთან და თანამოაზრეებთან შეხვედრამდე, იმ საფუძვლებზე აგებდა თავის ნამუშევრებს, რომელიც მას მკაფიოდ ჩამოუყალიბდა გვიანდელი რომანტიკული ფერწერისა (ბეკლინი) და გერმანული ფილოსოფიის (შოპენჰაუერი, ნიცშე, ვაინინგერი) გაცნობის შედეგად, ხოლო რამდენიმე სხვა ხელოვანის შემოერთების

შემდეგ ბუნებრივად წამოიჭრა სურვილი (უფრო სურვილი, ვიდრე საჭიროება!), საჯაროდ გამოცხადებულიყო საგანგებო ჯგუფის ჩამოყალიბება, რათა ამ მხატვართა ცალკეული, ინდივიდუალური სტილები, ასე თუ ისე, ერთ მიმართულებად ჩამოყალიბებულიყო.

საყურადღებოა, რომ, როდესაც იტალიელი მეტაფიზიკოსი ფერმწერები პირველად გამოვიდნენ სახელოვნო ასპარეზზე თავიანთი შემოქმედებითი განაცხადის საჯაროდ გამოსატანად, საუკუნეთა მიჯნის უმნიშვნელოვანესი მოდერნისტული თუ ავანგარდისტული მიმართულებანი უკვე ჩამოყალიბებული იყო. ამ მოძრაობათა სიმრავლეს კი კანონზომიერ გამოძახილად მოჰყვა აბსტრაქციონიზმი, რომელმაც ლოგიკურად დაასრულა ფორმალურ ძიებათა ხანა, რის შემდგომ ხელოვანთა შემოქმედებითმა ინტერესმა სიფართოვიდან სიღრმისაკენ გადაინაცვლა.

* * *

ჯორჯო დე კირიკო დაიბადა 1888 წელს, საბერძნეთში, სადაც მამამისი სამუშაოდ იყო მიწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ძველ გენუელ არისტოკრატიულ საგვარეულოს მიეკუთვნებოდა, მხატვრის წინაპრები იტალიაში გადმოსახლებული ბერძენი კათოლიკეები ყოფილან. ძველ ბერძენ ღმრთაებათა მიწაზე დაბადება დე კირიკოს ბედის ძახილად და მოწოდებად მიაჩნდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სამხატვრო ოსტატობის საბერძნეთსა და გერმანიაში ათვისების შემდეგ, საუკუნის პირველი ათწლეულის დასრულებისას, დე კირიკო საცხოვრებლად იტალიაში გადადის და სწორედ იქ უყრის საფუძველს მეტაფიზიკურ ფერწერას.

ჯორჯო დე კირიკოს გამორჩეული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, სწორედ იმით გამოვლინდა, რომ 1910-იანი წლებისათვის იგი აღმოჩნდა პირველი მხატვარი, რომელიც ჩასწვდა, რომ საჭირო იყო შეცვლილიყო თვით ფერწერულ სიახლეთა, განახლებათა სახე, რაც უნდა მომხდარიყო ფორმისა და შინაარსის გადასაკვეთზე, – ყოველი იმ ხერხის გამოყენებითა თუ გათვალისწინებით, რომლებიც ხელოვნე-

ბაში ცოტა ხნის წინათ იყო აღმოჩენილი და მოპოვებული. ის, რასაც მხატვარი აკეთებდა, იყო საგნობრივი გარემოს ჰიპერტროფირებული გაუცხოება. თუ მანამდე მხატვრები ნამდვილ საგანთა დეფორმირებას ახდენდნენ, მეტაფიზიკურ ფერწერაში საგნები უმთავრესად წარმოსახვითია, გამოგონილია, თითქოს აღებულია სიზმრისეული ხილვებიდან, მაგრამ თავად ეს საგნები ლამის ტრადიციულად იხატება, კიდევ მეტი, – მკაფიოდ, გამარტივებულად, ლაკონიურად. მისი ქმნილებები აღსავსეა ქალაქების გაქვავებული, უძრავი პეიზაჟებითა და შუადღის განათებული, გაკაშკაშებული სივრცეებით; ტილოებზე ჩნდება უსახური სხეულები და მანეკენის მსგავსი ფიგურები; გაუმიჯნავია ცოცხალი და არაცოცხალი არსებანი, ადამიანები და ნივთები, შენობები და ანარეკლები; ყოველდღიური სინამდვილე ერწყმის მითოსურ პერსონაჟებს; მარადისობის ნიშნები შემაშფოთებლად შემოჭრილა თანამედროვე ყოფაში; თითქოს ყველგან დამკვიდრებულა ჩრდილები, დუმილი, იდუმალება; ყოველი სურათიდან ჭვივის მონატრება და მოუსვენრობა, უპასუხობა და ფარული მოლოდინი, მიტოვებულობის განცდა და სევდა.

წლების შემდგომ დე კირიკო უარს ამბობს მოდერნიზმზე და თავის შემოქმედებას ნეოკლასიციზმისა და ნეობაროკოს სტილში წარმართავს. იგი ქომაგობს კლასიკურ იკონოგრაფიას და წარმოდგება მოდერნისტული ხელოვნების მძაფრ კრიტიკოსად.

მისი იმდროინდელი ნამუშევრები, რომლებიც მკვეთრად მოსწყდება მოდერნიზმს, ვეღარ იმსახურებდა ისეთსავე ყურადღებას, როგორც მისი ადრეული შემოქმედება, თუმცა თავად მხატვარს საკუთარი გვიანდელი ნაწარმოებები წინანდლებზე არა მარტო ბევრად უკეთესად, არამედ უფრო ღრმად და ოსტატურად მიაჩნდა.

დე კირიკო ოთხმოცდაათი წლისა, 1978 წელს, გარდაიცვალა, მაგრამ მის სიცოცხლეშივე მისი შემოქმედების შესამჩნევ გავლენას აღიარებდნენ გიიომ აპოლინერი და ჟაკ პრევერი, მაქს ერნსტი და სალვადორ დალი, მიქელანჯელო ანტონიონი და ვალერიო ძურლინი, სილვია პლათი და ენდი უორჰოლი.

* * *

1890 წელს ბოლონიაში დაბადებული ჯორჯო მორანდი იქაურ სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. 1930 წლიდან 1956 წლამდე იგი ამავე აკადემიაში ასწავლიდა და ბოლონიაშივე გარდაიცვალა 1964 წელს.

1920-იანი წლების ბოლოსათვის მხატვარმა მიაგნო თავის იმ განსაკუთრებულ სტილსა და მანერას, რომლისთვისაც სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია და რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა.

მთელი ცხოვრების განმავლობაში მორანდი პეიზაჟებსა და ნატურმორტებს ხატავდა. უაღრესად ადვილია იმის აღწერა, რაც მის სურათებზეა ასახული: ნატურმორტებზე – ფეერად-ფერადი ბოთლები, ხოლო პეიზაჟებზე – ხეები, ბუჩქები და სახლები, მაგრამ თვალშისაცემია, რომ მას არასოდეს, არცერთხელ არ დაუხატავს ადამიანები. თუმცა ხელოვნებაში ყოველთვის, ყოველი ვითარებისას მნიშვნელოვანია არა ის, თუ რის შესახებ ამბობს ხელოვანი, არამედ – რა მიზნით და როგორ გვეუბნება. ამიტომაც, მორანდის სურათების ხილვისას მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას წარმოუდგენს ისინი მაყურებელს, არამედ – მხატვრის რაგვარ უწყებას რაგვარად გადმოსცემს.

მორანდის პეიზაჟებიდან, ერთი შეხედვით, სიმშვიდე, სიწყნარე, სინათლე იღვრება და იგი, შესაძლოა, ლირიკოსადაც ყოფილიყო მიჩნეული, მაგრამ მის სურათებთან მიახლოებისთანავე შესამჩნევია ის სიმკაცრე, რომელიც აშკარად ავლენს მის სრულიად ანტილირიკულ დამოკიდებულებას. მხატვარი საგნებს თითქოს აღუკვეთს თვითგამოხატვის უფლებასა და საშუალებას, – იგი მათ თავისი უხილავი დიქტატურის ქვეშ მოაქცევს და ყოველნაირად თრგუნავს მათ.

უკამათო საკითხია, რომ სურათს სჭირდება კომპოზიცია, კოლორიტი, სინათლე. მორანდიმ ეს წესი შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მისი ნატურმორტები, ფაქტობრივად, ხომ მაინც ანტიკომპოზიციებია, ისინი ხომ მაგიდაზე ფრონტალურად დალაგებულ სხვადასხვა საგანს წარმოადგენს. განა რომელ კომპოზიციაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? ნახატიც

მარტივია და იქ რამენაირ სირთულეთა შენიშვნა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, ასევე, შეუძლებელია კოლორიტის გამარტივება. ამგვარი მცდელობისას კოლორიტი ხომ უფრო ფაქიზი გახდება, – სწორედ იმგვარი, როგორიც მორანდის ტილოებისათვისაა დამახასიათებელი. მისი ფერები გამოირჩევა თეთრის მოჭარბებით, თითქოს ნისლოვანებით, რითაც საგნები არა მარტო უჩვეულოდ, არამედ გაუცხოებულად ჩანს.

შეიძლება ითქვას, რომ მორანდი თავის ყოველ ტილოში მთლიანად ივიწყებდა იმას, რაც წინამორბედში ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ყოველი ახალი მაინც შემაძრწუნებლად ჰგავდა წინარეს, და ოდენ რაღაც მოუხელთებელი დეტალებით განსხვავდებოდა მისგან.

ჯორჯო მორანდის ტილოებიდან დაღვრილი სინათლე ცივი სინათლეა. ცხადი ყინულოვანი სითეთრე და შემზარავი მონოტონურობა აზრდაკარგული სამყაროს უიმედობასა და აბსურდულობას აშიშვლებს, და მნახველსაც არასოდეს დაავიწყდება მისი ბოთლები, – ერთნაირი, მაგრამ არა ერთფეროვანი, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მრავალფეროვანია.

* * *

1881 წელს პიემონტის რეგიონში დაბადებულმა კარლო კარამ სამხატვრო განათლება ყმაწვილობისას მილანში და ლონდონში შეიძინა, შემდგომ კი საცხოვრებლად პარიზში გადაინაცვლა.

ამ დროს, თანამედროვე მხატვრობის გარდა, იგი ეცნობა კროპოტკინისა და მარქსის ნაწერებს და ორივეს იდეებით აღფრთოვანდება. მალე მისი ხელმოწერა ჩნდება ფუტურიზმის მიმდევარ მხატვართა მანიფესტზე, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ – სეზანით გატაცების გავლით – იგი კუბიზმისაკენ გადაინაცვლებს.

მაგრამ მალე, ჯორჯო დე კირიკოსთან ფერარაში შეხვედრის შედეგად, კარა მიიჩნევს, რომ მისი შემოქმედებითი ადგილი მეტაფიზიკური ფერწერის წარმომადგენელთა შორისაა. სწორედ ამ დროს შექმნის იგი თავის გახმაურე-

ბულ სურათს – “მოჯადოებული ოთახი. მეტაფიზიკის მუზა”, რომელსაც ზოგი მკვლევარი ამ მიმდინარეობის გამომხატველ სახედ მიიჩნევს: ტილოს შუაგულ, უსახურ და დახშულ ოთახში, მიმოფანტულ ნახატთა და გეომეტრიულ ფიგურათა შორის, დგას თეთრსამოსიანი, სახეწაშლილი ქალი-ქანდაკება, რომელსაც ხელთ უპყრია ჩოგბურთელის თეთრი ჩოგანი და ხმარებისაგან გაშავებული ბურთი.

კარლო კარას სურათებისათვის ჩვეულია კომპოზიციის გამჭვირვალობა და ჟესტის პოეტურობა, ფერების სიმკვეთრე და მოძრაობის მოჩვენებითობა, მოცულობის მკაფიო განცდა და კოლაჟურობის ტექნიკა, ჩრდილისა და ჰორიზონტის ბუნდოვანება. თუმცა უნდა ითქვას, მისი ნახატები მაინც უფრო ლაღია, უფრო მსუბუქია, უფრო მოშორებულია იდუმალებასა თუ სევდას.

დე კირიკო და კარა სულ მალე დაშორდებიან ერთმანეთს, რადგან ვერ შეთანხმდებიან, თუ რომელი მათგანის იდეებს დაეყრდნო მეტაფიზიკური ფერწერა, ან ვინ აქცია მეტყველ სიმბოლოდ უსახური მანეკენი, – ორივე დაჟინებით იჩემებს პირველობას. ისინი სამუდამოდ მიატოვებენ ერთმანეთს, მაგრამ ორივე მიატოვებს მათ მიერ დაფუძნებულ მიმდინარეობასაც, – ერთიცა და მეორეც კლასიცისტური მხატვრობის საფარველს მიაშურებს.

გაივლის მცირე დრო და კარას ანარქისტული შეხედულებები შეერწყმება ფაშისტურ მოძრაობას. მხატვარი მტკიცედ მოითხოვს, რომ ხელოვნება მხარში უნდა ამოუდგეს სახელმწიფო იდეოლოგიას.

სიცოცხლის ბოლოს იგი წერს არაერთ გამოკვლევას მხატვრობის ირგვლივ, მათ შორის, დიდ ნაშრომს მისთვის სათაყვანებელი ჯოტოს შესახებ.

მხატვარი 1966 წელს მილანში გარდაიცვალა.

კარლო კარას ხანგრძლივი იდეური და შემოქმედებითი გზა არცთუ ჩვეულებრივი ან თანამიმდევრული აღმოჩნდა: გზა ინდივიდუალისტური ანარქიზმიდან – კოლექტივისტურ სოციალიზმამდე და ფაშიზმამდე; ფუტურიზმიდან და კუბიზმიდან – მეტაფიზიკურ ფერწერამდე, შემდგომ, ნეოკლასიციზმამდე; პიკასოდან – ჯოტომდე.

* * *

აღსანიშნავია, რომ იტალიური ფაშისტური რეჟიმი, ბენიტო მუსოლინის მეთაურობით, მკაფიო მხარდაჭერას გამოხატავდა ავანგარდისტული ხელოვნების მიმართ, რაც არცთუ ჩვეულებრივ დამოკიდებულებად ჩანს ტოტალიტარისტული დიქტატურების პირობებში. მაგალითად, გერმანული ჰიტლერული ნაციონალ-სოციალიზმი, საერთოდ, მიუღებლად მიიჩნევდა ყოველგვარ თანამედროვე ძიებებს ხელოვნებაში, რაკი სანიმუშოდ და ნებადართულად აღიარებდა მხოლოდ კლასიცისტურ, ანუ "ჯანსაღ" ხელოვნებას (შესაბამისად, ყოველივე, რაც მისგან გადახრილი იყო, "დეგრადირებულ" ხელოვნებად ცხადდებოდა).

რაც შეეხება მათს წინამორბედ და მათზე ბევრად ხანგრძლივ საბჭოთა კომუნისტურ რეჟიმს, ის ორ მკვეთრად განსხვავებულ პერიოდს მოიცავდა: თუ თავდაპირველად, ლენინისა და ტროცკის მმართველობისას, ხელისუფლება მხარს უჭერდა ხელოვნების სრულიად ახალ ფორმებს, გამოხატვის სრულიად ახალ მეთოდებსა და საშუალებებს (რაკი ყოველივე ძველი, კუთვნილი "ძველი სამყაროსადმი", უპირობოდ უნდა დანგრეულიყო), შემდგომ, რაც უფრო ძლიერდებოდა რუსული იმპერიულ-იმპერიალისტური ნაკადი საბჭოთა საჯარო-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო იკიდებდა ფეხს სტალინური კლასიციზმი, რომელსაც ევფემისტურად "სოციალისტური რეალიზმი" ეწოდებოდა. ამ დროიდან, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე, ყოველგვარი ავანგარდისტული მცდელობები ხელოვნების ნებისმიერ დარგში, სახელმწიფოს მხრივ, იდეოლოგიური დაუმორჩილებლობის გამოვლინებად აღიქმებოდა.

სურათი მარტივი და ცხადია: ტოტალიტარიზმი ირჩევს მკაფიო და მყარ ფორმებს, ანუ იმას, რაც უკვე დადგენილი და მიღებულია, რადგან მისთვის ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენს ყოველივე ახალი, უჩვეულო, მოულოდნელი, განუჭვრეტელი, ხოლო სანდო და უეჭველი მხოლოდ ისაა, რაც ნაცნობი და ჩვეულია.

ამიტომ, იტალიური ფაშიზმიც, – რომელიც თავისთავად მოდერნიზმის (ფართოდ, საზოგადო განახლების) იდეას ეფუძნება, – რაც უფრო მეტად მიდის ნაცრისფერი ერთფეროვნებისაკენ, მით უფრო უბრუნდება კლასიკური ხელოვნების კანონს.

* * *

მეტაფიზიკური ფერწერა, – მიმდინარეობა იტალიურ ხელოვნებაში, – რომელსაც არც ხანგრძლივი ისტორია და არც უშუალო მიმდევრები ან მემკვიდრეები აღმოაჩნდა, მაინც სამუდამოდ დარჩა მსოფლიო კულტურის ერთ მშვენიერ, შთამბეჭდავ გამოვლინებად, რომელმაც განსაკუთრებული ოსტატობით, შთაგონებითა და სიღრმით გადმოსცა ნივთიერი სამყაროს მიღმა მიმალული სინამდვილის მიმზიდველობა თუ მოუხელთებლობა, მიწიერ საგანთა სიმყიფე და, კიდევ, ის შუქჩრდილიანი იდუმალება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას, – თუნდაც ქალაქის მოედნებსა ან რკინიგზის სადგურებზე, თუნდაც თაღების ქვეშ ანდა უფანჯრო სამყოფელთა კედლებს შორის, – თან დასდევს და არასოდეს ტოვებს.

ოქტომბერი, 1999

65

უკანასკნელი გენერალური მდივნის პირველი ლოცვა

მიუნსტერის საავადმყოფოში ექიმები პალატიდან გაიხმობენ მძიმედ დაავადებული, უკვე მომაკვდავი ქალის ქმარს, რომლის გვერდითაც მან განუშორებლად გაატარა ორმოცდარვა წელი, და დერეფანში, ჩუმი ხმით, მწარე სიმართლეს ეტყვიან: "მხოლოდ ღმრთის იმედიღა შეიძლება გქონდეთ". ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ფერმკრთალი, თავჩაქინდრული, გატეხილი კაცი გულის სიღრმიდან ამოთქვამს: "მართლაც არაა იოლი სათქმელი, მაგრამ ჩემთვის ამდენად მძიმე წუთებში ვამბობ, რომ რაღაც მიღმიერი არსებობს. კი, ნამდვილად მაქვს ღმრთის იმედი. რამე ხომ უნდა გწამდეს სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე". ამის შემდეგ, როგორც შემსწრენი ამბობენ, ამ უკვე ასაკმოწეულმა კაცმა ილოცა, – ილოცა პირველად თავის სიცოცხლეში.

ამგვარი რამ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად და ნამდვილად მომხდარა, ამგვარი რამ არაერთხელ წაგვიკითხავს სანტიმენტალურ წიგნებში და არაერთხელ გვინახავს ამგვარსავე ფილმებში. ერთი შეხედვით, აღწერილ ამბავში განსაკუთრებული თუ გამორჩეული არაფერია, – უბრალოდ, კიდევ ერთხელ შევესწარით ღმრთისმაძიებლობის კიდევ ერთ ამოძახილს უიმედობისა და სასოწარკვეთილების ღრმა უფსკრულიდან, სამუდამოდ გაქრობის თუ გარდაცვალების პირისპირ...

უჩვეულო თუ გაუგონარი ნამდვილად არაფერი მომხდარა, ოღონდ ის კაცი, რომელმაც რამდენიმე კვირის წინათ, 20 სექტემბერს, მეუღლის გარდაცვალების დღეს, მაგრამ მის გარდაცვალებამდე, თავისი ცხოვრების განმავლობაში პირველად ილოცა სასიკვდილოდ განწირული უძვირფა-

სესი და უახლოესი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო, – ყოფილი და უკანასკნელი გენერალური მდივანი, მიხაილ გორბაჩოვი.

თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ კომუნისტებს აქამდე არასოდეს ულოცია და აქამდე არასოდეს აღუპყრია უკანასკნელი იმედის თვალი ზეცისაკენ, – რა თქმა უნდა, განსაცდელისას და განწირულობისას, რა თქმა უნდა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა მათ აშკარად დაუნახავთ ძალმომრეობითა და სისხლით მოპოვებული ძალაუფლების უსაყრდენობა, წარმავალობა, დროებითობა.

კომუნისტთა უზარმაზარი ნაწილი, – საქართველოშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც, ლათინურ ამერიკაშიც, აღმოსავლეთშიც, – სიკვდილმისჯილი პატიმრის საკანში ითვლიდა ცხოვრების უკანასკნელ საათებს და არავინ იცის, რამდენმა მათგანმა აღაპყრო იმედიანი მზერა იქით, სადაც ლამის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, – სხვათაგან დარწმუნებით თუ საკუთარი დაჟინებული აკვიატებით, – მეტაფიზიკური სიცარიელე ეგულებოდა.

უბრალოდ, ამჯერად საყოველთაოდ გახმაურდა, რომ უკანასკნელმა გენერალურმა მდივანმაც მეუღლის გადარჩენის ერთადერთ დარჩენილ გზას მიმართა, – ღმრთის იმედად ყოფნას.

თუმცა იმ არაერთი ყოფილი წვრილფეხა თუ მსხვილფეხა კომუნისტის გახსენებისას, რომლებიც მიმდინარე ათწლეულის განმავლობაში შობისას თუ აღდგომისას, მათთვის უჩვეულო და უცხო რიტუალით საკმაოდ გადაქანცულები, ტელეკამერების და, რაც მთავარია, ტელემაყურებლების წინ კეკლუცად იწონებენ თავს სანთლებით ხელში, ღმრთისადმი მავედრებელი გორბაჩოვი არც ამ გარემოში ჩანს მაინცდამაინც გამორჩეულად.

მიხაილ გორბაჩოვის განსაკუთრებულობა ამ შემთხვევისას განაპირობა ორი ვითარების შერწყმამ, პირადისა და საყოველთაოს გადაკვეთამ: რომ მან, ალბათ, გულწრფელად ილოცა, როცა გაუჭირდა, და რომ მან ილოცა მაშინ, როცა

ღმრთისადმი მიმართვას უკვე კომუნისტებიც აღარ მალავ-დნენ.

ღირსშესანიშნავია რამდენიმე კვირის წინანდელი ამ შემთხვევის ისტორიულად ყურადსაღები მხარე – ამ ფაქ-ტის სიმბოლური ფასი და მნიშვნელობა: დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ კომუნისტური პარტიის უკანასკნელი გენერა-ლური მდივნის მინდობა ღმრთის მიმართ სარწმუნოების მორიგი გამარჯვებაა ღმრთისმებრძოლ კომუნიზმთან მრა-ვალწლიან, დაუღლელ ბრძოლაში.

თუმცა ომები და შეტაკებანი ისევ წინაა, ისევ გრძელდება, და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქრისტიანული რწმენის წყარო, საფუძველი და იმედი – ქვეყნის მაცხოვარი – ხე-ლახლა არ მოვა ამქვეყნად, "განსჯად ცხოველთა და მკუ-დართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ".

მანამდე კი, ქრისტიანებს, ამ მახვილჩაუგებელ ბრძო-ლებში ჩაბმულთ, ისღა დარჩენიათ, კიდევ ერთხელ შემარ-თონ მათი უძლეველი იარაღი – ლოცვა, და ისევ მიმართონ შუამავლობით, შუამდგომლობით, თხოვნით სამყაროს შე-მოქმედს იმათ გამო, იმათი სულების გადასარჩენად, ვინც ღმრთისა და ეკლესიისაგან განმდგარა:

"უარმყოფელნი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა-ნი და ჭეშმარიტებისა გზათა ცდომილნი, ... ნათლისა ცნო-ბისა შენისათა განანათლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა და ზიარჰყვენ წმიდისა შენისა კათო-ლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა, რათა გიცნან შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი და თაყვანი გცენ".

ოქტომბერი, 1999

66

ვერმახტის დანაშაულობათა გამოფენა

გამოფენა, რომლის ჩანაფიქრი იყო მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ვერმახტის – ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის შეირაღებული ძალების (1935-1945) – დანაშაულობათა წარმოჩენა და რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში გერმანიისა და ავსტრიის ოცდათორმეტი ქალაქი მოიარა, 4 ნოემბერს მოულოდნელად დაიხურა, – როგორც განცხადებაშია შეტყობინებული, "სულ მცირე, სამი თვით". ალბათ, ამ ბოლო დროს არცერთ ისტორიულ გამოფენას ევროპაში არ მოჰყოლია ამდენი და ამგვარი გამოხმაურება, და საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ეს განსაკუთრებული ყურადღება შეინიშნებოდა არა მარტო იქ, სადაც გამოფენის სტენდები ჩნდებოდა, არამედ სხვა მეზობელ რეგიონებსა თუ ქვეყნებშიც. ისიც თვალშისაცემი იყო, რომ ბევრ ქალაქში იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები გამოფენის წინააღმდეგ, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ზრდიდა მოქალაქეთა ყურადღებას და, შესაბამისად, – მნახველთა რაოდენობას.

გამოფენაზე ნაჩვენები იყო ვერმახტის დანაშაულობანი აღმოსავლეთის ფრონტზე, 1941 წლიდან 1944 წლამდე, მაგრამ ის ჩაფიქრებული იყო როგორც ნაწილი დიდი პროექტისა თანამედროვე ეპოქის გამანადგურებელი ომების შესახებ. ექსპონატები მოპოვებული იყო იმ მრავალწლიან ძიებათა შედეგად, რომელთაც წარმართავს ჰამბურგის საზოგადოებრივ კვლევათა ინსტიტუტი. ამ დაწესებულებას მთლიანად აფინანსებს და ხელმძღვანელობს იან ფილიპ რეემტსმა, – გერმანელი მულტიმილიონერი, მეცენატი, მკვლევარი, ინტელექტუალი. სხვათა შორის, თავად იგი, ამავე დროს, ლიტერატურის კრიტიკოსი, ესეისტი და პუბლიცისტია, რომლის ავტორობით გამოქვეყნებულია არაერთი წიგნი.

როგორც ითქვა, გამოფენა კამათს იწვევდა და იწვევს, – სხვათა შორის, თუნდაც სახელწოდების გამო, რადგან, როგორც ისტორიკოსთათვის კარგადაა ცნობილი, თვით ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა, ნაციონალ-სოციალისტების დანაშაულობათა შეფასებისას, თავის დასკვნაში ვერმახტი არ განაკუთვნა დანაშაულებრივ ორგანიზაციებს (რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ისიც სათქმელია, რომ ამ ტრიბუნალზე განმსჯელთა და მოსამართლეთა შორის იყვნენ საბჭოთა მოსახლეობის, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ადამიანების პირსისხლიანი ჯალათები, რომლებიც წლების განმავლობაში დასახვრეტად ან გულაგის პატიმრობაში ისტუმრებდნენ მილიონობით ქალსა და კაცს).

მაინც რამ განაპირობა მოულოდნელად გამოფენის "დროებითი დახურვა"?

საქმე ისაა, რომ ავტორიტეტული გერმანული ჟურნალის "Vierteljahrshefte für Zeitgeschichte"-ს ბოლო ნომერში დაიბეჭდა პოლონელი ისტორიკოსის, ბოგდან მუშალის, სტატია, რომელშიც გამოთქმულია დაეჭვება, რომ ოცდაოთხი ფოტო ნამდვილად უკავშირდება ვერმახტს, ხოლო ამ ეჭვის გასაფანტავად აუცილებელი იქნება დამატებითი კვლევის ჩატარება. მაგრამ გამოფენის უფრო მნიშვნელოვანი ხინჯი აღმოჩნდა მკვლევრის მიერ ურყევი არგუმენტების საფუძველზე დადასტურებული ფაქტი, რომ ცხრა ფოტოზე ასახული დანაშაული ჩადენილია არა ვერმახტის სამხედრო პირების, არამედ საბჭოთა შინსახკომელთა (ანუ ენკავედე-ს) თანამშრომელთა მიერ, რომლებიც დაუნდობლად, სასტიკად და უკანმოუხედავად ანადგურებდნენ ეგრეთ წოდებულ "კლასობრივ მტრებს", – ანტიბოლშევიკებსა და ბოლშევიკებს, გლეხებსა და ინტელექტუალებს, ხელოვნებისა თუ მეცნიერების წარმომადგენლებს, მოხელეებსა და სტუდენტებს...

თითქმის იმავდროულად, უნგრელმა ისტორიკოსმა, კრისტიან უნგვარიმ, ჩაატარა, მისი სიტყვებით, "კვანტიტატიური და კვალიტატიური ანალიზი", რომლის შედეგადაც მან დაადგინა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოების მხოლოდ ათი პროცენტი წარმოაჩენს ნამდვილად ვერმახტის დანაშაულობებს. ამ დროს გაიხსენეს გერმანული

ჟურნალის “Fokus”-ის ორი წლის წინანდელი სტატია, სადაც გამოთქმული იყო აზრი, რომ გამოფენის წარწერები არ შეესაბამება ფოტოების შინაარსს, რის გამო წარწერების შინაარსი და მიმართულება, ფაქტობრივად, წარმოადგენს დამთვალიერებლისათვის გამოფენის ორგანიზატორთა საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევის მცდელობას. იმუამად მულტიმილიონერმა რეემტსმამ სასამართლოში უჩივლა ჟურნალს და, რაკიღა რედაქციას გაუჭირდა თავისი თვალსაზრისის დამტკიცება, იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა მისთვის.

ბოგდან მუშალის სტატიის დაბეჭდვის შემდეგაც გამოფენის ხელმძღვანელობამ ისევ სარჩელი აღძრა ისტორიკოსის წინააღმდეგ, მაგრამ უმალ აშკარა გახდა, რომ აკადემიური კამათის ამგვარ განზომილებებში წარმართვა მხოლოდ წამგებიანი იქნებოდა ჰამბურგის კვლევითი დაწესებულებისათვის.

საბოლოოდ, რეემტსმამ ამჯობინა, უკან გაეტანა საჩივარი, რის შემდეგ იგი სასწრაფოდ ჩავიდა ვარშავაში, სადაც მან პირადად მოუბოდიშა მუშალს.

ამ პოლემიკისას მეთვალყურეებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, რომ ორივე ისტორიკოსი, რომელთაც ეჭვი შეიტანეს გამოფენის სიმართლესა და ობიექტურობაში, ცენტრალური ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეყნების წარმომადგენლებია, – იმ ქვეყნებისა, რომელთაც საკუთარ თავზე გამოცადეს ჩამთავრებული საუკუნის ორი ყველაზე შემზარავი ტოტალიტარული რეჟიმი: გერმანული ნაციონალ-სოციალიზმი და საბჭოთა კომუნიზმი.

განა საკამათოა, რომ ევრეთ წოდებული “რკინის ფარდის” მიღმა ათწლეულობით აღმოჩენილ დასავლეთევროპელთა უდიდესი უმრავლესობისათვის, – მათ შორის ინტელექტუალთა და ხელოვანთათვის, – კომუნიზმი ლამის მისაღებ პოლიტიკურ მოძრაობად აღიქმება და, მათი თვალსაზრისით, ბევრად ნაკლებ და ნაკლებად საშიშ ბოროტებას წარმოადგენს, ვიდრე ნაციონალ-სოციალიზმი? განა ორიოდ წლის წინათ “კომუნიზმის შავი წიგნის” დაბეჭდვას მრავალრიცხოვანი უარყოფითი გამოხმაურება არ მოჰყვა, და უპირ-

ველესად სწორედ იმის გამო, რომ წიგნში კომუნიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი სისასტიკითა და არაადამიანურობით ერთმანეთთან იყო გათანაბრებული?

მეოცე საუკუნის დასასრულ კომუნიზმი დამარცხებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჯერ კიდევ არაა მკვდარი, თუნდაც მანამ, სანამ ის მილიონობით ადამიანის მისწრაფებებში, ოცნებებში, იმედებში ცოცხლობს და სანამ კომუნიზმი ყველა წესიერი ადამიანისათვის ძალადობის, სისასტიკის, უღმერთობისა და არაადამიანობის სინონიმი არ გამხდარა.

ნოემბერი, 1999

67

ქრისტიანობის ბიზანტიური შტოს თეოლოგიური ძიებანი, ლიტურგიკა, მისტიკა

ის, რაც ბიზანტიური შტოს თეოლოგიის სახელით მოიხსენიება, ფაქტობრივად, არის მხოლოდ თეოლოგიის წინმსწრები ძიებანი, რომელიც შეიქმნა ეგრეთ წოდებული ბიზანტიის, ანუ აღმოსავლეთ რომის ნიადაგზე, სანამ ის არსებობდა.

ეს მსჯელობანი, განაზრებანი და წვდომანი, – თავისთავად, ფასეული, – თითქმის მთლიანად ეკუთვნის რომის კათოლიკე ეკლესიის მოძღვრების, ანუ კათოლიკური მოძღვრების ერთ-ერთ შემამზადებელ საფეხურს – პატრისტიკას, რომლის შერწყმა და შეჯამება, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია იოანე დამასკელის ნაწერებში.

თეოლოგია, – ამ ცნების ზუსტი და მკაფიო მნიშვნელობით, – უკავშირდება ქრისტიანული აზროვნების შემდგომ ხანას, სქოლასტიკურ მეთოდს, რომელსაც წარმოადგენენ ალბერტ დიდი თუ თომა აკვინელი.

ისიქაზმი, რომელიც უშუალოდ ბიზანტიაში აღმოცენდა, იყო არა იმდენად თეოლოგია, რამდენადაც ოდენ ლოცვით-ასკეტური გამოცდილების ერთ-ერთი სახეობის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბების მცდელობა, რომელიც შეიქმნა როგორც შორეული გამოძახილი დასავლური თეოლოგიის გამოწვევების საპასუხოდ, სქოლასტიკის არსებობის ფაქტის წინაშე და გარკვეული ზოგადაღმოსავლური მისტიკური პრაქტიკების გამოცდილების გათვალისწინებით (სუნთქვითი მოწესრიგება, ერთ სივრცეზე თუ წერტილზე კონცენტრირება, ტექსტის განმეორების მექანიზაცია...).

ქრისტიანული მოძღვრების დავიწროება და ბიზანტიურ თეოლოგიურ ძიებათა მიერ საკუთარი თავის მოთავსება პრაქტიკული – რიტუალური – განზომილების ჩარჩოებში სრულიად ბუნებრივია, რაკი ბიზანტიური შტო ნელ-ნელა და გარდაუვა-

ლად მოექცა მხოლოდ რიტუალის აღსრულების ფარგლებში. შესაბამისად, შიშველი ლიტურგიკა თანდათანობით ხდება ერთადერთი საფუძველი თეოლოგიზირებისათვის: მოძღვრება ეფუძნება ლიტურგიას (შემთხვევითი სულაც არაა ფლორენსკისეული თვალსაზრისი, რომ კანკელშია ჩადებული მთელი ბიზანტიური ღმრთისმეტყველება, და ეს თვალსაზრისი სწორად გამოხატავს ბიზანტიური შტოს მოგვიანო ხანის თეოლოგიურ ძიებათა მიმართულებასა თუ რაობას).

შემდგომ, ეგრეთ წოდებული რუსული "რელიგიური რენესანსი", რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარს და რომელმაც დღეისათვის საკმაოდ ამოწურა თავი, შეგნებულად მოწყვეტილია ქრისტიანულ თეოლოგიას (რომელიც, უხეში დათარიღებით, მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან ვითარდება დასავლეთ საქრისტიანოში) და წარმოადგენს ან პატრისტიკის კომპილაციას (ლოსკი), ან გერმანული რომანტიზმის გამოძახილს (ხომიაკოვი, ლეონტიევი), ან გნოსტიკურ-ოკულტური წყაროების შეტანის მცდელობას აღმოსავლურ პატრისტიკაში (ფლორენსკი, ბერდაევი, ბულგაკოვი).

ზოგადად, ბიზანტიური შტოს აღმოსავლური საპატრიარქოები, რომლებიც საკუთარ თავს "მსოფლიო მართლმადიდებლობად" მოიხსენიებენ, არის ნაციონალისტურ საფუძველზე მსოფლიო ეკლესიას ჩამოშორებული ქრისტიანული საკრებულოები, რომლებიც პოლიტიკური მიზეზებით არ აღიარებენ რომის ეპისკოპოსის უზენაესობას.

* * *

ბიზანტიური ქრისტიანული ტრადიციის წარმომადგენელი, ისიქასტი ათონელი მონაზონი – Γέροντας (მოხუცებული, უხუცესი) – მსჯელობს "იესოს ლოცვის" შესახებ. მან იცის, რა სიტყვები უნდა ითქვას ამ ლოცვისას: "უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი". მას მიაჩნია, რომ ამ ლოცვის წარმოთქმა, გარკვეული წესებისა და თანამიმდევრულობის დაცვით, არა მარტო თავად მას იხსნის, არამედ სამყაროსაც მოუტანს ხსნას.

რა თქმა უნდა, მისტიკური გამოცდილების აღწერა სრულიად ინდივიდუალურია და ძნელი სათქმელია, რამდენად შეიძლება მისი უნივერსალიზაცია. მაგრამ ათონელ ისიქასტს არ გააჩნია პასუხი გამომწვევ შეკითხვაზე: როგორ წარმოუდგენია მას ყოველდღიური ცხოვრება მიწიერ სამყაროში, რომელიც აღსავსეა საცდურითა და ცოდვით, განსაცდელითა და გაჭირვებით? "იესოს ლოცვას", – მამათა სწავლებით, – სასწაულებრივი ძალა აქვს, და ამდენად, ისიქასტიც ქვეყნიერების ყველა პრობლემათა დაძლევას ამ ლოცვის სიტყვებში, ამ ლოცვის ყოველდღიურ, ყოველწუთიერ განმეორებაში ხედავს.

შესაძლოა, მოხდეს, – თუნდაც წარმოსახვის დაძაბვის ფასად, – რომ კაცობრიობა ერთიანად წარმოთქვამს "იესოს ლოცვას". ეჭვი არაა, რომ მაშინ სამყარო ნათელში ჩაიძირება, "ქვეყანა, უთვალავი ფერითა" განიწმიდება და ისტორიაც (საბედნიეროდ!) მსვლელობას შეწყვეტს. მაგრამ არსებობს თუ არა გზა, რომელიც ადამიანთა მოდგმას, – მიწიერებისა და ცოდვა-ბრალის, სიბრიყვისა და უსულობის ჭაობში ჩაძირულს, – მიიყვანს მდგომარეობამდე, როცა ის უგულებელყოფს თავისი აქამომდელ, – ლამის ადამის დროიდან დაწყებულ, – ცხოვრებას და მივა იმგვარ შეგნებამდე, იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მთელი სიცოცხლე მიუძღვნას "იესოს ლოცვის" წარმოთქმას?!

მართალია, ამ ლოცვის წარმოთქმა მიზანია, მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორია გზა, მიმყვანი ამ მდგომარეობამდე, ისიქაზმი არავითარ პასუხს არ იძლევა. განსხვავებით, რომის კათოლიკე ეკლესია აღიარებს სულიერ და განწმედის გზათა სიმრავლეს, ამის გარდა, მყარ და ნათელ პასუხებს იძლევა, – ყოველი შემთხვევისას, მკაფიოდ მიანიშნებს პასუხის მიმართულებებს, – თუ როგორ იცხოვროს ქრისტიანმა ამ სოფელში, როგორ შეეთვისოს ან შეებრძოლოს იგი ქვეყნის წესებს (კონკრეტულ და განსხვავებულ გზათა სახეებს იძლევიან, მაგალითად, ფრანცისკე ასიზელი თუ იოანე დონ ბოსკო, ეგნატე ლოიოლა თუ იოსებ მარიამ ესკრივა). ნიშანდობლივია, რომ ათონელი ისიქასტი თვით ბიზანტიურ ტრადიციაში ცნობს მხოლოდ და მხოლოდ ისიქასტურ მიმართულებას.

ყოველ ქრისტიანს, რა თქმა უნდა, ცხადად აქვს გაცნობიერებული ლოცვისა და განდეგილობის მნიშვნელობა სამყა-

როს ცხოვრებაში (რომელიც სულაც არ დაიყვანება განდეგილისა და მწყემსის კამათად ილიასეულ "განდეგილში"!). ბევრი ქრისტიანისათვის, სავსებით შესაძლებელია, ახლობელი და მისაღები იყოს ამ ქვეყნიდან, ამ ქვეყნის ფასეულობათაგან განდგომა, მისი უარყოფა და საკუთარ ფასეულობათა სამყაროში ცხოვრების აგება თუ ჩამოქნა. სავსებით შესაძლებელია, ამ სოფლის დღევანდელი მდგომარეობის ირგვლივ ფიქრისას, განცდისას, მას მოდევნებული გარდაუვალი ტკივილისას, მავანმა იფიქროს მარტოობისა თუ მონასტერში თავის შეფარების მიმართულებით, როგორც შესაძლო ან ერთადერთი გამოსავლის შესახებ, მაგრამ ის, რასაც ათონელი ისიქასტი სთავაზობს ყველა ადამიანს, – "იესოს ლოცვის" განუწყვეტელ განმეორებას დღითა თუ ღამით, – სულაც არ ჩანს გამოსავლად. მაშინაც კი, როცა ძნელდება კამათის ლოგიკურად წარმართვა და აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბება, შინაგანი გრძნობა მაინც მკვეთრად ეწინააღმდეგება მის მიღებას. თითქოს გასაგებია, რომ თუკი მლოცველი თავს უძღვნის დაუშრომელ ლოცვას, მაშინ რატომ უნდა იწვევდეს მის ყურადღებას, თუ რა ხდება სამყაროში (მით უმეტეს, ნივთიერი განზომილებითაც, ათონელი ისიქასტი სამხრეთის ქვეყანაში, ზღვის ნაპირას, ბალახის ჭამითაც კი ირჩენს თავს!): მან უცდომლად იცის, რომ თუნდაც ოსმალო მომხდური, თუნდაც რუსი ჩეკისტი ადგეს თავზე, ლოცვის მდგომარეობიდან მას ვერვინ გამოიყვანს, ვერაფრით დაემუქრება და ვერაფერს დააკლებს, – მას ეჭვი არ ეპარება, რომ დაუბრკოლებლად ილოცებს სტამბოლის დილეგშიც და გულაგის ბანაკშიც.

ამდენად, როგორც ჩანს, ისიქასტის მიერ შემოთავაზებული ნიმუში სრულად იდეალურია: ჯერ ილოცოს ყველამ და მერმე გამოჩნდება, თუ რა მოხდება. უფრო სწორად, გამოჩნდება ის (ისიქასტს ეჭვი არ ეპარება!), – რომ ქვეყნად სამოთხე დამყარდება.

ამგვარ თვალსაზრისს რომანტიზმის იერი დაჰკრავს, რადგან ვისაც ასე სწამს, გულწრფელად იჯერებს წარმოდგენის სინამდვილეს, – აღიარებს მხოლოდ "იესოს ლოცვას" და მხოლოდ მას ცნობს ხსნის ერთადერთ გზად... ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ შეხედულებას და ასეთ რწმენას არსებობის სრულიად

გამართლებული უფლება მოეპოვება (მსგავსად, მაგალითად, ლევ ტოლსტოის თვალსაზრისისა ქორწინების შესახებ: ნუ დავქორწინდებით, ნუ გავმრავლდებით და მერმე ვნახავთ!), მაგრამ მეტად ჭირს დაჯერება (შესაძლოა, ჯერჯერობით), რომ დღევანდელ ქრისტიანთა ყველა მტანჯველი კითხვა ამგვარი პასუხით დაკმაყოფილდეს... ისევ მეორდება შეკითხვა: ოცდამეერთე საუკუნის მისადგომზე, ათონზე განდგომა და "იესოს ლოცვის" გამეორება (რაც შესანიშნავი იდილიაა!), როგორ წყვეტს სოფლის ტკივილების, სოფლის წახდენის პრობლემას?

სილრმის გარკვეულ საფეხურზე ისეც იწყება გამარტივება, – მარტივის, ანუ ფუნდამენტურის ძიება და მისი მიღება. აქედან გამომდინარე, საკვებით გასაგებია ისიქასტის თვალსაზრისი, რომ მთელი სამყარო შეიძლება დაყვანილი იქნეს "იესოს ლოცვაზე", – რომ მის გარეშე, მის გარეთ ყველაფერი უჩინარდება და მნიშვნელობას კარგავს. მართლაც, თეორიულად შესაძლებელია, საკვებით გასაგები იყოს ისიქასტური რწმენა, რომ "იესოს ლოცვა" მოიცავს მთელ კოსმოსს და სხვა აღარაფერი იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ თავად ისიქასტის დამოკიდებულება, გადაჭარბებულადაც ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი (მართლაც "ორთოდოქსული"!), – რომ ქვეყნად, "იესოს ლოცვის" გარდა, არაფერი უნდა არსებობდეს ან არაფერი იმსახურებს ყურადღებას, – ეწინააღმდეგება თავად ბიზანტიური ტრადიციას, აღარიბებს მას, ამკვიდრებს ნიჰილიზმს.

ხოლო კიდევ უფრო ღრმად ჩაწვდომისას კითხვა ამგვარია: განა ეს განწყობა შეესაბამება სახარების მოძღვრებას (თუნდაც აღარაფერი ითქვას იმის გამო, რომ იესოს მოწოდებაა ნაკლებად ლოცვა და დაკმაყოფილება ოდენ "მამაო ჩვენოს" წარმოთქმით)?

საბოლოოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ათონელი ისიქასტის ყურადღებას აღარ იპყრობს არც სახარება, არც იესოსეული მოძღვრება და არც იესოს მიბაძვა. შესაძლოა, ეს მსჯელობა გადაჭარბებად ჩანდეს, მაგრამ ლოგიკურ განსჯას ადვილად მოსდევს ამგვარი დასკვნა.

ნოემბერი, 1999

68

ხავერდოვანი რევოლუციის ათი წლისთავი პრაჰაში

ერთ კვირაზე მეტია, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებში აღინიშნება კომუნიზმის დაცემის ათი წლისთავი, ანუ ეგრეთ წოდებული ხავერდოვანი (ან ფაქიზი) რევოლუციის პირველი მრგვალი თარიღი.

ამ სახელმწიფო გადატრიალებას, ფაქტობრივად, სათავე დაედო 1989 წლის 17 ნოემბერს, როცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებმა ქვეყნის დედაქალაქის – პრაჰის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე სასტიკად დაარბიეს სტუდენტთა მშვიდობიანი დემონსტრაცია (საერთოდ, სიმშვიდე და უკონფლიქტობა ჩეხური ეროვნული ხასიათის ერთ-ერთი განმაპირობებელი თვისებაა). დარბევას მოჰყვა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა გაფიცვები, რომელსაც თითქმის ყველა თეატრი შეუერთდა. რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა დიდ თუ პატარა ქალაქში იმართებოდა ანტიკომუნისტური გამოსვლები, დემონსტრაციები და მიტინგები.

ათი დღის შემდეგ, 27 ნოემბერს, ორსაათიანი საყოველთაო გაფიცვის შემდეგ, რაკიღა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს, – რომელიც ათწლეულების განმავლობაში მთელი აღმოსავლეთ ევროპის ბედ-იღბალს წყვეტდა, მაგრამ იმუამად "პერესტროიკული" ჩაურევლობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, – არც უფიქრია ჩეხი და სლოვაკი კომუნისტი ამხანაგების მხარში ამოდგომა (რა თქმა უნდა, იგულისხმება, ტანკებით მხარში ამოდგომა!), ჩეხოსლოვაკიის ოცმოცდაერთწლოვანი კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანად დაეცა.

ოთხი თვის შემდეგ სახელმწიფოს სახელწოდებიდან "სოციალისტური"გაქრა და იმ დროიდან აღარც სოციალიზ-

მი და აღარც კომუნიზმი აღარ განსაზღვრავს ქვეყნის ცხოვრებას.

ამ უთუოდ ღირსშესანიშნავი და სასიხარულო თარიღის აღნიშვნა პრაჰაში გადაწყდა არა მარტო მიღწეული წარმატებების თუ მიუღწეველი ჩანაფიქრების წარმოჩენით (რა თქმა უნდა, აშკარაა, რომ მიუღწეველი საკმაოდ სჭარბობს მიღწეულს), არამედ იმის გახსენებით, გაცოცხლებით, გაცხოველებით, თუ რას ნიშნავდა, თუნდაც ყოველდღიურ ყოფაში, კომუნიზმთან გამომშვიდობება, ანუ რასთან გამომშვიდობება მოუხდათ ჩეხებს ამ ათი წლის წინათ.

ქალაქის შუაგულში, ვაცლავის მოედანზე, აღიმართა კომუნიზმის დროინდელი, თითქმის ცარიელი მაღაზიები, უსასრულო რიგებით ("იმპორტულ საქონელზე") და უხეში გამყიდველებით; ბულგარეთში დასასვენებლად გამგზავრების მსურველთაგან საგზურების გამანაწილებელ პუნქტებში მოითხოვდნენ კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციას; ხელკეტებით აღჭურვილი მილიციელები და უშიშროების დაწესებულების თანამშრომლები თავპირის დასალეწავად დასდევდნენ გამვლელ-გამომვლელებს; შენობები მოფენილი იყო ლოზუნგებით: "დიდება პარტიას!", ხოლო წითელყელსახვევიანი პიონერები მღეროდნენ რუსულ სიმღერას: "პუსტ ვსეგდა ბუდეტ სოლნცე"...

ჩამოთვლის გაგრძელება, ალბათ, აღარ ღირს, რადგან, ვისაც ცოტა ხნით მაინც უცხოვრია კომუნისტურ ქვეყანაში, სურათს მეტად ადვილად წარმოიდგენს. აღსანიშნავია, რომ მსახიობები შესანიშნავად ასახიერებდნენ მინდობილ როლებს (მეხსირება ჯერ კიდევ ცინცხალია!).

ხოლო ჩეხეთის მეორე სახელმწიფო სატელევიზიო არხმა, – რომელიც ძირითადად მომთხოვნ და კულტურულ მაყურებელს ემსახურება, – გადაწყვიტა, უწყვეტად, თორმეტი საათის განმავლობაში ათი წლის წინანდელი გადაცემები ეჩვენებინა: პარტიული ყრილობებით, კომკავშირელთა შეკრებებით, "გარდაქმნის დღიურით", სოციალისტური შეჯიბრის ქრონიკით, საბჭოთა სიმღერის ფესტივალით.

სანახაობა უთუოდ მოსაწყენიც, დამთრგუნველიც, შემზარავიც იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმათთვის, ვი-

საც კომუნისტური იდეოლოგიისა და კომუნისტური ხელოვ-ნების აცრა აქვს გავლილი, ვინც ამ სიბილწისა და უხამსობის მიმართ შესაბამისი იმუნიტეტი გამოიმუშავა, ვისაც არც ამ ათი ან ოცი წლის წინათ ხიბლავდა გუნდის თანხლებით წა-კითხული ლექსი: "აი, ასეთი მწამს კომუნისტი", ანდა ფილ-მები რაიკომის მდივნის შესახებ, ან კიდევ, სიმღერები "მცირე მიწის", ბამის კომკავშირული მშენებლობისა და თუნდაც ბო-რის ძნელაძის მგზნებარე სიჭაბუკის შესახებ.

ნოემბერი, 1999

69

კულტურის საჭიროება

კულტურის არსებობა თავისთავად გასაოცარი და ძნელად ასახსნელი მოვლენაა, რომელიც უკანმოუხედავად ამსხვრევს ადამიანის, როგორც ოდენ ბიოლოგიური არსების, ყოველგვარ თეორიას: არავითარი ბიოლოგიური, სიცოცხლისმიერი აუცილებლობა არ მოითხოვს და არ განაპირობებს კულტურის არსებობას; ადამიანის სიცოცხლის არც ერთი ფუნქცია არათუ არ შეწყვეტს, არც კი შეანელებს თავის ქმედებას, თუკი კულტურა, საერთოდ, გაუქმდება; კულტურის გარეშე მყოფი ადამიანის ფიზიკურ სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი საწყისი, რაც წარმოშობს კულტურას, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა შექმნისაკენ, შემოქმედებისაკენ. ადამიანს სურს და ძალუძს, შექმნას ბიოლოგიური ან კულტურული ქმნილება. პირველი შემთხვევისას შედეგი, ანუ ხორცქმნილი ნაყოფი საკუთარი თავის სახეცვლილი განმეორებაა, მეორე შემთხვევისას, – როცა ადამიანი კულტურულ შემოქმედებას ახორციელებს, – შესაძლებლობანი სრულიად შეუზღუდავი, დაუბრკოლებელი, შეუბოჭავია.

ამავე დროს, ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება, გამოიტანოს საკუთარი თავი გარეთ, გამოაცხადოს და გამოხატოს, გაუზიაროს სხვას საკუთარი უწყება, – კულტურული ქმნილების სახით, – ასევე საჭიროს და აუცილებელს ხდის კულტურის არსებობას.

კიდევ ერთი საწყისი, რაც კულტურის არსებობას განაპირობებს, არის ადამიანის ბუნებრივი სურვილი საკუთარი პიროვნების გაფართოებისა. ადამიანს სწადია, იყოს მეტი, ვიდრე იგი არის. სწორედ კულტურა აძლევს მას როგორც საკუთარი პიროვნების, ისე საკუთარი გარემოს გაფართო-

ების შესაძლებლობას. კულტურის ქმნილებებში იგი ქმნის და ჭვრეტს იმ გარემოს, რაც ხშირად მისთვის მიუწვდომელი, საოცნებო ან აკრძალულია, წარმოადგენს საკუთარ თავს იმგვარად, როგორადაც მას სწადია, რომ იყოს, ან როგორადაც არყოფნა მას სიხარულს, სიმშვიდეს, კმაყოფილებას ანიჭებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანის სწრაფვა კულტურისადმი, – რაც არამც და არამც არაა ბიოლოგიური მოთხოვნილება, – ემყარება, ასევე, ადამიანის ბუნებრივ სწრაფვას სილამაზის მიმართ. ადამიანი ხედავს ირგვლივ სამყაროს სილამაზეს და სურს, აქციოს სილამაზედ საკუთარი თავიც და გარემოც, – ანუ ის, რაც იგი არის და რაც ირგვლივ არის. ყველაზე განუვითარებელი, ყველაზე ველური ადამიანიც კი ცდილობს, შექმნას სილამაზე: შეამკოს, გაამშვენიეროს, უფრო მეტი გამომსახველობა მიანიჭოს არა მხოლოდ თავის საცხოვრისს ან იარაღს, არამედ საკუთარ სხეულსაც. მაშინაც კი, თუნდაც სილამაზით მიზიდვის მცდელობა განპირობებული იყოს ან სოციალური, ან სექსუალური უპირატესობის მოპოვების მიზნით (რაც თითქოს ცხოველთა სამყაროშიც დასტურდება), მაინც საქმე ისაა, რომ ამგვარი ძალა – და ძალაუფლება – სწორედ სილამაზეს ემყარება: ემორჩილებიან იმას და ისწრაფვიან იმისაკენ, რაც ლამაზია!

დეკემბერი, 1999

70

აკაკი წერეთლის “სიკვდილი”

როცა მეცხრამეტე საუკუნე იწურებოდა, აკაკი წერეთელმა გამოაქვეყნა მოთხრობა “სიკვდილი”.

ნაწარმოების პირველ მონაკვეთში მწერალი აღწერს თავის წარმოსახულ, მოულოდნელ სიკვდილს და იმ ფარისევლობას, უგულობას, უგულისყურობას, დაუნდობლობას, რომელსაც მიცვალებული უხმოდ ჭვრეტს (და ისმენს) თავისი ცხედრის ირგვლივ შემოკრებილ ჭირისუფალთა თუ არაჭირისუფალთა შორის.

მოთხრობის მეორე ნაწილში აღწერილია გარდაცვლილის ნეშტის სიკვდილისშემდგომი მოგზაურობა, რაკი მას ორმოცი დღის განმავლობაში ჯერ ისევ მიწიერ ქვეყნად უწევს დარჩენა. როგორც კი დაღამდება, იგი უხილავად შემოივლის თავის ნაცნობ-მეგობრებს და მათ შორისაც ისეთ სიყალბესა თუ გულგრილობას აღმოაჩენს, რომ ისევ გაწბილებული დაუბრუნდება განკუთვნილ საფლავს.

სხვათა შორის, გარდაცვლილისათვის მოულოდნელად და თავზარდასაცემად, მას საფლავში დახვდება ვინმე უცხოტომელი, – როგორც ჩანს, რუსი სამხედრო, – რომელიც საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩამოსულა, და რაკიღა აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, სისხლით გასვრილა და არყით განბანილა, ერთი საუკუნე, სასჯელად, ვეღარ შეძლებს საიქიოს იქით შებიჯებას.

მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოთხრობის მესამე მონაკვეთი, სადაც მიცვალებულის სული უკვე საიქიოში აღმოჩნდება. მას შემდეგ, რაც იგი, ფრთაშესხმულ სულთამხუთავთან ერთად, გვერდს აუქცევს ვარსკვლავებს, ერთ მნათობს მიაწყდება, რომელიც “ქართველთა სავანე” აღმოჩნდება.

საქართველოს მეფეებსა და დედოფლებს, მხედართმთავრებსა და ხელოვანთ მოთხრობის მთხრობელი – ქართველი პოეტი წარუდგება. როცა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დავალებით, გიორგი სააკაძე პოეტს გამოჰკითხავს, თუ რა ხდება მათ მიწიერ სამშობლოში, სავანის ახალი ბინადარი იძულებულია აღიაროს, რომ, რაც დრო გადის, ქართველობას "თავი უწვრილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდება", ხოლო რაც შეეხება მათს ვაჟკაცობას, რის გამოც საგანგებოდ გამოიკითხავს სააკაძე, პოეტი უპასუხებს, რომ ისინი "თავისიანზე გულდიდი გახლავან, გარეშეების კი შიში აქვთ". როცა საუბარი იარაღის ხმარებაზე ჩამოვარდება, საიქიოში მოხვედრილი ქართველი ამგვარად დახატავს თავის თანამედროვეთა ცხოვრებასა და საქმიანობას: "როცა ლხინში არიან, ძალიან გამბედავად აძგერებენ ხოლმე ერთიმეორეს, შინაურობაში თავს არ იზოგვენ. მაგრამ გარეშემ თუ შემოუძახა, მაშინ კი ხელის კანკალი მოუდით ხოლმე". დღევანდელი გმირები კი, უფრო სწორად, იმდღევანდელი გმირები, იმით ყოფილან სახელგანთქმულნი, რომ, თუკი სადმე უპოვარს, უპატრონოს, ღარიბსა და უძლურს გადაეყრებიან, – იმათ, ვინც მათ ვერანაირ პასუხს ვერ გასცემს, – უმალვე ისე გაძარცვავენ, ისე წაგლეჯენ და გააჩანაგებენ, რომ ლუკმა-პურსა და სარჩოსაბადებელს აღარ დაუტოვებენ.

ამ დროს საუბარში ვახტანგ მეექვსე, სჯულმდებელი, ჩაერევა კანონიერების ვითარების გასარკვევად, მაგრამ აღმოჩნდება, რომ კანონი და სამართალი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის საქართველოში ისე მოქმედებს, რომ სიცრუე და სიყალბე ურყევად და ურცხვად დამკვიდრებულა, ხოლო მცირედი ქრთამის ფასად არც ცრუფიცის და არც ცრუმოწმის მოპოვება ჭირს.

რაც შეეხება სარწმუნოებას, რომლის მდგომარეობასაც იქ დავანებული ვიღაც სამღვდელო პირი გამოიკითხავს, იმდროინდელ საქართველოში აღარც ლოცვა და მარხვა ყოფილა, რაკი მარხვასა და ლოცვას, ღმრთის რწმენასა და ღმერთზე დანდობას ფასი დაუკარგავს, – იმის გამო,

რომ კაცს მაღლა ახედვისა და ზეცის ჭვრეტის უნარი მეტისმეტად დასჩლუნგებია.

ქალების წვლილის გამო თამარ მეფე გამოიჩენს ყურადღებას, მაგრამ ისიც სანუგეშოს ვერაფერს მოისმენს.

განათლებული წრეები კი, – ქვეყნის კულტურულ ფასეულობათა მცველი და მტვირთველი, – რომლის საქმიანობაც იოანე პეტრიწს აღელვებს, თურმე ჩრდილში განმდგარა, უსაქმურობას მისცემია და უნაყოფოდ ატარებს წლებს... მაგრამ მთავარი ისაა, რომ მეტ-ნაკლებად წიგნიერი ადამიანებიც, “რასაც გაიგონებენ სხვაგან, სულ იმას იმეორებენ, თავისთავად ვერაფერს ვერ ახერხებენ. არცერთი მათგანი კატად არ ჩაიგდება, მაგრამ ლომობას კი ჩემობენ. როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის და მეორე – ბალთას. უბრალო თავმოყვარეობას და თავის პაწაწინა პირადობას ქვეყანას და ქვეყნის საქმეს მსხვერპლად სწირავენ”.

თხრობის დროს “ქართველთა სავანის” ბინადრებს, რომლებიც სულგანაბული უსმენენ საქართველოდან ახლახან მოსულ მაუწყებელს, სულხან-საბა ორბელიანი გამოეყოფა, ენაგაკრეფილ მობაასეს სიტყვას შეაწყვეტინებს, რათა მეფეებსა და დედოფლებს, წმიდანებსა და გმირებს ასე მიმართოს: ამ ყიამყრალის სიტყვები არ დაიჯეროთ, ეგ, უბრალოდ, ყოველთვის უსიამოვნო ამბებს აღწერს, თორემ ღმერთმა ნუ ქნას, საიქაო საქართველოში საქმე ასე გაფუჭებულიყოსო!

ამიტომ, ამბის მიმტანს აღარ დაუჯერებენ, საიქიოში მის ყოფნას სასურველად არ მიიჩნევენ და იქიდან სასწრაფოდ გამოაძევებენ.

ამ დროს მთხრობელს – ქართველ პოეტს გამოეღვიძება. გაირკვევა და აღმოჩნდება, რომ ყოველივე ნანახი თურმე სიზმარი ყოფილა, და მკითხველიც არხეინად ამოისუნთქავს, გულს დაიმშვიდებს, სულხან-საბასავით ჩაილაპარაკებს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მართლა ასე ცხოვრობდეს დღევანდელი საქართველოო!

მაგრამ ისევ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელმა თავისი მოთხრობა მეცხრამეტე საუკუნის მი-

წურულს დაწერა, რის გამო მასში დახატულ სურათს, წესითა და რიგით, არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოსთან. ყველა შემთხვევისას, საქართველოს ყველა მოყვარულს ხომ ნამდვილად ასე სურს და ასე ეიმედება.

დეკემბერი, 1999

2000

71

მეოცე საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსები: პოლ ჯონსონის არჩევანი

ვისაც ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროპის წიგნის მაღაზიებში ან ბიბლიოთეკებში შეუხედავს და შემთხვევით თუ არაშემთხვევით ისტორიის განყოფილებისათვის გადაუვლია თვალი, ძნელი დასაჯერებელია, თვალთ არ მოხვედროდა ბრიტანელი ისტორიკოსის, პოლ ჯონსონის, სახელი, – თუნდაც წიგნების ვეებერთელა ზომების ან შთამბეჭდავი სათაურების გამო: "ქრისტიანობის ისტორია", "ებრაელი ერის ისტორია", "ძველი ეგვიპტის ცივილიზაცია", "ამერიკელი ერის ისტორია", "ინტელექტუალები", "ახალი დროის წარმოშობა: მეცხრამეტე საუკუნე", "მეოცე საუკუნის ისტორია".

საფიქრებელია, რომ არა მარტო ამ უკანასკნელი წიგნის ავტორობამ, არამედ ისტორიკოსთა და ფართო მკითხველთა შორის აღიარებულმა სახელმაც განაპირობა ჟურნალ "Spectator"-ის გადაწყვეტილება, 1999 წლის ბოლო გამოშვებაში სწორედ პოლ ჯონსონისათვის მიენდო მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ, ყველაზე გამორჩეულ პოლიტიკოსთა დასახელება.

რა თქმა უნდა, ჟურნალის არჩევანიც ისევე არ ყოფილა მოულოდნელი, როგორც თავად ჩანაფიქრი, რომ ჩამთავრებული საუკუნის მიწურულს ამ საუკუნის წარმომადგენელსვე შეედგინა ასწლეულის გამორჩეული, განსაკუთრებული, ეპოქის განმაპირობებელი ადამიანების ნუსხა. ნიშანდობლივია, რომ ამჯერად ყურადღება მიპყრობილი იყო სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩართული ადამიანების ან, უფრო ზუსტად, იმათ მიმართ, ვისაც ქვეყანათა მმართველობა დაეკისრა, ან ვინც ეს მოვალეობა თავად დაიკისრა.

პოლ ჯონსონმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, სარწმუნოებრივად – კათოლიკემ და პოლიტიკურად – კონსერვატორმა,

პოპულარული კულტურისა და ათეიზმის დაუღლელმა მოწინააღმდეგემ, მეოცე საუკუნის პოლიტიკოსთა შეფასებისას ერთადერთ კრიტერიუმად გამოიყენა ჯერემი ბენთემის პრინციპი: თუ ყველაზე მეტად რომელმა პოლიტიკოსმა შეძლო, თავის თანამოქალაქეთათვის შეექმნა ბედნიერი ცხოვრების საფუძველი.

ამ საზომით, ჯონსონის აზრით, მეოცე საუკუნის უდიდეს სახელმწიფო მოხელეთა ნუსხის მწვერვალზე სინგაპურის პრეზიდენტი, ლი კუან იუ, აღმოჩნდა. როცა ეს პოლიტიკოსი თავისი ქვეყნის მართვას შეუდგა, მოსახლეობა უმძიმეს მორალურ და ეკონომიკურ დაცემას განიცდიდა (ერთ სულ მოსახლეზე ას ამერიკულ დოლარზე ნაკლები შემოსავლით). პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, სინგაპური იქცა დედამიწის ერთ-ერთ უმდიდრეს და ერთ-ერთ უსაფრთხო სახელმწიფოდ, სადაც დღეს სანიმუშო წესრიგი სუფევს (სხვათა შორის, სინგაპურს არავითარი ბუნებრივი სიმდიდრე ან წიაღისეული არ მოეპოვება). მისი მმართველობა მკაცრია. მასმედიას არ უყვარს ქვეყნის მმართველი, მას კი სულ არ ეხატება გულზე ბანგში ჩაძირული ჰიპები ან პანკები და მათი დამცველი მემარცხენე ჟურნალისტ-პუბლიცისტები. იგი ცდილობს, უსაქმურ მომთაბარეთაგან დაიცვას თავისი ქვეყანა და ახლოსაც არ მოუშვას ისინი. როგორც ჩანს, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ სინგაპურში, ფაქტობრივად, არ არსებობს დამნაშავეობა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა იქცა მშვიდ სავანედ, სადაც აღიარებენ და პატივს სცემენ ძველმოდურ სიქველეებს. ჯონსონის აზრით, პრეზიდენტ ლის საქმიანობა ადასტურებს, რომ წარმატების გასაღები ყოველთვის და ყველგან ქვეყნის გონივრულად მართვაა.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, პოლ ჯონსონი საუკუნის უდიდეს პოლიტიკოსთა შორის გამოყოფს ხუთ პრეზიდენტს, და, მათ შორის: თეოდორ რუზველტს, რომელმაც თავისი ქვეყანა ზესახელმწიფოდ აქცია; ჰარი ტრუმენს, რომელიც წარმატებით გაუძღვა ცივ ომს; რონალდ რეიგანს, რომელმაც ცივი ომი გამარჯვებით დააგვირგვინა, – პრეზიდენტს, რომელმაც თავისი ქვეყანა, ორი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, ისეთი ფიზიკური და მორალური პასუხისმგებლობით აღსავსე დატოვა, როგორიც მას მანამდე არასოდეს ჰქო-

ნია. რეიგანის აღმატებული შეფასების შემდეგ პოლ ჯონსონმა სანტიმენტალურად დაიჩივლა: "როგორ გვაკლია ახლა იგი!".

ისტორიკოსი ძნელად დასაჯერებლად მიიჩნევს, რომ მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა უმრავლესობას არასოდეს ჰყოლია ღირსეული და თავისი ქვეყნისათვის კეთილისმყოფელი მეთაური. მაგალითად, რუსეთში მეფეთა, ან კომუნისტ თუ პოსტკომუნისტ ლიდერთა წყება მხოლოდ სისასტიკის ან უსუსურობის მაგალითს წარმოადგენს. "ურჩხულთა მწკრივი!", – წამოიძახებს პოლ ჯონსონი და გულდაწყვეტით აღიარებს, რომ იგივე შეიძლება ითქვას ჩინეთის შესახებაც. მაგალითად, საუკუნის ყველაზე დიდი მკვლელის, მაო ძედუნის, მმართველობას უდანაშაულო ადამიანთა სამოცმილიონიანი მსხვერპლი მოჰყვა.

რაც შეეხება ინდოეთს, მაჰატმა განდჰის მონუმენტური ფიგურის შემდეგ, მეტად ფერმკრთალად ჩანს ჯავაჰარლალ ნეჰრუ, ორპირი და ორსახოვანი პოლიტიკოსი, რომელიც, როგორც ჯონსონს მიაჩნია, არასოდეს ყოფილა ნამდვილი სახელმწიფო პირი.

დიდი პოლიტიკოსებით, ჯონსონის აზრით, არ გამორჩეულა არც პაკისტანი, არც ინდონეზია, არც იაპონია. იაპონიაში ეს არც ყოფილა მოსალოდნელი, რაკიღა ქვეყნის მართვას კოლეექტიური ხასიათი აქვს და იქ, საერთოდ, ინდივიდუალიზმს არ მიესალმებიან. ამდენად, ისტორიკოსი აცხადებს, რომ იაპონია მაგალითია ისეთი წარმატებული ქვეყნისა, რომელსაც ერთი ადამიანიც არ ჰყოლია პოლიტიკაში, აღნიშვნის ღირსი რომ გამხდარიყო.

ევროპის უდიდეს პოლიტიკოსთა შეფასებისას ჯონსონი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ 1914 წლამდე თუ მსოფლიო ომებს შორის არ გამორჩეულა არცერთი სახელმწიფო პირი. უფრო სწორად, იმდროინდელ სახელგანთქმულ პოლიტიკოსთაგან დღეს აღარავის შერჩა ბრწყინვალება და მიმზიდველობა, – იქნება ეს კლემანსო, პუანკარე თუ ლოიდ ჯორჯი.

მომდევნო ხანის ევროპელ პოლიტიკოსთაგან პოლ ჯონსონი საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსის, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის პატივს მიაკუთვნებს გენერალ ფრანსისკო ფრანკოს, რომელიც ესპანეთს სათავეში ჩაუდგა 1939 წელს. იგი სახელ-

მწიფოს მართავდა უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ნებისმიერი მისი წინამორბედი და რომელმაც სიკვდილის შემდეგ დატოვა სამშობლო, აღჭურვილი თანამედროვე ეკონომიკით, ძლიერი საშუალო ფენით და კეთილდღეობის პირობებში მცხოვრები მოსახლეობით. ისევე, როგორც ყველა ლიდერს, ვინც სახელმწიფოს სათავეში სამოქალაქო ომის შედეგად მოვიდა, მასაც მოუწია დაეღვარა სისხლი, მაგრამ, ჯონსონის აზრით, მისი ღვაწლის მნიშვნელობის უარყოფა სრულიად შეუძლებელია.

გერმანელ პოლიტიკოსთა შორის ისტორიკოსი გამოყოფს კონრად ადენაუერსა და ლუდვიგ ერჰარდს, რომლებმაც გერმანია დემოკრატიული ჩვევებისა და ეკონომიკური წარმატებისაკენ წაიყვანეს.

მეოცე საუკუნის საფრანგეთის ცხოვრებაში ისტორიული მისია დაეკისრა გენერალ შარლ დე გოლს, რომელმაც ოკუპაციის დროს გადაარჩინა ქვეყნის ღირსება, ხოლო ომის შემდგომ შექმნა თანამედროვე ეკონომიკა, საუკეთესო კონსტიტუცია, აამაღლა ფრანგების წარმოდგენა საკუთარ თავზე და განამტკიცა მსოფლიოს პატივისცემა თავისი ქვეყნის მიმართ.

ომისშემდგომი იტალიის წარმატება უნდა მიეწეროს ალჩიდე დე გასპერის, რომელმაც ასწავლა ერის ელიტას, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატია, მაგრამ მან ვერ შეძლო თავის თანამოქალაქეთათვის ესწავლებინა წესრიგი და წესიერება.

ბრიტანელ ისტორიკოსს, პოლ ჯონსონს, მიაჩნია, რომ მეოცე საუკუნის ბრიტანეთის ისტორია განუწყვეტელი დაცემის ისტორიაა. მაინც, თავისი ქვეყნის წარსულში იგი გამოყოფს ორ ყველაზე გამორჩეულ პოლიტიკოსს: სერ უინსტონ ჩერჩილსა და ბარონესა მარგარეტ თატჩერს. მისი აზრით, თატჩერი, საერთოდ, მეოცე საუკუნის უდიდეს პოლიტიკოსთა შორის, სინგაპურის პრეზიდენტის, ლი კუან იუს, შემდეგ დგას და მეორე ადგილს იკავებს.

ჯონსონის შეხედულებით, არც აფრიკას და არც არაბულ ქვეყნებს მეოცე საუკუნეში მსოფლიო კლასის პოლიტიკოსები არ წარმოუშვია. მაგალითად, ნელსონ მანდელას მმართველობამ ქვეყანა, შეუჩერებელი დაქანებით, უფსკრულის პირას მიიყვანა. ისტორიკოსის სიტყვებით, ბოლო დროს სულ უფრო

მეტი პატივისმცემელი უჩნდება სამხრეთროდეზიელ იან სმითს და სულ უფრო მეტი ადამიანი აღიარებს მის სიმართლეს (სხვათა შორის, ეს ის იან სმითია, რომელიც საბჭოთა პროპაგანდისა და მსოფლიოს მემარცხენე წრეების მიერ წლების განმავლობაში პირსისხლიან რასისტად იყო წარმოჩენილი).

რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ის ნელ-ნელა დგება ფეხზე, თუმცა მის პოლიტიკოსთა შორის, ჯონსონის შეხედულებით, გოლიათურად ჩანს გენერალი აუგუსტო პინოჩეტი, რომელმაც სამოქალაქო ომისას ხელთ აიღო ძალაუფლება, შეაჩერა კომუნისტური კატასტროფა და შემზარავი ჰიპერინფლაცია, უზრუნველყო ქვეყანაში თანამედროვე მიწათმოქმედება, კონკურენციის უნარიანი მრეწველობა, მყარი ვალუტა და მოსახლეობის ყველაზე დიდი შემოსავალი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის. ისტორიკოსის სიტყვებით, სამარცხვინოა, რომ ამ უდიდეს პოლიტიკოსს მადლობა იმით გადაუხადეს, პირველ პოლიტიკურ პატიმრად აქციეს ბრიტანეთში მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ (იგულისხმება მოხუცი, გადამდგარი პინოჩეტის დაკავება და შინაური პატიმრობა ლონდონში სამკურნალოდ ჩასვლის შემდეგ).

დაბოლოს, ჯონსონს მტკიცედ მიაჩნია, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის უპირველეს ადგილს მაინც უეჭველად და დაუფიქრებლად ისაკუთრებს პაპი იოანე პავლე მეორე. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ მან წიგნიც კი მიუძღვნა კათოლიკე ეკლესიის მისთვის სათაყვანო ამუამინდელ მეთაურს.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ნუსხა სახელგანთქმულ ბრიტანელ ისტორიკოსს, პოლ ჯონსონს, ეკუთვნის და – არავის სხვას. თავისი მიმოხილვის დასასრულ ისტორიკოსი მიმართავს მკითხველს, რომ, ვინც მის ნუსხას არ ეთანხმება, უშუალოდ მისწეროს მას. უნდა ითქვას, რომ ნამდვილად საუკეთესო რჩევაა!

იანვარი, 2000

72

ავადმყოფობის გამოცდილება

ავადმყოფობა უფრო მეტად ხასიათდება ექსისტენციური ღიაობით, ვიდრე – სიჯანსაღე.

ჯანსაღად ყოფნისას უეჭველად შეზღუდულია თავისუფალი სივრცე, დაუბრკოლებელი გასაქანი და მოულოდნელი მოსაბრუნი, – ბუნებრივად იგულისხმება, რომ ხვალინდელიც, ძირითადად, ისეთივე იქნება, როგორიცაა დღევანდელი. ამიტომ გადაწყვეტილებათა მიღება ხერხდება სხეულებრივი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, მისთვის ყურადღების მიქცევის გარეშე.

ავადმყოფობა არსობრივად სრულიად არამყარი მდგომარეობაა, რომელიც ყოველ წამს იცვლება, კრთის, მონაცვლეობს. ავადმყოფობის მომავალი არამყარი და გახსნილია, – მგზნებარეა დაძაბული გაურკვევლობა, თუ რა მოჰყვება მომდევნო წუთს: გაუმჯობესება თუ გაუარესება, ნაბიჯი სიცოცხლისაკენ თუ ნაბიჯი სიკვდილისაკენ.

ამ შემართებისაგან დაცლილია ჯანსაღად ყოფნა, – ამ დროს თვალს არ ხვდება გაუთვალისწინებლობის, განუსაზღვრელობის მძაფრი ვითარება.

შესაძლოა, ამიტომაა ექსისტენციურად უფრო ღირებული ავად ყოფნა, ვიდრე კარგად ყოფნა.

თებერვალი, 2000

73

ჯორდანო ბრუნოს ლეგენდა

რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ, 1600 წლის 17 თებერვალს, რომში, კამპო დე ფიორის მოედანზე, კოცონზე საჯაროდ დაწვეს ჯორდანო ბრუნო, – ყოფილი დომინიკელი ბერი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, ასტრონომი და ასტროლოგი, ოკულტისტი და მაგიის ოსტატი.

თავად მისი სახელი უკვე კარგა ხანია სიმბოლოდ იქცა, – იმგვარ სიმბოლოდ, რომელსაც არცთუ ისე ბევრი რამ აქვს საერთო მის ნამდვილ ბიოგრაფიასთან ან მისი აზროვნების ნამდვილ შინაარსთან. მაგალითად, იგი მიჩნეულია თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ მესაძირკვლედ, რაც მეტად შორია სიმართლისაგან.

ჯორდანო ბრუნოს საყოველთაო პოპულარულობისაგან დამოუკიდებლად, მისი შემოქმედება, მისი ფილოსოფიური შეხედულებანი საკმაოდ მჭლედ იყო და არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღემდე რჩება იაფფასიან იდეოლოგიურ სიმბოლოდ ქრისტიანული ეკლესიის, – განსაკუთრებით, კათოლიკე ეკლესიის, – მოწინააღმდეგეთა და მოძულეთა შორის. ღირსშესანიშნავია, რომ ეს დანიშნულება ბრუნოს მაშინ დაეკისრა, როცა საფუძველი დაედო იტალიის განთავისუფლების მოძრაობას, ეგრეთ წოდებულ "რისორჯიმენტოს", რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო ავსტრიელების თავიდან მოშორებასა და ქვეყნის გაერთიანებას, არამედ პაპის უფლებათა სრულ შეზღუდვასაც და კათოლიკე ეკლესიის გავლენის მნიშვნელოვან შესუსტებას. ამ დროს იტალიის (და შემდგომ, აგრეთვე, სხვა ქვეყნების) ანტისაეკლესიო წრეებში მკვიდრდება ბრუნოს არაოფიციალური კულტი, ხოლო იტალიის სხვადასხვა ქალაქში სწორედ მაშინ წამოიმართა მისი რამდენიმე უზარმაზარი ძეგლი.

წელსაც, ჯორდანო ბრუნოს დაწვიდან ოთხასი წლის შემდეგ, იგი ისევ სიმბოლოდ იქცა. კამპო დე ფიორის მოედანზე,

სადაც დასრულდა მისი სიცოცხლე და რომელსაც დღეს მისი ძეგლი გადმოჰყურებს, მემარცხენე-ანტიეკლესიურმა ძალებმა გამართეს ხმაურიანი მიტინგები, რომელთა მიზანი, მათი სიტყვებით, იყო "კათოლიკე ეკლესიის ბნელი წარსულის" მხილება და დაგმობა.

ვატიკანის მიერ იმ დღეებში გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში გამოთქმული იყო სინანული ადამიანის ძალადობრივი სასჯელის გამო, მაგრამ საგანგებოდ იყო გამოკვეთილი წმიდა საყდრის უცვლელი თვალსაზრისი, რომ ბრუნოს შეხედულებები თავისი შინაარსით ანტიქრისტიანულია და, შესაბამისად, მიუღებელია ეკლესიისათვის.

1548 წლის დასაწყისში, ნეაპოლის სამეფოში დაბადებული ჯორდანო ბრუნო თავდაპირველად დომინიკელთა ორდენის წევრი იყო, ანუ იგი ეკუთვნოდა მქადაგებელთა საძმოს, რომელიც მეცამეტე საუკუნეში წმიდა დომინიკემ დააფუძნა და რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სიტყვით ქრისტიანობის გავრცელების მისია. მაგრამ ახალგაზრდა მეამბოხე მოწესემ, ოცდარვა წლისამ, ორდენი და მშობლიური ნეაპოლი მიატოვა, რათა სადმე სამეფო ან არისტოკრატიულ კარზე, ანდა რომელიმე ევროპულ უნივერსიტეტში ჩაეშვა ღუზა, თუმცა ლამის მთელი კონტინენტის შემოვლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ეს მიზანი მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა.

ბრუნო აცხადებდა, რომ სამყარო უსასრულოა და რომ ადამიანის ქმედებას განაპირობებს არა ქრისტიანული (ან, საერთოდ, ადამიანური) სინდისი, არამედ ეგრეთ წოდებული "გმირული ენთუზიაზმი". თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს იგი აფუძნებდა წარმართულ ბერძნულ აზროვნებასა და ებრაულ კაბალას, ხოლო მის მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვარსკვლავთმრიცხველობას, შელოცვებს, მკითხაობას, ჯადოქრობას. იგი იზიარებდა სულთა გარდასხეულების თვალსაზრისს და უარყოფდა როგორც ღმრთაებრივი, ისე ადამიანური პიროვნების არსებობას.

შეიძლება ითქვას, რომ ჯორდანო ბრუნო ქრისტიანული ევროპის პირველი აშკარა ანტიქრისტიანული მოაზროვნეა.

სასამართლო პროცესის დამთავრების შედეგ ყოფილმა დომინიკელმა მოწესემ უარი თქვა მონანიებაზე, რაც მას კათო-

ლიკე ეკლესიასთან შერიგების საშუალებას მისცემდა. თავისი დამოკიდებულება მან სიკვდილის პირისპირაც დაადასტურა: შემონახულია გადმოცემა, რომ, როცა მის სხეულს უკვე ცეცხლის ალები ეხვეოდა, ვიღაც უცნობის მოწყალე ხელმა მას ბაგეებთან მიუტანა გრძელ ჯოხზე მიმაგრებული ჯვარცმა. განწირულმა ბრუნომ არც სიკვდილის პირას ისურვა ჯვარცმულის აღიარება, – მან თავი გვერდით გასწია და არ ეამბორა ჯვარს.

საუკუნეები მიედინება, მაგრამ ჯორდანო ბრუნოს ადამიანური თუ შემოქმედებითი მემკვიდრეობის ანალიზი და ინტერპრეტაცია არასოდეს შემოფარგლულა ოდენ აკადემიურ-კვლევითი ინტერესით, – კამათი თუ დაპირისპირება დღემდე გრძელდება და დღემდე დიდი სიმწვავით გამოირჩევა (განსაკუთრებით, – იტალიაში).

ახლა აღარავინ ამტკიცებს, რომ ბრუნოს პროცესი, იურიდიული თვალსაზრისით, უკანონო იყო (იმ სამართლის ფარგლებში, რომელიც მაშინ მოქმედებდა), ისევე როგორც არავინ ცდილობს იმის დასაბუთებას, თითქოს იგი ქრისტიანი ფილოსოფოსი იყო, ანდა, რომ მისი აზროვნება ქრისტიანობის ფარგლებში რჩება, ხოლო მისი სასამართლო პროცესი გაუგებრობის ან ტენდენციურობის შედეგი იყო.

არც ისაა დასავიწყებელი, რომ მთელი ქრისტიანული სულიერი მემკვიდრეობის ბრუნოსეული სასტიკი, დაუნდობელი, სარკასტული კრიტიკა ნიადაგს უმზადებდა ვოლტერს თუ ნიცშეს და, საერთოდ, ყველა იმას, ვინც კი ანტიქრისტიანული და ანტიეკლესიური განწყობებით იყო გამსჭვალული. ნიშანდობლივი და სიმბოლურია, რომ ჯორდანო ბრუნო, თავად მისი გასამართლებისა და ცეცხლზე დაწვის ფაქტი ამგვარი ძალების ისტორიულ დროშად და იარაღად იქცა. ალბათ, საკამათო არაა, რომ ოთხი საუკუნის წინანდელმა სასამართლომ, მისმა განაჩენმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ჯორდანო ბრუნოს, როგორც მოწამისა და გმირის, სახის ჩამოსაყალიბებლად. მისი ამგვარი დაკანონებული სახე, – რომელიც საგანგებოდ ჩქმალავს მის ანტიქრისტიანულ აზროვნებასა და შემოქმედებითს მემკვიდრეობას, – დღემდე აგრძელებს არსებობას.

თებერვალი, 2000

74

ქრისტიანული მარხვა

იმ კვირის ჩამთავრების შემდეგ, რომელსაც, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით, ყველიერი ეწოდება, ორშაბათს, ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა შორის, დიდი მარხვა იწყება. დიდ მარხვას კი, რომელიც, იმავე ბიზანტიური ტრადიციით, შვიდ კვირას გრძელდება, დღესასწაულთა დღესასწაული – აღდგომა მოჰყვება.

რაც შეეხება დასავლეთის ქრისტიანებს, იმ დროს, როცა ისინი ყველიერს აღნიშნავენ, თითქმის ყოველ ქრისტიანულ ქვეყანაში იმართება მეჯლისები, კარნავალები, სახალხო ზეიმები და გართობები; ქუჩებსა და მოედნებზე, სხვადასხვა მსვლელობისას თუ თავყრილობაზე მხიარულება და ხალისი სუფევს.

მომდევნო ოთხშაბათს კი, რომელსაც კათოლიკური ტრადიციით, ნაცრის ოთხშაბათი ეწოდება, რომის კათოლიკე ეკლესიაში იწყება დიდი მარხვა.

ამ დღეს, ღმრთისმსახურებისას, მღვდელი ყოველ მორწმუნე კათოლიკეს შუბლზე ნაცრით ჯვარს აღუბეჭდავს, – ცოდვათა აღსარებისა და სინანულის ნიშნად. ამ ოთხშაბათის შემდეგ კი იწყება ორმოცდღიანი მარხვა და მზადება სააღდგომოდ. თავად ნაცრის წასმის ტრადიცია ბიბლიური ხანიდან იღებს სათავეს. ამჟამად, ლიტურგიის კონტექსტში, ის სიმბოლურად ასახავს იმ ცოდვილი ადამიანის მდგომარეობას, რომელიც აღიარებს თავის ცოდვებს, შეცდომებს, მანკიერებებს და, ამასთანავე, გამოთქვამს სურვილსა და ნებას შინაგანი გარდაქმნისათვის. ამ მიზნის მისაღწევად იგი აცხადებს მზადყოფნას, მიჰყვეს იმ იმედს, რომ ღმერთი მას შენდობას მიანიჭებს. ქრისტესეული მოწოდება მონანიებისაკენ, ისევე როგორც ბიბლიურ წინასწარმეტყველთა შემთხვევისას, სრულიადაც არ ნიშნავს სინანულის გარეგნულ მხა-

რეს, პირიქით, ის გულისხმობს გულის გარდაქმნას, – ადამიანის შინაგან ფერისცვალებასა და განახლებას. ამის გარეშე, ამის გაუთვალისწინებლად, მონანიება ყოველთვის, ყოველ ჯერზე უნაყოფო, უშედეგო და ყალბ საქციელად დარჩება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თავად ეს გარდაქმნა ადამიანის ცხოვრებაში, უწინარეს ყოვლისა, ღმრთის უშუალო ქმედების შედეგია.

შინაგანი გარდაქმნის მიღწევის შემდეგ ადამიანს უჩნდება სწრაფვა, მისი ახალი, განახლებული ცხოვრება გარეგნულადაც, გარეთაც განხორციელდეს და გამომჟღავნდეს, რაც მის ქმედებებში გამოვლინდება.

როცა ადამიანის ხედვა ნელ-ნელა ამჩნევს ღმერთს, მის მოსიყვარულე განწყობას სამყაროსა და ადამიანების მიმართ, იწყება იმის მცდელობასაც, რომ მას შესაბამისი პასუხი გაეცეს. ამიტომაც, მარხვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია გაცემა, – უწინარესად, უანგარო გაცემა უპოვართა და უსახლკაროთათვის, – იმათთვის, რომელთაც არაფერი გააჩნიათ. როგორც დასტურდება, ადამიანი ნამდვილად და უეჭველად ფლობს მხოლოდ იმას, რის გაცემასაც იგი ახერხებს, ხოლო ყოველივე დანარჩენი თავად ადამიანს დაუფლებია.

მარხვა, რომელიც სინანულსა და სულიერ გარდაქმნას განასახიერებს, მრავალგვარი სახეობისაა: დაწყებული – ძველი ფორმებიდან (რაც გულისხმობს ბიზანტიურ-აღმოსავლურ წეს-ჩვეულებას, რომელიც ზღუდავს გარკვეული საკვების მიღებას, უარს ამბობს ხორცისა თუ რძის პროდუქტებზე, და სხვა); ხორციელი თავშეკავების გავლით; დამთავრებული – სულიერი, ანუ შინაგანი მარხვით (რაზეც ამახვილებს ყურადღებას კათოლიკე ეკლესია და რაც ნიშნავს ყოველგვარი არასასურველი მისწრაფებისა თუ მიჯაჭვულობის ნებაყოფლობით დათმობას); კიდევ, მოსახსენებელია ეგრეთ წოდებული "ეკოლოგიური მარხვა", რომელიც საკმაოდ გავრცელდა ამ ბოლო ხანს და რომელიც, მაგალითად, გულისხმობს ავტომანქანით მგზავრობის, მეგობრებთან ლაზღანდარობის თუ ინტერნეტული გართობების შეზღუდვას.

მაგრამ ქრისტიანული მარხვის ყოველი სახეობა უეჭველად უნდა ეყრდნობოდეს ქრისტიანულ საფუძვლებს და მიმართული უნდა იყოს ღმერთთან, სხვა ადამიანებთან თუ საკუთარ თავთან დამოკიდებულების თვისობრივი ცვლილებისაკენ.

მორწმუნე ქრისტიანი ადამიანისათვის მარხვის დრო საკუთარი თავის ძიებისა და ღმრთის მოპოვების კიდევ ერთი ხელსაყრელი, არცთუ ძნელად ხელმისაწვდომი საშუალებაა.

მარტი, 2000

75

აღდგომა

იესო ქრისტეს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის საიდუმლო ქრისტიანული სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტებაა. სწორედ ეს მოვლენაა ქრისტიანული თეოლოგიისა და ღმრთისმსახურების უმთავრესი საფუძველი.

მოციქულთა დროიდან ქრისტიანი მორწმუნეები, ლოცვისას თუ განსჯისას, განუწყვეტლივ უბრუნდებიან უფლის აღდგომას და განუწყვეტლივ აღნიშნავენ მას ღმრთისმსახურებაში: ერთი მხრივ, ყოველი საკვირაო ჟამისწირვისას, მეორე მხრივ კი, წელიწადში ერთხელ – ამ დღესასწაულის საგანგებო გახსენებისას და მოხსენებისას. მაგრამ როცა ქრისტიანი აღდგომის მოვლენების ირგვლივ ჩაფიქრდება ხოლმე ყოველ წელს, ყოველ გაზაფხულზე მოწეული ამ ნათელი დღესასწაულისას, ამასთანავე, მას ისიც ახსენდება, რომ მისი აღნიშვნა მთელი წლის განმავლობაში უწევდა – კვირაობით, საღმრთო წირვაზე შეკრებისას.

თვით სიტყვა "კვირაც", ბერძნული სახელდების მიხედვით, უფლის დღეს ნიშნავს. ქრისტიანულ კალენდარში კვირადღეს სახარებისეული წარმოშობა აქვს და მოციქულთა სიტყვაში მას "ერთშაბათი" ეწოდება, ანუ დღე შაბათის შემდეგ. მაგრამ კვირა, ქრისტიანული თვალთახედვით, მხოლოდ ის დღე არ არის, როცა ეკლესიურად აღზრდილი ადამიანი ეკლესიაში უნდა წავიდეს და შრომისაგან თავი შეიკავოს, – ქრისტეს მიერ დაფუძნებული ეკლესია ჯერ ყოველი საკვირაო ღმრთისმსახურებისას, ხოლო განსაკუთრებით აღდგომის დღეს არა მარტო იხსენებს ამ დღეს, არამედ ყოველ მორწმუნეს ამ მოვლენის მომსწრედ და მონაწილედ აქცევს.

შესაქმისეული თხრობით, ღმერთმა სამყაროს შექმნის შემდეგ, – რაც ბიბლიური გადმოცემით, ექვსი დღე გრძელდებოდა, – დასვენების, ანუ მოსვენების დღედ მეშვიდე დღე

დააწესა, რომელიც საღმრთო დღედ იქნა მიჩნეული და რომელსაც შაბათი დაერქვა. ადამიანებს კანონად დაედოთ, ექვსდღიანი შრომის შემდეგ, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი საქმიანობისაგან. შაბათის დაცვის მოთხოვნა ერთ-ერთია მოსე სჯულმდებლის მიერ გადმოცემულ ათ მცნებას შორის, – ებრაელებს ევალებოდათ (და დღესაც ევალებათ), გულისყურით მოჰპყრობოდნენ ამ ვალდებულებას და თაობიდან თაობისათვის გადაეცათ მისი საღმრთო წარმოშობა და დანიშნულება.

იესო ქრისტეს მიერ ძველი აღთქმის კანონმდებლობის აღსრულება, მამა ღმრთის მორჩილება განუწყვეტლივ მჟღავნდება სახარების ფურცლებზე. მოსალოდნელი იყო მისგან შაბათის დაცვაც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ქრისტე, ერთი მხრივ, იცავს შაბათს, მიდის ამ დღეს მორწმუნეთა შესაკრებელში – სინაგოგაში, კითხულობს და განმარტავს საღმრთო წერილს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც თვალშისაცემია, რომ შაბათის დაცვის მცნებას იესო არაერთხელ არღვევს და თავის მოწაფეებს – მოციქულებს ნებას აძლევს, ის საქმიანობა შეასრულონ, რაც, ძველი აღთქმის თანახმად, ამ დღეს აკრძალული იყო. ნიშანდობლივია, რომ ქრისტე რამდენიმეგზის განკურნავს უძლურებს სწორედ შაბათს.

ქრისტიანისათვის საღმრთო დღედ მიჩნეულია კვირა, რადგან აღდგომის მოვლენები თავიანთ უმთავრეს და ძირითად მნიშვნელობას მხოლოდ ყოველწლიური აღდგომის დღესასწაულისას კი არ გააცხადებს, არამედ მოიხსენიება, ცოცხლდება ყოველ კვირადღეს, ანუ იმ დღეს, როცა მორწმუნეები მოწოდებულნი არიან იესოსთან შესახვედრად, მის საპასექო მსხვერპლში მონაწილეობის მისაღებად, მკვდრეთით აღდგომის სიხარულის გასაზიარებლად. ძე ღმრთის მსხვერპლთან ერთად, ისინი თავიანთ მსხვერპლსაც სწირავენ სამყაროს შემოქმედ ღმერთს. მორწმუნეები აღიარებენ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას და ელოდებიან მის მოსვლას იმ იმედით, რომ ქრისტესთან ერთად აღდგებიან მარადიული ცხოვრებისათვის. ამდენად, ყოველი კვირადღე მცირე აღდგომაა, მაცხოვრის სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის სახსოვარი, მაგრამ, ამავე დროს, ადამიანთა ხსნისა და უკვდავების საიდუმლო

განდიდება. ის სიხარულისა და მადლიერების დღეა, – არა მოვალეობის, არამედ მადლის და წყალობის დღე.

ისევე, როგორც შაბათი იყო სამყაროს შემოქმედის მიმართ მადლიერების დღე, ასევე, კვირა არის შემოქმედის, მაგრამ, ამავე დროს, მაცხოვრის, მხსნელის განდიდების დღე. რამდენადაც კვირადღე შვიდდღიანი კვირის პირველი დღეა, ის ადამიანებს გაახსენებს სამყაროს შექმნის პირველ დღეს, მაგრამ, ამავე დროს, მოაგონებს ახალ შესაქმეს, ახლად გამოსყიდული ადამიანების ახალი ცხოვრების დასაწყისს. ქრისტეს საღმრთო მსხვერპლთან კვირადღეს ზიარების შემდეგ, ადამიანი მთელ კვირას ღმრთაებრივი მადლის მფარველობით ატარებს და თან აცნობიერებს, რომ ღმერთი ამაღლებულია დროსა და ჟამზე. აღდგომის მოსახსენებელ კვირადღეს ქრისტიანი ღმრთის მსგავსებას აღწევს იმით, რომ ზიარების საიდუმლოს მიღებისას ქრისტეს სააღდგომო მსხვერპლს ეზიარება. ძველი აღთქმის ებრაელთაგან განსხვავებით, ქრისტიანი აღდგომის აღნიშვნისას მოიგონებს არა ეგვიპტელთა მონობიდან თავის დაღწევის, თავდახსნის, გამოსვლის დღესასწაულს, არამედ განადიდებს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას – სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ მობრუნებას. სწორედ ეს დღე ხდება მისთვის ღმერთთან დაბრუნების საწინდარი და იმედი.

აღდგომის დღე ქრისტიანულ ლიტერატურაში ხშირად "მერვე დღედ" არის ხოლმე მოხსენიებული, ანუ იმგვარ დღედ, რომელიც არ შეიძლება დროის ჩვეულებრივ მდინარებაში იქნეს ჩართული ან აღქმული, არ შეიძლება განხილული და დანახული იქნეს ყოფითს დროში, მიწიერი ცხოვრების ციკლში, შვიდდღიან კვირაში, რადგან ისაა დღე, გაჭრილი მარადისობაში, მიწიერი დროის მიღმა.

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტეს აღდგომის შემდეგ კვირა თვითნებურად კი არ ჩაენაცვლა ბიბლიურ შაბათს, არამედ სწორედ კვირაში გამოვლინდა საღმრთო ნება და მასში გასრულებული ძველი აღთქმის გადასვლა ახალ აღთქმაში, ძველი შეთანხმების შეცვლა ახალი შეთანხმებით.

ქრისტიანებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ღმერთმა ადამიანები დაასაჩუქრა ამ დღით, როგორც ქრისტეს სიკვდი-

ლისა და აღდგომის სახსოვრით, იმის სამადლობლად, რომ იესოს სიკვდილი ადამიანებს ცოდვების ტყვეობისაგან ათავისუფლებს, ხოლო აღდგომა ხსნის იმედს იძლევა.

* * *

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას საფუძველი ჩაეყარა დაახლოებით მეორე საუკუნის დასასრულ. იმხანად ჯერ კიდევ ერთად აღინიშნებოდა ქრისტეს ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა. ამასთანავე, იმ დროს მხოლოდ თავად ამ დღეს მოიხსენიებდნენ და მხოლოდ მესამე საუკუნიდან ჩნდება საღმრთისმსახურო ცხოვრებაში შვიდკვირიანი მოსამზადებელი ჟამი, რომლის განმავლობაში მორწმუნე ქრისტიანი მარხვით, ლოცვითა და განსჯით აღდგომის შესახვედრად ემზადება. მეოთხე საუკუნისათვის დაწესდა სული წმიდის გარდამოსვლის, ანუ სულთმოფენობის დღე, რომელიც აღდგომის ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება. რაც შეეხება ამაღლების დღესასწაულს, ის მეხუთე საუკუნის დასაწყისისათვის ჩნდება. თავად საგანგებო სააღდგომო ღმრთისმსახურება მეხუთე და მეექვსე საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენდა.

იესოს სიკვდილის თარიღი ებრაული პასექის დღესასწაულს უკავშირდება. ქრისტე ჯვარს აცვეს პასექის საღამოს, ანუ ნისანის თვის 14 რიცხვში, როცა ებრაელები ამ დღესასწაულს, – ეგვიპტელთა ტყვეობიდან გამოსვლას, – აღნიშნავდნენ. მაგრამ ებრაული კალენდრის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ძნელია, ზუსტად განისაზღვროს, დღევანდელი კალენდრის რომელ დღეს შეესაბამება იესოს ჯვარცმის წლის 14 ნისანი. პირველმა ქრისტიანებმა აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა 15 ნისანს გადაწყვიტეს, მიუხედავად იმისა, თუ კვირის რომელ დღეს დამთხვეოდა ეს რიცხვი. შემდგომ, დღესასწაული გადაჰქონდათ უახლოეს კვირადღეს. მალე ეს ტრადიცია გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში, სადაც, იულიუსის კალენდართან ერთად, ებრაული კალენდრითაც სარგებლობდნენ. ხოლო რომსა და ალექსანდრიაში, სადაც მხოლოდ იულიუსის კალენდარი მოქ-

მედებდა, გადაწყვიტეს, აღდგომა აღენიშნათ გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირა დღეს, ხოლო ჯვარცმის მოსახსენებელ დღედ დადგინდა აღდგომის წინა პარასკევი.

ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც 325 წელს ჩატარდა, ყველა საეკლესიო საკრებულო შეთანხმდა, აღდგომა ერთსა და იმავე დღეს ეზეიმათ. იმ დროიდან რომაულ-ალექსანდრიული ტრადიცია საყოველთაო გახდა. თუმცა მეთექვსმეტე საუკუნეში ისევ დაირღვა ერთობა: როდესაც რომის კათოლიკე ეკლესიამ პაპის, გრიგოლ მეცამეტის, კალენდარი შემოიღო, ცვლილებას შედეგად მოჰყვა, რომ დასავლური აღდგომა რამდენიმე დღით ასცდა აღმოსავლეთ საქრისტიანოში აღნიშნულ აღდგომას, რომელიც ისევ იულიუსის კალენდარს მისდევდა. ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანები აღდგომას დღემდე ამ კალენდრის საფუძველზე ზეიმობენ, რაც განაპირობებს იმას, რომ დასავლეთში და აღმოსავლეთში უკვე ოთხი საუკუნეა, მაცხოვრის აღდგომა განსხვავებულ დროს აღინიშნება.

დიდი მარხვის უკანასკნელ კვირაში, რომელსაც, საეკლესიო ტრადიციით, ვნების კვირა ეწოდება, მთელი მსოფლიოს ქრისტიანები ლიტურგიულად კიდევ ერთხელ აცოცხლებენ იესოს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს: დიდ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობასა და პურითა და ხორცით ზიარების დაწესებას; დიდ, ანუ წითელ პარასკევს – ქრისტეს სიკვდილს, როცა ამ დღეს ზიარებაც კი არ აღესრულება, რადგან ძე ღმერთი ჯოჯოხეთში ჩადის და მარტოდ დარჩენილი ქვეყნიერება ღმრთის დუმილს უგდებს ყურს; შაბათისა და კვირის გასაყარზე, სააღდგომო ღამეს, როცა ამ დუმილსა, ძრწოლასა და სიბნელეში ქრისტეს აღდგომის სიხარული აგუგუნდება, რწმენის სანთელი აკიაფდება, მარადიული სიცოცხლე გაიმარჯვებს.

* * *

მოციქული პავლე, რომელიც, სხვა მოციქულთაგან, ან უბრალოდ, თავის მრავალ თანამედროვეთაგან განსხვავებით, იესოს მიწიერი ცხოვრების განმავლობაში არასოდეს

შეხვედრია ქვეყნად მოვლენილ ძე ღმერთს, ამგვარად მიმართავს თავდაპირველი ქრისტიანული ეკლესიის წევრებს: “ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია” (პირველი კორინთელთა, 15:17).

მართლაც, ქრისტეს აღდგომის გარეშე, ქრისტიანობა წარმოდგება მხოლოდ ერთ-ერთ მორალურ მოძღვრებად, რომელსაც არაერთი პარალელი შეიძლება მოენახოს კაცობრიობის ხანგრძლივ ისტორიაში. ქრისტეს აღდგომის აღიარების გარეშე, ოცი საუკუნის წინანდელი გალილეველი მქადაგებელი ან ზნეობრივ რეფორმატორად წარმოჩინდება, ან მრავალრიცხოვან ებრაელ წინასწარმეტყველთა ერთ-ერთ მორიგ წარმომადგენლად, ანდა ამაღლებულ ფილოსოფოსად და შინაგანად სრულყოფილ პიროვნებად. მაგრამ მორწმუნე ქრისტიანთათვის იესო ქრისტე მაცხოვარი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთია, რომელმაც თავისი სიკვდილით კაცობრიობა ცოდვისაგან გაათავისუფლა, თავისი აღდგომით კი მას გზა გაუკვალა ახალი, ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ. იმავე პავლეს სიტყვებით, “როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ განახლებულ ცხოვრებაში“ (რომაელთა, 6:4).

სწავლება ქრისტეს აღდგომის შესახებ ყველაზე რადიკალურია ქრისტიანულ მოძღვრებაში; ხშირად იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც სუბიექტურად პატივისცემით არიან განმსჭვალული ქრისტეს პიროვნების თუ მისი მოძღვრების მიმართ და რომელთათვისაც თითქოს და თითქმის ყველაფერი მისაღებია სახარების ზნეობრივ მოძღვრებაში, უჭირთ ქრისტეს აღდგომის აღიარება. ვერც ებრაელებმა და ვერც წარმართებმა ირწმუნეს ქრისტეს აღდგომა. თუ იუდეველებმა თავი დაიჯერეს, რომ იესო ნაზარეველის მოწაფეებმა მოიპარეს თავიანთი ჯვარცმული მასწავლებლის ცხედარი და შემდგომ მათვე შექმნეს თქმულება მოძღვრის მკვდრეთით აღდგომის შესახებ, ბერძენ და რომაელ წარმართთათვის, რომელთაც თავადაც სწამდათ სულის უკვდავება, მოძღვრება სხეულის აღდგინების შესახებ სრულიად მიუღებელი იყო.

დღესაც, როცა ასეულობით მილიონობით ქრისტიანი მოწიწებითა და სიხარულით ისმენს, რომ “ქრისტე აღდგა!”,

მზადდება კონფერენციები, იწერება ნაშრომები, იმართება დისკუსიები, სადაც თეოლოგები და ფილოლოგები, ისტორიკოსები და არქეოლოგები, ლინგვისტები და ეთნოლოგები, რწმენისაგან განმდგარი თუ რწმენასთან მიახლოებული არაერთი ადამიანი ისევ ეძებს პასუხს ოცსაუკუნოვან შეკითხვებზე: რა ვიცით ჩვენ ისტორიული იესოს შესახებ? შესაძლოა თუ არა ისტორიული იესოს გამიჯვნა აღმდგარი ქრისტესაგან? რას გულისხმობენ ქრისტიანები, როცა აცხადებენ, რომ ქრისტე მკვდრეთით აღდგა და ორმოცი დღის შემდეგ ცად ამაღლდა? წარმოადგენს თუ არა აღდგომა ქრისტიანობის მთავარ საფუძველს? აუცილებელია თუ არა ქრისტიანისათვის, ირწმუნოს მაცხოვრის ხორციელი აღდგომა?

იმათაც კი, ვისაც სწამს ქრისტეს აღდგომა, ის მაინც სხვადასხვანაირად ესმის. მაგალითად, შარშანდელი სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ამერიკელთა ოთხმოცდაშვიდ პროცენტს სწამს, რომ ქრისტე აღდგა, მაგრამ როცა ერთმა კალიფორნიულმა ქრისტიანულმა ორგანიზაციამ უფრო კონკრეტული კითხვარი დაურიგა ამერიკელ ქრისტიანებს, აღმოჩნდა, გამოკითხულთა ოცდაათ პროცენტს უჭირს დაიჯეროს, რომ იესო ისევ მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდა მისი ჯვარცმის შემდეგ.

ახალი აღთქმის ტექსტებში, რომელთაგან თითქმის ყველა მოგვითხრობს მაცხოვრის აღდგომის შესახებ ან, ყოველი შემთხვევისას, ახსენებს მაინც ქრისტიანობის ისტორიის ამ გადამწყვეტ მოვლენას, აღდგომა რწმენის საგანია და თავად აღდგომას მიწიერ ადამიანთაგან არავინ შესწრებია. ამიტომ უძველესი ქრისტიანული ტრადიციით, ამ საიდუმლოს ასახვა შეუძლებელია და ამის გამო აღდგომის ხატიც, მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულების კვალობაზე, მხოლოდ ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლას წარმოაჩენდა.

მართალია, აღდგომას ნამდვილად არავინ შესწრებია, მაგრამ, როგორც სახარებიდან ჩანს, აღმდგარი ქრისტე მრავალ ადამიანს უნახავს. თავდაპირველად, როცა ჯვარცმულმა სული განუტევა, მის მოწაფეთა – მოციქულთა რწმენა შემაძრწუნებელი გამოცდის პირისპირ აღმოჩნდა. ისინი იმდენად შეძრულნი, გაოგნებულნი და თავზარდაცემულნი

იყვნენ, რომ ბევრ მათგანს გაუჭირდა კიდეც დაეჯერებინა, რომ სამი დღის გარდაცვლილი ქრისტე ნამდვილად აღდგა მკვდრეთით. სახარება სულაც არ გვიხატავს მისტიკური აღტყინებით შეპყრობილ საძმოს, პირიქით, აშკარად წარმოაჩენს მოციქულებს, – დამწუხრებულთ, გაოგნებულთ, დაბნეულთ. ამიტომაც მათ არც კი სჯერათ, როცა ქრისტეს საფლავიდან დაბრუნებული დედები მოძღვრის აღდგომის ამბავს მოიტანენ, "მაგრამ ეს სიტყვები ფუჭად ეჩვენათ და არ ერწმუნენ", – ნათქვამია ლუკას სახარებაში (24:11), ანდა, მარკოზის სახარების მიხედვით, "ხოლო მათ, როცა მოისმინეს, რომ ცოცხალია, [...] არ ირწმუნეს" (16:11).

იესო მოდის თავის მოციქულებთან, თავის თერთმეტ მოწაფესთან, რომელთაც უკვე ერთი – მოღალატე იუდა – გამოაკლდათ და უსაყვედურებს მათ ურწმუნოებას, რადგან მათ არ დაუჯერეს იმათ, ვინც იგი აღდგომილი ნახა: "მოგვიანებით ეჩვენა თერთმეტს, [...] და უსაყვედურა ურწმუნოება და გულქვაობა, რადგან არ ირწმუნეს მათი, რომლებმაც აღმდგარი იხილეს იგი" (მარკოზი, 16:14).

მაშინაც კი, როცა მოწაფეები ჭეშმარიტად მკვდრეთით აღმდგარი მოძღვრის პირისპირ აღმოჩნდებიან, ისინი ისევ ეჭვობენ, მერყეობენ; ფიქრობენ, რომ მოძღვრის მხოლოდ აჩრდილს ხედავენ; სიხარულის მიუხედავად, განუწყვეტლივ ყოყმანობენ და გაკვირვებას გამოთქვამენ. შეეჭვების ამგვარსავე გამოცდას გაივლის თომა, რომელსაც შემდგომმა თაობებმა "ურწმუნო თომა" შეარქვეს, და ზოგიერთი სხვა მოწაფეც, რომლებიც იესოსთან უკანასკნელი საუბრისას გალილეაში, მათეს სიტყვებით, ისევ მერყეობდნენ. დამოწმებული მონაკვეთები ცხადად მეტყველებს, რომ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არ ყოფილა მოციქულთა რწმენის ან ნდობის ნაყოფი, და არც მათი წარმოსახვა ან იმედი, – პირიქით, მათში აღდგომის რწმენა დაიბადა მხოლოდ მტანჯველი გაორებისა და უნდობლობის შემდეგ, წარმოიშვა მათ მიერ სინამდვილის უშუალო განცდის შედეგად.

აღმდგარი ქრისტე მოწაფეებს შორის ტრიალებს: ისინი ეხებიან მას, თომა ჭრილობასაც კი უსინჯავს თითებით, მოძღვარი და მოწაფეები ერთად სადილობენ. ამით იესო ადას-

ტურებს, რომ იგი ხილვა და აჩრდილი კი არაა, არამედ აღ-
მდგარი სხეულის პატრონია, – იგივეა, რომელიც ტანჯული
და ჯვარცმული იყო, რომელიც თავის სხეულზე ატარებს ამ
ტანჯვის ნაკვალევს.

ქრისტეს აღდგომა არ იყო იყო ოდენ გაცოცხლება, რო-
გორც მანამდე მკვდარი ქალიშვილის, ჭაბუკის ან ლაზარეს
აღდგინებისას მოხდა. იესოს სასწაულებრივი ძალმოსილე-
ბით, ისინი ჩვეულებრივ, მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდნენ,
ხოლო გარკვეული დროის შემდეგ მათ ისევ სიკვდილი
ელოდათ. ქრისტეს აღდგომა არსებითად განსხვავდება მათი
გაცოცხლებისაგან. აღდგომისას იესოს სხეული სიკვდილის
მდგომარეობიდან სხვა ცხოვრებაში გადავიდა, – დროისა
და სივრცის მიღმა, მარადისობასა და უკვდავებაში. ამიტომ
გაუჭირდათ მისი ცნობა მარიამ მაგდალელს თუ გზად მიმა-
ვალ მის ორ მოწაფეს.

არავინ იცის, როდის და როგორ აღდგა ქრისტე; არავინ
ყოფილა თავად აღდგომის უშუალო მოწმე ან შემსწრე; არ-
ცერთი მახარებელი არ აღწერს აღდგომას; ვერავინ იტყვის,
კერძოდ, როდის მოხდა აღდგომა...

მიუხედავად იმისა, რომ აღდგომა ისტორიული მოვ-
ლენაა, რომელიც დასტურდება ცარიელი საფლავითა თუ
მენელსაცხებლე დედათა და მოციქულთა ცალკეული შეხ-
ვედრებით აღმდგარ ქრისტესთან, მაინც ქრისტეს აღდგომა,
როგორც ისტორიის დაძლევა და გადალახვა, რჩება რწმე-
ნის მთავარ საგნად, და იმის პასუხად, თუ რატომ არ ეჩვენა
აღმდგარი იესო ქრისტე მთელ ქვეყანას, არამედ მხოლოდ
მოციქულებს, – მის მოწაფეებს, რომელთაც გზა გაუკვალეს
ეკლესიას როგორც ქრისტეს სახარების, სიკვდილისა და აღ-
დგომის მოწმეს.

აპრილი, 2000

76

ჰერბერტ სპენსერი – სოციოლოგიის მესაძირკვლე

ამ ცოტა ხნის წინათ ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის, ავსტრიული წარმოშობის ბრიტანელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის, ვაჟმა გამომცემლობას დასაბეჭდად გადასცა პატარა ბარათებზე მოთავსებული მამისეული ჩანაწერები, რომელთაც იგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ინიშნავდა. გამომცემლობამ გადაწყვიტა, რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი ნობელის პრემიის ამ სახელგანთქმული ლაურეატის ჩანაწერები გამოაქვეყნოს იმგვარად, რომ ჰაიეკისეულ ტექსტებს დაურთოს გამოხმაურება-კომენტარები, რომელთა შედგენა სთხოვეს მსოფლიოში ცნობილ ათ სწავლულს.

მკვეთრად კონსერვატიული მიმართულების სახელგანთქმული ეკონომისტის მოსაზრებანი ადამიანის საქმიანობისა თუ ადამიანთა ერთობის შესახებ უთუოდ იმსახურებს საგანგებო მსჯელობას, მაგრამ ამჯერად ყურადღებას იპყრობს მხოლოდ ერთი შენიშვნა, სადაც ჰაიეკი გამოთქვამს თავის შეხედულებას, რომ "სოციოლოგია ინტელექტუალთა მეცნიერებაა, სოციალიზმი კი – ინტელექტუალთა პოლიტიკა".

ამ სიტყვების მოხმობა თუ გააზრება, შესაძლოა, ბიძგი გახდეს ხელახლა თვალის გადასავლებად ჰერბერტ სპენსერის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, რადგან სწორედ იგია აღიარებული სოციოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ერთ-ერთ მთავარ მესაძირკვლედ.

ჰერბერტ სპენსერი მეცხრამეტე საუკუნეში ფართოდ ცნობილი ფილოსოფოსი და სოციოლოგი იყო, – ევოლუციის თეორიისა და სოციალიზმის ადრეული მომხრე, მხარდამჭერი, დამცველი, – რომელმაც მიზნად დაისახა, თავის საკუთარ სისტემაში მოექცია და ამ თვალსაწიერიდან დაენახა

საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა მიერ დაგროვებული ცოდნა. მისი მთავარი ნაშრომი – ათტომიანი "სინთეზური ფილოსოფია" – შედგება გამოკვლევებისაგან ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის, მორალისა თუ სოციოლოგიის მიმართულებით.

სპენსერი, რომელიც 1820 წლის 27 აპრილს დაიბადა სკოლის მასწავლებლის ოჯახში, მშობლების აღზრდის შედეგად, სიყმაწვილიდან გულგრილად ან, უფრო სწორად, კრიტიკულად განეწყო ჯერ სასწავლებლისა და სასკოლო-საუნივერსიტეტო განათლების, ხოლო შემდეგ – რელიგიის მიმართ, რამაც საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ მან სრულებით უარყო ქრისტიანული სარწმუნოება.

კემბრიჯის უნივერსიტეტში გატარებულმა სტუდენტურმა წლებმა, რომლებიც ძირითადად თვითგანათლებას და, მათ შორის, ყველაზე მეტად, საბუნებისმეტყველო წიგნების კითხვას მოხმარდა, კიდევ უფრო მეტად დააშორა მომავალი ფილოსოფოსი ტრადიციულ ქრისტიანულ აზროვნებასა და ტრადიციულ ქრისტიანულ კულტურას.

მისი თვალსაზრისით, საზოგადოება და ბიოლოგიური ორგანიზმი სრულიად ერთნაირად, ერთიანი კანონების საფუძველზე მოქმედებს, – მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმის ნერვული სისტემა შეესაბამება მთავრობის დანიშნულებას, მონელების ორგანოები – მრეწველობას, ხოლო ვენები და არტერიები – კომუნიკაციის საშუალებებს: ფოსტას, ტრანსპორტს, რკინიგზას. დღეს, შესაძლოა, ამგვარი შეხედულებები ბევრს გულუბრყვილობად მოეჩვენოს, – მით უმეტეს, ტრადიციული თუ არატრადიციული, ძველი თუ უახლესი ფილოსოფიური სკოლების მიღწევათა გახსენების შემდეგ, – მაგრამ მეცხრამეტე საუკუნე, გავრცელებული აზრით, ემპირიზმისა და ბიოცენტრიზმის საუკუნე იყო და არავის უკვირდა, თუ დარვინიზმის ან სპენსერიზმის კვალობაზე, ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფის ცხოვრება ბიოლოგიური კანონების მიხედვით აიხსნებოდა, დაიგეგმებოდა და წარიმართებოდა.

სხვათა შორის, შემთხვევითი არაა, რომ იმ ხანად "ბუნებრივი გადარჩევის" კანონი თვით წესიერ და რიგიან პი-

როვნებებსაც (რამდენადმე მაინც წესრიგიანთ!) ისტორიის, ადამიანთა ერთობისა და კერძო ადამიანის წარმმართველ ძალად მიაჩნდათ. ეს მხოლოდ მეოცე საუკუნეში გახდა ცხადი, რომ "ბუნებრივი გადარჩევის" კანონის საფუძველზე აგებული სახელმწიფოებრივი სისტემა უცილობლად განაპირობებდა კოლიმისა თუ დახაუს საკონცენტრაციო ბანაკების წარმოშობას, გენოციდსა თუ მასობრივ ჟლეტას ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავად სპენსერი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან სამხედრო და მრეწველ საზოგადოებას, და თუ, მისი აზრით, პირველი დესპოტიზმისა და პრიმიტიულობის წყაროს წარმოადგენდა, მეორეს – მრეწველ საზოგადოებას – ინდივიდუალიზმი და ცივილიზაცია უნდა მოეტანა. ბრიტანელ სოციოლოგს ისიც უნდა დაუფასდეს, რომ იგი მკაფიოდ ხედავდა საზოგადოების არსებობის მიზანს: მას მიაჩნდა, რომ საზოგადოება არსებობს მისი თითოეული წევრის წარმატებისათვის, – და არა პირიქით; და კიდევ, რომ საზოგადოების წევრის დანიშნულება არავითარი შემთხვევისას არაა საზოგადოების წარმატება. თუმცა სპენსერის ეს შეხედულება ერთმნიშვნელოვან აღტაცებას ვერ გამოიწვევს, თუნდაც კომუნისტური, თუნდაც ნაციონალ-სოციალისტური გამოცდილების გათვალისწინებით, რადგან საზოგადო სიჯანსაღე იმითაც არის ხოლმე განპირობებული, თუ ვის და რამდენ ადამიანს რაოდენი მსხვერპლის გაღება ძალუძს, რამდენად ახერხებს საზოგადო ერთიანობის ცალკეული წევრი საკუთარი ინტერებიდან გასვლას და მათს გარღვევას.

ყურადსაღებია, რომ სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის თვალსაზრისით, პიროვნება მაღლა დგას საზოგადოებაზე, ხოლო მეცნიერება აღემატება რელიგიას. ევოლუციის მიმართულებად სპენსერს ჯერ მსოფლიო სოციალიზმის, შემდგომ კი ინდივიდუალიზმის გაბატონება მიაჩნდა.

კიდევ, სპენსერის შეხედულებით, მკვდრების მიმართ შიში წარმოშობს რელიგიური კონტროლის წესებს, ხოლო ცოცხალთა მიმართ შიში წარმოშობს პოლიტიკური კონტროლის წესებს.

იგი ეწინააღმდეგებოდა ღარიბ ფენებში განათლების შეტანას, ხოლო, ზოგადად, მეტად მავნე იდეად მიიჩნევდა განათლების დემოკრატიზაციას. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ წინსვლის საშუალება უნდა მიეცეს მხოლოდ ინტელექტუალურად თუ მორალურად მომწიფებულ და განვითარებულ ადამიანებს, ხოლო ინტელექტუალურად თუ მორალურად ჩამორჩენილი ადამიანების გადარჩენა და მათთვის რამენაირი ხელშეწყობა დამღუპველ შედეგებს მოიტანს.

რაც შეეხება ჰერბერტ სპენსერის პირად ცხოვრებას: ოცდაათი წლის ფილოსოფოსი და მკვლევარი, როცა იგი უკვე მრავალრიცხოვანი სტატიებისა და გამოკვლევების ავტორია, უმეგობრდება მერიენ ევანსს, რომელიც ბრიტანული ლიტერატურის ისტორიაში რომანისტ ჯორჯ ელიოტის სახელითაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი გვიანობამდე პატივს სცემდა ამ სახელგანთქმული მწერალი ქალის ინტელექტუალურ ჰორიზონტს, მეგობრებისა და ახლობლების მოლოდინი გაწბილდა: სპენსერი და ევანსი არასოდეს დაქორწინებულან, – მათი ერთად გატარებული დრო ძირითადად ხანგრძლივ ფილოსოფიურ კამათებს ეძღვნებოდა; ამგვარივე სიახლოვისა და ინტელექტუალური ურთიერთობის ჩარჩოებში დარჩა მისი ურთიერთობა ბეატრის პოტერთანაც, მოგვიანებით – ბეატრის უებთან, ცნობილ საჯარო რეფორმატორთან, რომელმაც 1920-იანი წლების მიწურულს გამოქვეყნებულ თავის ავტობიოგრაფიაში საგანგებო მონაკვეთი დაუთმო სპენსერთან შეხვედრებისა და საუბრების, მისი ბოლო ავადმყოფობისა და სიცოცხლის უკანასკნელი დღეების აღწერას.

ოთხმოცდასამი წლის ჰერბერტ სპენსერი, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში მრავალ ფიზიკურ თუ არაფიზიკურ ავადმყოფობას უძლებდა, ბრაიტონში, 1903 წლის 8 დეკემბერს გარდაიცვალა.

აპრილი, 2000

77

აპრილი, –
ოთხი ფილოსოფოსის სიკვდილი

ვისაც ამ დღეებში გადაუთვალიერებია რომელიმე ფილოსოფიური ლექსიკონი, ან მეოცე საუკუნის ფილოსოფოსთა ცნობარი, ან თუნდაც ფილოსოფოსთა მიმართ სიმპათიითა და ყურადღებით გამორჩეული კალენდარი (რაც მაინც ძნელად წარმოსადგენ მოვლენად შეიძლება შეფასდეს), შესაძლოა, თვალში მოხვედროდა, რომ აპრილის შუა რიცხვებში გარდაცვლილა ჩამთავრებული ასწლეულის რამდენიმე გამორჩეული მოაზროვნე:

ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ, 1945 წლის 13 აპრილს, ნიუ იორკში, ემიგრაციაში გარდაიცვალა ებრაული წარმოშობის გერმანელი პროფესორი, ერნსტ კასირერი, რომელსაც, ადრე ჰამბურგის უნივერსიტეტის რექტორს, შემდგომ, – გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტების მიერ ხელისუფლების აღების მომდევნოდ, – ოქსფორდის, გეტებორგისა და იელის უნივერსიტეტების პროფესორს, ჯერ პირველი სასწავლო წელი არ ჩაემთავრებინა თავის ახალ სამუშაო ადგილას – კოლუმბიის უნივერსიტეტში; ორმოცდახუთი წლის წინათ, 1955 წლის 10 აპრილს, აღდგომა დღეს, იმავე ნიუ იორკში, მიწიერ სიცოცხლეს გამოემშვიდობება ნებაყოფლობით განდევნილობაში მყოფი ფრანგი იეზუიტი, მღვდელი და პალეონტოლოგი პიერ ტეიარ დე შარდენი, რომელსაც მსოფლიო ფილოსოფიური დიდება მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, მისი მანამდე გამოუქვეყნებელი ნაწერების თანდათანობითი დაბეჭდვის შემდგომ ელის; ოცდახუთი წლის წინათ, 1975 წლის 16 აპრილს, მადრასში, ამ ქვეყანას, ანუ "ილუზიათა და ცდომილებათა სამყაროს" ტოვებს ინდოელი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი სარვეპალი რადჰაკრიშნანი,

– მოაზროვნე, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა ინდური სულიერი მემკვიდრეობის დასავლელი ადამიანისათვის მიტანასა და დაახლოებას; ოცი წლის წინათ კი, 1980 წლის 15 აპრილს, პარიზში, ხანგრძლივი, დამთრგუნველი ავადმყოფობის შემდეგ, სიკვდილი ელის სიბრმავითა და ტკივილებით გატანჯულ ჟან-პოლ სარტრს, – მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ ადამიანს, მწერალს, მოაზროვნეს, მეამბოხეს, ფრანგული ექსისტენციალიზმის აღიარებულ მეთაურს, ერთადერთ ადამიანს, რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი ნობელის პრემიაზე (თუ არ ჩავთვლით ბორის პასტერნაკს, რომლის უარი ამ პრემიაზე საბჭოთა დამსჯელ-დამთრგუნველი დაწესებულებების ძლიერი ზეწოლის შედეგი იყო).

რა თქმა უნდა, ეს მრგვალი თუ ნახევრად მრგვალი თარიღები, რომლებიც აპრილის შუა რიცხვებს ემთხვევა, რა თქმა უნდა, შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ, ხოლო მსჯელობა მათში რამე სიმბოლიკის თუ რამე ღრმად ჩადებული აზრის შესახებ ყოველგვარი სოლიდურობის ფარგლებს მიღმა გაიყვანს განმსჯელს, მაგრამ, ამავე დროს, ეს შემთხვევითი თანხვედრა იმის საშუალებას მაინც იძლევა, რომ მეოცე საუკუნის ფილოსოფიის კერძო თუ საერთო მიმართულებებზე, წამყვან ძალებსა თუ პიროვნებებზე, მიზნებსა თუ შედეგებზე ჩაფიქრების დრო და საბაბი გამოინახოს.

ასაკით ყველაზე უფროსი დასახელებულთა და მოხსენებულთა შორის – ერნსტ კასირერი ძველი გერმანული საუნივერსიტეტო ფილოსოფიური წრთობის კაცად წარმოდგება. სხვათა შორის, იგი აზროვნებისა და კულტურის ისტორიის კარგი მკვლევარიც იყო და, როგორც მოსალოდნელია, მოწიწებით ეპყრობოდა წინაპართა ღვაწლსა და ნაშრომს. მაგრამ თუ მისი კვლევის მეთოდი და მიზნები, – კანტისეული აზროვნების აღორძინების მცდელობა, – იმდროინდელ ევროპულ კონტექსტში თანადროულად და პერსპექტიულად ჩანდა, სრულიად ახლებურად და გაუკვალავად იქნა მიჩნეული მისი მცდელობა, ადამიანის სიმბოლიკურ ქმედებად ყოფილიყო მიჩნეული მითოლოგია, რელიგია, ენა, ხელოვნება. თავად ადამიანის წამყვან, არსებითს ფუნქციას კი კასი-

რერი სიმბოლოთა შექმნაში ხედავდა. დღეს ადამიანის საქმიანობის ამ სფეროთა შესწავლა ასეთი მიმართულებით თავის არა ერთ თუ ორ წარმატებას მოითვლის, – ისიც სათქმელია, რომ ერნსტ კასირერის ხსოვნითა და მოხსენიებით, – მაგრამ ის, რის ერთგულებასაც ამტკიცებდა და ადასტურებდა გერმანელი ფილოსოფოსი, ამჟამად, უკვე დასრულებული საუკუნის მიწურულს, ეგრეთ წოდებულ "პოსტმოდერნისტულ", ანუ ფასეულობათა ფარდობითობის არცთუ ბედნიერ ეპოქაში, ალბათ, ძველმოდურად და, შესაძლოა, სასაცილოდაც ჟღერს, – იგულისხმება კასირერისეული აშკარა და ერთმნიშვნელოვანი ერთგულება ადამიანების კულტურული და ეთიკური ღირებულებების და, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ევროპული კულტურის ფასეულობათა მიმართ.

საუკუნეობრივი, ტრადიციული სულიერი მემკვიდრეობის ერთგული მქადაგებელი, მაუწყებელი და გამავრცელებელი იყო სარვეპალი რადჰაკრიშნანიც, – სახელგანთქმული მოაზროვნე და სახელგანთქმული პოლიტიკოსი, დამოუკიდებელი ინდოეთის ისტორიაში ქვეყნის მეორე პრეზიდენტი. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული განათლების შეძენამ (ჯერ კიდევ ადრეული სიყმაწვილიდან) მის შეხედულებებს მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია, მისი, მორწმუნე ჰინდუისტის, მსოფლმხედველობის ამოსავალი და საყრდენი ყოველთვის იყო ინდური კლასიკური კულტურა და, უწინარესად, ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა, რომელიც, ინდოელი ფილოსოფოსის თვალსაზრისით, წარმოადგენდა ევროპული კლასიკური იდეალიზმის მონათესავე და თანაჟღერად აზროვნებითს ნაკადს. ნიშანდობლივია, რომ რადჰაკრიშნანს ეკუთვნის დასავლელ მკითხველთა შორის ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული, სანდო და საფუძვლიანი სახელმძღვანელო, ხოლო ძველი ინდური რელიგიური თუ ფილოსოფიური ტექსტების მისეული ინგლისური თარგმანები, ვრცელ განმარტებათა თანდართვით, დროსა და სივრცეში ასე შორს მყოფი ქვეყნის უმდიდრეს სულიერ სამყაროს წარმოუჩენს, უხსნის, უახლოებს ევროპულ კულტურაზე აღზრდილ და ევროპულ კულტურას შეთვისებულ მკითხველს.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პალეონტოლოგი, იეზუიტი მღვდელი პიერ ტეიარ დე შარდენი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერული ექსპედიციებისას და რომელსაც იეზუიტთა კონგრეგაციის ხელმძღვანელობამ ადრიდანვე აუკრძალა მისი ფილოსოფიური შეხედულებების ნაბეჭდი სახით გამომზეურება, დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის მიერ, ადამიანის სულიერი ცხოვრების შედეგად წარმოშობილი აზრები, სიყვარულისა და თანალმობის განცდა ახალ გეოლოგიურ თუ ბიოლოგიურ სამყაროს წარმოშობს, რომელსაც ტეიარი "ნოოსფეროს" უწოდებდა (ამ მხრივ, შესამჩნევია მისი თვალსაზრისის გადაძახილი რუსი გეოლოგ-გეოქიმიკოსის, ვლადიმირ ვერნადსკის, შეხედულებებთან იმავე "ნოოსფეროს" ირგვლივ). ფრანგი ფილოსოფოსისათვის ადამიანის ფიქრები წარმოადგენს ფიზიკურ ძალას, რომელიც დროთა განმავლობაში განახორციელებს სამყაროს ევოლუციურ გარდაქმნას, ხოლო დედამიწას მოამზადებს ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის, რომლის დროსაც, ტეიარის თვალსაზრისით, ქვეყნად ხელახლა მოსული იესო ქრისტე, როგორც მხსნელი, გამოიხსნის მთელ მატერიალურ სამყაროს. ტეიარ დე შარდენის მსოფლმხედველობა შინაგანად ოპტიმისტურია: იეზუიტ მოწესეს შეუძლებლად მიაჩნდა დედამიწის განადგურება ან სიცოცხლის გაქრობა დედამიწაზე, რადგან ჩვენს პლანეტას ჯერ თავისი მიზანი აქვს მისაღწევი და განსახორციელებელი.

მაგრამ შესაძლოა, მეოცე საუკუნის აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ტიპური წარმომადგენელი იყო სახელგანთქმული ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი, რომლის უღმრთო სამყაროში ყველაფერი შესაძლებელი და მისაღები იყო. მას აღაფრთოვანებდა დოსტოევსკის აზრი, რომ, თუკი ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი ნებადართულია. სარტრი ამბობდა, რომ სწორედ აქედან იწყება ყოველგვარი ექსისტენციალური ფილოსოფია, ანუ, მისი აზრით, თავისუფლების სივრცეები. მისწრაფებამ ამგვარი თავისუფლების მიმართ, უღმრთო თავი-

სუფლების წყურვილმა, სარტრი სტალინის, მაო ძედუნისა და ფიდელ კასტროს თაყვანისმცემელთა რიგებში ჩააყენა. ტრადიციული ზნეობრივი კრიტერიუმების უარყოფამ განაპირობა მისი სიბრმავე საბჭოთა გულაგის წინაშე; პროფესორის ჰალსტუხზე უარის თქმა გადაიზარდა აღფრთოვანებაში კულტურის გამანადგურებელი, მაოისტური "კულტურული რევოლუციის" მიმართ; აბსოლუტური, საზღვარდაუდები თავისუფლების აღიარებამ კი ის მსოფლმხედველობრივი ქაოსი წარმოშვა, რომელიც ასე თვალშისაცემი გახდა ერთ დროს ნიჭიერი მწერლისა და ფილოსოფოსის, ჟან-პოლ სარტრის, გვიანდელი ხანის მრავალრიცხოვან წიგნებში, სტატიებში, გამოსვლებში, ცხოვრების სტილსა თუ პოლიტიკურ არჩევანში. პარადოქსად აღიქმება თუნდაც ის, რომ მისი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი, გუსტავ ფლობერის ოთხტომიანი ბიოგრაფია, რომელიც, ავტორის ჩანაფიქრით, მშრომელი მასების რევოლუციის სახელმძღვანელოდ უნდა ქცეულიყო, არაფრად გამოადგება მეამბოხე პროლეტარს და, უბრალოდ, მხოლოდ იმგვარი ინტელექტუალისათვისაა გასაგები, რომელიც ევროპულ კულტურას ძირფესვიანად ეზიარა.

იმის დასანახად, რომ მეოცე საუკუნის ფილოსოფია ხშირად უსწორმასწორო, სწორი თუ არასწორი, ჭეშმარიტებას მიახლოებული თუ ჭეშმარიტებას დაშორებული აღმოჩნდა, საკმარისია თუნდაც იმ ოთხი ფილოსოფოსის ცხოვრებისა და ნააზრევისათვის თვალის გადავლება, რომლებიც აპრილის შუა რიცხვებში გარდაიცვალნენ.

აპრილი, 2000

78

ფლორენს ნაიტინგეილი – მოწყალების და

ბუნებრივია, ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი გმირები: ხშირად მითოსური, ხშირად გამოგონილი, ხშირად, – საბედნიეროდ, – ჭეშმარიტი და უეჭველი. მეცხრამეტე საუკუნესაც, რა თქმა უნდა, თავისი გმირები ჰყავდა და ათწლეულების განმავლობაში გმირთა აღიარებული პანთეონით იწონებდა თავს. თუკი, მეოცე საუკუნის მიწურულს, ვინმე გადაწყვეტს, თვალი გადაავლოს ამ პანთეონს, აშკარაა, რომ ის, ასწლიანი დაშორების გათვალისწინებით, ცოტა უჩვეულოდ და, როგორც მოსალოდნელია, ძველმოდურად ჩანს, – სხვა თუ არაფერი, იმ დროის გმირებს შორის, ბუნებრივია, სრულიად არ არიან წარმოდგენილი არც კინოვარსკვლავები, არც სპორტსმენები და არც პოპკულტურის კერპები. მაგრამ იმ დროს ადამიანის სხვა, სხვაგვარი ღირსებები და დამსახურებები ფასობდა, თუმცა ეს დაფასება, ალბათ, არცთუ ხშირად ყოფილა გულწრფელი. სწორედ არაგულწრფელობაში არაერთხელ დაუდიათ ბრალი ვიქტორიული ბრიტანეთისათვის, – უფრო ზუსტად, მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანული მაღალი წოდებისათვის, რომელიც აგერ, დღემდე სწორედ არაგულწრფელობის, სიყალბის, ფარისევლობის განსახიერებად არის ხოლმე მიჩნეული. ამგვარ შეფასებაში, როგორც ყოველთვის, სიმართლის მარცვლებიც მონახვაც შეიძლება და გადაჭარბებაც, მაგრამ ვიქტორიული ეპოქის სულისკვეთებისა და მისწრაფებათა გასაცნობად მაინც ზედმეტი არ იქნება თვალის გადავლება იმ დროის ერთი ყველაზე სახელგანთქმული და ყველაზე სათაყვანო გმირის, ფლორენს ნაიტინგეილის, ცხოვრებისათვის.

შემთხვევითი არაა, რომ სახელმძღვანელოების პერსონაჟად ქცეული ამ ადამიანის ბიოგრაფია ლეგენდას ჩამოჰ-

გავს; შემთხვევითი არც ისაა, რომ, როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში ლიტონ სტრეჩიმ თავის გახმაურებულ წიგნში – "დიადი ვიქტორიელები" – მეცხრამეტე საუკუნის ბრიტანული "ზეპური საზოგადოების" კრიტიკული მხილება და სარკასტული გაშარჟება გადაწყვიტა, ერთ-ერთი მათგანი, ვინც მწერალმა თავისი მძაფრი სატირის საგნად აქცია, სწორედ ფლორენს ნაიტინგეილი იყო, ან, უფრო სწორად, სტრეჩის კალამი უწინარესად გესლავდა ნაიტინგეილისა და მისი საქმიანობის მიმართ საყოველთაოდ მიღებულ, აღიარებულ, გაცვეთილ შეხედულებებს.

ლეგენდა და ლეგენდური გარემოცვა კი უკვე დაბადებიდან, თვით მისი სახელიდან იწყება: დიდებულ და შეძლებულ ინგლისელებს, რომლებიც წელიწადის მოზრდილ დროს საზღვარგარეთ ატარებდნენ, ფლორენციაში ყოფნისას, 1820 წლის 12 მაისს შეეძინათ მეორე ასული, რომელსაც ნათლობის სახელი – ფლორენსი – ამ წარმტაცი იტალიური ქალაქის პატივსაცემად და მოსაგონრად შეურჩიეს.

ქალიშვილების განათლებას, მათთვის კლასიკური კულტურის საფუძვლების მიწოდებას მათი წიგნიერი მამა აიღებს საკუთარ თავზე. ამიტომ ახალგაზრდა ფლორენსი არა მარტო ინგლისურ ენას ეუფლება სრულყოფილად (იმდენად, რომ შემდგომ არაერთი ცნობილი წიგნის ავტორი გახდება), არამედ სხვა ევროპულ ენებსაც: პირველ ყოვლისა, კლასიკურ ბერძნულსა და ლათინურს, ამასთანავე, ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს. იგი სიყმაწვილიდანვე განუწყვეტლივ კითხულობს წიგნებს ამ ენებზე, და თან, მამის ხელმძღვანელობით, ითვისებს ისტორიას, ფილოსოფიასა და მათემატიკას, სწავლობს მუსიკასა და ხატვას. იმდროინდელი (და შემდეგდროინდელი) შეძლებული ოჯახის აღზრდის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა მოგზაურობაც და ოჯახი ნელ-ნელა, შეჩერება-შეჩერებით მოინახულებს იტალიასა და საფრანგეთს, გერმანიასა და ავსტრიას, საბერძნეთსა და ეგვიპტეს.

მოკლედ, ჩვიდმეტი წლის ასული ყოველმხრივ შეესაბამებოდა იმგვარ საერთო მოთხოვნებს, რომლებიც მას უეჭველ საფუძველს უმზადებდა შესანიშნავი საქორწინო

მომავლისათვის. მას, – უფრო სწორად, მისი წარმოშობისა და აღზრდის ქალიშვილს, – წინ დაუბრკოლებლად ელოდა შეძლებული და ტრადიციული ოჯახის დედობა, პატივდებული მეუღლის ერთგულება, ყოველდღიური საჯარო მოვალეობების აღსრულება და ქვეყნის კულტურული ცხოვრების მიდევნება. მაგრამ უეცრად, დედისა და დის გასაოცრად და თავზარდასაცემად (იმ დროს მამამისი უკვე გარდაცვლილი იყო), ფლორენსი აცხადებს, რომ იგი, საერთოდ, არ აპირებს დაქორწინებას, რომ ზურგს აქცევს საჯარო ცხოვრებას, რომ მას ესმა ღმრთის ხმა, რომელმაც მოუწოდა ახალგაზრდა ქალს, საკუთარი თავი და საკუთარი ცხოვრება ღმრთის სამსახურისათვის მიეძღვნა. ხოლო ეს სამსახური გამოიხატებოდა მოწყალების საქმის ფართოდ გაშლაში, მოწყალების დათა დაწესებულების დაფუძნებაში, ავადმყოფების, – განსაკუთრებით, დაჭრილ-დაშავებული ჯარისკაცების, – მოვლა-პატრონობაში.

წინ ფლორენს ნაიტინგეილის ხანგრძლივი, დატვირთული ცხოვრება იყო, და ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი: საფუძვლის ჩაყრა მოწყალების დათა საქმიანობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ადრეული ასაკიდან იწყებს ფიქრს ავადმყოფთა მოვლისა და ავადმყოფის გვერდით მზრუნველი ადამიანის ყოფნის აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და საფრანგეთში თავად ეუფლება მედიცინის საწყისებს, თავდაპირველად, – დედისა და დის დაჟინებული წინააღმდეგობის გამო, – მისი მოწოდება, მისი სწრაფვა, მისი ჩანაფიქრი განუხორციელებელი რჩება.

ოცდათერთმეტ წლამდე ფლორენსს შინ ყოფნა მოუწევს, თუმცა იგი განუწყვეტლივ ცდილობს სამსახურის დაწყებას სამხედრო ჰოსპიტალში. რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, მას მხოლოდ 1853 წელს ეძლევა საშუალება, დაიკავოს სუპერინტენდენტის თანამდებობა ლონდონის ერთ მცირე კერძო კლინიკაში. მისი ცხოვრების მთავარი საქმე კი ერთი წლის შემდეგ იწყება, – 1854 წელს, როცა ინგლისსა და რუსეთს შორის ყირიმის ომი გაჩაღდება. ამ დროს ნაიტინგეილს ბრძოლის ველზე მოუხმობს სამხედრო მინისტრი სიდნი ჰერბერტი, მისი ახლო მეგობარი.

ოცდათვრამეტი ქალის თანხლებით, რომელთა შორის კათოლიკე მონაზვნები და ანგლიკანი მომვლელები იყვნენ, იგი ჯერ შორეული ოსმალეთისაკენ გაეშურება, ხოლო შემდგომ თვით ყირიმში ჩადის. მალე გაზეთებსა და სამხედრო ანგარიშებში მას "ყირიმის ანგელოზის" სახელით მოიხსენიებენ. მის კიდევ ერთ, შესაძლოა, უფრო ცნობილ ზედწოდებად კი იქცევა "ლამპიანი ქალბატონი", – იმის გამო, რომ იგი, თითქმის თვალმოუხუჭავად, მთელ ღამეებს, ლამპით ხელში, ავადმყოფების გვერდით ატარებს. სხვათა შორის, თავად მის მიერ შემოღებული მკაცრი წესების მიხედვით, იგი ერთადერთი ქალი იყო, ვისაც საღამოს რვა საათის შემდეგ ჰოსპიტალში დარჩენის უფლება ჰქონდა (აკრძალვის მიზეზი გასაგები იყო, რადგან მოწყალების დებს შორის არაერთგზის გამომჟღავნდა ალკოჰოლიზმისა და უზნეობის შემთხვევები).

ყირიმის ომმა და იქ მოპოვებულმა გამოცდილებამ საშუალება მისცა ნაიტინგეილს, ხორცი შეესხა თავისი დიდი ხნის განზრახვისათვის, – გარდაექმნა სამხედრო მედიცინის მთელი სტრუქტურა და ჩამოეყალიბებინა მოწყალების დათა საქვეყნო ქსელი. ისიც უნდა ითქვას, რომ მის მფარველებს შორის, გავლენიან და მაღალ თანამდებობებზე მყოფ მოხელეთა გარდა, აღმოჩნდა თვით დედოფალი ვიქტორია, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა სახელგანთქმული "ვიქტორიელი" ქალბატონის თითქმის ყველა ჩანაფიქრს.

ბრიტანელები საგანგებო ზარ-ზეიმით ელოდნენ ფლორენს ნაიტინგეილის დაბრუნებას ბრძოლის ველიდან, მაგრამ ყირიმის ომის გმირმა სამშობლოში უჩუმრად ჩასვლა ამჯობინა. მოგვიანებით, იგი სათავეში უდგება თავისი სახელობის ფინანსურ ფონდს, აარსებს რამდენიმე ჰოსპიტალსა და მოწყალების დათა საგანგებო სკოლებს. მისი მიმდევრები ჩნდებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იმის მიუხედავად, რომ სიცოცხლის ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში იგი თავისი სახლიდან გარეთ არ გამოსულა და მხოლოდ სტატიებს, ნარკვევებს, წიგნებს წერდა, მისი საჯარო გავლენა დიდი ხნის განმავლობაში მაინც მყარად და შეუვალად რჩებოდა.

ღირსშესანიშნავია, რომ მისმა თავდაუზოგავმა საქმიანობამ მოიტანა შეუქცევადი საყოველთაო ცვლილება: ზრუნვა ავადმყოფი და უძლური ადამიანის განსაცდელის შესამსუბუქებლად ჩვეულებრივი აუცილებლობა გახდა.

ფიზიკურად და გონებრივად დაუძლურებული, სრულიად დაბრმავებული ნაიტინგეილი, ღირსების ორდენის პირველი კავალერი ქალი ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში, 1910 წლის 13 აგვისტოს ოთხმოცდაათი წლისა გარდაიცვალა.

მისი ანდერძის მიხედვით (სამეფო ოჯახის მცდელობის მიუხედავად), იგი სახელმწიფო პატივით არ დაუკრძალავთ. მან არც უესტმინსტერის საბატოში დამარხვა ისურვა. ჰემფშირში, საოჯახო აკლდამაში, მის საფლავის ქვაზე აღბეჭდილია მხოლოდ მისი ინიციალები, კიდევ, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები.

ფლორენს ნაიტინგეილი მეცხრამეტე საუკუნის გმირების წყებას განეკუთვნება. შემდგომმა ეპოქამ თავისი გმირები, – ვიქტორიული ეპოქისაგან სრულიად განსხვავებული გმირები, – და კიდევ უფრო მეტი ცრუგმირი მოიტანა.

მაისი, 2000

79

ოსვალდ შპენგლერი – დასავლეთის დაცემის მაუწყებელი

1912 წლის ერთ მშვენიერ დღეს, მიუნხენის რომელიღაც წიგნის მაღაზიის ვიტრინის წინ ამ ქალაქში ცოტა ხნის წინათ გადმობარგებული, ყოველგვარ აკადემიურ-ინტელექტუალურ წრეებს მიუკარებელი, ყოფილი ჰამბურგელი მასწავლებელი ოსვალდ შპენგლერი შეჩერდა. მის გულგრილ მზერას შემთხვევით მოხვდა საკმაოდ გაცვეთილი სათაური, რომლითაც სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ენაზე უთვალავი წიგნი გამოსულა. ამ ერთ მათგანსაც "ანტიკური სამყაროს დაცემა" ეწოდებოდა. შპენგლერის გონებაში უცებ გაიელვა მსგავსებამ რომის იმპერიის უკანასკნელ ხანასა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპის სულიერ მდგომარეობას შორის. დღესაც არაა ადვილი ითქვას, თუ რამდენად შესაბამისია შედარება, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, – უფრო ზუსტად, წყაროთა სამწლიანი შესწავლის, კონცეფციის ორთვიანი მოფიქრებისა და სულ მოკლე ხანში სულმოუთქმელი დაწერის შემდეგ იბადება მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ინტელექტუალური სენსაცია – ოსვალდ შპენგლერის "დასავლეთის დაცემა".

წიგნის პირველი ნაწილი 1914 წელს იყო დაწერილი, მაგრამ მის გამოსვლას ხელი შეუშალა მსოფლიო ომმა, რის გამოც ნაშრომის დაბეჭდვა მოხერხდა მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში, თუმცა დაგვიანებით გამოცემამ დიდი სარგებლობა მოუტანა ამ გახმაურებულ ისტორიულ-ფილოსოფიურ თხზულებას, რომელსაც თომას მანმა "ინტელექტუალური რომანი" უწოდა.

წიგნის გამოქვეყნებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ბრძოლის ველზე დამარცხებულ გერმანელებს შინ დაბრუნება ელოდა, ხოლო მათი აპოკალიფსური პესიმიზმი,

– რადგან გერმანიის დაცემა ვილჰელმის იმპერიის ქვეშევრდომთათვის სამყაროს დამხობის ტოლფასი იყო, – შესანიშნავად შეერწყა შპენგლერის მიერ დახატულ ევროპული კულტურის აღსასრულის სურათს.

ოსვალდ შპენგლერი 1880 წლის 29 მაისს დაიბადა და იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც გერმანიის ახლად შექმნილი "მეორე იმპერიის" პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევათა გარემოში ჩამოყალიბდა, რომლის აზროვნება ფრიდრიხ ნიცშეს განმაპირობებელი გავლენით აღიბეჭდა და რომელმაც საკუთარ მხრებზე აზიდა საუკუნეთა გარდატეხისა თუ მეოცე საუკუნის დასაწყისის გერმანული კულტურის სულიერ-ინტელექტუალური აღზევების ტვირთი.

ნიშანდობლივია, რომ, სამწერლო ოსტატობის გარდა, ფილოსოფოსის წიგნის ფურცლებზე ჩანდა მისი ღრმა, თუნდაც შეფარული მუსიკალურობა, რამდენადმე რიხარდ ვაგნერის გავლენაც, რადგან ნაშრომში შესამჩნევია თემები და ვარიაციები, ლაიტმოტივები, რომლებიც მსჭვალავს ავტორისეულ მსჯელობებს, და კიდევ, მელოდიის უსასრულობა, ანუ ის, რომ ძნელად აღიქმება, სად წყდება ან სად მთავრდება აზრის მდინარება.

შპენგლერის თვალსაზრისით, ყველა ცოცხალი არსება წარმოდგება ან მცენარეული, ან ცხოველური სახით. მცენარე ცხოვრობს დროში, ხოლო ცხოველი საკუთარ თავს მოიპოვებს, განავრცობს, გაშლის სივრცეში.

გამიჯვნა მცენარეულსა და ცხოველურს, მიკროკოსმოსსა და მაკროკოსმოსს, დროსა და სივრცეს შორის თავის მწვერვალს აღწევს ადამიანში. ადამიანი ფლობს სივრცეს იმგვარად, როგორც ვერცერთი ცხოველი, ხოლო დროის ფლობა კი მოიცავს მისი, ერთადერთი ცოცხალი არსების, გამორჩეულ ცოდნას საკუთარი სიკვდილის, საკუთარი მოკვდაობის შესახებ, ანუ მხოლოდ ადამიანმა იცის, რომ იგი დროიდან უნდა გადავიდეს სივრცეში, მან უნდა შეწყვიტოს დროითი არსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ შპენგლერი აღმოჩნდა პირველი, რომელმაც ერთმანეთისაგან ასე ხატოვნად და ასე ერთმნიშვნელოვნად გამიჯნა "კულტურა" და "ცი-

ვილიზაცია". თუ "კულტურა" მისთვის სულიერ ძიებათა და მიღწევათა შემოქმედებითი გამოვლინებაა, "ცივილიზაცია" გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ კომფორტს, რომელიც, ფაქტობრივად, კულტურულ ფასეულობათა პარაზიტობით არსებობს. თავად კულტურა, ოსვალდ შპენგლერის შეხედულებით, ბიოლოგიური კანონებით ცხოვრობს, – ის იბადება, იზრდება, ყვავის, ბერდება და კვდება. ამ კანონის მიხედვით, არაერთმა დიდმა კულტურამ უკვე შეწყვიტა თავისი ცხოვრება და მხოლოდ სუროგატის – ცივილიზაციის ფორმითღა განაგრძობს არსებობას. ამგვარ უსიცოცხლო, უმომავლო კულტურებს ფილოსოფოსი დასავლურ, ევროპულ კულტურასაც მიათვლიდა.

გაივლის წლები და სიკვდილის პირას, გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გაბატონების კვირაძალზე, ოსვალდ შპენგლერი გამოაქვეყნებს წიგნს – "გადამწყვეტი წლები: გერმანია მსოფლიო-ისტორიული განვითარების ჩარჩოებში", სადაც იგი სასაცილოდ აიგდებს ნაციონალისტურ მითებს "გერმანული რასის" აღმატებულობის შესახებ და გერმანელი ახალგაზრდობის "ტევტონურ ოცნებებს". შემთხვევითი არაა, რომ ოსვალდ შპენგლერის წიგნების გამოცემა, – მოაზროვნისა, რომელიც, საერთო აზრით, ნიადაგს უმზადებდა ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიას, – ჰიტლერულ გერმანიაში აკრძალული იყო.

ნერვული აშლილობით დაავადებული ოსვალდ შპენგლერი, – "დასავლეთის დაცემის" მაუწყებელი, – 1936 წლის 8 მაისს ბერლინში გარდაიცვალა.

მაისი, 2000

80

რუსეთის პატრიარქები მეოცე საუკუნეში

ტიქონი, პატრიარქი მთელი რუსეთისა, 1925 წლის 7 აპრილს გარდაიცვალა, – ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ, შინაპატიმრობაში, ჩეკისტებით გარშემორტყმულ დონის მონასტერში, თავისი მრევლისაგან მოწყვეტილი და მოშორებული.

სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, მან ეკლესიიდან განკვეთა დაუწესა რუსული ეკლესიის ყველა იმ წევრს, ვინც ბოლშევიკებთან ითანამშრომლებდა. ამის შემდეგ მას მხოლოდ მონასტრის იმ გალავანზე თუ მოჰკრავდნენ თვალს, სადაც ივი გვიან საღამოობით, ჩეკისტების თანხლებით, დასეირნობდა.

პატრიარქ ტიქონი, – ერისკაცობის სახელით, ვასილი ბელავინი, – პსკოველი სამრევლო მღვდლის ოჯახში დაიბადა 1865 წლის 31 იანვარს, მაგრამ, რიგიანი სასულიერო განათლების შეძენისა და მონაზვნად აღკვეცის შემდეგ, მას შესამჩნევი და სწრაფი წინსვლა ელოდა საეკლესიო იერარქიის საფეხურებზე.

ოცდათორმეტი წლისა იგი რუსული ეკლესიის ეპისკოპოსი ხდება ლუბლინში, პოლონეთში, ხოლო ერთი წლის შემდეგ, სინოდის გადაწყვეტილებით, გადადის ამერიკაში, სადაც ჯერ ალეუტის ეპისკოპოსია, შემდგომ კი, 1907 წლამდე, ნიუ ორკისა და ჩრდილოეთ ამერიკის მღვდელმთავარი. იმ ხანად ეპისკოპოსი ტიქონი წამოჭრიდა საკითხს, ჩამოყალიბებულიყო ამერიკის ავტოკეფალიური ეკლესია, რომელიც ბიზანტიური ტრადიციის ყველა იქაურ ქრისტიანს გააერთიანებდა, ეროვნებისა და წარმოშობის მიუხედავად (ეს მიზანი, სხვათა შორის, შეერთებულ შტატებში დღემდე არაა მიღწეული).

ვილნიუსისა და, შემდგომ, იაროსლავლის სამთავარეპისკოპოსო კათედრებზე ათწლეულის განმავლობაში მსახურების შემდეგ, 1917 წელს, ტიქონი მოსკოვის მიტროპოლიტი ხდება.

ამ დროს იწყება რუსეთის ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელსაც ეკლესია ორასწლოვანი სახელმწიფოებრივი

მფარველობისაგან უნდა გაეთავისუფლებინა. ამ სწრაფვის ერთ-ერთი გამოვლინება იყო აღდგენა პატრიარქობისა, – საეკლესიო მმართველობის ბიზანტიური ფორმისა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრე დიდმა გააუქმა. ბოლშევიკური გადატრიალებიდან თორმეტი დღის შემდეგ ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, მოსკოვისა და მთელი რუსეთის პატრიარქად არჩეული იქნა მიტროპოლიტი ტიქონი.

მაგრამ ცარისტული სახელმწიფოს მორჩილებისაგან თავდახსნილი ეკლესია პირისპირ აღმოჩნდა სისხლმოწყურებული კომუნისტური ხელისუფლების წინაშე, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ქრისტიანობის მთლიანად ამოძირკვა და ქრისტიანული ეკლესიის სრული და საბოლოო მოსპობა. ულიანოვ-ლენინისა და ძერჟინსკის, ტროცკისა და ზინოვიევის, ემელიან იაროსლავსკისა და გენრიხ იაგოდას სასტიკი და დაუნდობელი მითითებები ხორცს ისხამდა ქრისტიან სასულიერო თუ საერო პირთა ჟლეტასა და სისხლიან ორგიებში, ეკლესია-მონასტრების ჟინიან ნგრევასა და ქრისტიანული ხელოვნების უკანმოუხედავ გაჩანაგებაში.

პატრიარქი ტიქონი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ბოლშევიზმი დაგმო და ამხილა როგორც ანტიქრისტიანულ ძალთა აბოგინება და ამხედრება.

1989 წლის 9 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური დიქტატურის აგონიისას, მთელი რუსეთის პატრიარქი ტიქონი წმიდანად იქნა შერაცხილი.

* * *

პროვინციელი მღვდლის შვილი, ივან სტრაგოროდსკი, რომელიც 1867 წლის 11 იანვარს დაიბადა, სანკტპეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრებისა და მონაზვნად აღკვეცის შემდეგ, – უკვე როგორც ეპისკოპოსი სერგი, – ფინეთის რუსული ეკლესიის მეთაურად დაინიშნა.

ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ იგი შეუერთდა ჩეკისტების მიერ ფარულად მართულ თითქოსდა რეფორმისტულ "ცოცხალ ეკლესიას", თუმცა მოგვიანებით მან მოინანია თავისი საქციელი პატრიარქ ტიქონის წინაშე, რომლის გარდაცვალე-

ბის შემდეგ, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი პეტრე, უმალ დააპატიმრეს ჩეკისტებმა, ხოლო მისი მომდევნონი ერთმანეთის მიყოლებით გაისტუმრეს საკონცენტრაციო ბანაკებში, რის გამო ეკლესიის ფაქტობრივი მმართველი მიტროპოლიტი სერგი გახდა, – ტიტულით: საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის მოადგილე. იგი სათავეში ჩაუდგა გაფანტულ, დათრგუნულ, თითქმის განადგურებულ რუსულ ეკლესიას, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას უკანონოდ ჰყავდა გამოცხადებული.

1927 წელს, ხანმოკლე პატიმრობის შედეგად, მან გამოსცა საგანგებო განცხადება, სადაც საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულების აღთქმა დაუდო და ამგვარად მიმართა ქვეყნის ანტიქრისტიანულ ხელისუფლებას: "თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულია, ხოლო თქვენი მწუხარება – ჩვენი მწუხარება". მისმა ამ სიტყვებმა მორწმუნეთა სრული გაოგნება გამოიწვია, რადგან მათთვის სავსებით გაუგებარი ან მიუღებელი იყო, როგორ შეიძლებოდა საერთო სიხარული და მწუხარება ჰქონოდა მღვდელმთავარს იმ ხელისუფლებასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანობის მოშთობას და ეკლესიის განადგურებას. იმ დროიდან კომუნისტურ სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ამ გეზს "სერგიელობა" დაერქვა.

როცა 1936 წელს გულაგიდან ხმები მოვიდა, რომ თითქოს გარდაიცვალა მიტროპოლიტი პეტრე (რომელიც ნამდვილად 1937 წელს დახვრიტეს), სერგიმ თვითნებურად გამოაცხადა თავი პატრიარქის მოსაყდრედ და საკუთრივ მიინიჭა ტიტული: მოსკოვისა და კოლომნის უნეტარესი მიტროპოლიტი.

1930-იანი წლების დასასრულისათვის სერგი, კიდევ სამ მიტროპოლიტთან ერთად, იმ ცოცხალ მღვდელმთავრებს მიეკუთვნებოდა მთელ რუსეთში, რომლებიც დახვრეტას ან პატიმრობას გადაურჩნენ.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სტალინმა შეაჩერა ბოლშევიკური ანტირელიგიური, ანტიქრისტიანული ჩანაფიქრი ეკლესიის გასაუქმებლად, რადგან უმჯობესად მიიჩნია ეკლესიის გამოყენება და მისი ჩაყენება კომუნისტური სახელმწიფოსა თუ იდეოლოგიის სამსახურში. კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გადაწყვეტილებით, ეკლესია აღდგებო-

და, მაგრამ ის მთლიანად და უპირობოდ დაემორჩილებოდა საბჭოთა საიდუმლო სამსახურებს.

1943 წლის 5 სექტემბერს სტალინმა კრემლში მოუხმო მიტროპოლიტ სერგის და, მასთან ერთად, ცოცხლად თუ თავისუფლად დარჩენილ კიდევ ორ მიტროპოლიტს. ღამეული ხანგრძლივი საუბრისას ბელადმა მოსთხოვა მათ, ახლად ჩამოეყალიბებინათ სახელმწიფოს მიერ მართული ეკლესია, რომელსაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ანუ მოსკოვის საპატრიარქო დაერქვა, ხოლო ეკლესიის მეთაურს, სერგის წინადადებით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ("რუს"-ის) პატრიარქის წოდება მიენიჭა.

მანამდე, პატრიარქ ტიქონის გარდაცვალებიდან თვრამეტი წლის განმავლობაში, კომუნისტური ხელმძღვანელობა არ იძლეოდა ნებართვას ახალი, ანუ შემდგომი პატრიარქის ასარჩევად, მაგრამ რაკიღა მდგომარეობა შეიცვალა, კრემლის შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 8 სექტემბერს, პატრიარქად აირჩიეს სერგი. მომსწრენი იხსენებდნენ, რომ რუსული ეკლესიის მეთაურის ასარჩევად სასწრაფოდ თავმოყრილ კრებაზე პატიმარი ეპისკოპოსები თვითმფრინავებით ჩამოჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებიდან, – მათ გზაშივე აცმევდნენ სამღვდელმთავრო სამოსს და გულზე ჰკიდებდნენ ძვირფასს პანაგიებს.

სერგი, სტალინის მიერ შერჩეული და დანიშნული რუსი პატრიარქი, მალევე გარდაიცვალა, – 1944 წლის 15 მაისს.

* * *

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი (მას ამჟამად ალექსი პირველის სახელით მოიხსენიებენ), რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში – 1945 წლიდან 1970 წლამდე – სათავეში ედგა რუსულ ეკლესიას, ძველი რუსული არისტოკრატიული საგვარეულოს – თავად სიმანსკების ოჯახის – წარმომადგენელი იყო. სერგეი 1877 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა მოსკოვში. მოსკოვის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე იურისტის დიპლომის მოპოვების შემდეგ მასში რელიგიური გარდატეხა ხდება და 1902 წელს იგი მონაზონ

ალექსიდ აღიკვეცება. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში იგი საღმრთისმეტყველო განათლებას და ღმრთისმეტყველების დოქტორის ხარისხს მოიპოვებს, ხოლო 1913 წელს, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის თანდასწრებით, მას ტიხვინის ეპისკოპოსად აკურთხებენ.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1917 წლის მიწურულს, რუსეთში ღმრთისმებრძოლი, ქრისტესმოძულე ხელისუფლება მყარდება. ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთ მიზნად გამოცხადდება ეკლესიის მოსპობა: ლენინურ-ტროცკისეული გეგმით, რევოლუციის ათი წლისთავისათვის ქვეყანაში აღარ უნდა არსებობდეს არცერთი ტაძარი და აღარ უნდა ცხოვრობდეს არცერთი სასულიერო პირი. შესაბამისად, იწყება ეკლესიების ნგრევა-განადგურება და სამღვდელოების ხოცვა. ამ დროს ეპისკოპოსი ალექსი პეტროგრადის სამიტროპოლიტოს ქორეპისკოპოსია, – თავად მიტროპოლიტი ბოლშევიკებმა ძალაუფლების მოპოვებისთანავე დახვრიტეს.

1930-იანი წლების მიწურულისათვის რუსული ეკლესია, ფაქტობრივად, წყვეტს არსებობას. საკონცენტრაციო ბანაკებს გარეთ აღმოჩნდება ოთხად ოთხი მღვდელმთავარი, მათ შორის ალექსი, – ჯერ ნოვგოროდის, ხოლო შემდგომ – ლენინგრადის მიტროპოლიტი. მისი მრავალრიცხოვანი ნათესავები, ახლობლები, თანამსახურნი დახვრეტილი, გადასახლებული, დაპატიმრებული არიან.

მაგრამ ჯერ კიდევ 1927 წელს ალექსი უერთდება მიტროპოლიტ სერგის განცხადებას, რომ ეკლესია არავითარი შემთხვევისას არ გაუწევს წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლებას და რომ "საბჭოთა ხელისუფლების სიხარული თუ მწუხარება ეკლესიის სიხარული და მწუხარებაა".

ამ სახელგანთქმულ სიტყვებს იმჯერად ბელადის გამოხმაურება არ მოჰყოლია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შემდეგ სტალინი გადაწყვეტს ეკლესიის აღორძინებას, ანუ კომუნისტ-ჩეკისტების მიერ მართული საეკლესიო დაწესებულების შექმნას. მოსკოვის მიტროპოლიტი სერგი 1943 წელს პატრიარქი ხდება, არასრული წელიწადნახევრის შემდეგ კი, 1945 წლის 4 თებერვალს საპატრიარქო ტახტს ლენინგრადის მიტროპოლიტი ალექსი დაიკავებს.

1950-იანი წლების მიწურულამდე ხელახლა ღვივდება საეკლესიო ცხოვრება, იხსნება ეკლესიები, მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები, – თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველდღიური საქმიანობა მიმდინარეობს საბჭოთა სახელმწიფო სისტემის ფარგლებში, ხოლო სასულიერო პირთა ლამის ყოველი ნაბიჯი შეთანხმებულია უშიშროების დაწესებულებებთან.

1958 წელს კი ისევ იწყება ეკლესიის დევნა: ხორცს ისხამს მორიგი საბჭოთა ბელადის, ნიკიტა ხრუშჩოვის, შეშლილი იდეა, რამდენიმე წელიწადში უკანასკნელი მღვდელი ტელევიზიით აჩვენოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანს. ამ დროს მიხრწნილებაში მყოფი პატრიარქი ალექსი დუმს. როგორც მისი ახლობლები ამბობენ, იგი შინაგანად იტანჯება, როცა ხედავს, რომ თანდათანობით სულს ღაფავს საეკლესიო, სამონასტრო თუ სასემინარიო ცხოვრება, მაგრამ ეკლესიისა და საკუთარი სიმშვიდისათვის უმჯობესად მიიჩნევს, მთელი მსოფლიო დაარწმუნოს, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული.

შრომის წითელი დროშის ორდენის სამგზის კავალერს, პატრიარქ ალექსის, ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, არასოდეს უყვარდა და იგი სიცოცხლის ბოლომდე მაინც იმედით ელოდებოდა მათი ძალაუფლების დამხობას. ფრანგული რომანებისა და ძვირფასი შოკოლადების მოყვარულ არისტოკრატს, რომელიც ფრანგულ ენაზე აზროვნებდა და ფრანგულად უკეთ ლაპარაკობდა, ვიდრე რუსულად, რუსული ეკლესიის მესაჭეობა ისტორიის მეტად რთულ მოსაბრუნზე მოუხდა.

პატრიარქი ალექსი, ოთხმოცდათორმეტი წლისა, 1970 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა.

* * *

1990 წლის 3 მაისს გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი.

ზოგადად, ეკლესიის ისტორიაში მისი მეტად შეზღუდული, უფერული, უმნიშვნელო როლის გამო, ალბათ, არცაა აუცილებელი საგანგებო ყურადღების მიპყრობა მისი პიროვნების მიმართ, მაგრამ ის ეპოქა, რომელშიც პატრიარქ პიმენს მოუხ-

და მონაზვნის, მღვდლის, მღვდელმთავრის, პატრიარქის სამოსის ტარება, გამორჩეული და, შესაძლოა, სიმბოლურიც იყო არა მარტო რუსული ეკლესიის, არა მარტო ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობის, არამედ, საერთოდ, ქრისტიანობის ისტორიისათვისაც.

განვლილმა რამდენიმე ათწლეულმა ცხადად გამოამჟღავნა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, სამღვდელოებისა და მრევლის ერთიანობის, სარწმუნოების ერთგულებისა და ეკლესიის სტრუქტურის გადასარჩენად შესაძლო კომპრომისების არცთუ ადვილი, ხშირად ტრაგიკული, სრულიად განსხვავებული წახნაგები – ქრისტიანობის, ან, ზოგადად, რელიგიის მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური სისტემის პირობებში.

მაგრამ ეს საკითხები, თუ ვრცელი გამოკვლევებისა არა, ყოველი შემთხვევისას, ვრცელი განსჯის თემად მაინც წარმოდგება. ამდენად, ამ კუთხით, თავად პატრიარქ პიმენის პიროვნებასაც მეტყველი მნიშვნელობა ენიჭება.

სერგეი იზვეკოვი, რომელიც ცნობილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, პიმენის, სახელით, 1910 წლის 10 ივლისს დაიბადა მოსკოვთან ახლოს, ბოგოროდსკში.

1927 წელს, – იმ დროს, როცა სისხლიანი ბოლშევიკური რეჟიმი დაუნდობელი სისასტიკით მუსრს ავლებდა ქრისტიანულ ეკლესიასა და ქრისტიან სამღვდელოებას, – ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი იზვეკოვი მონაზვნად აღიკვეცება, ხუთი წლის შემდეგ კი, 1932 წელს, მას მღვდლად აკურთხებენ. პატრიარქ პიმენის არცერთ ოფიციალურ ბიოგრაფიაში არაფერია ნათქვამი, თუ რა მოხდა მის ცხოვრებაში ამ წლიდან მოყოლებული, ხანგრძლივი თოთხმეტი წლის განმავლობაში. თუმცა რუსულ ეკლესიაში ყველას მოეხსენებოდა ის, რაც არ უნდა ყოფილიყო სასაუბრო საგანი: რომ დაახლოებით ათი წელი მომავალმა პატრიარქმა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა, ხოლო შემდეგ იგი მეორე მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე იბრძოდა.

მხოლოდ 1946 წელს დაუბრუნდა იგი მონასტერს, – ჯერ პსკოვის მღვიმეთა მონასტრის წინამძღვარი ხდება, შემდგომ კი სათავეში ჩაუდგება სამების სერგის ლავრას, მოსკოვთან ახ-

ლოს. ეს ის დროა, როცა, სტალინის ნებით, ეკლესიის განადგურების ლენინური გეგმა შეწყდება და საპატრიარქო ეკლესიას (თუნდაც რუსეთში, თუნდაც საქართველოში) მეტ-ნაკლებად ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა, თუმცა, რა თქმა უნდა, საბჭოთა სახელმწიფოს ჩარჩოებში და უშიშროების დაწესებულებათა მკაცრი ზედამხედველობის პირობებში.

1957 წელს არქიმანდრიტი პიმენი ტოვებს მონასტერს და წარმოუდგენლად სწრაფად ადის საეკლესიო იერარქიის საფეხურებზე, რაც საბოლოოდ, 1971 წლის 3 ივნისს, მისი პატრიარქად აღსაყდრებით დასრულდება.

რუს მორწმუნეთა შორის მას პატიოსანი ადამიანის სახელი ჰქონდა და აუგს მის შესახებ თითქმის არავინ ამბობდა, თუმცა მისი საღმრთისმეტყველო ცოდნა და კულტურული გაქანება უკიდურესად შეზღუდული იყო.

ვისაც ერთხელ მაინც ახლოს მოუკრავს თვალი ცოცხალი პატრიარქის, პიმენისათვის, უთუოდ გულს მოუკლავდა მისი ნახვა, – მის გამოფიტულ, დაქანცულ, გრძნობათაგან სრულიად დაცლილ სახეზე მკაფიოდ იყო აღბეჭდილი კრემლის საავადმყოფოებითა და სანატორიუმებით, სამთავრობო ლიმუზინებითა და სამთავრობო მფარველობით მორწმუნე ადამიანთაგან სრულიად გამიჯნული, რუსული ეკლესიის უზენაესი მღვდელმთავრის დრამა.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, პატრიარქი პიმენი საბჭოთა კავშირის, – დაღუპვისაკენ გარდაუვალად მიმავალი სახელმწიფოს, – უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატად აირჩიეს.

* * *

პატრიარქი ალექსი მეორე, ერისკაცობაში ალეკსეი რიდიგერი, 1929 წლის 23 თებერვალს, რუსი ემიგრანტების ოჯახში, ტალინში, დაიბადა. ბავშვობა მან ჯერ კიდევ არასაბჭოთა, არაოკუპირებულ ესტონეთში გაატარა. როგორც თავად იხსენებს, მის სულიერ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა მამამ, რომელიც გერმანული წარმოშობის რუსი მღვდელი იყო და, ასევე, ახალი ვალაამის მონასტრის მონაზვნებმა, რომლებიც, ბოლშევიკური დევნისაგან თავდაღწეულნი და ფინეთს თავშე-

ფარებულნი, რუსეთის ფარგლებს გარეთ აგრძელებდნენ რუსულ სამონასტრო ტრადიციას.

რიდიგერის საეკლესიო კარიერა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა: ოცდაერთი წლისა, ლენინგრადის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, იგი უკვე მღვდელია, ოცდაცხრა წლისა – დეკანოზი, ოცდათორმეტი წლისა – ეპისკოპოსი, ოცდაცხრამეტი წლისა – მიტროპოლიტი (იგი ჯერ ტალინისა და ესტონეთის კათედრის მმართველია, ხოლო შემდგომ, კიდევ, – ლენინგრადისა და ნოვგოროდის მღვდელმთავარიც).

გამოქვეყნებულია არაერთი საარქივო მასალა, რომელიც მეტყველებს, რომ მისი ასეთი წინსვლა განპირობებული იყო მჭიდრო კავშირებით საბჭოთა საიდუმლო სამსახურებთან და მათი დავალებების მოწადინებული აღსრულებით.

რუსული ეკლესიისათვის, მთელი რუსეთისათვის ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ, რთულ ათწლეულში ალექსი მეორე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მოვალეობას ასრულებს. ამ ტახტს იგი 1990 წლის 7 ივნისიდან ფლობს.

პატრიარქის შეხედულებათა ნათელსაყოფად უპრიანი იქნება რამდენიმე ფრაგმენტის გახსენება მისი იმ სიტყვიდან, რომელიც მან მოსკოვის სამღვდელოების წინაშე ცოტა ხნის წინათ წარმოთქვა:

“უსჯულოების საიდუმლოებანი, რომლებიც ჯერჯერობით ღმრთის ძალით ბრკოლდება, ამჟამად სულ უფრო აშკარა, შემტევი და საყოველთაო ხდება. დღეს ეს აღარაა ცოდვის შემთხვევითი გამოვლინება და არც ოდენ ბოროტ, მანკიერ, დამანგრეველ ქმედებათა ცალკეული ეპიზოდები, არამედ ესაა მსოფლიო ბოროტების სისტემის დაჩქარებული მშენებლობა. მიმდინარეობს ადამიანთა მიზანსწრაფული ორგანიზება სიცრუის, სიყალბის, მოტყუების, უხეში ძალის თაყვანისცემის სატანური პრინციპების საფუძველზე. ნორმალური ცხოვრების საწყისებად მკვიდრდება სიხარბე, ეგოიზმი, ამბიციები, გარყვნილება, ნარკომანია, სიამოვნებათა და გართობათა ტრფობა ნებისმიერ ფასად. ყველაზე საშიშია არა იმდენად მორალიდან, სამართლიანობიდან, ჭეშმარიტებიდან აშკარად განდგომის გამოვლინებები, რამდენადაც ბოროტების უფრო დახვეწილი, შეფარული ფორმები, რიოში, ყალბი ერზაცები, – ისეთები, რო-

გორებიცაა: ფსევდორელიგია, ფსევდომეცნიერება, ფსევდოკულტურა. ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობები არა მარტო უკანა ადგილას გადანაცვლდა, არა მარტო დავიწყებას ეძლევა, არამედ სისტემურად ხდება მათი პაროდირება, დაცინვა როგორც ატავიზმისა, როგორც რაღაც არასაჭიროსი და დრომოჭმულისა. მთელი ჩვენი ცხოვრება განმსჭვალულია ძალადობის, სისასტიკის, გამყიდველობის, გარყვნილების კულტით. გალანძღული და დამცირებულია მოვალეობის, ღირსების, სირცხვილის, სინდისის, თავშეკავების ცნებები. მოკლედ რომ ვთქვათ, მიმდინარეობს დაუნდობელი, გააფთრებული ბრძოლა ღმრთის მეუფებასა და ეშმაკის მეუფებას შორის", – მიიჩნევს რუსული ეკლესიის მეთაური.

ძნელი ითქვას, თუ რას ემსახურება პატრიარქის ამგვარი მოწოდება რუსული სახელმწიფოსა და რუსული ეკლესიისათვის ამუამინდელ გარდამტეხ ხანაში, და იმის თქმაც გაჭირდება, თუ რამდენად დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან დღევანდელ რუსეთში ეკლესია და მისი მეთაური, ანდა ამ უწყებას მხოლოდ რელიგიური სულისკვეთება ასაზრდოებს, თუ მის უკან რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნებიც კრთის...

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსული ეკლესიის არსებობის არაერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, როცა ეკლესია არ მდგარიყოს რუსული სახელმწიფოსა და მის იმპერიულ მისწრაფებათა სამსახურში.

მაისი, 2000

P.S. პატრიარქი ალექსი მეორე 2008 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა.

ოქტომბერი, 2022

81

ჯოვანი ჯენტილე – დახვრეტილი ფილოსოფოსი

წარმოვიდგინოთ ამგვარი სცენა: ორთა საუბრისას ერთი არცთუ ახალგაზრდა იტალიელი ინტელექტუალია (ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, ამასთანავე, არაკომუნისტი!), ხოლო მეორე უცხოელია, თუმცა იტალია მას სიყმაწვილიდან უყვარს და, შესაბამისად, არა მარტო იტალიურ კულტურას, არამედ ქვეყნის ისტორიასაც მეტ-ნაკლებად იცნობს. სიტყვამ მოიტანა და იტალიელი კოლეგა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს გადასწვდება, უცებ შეჩერდება და, რაკიღა თხრობისას "სამოქალაქო ომი" ახსენა, ფრთხილად იკითხავს, ხომ იცით, რომ ამ დროს იტალიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდაო.

ყურადღების დაძაბვა მართლაც აუცილებელია, რადგან თვით იმათთვისაც კი, ვისაც მეოცე საუკუნის ისტორიის დიდი, საშუალო თუ მცირე მიმოხილვები გადაუთვალიერებია, შესაძლოა, იტალიის სამოქალაქო ომი აქამდე ყურმოუკრავი ისტორიული ამბავი იყოს. ამის მიზეზი კი უბრალოა: ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომი ევროპაში (თუნდაც ნახევარზე მეტ ევროპაში) კომუნისტებმა მოიგეს. ძველი, გაცვეთილი ფრაზის მიხედვით კი, ისტორიას გამარჯვებულები წერენ. ხოლო კომუნისტური ისტორიოგრაფია სასტიკ, დაუნდობელ, უმოწყალო ბრძოლებს იტალიელ ფაშისტებსა და იტალიელ კომუნისტებს შორის, სადაც პირველებს ზურგს ადოლფ ჰიტლერი უმაგრებდა, ხოლო მეორეებს – იოსებ სტალინი, სამოქალაქო ომად არ მიიჩნევს. თუმცა სურათის წარმოსადგენად საკმარისია თვალის გადავლება თუნდაც ინდრო მონტანელის, ქვეყნის მემარჯვენე ინტელექტუალთა ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, დღეს ოთხმოცდათერთმეტი წლის ის-

ტორიკოსის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის, ოცდაორ-ტომიანი “იტალიის ისტორიის” იმ ტომისათვის, რომელსაც სავსებით მეტყველი სახელწოდება აქვს: “იტალია სამოქა-ლაქო ომისას”.

მაგრამ ამჯერად, წამიერად ღირს შეჩერება ამ ომის ერთ მსხვერპლთან, – კომუნისტური სისხლიანი ტერორის მო-რიგ მსხვერპლთან. კომუნისტი პარტიზანების მიერ საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილული ასაკოვანი მამაკაცის ნეშტში ამოიცნობა იტალიური ფილოსოფიის, იტალიური აზროვ-ნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ჯოვანი ჯენტილე, – მსოფლიოში სახელგანთქმული ჰეგელიანელი, გამომცემელი, სტუდენტების აღფრთოვანებით მოცული პროფესორი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ენციკლო-პედიის, “Enciclopedia Italiana”-ს, მთავარი რედაქტორი.

ჯოვანი ჯენტილე 1875 წლის 30 მაისს, კასტელვეტრა-ნოში, დაიბადა; იგი თანამემამულე კომუნისტებმა, ფაშის-ტებთან თანამშრომლობის ბრალდებით, 1944 წლის 15 აპ-რილს, ფლორენციაში, მოკლეს.

იტალიელი, ფრანგი თუ ესპანელი კომუნისტები დღემდე ხმამაღლა აცხადებენ, რომ ისინი “სხვანაირი”, საბჭოთა კო-ლეგათაგან განსხვავებული, კომუნისტები არიან, – მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეს განსხვავება ისაა, რომ, რაკი-ღა მათ ვერ შეძლეს ამ ქვეყნებში სრულად ჩაეგდოთ ხელთ სახელმწიფო ძალაუფლება, გულაგების სრულყოფილი სისტემის ხორცშესხმაც ვეღარ მოახერხეს. ოღონდ სადაც კი ხელი მიუწვდათ, ძალა და გარჯა არსად დაუშურებიათ, გულდაგულ გაენადგურებინათ პატიოსანნი თუ გონიერნი, უშიშარნი თუ უმწიკვლონი, გლეხები თუ ინტელექტუალე-ბი, სამღვდელოება თუ არისტოკრატია, – კომუნისტები ასე იქცეოდნენ ყველგან: იქნებოდა ეს ალიკანტეს სანაპიროზე, ფლორენციის გარეუბანში, ავლაბრის ციხეში თუ კოლიმის ტყეებში.

თუმცა ჯოვანი ჯენტილეს თავისი ძალადობრივი სიკვ-დილი, ალბათ, ისტორიულ გარდაუვალობად მიაჩნდა. იგი, როგორც უყოყმანო ჰეგელიანელი, უარყოფდა ინ-დივიდუალური აზროვნების არსებობას, უარყოფდა განს-

ხვავებას თეორიასა და პრაქტიკას, სუბიექტსა და ობიექტს, წარსულსა და აწმყოს შორის. მისი შეხედულებით, ყველა ეს კატეგორია ოდენ გონებრივი კონსტრუქციები იყო, რომელთაც არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილ, ჭეშმარიტ ცხოვრებასთან. იგი, ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ მისი სხეულებრივი სიკვდილის შემდეგ მისი აზროვნება, მისი ფიქრი და საქმე აბსოლუტური გონის ისტორიულ დინებას შეერწყმოდა.

მაისი, 2000

82

ამაღლება

ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოში, რომელიც ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაში "მრწამსის" სახელით მოიხსენიება და რომელსაც ყოველი მორწმუნე ქრისტიანი წარმოთქვამს, ნათქვამია, რომ გვწამს იესო ქრისტე, რომელიც "ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა".

პასექიდან ორმოცი დღის შემდეგ, – მას შემდეგ, რაც მკვდრეთით აღმდგარმა იესო ქრისტემ ეს ორმოცი დღე მიწიერთა შორის გაატარა, – იგი კიდევ ერთხელ შეხვდება თავის თერთმეტ მოწაფეს, თერთმეტ დარჩენილ მოციქულს, შეხვდება მიწიერ ქვეყნად მათი ერთად ყოფნისას უკანასკნელად, და ამ ქვეყნის ხილულად დატოვებამდე ასე მიმართავს მათ: "წადით მთელ მსოფლიოში და უქადაგეთ სახარება ყოველ დაბადებულს. ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება, ხოლო ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრი დაედება" (მარკოზი, 16:15-16).

ამ სიტყვების შემდეგ იესო ქრისტე ტოვებს ამ სოფელს, ტოვებს დროებით, დიდებით მეორედ მოსვლამდე, და მოწაფეების თვალწინ ზეცად ამაღლდება. მოციქული მარკოზი ამ მოვლენას ამგვარად გადმოგვცემს: "მათთან საუბრის შემდეგ უფალი იესო ამაღლდა ზეცად და დაჯდა ღმრთის მარჯვნივ" (მარკოზი, 16:19).

ამ დროიდან არც მოციქულებს და არც ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიას, რომლის წარმართვა მოციქულ პეტრეს მიენდო, იესო ხორციელად აღარ უნახავთ, მაგრამ იგი მაინც მუდმივად იმყოფება მათ შორის ღმრთის სულის – სული წმიდის – მიერ, რომელიც მან გამოუგზავნა თავის ერთგულებს.

თავისი ამაღლებით ქრისტემ ადამიანური ბუნება აიტანა ზეცად და გზა გაუხსნა ადამიანს როგორც სული წმიდის მისაღებად, ისე ღმრთაებრივი მყოფობის შესაძლებლობისაკენ.

იმ ორმოცი დღის განმავლობაში, როცა აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე მოწაფეთა და ერთგულთა შორის იმყოფებოდა, იგი მათთან ერთად ჭამდა და სვამდა, მოძღვრავდა და უქადაგებდა მათ საღმრთო სამეფოს შესახებ. ამ დროს მისი ღმრთაებრივი დიდება ჯერ კიდევ შეფარული იყო ჩვეულებრივი ადამიანური ნიშნებით, ჩვეულებრივი ადამიანური სათვარველით. მაგრამ მაცხოვრის მიწიერად ყოფნის უკანასკნელი წამები მთავრდება მისი კაცობრივი ბუნების საღმრთო მდგომარეობაში გადასვლით, აღსვლით, ამაღლებით, რის შემდეგაც იგი – ამ სოფლის განმსჯელი და მსაჯული – მამა ღმრთის მარჯვენით არის დაბრძანებული.

წმიდა იოანე დამასკელის სიტყვებით, "მარჯვენით მამისა ნიშნავს საღმრთო დიდებასა და პატივს, სადაც იგი, რომელიც უწინარეს ყოველთა საუკუნეთა არსებობდა როგორც ძე ღმრთისა და თანაარსი მამისა, ხორციელად დაბრძანდა მას შემდეგ, რაც ხორცი შეისხა და რაც მისი მიწიერი სხეული განდიდდა".

ზეცად ამაღლებული იესო მთელი სისრულით იზიარებს მამა ღმრთის ძალაუფლებას.

ამაღლების წინ მაცხოვარი ამბობს, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო სამართლიანობის, სიყვარულისა და მშვიდობის საღმრთო სამეუფოს დასამყარებლად. მისი სიტყვებით, ამჟამინდელი დრო ჯერ არის ურვის დრო, "რადგან დღეები ბოროტია" (ეფესელთა, 5:16). ეს არის უკანასკნელ ჟამთა ბრძოლების დასაწყისის ხანა, ეს არის გამოცდის, მოლოდინისა და სიფხიზლის დრო.

მაცხოვრის ზეცად ამაღლება ნიშნავს იესოს ადამიანური ბუნების საბოლოო ამაღლებას საღმრთო სივრცეში, სადაც იგი დღეს დაფარულია ამქვეყნიური მზერისაგან, მაგრამ საიდანაც იგი ისევ მოვა. იესო ქრისტე, ეკლესიის თავი და მეთაური, ამაღლდა ღმრთის სამეუფოში მიწიერ ადამიანებზე ადრე, რათა ადამიანებიც, როგორც მისი სხეულის ნაწილები, ცხოვრობდნენ იმ იმედით, იმ მოლოდინით, რომ ერთ დღეს ისინი სამუდამოდ მასთან იქნებიან.

ივნისი, 2000

83

სული წმიდის გარდამოსვლა

მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს სული წმიდის გარდამოსვლის დღეს. ქრისტიანული ეკლესიის ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღესასწაული, – სული წმიდის დღე, – მიწიერი ეკლესიის საქმიანობის დაწყების დღეცაა.

როცა იესო ქრისტეს ამაღლებიდან ათი დღის შემდეგ მაცხოვრის მოწაფეები ერთ იერუსალემურ სახლში შეიკრიბნენ, მათზე სული წმიდა გადმოვიდა ცეცხლის ენების სახით. იმ დღეს საფუძველი ეყრება ქრისტეს ეკლესიას, როგორც ქრისტეს მისტიკურ სხეულს და სული წმიდის ტაძარს; იმ დღეს წმიდა პეტრე – მაცხოვრის მიერ ეკლესიის მეთაურად დადგენილი მოციქული – მიმართავს ხალხს ეკლესიის პირით და ეკლესიის სახელით: "ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება" (საქმე მოციქულთა, 2:21); იმ დღეს მოციქულები სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ და იმ დღიდან იწყება მოციქულთა ქადაგება სხვადასხვა ერებს შორის, ქვეყნის შორეულ თუ ახლობელ კუთხეებში. ეს დღესასწაული – სული წმიდის გარდამოსვლის დღე – ბაბილონის გოდლის ამბავს ირეკლავს, – ამბავს, რომელიც სადღაც, სამყაროს ისტორიის დასაწყისში მოხდა. მაშინ ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი განსხვავებულ ენებზე ალაპარაკდა, და ადამიანები სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა ერებად დაიფანტნენ. თუ ბაბილონის გოდოლი ქვეყნიდან ღმერთთან ასასვლელად აგებული მიწიერი შენობა იყო, სული წმიდის გარდამოსვლა ზეციდან ადამიანისაკენ გადმოვლენილი მადლია, რომელიც სხვადასხვა ერის ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, სრულიად ახალ ერთობას – ქრისტიანულ ეკლესიას აფუძნებს. ამიერიდან რჩეული ერის ადგილს იკავებს ქრისტეს მორწმუნე ადამიანთა ერთობა, – ერთი, წმიდა და კათოლიკე ეკლესია.

სული წმიდის გარდამოსვლის დღეს ქრისტეს აღდგომის დღესასწაული აღსრულდება, დასრულდება. ამ დღეს საბოლოოდ და სრულად გაცხადდება ყოვლადწმიდა სამება: ამ დღიდან მეუფება ღმრთისა, გამოცხადებული იესო ქრისტეს მიერ, გაიხსნება მათთვის, ვისაც სწამს ის, და ისინი სამების დიდებასთან ხდებიან ზიარებულნი. სწორედ ეკლესიის წიაღში, მოციქულებრივი რწმენის ცოცხალ ერთობაში ხორციელდება სამების შეცნობა, – საღმრთო ლიტურგიისას, რომლის განმავლობაში წმიდა სულს, ღმრთისმსახურების სიტყვათა და სიმბოლოთა დახმარებით, მამა ღმრთის შვილები ქრისტესთან მიჰყავს. სული წმიდა თავისი მოსვლით, რომელსაც არ აქვს დასასრული, სამყაროს მიუძღვის "უკანასკნელ ჟამამდე", ეკლესიის ჟამისაკენ, რომელიც უკვე მოპოვებულია, მაგრამ რომელიც ჯერ არაა დასრულებული.

ეკლესიაში რჩება სამუდამოდ იესო ქრისტე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხორციელად ამაღლდა და მამის გვერდით იმყოფება, – რჩება ევქარისტიული ჰურის სახით, რომლის მიღების შესაძლებლობა, ანუ ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ზიარების უფლება მინიჭებული აქვს ყველას, ვინც ღმერთთან შერიგებულია აღსარების შედეგად.

მაგრამ ეკლესია ისევ ელოდება იესო ქრისტეს, რომელიც ისევ მოევლინება ქვეყნიერებას მეორედ მოსვლისას.

დაბოლოს, ერთი დანართი: იერუსალემის ჯვრის ქართველთა მონასტერში დაცულია მოსახსენებელი წიგნი, აღაპები, – ყველა იმ ქრისტიანის მოხსენიების წიგნი, რომელსაც ოდესმე რამე შეწევნა აღმოუჩენია ამ მონასტრისათვის. სული წმიდის გარდამოსვლის მეორე დღეს, სული წმიდის დღეს, ჟამთა დასრულებამდე დაწესებულია ვინმე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოხსენიება. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს იდუმალებით მოცული პიროვნება, შესაძლოა, "ვეფხისტყაოსნის" ავტორი, შოთა რუსთველი, იყოს. თუკი ეს ასეა, სული წმიდის გარდამოსვლის დღე ქართველ ქრისტიანთათვის იმითაცაა ძვირფასი, რომ საუკუნეების წინათ, იერუსალემში, იმ ქალაქში, სადაც ეს მოვლინება განხორციელდა, სწორედ ამ დღესასწაულთან დაუკავშირებიათ შოთა რუსთველის მოხსენიების დღე.

ივნისი, 2000

84

ადოლფ ფონ ჰარნაკი – ქრისტიანული დოგმების ისტორიკოსი

1903 წელს პრუსიის სამეფო აკადემიის უწყებების ოცდამეცხრამეტე ტომში ამგვარი სიტყვები დაიბეჭდა: "უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს მიეკუთვნებიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ ამ ხალხის ენის, მწერლობისა და ისტორიის შესწავლას, – ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან და ახლოს გაგვაცნონ მისი საგანძური?".

დღემდე ძალადაუკარგავი ამ შეკითხვის ავტორია მეოცე საუკუნის თეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, გერმანელი პროფესორი ადოლფ ფონ ჰარნაკი, რომელიც სამოცდაათი წლის წინათ, 1930 წლის 10 ივნისს გარდაიცვალა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ზემორე სტრიქონების გამოქვეყნებამდე ორი წლით ადრე, 1901 წელს ჰარნაკმა იმავე პრუსიის აკადემიის უწყებებში, ივანე ჯავახიშვილთან ერთად, გამოსცა ქართული მწერლობის ერთი უძველესი ძეგლის, მეექვსე საუკუნის მოკლე ტექსტის – "ევსტათი მცხეთელის წამების" – გერმანული თარგმანი საკუთარი კომენტარებითა და გამოკვლევით.

ადოლფ ჰარნაკი დაიბადა 1851 წლის 7 მაისს, დერპტში, დღევანდელ ესტონეთში, თეოლოგიის გერმანელი პროფესორის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი მამის კვალს გაჰყვა და მალე თავადაც თეოლოგიის პროფესორად იწყებს მუშაობას ლაიფციგის, გისენის, მარბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ჰარნაკის ზედმეტად ლიბერალური შეხედულებების გამო მისი საქმიანობის შეზღუდვა სცადა ლუთერული ეკლესიის ხელმძღვანელობამ,

მაგრამ მალე მას გავლენიანი მფარველი აღმოუჩნდა – იმპერატორი ვილჰელმ მეორე, რომელმაც პროფესორს 1914 წელს მრავალწლიან აკადემიურ-პედაგოგიურ დამსახურებათა გამო თავადის ტიტული მიანიჭა.

ჰარნაკის ნაშრომთაგან ყველაზე მოზრდილი და ყველაზე ცნობილია მისი სამტომიანი "დოგმების ისტორია", რომელიც ათწლეულების განმავლობაში ლამის ერთადერთ წყაროდ რჩებოდა ყველა იმისათვის, ვისაც ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებაში გასარკვევად გზამკვლევი სჭირდებოდა, მათ შორის, არაერთი ქართველისათვის რევოლუციამდელ თუ რევოლუციისშემდგომ, საბჭოთა საქართველოშიც. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ადოლფ ჰარნაკი პროტესტანტი იყო, თან იმგვარი პროტესტანტი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ადრეულმა ეკლესიამ, ჯერ კიდევ მოციქულ პავლეს დროიდან, ბერძნული ფილოსოფიის გავლენითა და გამოყენებით, დაამახინჯა სახარების უწყება, იესოს სწავლება და რომ საეკლესიო დოგმებს ბევრი არაფერი აქვს საერთო იესოს უშუალო და ერთმნიშვნელოვან ქადაგებასთან. ამგვარი შეხედულების მიღება მორწმუნე ქრისტიანს ნამდვილად გაუჭირდება, – როგორც რომაული, ისე ბიზანტიური ტრადიციის მიმდევარს, – თუნდაც ამ თვალსაზრისის უკან თეოლოგიის ისეთი გოლიათი იდგეს, როგორიც ადოლფ ფონ ჰარნაკი იყო.

ივნისი, 2000

85

ერნსტ ბლოხი – ფილოსოფოსი კომუნისტური იმედით

ერნსტ ბლოხი მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ და საყურადღებო ფილოსოფოსადაა მიჩნეული, მაგრამ გასათვალისწინებელია ის კონტექსტი, ის საჯარო-პოლიტიკური გარემო, სადაც მას ეს ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. პირველ ყოვლისა, ეს მემარცხენე-კომუნისტური წრეებია, რადგან ერნსტ ბლოხი ნამდვილი მარქსისტი ფილოსოფოსი იყო, – თუმცა, შესაძლოა, ერთი მცირეთაგანი, რომელმაც მეოცე საუკუნის მარქსიზმის ჯურღმულებში მცირეოდენი აზრისა და სინათლის შეტანა სცადა. ბლოხის მოძღვრებას "იმედის ფილოსოფია" დაერქვა, რადგან მისი უმთავრესი, სამტომიანი ნაშრომი – "იმედის პრინციპი" – მატერიალისტურ სამყაროში ნელ-ნელა გაუჩინარებული ამ პრინციპის აღორძინებას, გაცოცხლებას, განახლებას ცდილობს, – თუნდაც ყოველგვარი სულიერი განზომილების, ვერტიკალური მიმართულების გათვალისწინების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ ოდნავ ორიგინალური, ოდნავ უჩვეულო ათვლის წერტილი, რა თქმა უნდა, მაინც მიუღებელი აღმოჩნდა აღმოსავლეთგერმანელ კოლეგა მარქსისტ-ლენინელებისათვის, რის შედეგად ბლოხს ოფიციალური კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. მაგრამ ეს უკვე მისი ცხოვრების ბოლო მონაკვეთია.

მანამდე, 1885 წლის 8 ივლისს, შეძლებულ ებრაულ ოჯახში დაბადებული ერნსტ ზიმონ ბლოხი სხვადასხვა გერმანულ უნივერსიტეტში სხვადასხვა დარგს სწავლობს: ფილოსოფიასა და ფიზიკას, ლიტერატურისმცოდნეობასა და მუსიკისმცოდნეობას. იგი ფილოსოფიის პროფესორად 1918 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტში იწყებს საქმიანობას და მაშინვე მგზნებარე კამპანიას გააჩაღებს გეორგ (დიორდ)

ლუკაჩის გასათავისუფლებლად ციხიდან, – უნგრეთში მოწყობილი კომუნისტური გადატრიალების მცდელობის ჩაშლის შემდეგ. სხვათა შორის, მანამდე, 1917 წლის მიწურულს, ორივე მარქსისტი ფილოსოფოსი მგზნებარედ მიესალმა ბოლშევიკურ გადატრიალებას რუსეთში ლენინისა და ტროცკის ხელმძღვანელობით.

1919 წელს ბლოხი გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრი ხდება.

გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტების მოსვლის უმალ ფილოსოფოსი შვეიცარიას შეაფარებს თავს, შემდგომ – ავსტრიას, საფრანგეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბოლოს – ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ნიშანდობლივია, ბლოხის იდეები იმდენად უკიდურესად კომუნისტურად მოეჩვენათ იმჟამად ამერიკაში მყოფ მაქს ჰორკჰაიმერსა და თეოდორ ადორნოს, თავად მარქსისტ ფილოსოფოსებს, რომ უარი თქვეს მის მიღებაზე მათ მიერ დაარსებულ სოციალურ კვლევათა ინსტიტუტში, რომელსაც თავისი საქმიანობა ფრანკფურტიდან ნიუ იორკში ჰქონდა გადატანილი.

შეერთებულ შტატებში ბლოხმა დიდ აკადემიურ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ სწორედ იქ შეუდგა თავისი უმთავრესი წიგნის წერას, ხოლო ომის დამთავრებისთანავე იგი ისევ ლაიფციგის უნივერსიტეტს მიაშურებს, აღმოსავლეთ გერმანიაში (სადაც იმ კათედრას დაიკავებს, რომელსაც მანამდე, ფრანკფურტში გადასახლებამდე, ხელმძღვანელობდა ჰანს-გეორგ გადამერი).

მაგრამ კომუნისტურ სახელმწიფოში სუნთქვა თვით მართლმორწმუნე მარქსისტებისათვისაც კი არ იყო მთლად ადვილი, – დიდი დრო არ დასჭირდა ეგრეთ წოდებულ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერნსტ ბლოხის გამოცემული წიგნების აკრძალვას, გამოუცემელი წიგნების ბეჭდვის შეჩერებას, მისი რედაქტორობით გამომავალი აკადემიური ფილოსოფიური ჟურნალის დახურვას. 1956 წლის უნგრეთის აჯანყებისათვის მხარდაჭერის შემდეგ მას პროფესორის წოდება ჩამოართვეს და ლექციების ჩატარება აუკრძალეს.

1961 წელს სახელგანთქმული მარქსისტი ფილოსოფოსი გადასახლდება “კაპიტალისტურ” დასავლეთ გერმანიაში, ანუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც გარდაცვალებამდე, 1977 წლის 4 აგვისტომდე, ტიუბინგენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე მშვიდად განაგრძობს კაპიტალისტური წყობილების დაუნდობელ კრიტიკას და კომუნისტური ბედნიერი მომავლის იმედის დამკვიდრებას, თუმცა ამ “ბედნიერი” კომუნიზმის წინმსწრები სოციალიზმი, რომელიც, წესითა და რიგით, ასევე, ბედნიერი უნდა ყოფილიყო, სულ ახლოს იყო, – აღმოსავლეთ საზღვარს გადაღმა, საიდანაც კომუნისტი ერნსტ ბლოხი უკანმოუხედავად გამოიქცა.

ივლისი, 2000

86

უდანაშაულოდ ბრალდებული

უდანაშაულოდ ბრალდებულის სულიერ-რელიგიური უპირატესობა ისაა, რომ მისი მდგომარეობა მშვიდია, რადგან იგი არ ეძებს საკუთარ განსაცდელთა მიზეზს მიწიერ, ქვეყნიურ, ამსოფლიურ განზომილებაში. მის ფიქრებში არ კრთის პირობითობები და ვარაუდები: "ასე რომ არ გამეკეთებინა...", "ასე რომ არ მეთქვა..", "მავანს რომ არ შევხვედროდი...", "იქ რომ არ აღმოვჩენილიყავი...", – მან ცხადად იცის, რომ არაფერიც არ მომხდარა, დანაშაული მას არ ჩაუდენია და არც არაფერი აქვს სანანებელი.

მაგრამ ამ დროს და ამის გამო იგი ტოვებს ნივთიერი, ფიზიკური სამყაროს მიზეზობრიობის ფარგლებს და თავს დამტყდარი განსაცდელის ახსნას ეძებს არამიწიერ, მეტაფიზიკურ მიზეზობრიობაში. ამ მიზნით იგი ხელს მიჰყოფს საკუთარი ცხოვრების საფუძვლიან, აზრიან განსჯასა და შეფასებას, – ყოველი შემთხვევისას, იმისა, რაც მეხსიერებაში ამოტივტივდება, ან რაც უკანასკნელ ხანს მის ყოფაში მომხდარა.

მან, როგორც რელიგიურმა ადამიანმა, იცის, რომ შეუძლებელია, სასჯელს არ ჰქონდეს მიზეზიც და მიზანიც, – შესაბამისად, იგი ცდილობს ჩასწვდეს ფათერაკის გამოძახილს ან მოხმობას (თუმცა ამგვარი მსჯელობა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა საქმე შეეხება რელიგიური ტიპის აზროვნებას, ხოლო, მაგალითად, ალბერ კამიუ, ამგვარ მიზეზობრიობას არანაირად არც დაუწყებდა ძებნას).

კიდევ ერთი, სულიერად ღირებული გარდატეხა: რას ნიშნავს "უდანაშაულოდ ბრალდებული"? რელიგიურმა ცნობიერებამ არ იცის, რას ნიშნავს უდანაშაულო, უბ-

რალო, უცოდველი, – საკმარისია ზერელე თვალის გადავლებაც კი საკუთარი ცხოვრებისათვის, რომ ადამიანი უმალ და უეჭველად აღმოაჩენს იმ დანაშაულობათა მონათესავე, მომიჯნავე, მეზობელ დანაშაულებს, რომელშიც მას ბრალი ედება, – თუნდაც ფიქრისა თუ განზრახვათა მიმართულებით.

სექტემბერი, 2000

87

სიმართლე და პოსტმოდერნიზმი

ზოგიერთ თანამედროვე მოაზროვნეს დაჯერებულად მიაჩნია, რომ სიმართლის, სიმართლისმთქმელის, პატიოსანი სიტყვის და ამ წყების ცნებათა გაქრობა გარემომცველი სივრციდან შედეგია მორალური ეროზიისა, – როგორც საჯარო, ისე პირადი განზომილებით. მათი თვალსაზრისით, ირგვლივ ისეთი გარემოა, რომელიც უბიძგებს ადამიანს, გულგრილი იყოს სიმართლის მიმართ, რადგან ეს მდგომარეობა, მარტივად, დღეს უფრო ხელსაყრელი და მომგებიანია.

არადა, რაც ბევრგან და გამოკვეთილად ხდება, ნამდვილად შედეგი და ნაყოფია იმ საზოგადო და გაბატონებული დამოკიდებულებისა, რაც უკვე კარგა ხანია "პოსტმოდერნისტულის" სახელით მოინათლა და გავრცელდა, – თუნდაც პირდაპირი და თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით, – დამოუკიდებლივ ამ სახელის ზუსტი გამოყენებისაგან.

შესაძლოა, ის სრულიად უკამათო აზრიც არ დავიჯეროთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა არასოდეს ყოფილა არც კეთილი, არც გონიერი, არც სამართლიანი, ხოლო ცალკეული ადამიანები, – საკუთარი არჩევანითა და გადაწყვეტილებით, – იმ წესის მიხედვით ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, როგორც მათ ზნეობრივი აღზრდა ან ზნეობრივი ცოდნა ავალდებულებდა, რის შედეგადაც ისინი თანამიმდევრულად იმ გზით მიემართებოდნენ, რომელსაც მათი შინაგანი განვითარების მუხტი უკვალავდა; მაგრამ, საბედნიეროდ, ის მაინც არ იქნება სადავო, რომ ადამიანები მეტისმეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რათა შესაძლებელი იყოს მათი ერთიანი, ეპოქისმიერი მორალური პორტრეტის დახატვა, რაც პიროვნულ ინდივიდუალობათა მიზანსწრაფული წაშლის გარეშე ვერც წარმოიდგინება.

თუმცა, რაკი ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს თავი პოსტმოდერნისტული ეპოქის შვილებად და მის წარმონაქმნად

მიაჩნია, და, ამავე დროს, ირგვლივ ლივლივებს ის თვალსაზრისი, რომ პოსტმოდერნისტულ გარემოში არ არსებობს ღირებულებათა არავითარი თვარდობითობა თუ იერარქია, რომ ყველაფერს ერთნაირი თვასი აქვს, რომ ტყუილი და მართალი არამყარი განსაზღვრებაა და, რაც მთავარია, არ არსებობს საზომი, რომელიც განსაზღვრავდეს, თუ რა არის ჭეშმარიტება, შეიძლება ითქვას, რომ დღეს მყარად გაბატონებულა თვალსაზრისი: რაკი არ არსებობს ჭეშმარიტება, რა თქმა უნდა, სრულებით გაუფასურებულია სიმართლეც. თუ ჭეშმარიტება თვარდობითია, სიმართლე როგორღა იქნება ტყუილზე უკეთესი, თუკი ამ ვითარებისას, – აქ და ახლა, – კერძო ადამიანისა თუ კერძო მდგომარეობისათვის ტყუილი უფრო საჭირო და სასარგებლოა!

პოსტმოდერნიზმი ამტკიცებს, რომ სიმართლე არ არსებობს განზოგადებულად და მას მთლიანად განაპირობებს დრო, გარემოება, დამოკიდებულება, ინტერესი. ამ წახნაგითაც, პოსტმოდერნიზმი, რომელსაც ხშირად პოსტმარქსიზმად მიიჩნევენ, ისევ მარქსიზმს ეფუძნება, რაკი, მარქსისტული ხედვით, სიმართლეა ის, რაც კლასობრივი საჭიროებითაა განპირობებული და რასაც სარგებლობა მოაქვს კონკრეტული კლასისათვის. მარქსისტების თვალსაზრისით, რაკი დღეს მუშათა კლასი, ანუ პროლეტარიატი წარმოადგენს კაცობრიობის ყველაზე პროგრესულ და განვითარებულ მეგზურს, რომელსაც ამ ეტაპზე, საერთოდ, წინ მიჰყავს განვითარება (განვითარება კი ყოველთვის კლასობრივ ბრძოლას უკავშირდება), სიმართლე ისაა, რაც მუშათა კლასისათვის არის ხელსაყრელი, – კერძოდ, თავის განუწყვეტელ ბრძოლაში ექსპლუატატორულ კლასთან, ანუ კაპიტალისტებთან.

ამავე დროს, მარქსიზმი, როგორც, ზოგადად, სოციალისტური სწავლება, იბრძვის იმისათვის, რათა სამყაროში დამყარდეს საყოველთაო თანასწორობა, ხოლო თანასწორი უნდა იყოს არა მხოლოდ ყველა ადამიანი, არამედ ყველა თვალსაზრისი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა აზრი თანაბრად ღირებულია, – შესაბამისად, ისიც, რომელიც ჭეშმარიტებას გამოხატავს ან ისიც, რომელიც მეტად შორია ჭეშმარიტებისაგან, ხოლო თა-

ვად საზოგადო ჭეშმარიტება, მარქსიზმის მიხედვით, საერთოდ, არც კი განისაზღვრება და არც კი დგინდება.

რაკი საჯარო სივრცეში ყველაზე მეტად პოლიტიკისა და მასობრივი კულტურის წარმომადგენლები ჩანან, მათი გამოხატული ქმედება ყველაზე მკაფიოდ აცხადებს დღევანდელ გავრცელებულ დამოკიდებულებას სიმართლის მიმართ. მაგალითად, დღევანდელი მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოს მეთაურს შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ იგი იტყუებოდა, არ ამბობდა სიმართლეს, როცა იგი ჩვენებას აძლევდა პირად ურთიერთობათა შესახებ, თუმცა ამის შემდეგ მაინც მშვიდად და უზრუნველად განაგრძობს საქმიანობას.

პოსტმოდერნიზმის გზით სიარულისას, არა მარტო ოფიცრული ღირსების კანონები რჩება მოუხელთებელ და დაუჯერებელ მოგონებად, არამედ სულ მალე "მატეო ფალკონეს" ან "სტუმარ-მასპინძლის" მკითხველები აღარც კი იცინებენ, – უბრალოდ, ისინი ვერც კი მიხვდებიან, თუ რა საკითხი დგას!

ამდენად, ცხადია, რომ ჭეშმარიტების ერთგულმა ადამიანმა, ანუ პიროვნებამ, რომელმაც იცის, რომ ჭეშმარიტება არსებობს, აღიარებს მას და მისი მიმდევარია, – შეუძლებელია, უღალატოს სიმართლეს, რადგან სხვადასხვა წვრილი თუ მსხვილი "სიმართლეები" ჭეშმარიტების ნაწილები, მისი გამოშუქებაა, ხოლო ერთი სიმართლის უარყოფაც ჭეშმარიტების ღალატია.

ამგვარი ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას სიმართლის წინაშე, რაც მას ვალდებულებას აკისრებს, არა მარტო დაადასტუროს სიმართლე, არამედ იბრძოლოს კიდევ მისთვის.

თუ ჭეშმარიტება არსებობს, ადამიანი ვერ იქნება, არ შეიძლება იყოს გულგრილი მის მიმართ, რადგან მას ემყარება მისი არსებობა. ამიტომაც იგი მზადაა, სიცოცხლეც გასწიროს მისთვის, რაკი ჭეშმარიტება უფრო დიდი და უფრო მეტია, ვიდრე ერთეული ადამიანის არსებობა; პოსტმოდერნისტულ გარემოში აღმოჩენილი, პოსტმოდერნისტულ შეხედულებათა მიმდევარი ადამიანი კი არათუ სიცოცხლეს, ერთ გროშსაც არ გაიმეტებს არარსებული, ფარდობითი ჭეშმარიტებებისათვის, რომელიც, გარემოებათა კვალობაზე, მუდამ იცვლება.

ოქტომბერი, 2000

88

მეოცე საუკუნის მოწამეები

ყველა ეპოქას და, ალბათ, ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი მოწამეები, – ქალები და კაცები, რომელთაც თავი დადეს, თავი გასწირეს ქრისტეს რწმენის გამო. მეოცე საუკუნე ამ მხრივ, – ქრისტიანთა დევნისა და წამების მასშტაბებით, – ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიაში მხოლოდ პირველი სამი საუკუნის სასტიკ და დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო დევნას თუ შეედრება. თუმცა ისტორიკოსები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი ქრისტიანობის აღიარებისათვის კომუნისტურ ქვეყნებში, თუნდაც ბოლშევიზმის გაბატონების პირველ წლებში, ლენინ-ტროცკის დაუნდობელი და სისხლიანი დიქტატურისას, ბევრად აჭარბებს ადრეულ ქრისტიან მოწამეთა რაოდენობას. ცნობილია ლენინისეული კაცთმოძულე მოწოდება, მიმართული ღმრთისმსახურთა გასანადგურებლად, რომ, რაც მეტი სამღვდელო პირი იქნება დახვრეტილი, მით უკეთესი იქნება რევოლუციისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, დასავლეთქრისტიანული სამყაროსაგან განსხვავებით, ლამის ყოველი საუკუნე მოითხოვდა თავის მსხვერპლს, – ქრისტიანობისათვის მოწამეებს, ქრისტიანობის აღმსარებლებს, – თვით ჩვენთანაც კი კომუნისტურ მიზანმიმართულ ტერორს ეკლესიისა და ქრისტიანთა წინააღმდეგ ძნელად თუ მოენახება ისტორიული შესადარი.

ექვსი წლის წინათ, 1994 წელს, კათოლიკე ეკლესიის მეთაური, იოანე პავლე მეორე, თავის ენციკლიკაში “Tertio millennio adveniente” წერდა, რომ “მეორე ათასწლეულის დასასრულ ეკლესია ისევ იქცა მოწამეთა ეკლესიად”, და იქვე იყო აღნიშნული, რომ მოწამეთა – ქრისტიანობის მოწმეთა – უდიდესი ნაწილი უცნობია, რის გამო სასურველად

იყო მიჩნეული, შეკრებილიყო მათ შესახებ ცნობები თუ საბუთები, რათა მათი სახელი და საქმე არ დავიწყებულიყო.

პირველები, ვინც პაპის ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ, გერმანელი კათოლიკეები აღმოჩნდნენ: ახლახან გამოიცა მკვლევართა მიერ მომზადებული საგანგებო კრებული, რომელიც აჭარბებს ათას ოთხას გვერდს და რომლის მომზადებამ ეკლესიის ისტორიის შემსწავლელთა ოთხწლიანი დაძაბული გარჯა მოითხოვა. ამ უზარმაზარ წიგნში წარმოჩენილია მეოცე საუკუნეში ქრისტიანობის ერთგულისათვის წამებული შვიდასი მოწამე, თუმცა აღსანიშნავია, რომ დანარჩენთა შესახებ, რომელთა თუნდაც სახელებია ცნობილი, შესაბამისი მასალის შეგროვება ჯერჯერობით არ მოხერხდა.

საგულისხმოა თუნდაც სტატისტიკური მონაცემები. კრებული მოიცავს მოწამეთა ოთხ ჯგუფს: პირველში შეყვანილია ნაციონალ-სოციალიზმის დროს ქრისტიანობის, ქრისტიანული ზნეობისა და ქრისტიანული პრინციპების დაცვისათვის დაღუპული 170 მღვდელი, 58 მოწესე, 4 მონაზონი, 2 აღთქმადადებული და 120 ერისკაცი; მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ის გერმანელი კათოლიკეები, რომლებიც რუსეთში ეწამნენ კომუნიზმის ბატონობისას: ბოლშევიკების მიერ დახოცილი 2 ეპისკოპოსი და 70 მღვდელი; მესამე ჯგუფი მოიცავს მოწამეებს, რომლებიც დაიღუპნენ სქესობრივი ძალადობით, საკუთარი თავის დაცვისას: 61 მონაზონი ქალი და მათ დასაცავად დამდგარი 14 ერისკაცი; წიგნის უკანასკნელი, მეოთხე მონაკვეთი აღნუსხავს სამისიონერო ქვეყნებში დახოცილთ: 116 გერმანელ კათოლიკე მღვდელსა და მოწესეს, 60 მონაზონს და 1 მისიონერ ექიმ ქალს.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, მიმდინარეობს მსგავსი სამუშაოები მეოცე საუკუნის მოწამეებთან დაკავშირებული მასალის მოსაძიებლად და დასასაბუთებლად.

როგორც ეკლესიის ისტორიკოსები ამბობენ, ზოგიერთი ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესია მთლიანად შეიძლება მიჩნეული იქნეს ეკლესია-მოწამედ, – მაგალითად, პოლონეთისა, ლიტვისა, რუსეთისა.

ქართულ ენაში შენარჩუნებულია ბერძნული სიტყვის – μάρτυς – “მარტვილის” (მოწამის), ორივე მნიშვნელობა, რაც ქრისტიანული მოწამეობის ღრმა შინაარსზე მეტყველებს: მარტვილები, მოწამეები საუკუნეთა განმავლობაში არა მარტო ეწამებოდნენ ქრისტიანობის ერთგულებისათვის, არამედ მოწამეობდნენ კიდეც, ევლინებოდნენ ქვეყნიერებას ქრისტიანული სარწმუნოების უეჭველი ჭეშმარიტების მოწმეებად და დამადასტურებლებად.

ნოემბერი, 2000

89

წყალობის მოულოდნელობა

წყალობა არა მარტო მოდის, მოულოდნელად და დაუმსახურებლად, არამედ ასევე მოულოდნელად მიდის და უჩინარდება.

თუკი ადამიანი განუწყვეტლივ რჩება მიწიერი ლოგიკის, მოვლენათა მკაფიო ურთიერთკავშირის საზღვრებში და მისი თვალსაწიერი ამ ფარგლებითაა შეზღუდული, იგი ვერასოდეს მოახერხებს, რომ დაინახოს, გაიგოს, დაიჯეროს ის მეტაფიზიკური კანონზომიერება, რომელიც ხილული და გარემომცველი სამყაროს მიღმა არსებობს.

მაგრამ ამ დაუნახაობას თან მოჰყვება ხოლმე აჯანყება ადამიანისათვის იმუამად და იქ მომხდარ მოვლენათა მიუწვდომელი განპირობებულობის წინააღმდეგ. თუკი რომელიმე ეს მოვლენა სასჯელად აღიქმება, იწყება ძიება მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაჩენად, მაგრამ საქმე ნამდვილად შეეხება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ წყალობამ ადამიანი, უბრალოდ, მიატოვა!

მიზეზი, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს: დაწყებული – თავისუფლებით ღმრთაებრივი ნებისა, რომელიც არასოდეს იზღუდება მიწიერი მიზეზობრიობით და ყოველთვის "იქ ქრის, სადაც მას მოესურვება"; დამთავრებული – იმის შეგნებით, რომ წყალობას ყოველთვის (მართლაც ყოველთვის!) აღმოაჩნდება საბაბი ადამიანის მისატოვებლად, რაკი ადამიანის ბუნება მუდმივ მიდრეკილია ცდომილებისაკენ, რის გამო ოდენ უზენაეს კეთილმოსურნეობაზეა დამოკიდებული წყალობის გაცემა და ამ მოულოდნელი ძღვენით მოულოდნელ დროს ადამიანის აღჭურვა.

კიდევ, ადამიანი უძლურია, სრული და ამომწურავი თანამიმდევრობით აღიქვას, რაც ხდება დროის ფართო განზომილებაში. მან არასოდეს იცის, დღეს გასროლილი

ტყვია ვის სხეულში შეაღწევს ოცი თუ ორმოცდაათი წლის შემდეგ. მოსალოდნელია, რომ ამ ოცმა თუ ორმოცდაათმა წელიწადმა, აღსავსემ მოძალადის ტკივილითა და ტანჯვით, დაასწროს ტყვიის მოხვედრას...

ხოლო ისევ მტკიცეა ცოდნაც და რწმენაც, რომ მხოლოდ ღმერთია დროთა მარადიული მფლობელი.

დეკემბერი, 2000

90

შობა

იესო ქრისტეს, ღმრთის ძის, ქვეყნად მოვლინება იმდენად გამორჩეული და განსაკუთრებული მოვლენა იყო ქვეყნიერების ისტორიაში, რომ მისთვის კაცობრიობის მომზადებას საუკუნეები დასჭირდა. ქრისტიანული თვალსაზრისით, ძველი აღთქმის წეს-ჩვეულებები და მსხვერპლშეწირვები, სახეები და სიმბოლოები, ფაქტობრივად, იყო შემზადება ქრისტეს მოვლინებისათვის; მესიის მოსვლას უქადაგებდნენ თაობებს ისრაელი წინასწარმეტყველები, რომელთა უწყება ბიბლიურ წიგნებშია შემონახული; ქვეყნის მომავალი მხსნელის წინათგრძნობა არაერთხელ გამომკრთალა წარმართთა გულებშიც.

ყოველი კალენდრული წლის მიწურულს, საშობაო მარხვისას, ეკლესია ხელახლა აცოცხლებს ამ მოლოდინს, ხელახლა უცდის ქრისტეს შობას. ქრისტიანი მორწმუნეები ამ დროის განმავლობაში, – რომელსაც, დასავლური ტრადიციით, ადვენტი, ანუ მოლოდინის ჟამი ეწოდება, – კიდევ ერთხელ გაიშინაგანებენ ქრისტეს პირველი მოსვლის ლოდინს, მაგრამ, ამავე დროს, თრთოლითა და ღელვით წარმოისახავენ მის მეორედ მოსვლას.

იოანე ნათლისმცემელი, ანუ იოანე წინამორბედი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა იესოს, გამოგზავნილი იყო, რათა მას განემზადებინა "გზანი უფლისანი". იგი აღმოჩნდა წინასწარმეტყველთა შორის უკანასკნელი, რომელიც ამთავრებს ძველ აღთქმას და პირველი, რომელიც იწყებს სახარებას. იგი მიესალმება ქრისტეს მოსვლას უკვე დედის საშოში და ნეტარებას პოვებს, რადგან სწორედ მას ხვდა პატივი, გამხდარიყო "მეგობარი სიძისა", რომლის შესახებაც შემდგომ იტყვის, რომ იგია "კრავი ღმრთისა, რომელმან აღიღო ცოდვანი სოფლისანი". იოანე ნათლისმცემელმა თავისი ქა-

დაგებით, იესოს ნათლისღებით, მოწამებრივი სიკვდილით დაადასტურა მესიის – კაცობრიობის მხსნელის მოსვლა.

ფეხმძიმე მარიამი და იოსები ქრისტეს შობის ღამეს ბეთლემში აღმოჩნდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ მოსახლეობის აღწერაში. კეისარმა ავგუსტუსმა რამდენჯერმე გადაწყვიტა იმპერიის მოსახლეობის დათვლა. აღწერის მთავარი მიზანი იყო, სახელმწიფო მოხელეებს წარმოდგენა ჰქონოდათ, რა რაოდენობის გადასახადების აკრეფა იქნებოდა შესაძლებელი. ლუკას სახარებაში ნათქვამია, რომ ეს იყო მოსახლეობის პირველი აღწერა, რადგან შემდგომ, ექვსი წლის შემდეგ, ამგვარი რამ კიდევ ერთხელ ჩატარდა. მაგრამ წყაროთა სხვადასხვაობამ ქრისტეს შობის დროინდელი აღწერის შესახებ (ის განსხვავებულადაა დათარიღებული რომაულ, ებრაულ და ქრისტიანულ ნაწერებში) განაპირობა მეექვსე საუკუნის ქრისტიანი სწავლულის, დიონისე მცირის, შეცდომა მაცხოვრის დაბადების წლის განსაზღვრისას. ახლანდელი ევროპული მოქმედი წელთაღრიცხვა სწორედ მის გამოთვლებს ემყარება და წლევანდელ წელსაც სწორედ ამიტომ ეწოდება 2000 წელი ქრისტეს შობიდან, თორემ, როგორც აღმოჩნდა, დიონისეს გამოთვლაში ექვსი-შვიდი წლის ცდომილებაა. ამიტომ, დღევანდელი ბიბლიოლოგები, ისტორიკოსები თუ თეოლოგები თითქმის ერთხმად მიიჩნევენ, რომ იესო დაიბადა ეგრეთ წოდებულ ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ექვსი ან შვიდი წლით ადრე.

მაგრამ რომელ დღეს დაიბადა იესო? ლიტურგიული კალენდარი ამ თარიღად 25 დეკემბერს მიიჩნევს. დასავლელი ქრისტიანები სწორედ ამ დღეს აღნიშნავენ შობას, ისევე როგორც ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა დიდი ნაწილი – ბერძნები, ბულგარელები, რუმინელები, თუმცა ზოგიერთი საეკლესიო საკრებულო ამ დღესასწაულს უკვე ახალი წლის დადგომის შემდეგ, 7 იანვარს, ეგებება – რუსებთან, უკრაინელებთან, სერბებთან ერთად. სწორედ ამ დღეს იზეიმება შობა ქართველების უმრავლესობისათვის, რადგან საერო კალენდრის ახალ სტილზე გადასვლის შემდეგ, – 1920-იანი წლებიდან, – ყველა საეკლესიო დღესასწაულმა ცამეტი დღით გადაიწია წინ.

სხვათა შორის, ქრისტიანობის პირველი სამი საუკუნის განმავლობაში შობა ცალკე არ აღინიშნებოდა და თავდა-პირველად მას ნათლისღებასთან ერთად, 6 იანვარს, მოიხ-სენიებდნენ, ხოლო რაც შეეხება 25 დეკემბერს, ქრისტეს შობის დღედ ის პირველად რომაელ ქრისტიანთა შორის დამ-კვიდრდა, მარადიულ ქალაქში, დაახლოებით 350 წლის ახლოს.

მაცხოვარი ღარიბულ ბაგაში, ღარიბ ოჯახში დაიბადა, ხოლო მისი დაბადების პირველი მოწმეები უბრალო მწყემ-სები იყვნენ. მაგრამ, ქრისტიანული თეოლოგიის მიხედ-ვით, სწორედ ამ სიღარიბეში ვლინდება ზეციური დიდება. ღმერთთან კავშირისას ყრმად, ბავშვად ყოფნა აუცილებე-ლი პირობაა, რათა მიწიერმა არსებამ ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს. ამისათვის ქრისტიანობა საჭიროდ მიიჩნევს ხელახლა შობას, – მხოლოდ ამგვარად შეიძლება იქცეს ადამიანი ღმრთის შვილად. შობა სწორედ ამ სასწაულებრივ ჩანაცვლებას ასახავს: სამყაროს შემოქმედი ადამიანად იქცა, ადამიანური ბუნების მონაწილე გახდა, ხოლო ადამიანებს ღმრთაებრივ საწყისთან შეერთების საშუალება მიეცათ.

როდესაც ახალდაბადებული ქრისტეს თაყვანის საცე-მად აღმოსავლელი მოგვები, ანუ ბრძენნი მოდიან, ისინი ღმრთის ხორცშესხმაში კაცობრიობის ხსნის საიმედო უწყე-ბას ხედავენ. მოგვები, ამავე დროს, გამოხატავენ იმ დიდ სი-ხარულს, რომელიც სხვადასხვა ერების ცხოვრებაში გაკრთა და აირეკლა იესოს შობის შედეგად. მათი მისვლა იერუსა-ლემში პატივის მისაგებად ებრაელთა მეფისათვის, იმასაც მეტყველებს, რომ ისინი ისრაელში, დავითის ვარსკვლავის მესიურ ნათელში ეძებენ იმას, ვინც ერების მეუფე, პატრონი, მფარველი უნდა გახდეს. მოგვების მოსვლა იმასაც ადას-ტურებს, რომ მრავალი ხალხი, – ებრაელთა გარდა, – პატ-რიარქთა ოჯახს უერთდება, რითაც ისინი ღმრთივრჩეული ერის პატივს, ღირსებასა და ადგილს მოიპოვებს.

მათეს სახარებაში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ეწვივნენ ახალდაბადებულ იესოს აღმოსავლელი მოგვე-ბი, არაფერია ნათქვამი არც მათი სახელების და არც მათი რაოდენობის შესახებ. რიცხვი სამი მხოლოდ მაშინ გამოჩ-

ნდება, როცა სახარებისეულ ტექსტში სიტყვა ჩამოვარდება საჩუქრებზე, – ესაა: ოქრო, გუნდრუკი და მური.

აღმოსავლელი მოგვების ვინაობის შესახებ ახალი აღთქმა ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ შუა საუკუნეების ქრისტიანს ყოველთვის სურდა, უფრო მეტი სცოდნოდა სახარების პერსონაჟთა ირგვლივ: გაეგო მათი ვინაობა თუ წარმოშობა; დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შეევსო და გაემრავალფეროვნებინა მოკლე სახარებისეული ეპიზოდები; გაერკვია, რა იყო მანამდე და რა იყო მერმე; გამოენახა ამ პერსონაჟებისათვის ნათესავები; მიენიჭებინა მათთვის ეროვნება, სახელი თუ ასაკი.

შუა საუკუნეების კულტურისათვის, ასევე, მეტად ჩვეული იყო ტექსტების გადაძახილი. ამიტომ, ეს ეპიზოდი ადრევე დაუკავშირდა სამოცდამეთორმეტე ფსალმუნის იმ სტრიქონებს, სადაც ნახსენებია მოსვლა მესიისა – მეფის ძისა, რომელსაც სამეფოთა და კუნძულთა ხელმწიფეები საჩუქრებს უძღვნიან.

დასავლელმა ქრისტიანებმა სტუმრებს სახელებიც მოუნახეს: კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი. ცნობილი იყო ისიც, თუ სად ინახებოდა მათი ნეშტი – იტალიური მილანის (ანუ, ძველი სახელწოდებით, მედიოლანის) საკათედრო ტაძარში. მალე მათ დასავლურქრისტიანულმა ტრადიციამ მეფობაც მიანიჭა. დროთა მსვლელობისას მათი საჩუქრებიც შუასაუკუნეობრივი სიმბოლიკის კვალობაზე აიხსნა: ოქრო მეფობას ნიშნავდა; გუნდრუკი – ღმრთაებრიობას; მური, ანუ ბალზამი – სიკვდილსა და აღდგომას.

მიუხედავად იმისა, რომ მოგვთა სამეულის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ტრადიციაში საკმაოდ განსხვავდება, ცხადია, რომ სამი მოგვი განასახიერებს სამ ქრისტიანობამდელ რელიგიას, სამ რასას, სამ კონტინენტს – ევროპას, აზიასა და აფრიკას, სამ ასაკს – ახალგაზრდობას, ზრდასრულობასა და სიბერეს (კასპარი ფრესკებზე თუ ნახატებზე ჭაბუკად გამოისახება, მელქიორი – შუახნის მამაკაცად, ბალთაზარი – მოხუცებულად).

გადმოცემა მოგვების შესახებ ამბობს, რომ იესო არაა ოდენ ებრაელთა მესია, – იგი ყველას მხსნელი და მაც-

ხოვარია. აშკარაა, რომ ამგვარი სახეობრივი და ხატოვანი გამოვლინებისას ყოველმხრივ მუღავნდება მთავარი თემა: სისავსე. ბეთლემურ ბაგასთან იესოსათვის პატივის მისაგებად მოსული მოგვები განასახიერებენ მთელ კაცობრიობას, ერებს, რელიგიებს.

მათეს სახარების მიხედვით, შობის უმალ, წმიდა ოჯახი ეგვიპტისაკენ გაემართა, რათა ახალშობილი იესო ჰეროდეს მიერ გაჩაღებული ყრმათა სისხლიანი დევნისაგან შორს გაეცილებინათ.

ქრისტეს მიყვანა იერუსალემში, – "წარდგინებად წინაშე უფლისა", – ყრმა იესოს წარმოაჩენს როგორც პირმშოს, პირველშობილ ძეს, რომელიც მამა ღმერთს ეკუთვნის. ხოლო ტაძარში დახვედრილი სვიმეონი და ანა მთელი ისრაელი ერის მოლოდინის ხორცშესხმაა, რომელიც თავისი მხსნელის შესახვედრად მოეშურება. სწორედ ისინი ხედავენ იესოში დიდი ხნის განმავლობაში ნანატრ მესიას, ისრაელის დიდებასა და წარმართთა ნათელს.

იესოს წინადაცვეთა დაბადების მერვე დღეს ნიშანია იმისა, რომ იგი აბრაამის მემკვიდრეთა შორის ჩაერთო, რომ იგი ეკუთვნოდა აღთქმის ერს, მაგრამ, ამავე დროს, იყო უკვე მთელი კაცობრიობის მხსნელი და იმედი.

თავისი მიწიერი ცხოვრების ოცდაათი წელი იესომ ადამიანთა უმთავრესი ნაწილის ყოველდღიური ცხოვრებით იცხოვრა: მას ჰქონდა გარეგნულად სრულიად უბრალო ყოფა, შრომობდა ხელით, მისდევდა ებრაულ წეს-ჩვეულებებს. მთელი ამ დროის შესახებ სახარებიდან მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი მშობლებთან ცხოვრობდა ნაზარეთში.

ბიბლიური თხრობა იესოს ბავშვობის ერთადერთ ეპიზოდს წარმოაჩენს, – იერუსალემის ტაძარში მოძღვართა შორის მოსაუბრე თორმეტი წლის ყმაწვილს. მხოლოდ აქ, ლუკას სახარებაში, ირღვევა წმიდა წერილის დუმილი მისი ცხოვრების ამ ფარული წლების ირგვლივ. მცირეწლოვანი იესო ამ შემთხვევისას წამიერად მდუმარების ფარდას ჩამოხსნის თავის წმიდათაწმიდა მისიას, რომელიც მის ღმრთაებრივ ძეობას ეფუძნება: "რატომ მეძებდით? ნუთუ არ იცით, რომ, რაც მამაჩემისაა, მასში მმართებს ყოფნა?"

(3:49). მარიამი და იოსები იმჯერად ვერ ჩაწვდნენ ამ სიტყვების აზრს, მაგრამ "დედამისმა გულში დაიუნჯა მთელი ეს ამბავი" (3:51).

ასე გრძელდებოდა იმ წლების განმავლობაში, სანამ იესოს "ემატებოდა სიბრძნე და ასაკი" (3:51), ხოლო მისი მაცხოვარება და ღმრთაებრიობა დაფარული იყო ჩვეულებრივი ცხოვრების მდუმარებაში, – გრძელდებოდა მანამ, სანამ იესომ მიიღო ნათლისღება იოანე ნათლისმცემლისაგან და საჯარო ქადაგებას შეუდგა.

ძველთაძველი ქრისტიანული ტრადიციით, მდინარე იორდანეს ნაპირას ქრისტეს გამოსვლას, მის განცხადებასა და მოღვაწეობის დაწყებას ოცდაათი წელი აშორებს იესოს შობიდან.

შობა კი ისევ ისე, როგორც საუკუნეების განმავლობაში, ზამთრის შუაგულში, მაგრამ უკვე ღამის დაძლევის შემდეგ აღინიშნება, – აღინიშნება როგორც რწმენის, იმედის, მოლოდინისა და სიხარულის დღესასწაული.

დეკემბერი, 2000

2001

91

ავთანდილის არჩევანი

იქ, სადაც ავთანდილი ცხოვრობდა, – საკუთარ გარემოში და საკუთარ სამკვიდროში, – მას ერთხელაც არც მიეცა სოფლის სიმუხთლესთან პირადი შეხვედრის, სოფლის სიმუხთლის პირადად გამოცდის საშუალება.

ამდენად, მისი ცხოვრება ნაკლული, არასრული აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ბიძგი გარედან, მის გარეშე შემოიჭრა (ყოველთვის ამგვარად ხდება!), ავთანდილი საკუთარ ცხოვრებას თავად ანიჭებს შინაარსსაც, მიმართულებასაც, მიზანსაც.

ავთანდილი შეგნებულად, ნებაყოფლობით ირჩევს სოფლისაგან განწირულთა ხვედრს, უერთებს საკუთარ ხვედრს მათს ხვედრს, რითაც მას საშუალება ენიჭება, სოფლის არსს პირისპირ, დაუბრკოლებლივ შეხედოს.

იგი მიხვდა, რომ სოფლის ნამდვილი რაობა უნებურად გამოცადეს ტარიელმა და ნესტანმა, რადგან მათ საკუთრივ იგრძნეს სოფლის სიმუხთლე და გაუტანლობა.

ავთანდილი შეგნებულად, ნებისეული არჩევანით დგება მათ გვერდით.

აპრილი, 2001

92

იდეალური ძველი საბერძნეთი?

საუკუნეები გადის, თაობები მიედინება, მაგრამ ძველი საბერძნეთი, – როგორც იდეალი, როგორც სანიმუშო და მისაბაძი გარემო, – არ სცილდება ევროპული კულტურის თვალსაწიერს.

იქნებ კლოდ ლორენისეული "სამოთხე", რომლის მონატრება ასე მსჭვალავს და ესოდენი სევდით აღავსებს დოსტოევსკის ვერსილოვს, მართლაც ძველ საბერძნეთში იყო მოპოვებული და მართლაც მის დაღუპვასთან ერთად დაიკარგა?

მაგრამ ხომ არ არის ამგვარი აღქმა კლასიცისტური თუ თვსევდოკლასიცისტური ხელოვნური იდეალიზაციის ნაყოფი, – გვიანდელი წარმოსახვის კვალობაზე, – რომელსაც არცთუ მკაფიო კავშირი აქვს სინამდვილესთან, იმ ძველ საბერძნეთთან, რომელიც სისხლითა და ხორცით ცხოვრობდა?

სხვა თუ არაფერი, ყოველგვარ ძველბერძნულ მგზნებარებათაგან გამომაფხიზლებელი საშუალებაა თუნდაც სოკრატეს შემთხვევა, რომელიც ყოველთვის უნდა ახსოვდეს და თვალწინ ჰქონდეს ყველას, ვისაც ათენური ცხოვრების შეფასება განუზრახავს.

კანონიერად, ხმათა უმრავლესობით, სასამართლოს განჩინებით, სოკრატე სიკვდილით დასაჯეს, – დასაჯეს იმის გამო, რადგან იგი არ სცემდა პატივს ღმერთებს და რყვნიდა ახალგაზრდებს. ხოლო მათი ღმერთები გამოგონილი და შეთხზული არსებები იყვნენ, ახალგაზრდობა კი, რომელიც თავად ისწრაფოდა მასწავლებლისაკენ, დამოუკიდებლად წყვეტდა, თუ რამდენად გაჰყოლოდა ხალისიან წამქეზებელს.

საშიშია შეცდომის საფრთხე, რადგან ცხადია, არავითარი "იდეალური საზოგადოება" არასოდეს და არსად არსებობ-

და, არც არსად არსებობს, უბრალოდ, ძველ საბერძნეთში, კერძოდ, ათენში, დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში, ლოგიკურად აუხსნელ თანხვედრათა წყალობით, ბევრი განსაკუთრებული ადამიანი ერთდროულად აღმოჩნდა, თუმცა ერთი ყველაზე უკეთესი – სოკრატე – მისმა თანამოქალაქეებმა სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მეორე, ასევე ერთი ყველაზე უკეთესი – პლატონი – ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრების გამკილავი და მოწინააღმდეგე იყო.

მაისი, 2001

93

ნგრევის აუცილებლობა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ბერლინში ჩასულ ხოსე ორტეგა ი გასეტს, ესპანელ ფილოსოფოსს, მიწასთან გასწორებული ქალაქის ნახვის შემდეგ უთქვამს: "ისტორიის ეკონომია ნანგრევებს მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, მტკივნეულია ნანგრევების მსხვერპლთათვის, მაგრამ ნგრევის გარეშე ვერ გათავისუფლდებოდა ადგილი ახლის ასაშენებლად. წარმოდგენაც კი შემზარავია, რომ ყველაფერი ის დარჩენილიყო, რაც კი აშენებულა".

მკაცრი, დაუნდობელი, შემაძრწუნებელი სიტყვებია, – ჩამაფიქრებელი და შემძვრელი!

ამგვარი შეხედულება უჩვეულო და უცხოა ქრისტიანული ევროპისათვის, თორემ შორეული, ჰინდუისტური "სამების" შივა ის ღმერთია, რომელიც მუდამ ანგრევს სამყაროს, რათა ბრაჰმამ ის მუდამ და ხელახლა შექმნას, ხოლო შემდგომ ვიშნუს მიენდოს გადასარჩენად და დასაცავად.

ერთი მხრივ, უკამათო სიმართლეა, რომ ნგრევა აუცილებელია, – ისტორიულად და პიროვნულად, კულტურულად და არქიტექტურულად; ცალკეული ადამიანი ვერ განვითარდება, თუ მან არ გაითავისუფლა გზა ნაბიჯის გადასადგმელად წინ; კულტურასაც მუდმივად სჭირდება დაგროვებულ დაბრკოლებათა დანგრევა, – მათ შორის, გარდაუვალი ფიზიკური ნგრევაც, – რათა ახლის აღმართვის, ახლის შენების ძალამ თუ სწრაფვამ არა მარტო თავისუფლად, ხელის შეუშლელად ამოისუნთქოს, არამედ იმისათვისაც, რათა ახალ ქმნილებათა ჩამოსაქნელად სამუშაო სივრცე სრულად მოსუფთავდეს.

მაგრამ, მეორე მხრივ, განა დასაჯერებელია, რომ "ისტორიის ეკონომია", რასაც განადგურებული ბერლინის შემთხვევისას ამერიკული თუ ბრიტანული ბომბდამშენები

ახორციელებდა, სელექციისა და კულტივაციის ჩანაფიქრს ისახავდა მიზნად?

ან იგივე ბერლინი, – ვიწროდ თუ ფართოდ, პირდაპირ თუ გადატანითად, – იმისათვის გაცამტვერდა, რათა ის სახელდახელო, უსახური ქალაქი აგებულიყო, რომელიც ნაქალაქარის ნანგრევთა ადგილას წამოიმართა?

ან კიდევ, ნგრევის აუცილებლობა ნუთუ ეხება ადამიანთა წყებასაც, რომელთა სამყოფ-სადგომის იავარყოფა აუცილებელი გამხდარა ადამიანთა სხვა წყებისათვის ახლის საშენებლად?

განა ორგეტას თანადროულ კოლეგათა, – პაველ ფლორენსკისა და ედით შტაინის, – განადგურება საკონცენტრაციო ბანაკებში საჭირო იყო რომელიღაც ფილოსოფიის დოქტორისათვის ადგილის გასათავისუფლებლად?

ანდა იქნებ ერთეული ცხოვრებაც "ისტორიის ეკონომიის" წესების საფუძველზე შენდება, ხოლო მის ასაგებად განუწყვეტლივ უნდა ინგრეოდეს (თუნდაც, სხვათა დაუხმარებლად, თავად ადამიანის მიერ) ის, რაც განვლილი ცხოვრების განმავლობაში შიგნით თუ გარეთ აშენებულა, – მომავალი სახლებისა და სასახლეების, სასტუმროთა და თავშესაფართა, ახალ სამსხვერპლოთა და ახალ ტაძართა აღსამართავად?

მაგრამ ისევ გარდაუვალად გაკრთება შეკითხვა, თუნდაც გულუბრყვილო: ნუთუ მართლა ღირდა სიყმაწვილისა და ყრმობის აგურ-აგურ დანგრევა, რათა შემდგომ, მას მოდევნებული უფერული, უსულგულო, უნაპერწკლო – ზრდასრული – ცხოვრება აგებულიყო?

* * *

ნიშანდობლივია, თამაშის ევროპელ ოსტატთა შეუთანხმებლობა: ხოსე ორტეგა ი გასეტს, შივასეული ნგრევის – ალბათ, უცაბედად, – მაღიარებელს, უპირისპირდება ჰერმან ჰესე, ჰინდუისტური მოძღვრების ცნობიერი მცოდნე და მოთაყვანე, როცა რომანში – "თამაში რიოში მარგალიტებით" – მომავლის სურათად წარმოიდგენს განმარტოებულ ქვეყანას, კასტალიას, სადაც არავითარი ახალი აღარ იქმ-

ნება და იმას იცავენ, ინახავენ, ინარჩუნებენ, რაც არ დანგრეულა და არ განადგურებულა.

ერთია იმის გააზრებაც და მიღებაც, რომ ნგრევა და განადგურება გარდაუვალია, ხოლო გარდაუვალობის პირისპირ დგომისას მისი მიმართულების ცხადი გაცნობიერებით მატულობს შინაგანი ძალა, მტკიცდება მხნეობა.

მაგრამ მეორეა, როცა მავანი ამჯობინებს, დადგეს კასტალიის დასაცავად, რადგან შენარჩუნებისა და შენახვის მონდომებას მასში დაუძლეევია ახლის შექმნის, ახლის აგების სწრაფვა.

თუმცა ვინძლო ამგვარ სულისკვეთებას განაპირობებს სწორედ ევროპის გამორჩეულობა, რაკიღა მის ისტორიასა და კულტურაში თითქმის აღარ დარჩენილა ადგილი ასაშენებლად, რამაც, სავარაუდოდ, ბიძგი მისცა კასტალიის იდეას, – შექმნის შეჩერების დეკადენტურ იდეალს, რომელსაც მალულად შეჰნატრის ბოლო დროის ევროპა.

ამდენად, იმავე მავანის ძრწოლა, წარმოშობილი შესაძლო სიახლეთა, ცვლილებათა წინაშე დგომისას, გამოხატავს არა იმდენად დაფრთხობას, რამდენადაც არსობრივ სიმტკიცეს, შენახვისა და დაცვის მკაფიო მიზანს, – შენარჩუნებას იმისა, რაც მყარი და სანდოა, რაც საუკუნოვანი მონაპოვარია, რაც იმთავითვე გამორიცხავს რამე ნდობას რევოლუციათა თუ ძალადობრივ განახლებათა მიმართ.

თუმცა მაინც არ შეჩერდება მგზნებარე სულისკვეთება (ვინ და როგორ დააკავებს?!), რომელიც მიწყივ მიისწრაფვის აფრების გასაშლელად და უცნობ ზღვათა ტალღებში გადასაშვებად, თუნდაც წარსულის მისატოვებლად, თუნდაც წარსულის დაუნდობელი ნგრევის ფასად!..

ივლისი, 2001

94

უკეთესი ადამიანი – უკეთესი "საზოგადოება"

ადამიანის ბუნებრივი თვისებაა სწრაფვა უკეთესისაკენ.

ამდენად, ადამიანს სურს, უკეთესი იყოს თავად იგი და უკეთესი იყოს ის გარემო, სადაც იგი ცხოვრობს. როცა იგი გასცქერის ირგვლივ, იგი უწინარესად ხედავს ადამიანებს, რომლებიც, რამდენადაც უკეთესი იქნებიან, იმდენად უკეთესი იქნება მისთვის.

ოღონდ ძნელი შესათანხმებელი აღმოჩნდა, რომელმა უნდა გამოიღოს შედეგი: უკეთესი ადამიანები შექმნიან უკეთეს ერთიანობას (რასაც კოლექტივისტური თვალსაზრისით, "საზოგადოება" ეწოდება) თუ უკეთესი ერთიანობა (ანუ, იგივე თვალსაზრისით, "საზოგადოება") ჩამოაყალიბებს უკეთეს ადამიანებს. პირველ თვალსაზრისს უფრო რელიგიური და ეთიკური მოძღვრებები აღიარებენ, მეორეს – უფრო პოლიტიკური და იდეოლოგიური სწავლებანი, რომელთაც სჯერათ, რომ გარემო აყალიბებს ადამიანს.

მაგრამ მაშინაც კი, როცა ადამიანი თავადვე გადაწყვეტს, გახდეს უკეთესი, – რაკი სხვაგვარად იგი ვერ განვითარდება, – მას უწევს გარდაუვალი ძალადობა გამოიყენოს, რათა საკუთარ თავში ჩაკლას ის თვისებები, რომლებიც მას აქვს, მაგრამ არ მოსწონს, – ან დამამცირებლად, ან შემაფერხებლად, ან შეუფერებლად მიაჩნია, – ხოლო ის თვისებები, რომლებიც მას არა აქვს, მაგრამ რომელთა მოპოვება სწადია, სწორედ ისინი გააღვივოს და გაამრავლოს.

ამდენად, შეჯახება, – ერთი მხრივ, ადამიანის ბუნებრივი სწრაფვისა უკეთესისაკენ და, მეორე მხრივ, ადამიანის ბუნებრივი სურვილისა, დარჩეს იმგვარი, როგორიც იგი არის, ანუ შეინარჩუნოს მინიჭებული და იმუამად არსებული საკუთარი მეობა, – გარდაუვალია. მაგრამ ამ შინაგან დაპირის-

პირებას ადამიანი ასე თუ ისე აგვარებს (თუნდაც უაღრესად მტკივნეულად, თუმცა უმეტესად – შედეგიანად), გარეშე ძალის ჩარევის გარეშე, საკუთარი არჩევანისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. ისიც ნიშანდობლივია, რომ ძალის გამოყენების ზომასაც საკუთარი თავის მიმართ ადამიანი თავადვე განსაზღვრავს.

მაგრამ, მით უმეტეს, გარდაუვალია ძალადობა და, კერძოდ, უხეში ძალადობა იმ შემთხვევისას, როცა უკეთესი ადამიანებისაგან უკეთესი "საზოგადოების" შექმნას თუ ჩამოყალიბებას გადაწყვეტს სახელმწიფო, რომელსაც ხელთ აქვს ძალადობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იარაღი.

კიდევ უფრო მძიმედ წარმოჩნდება სურათი, – რომელიც ტრაგიკული და სისხლიანი ხდება, – როცა სახელმწიფო მიზნად დაისახავს, არათუ უკეთესი, არამედ "ბედნიერი საზოგადოება" ააშენოს. რამდენადაც ადამიანთა წარმოდგენები ბედნიერების შესახებ მეტისმეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან, სავსებით მოსალოდნელია სახელმწიფოს – ან იდეოლოგიის – სათავეში მდგომი რამდენიმე ადამიანის ამგვარი წარმოდგენა სულ არ ემთხვეოდეს კერძო პირთა ან ადამიანთა რომელიმე ჯგუფის წარმოდგენებს. შედეგად, "ბედნიერი საზოგადოების" შესაქმნელად აუცილებლად ჩნდება გილიოტინა და ხუნვეიბინთა ბრიგადები, დახაუ და გულაგი.

აგვისტო, 2001

95

მოპოვებული თავისუფლება
დახურულ მონასტერში

ევროპის სხვადასხვა კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში, დასახლების შუაგულში თუ გარეუბანში დღეს ისევ შეხვდებით დახურულ მონასტერს, სადაც ერისკაცი ფეხს ვერასდროს შედგამს, ხოლო იქაურ ბინადარს მხოლოდ ცხაურს მიღმა თუ მოჰკრავს თვალს.

დახურულ მონასტრებში მცხოვრებ მონაზვნებს – დებსა თუ ძმებს – დადებული აქვთ აღთქმა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ისინი არასოდეს დატოვებენ მონასტერს და მის კედლებს არ მოჰშორდებიან. ისინი ნებაყოფლობით თანხმდებიან პატიმრობას, – თანაც მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში.

მათი ამგვარი არჩევანი ეფუძნება მათთვის მხსნელ თვალსაზრისს, რომ ის გარე სამყარო, სადაც ისინი მანამდე ცხოვრობდნენ, ადამიანისათვის საპყრობილეა, ხოლო პატიმრობისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ მიწიერი სამყაროსაგან განდგომით, მისგან ჩაკეტვით, მისი სრული უგულებელყოფითა და უარყოფით.

სექტემბერი, 2001

2005

96

შუა საუკუნეთა ურყევი სიმშვენიერე

შუა საუკუნეები დამთავრდა დიდი ხნის წინათ და მოუბრუნებლად.

მხოლოდ რომანტიკოსებს თუ ეიმედებოდათ, – ისიც ბუნდოვნად, – მისი აღდგენა, მისი გაცოცხლება, ან სულაც ყურის დაგდება მისგან მოღწეული ხმისათვის, მისი გარდასული ნაბიჯებისათვის... თუმცა ხანმოკლე, უძლური იყო მათი იმედი, თუნდაც გულწრფელი, თუნდაც ერთგული, თუნდაც მოწადინებული...

შუა საუკუნეთა მოუბრუნებლობა მყარ შეუცვლელობად აქცია რენესანსმა და რეფორმაციამ. ერთმაც და მეორემაც გააუქმა შუა საუკუნეთათვის ჩვეული თანხმობა თარაზულისა შვეულთან, – ასახული ჯვრის გამოხატულებაში.

რენესანსმა ისიც დაამკვიდრა, იმდენად მიუღებელი გახადა შუა საუკუნეები, რომ ისტორიული სახელიც კი ვერ გაიმეტა მისთვის, რაკი მიიჩნია ოდენ შუალედად ანტიკურობასა და თავად რენესანსს შორის.

შემდგომ, ახალმა დრომ ცდა არ დააკლო შვეულის, საერთოდ, გაუქმებას.

გარდასული და დაუბრუნებელია შუა საუკუნეები, მაგრამ მაინც აღწევს – საუკუნეთა წიაღ – იქიდან გამომკრთალი ციაგი.

დიდებული, წარმტაცი და ურყევია შუა საუკუნეთა სიმშვენიერე:

მისი მყარი, უეჭველი და გაუნადგურებელი საფუძვლიანობით;

მიწიერზე აღმატებულის მიმართ მტკიცე მინდობით;

ზეციერისადმი სწრაფვით და მიწიერში ზეციერის ძიებით;

ერთიანი ეკლესიის გამორჩეული და გადამწყვეტი მნიშვნელობით;

ზნეობის მკაფიო მოწოდების მოსასმენად ყურადღების მიპყრობით;

ადამიანის პიროვნული ღირებულების დაფასებით, ოღონდ მეტაფიზიკური ჰორიზონტის მუდმივი გაცნობიერებითა და ჭვრეტით;

შინაგანი თუ საჯარო ღირსების შეგრძნებითა და შეგნებით;

მკაცრად, გონივრულად მოწესრიგებული წოდებრივი ნაგებობით;

ზედაფენის გამომიჯვნითა და მისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მინდობით, მისი წევრებისათვის ვაჟკაცობისა და კეთილგონიერების მოვალეობათა დაკისრებით;

წმიდანისა და რაინდის ურყევი ნიმუშით;

მეგობრის, ოჯახისა და პირობის ერთგულებით;

ადამიანისათვის აღზევების საშუალების მინიჭებით, – ან სამხედრო სიქველეთა, ან სულიერ მონაპოვართა შედეგების მიხედვით;

თვითაღზრდისა და თვითსრულყოფისაკენ სწრაფვით;

კულტურის რჩეულობით, აღმატებულობითა და დაფასებით, თავად აღმატებულთა დაფასებით;

ნაგებობასა და მოძრაობაში, ფურცელსა და ბგერაში ჩადებული სიღრმით, განპირობებული მნიშვნელობათა ამოუწურავი სიმრავლით;

დაქსელილი (სწორედ დაქსელილი და არა დაფანტული!) სამონასტრო სკოლებით;

რჩეული და რჩეულთა საფეხურებრივი სწავლებით...

შუა საუკუნეები იმდენად მიუწვდომელია, იმდენად შორეულია, რომ დღეს მისი წარმოდგენაც კი, ალბათ, რომანტიკული მოჩვენებაა.

იმედი ისაა, რომ აქა-იქ კვლავ გამოკრთება ხოლმე შუა საუკუნეთაგან მოულოდნელად შემოღწეული ნაპერწკალი: ახლობლის საქციელისა თუ ცხოვრების წესის, გამონათქვამისა თუ ნაწერის, ზოგიერთი ჩვევის, უნივერსიტეტის, ბიბლიოთეკის, საეკლესიო ცხოვრების სახით...

მაინც არ ცვდება შუა საუკუნეთა სიმშვენიერე, – ჩამომდგარ დროშიც აგრერიგად ცხადი და შესამჩნევი.

ოქტომბერი, 2005

97

წიგნიერების მომავალი

რაც უნდა ბევრი იყოს ირგვლივ იმგვარი ადამიანი, რომ-ლისათვისაც ძნელად მისაღები, ან სრულიად მიუღებელი, ანდა სულაც წარმოუდგენელი იყოს მოსაზრება წიგნიერე-ბის, წიგნიერი კულტურის დასრულების შესახებ (თუნდაც მხოლოდ ფრთხილად გამოითქმებოდეს ან მხოლოდ ივა-რაუდებოდეს ეს თვალსაზრისი), ამჟამად ეჭვს აღარ იწვევს, რომ ეს დასასრული, – ჯერჯერობით არცთუ მკაფიოდ ხელშესახები, მაგრამ უკვე მოახლოებული, – ნამდვილად ცხადი და გარდაუვალია.

ჟამი, როცა წიგნი არა მარტო განათლების მთავარი წყა-რო და საფუძველი იყო, არამედ ცივილიზებული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნე-ოდა, თანდათანობით მთავრდება.

იმ დროის განფენილობა, როცა წიგნის კითხვა როგორც კულტურული, ისე არცთუ დიდად კულტურული ადამიანის ცხოვრების აუცილებელ შემდგენელ ნაწილს ან ყოველდ-ღიურობის ერთ-ერთ წახნაგს წარმოადგენდა, ფაქტობრი-ვად, ისტორიულად არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა, – დაახ-ლოებით უკანასკნელი ორი ან სამი საუკუნე ევროპულ-ამერიკული ცივილიზაციისათვის: მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე. ზოგადად, ადამიანის არსებობის მილიონწლოვანი ან თუნდაც უფრო ნაკლები დროის განმავლობაში ეს მხო-ლოდ ხანმოკლე, მეტად მცირე გაკრთომაა, – მეტად მცირე დროშიც და სივრცეშიც.

უეჭველია, რომ მანამ, სანამ ცოდნისა და გადმოცემის საყოველთაო წყარო გახდებოდა წიგნი, ადამიანი ცოდნას – ამბავს, სიბრძნესა თუ გამოცხადებისეულ უწყებას – ყურითა და თვალით, სმენითა და ხედვით მოიპოვებდა. ცოდნის ამგ-ვარი მოპოვების საშუალებანი კი სხვადასხვაგვარი იყო: ნა-

ხატი თუ ქანდაკება, მოსმენილი სიტყვა თუ ბგერა. რა თქმა უნდა, კულტურის ყველაზე ადრეული და საფუძველმდები გამოვლინებები საერთოდ არ უკავშირდებოდა წიგნს, ხელნაწერს, – ზოგადად, დაწერილ ტექსტს.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე ნელ-ნელა და, როგორც ჩანს, მომავლისთვის საყოველთაოდ, იგივე – დღევანდელი სახელდებით, აუდიოვიზუალური – საშუალებანი მოიპოვებს და დაიმკვიდრებს უპირატესობას, ანუ დაბრუნდება იგივე მდგომარეობა, რაც დასაბამიდან ამდენად ჩვეული იყო ადამიანისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნი, თუნდაც სხვადასხვა სახით, ადამიანური კულტურის გარიჟრაჟზე გაჩნდა (ეგვიპტეშიც, შუამდინარეთშიც, ინდოეთშიც, ჩინეთშიც...) მბეჭდავი მანქანის გაჩენამდე ის ოდენ ცალკეულ, მეტად მცირერიცხოვან ადამიანთათვის იყო საჭირო და მოსახმარი, – იმათთვის, ვინც წარმოადგენდა განსაკუთრებულ და აღმატებულ ფენას, ანუ ელიტას (– ადამიანთა ჯგუფს, გამორჩეულს თუნდაც ინტელექტუალური, თუნდაც წარმოშობის ნიშნით). საკმარისია, ოდნავი დაკვირვება ან ოდნავი წარმოდგენა, თუ რამდენი მკითხველი ჰყავდა ტაძრებსა თუ მონასტრებში, სასახლეებსა თუ კოშკებში, დიდგვაროვანთა თუ სასკოლო-საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში დავანებულ ხელნაწერ წიგნებს მრავალი საუკუნის განმავლობაში, ადვილი მისახვედრიც და ადვილი დასათვლელიცაა, რომ მათი რიცხვი უკიდურესად მცირე იყო. სიმართლე რომ ითქვას, იქ მოთავსებული წიგნების მკითხველთა რაოდენობა უმეტესად არ აჭარბებდა რამდენიმე ათეულს.

მართალია, ბეჭდვის გამოგონებამ რამდენიმე საუკუნის წინათ (ეგრეთ წოდებულმა "გუტენბერგისეულმა რევოლუციამ") შესამჩნევად გაამრავლა და გაამრავალფეროვნა წიგნის მკითხველთა რიგი, რადგან ის ადვილად მისაწვდომი გახადა, მაგრამ წიგნის კითხვის სურვილის, ან, უფრო ზუსტად, ამ სურვილის გამოვლენის აუცილებლობა საჯარო სივრცის უმაღლეს ფენებში შესაღწევად კიდევ უფრო გვიანდელი მოვლენაა, რომელიც დღემდე ცოცხლობს (უწიგნურობა ჯერჯერობით სამარცხვინოცაა და ხელის

შემშლელი დაბრკოლებაც საჯარო-სამოქალაქო წინსვლისათვის!)...

მაინც უკვე შესამჩნევია, რომ წიგნის კითხვის კულტურა, ფაქტობრივად, სულს ღაფავს. ცოდნის მოპოვების გზად თუ საშუალებად მას ისევ ხედვითი და სმენითი უწყებანი ენაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნები ისევ იბეჭდება და ისევ იყიდება, ყველა ნიშანი მეტყველებს, რომ მდგომარეობა ნაბიჯ-ნაბიჯ ძველ ვითარებას უბრუნდება, – წიგნის კითხვა კვლავ რჩეულ ერთეულთა პირადი გადაწყვეტილებისა და ცხოვრების წესის გამოხატულება ხდება.

ოღონდ დღეს ძნელია, პასუხი გაეცეს კითხვას: წიგნი მხოლოდ თავის ამუამინდელ სახეს დაკარგავს (ვთქვათ, ის მხოლოდ ელექტრონული ან სრულიად სხვაგვარი სახით იარსებებს) თუ ადამიანს მთლიანად დაეშრიტება წიგნის კითხვის მოთხოვნილება და სურვილი...

მომავლის წინასწარმეტყველება ყოველთვის უმადური საქმეა, მაგრამ მერმისის განჭვრეტა ზოგჯერ არ წარმოადგენს დაუძლეველ ამოცანას. სარწმუნოდ ჩანს, რომ ნამდვილი სურათი ამგვარი იქნება: წიგნის მკითხველთა რაოდენობა უფრო და უფრო მოიკლებს, მაგრამ, რაკი ამ უნარს ადამიანმა ერთხელ უკვე მიაგნო, – მიგნებული არ იკარგება, – აღარასოდეს გაქრება ნაწერისათვის თვალის გაყოლებით ცოდნისა და განცხრომის მოპოვების უნარი.

ოქტომბერი, 2005

98

ფლობერის სევდიანი სიბრძნე

ათწლეულები გადის, საუკუნეზე მეტიც გავიდა, მაგრამ არ გასდის ყავლი გუსტავ ფლობერის სიტყვებს:

“Alors une facolte pitoyable se développa dans leur esprit, celle de voir la bêtise et de ne plus la tolerer” – “მაშინ ერთი ისეთი სავალალო თვისება განვითარდა მათს სულში, როგორიცაა სიბრიყვის დანახვა და მისი გაძლების უუნარობა” (“Bouvard et Pécuchet” – “ბუვარი და პეკუშე”, 1881).

ნოემბერი, 2005

99

მარტო სხვებთან ერთად

ადამიანი ადამიანთა შორის მარტოა დაბადებისას, მარტოა სიკვდილისას, მარტოა დაბადებიდან სიკვდილამდე.

იგი შესცქერის მეტაფიზიკურ ჰორიზონტს და ხედავს ადამიანთა მარტოობას ირგვლივ.

მაგრამ მას იმედი აქვს, რომ მიაღწევს ამ ჰორიზონტს, ხოლო თავის მარტოობას სხვათა მარტოობასთან ერთიანობით გადალახავს.

დეკემბერი, 2005

100

“ხელუხლებელი განძი”: კიტა აბაშიძის ეროვნულ-კულტურული ესქატოლოგია

პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველი მიმდინარეობისას, თავისი სიცოცხლის მიწურულისას, 1916 წელს, კიტა აბაშიძე (1870-1917) წერდა:

> და ამის შემდეგ გაგვამტყუნოს ვინმემ თუ ვიტყვით, რომ ქართველები მდიდრები ვართ; რომ ჩვენი სიმდიდრე ისეთი რამ არის, რომელსაც “ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს”; რომ იგი ხელუხლებელი განძია, რომელსაც ვერას დააკლებს ვერავითარი ზარბაზნები და ყუმბარები, ვერ ამოახრჩობს ვერავითარი სულის შემხუთველი თოფის წამალი.
>
> ვით რისხვა ღვთისა გაიარა ჩვენს ქვეყანაზე თემურლენგმა და შაჰ-აბასმა, შემუსრა მან სიმდიდრე ნივთიერი ჩვენის ქვეყანისა, მოსპო და ააოხრა სრა-სასახლენი და ციხე-ქალაქები, მაგრამ ვერ დაგვიკარგა და ვერ დაგვიღუპა ენა ტკბილად მოუბარი შოთასი.
>
> დღევანდელი დიდი და ტრაგედიული მომენტი თვალწინ გვიყენებს და გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოგონილ მომსპობელ იარაღებს ვერავითარი მატერიალური სიმდიდრე ვერ უძლებს; ჩვენ ვხედავთ უკვე წალეკილს და მოსპობილს რამდენიმე ქვეყნის ნივთიერ ქონებრივ სიმდიდრეს, და ამ ქვეყნებს უკვე გაღატაკებულს, გაცამტვერებულს, – მაგრამ ვერავითარი ძალა ქვეყნისა, ვერავითარი იარაღი ვერ მოსპობს ძლიერებას და სიმდიდრეს სულიერის კულტურისას.
>
> მიუწვდომელია განგება ჩვენი ბედისა. იქნებ ქართველ ერს თავის განაწამებ ცხოვრებაში კიდევ შეხვდეს აოხრება და ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ აკაკის ლექსს ვერავინ მოგვის-

პობს და ხელუხლებელ განძს – ქართველის სულის კულ-
ტურის ნაყოფს – ვერავინ ხელსაც ვერ ახლებს.

დაე, დაგვწიხლონ მათ, ვისაც დღეს ხელში უპყრიათ ოქ-
როს ვერძები და თავი მოაქვთ მით! არაფერია, მოვა დრო
და მათ ხელში მტვერიც არ შერჩებათ ამ კერპებისა, ხოლო
ტაძარი ქართული სულის ძლიერებისა, რომელსაც ისეთი
ქურუმები ჰყავს, როგორც აკაკის მუზაა, შეურყეველი და უკ-
ვდავია... “მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს”.

მსოფლიო ომის თავზარდამცემ ვითარებაში, როცა საჭირ-
ბოროტო შეკითხვად იდგა, გადარჩებოდა თუ არა, საერთოდ,
საქართველო, ან ვინძლო მას თავისი არსებობა საკუთარი
გზით, დამოუკიდებლად გაეგრძელებინა, ბუნებრივად წარ-
მოიჭრა საკითხი, როგორი იქნებოდა ქვეყნის მომავალი, რო-
გორ და რა გარემოებაში გააგრძელებდა ის თავის არსებობას.

ირგვლივ, თვალსაწიერში, მიწასთან სწორდებოდა ქვეყ-
ნები, ნადგურდებოდა ქონებრივი მონაპოვარი, ქიმიური
იარაღი თუ დენთის წამალი სპობდა ადამიანთა ნაკადებს.

მაგრამ სწორედ ამ დროს ჩნდება მკაფიო გაცნობიერება
და მტკიცე, შეურყეველი იმედი, რომ “ხელუხლებელ განძს”,
– ეროვნულ სულიერ საგანძურს, მის სიძლიერესა და სიმყა-
რეს, – ვერავინ ვერასოდეს გაანადგურებს.

ნივთიერი ქონება შეიძლება მეტად ადვილად გაუჩინარ-
დეს, მით უმეტეს, ზრდადი ტექნიკური განვითარებისა და,
შესაბამისად, ნგრევის ვითარებაში, მაგრამ სულიერ კულ-
ტურას, – იმის გამო, რაკი ის სწორედ სულიერია და არა
ნივთიერი, – რომელიც შეიქმნა და რაკიღა შეიქმნა, გამა-
ნადგურებელი ხელი ვერანაირად შეეხება.

ამ “ხელუხლებელ განძს” ვერაფერს დააკლებს ვერავი-
თარი საფრთხე.

იყო ბრძოლები და იავარყოფა, მაგრამ გადარჩა “ვეფ-
ხისტყაოსანი”; იქნება შეტაკებები და მსხვრევა, მაგრამ გა-
დარჩება აკაკის ლექსი.

ქართული კულტურის იმ ნაყოფს, რომელმაც რუსთვე-
ლისა და აკაკის პოეზიაში მიაღწია თავის უმაღლეს გამოვ-
ლინებას, არაფერი ემუქრება.

შესაძლოა, ქვეყნები გაცამტვერდეს და მოისპოს; შესაძ-ლოა, ქალაქები დაინგრეს და ფერფლად იქცეს; შესაძლოა, ერები გადაშენდეს და გაუჩინარდეს; მაგრამ დაწერილი წიგ-ნები სამუდამოდ დარჩება, – დარჩება ის, რაც დაწერილა.

დეკემბერი, 2005

საძიებლები

პირთა სახელები

აბაშიძე, კიტა 436
აბრაამი 413
ადამი 278, 325
ადენაუერი, კონრად 342
ადორნო, თეოდორ 286, 397
ავგუსტინე 246
ავგუსტუსი 410
აინშტაინი, ალბერტ 25, 115
ალბერტ დიდი 323
ალექსანდრე პირველი (რუსეთში) 79
ალექსანდრე პირველი (საქართველოში) 112
ალექსი მეორე 384-386
ალექსი პირველი 380-382
ალექსი-მესხიშვილი, ნინო 18
ალმაში, დიორდ 149
ალმაში, ლასლო 148-153
ამაკუსა შირო 179
ანა 413
ანტონი მეორე 112
ანტონიონი, მიქელანჯელო 310
ანტონოვა, ირინა 132
აპიანე 137
აპოლინერი, გიიომ 310
არაფატი, იასირ 44
არენდტი, ჰანა 246-248
არისტოტელე 115
ახმატოვა, ანა 36, 55

ბალთაზარი 43, 173, 412
ბარნოვი, ვასილ 16, 19
ბაუსერი, აილინ 191
ბეკლინი, ალფრედ 308
ბელავინი, ვასილი *იხ.* ტიქონი
ბელინი, ვინჩენცო 203, 204
ბელინი, ჯოვანი 73
ბენეში, ედვარდ 61
ბენთემი, ჯერემი 340
ბენიამინი, ვალტერ 286
ბერანი, იოზეფ 240, 284
ბერგმანი, ინგმარ 38, 65, 191
ბერდიაევი, ნიკოლაი 229, 324
ბერია, ლავრენტი 52
ბერკლი, ჯორჯ 160
ბლიე, ბერტრან 217
ბლოხი, ერნსტ 396-398
ბონაპარტი, ნაპოლეონ 32, 68, 79
ბონიფაციუსი, წმიდა 90
ბორი, ნილს 26, 115
ბორხესი, ხორხე ლუის 36
ბოსკო, იოანე დონ 325
ბრაჰე, ტიხო 114-118
ბრეჟნევი, ლეონიდ 54, 101, 218, 243
ბროზ ტიტო, იოსიპ 240
ბრუკი, პიტერ 169
ბრუნო, ჯორდანო 345-347
ბულგაკოვი, სერგი 324
ბულოსი, ჯორჯ 266
ბჰაქტივედანტა სვამი პრაბჰუპადა 158

გაბაშვილი, ეკატერინე 16
გადამერი, ჰანს-გეორგ 397
გამბა, ჟაკ ფრანსუა 192
განდჰი, მაჰატმა 25, 155, 156, 271, 272, 341
გარიგი, შარლოტ 163
გეზა, მეფე 90

გერსტენბერგი, ოტო 133
გერცენი, ალეკსანდრ 80
გილგუდი, ჯონ 70
გიორგი, წმიდა 41, 71-73, 196
გოგებაშვილი, იაკობ 195
გოგოლი, ნიკოლაი 76
გოდარი, ჟან-ლუკ 65, 98-100, 217
გოდუნოვი, ბორის 75
გოია, ფრანსისკო 133
გორბაჩოვი მიხაილ 317
გორკი, მაკსიმ 17
გოტვალდი, კლემენტ 33, 61
გრასი, გიუნტერ 59
გრიგოლ მეცამეტე 160, 260, 261, 355
გრიგოლ ტურსელი 84
გულაბერისძე, ნიკოლოზ 112
გუტენბერგი, იოჰან 432

დავით აღმაშენებელი 53, 334
დალი, სალვადორ 310
დანტე ალიგიერი 82
დანტონი, ჟორჟ-ჟაკ 69
დე გასპერი, ალჩიდე 342
დე გოლი, შარლ 87, 212, 214, 215, 217-219, 342
დელაკრუა, ეჟენ 133
დელუმო, ჟან 142
დიკენსი, ჩარლზ 277
დიოდორე სიცილიელი 136
დიონისე მცირე 261, 410
დომინიკე, წმიდა 346
დონიცეტი, ანდრეა 206
დონიცეტი, გაეტანო 202-206
დონიცეტი, ფრანჩესკო 202
დონიცეტი, ჯუზეპე 202, 206
დოსტოევსკი, ფიოდორ 69, 80, 418
დრაიერი, კარლ თეოდორ (მამა) 190
დრაიერი, კარლ თეოდორ 190, 191
დუბჩეკი, ალექსანდერ 61
დუჩკე, რუდი 213

ედ დინი, ქემალ 150
ევა 278
ევანსი, მერიენ 363
ევსტათი მცხეთელი 394
ევტუშენკო, ევგენი 55
ეზერსკაია, ანა 196
ეზერსკი, სტეპან 196
ეიზენშტეინი, სერგეი 217
ელ გრეკო 226
ელეკი, წმიდა 90
ელიოზი 109
ელიოტი, ტომას სტერნზ 36
ელიოტი, ჯორჯ *იხ.* ევანსი, მერიენ
ელისაბედ პირველი 62, 223, 275
ელცინი, ბორის 131
ენგელსი, ფრიდრიხ 16
ენგრი, ჟან-ოგიუსტ-დომინიკ 133
ერეკლე მეორე (პატარა კახი) 53, 112
ერნსტი, მაქს 310
ერჰარდი, ლუდვიგ 342
ესკრივა, იოსებ მარიამ 325

ვაგნერი, რიხარდ 375
ვაიდა, ანჯეი 65-70
ვაინინგერი, ოტო 308
ვალენსა, ლეხ 69
ვალერი, პოლ 38
ვალტერი, ბრუნო 279
ვან გოგი, ვინსენტ 133
ვან დამი, ჟან-კლოდ 129

ვაჟა-ფშაველა 15-20
ვარდა, ანიეს 217
ვასელი, ვირჯინია 204
ვაცლავი, წმიდა 61
ვახტანგ გორგასალი 53
ვახტანგ მეექვსე 334
ველასკესი, დიეგო 226
ველიტა, ჯოვანი 172
ვერნადსკი, ვლადიმირ 367
ვივეკანანდა, სვამი 158
ვიკო, ჯამბატისტა 160
ვილჰელმ მეორე 375, 395
ვილჰელმ ორანელი 223
ვინერი, ნორბერტ 106
ვისკონტი, ლუკინო 65
ვიტე, წმიდა 64
ვიქტორია 210, 372
ვიშინსკი, სტეფან 240
ვოლტერი 347

ზანუსი, კშიშტოფ 65
ზაქსი, ნელი 36
ზემელი, ევგენი 16
ზინოვიევი, გრიგორი 252, 378
ზუტნერი, ბერტა ფონ 39

თაგორი, რაბინდრანათ 95
თამარი 53, 78, 112, 334, 335
თატჩერი, მარგარეტ 294-297, 342
თემურლენგი 436
თომა აკვინელი 26, 159, 161, 189, 323
თომა, წმიდა 358
თოდრია, სილიბისტრო 16

იაგოდა, გენრიხ 378
იაკობ პირველი 160
იაკობსონი, რომან 106-108
იანჩო, მიკლოშ 65
იაროსლავსკი, ემელიან 378
იარუზელსკი, ვოიცეხ 69
იასპერსი, კარლ 246, 247
იგლეზიასი, კარმენ 224, 225
იერონიმე 40
იესო ქრისტე 40, 43, 72, 102-104, 109, 111, 112, 120, 121, 124, 146, 172-174, 181, 191, 239, 259, 263, 282, 285, 290, 296, 324-327, 348, 351-359, 367, 381, 390-393, 395, 404, 409-414
ივანე მეოთხე 75
იზვეკოვი, სერგეი *იხ.* პიმენი
ინგოროყვა, პავლე 19
იოანე დამასკელი 323, 391
იოანე ნათლისმცემელი 173, 409, 414
იოანე პავლე მეორე 101, 104, 105, 237, 259, 262, 284, 343, 404
იოსები, წმიდა 172, 173, 410, 414
იოსელიანი, ოთარ 98, 143
ისიდორე სევილიელი 84
იუდა 358
იულიუს კეისარი 71, 260, 354, 355

კალასი, მარია 292
კალდერონ დე ლა ბარკა, პედრო 226
კალვინი, ჟან 224
კამიუ, ალბერ 242, 399
კანტი, იმანუელ 365
კაპიცა, პიოტრ 55
კარა, კარლო 308, 312, 313
კარლოს დიდი 84, 85
კარლოს მეოთხე 62, 197
კარლოს მეხუთე 225
კარლოს პირველი 149

კასირერი, ერნსტ 364-366
კასპარი 43, 173, 412
კასტრო რუსი, ფიდელ 88, 243, 262-264, 368
კაფკა, ფრანც 63, 76
კევედო ი ვილიეგასი, ფრანსისკო 226
კელერი, ბერნჰარდ 133
კემპიონი, ედმუნდ 275, 276
კეშლიოვსკი, კშიშტოფ 65
კიპლინგი, ჯოზეფ რადიარდ 79
კირიკო, ანდრეა დე 308
კირიკო, ჯორჯო დე 308-310, 312, 313
კირილე, წმიდა 59
კიროვი, სერგეი 15
კლაიტონი, რობერტ 150, 151
კლაუსი, ვაცლავ 34
კლდელი, პოლ 61
კლდიაშვილი, დავით 16
კლემანსო, ჟორჟ 341
კოვაჩი, ანდრაშ 65
კომენსკი, იან 95
კონ-ბენდიტი, დანიელ 213, 215
კოპერნიკი, ნიკოლაუს 116
კორჩაკი, იანუშ 70
კრებსი, ოტო 133
კროპოტკინი, პიოტრ 312
კუნდერა, მილან 60
კუნციკი, მიხაელ 300

ლაზარე 359
ლაიბნიცი, გოტფრიდ ვილჰელმ 160
ლევი-სტროსი, კლოდ 106, 252, 253
ლენინი, ვლადიმირ 24, 52, 54, 55, 78, 98, 156, 215, 216, 228, 244, 252, 305, 306, 314, 378, 381, 384, 397, 404
ლეონტიევი, კონსტანტინ 324
ლესინგი, გოტფრიდ ეფრაიმ 19
ლეფევრი, მარსელ 103
ლი კუან იუ 340, 342
ლიბანიო ქრისტო, კარლოს ალბერტო 264
ლივინგსტონი, დეივიდ 207-211
ლიუბიმოვი, იური 108
ლიხაჩოვი, დმიტრი 305-307
ლოიდ ჯორჯი, დეივიდ 341
ლოიოლა, ეგნატე 325
ლორენი, კლოდ 418
ლოსკი, ვლადიმირ 324
ლუთერი, მარტინ 224
ლუკა, წმიდა 358, 410, 413
ლუკაჩი, გეორგ (დიორდ) 396
ლუნაჩარსკი, ანატოლი 55

მათე, წმიდა 411, 413
მაიაკოვსკი, ვლადიმირ 107, 108
მაირი, იოჰანეს სიმონ 203
მაირინკი, გუსტავ 62, 63
მამარდაშვილი, მერაბ 61
მანდელა, ნელსონ 342
მანდელშტამი, ოსიპ 107
მანი, თომას 35, 61, 374
მაო ძედუნი 23, 98, 215, 243, 244, 341, 368
მარიამ მაგდალელი 359
მარიამი, წმიდა 31, 72, 118, 172, 178, 179, 410, 414
მარკოზი, წმიდა 358, 390
მარკუზე, ჰერბერტ 286-288
მარქსი, კარლ 16, 98, 227, 243, 286, 288, 312
მასარიკი, იან 31
მასარიკი, ტომაშ გარიგ 31, 61, 63, 107, 162-167
მახარაძე, ფილიპე 16
მეთოდე, წმიდა 59

მელქიორი 43, 173, 412
მელქისედეკ პირველი 111, 112
მილე, ჟან-ფრანსუა 133
მინგელა, ენთონი 148
მინდსენტი, იოჟეფ 240
მირიანი, მეფე 109, 111
მიხაილ ნიკოლაევიჩი 194
მოგენშტერნი, ოსკარ 236
მონტანელი, ინდრო 387
მორანდი, ჯორჯო 308, 311, 312
მორენი, ედგარ 216
მოსე 352
მოსიძე, მართა 192
მოფეტი, მერი 209
მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუს 62, 98
მუდი, დონ 170
მუსოლინი, ბენიტო 232, 289-292, 314
მუშალი, ბოგდან 320, 321

ნაიტინგეილი, ფლორენს 369-373
ნანსენი, ფრიტიოფ 279, 282
ნაპოლეონი *იხ.* ბონაპარტი, ნაპოლეონ
ნეჰრუ, მოტილალ 271
ნეჰრუ, ჯავაჰარლალ 271, 271, 341
ნიკოლაძე, ანასტასია 195
ნიკოლაძე, იაკობ 195
ნიკოლაძე, ნიკო 16, 195
ნიკოლოზ მეორე 381
ნიკოლოზი, წმიდა 121, 125, 255, 256
ნინო, წმიდა 110-112
ნინოშვილი, ეკნატე 17
ნიუტონი, ისააკ 115
ნიცშე, ფრიდრიხ 19, 308, 347
ნობელი, ალფრედ 35-39, 360, 365
ნობელი, ანდრიეტა 36
ნობელი, ემანუელ 36
ნობელი, ემილ 37
ნობელი, რობერტ 37
ნოვოტნი, ანტონინ 33
ნუცუბიძე, შალვა 293

ოლბრიხსკი, დანიელ 68, 70
ოლივეირა, მანუელ დე 98
ონდააჩი, მაიკლ 148
ორბელიანი, სულხან-საბა 335
ორტეგა ი გასეტი, ხოსე 420, 421
ორუელი, ჯორჯ 267
ორჯონიკიძე, სერგო 15-16, 18

პავეზე, ჩეზარე 242
პაველიჩი, ანტე 238
პავლე, წმიდა 355, 395
პაზოლინი, პიერ პაოლო 65, 83
პალახი, იან 61
პარკერი, ჯეფრი 223
პასტერნაკი, ბორის 17, 36, 107, 365
პესტალოცი, იოჰან ჰაინრიხ 95
პეტრე, წმიდა 259, 379, 390, 392
პეტრე პირველი 74, 75, 77, 378
პეტრიწი, იოანე 335
პიზისი, ფილიპო დე 308
პიკასო, პაბლო 86, 313
პიმენი 382-384
პინოჩეტი, აუგუსტო 294, 343
პიოტროვსკი, მიხაილ 133, 134
პიუს მეთერთმეტე 232
პიუს მეთორმეტე 240
პლათი, სილვია 310
პლატონი 34, 95, 163, 234, 419
პო, ედგარ ალან 19
პოლ პოტი 23
პოლანსკი, რომან 65

პორტობადი, ტიროლ 91
პოტერი, ბეატრის 363
პრევერი, ჟაკ 310
პუანკარე, რაიმონ 341
პუტინი, ვლადიმირ 303, 304

ჟან დ'არკი 190
ჟიდი, ანდრე 35

რადჰაკრიშნანი, სარვეპალი 156, 364, 366
რაზიკაშვილი, ლევან 16, 17
რაინში, ერიკა 231
რამაკრიშნა 158
რამელი, სტიგ 35
რეემტსმა, იან ფილიპ 319, 321
რეიგანი, რონალდ 340
რეიფილდი, დონალდ 33
რენე, ალენ 217
რიდიგერი ალეკსეი *იხ.* ალექსი მეორე
რილკე, რაინერ მარია 63
რიჩარდ მეორე 72
როდრიგეს სალგადო, მარია ხოსე 225
როლანი, რომენ 17, 279
რომელი, ერვინ 152, 153
როსინი, ჯოაკინო ანტონიო 203, 204
რუდოლფ მეორე 62, 117, 118
რუზველტი, თეოდორ 340
რუსთველი, შოთა 108, 393, 436, 437
რუსო, ჟან-ჟაკ 95

სააკაძე, გიორგი 334
საბო, იშტვან 65
სავინიო, ალბერტო 308
სანჩესი, კარლოს 61
სანჩო დიდი 85
სარტრი, ჟან-პოლ 36, 242, 365, 367, 368
სახაროვი, ანდრეი 25, 55, 80
სეზანი, პოლ 133, 312
სერგი 378-381
სერვანტეს საავედრა, მიგელ დე 226
სეშელე პირველი 209
სვერდლოვი, იაკობ 252
სვიმეონი 413
სვიმონ პირველი 222
სიდონია 109
სიმანსკი, სერგეი *იხ.* ალექსი პირველი
სიმენსი, ფრიდრიხ 133
სლიპი, იოსიფ 240
სმითი, იან 343
სოკრატე 418, 419
სოლჟენიცინი, ალეკსანდრ 34, 36, 80, 146, 306
სპენსერი, ჰერბერტ 360-363
სპინოზა, ბარუხ 160
სტალინი (ჯუღაშვილი), იოსებ 17, 18, 23, 24, 32, 33, 52-57, 61, 66, 143, 217, 228, 240, 286, 305, 314, 368, 379-381, 384, 387
სტალონე, სილვესტერ 129
სტეპინაცი, ალოიზიუს 237-241
სტოუნი, ოლივერ 298-299, 303, 304
სტრავინსკი, ივან *იხ.* სერგი
სტრეჩი, ლიტონ 370
სტრინდბერგი, აუგუსტ 38
სუარესი, ფრანსისკო 159-161
სუსლოვი, მიხაილ 54, 218

ტავიანი, ვიტორიო 291, 292
ტავიანი, პაოლო 291, 292
ტარკოვსკი, ანდრეი 191

ტეილორი, ედვარდ 186
ტერეზა კალკუტელი 27, 104
ტერნბული, კოლინ 168-170
ტინიანოვი, იური 107
ტირსო დე მოლინა 160, 226
ტისო, იოზეფ 233
ტიუტჩევი, ფიოდორ 80
ტიქონი 377, 378, 380
ტოლსტოი, ლევ 19, 155, 327
ტომაშეკი, ფრანტიშეკ 283, 284
ტოროშელიძე, მალაქია 17
ტროცკი, ლევ 78, 98, 215, 216, 228, 243, 244, 252, 314, 378, 381, 397, 404
ტრუმენი, ჰარი 340
ტულუზ-ლოტრეკი, ანრი დე 133
ტურგენევი, ივან 80

უები, ბეატრის *იხ.* პოტერი, ბეატრის
უელსი, ჰერბერტ 265
უაილდი, ოსკარ 62
უილსონი, ვუდრო 166
უილსონი, რიჩარდ 275-277
ულიანოვი, ვლადიმირ *იხ.* ლენინი, ვლადიმირ
უნგვარი, კრისტიან 320
უნფერცატი, ვილჰელმ 131
უორვიკი, კევინ 266-270
უორჰოლი, ენდი 310
უჩელო, პაოლო 73
უჰდე, მილან 34

ფაბრი, ზოლტან 65
ფარუკი 153
ფეგელინი, ერიკ 236
ფელინი, ფედერიკო 65
ფერდინანდ პირველი 205
ფილიპე მეორე 160, 222-226
ფლობერი, გუსტავ 368, 434
ფლორენსკი, პაველ 324, 421
ფორმანი, მილოშ 60, 65, 140
ფრანკო, ფრანსისკო 86, 88, 341
ფრანცისკე ასიზელი 82, 101, 102, 104, 172, 290, 325
ფრანცისკე იოსებ პირველი 149
ფრანცისკე ქსავერიუსი 178
ფრიდმანი, ჯონათან 302
ფროიდი, ზიგმუნდ 25, 279, 286, 288
ფრომი, ერიხ 286

ქარმალი, ბაბრაქ 61
ქემინი, ჰენრი 223
ქიქოძე, გერონტი 52, 57
ქოჩაქიძე, ბორის 196
ქოჩაქიძე, გიორგი *იხ.* ჭალადიდელი, გიორგი
ქოჩაქიძე, მაქსიმე 192, 193
ქრისტიან მეოთხე 117

შანიძე, აკაკი 19
შარდენი, პიერ ტეიარ დე 364, 367
შაჰ-აბასი 436
შექსპირი, უილიამ 62, 274-277
შექსშეიფტი 276
შვაიცერი, ალბერტ 27
შკვორეცკი, იოზეფ 60
შლენდორფი, ფოლკერ 98
შლიმანი, ერნსტ 129
შლიმანი, ჰაინრიხ 129-132
შმიდტი, ვილჰელმ 181-189
შნაიდერი, რაინჰოლდ 254
შოთა მეჭურჭლეთუხუცესი 393
შოპენჰაუერი, ართურ 160, 308
შოპენჰაუერი, არტურ 38
შოსტაკოვიჩი, დმიტრი 26, 27
შპანი, ოთმარ 230-236
შპენგლერი, ოსვალდ 374-376
შტაინერი, რუდოლფ 95

შტაინი, ედით 421
შტეფანი, მეფე 90
შტეფანიკი, მილან 165

ჩაიკოვსკი, პიოტრ 120
ჩაპეკი, კარელ 265
ჩაპლინი, ჩარლზ 26
ჩარკვიანი, კანდიდ 17
ჩაუშესკუ, ნიკოლაე 214
ჩე გევარა, ერნესტო 215, 243, 263
ჩერჩილი, უინსტონ 24, 240, 342
ჩეხოვი, ანტონ 76
ჩიქობავა, არნოლდ 293

ცვაიგი, შტეფან 17, 279
ცვეტაევა, მარინა 61, 63
ციბულსკი, ზბიგნევ 66, 68

ძერჟინსკი, ფელიქს 55, 156, 378
ძეფირელი, ფრანკო 289-292
ძნელაძე, ბორის 330
ძურლინი, ვალერიო 310

წერეთელი, აკაკი 15, 333, 335, 436, 437
წერეთელი, გიორგი 108

ჭავჭავაძე, ილია 15, 326
ჭალადიდელი, გიორგი 192-196

ხიმენეს ბელო, კარლოს ფელიპე 104
ხომიაკოვი, ალეკსეი 324
ხრუშჩოვი, ნიკიტა 54, 66, 107, 382

ჯავახიშვილი, ივანე 394
ჯენტილე, ჯოვანი 387, 388
ჯონსონი, პოლ 339-343
ჯოტო 313
ჯუ დე 56
ჯუღაშვილი, იოსებ (სოსო) *იხ.* სტალინი, იოსებ

ჰაბსბურგი, ოტო ფონ 94
ჰაველი, ვაცლავ 30, 31, 34, 61, 63
ჰაიდეგერი, მარტინ 160, 246-248, 286
ჰაიეკი, ფრიდრიხ 236, 360
ჰალევი, იეჰუდა 63
ჰარნაკი, ადოლფ ფონ 394, 395
ჰაქსლი, ოლდოს 267
ჰახა, ემილ 61
ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 233, 286
ჰეიგი, ალეგზანდერ 102
ჰენდელი, გეორგ ფრიდრიხ 120
ჰენრიხ მეოთხე 225
ჰენრიხ ნავარელი 223
ჰერბერტი, სიდნი 371
ჰეროდე ანტიპა 173
ჰეროდე დიდი 173, 413
ჰესე, ჰერმან 95, 421
ჰესი, ზოფი 39
ჰიტლერი, ადოლფ 63, 66, 86, 215, 232, 247, 314, 376, 387
ჰო ჩი მინი 243
ჰოგტონი, ბერნარდ დე 275-277
ჰოდოიოში 179
ჰომეროსი 129, 130, 132
ჰონიგმანი, ერნსტ 276
ჰორკჰაიმერი, მაქს 286, 397
ჰუსაკი, გუსტავ 31
ჰუსერლი, ედმუნდ 286

ადგილთა სახელები

ავინიონი 215
ავლაბარი 388
ავსტრია 32, 119, 142, 149, 150, 153, 182, 183, 185, 205, 231, 232, 319, 370, 397
ავსტრია-უნგრეთის იმპერია 32, 59, 94, 119, 162, 165, 166, 231, 238
ავღანეთი 102
აზია 149, 154, 183, 184, 222, 279, 281, 367, 412
ათენი 418, 419
ათონი 327
ალბანეთი 54, 56
ალეუტი 377
ალექსანდრია 16, 354
ალიკანტე 388
ალკალა 160
ალტმანსდორფი 230
ამერიკა 99, 135, 146, 156, 158, 165, 166, 184, 211, 222, 247, 279, 287, 317, 343, 377, 397
ამერიკის შეერთებული შტატები 102, 107, 242, 280, 286, 298, 303, 340, 377, 397
ამიერკავკასია 192
ამსტერდამი 23
ანტარქტიდა 101
არაგონი 222
არგენტინა 54
ასიზი 101, 103-105
აფრიკა 73, 149, 150, 152, 208-211, 281, 342, 367, 412
ახალი გვინეა 183
ბაბილონი 392
ბადენ-ბადენი 218
ბალკანეთი 136
ბანგლადეში 280
ბასკეთი 86-88
ბეთლემი 40-45, 410, 413
ბელგია 44, 213, 226
ბერგამო 202, 203, 206
ბერლინი 124, 130, 131, 140, 141, 182, 228, 281, 286, 288, 376, 394, 420, 421
ბერნი 230
ბერნშტაინი 149
ბიზანტია 77-79, 323
ბირმა 281
ბლენტაირი 207
ბოგოროდსკი 383
ბოლონია 203, 311,
ბოროსტიანკიო 149
ბოსნია 237
ბოტსვანა 209
ბოსტონი 108
ბრაზილია 183
ბრაიტონი 363
ბრეზარიჩი 237
ბრიტანეთი (დიდი ბრიტანეთი) 71-73, 139, 155, 209-211, 241, 280, 294, 295, 297, 342, 343, 373, 369, 373
ბრიუნი *იხ.* ბრნო
ბრიუსელი 255
ბრნო 107, 162, 231
ბუდაპეშტი 93, 94, 152
ბულგარეთი 43, 329

გდანსკი 69
გენუა 204
გერმანია 50, 57, 61, 88, 117, 131, 132, 134, 136, 142, 166, 183, 185, 197, 213, 215, 218, 220, 224, 231, 242, 247, 248, 280, 286, 288, 309, 319, 342, 364, 370, 371, 375, 376, 394, 397, 398
გერნიკა 86, 87
გეტებორგი 364
გიორი 93
გისენი 394
გლაზგო 208
გორი 56
გრენადა 159
გრენლანდია 255, 256
გროზნო 23

დალიბორჟკა 62
დანია 96, 114, 255, 256
დახაუ 231, 362, 424
დერპტი 394
დრეზდენი 132
დუე 276

ეგვიპტე 79, 149, 150, 152, 153, 213, 339, 370, 413, 432
ევროპა passim
ესკორიალი 224-226
ესპანეთი 44, 84-88, 142, 160, 213, 222, 224, 226, 286, 341
ესტონეთი 384, 385, 394
ეტრურია 136

ვალიადოლიდი 159
ვარშავა 33, 66, 70, 321
ვატიკანი 182, 346
ვაშინგტონი 301
ვენა 32, 39, 75, 162, 163, 165, 182, 183, 205, 228, 230, 231
ვენეცია 98, 203
ვერე 19
ვერონა 142
ვერსალი 32, 252
ვესტფალია 181
ვიეტნამი 212, 213, 303
ვილნიუსი 377

ზაგრები 237-240
ზალცბურგი 153
ზერზურა 150, 151, 153

თბილისი (ტფილისი) 15, 16, 19, 53, 55, 108, 158, 193, 293
თურქეთი 72, 136

იალტა 32
იაპონია 178-180, 213, 341
იაროსლავლი 377
იბერია 225
იერუსალემი 40-44, 109, 392, 393, 411, 413
ილიონი 130
იმერეთი 192
ინგლისი 44, 71-73, 149, 153, 165, 207, 210, 211, 225, 242, 371
ინდოეთი 79, 154-158, 178, 183, 271-273, 280, 281, 341, 366, 432
ინდონეზია 281, 282, 341
ინდოჩინეთი 212, 281
იორდანია 44
იორკშირი 98, 100
ირანი 282
ირლანდია 139
ისლანდია 255
ისრაელი 44, 248

იტალია 38, 44, 49, 136, 205, 206, 213, 226, 242-244, 290-292, 308, 309, 342, 345, 347, 370, 387, 388, 412
იუგოსლავია 237-240

კავკასია 192, 194
კანადა 54, 256
კანი 215
კანტაბრია 84
კაპადოკია 72, 110
კარპატისპირა რუსეთი 32
კასტელვეტრანო 388
კასტილია 159, 222, 226
კატინი 65
კეიპტაუნი 208
კემბრიჯი 271, 361
კიოტო 179
კიუშუ 178
კოგოშიმა 178
კოიმბრა 160
კოლიმა 362, 388
კოლომნა 379
კონსტანტინოპოლი 77, 78, 202, 205, 390
კოპენჰაგენი 96, 114, 190, 191
კრაკოვი 66
კუბა 88, 262
კუფრა 150

ლაიფციგი 394, 396, 397
ლანი 167
ლანკასტერი 275
ლანკაშირი 275
ლაპლანდია 255
ლემბერგი *იხ.* ლვოვი
ლენინგრადი 108, 143, 306, 381, 385 *იხ.* სანკტპეტერბურგი, პეტროგრადი
ლეპანტო 225
ლვოვი 231
ლიბია 150, 152, 281
ლიკანი 56, 57
ლისაბონი 161
ლიტვა 405
ლონდონი 23, 33, 61, 62, 75, 86, 96, 208, 294, 297, 312, 343, 371
ლოძი 66, 68
ლუანდა 210
ლუბლინი 142, 144, 146, 147, 377
ლუიზიანა 298

მადრასი 364
მადრიდი 85, 224, 225
მალაკა 178
მარბურგი 246, 394
მარტვილი 193
მასაჩუსეტსი 106
მედიოლანი *იხ.* მილანი
მილანი 204, 222, 243, 312, 313, 412
მინსკი 196
მიუნსტერი 316
მიუნხენი 374
მორა 255
მორავია 162, 283
მოსკოვი 52, 53, 66, 72, 75, 78, 101, 108, 131, 217, 218, 244, 377-383, 385
მცხეთა 109-112

ნაგასაკი 179, 180
ნავარა 85
ნაზარეთი 413
ნეაპოლი 204, 205, 222, 346
ნიდერლანდები 222, 225, 226
ნიკარაგუა 88
ნიკეა 355, 390

ნიუ იორკი 158, 364, 377, 397
ნიუ კასლი 276
ნიურნბერგი 320
ნოვგოროდი 381, 385
ნოიშტიფტი 232
ნორვეგია 35, 104, 255

ოკეანეთი 183
ოლომოუცი 283
ოსლო 35, 256
ოსმალეთი 44, 194, 196, 202, 225, 293, 372
ოქსფორდი 364

პაკისტანი 280, 341
პალერმო 204
პალესტინა 40, 42, 44, 45
პანონია 90
პანონჰალმა 90, 91, 93-95
პარიზი 23, 38, 39, 57, 75, 85-87, 165, 205, 206, 212-218, 312, 365
პეკინი 218
პეტროგრადი 227, 381 *იხ.* სანკტპეტერბურგი, ლენინგრადი
პიემონტი 312
პოლონეთი 65, 66, 68, 69, 119, 142, 164, 240, 377, 405
პორტუგალია 160, 222
პრაჰა 12, 29, 30-34, 59-64, 107, 117, 118, 139, 163, 197, 198, 213, 243, 283, 284, 328, 329
პრუსია 394
პსკოვი 377, 383

ჟენევა 282

რედინგი 266
რიო გრანდე 222
როდეზია 281
რომი 12, 23, 32, 49, 73, 76-78, 90, 137, 159, 182, 203, 204, 222, 225, 238-241, 243, 244, 259, 292, 323, 324, 345, 348, 354, 411
რომის საღმრთო იმპერია 32, 59, 117, 197, 225
რონსევალი 84
რუმინეთი 41, 43, 214
რუმინეთი 43
რუსეთი 36, 42, 60, 72, 74-81, 129, 131-135, 140, 141, 164, 165, 166, 192-194, 196, 228, 229, 252, 259, 260, 279, 303-305, 317, 341, 371, 377-386, 397, 405

საბერძნეთი 43, 154, 220, 248, 260, 309, 370, 418, 419
საბჭოთა კავშირი 25, 34, 42, 52, 54, 55, 57, 58, 101, 107, 108, 129, 131, 141, 143, 156, 216, 218, 243, 261, 287, 305, 306, 314, 317, 320, 328, 378, 382, 384
სალამანკა 159, 160
სამეგრელო 192
სან სებასტიანო 84
სანკტპეტერბურგი 36, 75, 78, 132, 133, 194-196, 305, 378 *იხ.* პეტროგრადი, ლენინგრადი
სანრემო 38
სარაევო 23
სარდინია 222
საფრანგეთი 44, 61, 87, 99, 100, 106, 136, 165, 212, 215-218, 226, 242, 244, 247, 252, 276, 278, 280, 286, 342, 370, 371, 397

საქართველო 15, 16, 18-20, 42, 53, 55-58, 71-72, 78, 110-112, 123, 146, 259, 317, 333-336, 384, 395, 404, 437
სეგოვია 159
სენაკი 193
სერბეთი 42, 237
სინგაპური 340, 342
სიცილია 222
სკანდინავია 96, 107, 115
სლოვაკეთი 119, 233, 328
სლოვენია 119
სოლოვკი 306
სოლოლაკი 19
სოხუმი 23
სტამბოლი 326
სტოკჰოლმი 35, 36
სუდანი 149
სუვალკი 65

ტალინი 385
ტასმანია 184
ტეიერა დელ ფუეგო 222
ტიბეტი 183
ტირანა 56
ტიუბინგენი 230, 398
ტიხვინი 381
ტორონტო 60, 98, 99, 302
ტოსკანა 291
ტრენტო 243
ტროა 130, 131
ტურინი 243
ტფილისი *იხ.* თბილისი

უგანდა 168
უზბეკეთი 57
უილტონი 72
უკრაინა 32, 240, 259, 304
უმბრია 101
უნგრეთი 65, 90, 92-94, 119, 149, 152, 153, 227, 240, 272, 397
უსტი ნად ლაბემი 32

ფარცხანაყანები 293
ფერარა 312
ფერსათი 192
ფილიპინები 222
ფინეთი 36, 141, 255, 378, 385
ფლორენცია 75, 370, 388
ფრაიბურგი 248, 286
ფრანკფურტი 247, 248, 286, 288, 397
ფრიბურგი 183
ფულტონი 24

ქართლი 109-111
ქუთაისი 15, 193

ყაზახეთი 57
ყირიმი 36, 41, 371, 372

შვედეთი 35, 37, 38, 255
შვეიცარია 33, 136, 138, 183, 397
შოტლანდია 41, 207, 208, 225
შრი ლანკა 148
შუა აზია 57
შუამდინარეთი 432

ჩარგალი 19
ჩეჩნეთი 141
ჩეხეთი 29, 59, 117, 119, 135, 136, 138, 139, 167, 197, 283, 284, 328, 329
ჩეხოსლოვაკია 31-33, 61, 62, 65, 107, 162, 166, 213, 232, 233, 240, 242, 280, 284, 328, 397
ჩინეთი 54, 76, 154, 208, 281, 282, 341, 432
ჩიტამბო 211

ცეილონი 178, 281
ციმბირი 66
ციურიხი 230

წყალტუბო 56, 57

ქალადიდი 192, 196

ხორვატია 237-239, 241

ჯიმინიანო 291

ჰავანა 263
ჰაიდელბერგი 246
ჰამბურგი 319, 321, 364
ჰემთშირი 373
ჰერდე 181
ჰვენი 115
ჰისარლიყი 130
ჰოგტონი 275-277
ჰოდონინი 162
ჰოლანდია 182
ჰრადჩანი 62, 63

მერაბ ღაღანიძის წიგნები

სინამდვილე და წარმოსახვა
დავით გურამიშვილის “მხიარულ ზაფხულში”
(2002)

კულტურათა გზაჯვარედინი
(საზიარო ავტორობით)
(2002)

რწმენისა და იმედის გზაზე
(2003)

წვდომისა და გამოხატვის ოსტატობა
(2004)

გზავნილი “არილის” მკითხველს
(2009)

ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე
(2010)

მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში
(2011)

განსაკუთრებული საყოველთაოში
(საზიარო ავტორობით)
(2014)

აკაკის ფაუსტური პარაბოლა
(2019)

სამი ხილული და სამი სახელი
(2020)

ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 1
(2021)

ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/1
(2021)

ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/2
(2021)

მერაბ ღაღანიძე
(*1961)
ლიტერატურის, კულტურისა
და რელიგიის მკვლევარი